ეროვნული

რჩეული თხზულებანი

ხუთ

ტომად

ეროვნული

ზოგი თესავთ
ვარძნოებათა
ერეკრა

И(ФР)
84—31
Ф 761

თარგმანი ფრანგულიდან ა რ ი ს ტ ო ჩ უ მ ბ ა ძ ი ს ა

TRADUIT EN GÉORGIEN PAR ARISTO TCHOUMBADZÉ

გივი მელაძის საერთო რედაქციით

7—3—4

ნაწილი პირველი

I

1840 წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით დილის ექვს საათზე, წასასვლელად გამზადებული გემი „la Ville-de-Montereau“ სენ-ბერნარის სანაპიროზე იდგა და სქლად ბოლავდა.

ხალხი აქოშინებული მოდიოდა; კასრები, ხვეული გვარლები, საცვლების კალათები მოძრაობას უშლიდნენ; მატროსები არავის არ უპასუხებდნენ; ყველანი ერთმანეთს ეხლებოდნენ; ნაკრაულები დახვავებული იყო ორ ტამბურს შუა; ხალხის ხმაური ერთვოდა ორთქლის შიშინს, საკომური მილის ნახვრეტებიდან რომ გამოდიოდა, და თეთრად ეფინებოდა ყველაფერს, ზარი კი განუწყვეტლივ რეკდა გემზე.

ბოლოს გემი დაიძრა და ორი ნაპირი, რომლებზეც საწყობები, ვერფები და სახელოსნოები აეშენებინათ, თვალწინ ისე იშლებოდა, როგორც ორი ფართო ლენტი.

ერთი გრძელთმიანი ახალგაზრდა, ასე თვრამეტიოდე წლისა, იღლიაში რომ საქაღალდე ყდა ჰქონდა გაჩრილი, საჭის ახლოს იდგა უძრავად. იგი ბურუსში გაჰყურებდა სამრეკლოებს, შენობებს,

რომელთა სახელები არ იცოდა; მერმე უკანასკნელად მოავლო თვალი სენ-ლუის კუნძულს, ძველ ქალაქს, ღვთისმშობლის ტაძარს, და, როცა უეცრად პარიზი თვალთ მიეფარა, ერთი ღრმად ამოიოხრა.

ბატონი ფრედერიკ მორო, რომელმაც ის იყო ბაკალავრის ხარისხი მიიღო, სენის ნოჟანს მიდიოდა, სადაც მთელი ორი თვე უნდა გაეტარებინა, სანამ სამართლის შესასწავლად დაბრუნდებოდა. დედამ საჭირო თანხა მისცა და ჰავრს გაგზავნა ბიძის სანახავად, რომლისგანაც მემკვიდრეობის მიღებას მოელოდა. ფრედერიკი იქიდან მხოლოდ წინა დღით დაბრუნდა და, რადგან დედაქალაქში დარჩენა არ შეეძლო, ეს იმით აინაზღაურა, რომ შინ ყველაზე შორი გზით ბრუნდებოდა.

გემზე ფუსფუსი მინელდა; ყველამ თავისი ადგილი დაიკავა; ზოგი ფეხზე იდგა და მანქანასთან თბებოდა; საკომური კი ნელი და რიტმული ხრინწით ანთხევდა შავ კვამლს; გემის სპილენძის ნაწილებზე კვამლი ცვრებად სდიოდა; გემბანს მსუბუქი შინაგანი რხევა აძიგძიგებდა; სწრაფად მბრუნავი ორი ბორბალი შხეფებს ისროდა.

მდინარეს ქვიშიანი ნაპირები ჰქონდა; გზაში ხან ტივები ხვდებოდათ, რომლებიც გემის მოძრაობით გამოწვეულ ტალღებზე ქანაობდნენ, ხანაც უიალქნო ნავი, სადაც მოანკესე იჯდა; შემდეგ ზოზინა ბურუსი დაიცარა, გამოჩნდა მზე და გორაკი სენის მარჯვენა ნაპირზე ნელ-ნელა დადაბლდა, გაღმა კი, უფრო ახლოს, სხვა გორაკი გამოჩნდა.

გორაკი შემოსილი იყო ხეებით, რომელთა შორის მოჩანდა იტალიურად დახურული დაბალი სახლები. სახლების გარშემო ფერდობებზე გაშენებული იყო ბაღები, რომლებსაც ყოფდნენ ახალი ღობეები, რკინის რიკულები, გაზონები, სათბურები და ნემსიწვეერას ლარნაკები, სიმეტრიულად რომ იყო დალაგებული მოაჯირზე, სადაც შეიძლებოდა იდაყვებით დაყრდნობა. ამ ლამაზი, ესოდენ მყუდრო სავანეების არა ერთი მნახველი ინატრებდა: ნეტავ ყველაფერი ეს ჩემი იყოს, რომ იქ ვიცხოვრო სიკვდილამდე, თანაც მქონდეს კარგი ბილიარდი, ნავი, მყავდეს ცოლი ან სხვა საოცნებო ვინმეო. სიამოვნება, რასაც გემით პირველად მოგზაურნი განიცდიდნენ, შთაბეჭდილებათა გაზიარებას უწყობდა ხელს. გაბარებული ადამიანები უკვე ხუმრობდნენ, ბევრი მღეროდა. მხიარულობდნენ. ზოგიც ნუნუას მიჯდომოდა.

ფრედერიკი ფიქრობდა ოთახზე, რომელსაც იქ დაიქირაევებდა, დრამის გეგმაზე, სურათების სიუჟეტებზე, მომავალ გატაცებაზე. ეგონა, რომ ბედნიერება, რაც თავისი სულის სიდიადით დაემსახურებია, იგვიანებდა. გულში ინეორებდა მელანქოლიურ ლექსებს; ჩქარი ნაბიჯით სცემდა ბოლთას გემბანზე. მივიდა იქამდე, სადაც ზარს რეკდნენ, — და მგზავრთა და მატროსთა შორის დაინახა ერთი ვინმე, რომელიც ქათინაურებს ეუბნებოდა გლეხ ქალს და თანაც ხელში ატრიალებდა ოქროს ჯვარს, ქალს რომ გულზე ეკიდა. ეს იყო ხუმარა ვინმე, ასე ორმოციოდე წლისა, თმახუჭუჭა. მის ჯმუხ ტანს შვენოდა შემოკვალთული, შავი ხაევრდის ქურთუკი, ბატისტის პერანგზე უბრწყინავდა ორი ზურმუხტის საკინძე; ეცვა ფართო თეთრი შარვალი და რუსული ტყავის რაღაც უცნაური წითელი წაღები, ლურჯი ზოლები რომ დაჰყვებოდა.

ფრედერიკის იქ ყოფნას არ შეუწუხებია. რამდენჯერმე მისკენ მობრუნდა, ვითომ ლაპარაკიც დააპირა და თვალი ჩაუკრა. მერმე ყველა იქ მყოფს სიგარეტიც შესთავაზა. მაგრამ, ალბათ, ეს კომპანია არ მოეწონა, ადგა და უფრო მოშორებით დაჯდა. ფრედერიკი თან გაჰყვა.

საუბარი ჯერ სხვადასხვა ხარისხის თამბაქოზე გაიმართა, მერმე კი, ბუნებრივია, ქალებზე. წითელწაღებიანმა კაცმა ფრედერიკს რამდენიმე რჩევა მისცა; ჩამოაყალიბა სხვადასხვა თეორია, უამბო ანეკდოტები, დაიმოწმა საკუთარი გამოცდილება და ყოველივე ეს უთხრა მამაშვილური, თანაც სალაღობო გარყვნილების უბრალოებით.

რესპუბლიკელი იყო, ბევრი ემოგზაურნა, იცნობდა თეატრების, რესტორნების, გაზეთების ფარულ ცხოვრებას, ყველა განთქმულ არტისტს, რომელთაც ფამილარულად სახელით იხსენიებდა; ფრედერიკმა მალე თავისი გეგმები გაუმხილა; უცნობმა ისინი მოუწონა.

მაგრამ ლაპარაკი შეწყვიტა და თვალი გემის საკომურს მიაპყრო, მერმე სწრაფად წაიბუტბუტა რაღაც გაანგარიშება, რათა გაეგო „რამდენი გამოვიდოდა, თუ დგუში წუთში ამდენ და ამდენჯერ ავიდ-ჩავიდოდა“, ეს რომ გამოიანგარიშა, უეცრად გარემოს სილამაზით მოიხიბლა. ამბობდა, ბედნიერი ვარ, საქმეები რომ მივატოვეო.

ფრედერიკი ერთგვარ პატივისცემას გრძნობდა მისდამი და ძა-

ლიან სურდა შეეტყო მისი სახელი, უცნობმა ერთბაშად მიახალა:

— ჟაკ არნუ, „Art industriel"-ის პატრონი, მონმარტრის ბულვარი.

მსახური, რომელსაც სირმიანი ქუდი ეხურა, მასთან მივიდა და უთხრა:

— ძირს ჩაბრძანებას ხომ არ ინებებთ? ქალიშვილი ტირის.

ადგა და წავიდა.

„Art industriel" ნარევი დაწესებულება იყო, რომელიც შეიცავდა ფერწერის, გაზეთისა და სურათების სავაჭროს. ეს სახელწოდება ფედერიკს მრავალჯერ ენახა თავის მშობლიურ მხარეში წიგნის ვაჭრის უზარმაზარ რეკლამებზე, სადაც თვალსაჩინოდ იყო წარწერილი ამ დაწესებულების პატრონის სახელი და გვარი.

მზე საშუადღეოზე იყო ასული და აბრჭყვიალებდა ანძების რკინის სალტეებს, გემის ლითონის შემონაკერსა და წყლის ზედაპირს; გემის ცხვირით გაჭრილი ორი კვალი მინდვრებამდე გასდევდა. მდინარის ყოველ მოსახვევში თვალს წარმოუდგებოდა იმავე ალვის მწკრივები. მინდვრები მთლად ცარიელი იყო. ცაში გაჩერებულიყო პატარ-პატარა თეთრი ღრუბლები, და გარშემო გამეფებული მოწყენილობა თითქოს ანელებდა გემის სვლას და მგზავრებს უფრო ულიმლამოს ხდიდა.

რამდენიმე ბურჟუას გარდა, პირველი კლასით რომ მგზავრობდა, ესენი იყვნენ მუშები, მეჯუქნეები, მათი ცოლები და შვილები. რაკი იმ ხანებში ჩვეულად ჰქონდათ მგზავრობის დროს ცუდად ჩაეცვათ, ამიტომ თითქმის ყველას ძველი ბერძნული კუნჭულა ან გახუნებული ქუდი ეხურა, ტანთ ეცვა უბრალო, შავი სამოსი, კანტორის მაგიდებზე რომ იყო გახეხილი, ან სერთუკი, რომელიც მის პატრონს იმდენ ხანს ცმოდა დახლში, რომ ქსოვილი ღილებზე მთლად გაცვეთილიყო; აქა-იქ ზოგიერთს შალის ჟილეტში უჩანდა ყავის შხეფებით დაჩითული კალენკორის პერანგი; მომჩვარული ჰალსტუხები ქრიზოკალის ქინძისთავებით დაემაგრებინათ; ქსოვილის ფეხსაცმელებს პაჭანაკი იჭერდა. ორიოდე ვიგინდარა, ბამბუკის საბიჯგები რომ თასმებით ეკავათ, აქეთ-იქით იცქირებოდა, ოჯახის მამებს კი ფართოდ დაეჭყიტათ თვალები და ათასგვარ კითხვას იძლეოდნენ. ისინი ზეზე ან თავიანთ ბარგზე მჯდომნი საუბრობდნენ; ზოგი კუთხეში მიყუჟულიყო და ეძინა; ზოგი ჭამდა. გემბანი დანაგვიანებული იყო თხილის ნაჭუჭით, სიგარის ნამწვით,

მსხლის ნაფცქვენით, ძეხვის ნაკუდარით; სამი დურგალი ბუფეტის დახლთან იდგა; ჩამოფლეთილ-ჩამოწეწილი არფის დამკვრელი თავის საკრავზე დაყრდნობილი ისვენებდა; ხანდახან ისმოდა, როგორ ყრიდნენ ნახშირს საცეცხლეში, ისმოდა შეძახილი, სიცილი; კაპიტანი შეუჩერებლივ მიმოდიოდა ტამბურებს შუა. ფრედერიკმა თავის ადგილზე მისასვლელად ხელი ჰკრა პირველი კლასის შესასვლელს, რითაც ორი მონადირე და მათი ძაღლები შეაწუხა.

და თითქოს მოეჩვენაო:

ქალი შუაგულ სკამლოგინზე იჯდა მარტოდ; ყოველ შემთხვევაში, სხვა არავინ შეუნიშნავს, რადგან დააბრმავა მისი თვალების ციალმა. იმ დროს, როცა მან გაიარა, ქალმა თავი ასწია; ფრედერიკი უნებლიეთ დაიხარა და, როცა მოშორებით დაჯდა იმავე მხარეს სკამლოგინზე, ქალს დააცქერდა.

ქალს განიერი ჭილობის ქუდი ეხურა, რომელიც მორთული იყო ვარდისფერი ლენტით, ქარი რომ უფრიალებდა. დაბლა დაშვებული შავი თმა გრძელ წარბებს დასწოლოდა, თითქოს მის მოგრძო სახეს სიყვარულით ეალერსებაო. ღია ფერის მუსლინის წინწკლებიანი კაბა უხვად იყო დანაოჭებული. ქალი რაღაცის ქარგვას აპირებდა; მისი სწორი ცხვირი, ნიკაპი, მთელი მისი ტანი მკაფიოდ იხატებოდა ლურჯი ცის ფონზე.

რაკი ქალი უძრავად იჯდა იმავე ადგილზე, ფრედერიკმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა მის წინ, რათა დაეფარა თავისი განზრახვა; მერმე შედგა მისი ქოლგის ახლოს, სკამლოგინზე რომ იყო მიყუდებული, და თავი ისე მოაჩვენა, ვითომ მდინარეში მიმავალ ნავს უცქეროდა.

არასოდეს არ ენახა ასეთი მიმზიდველი შავგვრემანი სახე, ასეთი მომხიბვლელი ტანი, ესოდენ ჩამოქნილი თითები, მზეზე რომ ილანდებოდნენ. ისეთი განცვიფრებული უცქეროდა მის ხელსაქნარის კალათას, თითქოს არაჩვეულებრივ რამეს ხედავსო. ნეტავ ვინ არის, რა ჰქვია, სად ან როგორ ცხოვრობს, როგორია მისი წარსული? სურდა ენახა მისი ოთახის მორთულობა, ყველა მისი კაბა, რომლებიც უტარებია, ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა აქვს; და მისი ფიზიკურად დაუფლების სურვილიც კი ნელდებოდა უფრო ღრმა, უფრო მტანჯველი ცნობისმოყვარეობის წინაშე, რომელსაც საზღვარი არ უჩანდა.

ამ დროს მოვიდა თავსაფრიანი ზანგი ქალი და მოიყვანა ხელ-

ჩაკიდებული კარგა მოზრდილი გოგონა. ბავშვს ის იყო გაღვიძებოდა და მთლად ცრემლად იღვრებოდა. გადიამ გოგონა მუხლზე დაისვა და თქვა: „ქალიშვილი ცუდად იქცევა, თუმცა მალე შვიდი წლისა გახდება; დედას აღარ ეყვარება; ძალიან ხშირად აპატიებენ ხოლმე ჭირვეულობას“. ფრედერიკი სიხარულით უსმენდა ამას, თითქოს რაღაც აღმოაჩინა, რაიმე შეიძინაო.

იქნებ ეს ქალი ანდალუზიელია ან კრეოლია და კუნძულებიდან თან მოიყვანა ეს ზანგი?

ქალის ზურგს უკან გემის სპილენძის შემონაკერზე იდო გრძელი, ლურჯზოლიანი შალი. ალბათ, ზღვაში სეირნობის დროს ნესტიან საღამოებში იგი არაერთხელ გახვეულა ამ შალში, მუხლებზე დაუფარებია, ან ძილის დროს დაუხურავს! მაგრამ ფოჩი ძირს ეწეოდა შალს, იგი მიცურავდა, აი აგერ მდინარეში ჩავარდებაო; ფრედერიკი მივარდა და ხელი სტაცა. ქალმა უთხრა:

— გმადლობთ, ბატონო.

ერთმანეთს თვალი გაუსწორეს.

— გეთაყვა, მზადა ხარ? — კიბიდან მოაძახა ქმარმა, ბ-ნმა არნუმ.

გოგონა გაიქცა, კისერზე ჩამოეკიდა მამას და ულვაშის წიწკნა დაუწყო.

გაისმა ჩანგის ხმა და გოგონას მოუნდა დამკვრელის დანახვა, მალე ზანგმა ქალმა დამკვრელი პირველი კლასის გემბანზე ამოიყვანა. არნუმ უმალვე იცნო ძველი მემოდელე და შენობით დაუწყო ლაპარაკი, რამაც დამსწრენი გააკვირვა. ბოლოს არფისტმა თავისი გრძელი თმა უკან გადაიყარა, ხელები გაშალა და დაუკრა.

ეს იყო აღმოსავლური რომანსი, სადაც ნახსენები იყო სატევარი, ყვავილები და ვარსკვლავები. ჩამოგლეჯილი დამკვრელი მწივანა ხმით მღეროდა; გემის მანქანების ხმაური მელოდიაში იჭრებოდა და ურევდა; დამკვრელი უფრო ძლიერ ურტყამდა თითებს სიმებს, ისინიც ისე ყღერდნენ, გეგონებოდა, ამაყ, მაგრამ დამარცხებულ სიყვარულზე მოთქვამენ და ნაღვლობენო. ორივე ნაპირზე გადაჭიმული ტყეები მდინარემდე ეშვებოდნენ; უბერავდა გრილი ნიავი. ქ-ნი არნუ ჩაფიქრებული გასცქეროდა სივრცეს. როცა მუსიკა შეწყდა, მან თვალები აახამხამა, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო.

დამკვრელი გაუბედავად მივიდა მათთან, სანამ არნუ ხურდა

ფულს ეძებდა, ფრედერიკმა ხელი გაიწოდა ქუდისაკენ, დამკვრელს რომ ეპირა, მორცხვად გაშალა მუჭი და შიგ ერთი ლუიდორი ჩაგდო. პატივმოყვარეობას როდი გამოუწვევია ასეთი მოწყალება ქალის წინაშე, არამედ მოწიწების გრძნობას, გულის სასოებრივ სწრაფვას, რასაც ის ქალიც აზიარა.

არნუმ წინ გაატარა იგი და გულითადად სთხოვა, ძირს ჩავიდეთო. ფრედერიკმა მიუგო, ეს არის ახლა ვისაუზმეო; პირიქით, შიმშილით კვდებოდა; ქისაში კი ერთი სანტიმიც აღარ მოეძებნებოდა.

თუმცა იქვე მოისაზრა, უფლება მაქვს, ისე, როგორც სხვებს, კაიუტაში ვიყოო.

მრგვალ მაგიდებს ბურჟუები უსხდნენ და საუზმეს შეექცეოდნენ; მათ შორის ლაქია დაფუსფუსებდა. ცოლ-ქმარი არნუ მოშორებით დაჯდა, მარჯვნივ; ფრედერიკი ხავერდის გრძელ დივანზე მოთავსდა, საიდანაც, სანამ დაჯდებოდა, გაზეთი აიღო.

მონტეროში შალონის დილიჟანსში უნდა გადამსხდარიყვნენ. მათი მოგზაურობა შვეიცარიაში ერთ თვეს გაგრძელდებოდა. ქ-მა არნუმ ქმარს უსაყვედურა, ბავშვს ძლიერ ანებივრებო. მან კი ცოლს ყურში რაღაც წასჩურჩულა, უთუოდ ქათინაური რამ, იმიტომ, რომ ქალს გაეღიმა. მერმე ადგა და ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა მის ზურგს უკან.

დაბალი და მთლად თეთრი ჭერი სინათლეს მკვეთრად ირეკლავდა. ფრედერიკი, რომელიც ქალის პირდაპირ იჯდა, მისი წამწამების ჩრდილს ამჩნევდა. ქალი ჭიქაში ოდნავ ისველებდა ტუჩს, თითებში ანამცეცებდა პურს; ფირუზის მედალიონი, ოქროს ძეწკვით რომ იყო მიბმული მის სამაჯურზე, დროდადრო თეფშს ეხლებოდა და წკარუნებდა. ისინი, ვინც მის გაშემო იყვნენ, თითქოს მას ვერ ამჩნევდნენ.

ზოგჯერ სარკმლებში მოჩანდა გემთან მომავალი ნავი, მგზავრები რომ მოეყვანა ან წაეყვანა. სუფრაზე მსხდომნი დაიხრებოდნენ ხოლმე სარკმლებისაკენ და მიდამოების სახელებს ამბობდნენ.

არნუ სამზარეულოს უჩიოდა: ანგარიშმა ძლიერ აღაშფოთა და მისი შემცირება მოითხოვა; შემდეგ ახალგაზრდა გემის ქიმზე წაიყვანა გროგის დასალევად; მაგრამ ფრედერიკი მალე დაბრუნდა ტენტისქვეშ, სადაც ქ-ნი არნუ კვლავ მოვიდა. იგი რაღაც რუხყდიან თხელ წიგნს კითხულობდა. ზოგჯერ ტუჩის კუთხეები აეზიდებოდა და სახეზე სიამის შუქი დაეფინებოდა. ფრედერიკს შურდა იმისი,

ვინც შეთხზა ყველაფერი ეს, რაც ქალს აინტერესებდა. რაც უფრო მეტად მოსწონდა იგი, მით უფრო ძლიერ გრძნობდა, რომ მათს შორის უფსკრული ითხრებოდა. იგი ფიქრობდა, რომ აი ახლა სრულიად განშორდება მას ისე, რომ ერთ სიტყვასაც ვერ ეღირსება მისგან და მოგონებაც კი არ დარჩება თავისი.

მარჯვნივ ვაკე იშლებოდა; მარცხნივ საძოვარი გადაჭიმულიყო ბორცვამდე, სადაც მოჩანდა ვენახები, თხილნარი, მთლად მწვანეში ჩაფლული წისქვილი, უფრო შორს კი ბილიკი მიიკლაკნებოდა თეთრ კლდეზე, ცას რომ ებჯინებოდა. რა ბედნიერება იქნება წელზე ხელი მოჰხვიო და ისე ახვიდე იმ ბორცვზე: მისი კაბა გაყვითლებულ ფოთლებს მიხვეტავს, გესმის მისი ხმა, ხედავ მის ეუეუნა თვალებს! გემი შეიძლებოდა შეჩერებულიყო და ისინიც ნაპირზე გადავიდოდნენ; ოღონდ ესოდენ უბრალო რომ უფრო ძნელი ასასრულებელი იყო, ვიდრე მზის შებრუნება.

ცოტა უფრო შორს გამოჩნდა წოწოლასახურავიანი ციხედარბაზი, ოთხკუთხა კოშკები რომ ჰქონდა. ციხედარბაზის წინ ყვავილნარი იყო, პარკში კი ცაცხვის ხეივნებს მაღალი, დაჩრდილულთ თაღები შეეკრათ. ფრედერიკმა წარმოიდგინა, რომ აი ქ-ნი არნუ იმ ცოცხალი ღობის გაყოლებით მისეირნობს... ამ დროს ერთი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გამოვიდა წინკარში, სადაც ცოცხალნარინჯებიანი ყუთები იდგა. მერმე ყველაფერი გაქრა.

გოგონა ფრედერიკის ახლოს თამაშობდა; უნდოდა ეკოცნა მისთვის, მაგრამ ბავშვი გაუქცა და ძიძას ზურგს ამოეფარა. დედამ ბავშვი დატუქსა, თავაზიანად არ ეპყრობი ბატონს, რომელმაც შალი გადაგვირჩინაო. ეს ხომ გამოლაპარაკების ფარული ნებართვა არ იყო?

„იქნებ ბოლოს დამელაპარაკოს?“ — ეკითხებოდა თავის თავს. დრო იწურებოდა, როგორ მოახერხოს, რომ არნუმ დაპატიჟოს? უკეთესი ვერა მოიგონა რა, რომ მისი ყურადღება შემოდგომის ფერებისათვის მიექცია და თან დასძინა:

— აი, მალე დაიწყება ზამთარი, ბალებისა და ნადიმობის სეზონი!

არნუ მთელ ყურადღებას თავის ბარგს აქცევდა. აი გამოჩნდა მდინარე სიურვილის ნაპირი, ახლოვდებოდა ორი ხიდი, გაიარეს მავთულის ქარხანა, შემდეგ მთელი წყება დაბალი სახლისა; ქვემოთ მოჩანდა კუპრიანი კასრები, ეყარა ნაფოტი, სილაზე კი ბავშვები

გორაობდნენ. ფრედერიკმა იცნო ერთი ჟილეტიანი კაცი და მიაძახა:

— იჩქარე!

ნაპირს მიადგნენ. ბრბოში ძლივს მოძებნა არნუები, ქმარმა მაგრად ჩამოართვა ხელი:

— კარგად გნახე, ძვირფასო ბატონო!

სანაპიროზე რომ გავიდა, ფრედერიკმა უკან მოიხედა. ქ-ნი არნუ საჭესთან იდგა. ვაჟმა თვალი მიაპყრო, რომელშიც სცადა მთელი სული და გული გაეხვია; თითქოს აქ არაფერიაო, ქალი არ განძრეულა. შემდეგ ფრედერიკი მსახურს მიუბრუნდა, არც კი მისალმებია, ისე დაუყვირა:

— ეტლი რატომ აქ არ მოიყვანე?

კაცმა ბოდიში მოიხადა.

— რა უთაური ვინმე ხარ! ფული გექნება, მოიტა!

და სამიკიტნოში წავიდა საჭმელად.

თხუთმეტი წუთის შემდეგ თითქოს უნებლიეთ შეავიდა დილიჟანსების სადგომში. იქნებ იქ კვლავ დავინახოო.

„ან კი რა საჭიროა?“ — თავისთვის ჩაილაპარაკა.

და ამერიკული ეტლით გზას გაუდგა, ორივე ცხენი დედისა როდი იყო. მეორე, ბ-ნ შამბრიონისაგან, გადასახადთა ამკრეფისაგან ეთხოვებია. ისიდორე გუშინ წამოსულიყო, საღამომდე ბრეში დაესვენებია, ღამე მონტეროში გაეთია, ასე რომ დასვენებული ცხენები ხალისიანად მიდიოდნენ. გარშემო მომკილი ყანები გადაჭიმულიყო უსასრულოდ. გზის ორივე მხარეზე ხეები იყო ჩარგული, რიყის ქვა გროვად ეყარა ზედიზედ; და ნელ-ნელა მთელი მგზავრობა — ვილნეე-სენ-ჟორჟი, აბლონი, შატეიონი, კორბეი და სხვა ადგილები წარმოუდგა თვალწინ ისე ნათლად, რომ ახლა გაარჩია ახალი დეტალები, ქ-ნი არნუს უფრო ინტიმური წვრილმანები. კაბის ქვემო ფურჩალებში მოუჩანდა ფეხი, რომელზეც მიხაკისფერი აბრეშუმის ვიწრო ფეხსაცმელი ეცვა; ტილოს ჩარდახი ისე გაჰფენოდა თავზე, ვით ფართო კამარა, რომლის არშიის წითელ ბუჩუჩებს ნიავი არხევდა განუწყვეტლივ.

იგი რომანტიკულ წიგნებში გამოყვანილ ქალებს ჰგავდა; ვერაფერს ვერ მიუმატებდა და ვერც გამოაკლებდა მის პიროვნებას. მსოფლიო უეცრად გაფართოვდა. იგი ის შუქმფენი წერტილი იყო, სადაც ყველაფერი გაერთიანდა; — და ეტლის მოძრაობით ანანა-

ვებულმა ფრედერიკმა მოხუჭული თვალები ღრუბლებს მიაპყრო და მთელი არსებით საოცნებო და უსაზღვრო სიხარულს მიეცა.

ბრეში იგი არ დაელოდა, სანამ ცხენებს საკვებს მისცემდნენ, და მარტო წავიდა ფეხით წინ. არნუმ იმ ქალს „მარი“ უწოდა! ფრედერიკმა ხმამაღლა დაიყვირა: „მარი!“ — მისი ხმა ჰაერში დაიკარგა.

ციცკიდური დასავლეთით ფართოდ ლაპლაპებდა. მომკილ ყანებში აღმართული ჭვავის დიდრონი ბულულები უზარმაზარ ჩრდილს აყენებდნენ. სადღაც, შორეულ სოფელში ძაღლი აყეფდა. ფრედერიკი შეკრთა, უმიზეზო ნაღველმა შეიპყრო.

როცა ისიდორე დაეწია, ფრედერიკი კოფოზე დაჯდა და სადავეები გამოართვა. მღელვარებამ გაუარა. მტკიცედ გადაწყვიტა შესულიყო არნუების ოჯახში და უფრო ახლოს გასცნობოდა. მათი ოჯახი, ალბათ, მხიარულია, თანაც თვით არნუც მოეწონა; ჰოდა, მერმე ვინ იცის? მაშინ სისხლი აუვარდა თავში; საფეთქლებში ცემა დაუწყო; შოლტი დაიქნია, სადავეები მოსწია და ცხენები ისე გაჭენდნენ, რომ მოხუცი მეეტლე წამდაუწუმ იმეორებდა:

— ნელა! ნელა-მეთქი! ქანცი არ გაუწყვიტო.

ფრედერიკი ნელ-ნელა დაწყნარდა და ყური მიუგდო. რასაც მსახური ეუბნებოდა:

— მოუთმენლად გელოდებიან. მ-ზელ ლუიზა კიდევაც ატირდა, რომ ეტლით არ წამოვიყვანე.

— მ-ზელ ლუიზა ვინაა?

— ბ-ნ როკის პატარა, განა არ იცი?

— ჰო, დამავიწყდა! — უდარდელად მიუგო ფრედერიკმა.

ამასობაში ცხენებს არაქათი გამოელიათ. უკვე კოჭლობდა ერთიც და მეორეც. წმ. ლორანის სამრეკლოზე ცხრა საათისა დაირეკა, როცა იარაღის მოედანზე მივიდნენ, სადაც დედამისის სახლი იყო. ეს დიდი სახლი, ბაღში რომ იყო ჩაფლული, მეტ ღირსებას ანიჭებდა ქ-ნ მოროს, რომელიც ამ მხარეში ყველაზე პატივცემული პიროვნება იყო.

იგი ძველისძველი, ახლა დაკნინებული აზნაურული გვარისა იყო. მისი ქმარი, ერთი მდაბიო ვინმე, ვისაც მშობლებმა მიათხოვეს, ორთა ბრძოლაში დაიღუპა, როცა ცოლი ფეხმძიმედ იყო, და გაპარტახებული მამული დაუტოვა. ქ-ნი მორო კვირაში სამჯერ იღებდა სტუმრებს და ხანგამოშვებით მშვენიერ წვეულებას მარ-

თავდა, მაგრამ სანთლის რაოდენობა წინდაწინვე იყო გამოთვლილი, საიჯარო გადასახადს კი მოუთმენლად ელოდა ხოლმე. ეს ხელმოკლეობა, რასაც ისე მალავდა, როგორც რაიმე მანკს, სერიოზულობას ანიჭებდა. მის სათნოებას არ ახლდა ფარისევლობა, სიავე. მისი თვით უმცირესი მოწყალება უდიდეს სიკეთედ მიაჩნდათ. მსახურის დაქირავების დროსაც კი რჩევას მას ეკითხებოდნენ ხოლმე. მისი მითითებით ზრდიდნენ ახალგაზრდა ქალიშვილებს, იძენდნენ მურაბის მოხარშვის ოსტატობას, და ყოვლად სამღვდელო არქიელი მისას ჩამოხდებოდა ხოლმე ეპარქიის შემოვლისას.

ქ-ნი მორო დიდ პატივმოყვარულ იმედს ამყარებდა თავის ვაჟიშვილზე. არ მოსწონდა, როცა მასთან მთავრობას აძაგებდნენ და თითქოს წინასწარ იღებდა საამისო ღონისძიებას. ჯერხანად ფრედერიკს მფარველობა დასჭირდებოდა, შემდეგ კი თავისი ნიჭის წყალობით გახდებოდა სახელმწიფო მრჩეველი, ელჩი, მინისტრი. ფრედერიკის წარმატება სანსის კოლეჯში ამ სიამაყის საფუძველს აძლევდა: იქ პირველი ჯილდო მიიღო.

როცა ფრედერიკი სასტუმრო ოთახში შევიდა, ყველანი დიდი ხმაურით წამოდგნენ, გადაეხვივნენ და ბუხართან რკალურად დადგეს სკამები და სავარძლები. ბ-ნმა გამბლენმა იმწამსვე ჰკითხა აზრი მადამ ლაფარეზე. ამ გახმიანებულმა პროცესმა მყის გამოიწვია ცხარე კამათი, თუმცა ბ-ნმა მორომ, ბ-ნ გამბლენის სამწუხაროდ, მაშინვე შეწყვიტა იგი; ამ ბატონს კი სასარგებლოდ მიაჩნდა ასეთი კამათი ახალგაზრდა კაცისათვის, მომავალი იურისკონსულტისათვის, და ამიტომ იწყინა და სალონიდან გავიდა.

საკვირველიც არაფერი იყო, რადგან ბ-ნი გამბლენი ძია როკის მეგობარი იყო. ძია როკის ხსენებაზე, სიტყვა ჩამოვარდა ბ-ნ დამბრეზზე, რომელმაც ის იყო შეიძინა ლა ფორტელის მამული. მაგრამ გადასახადთა ამკრეფმა განზე გაიხმო ფრედერიკი, რაკი აინტერესებდა მისი აზრი ბ-ნ გიზოს უკანასკნელ ნაშრომზე. ყველას სურდა გაეგო, თუ როგორი იყო ფრედერიკის საქმეები და ქ-ნმა ბენუამაც მოხერხებულად დაუწყო გამოკითხვა, როგორ არის ბიძაშენი. ამ ბოლო დროს მისი აღარაფერი ისმის, იმას ხომ ამერიკაში შორეული ბიძაშვილები ჰყავსო?

მზარეულმა განაცხადა, ბ-ნ ფრედერიკის საჭმელი მზად არისო. სტუმრები მოკრძალების გამო წავიდნენ. მერმე, როცა დედა და შვილი მარტო დარჩნენ, დედამ წყნარად ჰკითხა:

— ჰო, როგორაა საქმე?

მოხუცმა მეტად გულითადად მიმიღო, მაგრამ თავისი განზრახვა არ გაუმხელიაო.

ქ-მა მორომ ამოიოხრა.

„ნეტავ ახლა სად არის ᲘᲒᲘ? — ფიქრობდა ფრედერიკი. — დილიჟანსი მიექანება, იგი კი, შალში გახვეული, მშვენიერი თავით ეტლის რბილ სარჩულს მიყრდნობია და თვლემს!“.

როცა საწოლ ოთახებში ადიოდნენ, „გედის თანავარსკვლავედის“ სასტუმროდან ბიჭმა ბარათი მოიტანა.

— რა ამბავია?

— დელორიე მთხოვს, მნახეო, — მიუგო ფრედერიკმა.

— აჰ! შენი ამხანაგი! — ზიზღით ჩაიცინა ქ-მა მორომ.

— ნახა რაღა დრო!

ფრედერიკი ყოყმანობდა. მაგრამ მეგობრობამ გადაძლია. ქუდი აიღო.

— არ დაიგვიანო მაინც, — უთხრა დედამ.

II

შარლ დელორიეს მამა, ქვეითი ჯარის კაპიტანი, 1818 წელს სამსახურიდან გადადგა, ნოჟანს დაბრუნდა, ცოლი შეირთო და მისი მზითევით სასამართლოს ბოქაულის თანამდებობა იყიდა, რაც ძლივს არჩენდა. უსამართლობით გაბოროტებული, ძველი ჭრილობებით შეწუხებული, იმპერატორზე ნაღვლობდა და ჯავრს გარშემო ვყოფებზე იყრიდა. ალბათ, ბევრ ბავშვს არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც მის ვაჟიშვილს. მიუხედავად ცემისა, ბიჭი თავისას არ იშლიდა. თუ დედა შვილს გამოექომაგებოდა, მასაც ისევე უკმეხად მოეპყრობოდა, როგორც ბიჭს. ბოლოს კაპიტანმა იგი თავის სამუშაო ოთახში დასვა და მთელ დღეს მერხზე დახრილი ბავშვი იძულებული იყო მამის ქაღალდები გადაეწერა ხოლმე, რის გამოც მარჯვენა ᲮᲔᲮᲐᲠᲘ შესამჩნევად გამოეწია წინ.

1833 წელს, სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით, კაპიტანმა ხელობა გაყიდა. ცოლი კიბოთი გარდაეცვალა. საცხოვრებლად დიჟონს გადავიდა, მერმე ტრუაში მოლაშქრეთა შემგროვებლად მოეწყო; შვილს ნახევარი სტიპენდია უშოვნა და სასნის კო-

ლეჟში მისცა, სადაც ბავშვი ფრედერიკს გაეცნო. მაგრამ ერთი თორმეტი წლისა იყო, მეორე კი — თხუთმეტისა; თანაც ხასიათისა და წარმოშობის დიდი სხვაობა აშორებდა მათ.

ფრედერიკს კომოდში მუდამ ჰქონდა სხვადასხვანაირი ნუგბარი, აგრეთვე იშვიათი რამ ნივთები, მაგალითად, საპირფარეშო მოწყობილობა. უყვარდა დილით დიდხანს ძილი, მერცხლების ნავარდის ყურება, დრამატულ ნაწარმოებთა კითხვა, სინანულით იგონებდა შინ ცხოვრებას და კოლეჟი მოსაწყენი ეჩვენებოდა.

სასამართლოს ბოქაულის შვილს კი ეს ცხოვრება კარგი ეჩვენებოდა. იგი ისე კარგად მუშაობდა, რომ მეორე წლის ბოლოს მესამე კლასში გადავიდა. გარნა სიღარიბისა თუ თავისი ჭირვეულობის გამო ყველანი მტრულად ეპყრობოდნენ. და აი ერთხელ, როცა ეზო სავსე იყო შუალა კლასების მოსწავლეებით და ერთმა მოსამსახურემ ღატაკი უწოდა, დელორიე ყელში ეცა მას და უთუოდ დაახრჩობდა. რომ სამი მეთვალყურე არ მიშველებოდა. აღფრთოვანებული ფრედერიკი მივარდა და გადაეხვია. ამ დღიდან მათი მეგობრობა სრული იყო. უფროსის მხარდაჭერამ უთუოდ დააკმაყოფილა უმცროსის პატივმოყვარეობა, უფროსი კი ბედნიერი იყო, რომ ასეთი მეგობარი მოიპოვა.

არდადეგების დროს მამა კოლეჟში ტოვებდა ხოლმე. პლატონის თარგმანმა, რომელიც დელორიემ შემთხვევით ნახა, იგი აღაფრთოვანა. მაშინ იგი გაიტაცა მეტაფიზიკამ და მალე დიდ წარმატებასაც მიაღწია, რადგან სწავლას შეუდგა აბალგაზრდული ძალღონეთ და გაღვიძებული შეგნების სიამაყით აღსავსე; ჟუფრუა, კუზენი, ლაროშიგიერი, მალბრანში, შოტლანდიელები, ყველაფერი, რაც კი ბიბლიოთეკაში მოიპოვება, სულ წაიკითხა. იძულებული შეიქნა გასაღები მოეპარა, რომ წიგნები ეშოვნა.

ფრედერიკის გატაცება კი ნაკლებ სერიოზული იყო. სამი მეფის ქუჩაზე მან გადმოხატა ქრისტეს გენეალოგია, ერთ-ერთ სვეტზე რომ იყო ამოვრილი, შემდეგ ტაძრის პორტალი. შუა საუკუნეთა დრამების შემდეგ გადაიკითხა ფროუასარის, კომინის, პიერ დე ლეტუალის, ბრანტომის მემუარები.

სახეები, რომლებსაც ეს კითხვა მის გონებაში იწვევდა, ისე ძლიერ დაეუფლნენ, რომ საჭიროდ მიაჩნდა მათი რეპროდუქცია. ოცნებობდა, ერთხელაც იქნება საფრანგეთის ვალტერ სკოტი გავხ-

დებიო. დელორიე კი ფიქრობდა შეექმნა ვრცელი ფილოსოფიური სისტემა, რასაც მეტად ფართოდ გამოიყენებდნენ.

ყოველივე ამაზე ისინი საუბრობდნენ შესვენების დროს, ეზოში, იმ ზნეობრივი წარწერის წინ, საათის ქვეშ რომ იყო გამოყვანილი; ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ კაპელაში წმიდა ლუის ხატის წინ; ამაზევე ოცნებობდნენ საწოლ ოთახში, რომელიც სასაფლაოს გადაჰყურებდა. იმ დღეებში, როცა სასეირნოდ წაიყვანდნენ ხოლმე, ყველაზე უკან დადგებოდნენ და განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ.

ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რას იზამდნენ, როცა კოლეჯს დაამთავრებდნენ. თავდაპირველად მოაწყობდნენ დიდ მოგზაურობას იმ ფულით, რომელსაც ფრედერიკი თავისი ქონებიდან მიიღებდა, როცა სრულწლოვანი გახდებოდა. შემდეგ პარიზს დაუბრუნდებოდნენ, ერთად იმუშავებდნენ, ერთმანეთს არასოდეს არ დაშორდებოდნენ; — და შრომით მოქანცულნი დაისვენებდნენ პრინცესების სიყვარულით ატლასის ბუდუარებში ან გაერთობოდნენ თავაწყვეტილი ქეიფით სახელგანთქმულ კურტიზანებთან. აღფრთოვანებულ იმედს ეპვები ენაცვლებოდა. მხიარული საუბრის შემდეგ გაუტეხელი დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე.

ზაფხულში საღამოობით უყვარდათ დიდხანს ხეტიალი ქვიან გზებზე ვენახების ნაპირ-ნაპირ, ან ყანების დიდ გზაზე, სადაც, მზით გაშუქებულნი ლივლივებდნენ პურის მწიფე თავთავები, იდგა ღიჭმანჭელას სუნი, ხოლო როცა დაიღლებოდნენ, გულღმა დაწვებოდნენ, მთვრალნი, გაბრუებულნი. სხვები კი ჟილეტის ამარა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სირბილში ან ქაღალდის სათამაშო გველებს უშვებდნენ. მეთვალყურე დაუძახებდათ. პატარა ნაკადულებით დასერილი ბაღების გაყოლებით, შემდეგ კი ძველი კედლებით დაჩრდილული ბულვარებით შინ ბრუნდებოდნენ; უკაცრიელ ქუჩებში მკაფიოდ გაისმოდა მათი ფეხის ხმა, გაიღებოდა პატარა ჭიშკარი, ყველა ადიოდა კიბეზე და ერთბაშად დაეუფლებოდათ მოწყენილობა, როგორც დიდი ქეიფის შემდეგ.

ბ-ნი ინსპექტორი ამტკიცებდა, ეგენი ერთმანეთით აღტაცებულნი არიანო. ხოლო თუ უფროს კლასებში ფრედერიკი მეცადინეობდა, ეს მისი ამხანაგის ხვეწნით იყო; 1837 წლის არდადეგებზე ფრედერიკმა დელორიე თავის დედასთან წაიყვანა.

ახალგაზრდა კაცი ქ-ნ მოროს არ მოეწონა. არაჩვეულებრივად

ბევრს ჰამდა, უარყო კვირას წირვაზე წასვლა, რესპუბლიკელივით მსჯელობდა; ბოლოს ისიც გაიგო, რომ მისი შვილი უკადრის ადგილებში დაჰყავდა. მათ თვალყურს ადევნებდნენ. ამის გამო ერთმანეთი უფრო შეუყვარდათ, და, როცა ერთი წლის შემდეგ დელორიემ კოლეჯი დატოვა, რათა პარიზს სამართლის შესასწავლად წასულიყო, გამოთხოვება გაუძნელდათ.

ფრედერიკს დიდი იმედი ჰქონდა, იქ შეეხვდებიო. ორ წელიწადს არ ენახათ ერთმანეთი; როცა ხვევნა-კოცნა გაათავეს, ხიდებზე წავიდნენ, რათა გულიანად ელაპარაკნათ.

კაპიტანი, რომელსაც ახლა ვილნოქსში საბილიარდო ჰქონდა გამართული, გაბრაზდა, როცა შვილმა მეურვეობის ანგარიში მოსთხოვა, და დახმარებაზედაც ცივი უარი უთხრა. მაგრამ რაკი დელორიე ფიქრობდა კონკურსით სკოლის მასწავლებლის ადგილი მიეღო, ფული კი არა ჰქონდა, დათანხმდა ტრუაში ადვოკატის უფროსი კლერკი გამხდარიყო. აპირებდა დიდი მომჭირნეობით შეეგროვებინა ოთხი ათასი ფრანკი და, დედის მემკვიდრეობიდან რომ კიდევაც არაფერი მიეღო, სახსარი მაინც ექნებოდა, ადგილის მიღების მოლოდინში დამშვიდებულად ეცხოვრა სამიოდე წელს. მაშასადამე, საჭირო იყო უარი ეთქვათ, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად, თავიანთ ძველ გეგმაზე — ერთად ეცხოვრათ პარიზში.

ფრედერიკმა თავი ჩაღუნა. ეს იყო პირველი დაღუპული ოცნება.

— გულს ნუ გაიტეხ, — უთხრა კაპიტნის შვილმა, სიცოცხლე გრძელია; ჩვენ ახალგაზრდები ვართ. მეც იქ მოვალ! ფიქრი ნუ გაქვს!

ხელები ჩასჭიდა და შეანჯღრია, მწუხარების გასაქარვებლად მგზავრობაზე ჩამოუგდო ლაპარაკი.

ფრედერიკს სათქმელი ბევრი არა ჰქონდა რა. მაგრამ ქ-ნ არნუს გახსენებამ ჭმუნვა გაუქარვა. მასზე არ ულაპარაკნია, მოკრძალება ნებას არ აძლევდა. სამაგიეროდ, სიტყვა განავრცო ბ-ნ არნუზე: რა უთხრა, რა მანერა, რა ურთიერთობა ჰქონდა; დელორიემ მტკიცედ ურჩია მაგ ნაცნობობას ნუ გაწყვეტო.

ფრედერიკს ამ ბოლო დროს არაფერი არ დაუწერია; ლიტერატურული შეხედულებანი შეეცვალა; ყველაზე უფრო ვნებას აფასებდა; ვერტერი, რენე, ფრანკი, ლაბა, ლელია და სხვა ნაკლებ შესანიშნავი გმირებიც თითქმის თანაბრად აღაფრთოვანებდნენ. ხან-

დახან ეგონა მხოლოდ მუსიკას შეუძლია გამოხატოს ჩემი შინაგანი მღელვარებაო; მაშინ სიმფონიებზე ოცნებობდა; ანდა საგანთა ზედაპირი გაიტაცებდა და მაშინ ხატვა სურდა; თუმცა ლექსებსაც თხზავდა ხოლმე. დელორიეს ისინი ძლიერ მოსწონდა, მაგრამ არასოდეს არ უთხოვია, კიდევ წამიკითხეო.

თვითონ დელორიეს მეტაფიზიკა აღარ იტაცებდა. უკვე სოციალური ეკონომია და საფრანგეთის რევოლუცია აინტერესებდა. ახლა ეს იყო ერთი ვინმე აყლაყუდა, ოცდაორი წლისა, ხმელ-ხმელი, ტუჩა, შესახედავად გაბედული. ეცვა ლუსტრინის უხეირო პალტო, ფეხსაცმელი კი მტვრით ჰქონდა გათეთრებული, რადგან ვილნოქსიდან ფეხით მოვიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ფრედერიკი ენახა.

მათთან ისიდორე მივიდა. ქ-ნი მორო სთხოვდა ფრედერიკს, დაბრუნდიო და, რომ არ გაციებულიყო, მოსასხამს უგზავნიდა.

— მოიცა რაღა! — უთხრა დელორიემ.

და ისინი განაგრძობდნენ სეირნობას ორივე ხიდზე ვიწრო კუნძულამდე, არხი და მდინარე რომ ქმნის.

როცა ნოჟანისაკენ წავიდოდნენ ხოლმე, მათ წინ გამოჩნდებოდა ფერდობზე შეფენილი ერთი წყება სახლები; მარჯვნივ, შლუზებდახურული სახერხი ქარხნების იქით, მოჩანდა ეკლესია, მარცხნივ კი, მდინარის გაყოლებით, გადაჭიმული იყო ცოცხალი ღობით დაცული ბაღები, რომლებიც ძლივს განირჩეოდა. ხოლო პარიზისაკენ შარა-გზა პირდაპირ იყო გაჭიმული და მინდვრები ღამის ბურუსში იკარგებოდნენ შორს. წყნარი ღამე თეთრად ილანდებოდა. სველი ფოთლების სუნი სცემდათ; ასიოდე ნაბიჯზე მდინარე ისე ნაზად დუდუნებდა, როგორც ტალღებმა იციან ხოლმე ღამის წყვდიადში.

დელორიე შეჩერდა და თქვა:

— მშვიდად ცხინავთ კეთილ ადამიანებს, სასაცილოა! მოიცა! შზადდება ახალი 89 წელი! დაგვღალეს ამ კონსტიტუციებმა, ქარტიებმა, პირფერობამ, ტყუილებმა! აჰ, ერთი გაზეთი ან ტრიბუნა რომ მქონდეს, როგორ ავაზანზარებდი ყოველივე ამას! მაგრამ რაიმეს წამოსაწყებად საჭიროა ფული! რა უბედურებაა იყო მიკიტნის ბიჭი და ახალგაზრდობა ლუკმაპურის შოვნაში გაგეპაროს!

თავი ჩალუნა და ტუჩები ჩაიკვნიტა, თანაც სიცივემ აიტანა, თხელ ტანსაცმელში გახვეული.

ფრედერიკმა წამოსასხამის ერთი კალთა მხრებზე მოახვია. ვერ-მე ერთმანეთს ხელი გადაჰხვიეს და წავიდნენ.

— როგორ გინდა, რომ იქ უშენოდ ვიცხოვრო? — ეუბნებოდა ფრედერიკი. (მეგობრის მწუხარებამ კვლავ ნაღველი მოჰგვარა). შეიძლებოდა კიდევ რამე მომეგვარებია, ჩემთან რომ მოყვარული ქალი ყოფილიყო... აბა რას იკინი? სიყვარული გენიოსობის საზრ-დო და თითქოს ატმოსფეროა. არაჩვეულებრივი განცდანი მაღალ ქმნილებას წარმოშობენ. მაგრამ როცა საქმე იმის ძიებაზე მიდგე-ბა, რაც მინდა, უარს ვამბობ ხოლმე! თუმცა, კიდევაც რომ ვიპოვ-ნო იგი ოდესმე, ხელს მკრავს. მე განწირულთა მოდგმისა ვარ და ისე გავქრები ჩემი საგანძურიანად, რომ არ მეცოდინება ალმასი მქონდა, თუ ბრილიანტი.

ვილაცის ლანდი დაეცა ქვაფენილს და იმავე დროს მოესმათ ეს სიტყვები:

— სალამი, ბატონებო!

ვინც ეს წარმოთქვა, ერთი ტანმორჩილი კაცი იყო, ტანთ ეცვა მიხაკისფერი ფართო სერთუკი, თავს ეხურა ქუდი, რომლის წინაფ-რა წაწვეტილ ცხვირს ეფარა.

— ბატონი როკი ბრძანდებით? — წამოიძახა ფრედერიკმა.

— გახლავართ! — მიუგო ხმამ.

ნოიანულმა იქ ყოფნა ასე გაამართლა: ბაღში მდინარის პირას მგლის ხაფანგები მიგია დი ისინი დავათვალიერეო.

— მაშ ჩვენს მხარეში დაბრუნებულხართ, ა? ძალიან კარგი! ეს ჩემმა ქალიშვილმა მითხრა. ი

და, როცა მსახური წავიდა, დასძინა:

— ამ მოხუცს უნდა სთხოვო შეგიყვანოს დამბრეზების ოჯახში; იმაზე სასარგებლო არაფერია, როგორც მდიდრის სახლში ყოფნა! რაკი შავი ფრაკი და თეთრი ხელთათმანები გაქვს, გამოიყენე ისინი! სწორედ ასეთ საზოგადოებაში უნდა იყო! მერმე მეც შემიყვან იქ. მილიონერი ვინმეა, რა გგონია! ეცადე მოეწონო მის ცოლსაც. საყვარელი გაუხდი!

ფრედერიკი აღშფოთდა.

— მე ხომ იმას გეუბნები, რაც ყველასათვის ცნობილია? გაიხსენე რასტინიაკი „ადამიანურ კომედიაში“, ბედს ეწევი, დარწმუნებული ვარ!

ფრედერიკი ისე ენდობოდა დელორიეს, რომ კიდევაც დაიბნა, ქ-ნი არნუ გადაავიწყდა თუ გულში ის წარმოიდგინა, რაც სხვა ქალზე იყო ნათქვამი, — ღიმილი ვეღარ შეიკავა.

— ჩემი უკანასკნელი რჩევაა: გამოცდები ჩააბარე! რაიმე წოდება ყოველთვის გამოსადეგია; და თავი გაანებე შენს კათოლიკე და სატანურ პოეტებს, რომელნიც ფილოსოფიაში ისე არიან დაწინაურებულნი, როგორც XII საუკუნეში იყვნენ. შენი სასოწარკვეთილება სისულელეა. ყველაზე დიდი ადამიანებისათვის უფრო ძნელიც იყო დაწყება, აი თუნდაც მირაბოსათვის. გარდა ამისა, ჩვენ არცთუ ისე დიდი ხნით დავშორდებით ერთმანეთს. მე ვაიძულებ ჩემს გაიძვერა მამას მომცეს ჩემი წილი. ახლა კი დროა წავიდე, მშვიდობით! ერთი ასი სუ ხომ არ გექნება, რომ სადილის ფული გადავიხადო?

ფრედერიკმა ათი ფრანკი მისცა, იმ თანხის ნაშთი, დილით რომ ისიდორეს გამოართვა.

ამ დროს, თორმეტი ტუას მანძილზე ხიდებიდან, მარცხენა ნაპირზე, შუქი გამოკრთა ერთი დაბალი სახლის სხვენის სარკმელში.

დელორიემ იგი შეამჩნია. მაშინ ქუდი მოიხადა და ზეიმით წარმოთქვა:

— ვენერავ, ცათა მბრძანებელო, სალამი შენდა! მაგრამ სიღარიბე კდემამოსილების დედაა. რა ცილი არ დაგვწამეს ამის გამო, ღმერთო მოწყალეო!

ამ გადაკრულმა სიტყვამ საერთო ავანტიურაზე, ორივე გაამხიარულა. მიდიოდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ ქუჩაში.

მერმე დელორიემ სასტუმროში ნახარჯი გადაიხადა, საავადმყოფოს გზაჯვარედინამდე მიაცილა ფრედერიკი და, ხანგრძლივი ხვევნის შემდეგ, მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ.

III

ორი თვის შემდეგ, ერთხელ, დილით, ფრედერიკი კოკ-ჰერონის ქუჩაზე ჩამოხდა და დააპირა დაუყოვნებლივ საზეიმო დარბაზობა გადაეხადა.

შემთხვევა ხელს უწყობდა, ძია როკმა დასტა ქაღალდი მიუტანა და სთხოვა, პირადად გადაეცა ბ-ნ დამბრეზისათვის; ქაღალდებს თან ახლდა ღია ბარათი, რომლითაც ახალგაზრდა თანამემამულეს აცნობდა.

ქ-ნი მორო ამ დავალებამ თითქოს გააკვირვა, ფრედერიკმა კი დაუმალა სიამე, რასაც ეს საქმე ანიჭებდა.

ბ-ნი დამბრეზის ნამდვილი გვარი გრაფი დამბრეზი იყო; მაგრამ 1825 წლიდან თანდათან მიატოვა თავისი აზნაურობა და წრე და მრეწველობას მიჰყო ხელი; ხოლო, რაკი ყური ისეთი მახვილი ჰქონდა, რომ ყველა სავაჭროს ამბავი იცოდა, ხელი ყველა საწარმოს მოუწვდებოდა და ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით სარგებლობდა, რაკი გაქნილი იყო, როგორც ბერძენი, და შრომისმოყვარე, ვით ოვერნელი, როგორც ამბობდნენ, დიდძალი ქონება შეიძინა; ამასთან იყო საპატიო ლეგიონის კავალერი, ობის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს წევრი, დეპუტატი და ღღეს თუ არა ხვალ საფრანგეთის პერი; ამასთან თავაზიანი ბრძანდებოდა და მინისტრს თავს აბეზრებდა ათასგვარი თხოვნით დახმარებაზე, ორდენებზე, თამბაქოს საქმეებზე, ხოლო, როცა ხელისუფლების უკმაყოფილო იყო, მემარცხენე ცენტრისკენ იხრებოდა ხოლმე. მისი ცოლი, ლამაზი მადამ დამბრეზი, რომლის სახელს მოდების ჟურნალებში ახსენებდნენ, სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებას თავმჯდომარეობდა. თავადის ქალთა მაამებელი, არისტოკრატთა უბნის გულისწყრომას აცხრობდა და აფიქრებინებდა, თითქოს ბ-ნი დამბრეზი კიდევ მოინანიებდა და კვლავ სასარგებლო გახდებოდა.

ახალგაზრდა კაცი ღელავდა, როცა იქ მიდიოდა. „უკეთესი იქნებოდა, ჩემი ტანსაცმელი ჩამეცვა. უთუოდ ბალზე დამპატიჟებენ მომავალ კვირას. ნეტავ, რას მეტყვიან?“

როცა გაიფიქრა, ბ-ნი დამბრეზი, ბოლოს და ბოლოს, ბურჟუა არისო, გაბედულება დაუბრუნდა და ლაღად ჩამოხდა ანეუს ქუჩის ტროტუარზე.

ჭიშკრის ერთი ფრთა შეაღო, ეზოში შევიდა, წინკარში ავიდა და ტალანში გაჩერდა, იატაკი რომ ჭრელი მარმარილოთი იყო მოფენილი.

წითელი ფიანდაზით დაფენილი ორმაგი კიბე მიუყვებოდა მარმარილოსებრ მოპირკეთებულ მაღალ, ბრწყინვალე კედლებს. ძირა საფეხურებთან იდგა ბანანის ხე; მისი ფართო ფოთლები კიბის ფიანდაზს ეხებოდნენ. ბრინჯაოს ორ ჭაღზე ძეწკვებით ეკიდა ფაიფურის ბურთობები. კალორიფერის ღია საქრულში შემოდიოდა მძიმე, გახურებული ჰაერი; ისმოდა მხოლოდ რაკარუკი დიდი საათისა, ტალანის მეორე ბოლოში რომ იდგა კედელზე დაკიდებული იარაღების ქვემოთ.

გაისმა ზარის ხმა; გამოვიდა ლაქია და ფრედერიკი შეიყვანა პატარა ოთახში, სადაც ორი ცეცხლგამძლე ყუთი და საქაღალდეებით სავსე თაროები იდგა. შუაგულ ოთახში დამბრეზი მრგვალ მაგიდას უჯდა და წერდა.

მან თვალი გადაავლო ძია როკის წერილს, ჯაყვის პირით გახსნა ტილო, რომელშიც გამოკრული იყო ქაღალდები და თვალიერება დაუწყო.

შორიდან, იმის გამო, რომ ხმელ-ხმელი იყო, შეიძლებოდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გგონებოდათ, მაგრამ თხელი, ჭაღარა თმა, ხიოჭი ტანი და უფრო კი არაჩვეულებრივად ფერმკრთალი სახე მის შერყეულ ჯანმრთელობას მოწმობდა. მინასავით ცივ, ჭროღა თვალებში მტკიცე ენერგია გამოსჭვიოდა. ლავიწები განიერი ჰქონდა, თითების სახსრები კი — კვანძოვანი. ბოლოს ადგა და ახალგაზრდას რამდენიმე კითხვა მისცა საერთო ნაცნობებზე, ნოეანსა და მის მეცადინეობაზე; მერმე თავი დაუკრა და გაისტუმრა. ფრედერიკი უკანა კარით გავიდა და ეზოს ბოლოში აღმოჩნდა ნამშრალების ახლოს.

ლურჯი ფერის ეტლი, რომელშიც შავი ცხენი იყო შებმული, მთავარ შესასვლელთან იდგა. ეტლის კარი გააღეს, შიგ ქალი ჩაჯდა და ეკიპაჟი ყრუ ხმაურით გაგორდა სილაზე.

ჭიშკართან ფრედერიკიც და ეტლიც ერთსა და იმავე დროს მივიდნენ, ფრედერიკი შეჩერდა. გასასვლელი ვიწრო იყო და იძულე-

ბული გახდა მოეცადა. ახალგაზრდა ქალმა თავი გამოჰყო და მეკარეს წყნარი ხმით გამოელაპარაკა. ახალგაზრდამ მხოლოდ მისი ზურგი დაინახა, რომელსაც იისფერი მოსასხამი ეხურა. მერმე კვლავ მიიმალა ეტლში, ფოჩებიანი და აბრეშუმის არშიიანი ცისფერი რეპსით რომ იყო გამოკრული. ეტლს ავსებდა ქალის ტანსაცმელი: ამ პატარა, სარჩულიანი კოლოფიდან მოდიოდა ირისის სუნი და ქალის ნატიფი მორთულობის თავისებური სურნელება. მეეტლემ სადავე მიუშვა, ცხენი ფიცხად გავარდა და ყველაფერი გაქრა.

ფრედერიკი ბულვარებზე გავლით ქვეითად ბრუნდებოდა შინ. ნანობდა, რომ თვალი ვერ შეავლო ქ-ნ დამბრეზს.

მონმარტრის ქუჩის ცოტა ზემოთ მისი ყურადღება მიიპყრო ეკიპაჟების თავმოყრამ; გაიხედა და მეორე მხარეზე, მის პირდაპირ, მარმარილოს დაფაზე წაიკითხა წარწერა:

ᲣᲐᲙ ᲐᲠᲜᲣ

რატომ აქამდე არ მოაგონდა ქ-ნი არნუ? დელორიეს ბრალი იყო, და ფრედერიკი სავაჭროსაკენ გაემართა, მაგრამ შიგ არ შესულა, ელოდებოდა, იქნებ გამოვიდესო.

მაღალ ვიტრინებში მოჩანდა გემოვნებით განლაგებული სტატუეტები, ნახატები, გრავიურები, კატალოგები, „Art industriel-ის“ ნომრები; ხელმოწერის ფასი, განმეორებული კარზე, რომელსაც შუაგულში ამშვენებდა გამომცემლის ინიციალები. კედლებზე გაყოლებული იყო დიდრონი სურათები, საღებავები რომ უბრწყინავდათ, უფრო ღრმად კი გორებად ეწყო ფაიფური, ბრინჯაო, სხვადასხვა იშვიათი ნივთები; მათ ყოფდა პატარა კიბე, რომელსაც ზემოთ, მოედანზე გასასვლელთან, ფირუზისფერი პორტიერი ფარავდა; ძველებური საქსონური ჭაღი, მწვანე ხალიჩა იატაკზე და მოოქვილი მაგიდა, იქაურობას სალონის იერს უფრო ანიჭებდა, ვიდრე სავაჭროსას.

ფრედერიკმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ წახატებს ვათვალიერებო. მერმე დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ შევიდა.

ნოქარმა პორტიერი გადასწია და უთხრა: პატრონი „მალაზიაში“ ხუთ საათამდე არ იქნებაო. მაგრამ, თუ რაიმე დავალება გაქვთ, შეშიძლია გადავცეო...

— არა! მერმე, შემოვივლი, — წყნარად მიუგო ფრედერიკმა. შემდეგი დღეები ბინის ძებნას მოუნდა; სენტ-ჰიაცინტის ქუჩაზე აირჩია ავეჯით გაწყობილი ერთი ოთახი, მესამე სართულზე.

იღლიაში ამოიჩარა სრულიად ახალი პორტფელი და კურსის გახსნაზე წავიდა. სამას თავშიშველა ახალგაზრდას აევსო ამფითეატრისებური აუდიტორია, სადაც ერთი წითლადჩაცმული მოხუცი მონოტონური ხმით ლაპარაკობდა; ქაღალდზე კალმებს აწრიპინებდნენ. ამ დარბაზში ისეთივე მტვრის სუნი იყო, როგორც კლასებში, იდგა ისეთივე კათედრა და გამეფებული იყო იგივე მოწყენილობა! თხუთმეტი დღის განმავლობაში დადიოდა იგი აქ, მაგრამ მე-3 მუხლამდეც არ იყვნენ მისულნი, რომ თავი გაანება სამოქალაქო კოდექსს, ხოლო რომის სამართლის შესწავლა Summa divisio personarum[1]-ზე მიატოვა.

ნავარაუდევი სიხარული არ ეღირსა და როცა მთლად გადაიკითხა ერთ-ერთი ბიბლიოთეკა, გადაათვალიერა ლუვრის კოლექციები, ზედიზედ დაესწრო სპექტაკლებს, სრული უქნარა გახდა.

ათასგვარი ახალი რამ ემატებოდა მის მოწყენილობას. უნდა ეთვალა თავისი საცვალი, ეთმინა მეკარე, ვინც საავადმყოფოს მსახურივით ეპყრობოდა, როცა დილით მოვიდოდა და ბუზღუნით ულაგებდა ლოგინს, თანაც პირიდან ღვინის სუნი ამოსდიოდა. არც თავისი ოთახი მოსწონდა, რომლის მორთულობა ერთი ალებასტრის საათი იყო. კედლები თხელი იყო: ესმოდა, როგორ ამზადებდნენ სტუდენტები პუნშს, იცინოდნენ, მღეროდნენ.

როცა მარტოობამ მოქანცა, მოძებნა ერთი თავისი ძველი ამხანაგი, სახელად ბატისტ მარტინონი, რომელიც სენ-ჟაკის ქუჩაზე ცხოვრობდა ბურჟუაზიულ პანსიონში და სამართალწარმოებას იზეპირებდა გახურებულ ბუხართან.

მის პირდაპირ იჯდა ქალი, რომელსაც ჩითის კაბა ეცვა და წინდებს კემსავდა.

მარტინონი იყო, რომ იტყვიან, ერთი მეტად ლამაზი კაცი: მაღალი, პირმრგვალი, სახემწყაზარი, ლურჯ-ხარითვალა. მამამისი, დიდი მემამულე, მაგისტრატურისათვის ამზადებდა და ყმაწვილმაც, ახლავე რომ სურდა სერიოზული ყოფილიყო, გრძელი წვერი მოუშვა.

---

[1] სამოქალაქო სამართლის სუბიექტების ძირითადი დაყოფა.

რადგან ფრედერიკის მოწყენილობას გასამართლებელი მიზეზი არ მოეპოვებოდა, მარტინონმა ვერაფერი ვერ გაუგო მის წუწუნს ცხოვრებაზე. თვითონ ყოველ დილას ლექციებს ისმენდა, მერმე ლუქსემბურგის ბაღში სეირნობდა, საღამოობით კაფეში ნახევარ ფინჯან ყავას დალევდა და, რაკი წელიწადში უზრუნველყოფილი ჰქონდა ათას ხუთასი ფრანკი, თანაც ერთი მუშა ქალი უყვარდა, თავი სრულიად ბედნიერად მიაჩნდა.

„რა ბედნიერებაა!“ — გულში წამოიძახა ფრედერიკმა.

უნივერსიტეტში სხვა ნაცნობი გაუჩნდა, ბ-ნი დე სიზი, რომელიც გავლენიანი ოჯახის შვილი იყო და თავაზიანი ქცევით ქალიშვილს მოგაგონებდათ.

ბ-ნი დე სიზი ხატავდა და უყვარდა გოთიკა. ბევრჯერ წასულან ერთად, რათა სენ-შაპელისა და ნოტრ-დამის ცქერით დამტკბარიყვნენ, მაგრამ ახალგაზრდა კაცის გვარიშვილობა ვერ მალავდა მის მეტად მოკლე ჭკუას. ყველაფერი აოცებდა; დიდხანს იცინოდა ხოლმე სულ უბრალო ხუმრობაზე და ისეთ საოცარ გულუბრყვილობას იჩენდა, რომ ფრედერიკს ჯერ ხუმარა ეგონა, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ უჭკუო იყო.

ახლოს არავინ ჰყავდა, რომ გული გადაეშალა, ამიტომ მუდამ ელოდა მიწვევას დამბრეზებისაგან.

საახალწლოდ სადარბაზო ბარათი გაუგზავნა, მაგრამ მათვან არაფერი არ მიულია.

კვლავ შეიარა „Art industriel-ში“.

მესამეჯერაც შეიარა და, ბოლოს, შეხვდა არნუს, რომელიც რაღაცაზე ედავებოდა ხუთიოდე მუშტარს, და ძლივს უპასუხა მისალმებაზე. ფრედერიკს ეს ეწყინა. მაგრამ მაინც შეეცადა როგორმე შეხვედროდა ქ-ნ არნუს.

თავდაპირველად ფიქრობდა ხშირად ევლო იქ და სურათებზე შევაჭრებოდა. შემდეგ გადაწყვიტა ჟურნალისათვის გაეგზავნა რამდენიმე „მეტად ძლიერი“ წერილი, რაც ურთიერთობას დაამყარებდა. იქნებ აჯობებდა პირდაპირ წასულიყო მიზნისაკენ, გაემხილა თავისი სიყვარული? ადგა და დაწერა თორმეტგვერდიანი წერილი, აღსავსე აღფრთოვანებული ლირიზმით და რიტორიკული მიმართვით, მაგრამ დაიხია და არაფერი უცდია, რაკი გაჩანაგებული იყო წარუმატებლობის შიშით.

არნუს საეკლესიოს ზემოთ, პირველ სართულზე, სამი ფანჯარა

საღამოობით ყოველთვის განათებული იყო. იქ მოძრაობდნენ ლანდები, განსაკუთრებით ერთი; ეს იყო იმის ლანდი; და ფრედერიკი თავს იწუხებდა შორი გზის გავლით, ოღონდ დაენახა ეს ფანჯრები და დამტკბარიყო იმ ლანდით.

ერთხელ ტიუილრის ბაღში შეხვდა ზანგ ქალს, რომელსაც ხელჩაკიდებული პატარა გოგონა მოჰყავდა. ამან მოაგონა ქ-ნ არნუს ზანგი ქალი. ისიც, ალბათ, სხვებივით უნდა დადიოდეს აქ; და ყოველთვის, როცა ამ ბაღში გაივლიდა ხოლმე, გული იმედით აუცახცახდებოდა, იქნებ დავინახოო. მზიან ამინდში ელისეს მინდვრებამდე გაისეირნებდა ხოლმე.

აი, მის ახლოს განუწყვეტლივ ნაკადად მიდიან ეტლები, სადაც უდარდელად გადაწოლილან ქალები, ოდნავ რომ ირხევიან და ქარიც პირბადეს უფრიალებთ; ცხენები ფეხშეწყობით მიაბიჯებენ, ჭრაჭუნებენ გალაქული ტყავის საჯდომები. ეტლების რიცხვი სულ უფრო მრავლდება; რონდ-პუენტიდან შეანელეს სვლა და გზა გაიჭედა; ფაფარი ფაფარს, ფარანი ფარანს ეხება; ფოლადის უზანგები, ვერცხლის აბზინდები, სპილენძის ბალთები ხან აქ მოჩანან ბრწყინვალე წერტილებად და ხან იქ, რეიტუზებს, თეთრ ხელთათმანებსა და ბეწვეულს შორის, ეტლების ღერბით მორთულ კარებს რომ გადმოფენია. ფრედერიკს ეგონა, სადღაც შორეულ ქვეყანაში მოვხვდიო. გაცეცებული ადევნებდა თვალს ქალთა სახეებს და ოდნავი მსგავსება ქ-ნ არნუს მოაგონებდა. წარმოიდგენდა, ამ აუარებელ ქალთა შორის იგიც ზის სადმე პატარა ეტლში, ქ-ნ დამბრეზის ეტლს რომ ჰგავს. მაგრამ მზე გადაიხრებოდა და ცივი ქარი მტვრის განუჭვრეტელ კორიანტელს ააყენებდა. მეეტლეები ნიკაპს საყელოში ჩამალავდნენ, თვლები ტრიალს აუჩქარებდნენ, მაკადამის ქვაფენილი აჭრაჭუნდებოდა; და ეკიპაჟები დაექანებოდნენ გრძელ ხეივანში, ერთმანეთს გაჰკრავდნენ, გაუსწრებდნენ, მერმე განშორდებოდნენ და, თანხმობის მოედანს რომ მიაღწევდნენ, სხვადა სხვა მხრივ გაიფანტებოდნენ. ტიუილრის იქით ცა გამუქდებოდა. ბაღის ხეები ორ უზარმაზარ მასივად გადაიქცეოდა, მწვერვალები რომ გალურჯდებოდა. აინთებოდა გაზის ფარნები და მთელ დინებაზე გამწვანებული სენა ხიდების ბურჯებზე ვერცხლისფერ შხეფებად დაიმსხვრეოდა.

ფრედერიკი ლაჰარპის ქუჩის ერთ-ერთ რესტორანში სადილობდა ხოლმე ორმოცდასამ სუდ.

იგი ზიზღით უცქეროდა ურთხელის ძველ დახლს, ჭუჭყიან ხელსახოცებს, ვერცხლის ბინძურ ჭურჭელს და ქუდებს, კედელზე რომ ეკიდა. გარშემო მყოფნიც სტუდენტები იყვნენ. ლაპარაკობდნენ თავიანთ პროფესორებზე, საყვარლებზე. მას კი პროფესორებისა რა ედარდებოდა! ანდა განა საყვარელი ჰყავდა! და მათი სიხარული რომ არ გაეზიარებინა, რაც შეიძლებოდა უფრო გვიან მიდიოდა ხოლმე. ყველა სუფრაზე ისევ ისე ეყარა ნამუსრევი. ორივე დაღლილი ლაქია კუთხეში თვლემდა, ხოლო სამზარეულოს, ლამპებისა და თამბაქოს სუნით სავსე იყო ცარიელი დარბაზი.

შემდეგ ნელა გაჰყვებოდა ქუჩებს, ფარნები ირხეოდნენ და ვუბეებში გრძელმოყვითალო ანარეკლებს აჩენდნენ. ქოლგიანი ლანდები ტროტუარების გასწვრივ მიცოცავდნენ. ქვაფენილი ტალახიანი იყო, დაეშვებოდა წყვდიადი და ფრედერიკი ფიქრობდა, ეს ნოტიო სიბნელე, გარს რომ მახვევია, განუწყვეტლივ გულშიც მიძვრებაო.

სინდისმა ქენჯნა დაუწყო. ლექციებს დაუბრუნდა. მაგრამ, რაკი განვლილისა არაფერი არ იცოდა, სულ უბრალო რამეებიც კი უძნელდებოდა.

დაიწყო რომანის წერა, რომლის სათაური იყო: „სილვიო, მეთევზის შვილი“. მოქმედება ვენეციაში წარმოებდა. რომანის გმირი თვითონ იყო, გმირი ქალი კი — ქ-ნი არნუ. ქალს ანტონია ერქვა: და, მის დასაუფლებლად, დახოცა მრავალი აზნაური, გადაწვა ქალაქის ერთი ნაწილი და იმღერა მისი აივნის ქვეშ, სადაც ქარი აფრიალებდა მონმარტრის ბულვარზე წითელი ქსოვილის ფარდებს. სინამდვილესთან მეტად ბევრმა დამთხვევამ, როცა ეს შენიშნა, გული გაუტეხა; წერა მიატოვა და უსაქმურობა გაუორკეცდა.

მაშინ ხვეწნა დაუწყო დელორიეს, მოდი და ჩემთან დასახლდიო. მოვეწყობით და მოვახერხებთ იმ ორი ათასი ფრანკით ვიცხოვროთ, რასაც თვეში ვიღებო, ყველაფერი აჯობებს ამ აუტანელ ყოფასო; დელორიეს ჯერ კიდევ არ შეეძლო ტრუას მიტოვება. ურჩევდა, გაერთე და სენეკალთან იარე ხოლმერ.

სენეკალი მათემატიკის რეპეტიტორი იყო, დიდი ჭკუისა და რესპუბლიკური რწმენის კაცი, იგი, კლერკის სიტყვით, მომავალი სენ-ჟიუსტი იქნებოდა. ფრედერიკი სამჯერ ავიდა მასთან მე-

ხუთე სართულზე, მაგრამ სენეკალს, სამაგიეროდ, ერთხელაც არ უნახავს იგი. ფრედერიკი მასთან აღარ მისულა.

გართობა უნდოდა. საოპერო მეჯლისებზე დაიწყო სიარული. ეს ახმაურებული მხიარულება შესვლისთანავე უგრილებდა გულს. თანაც აკავებდა დიდი ხარჯის გაწევის შიში, რადგან ეგონა, ნიღაბიან ქალთან ვახშმობა დიდძალ ფულს მოითხოვს, დიდი ავანტიურა იქნებაო.

მას კი ეგონა, უნდა ვუყვარდეთო. ზოგჯერ ისე გაეღვიძებოდა, რომ გული იმედით ჰქონდა აღსავსე, გულმოდგინედ ჩაიცვამდა, თითქოს პაემანზე წასასვლელად ემზადებაო, და დაუსრულებლად სეირნობდა პარიზში. ყოველთვის, როცა მის წინ მიმავალ ან მომავალ ქალს დაინახავდა, გულში იტყოდა: „აი ესაა!“, მაგრამ მუდამ ახალი იმედისგაცრუება ელოდა. ქ-ნ არნუზე ფიქრი ნდომას უორკეცებდა. არა, ალბათ, როდისმე შევხვდები ცხოვრების გზაზეო; მასთან დაახლოებაზე რომ ოცნებობდა, ათასგვარ შემთხვევათა გართულებას, არაჩვეულებრივ საფრთხეს წარმოიდგენდა, რომელთაგან მხოლოდ ის დაიხსნიდა.

ასე გადიოდა დრო მოსაწყენ ერთფეროვნებასა და ჩვეულ გარემოებაში. ოდეონის თაღებში ფურცლავდა და ათვალიერებდა ბროშურებს, დადიოდა კაფეში, რომ წაეკითხა „რევიუ დე დე მონდ“, ერთი საათით შევიდოდა „კოლეჟ დე ფრანსის“ რომელიმე აუდიტორიაში, რათა მოესმინა ლექცია ჩინურ ენაზე თუ პოლიტიკურ ეკონომიაში. ყოველ კვირაში გრძელ წერილს უგზავნიდა დელორიეს, ზოგჯერ სადილობდა მარტინონთან ერთად, ხანდახან ნახულობდა ბ-ნ დე სიზის.

პიანინო დაიქირავა და გერმანულ ვალსებს თხზავდა.

ერთ საღამოს პალე-რუაიალის თეატრში დაინახა არნუ, რომელიც ვიღაც ქალთან იჯდა ლიტერის ლოჟაში. ნეტავ ქ-ნი არნუ იყო თუ არა? ლოჟის მწვანე თავთის რიდე სახეს უმალავდა ქალს. ბოლოს ფარდა აიხადა, რიდეც გადასწიეს. ეს იყო ერთი მაღალი, ოცდაათიოდე წლის, უკვე გახუნებული ქალი, რომლის სქელი ტუჩები, როცა გაიცინებდა, მშვენიერ კბილებს აჩენდა. იგი უკრძალავად ელაპარაკებოდა არნუს და მარაოს უცაცუნებდა თითებზე. შემდეგ ერთი ქერა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თვალები ისე ჰქონდა დაწითლებული, თითქოს ესაა უტირიაო, მათ შორის ჩაჯდა. მაშინ არნუ მის მხარეზე დაიხარა და რაღაცას ეჩურჩულებოდა; ქალი უს-

მენდა და არ უპასუხებდა. ფრედერიკი ცდილობდა მიმხვდარიყო, ვინ იყვნენ ის ქალები, საყელოგადმოფენილი სადა შავი კაბები რომ ეცვათ.

სპექტაკლი რომ გათავდა, ფრედერიკი ხალხით გაჭედილ ტალანში გაეშურა. არნუს მკლავები გაეყარა ორივე ქალისათვის და მის წინ ნელა ჩადიოდა კიბეზე.

უეცრად გაზის სანათურმა გააშუქა არნუ: ქუდზე კრეპი ჰქონდა. ქ-ნი არნუ ხომ არ მომკვდარა? ამ ფიქრმა ისე შეაწუხა ფრედერიკი, რომ მეორე დღეს „Art industriel-ში გაიქცა, საჩქაროდ აირჩია ვიტრინაში გამოფენილი ერთ-ერთი გრავიურა და ფასის გადახდისას ნოქარს ჰკითხა, ბ-ნი არნუ როგორ არისო.

ნოქარმა უპასუხა:

— ძალიან კარგად.

ფრედერიკი გაფითრდა და დასძინა:

— ქალბატონი?

— ქალბატონი არნუც!

ფრედერიკს გრავიურის წაღება დაავიწყდა.

ზამთარი გავიდა. გაზაფხულზე ნაკლებ მოწყენილი იყო, გამოცდებისათვის ემზადებოდა და, დამაკმაყოფილებლად რომ ჩააბარა, მაშინვე ნოჟანს გაემგზავრა.

ტრუას არ წასულა თავისი მეგობრის სანახავად, დედის შენიშვნები რომ არ დაემსახურებინა. პარიზს დაბრუნებისას ბინა გამოიცვალა და ნაპოლეონის სანაპიროზე ორი ოთახი იქირავა, რომლებიც თვითონ მოაწყო. დამბრეზებისაგან მიპატიჟების იმედი გაუცრუვდა; დიდი გრძნობა ქ-ნ არნუსადმი უნელდებოდა.

IV

დეკემბრის ერთ დილას, სამართალწარმოების ლექციაზე რომ მიდიოდა, მოეჩვენა რომ სენ-ჟაკის ქუჩაზე მეტი გამოცოცხლებაა, ვიდრე ჩვეულებრივ იყო ხოლმე. სტუდენტები სწრაფად გამოდიოდნენ კაფედან და თავიანთ ბინების ღია ფანჯრებიდან გასძახოდნენ ერთმანეთს; ვაჭრები ტროტუარზე გამოსულიყვნენ და შეშფოთებულნი იცქირებოდნენ; დარაბები იხურებოდა; და როცა სუფლოს ქუჩაზე გავიდა, დაინახა, რომ პანთეონს უზარმაზარი ბრბო შემოხვეოდა.

ახალგაზრდები ჯგუფად, ხუთიდან თორმეტ კაცამდე, ხელიხელჩაკიდებულნი დასეირნობდნენ და აქა-იქ მდგომ უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფებს უერთდებოდნენ; მოედნის ბოლოს, მოჯირთან, შავბლუზიანები კამათობდნენ ცხარედ, მაშინ როცა პოლიციელებს სამკუთხა ქუდები განზე მოეგდოთ, ხელები უკან შემოეწყოთ. კედლების გაყოლებით დადიოდნენ და მძიმე ჩექმებს ქვის ფილებზე აბრახუნებდნენ. ყველას უცნაური და გაკვირვებული იერი ჰქონდა; აშკარად რაღაცას ელოდნენ; კითხვა ყველას ენის წვერზე ეკიდა.

ფრედერიკი იდგა ერთი სახიერი ქერა კაცის ახლოს, რომელსაც ისეთი წვერ-ულვაში ჰქონდა, როგორსაც ლუი XIII დროის კოპწიები ატარებდნენ. ფრედერიკმა მას ჰკითხა არეულობის მიზეზი.

— არაფერი არ ვიცი, — უთხრა მან, — თვითონაც არაფერი იციან! ახლა ასე სჩვევიათ! რა კარგი სეირია!

და უეცრად ახარხარდა.

პეტიციები რეფორმისათვის, რასაც ეროვნულ გვარდიაში ავრცელებდნენ ხელმოსაწერად და რაც დაკავშირებულია ჰიუმანის აღწერასთან, აგრეთვე სხვა ამბები, აგერ ექვსი თვეა, პარიზში იწვევდნენ ხალხის გაუგებარ თავყრილობას. და ეს ისე ხშირად ხდებოდა, რომ გაზეთები აღარც კი წერდნენ მათზე.

— აზრის მკაფიობა და სინათლე აკლიათ, — განაგრძო ფრედერიკის მეზობელმა. — მე მგონია, ჩემო ბატონო, რომ გადავგვარდით! ლუი მეთერთმეტის სანეტარო დროს და ბენჟამენ კონსტანის დროსაც მოსწავლეთა შორის მეტი ურჩობა იყო. მე მგონია ახლა ისინი კრავებივით თვინიერნი და ბატებივით უტვინონი არიან, და მხოლოდ მეწვრილმანედ თუ გამოდგებიან; ღმერთო, ნუ მიწყენ! და ამას ეძახიან მოსწავლე ახალგაზრდობას!

თან ხელები ფართოდ გაშალა, როგორც ფრედერიკ ლუმეტრმა რობერ მაკერის როლში:

— მოსწავლე ახალგაზრდობავ, დამილოცნიხარ!

შემდეგ შეძველეს მიმართა, ღვინის დუქანთან ხამანწკის ნიჟარებში რომ იქექებოდა:

— შენც მოსწავლე ახალგაზრდობას ეკუთვნი?

მოხუცმა ასწია მახინჯი სახე, რომელიც დაფარული ჰქონდა ჭაღარა ჯაგრით და შიგ მოუჩანდა წითელი ცხვირი და გამობეცებული მთვრალი თვალები.

— არა, მე მგონია, შენ უფრო ერთი იმათგანი ხარ, ვისაც სახრჩობელა არ ასცდება, ვინც სხვადასხვა ჯგუფში დაძვრება და მუშობით აფრქვევს ოქროს... ოჰ! აფრქვიე, ჩემო პატრიარქო, აფრქვიე! მომისყიდე ალბიონის საგანძურით! Are you English? მე არ .უარვყოფ ატაქსერქსის ძღვენს! გარნა, მოდი ვიმსჯელოთ საბაჟოთა კავშირზე..

ფრედერიკმა იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი შეახო. მობრუნდა: მარტინონი იყო, მთლად გაფითრებული.

— ჰოდა, — თქვა და ღრმად ამოიოხრა, — აი კვლავ არეულობა!

ეშინოდა, არაფერი დამწამონო, და საშინლად წუხდა. განსაკუთრებით აშფოთებდნენ შავბლუზიანები, რომლებიც თითქოს საიდუმლო საზოგადოებას ეკუთვნოდნენ.

— განა არსებობენ საიდუმლო საზოგადოებანი? — იკითხა ერთმა ულვაშა ახალგაზრდამ, — ეს ძველი არაკებია, რითაც მთავრობა ბურჟუებს აფრთხობს.

მარტინონმა სთხოვა, წყნარად ილაპარაკეო, რადგან პოლიციისა ეშინოდა.

— ნუთუ კიდევ გჯერათ პოლიციისა? კაცმა რომ თქვას, ვინ იცის, ბატონო ჩემო, იქნებ მეც ჯაშუში ვიყო?

და მარტინონს ისე გადაჰხედა, რომ მან თავდაპირველად ხუმრობა ვერ გაუგო. ბრბო მოაწვათ და სამივე იძულებული გახდა დერეფნის კიბეზე დამდგარიყო, იქით კი ახალი აუდიტორია იყო.

მალე ბრბო თავისთავად დადნა; ბევრმა ქუდი მოიხადა; ისინი მიესალმნენ განთქმულ პროფესორ სემუელ რონდელოს, რომელსაც განიერი სერთუკი ეცვა, ვერცხლის სათვალე შუბლზე აეწია, ქოშინი აწუხებდა და ამიტომ ნელა მიდიოდა ლექციის წასაკითხავად. ეს კაცი იყო XIX საუკუნის სიამაყე სამართლის დარგში. ზაქარიებისა და რუჰდორფების მეტოქე. საფრანგეთის პერის ახლადმიღებულ წოდებას სრულიადაც არ შეეცვალა მისი ჩვევანი. იცოდნენ, ღარიბი იყო და მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

— ძირს გიზო!

— ძირს პრიტჩარდი!

— ძირს გამცემნი!

— ძირს ლუი-ფილიპე!

ბრბო დაიძრა და ეზოს დახურულ ჭიშკართან შეჯგუფდა, რი-

თაც გზა დაუხშო პროფესორს. იგი ჭიშკართან გაჩერდა. მალე მესამე, ზედა საფეხურზე გამოჩნდა. ლაპარაკი დაიწყო; ბრბო აგუგუნდა და მისი ხმა ჩაახშო. წელან ყველას უყვარდა, ახლა კი ყველას შესძულდა, რადგან ხელისუფლებას წარმოადგენდა. როგორც კი დააპირებდა ლაპარაკს, ყვირილი ატყდებოდა ხოლმე. ბოლოს ხელი აიქნია და სტუდენტებს ანიშნა, გამომყევითო. საერთო ღრიალით უპასუხეს. მან ზიზღით აიჩეჩა მხრები და დერეფანში შევიდა. მარტინონმა მის ადგილზე გადაინაცვლა და უკან გაჰყვა.

— რა მხდალია! — თქვა ფრედერიკმა.

— კეთილგონიერია! — მიუგო ვიღაცამ.

ბრბომ ტაში დაუკრა. ეს უკანდახევა მისი გამარჯვება იყო. ცნობისმოყვარენი ფანჯრებიდან იცქირებოდნენ. ზოგმა „მარსელიეზა“ წამოიწყო; ზოგიც იძახდა, ბერანჟესთან წავიდეთო.

— ლაფიტთან!

— შატობრიანთან!

— ვოლტერთან! — დაიღრიალა ერთმა ქერაულვაშა ახალგაზრდამ.

პოლიციელები ცდილობდნენ გზა გაეკაფათ და რაც შეიძლებოდა ტკბილად ამბობდნენ:

— წადით, ბატონებო, წადით დაიშალენით!

ვიღაცამ დაიყვირა:

— ძირს მკვლელები!

სექტემბრის მღელვარების შემდეგ ეს იყო ჩვეულებრივი გინება. ყველამ გაიმეორა იგი. უყვიროდნენ, უსტვენდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთ; ისინი ფითრდებოდნენ; ერთმა მათგანმა ველარ მოითმინა და ერთ ახალგაზრდას, რომელიც მივიდა და პირში დასცინოდა, ისე ძლიერ ჰკრა ხელი, რომ იგი ხუთ ნაბიჯზე გადატრიალდა და გულაღმა დაეცა ღვინის ვაჭრის დუქანთან. ყველამ უკან დაიხია; მაგრამ იმწამსვე პოლიციელიც გაგორდა, ვიღაც გოლიათმა წააქცია, მუშამბის ქუდქვეშ თმა რომ ძენძივით გამოუჩნდა.

ეს კაცი უკვე რამდენიმე წუთის განმავლობაში იდგა სენ-ჟაკის ქუჩის კუთხეში; უცბად მიაგდო მუყაოს დიდი კოლოფი, ხელში რომ ეჭირა, და დაეძგერა პოლიციელს, მალე ქვეშ ამოიდო და, რაც ძალა ჰქონდა, სახეში დაუშინა მუშტები. სხვა პოლიციელები მისცვივდნენ, მაგრამ ეს საშინელი ბიჭი ისეთი ღონიერი იყო, რომ

ოთხმა კაცმა ძლივს დააოკა. ორი საყელოში ჩასჭიდებოდა, ორი მიათრევდა, ერთი პანლურს სცემდა, ყველანი კი აგინებდნენ: აი, შეყაჩაღო, მკვლელო, მეამბოხეო; ხოლო იგი, მკერდღია, ტანსაცმელშემოგლეჯილი, პროტესტს აცხადებდა: ერთი საწყალი კაცი ვარ, გულგრილად ვეღარ ვუცქირე, ბავშვს რომ ჩაგრავდნენო.

— მე დიუსარდიე მქვია. ძმებ ვალენსარებთან ვმსახურობ მაქმანისა და მოდის მაღაზიაში, კლერის ქუჩაზე. ჩემი კოლოფი სად არის? ჩემი კოლოფი მინდა!

განუწყვეტლივ იმეორებდა:

— დიუსარდიე!.. კლერის ქუჩა. ჩემი კოლოფი!

გარნა დაოკდა, მოთმინება იხმარა და პოლიციაში წაჰყვა დეკარტის ქუჩაზე. ხალხი თან გაჰყვა. ფრედერიკი და ულვაშა ჭაბუკი კვალდაკვალ მისდევდნენ, აღტაცებულნი იყვნენ მისი გმირობით და აღშფოთებულნი ხელისუფლების ძალადობით.

მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდნენ პოლიციას, ბრბო სულ უფრო თხელდებოდა.

პოლიციელები, დროდადრო, უკან იხედებოდნენ, განრისხებულნი; რაკი შფოთისთავებს აღარა ჰქონდათ რა საკეთებელი, ცუდმავლებს კი დასანახავი, ყველანი ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ, შემხვდურნი დიუსარდიეს აკვირდებოდნენ და ხმამაღლა ამბობდნენ შეურაცხმყოფელ შენიშვნებს. ერთმა დედაბერმა თავისი სახლის ზღურბლიდან გამოსძახა: მაგან პური მოიპარაო; ამ უსამართლობამ უფრო გააბრაზა ორივე მეგობარი. ბოლოს მივიდნენ პოლიციის ნაწილში. რაღაც ოციოდე კაციღა რჩებოდა, მაგრამ დაინახეს თუ არა ჯარისკაცები, ისინიც გაქრნენ.

ფრედერიკმა და მისმა ამხანაგმა გაბედულად მოითხოვეს დაპატიმრებულის განთავისუფლება. პოლიციელი დაემუქრათ: თუ არ დაგიშლიათ, თქვენც იქ ჩაგაბრძანებთო. მათ მოითხოვეს ნაწილის უფროსი, დაასახელეს თავიანთი გვარები და განაცხადეს: იურისტი სტუდენტები ვართ, დაპატიმრებული კი ჩვენი თანაკურსელიაო.

ისინი შეიყვანეს ცარიელ ოთახში, რომლის შეულესავი კედლები მთლად გამურული იყო, მათს გაყოლებით კი ოთხი სკამლოგინი იდგა. უკანა კედელში სარკმელი გაიღო და გამოჩნდა დიუსარდიეს ჯმუხი სახე, აბურძგნული თმა, წვრილი, მიმნდობი თვალები, ჩაჭყლეტილი ცხვირი: მთელი მისი იერი უნებლიეთ მოგაგონებდათ თვინიერი ნაგაზის დრუნჩს.

— ჩვენ ვერ გვცნობთ? — ჰკითხა ჰიუსონემ.

ამ გვარისა იყო ის ულვაშიანი ჭაბუკი.

— მაგრამ... — წაიბუტბუტა დიუსარდიემ.

— ნუ სულელობ! — განაგრძო მან. — ყველამ იცის, რომ იურისტი სტუდენტი ხარ, ისე როგორც ჩვენ.

მიუხედავად მათი თვალის ჩაკვრისა, დიუსარდიე ვერაფერს მიმხვდარიყო. მერმე, თითქოს გონს მოვიდაო, უეცრად წამოიძახა:

— ჩემი კოლოფი თუ იპოვნეს?

იმედდაკარგულმა ფრედერიკმა თვალი გაუსწორა. ჰიუსონემ კი ჰკითხა:

— აჰ! შენი კოლოფი, სადაც ლექციების ჩანაწერებს ინახავ ხოლმე? დიახ, დიახ! დამშვიდდი!

მათ გაუხშირეს თვალის ჩაკვრა. ბოლოს დიუსარდიე მიხვდა, ჩემს საშველად მოსულანო, და გაჩუმდა, რაკი ეშინოდა, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენოო. თანაც რცხვენოდა, სტუდენტის წოდებამდე ამამაღლეს და ამ ახალგაზრდებს გამითანაბრეს, რომელთაც ესოდენ თეთრი ხელები აქვთო.

— ხომ არ დაგვაბარებ ვინმესთან რამეს? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— არა, გმადლობთ!

— არც ოჯახთან?

თავი ჩალუნა და არაფერი არ უპასუხა: საბრალო ბუში იყო. მეგობრებს გაუკვირდათ მისი დუმილი.

— თამბაქო თუ გაქვს? — კვლავ ჰკითხა ფრედერიკმა.

მან ჯიბე მოისინჯა და ამოიღო ჩიბუხის ნამსხვრევები, მშვენიერი ხვირთქლის ჩიბუხისა, რომელსაც ტარი აბანოზისა ჰქონდა, ხუფი ვერცხლის, ხოლო მუნდშტუკი ქარვისა.

სამი წელიწადი მოანდომა ამ საუცხოო ჩიბუხის გამოთლა-გამოჩუქურთმებას. მუდამ ნატის ბუდეში ედო, რაც შეიძლებოდა ფრთხილად ეწეოდა, არასოდეს მარმარილოზე არ დაუდევს და ყოველ საღამოს სასთუმალთან კედელზე ეკიდა. ახლა ნამსხვრევებს ხელში ათამაშებდა, ფრჩხილებიდან სისხლი სდიოდა; თავჩაღუნული, პირდაღებული, დიდი მწუხარებით თვალგაშტერებული დასცქეროდა თავისი სიხარულის ნაშთებს.

— სიგარები ხომ არ მივცეთ, ა? — ჩუმად ჰკითხა ფრედერიკს ჰიუსონემ და ხელი ჯიბისკენ წაიღო.

ფრედერიკმა კი უკვე ფანჯარაზე დაუდო საკვესე საპაპიროსე.

— აიღე რაღა! მშვიდობით, ყოჩაღად იყავ!

დიუსარდიე ეცა მისკენ გაწვდილ ორ ხელს. თავდავიწყებული სრესდა მათ, ტირილით ხმა უწყდებოდა.

— როგორ? მე!.. მე მაძლევთ!..

ორი მეგობარი მოერიდა მის მადლობას. განშორდნენ და სასაუზმოდ შევიდნენ ტაბურეს კაფეში, ლუქსემბურგის ბაღის პირდაპირ.

საუზმის დროს ჰიუსონემ ამხანაგს უამბო: მოდების ჟურნალებში ვთანამშრომლობ და „Art industriel-ისათვის“ რეკლამებს ვაკეთებო.

— ჟაკ არნუსთან? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— განა იცნობთ?

— ჰო, არა! ესე იგი მინახავს, შევხვედრივარ.

მერმე ვითომ გულგრილად ჰკითხა ჰიუსონეს, მის ცოლს თუ ხედავო.

— ხანდახან, — მიუგო მეინახემ.

ფრედერიკმა ვერ გაბედა, კვლავ ეკითხა რამე; ამ კაცმა ახლა უზარმაზარი ადგილი დაიკავა მის ცხოვრებაში; საუზმის ბარჯი ფრედერიკმა გადაიხადა, რაზედაც ჰიუსონეს არაფერი არ უთქვამს.

სიმპათია თანაზიარი იყო, ერთმანეთს თავიანთი მისამართები მისცეს, და ჰიუსონემ გულითადად სთხოვა, ფლერიუსის ქუჩამდე მიმაცილეო.

შუაგულ ბაღში იყვნენ, როცა არნუს თანამშრომელმა სული მოითქვა, საშინლად დაიჯღანა და მამალივით იყივლა. მყის იმ არემარის ყველა მამალმა გაბმულად უპასუხა: ყიყლიყოო!

— ეს ნიშანია, — უთხრა ჰიუსონემ.

ბობინოს თეატრთან გაჩერდნენ, იმ სახლის წინ, რომლისკენაც ვიწრო გასასვლელი მიდიოდა. სხვენის ფანჯარაში, დედოფლის ყვავილსა და ბაღის არჯაკელს შუა, გამოჩნდა ახალგაზრდა, თავშიშველი და კორსეტიანი ქალი, ორივე ხელით რომ წვიმის წყალსადინარს ეყრდნობოდა.

— დილა მშვიდობისა, ჩემო ანგელოზო, დილა მშვიდობისა, გოგონა! — დაუძახა ჰიუსონემ და ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

მერმე ჭიმკარი ფეხისკვრით გააღო და შევიდა.

ფრედერიკი მას შემდეგ ერთ კვირას ელოდებოდა. თვით მისკ-

ლას მოერიდა, რომ ჰიუსონეს არ ეფიქრა, სამაგიერო საუზმეზე მიწვევა ეჩქარებაო; ისე კი მთელი ლათინთა უბანი შემოიარა, იქნებ სადმე შევხვდეო. ერთ საღამოს როგორღაც შეეხეჩა ჰიუსონეს და თავის ოთახში წაიყვანა ნაპოლეონის სანაპიროზე.

გრძელი საუბარი ჰქონდათ; ერთმანეთს გული გადაუშალეს. ჰიუსონე ოცნებობდა თეატრში მოპოვებულ სახელსა და შემოსავალზე. თხზავდა ვოდევილებს, რომლებიც არ იდგმებოდა, ჰქონდა აუარებელი გეგმა, ადგენდა კუპლეტებს, რომელთაგან რამდენიმე თვითონ იმღერა. შემდეგ თაროზე ჰიუგოს და ლამარტინის ტომები დაინახა და სარკაზმით დაიწყო ლაპარაკი რომანტიკულ სკოლაზე. ამ პოეტებს არ გააჩნიათ არც საღი აზრი და არც კარგი ენა, და, რაც მთავარია, ფრანგები არ არიან! ენის ცოდნით თავს იქებდა და ყველაზე გამართულ ფრაზებს აძაგებდა ისეთი მობუზღუნე სიმკაცრით, იმ აკადემიური გემოვნებით, რომლითაც განირჩევიან ფუქსავატი ადამიანები, როცა სერიოზულ ხელოვნებაზე მსჯელობენ.

ფრედერიკს ეწყინა, რომ აუგად მოიხსენიეს ის, რაც განსაკუთრებით უყვარდა; უნდოდა იქვე შეეწყვიტა ნაცნობობა. რატომ არ შეიძლებოდა მაშინვე დაეწყო იმაზე ლაპარაკი, რაზედაც დამოკიდებულია მისი ბედნიერება? მან ლიტერატურის ახალბედას ჰკითხა: არ შეგიძლია არნუების ოჯახი გამაცნო?

ეს ადვილი საქმე იყო. წასვლა მეორე დღისთვის დათქვეს.

ჰიუსონე პაემანზე არ მოსულა; შემდეგ კიდევ სამჯერ მოატყუა. ერთ შაბათდღეს, ასე ოთხ საათზე, გამოცხადდა, მაგრამ რაკი ეტლი დაქირავებული ჰყავდა, ჯერ ფრანგულ თეატრთან გაჩერდა, რომ ლოჟის კუპონი მიეღო, მერმე მკერვალთან, თეთრეულის ოსტატ ქალთან შეიარა, მეკარეებთან ბარათებს წერდა. ბოლოს, როგორც იქნა, მონმარტრის ბულვარზე გავიდნენ. ფრედერიკმა მაღაზია გაიარა და კიბეზე ავიდა. არნუმ იცნო იგი, როცა დაინახა სარკეში, მისი მაგიდის პირდაპირ რომ იდგა, და ხელი ისე გაუწოდა, რომ წერა არ შეუწყვეტია.

ხუთი თუ ექვსი კაცი იდგა ვიწრო ოთახში, რომლის ერთი ფანჯარა ეზოს გადაჰყურებდა. უკანა კედლის წალოში, მიხაკისფერი შტოფის პორტიერებს შუა, იდგა ამავე ქსოვილგადაკრული დივანი. ათასგვარი ქაღალდით სავსე ბუხრისთავზე იდგა ბრინჯაოს ვენერა, აქეთ-იქით ვარდისფერსანთლიანი შანდლებით. მარჯვნივ, ყდებიან ეტაჟერთან, სავარძელში იჯდა ერთი ქუდმოუხდელი კაცი და

გაზეთს კითხულობდა; კედლები დაფარული იყო თანამედროვე ოსტატების ესტამპებითა და სურათებით, ძვირფასი გრავიურებით თუ ესკიზებით, რომელთაც ჰქონდათ ჟაკ არნუსადმი უგულითადესი ურთიერთობის გამომხატველი წარწერები:

— ხომ კარგად? — უთხრა და ფრედერიკისაკენ მიბრუნდა. სანამ იგი უპასუხებდა, ჩურჩულით ჰკითხა ჰიუსონეს:

— რა ჰქვია თქვენს მეგობარს?

შემდეგ კვლავ ხმამაღლა.

— ამოიღე სიგარი, ეგერ არის ეტაჟერზე, კოლოფში.

„Art industriel-ი", რომელიც პარიზის ცენტრში მდებარეობდა, იყო ერთი მოხერხებული ადგილი პაემანისათვის, ნეიტრალური ტერიტორია, სადაც მოწინააღმდეგეებს შეეძლოთ თავისუფლად შეხვედროდნენ ერთმანეთს. აქ შეიძლებოდა გენახათ მეფეთა პორტრეტისტი ანტენორ ბრეევი, ჟიულ ბიურიე, რომელიც თავისი ნახატებით პოპულარიზაციას უწევდა ალჟირის ომს, კარიკატურისტი სომბაზი, მოქანდაკე ვურდა და სხვები; და არც ერთი არ შეეფერებოდა სტუდენტის წარმოდგენას. მათი მანერები ჩვეულებრივი იყო, სიტყვები მოურიდებელი. მისტიკოსმა ლოვარიასმა უწმაწური ანეკდოტი თქვა, აღმოსავლური პეიზაჟის შემქმნელს, ცნობილ დიტმერს კი ნაქსოვი სათბური ეცვა ჟილეტქვეშ, შინ კი ომნიბუსით წავიდა.

ჯერ ლაპარაკი იყო ვიღაც მენატურე აპოლონიაზე, რომელიც თითქოს ბიურიეს ენახა ბულვარზე წალიკად შებმულ ეტლში. ჰიუსონემ ეს მეტამორფოზა იმით ახსნა, რომ მთელი რიგი მისი მფარველები დაასახელა.

— ეს ბიჭი მთელ პარიზელ გოგოებს იცნობს! — თქვა არნუმ.

— თქვენს შემდეგ, თუკი ვინმე დარჩება, ჩემო ბატონო, — მიუგო ბოჰემიელმა და მხედრული სალამი მისცა იმ გრენადერის ძისაბაძავად, ვინც ნაპოლეონს თავისი მათარით დაალევინა.

შემდეგ კამათი დაიწყეს რამდენიმე ტილოზე, რომელთა დასახატავად გამოყენებული იყო აპოლონიას თავი. ამასთანავე ვააკრიტიკეს ის მოძმენი, რომლებიც იქ არ იყვნენ. გაკვირვებული იყვნენ მათ ნაწარმოებთა დიდი ფასით და ყველა ჩიოდა, საკმაო შემოსავალი ათ გვაქვსო, რომ ამ დროს შემოვიდა ერთი შუა ტანის კაცი, რომელსაც ერთ ღილზე შებნეული ფრაკი ეცვა, თვალები ცოცხალი ჰქონდა, იერი კი ოდნავ გიჟური.

— რა მეშჩანები ხართ! — თქვა მან. — მერმე რა მოხდა,

ღმერთო ჩემო! ჩვენი ძველები, შედევრები რომ შექმნეს, მილიონებისთვის როდი წუხდნენ. კორეჯო, მურილიო...

— დაუმატე პელერენი, — უთხრა სომბაზმა.

მაგრამ მას უკმეხობაზე არაფერი უპასუხნია და ისე გაცხაოებული კამათობდა, რომ არნუ იძულებული იყო ორჯერ ეთქვა მისთვის:

— ჩემს მეუღლეს თქვენი ნახვა უნდა, ხუთშაბათს. არ დაგავიწყდეთ.

ამ სიტყვებმა ფრედერიკს ქ-ნი არნუ მოაგონა. ბინაში, ალბათ, იმ ოთახზე გავლით შედიან, დივანს იქით რომ არის? არნუმ, რომელსაც ცხვირსახოცი დასჭირდა, სწორედ იქ შეალო კარი; უკანა კარებთან ფრედერიკმა პირსაბანი შეამჩნია. მაგრამ კუთხეში, ბუხრის ახლოს რაღაც ბუზღუნი გაისმა; სავარძელში ვიღაცა იჯდა და გაზეთს კითხულობდა. იგი ტანად ხუთი ფუტი და ცხრა გოჯი იყო, თვალები მოეხუჭა, თმა ჭაღარა ჰქონდა, შესახედაობა დარბაისლური — სახელად კი რეჟემბერი ერქვა.

— რა ბრძანეთ, მოქალაქეე? — ჰკითხა არნუმ.

— მთავრობის კიდევ ერთი სისაძაგლე!

საქმე ეხებოდა ვიღაც მასწავლებლის დათხოვნას; პელერენი კამათს განაგრძობდა და მიქელანჯელოს შექსპირს ადარებდა. დიტმერი წასვლას აპირებდა. არნუმ გააჩერა და ხელში ბანკის ორი ბილეთი ჩაუდო. ჰიუსონემ ეს მომენტი ხელსაყრელად მიიჩნია:

— ხომ არ შეგიძლიათ ავანსი მომცეთ, ძვირფასო პატრონო?

მაგრამ არნუ კვლავ დაჯდა და ლანძღვა დაუწყო ვიღაც ლუჩ სათვალიან მოხუცს, შესახედავად რომ მეტად საძაგელი იყო.

— ოჰ, კაი ვინმე კი ბრძანდებით, ძია ისააკ! აი გაუფასურდა, დაიღუპა სამი ნაშრომი. ყველა პირში მაფურთხებს! ახლა ყველა იცნობს ამ სურათებს! აბა რა უნდა ვუყო ახლა იმათ? კალიფორნიაში ხომ ვერ გავგზავნი?.. ჯანდაბას! ა, ხმას არ იღებთ!

ამ კაცის სპეციალობა ის იყო, რომ სურათებს აწერდა ქვეშ ძველი ოსტატების სახელს. არნუმ უარი უთხრა ფულის გადახდაზე და უხეშად გაისტუმრა. შემდეგ, გუნება შეიცვალა და მიესალმა ერთ ორდენებიან, გაბღენძილ ბატონს, რომელსაც ქილვაშები ჰქონდა და თეთრი ჰალსტუხი ეკეთა.

ფანჯრის რაფას დაყრდნობილი, იგი დიდხანს ელაპარაკებოდა მოთაფლული ენით. ბოლოს იფეთქა:

— ეჰ, ჩემთვის ძნელი როდია შუამავლის პოვნა, ბატონო გრაფო!

აზნაური დამშვიდდა; არნუმ ოცდახუთი ლუიდორი გადასცა და, როცა იგი გავიდა:

— რა აუტანელნი არიან ეს დიდი ბატონები!

— ეგენი ყველანი საძაგლები არიან! — წაიბურტყუნა რეკემბარმა.

რაც დრო გადიოდა, არნუს სულ უფრო ემატებოდა საქმე; სტატიებს აწესრიგებდა, კონვერტებს ხსნიდა, ანგარიშებს აკამებდა; ჩაქუჩის რახუნზე მაღაზიაში გადიოდა, თვალყურს ადევნებდა საქონლის შეფუთვას, მერმე დაიწყებდა მუშაობას და ფოლადის კალმის ფხაჭუნში უპასუხებდა ხუმრობაზე. იმ საღამოს თავის ადვოკატთან უნდა ესადილნა, მეორე დღეს კი ბელგიაში წასულიყო.

სხვები მიმდინარე საკითხებზე საუბრობდნენ: ქერუბინის პორტრეტზე, სამხატვრო აკადემიის ოვალურ დარბაზზე, მომავალ გამოფენაზე. პელერენი ინსტიტუტს აძაგებდა. ჭორიკანობა კამათს ეზავებოდა. ეს დაბალჭერიანი ოთახი ისე იყო ხალხით სავსე, რომ ვერ მობრუნდებოდი, ვარდისფერი სანთლების შუქი კი ისე კიაფობდა სიგარის ბოლში, როგორც მზე ნისლში.

დივანის ახლო კარი გაიღო და შემოვიდა ერთი მაღალი, ხმელ-ხმელი ქალი, რომელიც ისე მკვეთრად მოძრაობდა, რომ შავი აბრეშუმის კაბაზე მისი საათის ყველა ბრელოკი წკარუნებდა.

ეს იყო ის ქალი, ვინც ფრედერიკმა შარშან ზაფხულში პალეროიალში ნახა. ზოგი მას სახელით იხსენიებდა და ხელს არ აძლევდა. ჰიუსონემ, როგორც იქნა, ორმოცდაათი ფრანკი დასცინცლა არნუს; საათმა შვიდჯერ დარეკა; ყველა წავიდ-წამოვიდა.

არნუმ პელერენს უთხრა, მოიცადეო, და მ-ელ ვატნაზი კაბინეტში გაიყვანა.

ფრედერიკს მათი ლაპარაკი არ გაუგონია; ისინი ჩურჩულებდნენ. გარნა ქალმა ხმას აღუმატა:

— აგერ ექვსი თვეა, რაც საქმე გაკეთდა, მე კი სულ ვიცდი!

ჩამოვარდა დიდი ხნის დუმილი, მ-ელ ვატნაზი კვლავ გამოჩნდა. არნუ კვლავ რაღაცას დაჰპირდა.

— ჰო!-ჰო! ვნახოთ!

— მშვიდობით, ბედნიერო ადმიანო! — უთხრა და წავიდა.

არნუ სწრაფად გაბრუნდა, ულვაშზე საღებავი გაისვა, აჭიმი აიწია შარვლის გასასწორებლად და, ხელს რომ იბანდა, თქვა:

— კარგი იქნებოდა ორი პანო კარის თავზე, თითო ორას ორმოცდაათიანი, ბუშეს ჟანრისა. შევთანხმდით?

— აგრე იყოს, — უთხრა მხატვარმა და წამოწითლდა.

— კარგი! და ჩემი ცოლი არ დაივიწყოთ!

ფრედერიკმა პელერენი პუასონიერის გარეუბნამდე მიაცილა და სთხოვა, ხანდახან გინახულებო, რისი ნებართვაც თავაზიანად მიიღო.

პელერენი კითხულობდა ესთეტიკის ყველა ნაშრომს, რათა აღმოეჩინა მშვენიერების ნამდვილი თეორია, რაკი დარწმუნებული იყო, რომ როცა აღმოაჩენდა, შედევრებს შექმნიდა. შემოიკრიბა ყოველგვარი სახელმძღვანელო, ნახატები, ნაძერწები, მოდელები, გრავიურები და იტანჯებოდა, ეძებდა; უჩიოდა ამინდს, თავის ნერვებს, გადიოდა ქუჩაში, ფიქრობდა იქ ეპოვნა შთაგონება, ცახცახებდა, თითქოს მართლაც იპოვნა, შემდეგ დაწყებულ სურათს მიაგდებდა და ფიქრობდა სხვაზე, რომელიც უფრო კარგი უნდა ყოფილიყო. ასე იტანჯებოდა სახელის წყურვილით, კამათში კარგავდა დროს, სჯეროდა ათასგვარი უაზრობა, სისტემა, კრიტიკა, ხელოვნების რაღაც წესების თუ რეფორმის საჭიროება და ორმოცდაათ წელს ისე მიაღწია, რომ მონახაზების მეტი ვერაფერი შექმნა. უოყევი სიამაყე გულის გატეხის ნებას არ აძლევდა, მაგრამ მუდამ რაღაც აღიზიანებდა და ყოველთვის ისე ხელოვნურად და ამავე დროს ნამდვილად აღგზნებული იყო, რაც მსახიობს ახასიათებს.

მის ოთახში თვალში მოგხვდებოდათ ორი დიდი სურათი, რომელთა თეთრ ტილოზე აქა-იქ დასმული ტონები ქმნიდნენ მიხაკისფერ, წითელ და ლურჯ ლაქებს. ყოველივე ეს დაფარული იყო ერთმანეთში უთავბოლოდ გადახლართული აუარებელი ცარცის ხაზით; ასე რომ, შეუძლებელი იყო რაიმეს გაგება. პელერენმა განმარტა ამ ორი კომპოზიციის შინაარსი და ცერით აღნიშნა ის ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ აკლდა. ერთ-ერთ სურათს უნდა გამოეხატა „ნაბუქოდონოსორის სიგიჟე“, მეორეს კი — „ნერონის მიერ რომის გადაწვა“. ფრედერიკი აღტაცებული იყო.

იგი აღტაცებული იყო აგრეთვე თმაგაშლილი ქალების ეტიუდებით და პეიზაჟებით, რომლებზედაც მრავლად იყო ქარიშხლით დალუნული ხეები; განსაკუთრებით იყო მოხიბლული ყალმის ჭირ-

ვეულობით კალოს, რემბრანდტისა და გოიას მოტივებზე, რომელთა დედნები ფრედერიკს არ ენახა. პელერენი გულგრილად ეპყრობოდა თავისი ახალგაზრდობის ამ ნამუშევრებს; ახლა იგი მაღალი სტილის მომხრე იყო; მჭევრმეტყველურად დაიწყო მსჯელობა ფიდიასსა და ვინკელმანზე. გარშემო მყოფი საგნები აძლიერებდნენ მისი სიტყვებით მოხდენილ შთაბეჭდილებას: საწიგნეზე იდო თავის ქალა, კუდელზე ეკიდა რამდენიმე იატაგანი, ანაფორა; ფრედერიკმა ერთხელ კიდევაც ჩაიცვა იგი.

როცა ადრე მივიდოდა, პელერენს ლოგინში მიუსწრებდა ხოლმე; საწოლი უხერხული იყო, ზედ გაცვეთილი ხალიჩა ეფინა, პელერენი გვიან წვებოდა, რადგან ბეჯითად დადიოდა თეატრებში. ემსახურებოდა ერთი ჩამოფლეთილი დედაბერი, სადილობდა სამიკიტნოში და ცხოვრობდა უსაყვარლოდ. ალაბალა შეძენილი ცოდნის გამო, მისი პარადოქსები სასაცილო იყო ხოლმე. სიძულვილი ყოველგვარი უფერულობისა და მეშჩანობისადმი გადმოინთხეოდა სარკაზმად, დიდებული ლირიზმით რომ იყო აღსავსე. ხოლო ოსტატებისადმი ისეთ მოწიწებას გრძნობდა, რაც კინაღამ უთანაბრებდა მათ.

მაგრამ რატომ არასოდეს არ ახსენებდა ქ-ნ არნუს? რაც შეეხება მის ქმარს, ზოგჯერ კაი ბიჭს ეძახდა, ზოგჯერ კი შარლატანს. ფრედერიკი ელოდებოდა მის გულახდილობას.

ერთხელ ფრედერიკი მისი ნახატების ყდას ფურცლავდა და დაინახა, რომ ერთი პორტრეტი თითქოს მ-ელ ვატნაზს ჩამოჰგავდა, ხოლო რადგან ეს ქალი აინტერესებდა, სურდა გაეგო მისი ვინაობა.

წინათ იგი, პელერენის აზრით, მასწავლებელი იყო პროვინციაში, ახლა კი კერძო გაკვეთლები ჰქონდა და წერილებს ათავსებდა პატარა გაზეთებში.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეპყრობოდა არნუს, შეიძლებოდა, ფრედერიკის აზრით, მის საყვარლად მიგეჩნია.

— ოჰ, არა! მას სხვაც ბევრი ჰყავს!

მაშინ ახალგაზრდამ პირი იბრუნა, სირცხვილით წამოწითლდა უწმაწური ფიქრის გამო, და თამამად ჰკითხა:

— ცოლი, ალბათ, სამაგიეროს უხდის?

— არა! ის პატიოსანი ქალია!

ფრედერიკმა სინდისის ქენჯნა იგრძნო და უფრო ბეჯითად იწყო სიარული რედაქციაში.

დიდრონი ასოები, რომლებითაც არნუს სახელი იყო დაწერილი მაღაზიის მარმარილოს აბრაზე, მას რაღაც სრულიად განსაკუთრებული და მნიშვნელობით აღსავსე ეჩვენებოდა, როგორც საღვთო წერილი. ადვილი იყო სიარული ფართო, დაქანებულ ტროტუარზე, კარი თითქმის თავისით იღებოდა, სახელური კი, შეხებით გლუ, თითქოს სირბილითა და გულისხმიერებით გამთბარიყო, როგორც ცოცხალი ხელი. შეუგნებლად, ისევე ზუსტად დაიწყო სიარული, როგორც რეჟემბარმა.

ყოველდღე, რეჟემბარი სავარძელში ჩაჯდებოდა ბუხრის კუთხეში, აიღებდა გაზეთ „ნასიონალს", თავაუღებლივ კითხულობდა და თავის აზრს ხან შეძახილით გამოსთქვამდა, ხან კი მხრებს იჩეჩავდა. დროდადრო შუბლს მოიწმენდდა კუპატივით დაგრეხილი ცხვირსახოცით, გულზე რომ ეკიდა მწვანე სერთუკის ღილებს შუა. შარვალი დაჭმუჭნული ჰქონდა, ატარებდა დაბალყელიან წაღებს, გრძელ ჰალსტუხს და ფარფლებაწეული ქუდით შორიდან შეიძლებოდა მისი გარჩევა ბრბოში.

დილის რვა საათზე ჩამოვიდოდა მონმარტრიდან და ნოტრ-დამ-დე-ვიქტუარის ქუჩაზე გავიდოდა თეთრი ღვინის დასალევად. მისი საუზმე, რასაც რამდენიმე ხელი ბილიარდი მოჰყვებოდა, ნაშუადღევის სამ საათამდე გრძელდებოდა. შემდეგ გაემართებოდა პანორამის პასაჟისაკენ აბსენთის დასალევად. არნუს ოჯახს რომ მოინახულებდა, ბორდოს სამიკიტნოში ვერმუტს მიირთმევდა. შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ შინ წასულიყო, ცოლთან, ხშირად ამჯობინებდა მარტო ესადილა პატარა კაფეში გაიონის მოედანზე, სადაც თხოულობდა „რაიმე ოჯახურ, უბრალო კერძს!" ბოლოს სადმე სხვა საბილიარდოში წავიდოდა და იქ რჩებოდა თორმეტ, ნაშუაღამევის პირველ საათამდე, მანამდე, სანამ გაზს გამორთავდნენ და დარაბებს მიხურავდნენ, სანამ ქანცგამოლეული პატრონი არ შეეხვეწებოდა, წადიო.

მაგრამ ღვინის სიყვარული როდი იზიდავდა მოქალაქე რეჟემბარს ასეთი ადგილებისაკენ, არამედ პოლიტიკაზე ლაპარაკის ძველი ჩვეულება; წლებმა გზნება გაუნელეს და მოწყენით დუმილი დასჩემდა. მისი სერიოზული სახის შემხედვარე იტყოდა, თავში მთელი ქვეყნის საკითხები უტრიალებსო. აქედან არაფერი გამოდიოდა; არავინ, მისმა მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, რას აკეთებდა, თუმცა თვითონ ამბობდა, საქმის კაბინეტი მაქვსო.

არნუ თითქოს უსაზღვრო პატივისცემით ეპყრობოდა. ერთხელ ფრედერიკს უთხრა:

— მაგან ბევრი რამ იცის, მერწმუნეთ! მეტად ჭკვიანია!

რეჟისორმა ერთხელ კიდევ გაშალა თავის მაგიდაზე ქაღალდები, რომლებიც ბრეტანში არსებულ ფაიფურის თიხის საბადოებს შეეხებოდა; არნუს არ ეეჭვებოდა მისი გამოცდილება.

ფრედერიკი ახალა უფრო მოკრძალებით ეპყრობოდა რეჟისორს, ისე რომ, ხანდახან აბსენთითაც კი უმასპინძლდებოდა, და თუმცა უჭკუოდ მიაჩნდა, ხშირად მთელი საათობით იყო ხოლმე მასთან, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჟაკ არნუს მეგობარი იყო.

მას შემდეგ, რაც ზოგიერთ თანამედროვე მხატვარს პირველ ხანებში დახმარება გაუწია, სურათების ვაჭარი, მოწინავე ადამიანი, შეეცადა გაედიდებინა თავისი შემოსავალი ისე, რომ ხელოვანის ზნე არ დაკარგოდა. იგი ესწრაფვოდა ხელოვნების განთავისუფლებას, იაფად შეძენილ მშვენიერებას. პარიზის ფუფუნების საგნების მთელმა ინდუსტრიამ განიცადა მისი გავლენა, რაც კარგი იყო წვრილმანებისათვის, მსხვილმანებისათვის კი დამღუპველი. ყოველი ღონით ცდილობდა მოეგო საზოგადოების გული, საკუთარ გზას აცდენდა ნამდვილ ხელოვნებას, ხრწნიდა ნიჭიერებს, ფიტავდა სუსტებს და აქებდა მდარეებს. ისინი ხელში ჰყავდა თავისი ნაცნობობისა და გაზეთის მეოხებით. უნიჭოები ისწრაფოდნენ თავიანთი ნამუშევარი ენახათ მის ვიტრინებში და მეშპალერეებს მისგან მიჰქონდათ ავეჯის მოდელები. ფრედერიკს ერთსა და იმავე დროს იგი მიაჩნდა მილიონერად, დილეტანტად, საქმოსნად, მაგრამ მაინც ბევრი რამ აკვირვებდა, რადგან ბატონი არნუ გაქნილი იყო თავის ვაჭრობაში.

გერმანიიდან თუ იტალიიდან მას უგზავნიდნენ პარიზში ათას ხუთას ფრანკად ნაყიდ სურათს, ამას უმატებდა ზედნადებ ხარჯებს ოთხი ათასი ფრანკის რაოდენობით და შემდეგ ხათრით ყიდდა სამ ათას ხუთას ფრანკად. მისი ერთ-ერთი ხრიკი ის იყო, რომ მხატვრებისაგან ნაყიდ სურათთან ერთად მაღარიჩის სახით მოითხოვდა მის პატარა პირს ვითომ გრავიურის გასაკეთებლად; პირს ყოველთვის ყიდდა, გრავიურა კი არასოდეს არ გაკეთებულა. იმას, ვინც იჩივლებდა, მყვლეფსო, მუცელზე ხელს მიუთათუნებდა. თუმცა ისე ძალიან კარგი ბიჭი იყო, არ ენანებოდა სიგარები, უცნობს „შენობით“ მიმართავდა, რომელიმე ნაწარმოები თუ კაცი რომ მოეწონე-

ბოდა, არაფერს არ დაზოგავდა, გაამრავლებდა სტატიებს, რეკლამას და თავისას გაიტანდა. თავი ძლიერ პატიოსან კაცად მიაჩნდა, და, როცა გულის გადაშლა მოუნდებოდა, გულუბრყვილოდ დაიწყებდა ლაპარაკს თავის საძრახის ოინებზე.

ერთხელ, რათა გაეჯავრებინა ერთ-ერთი მოძმე, რომელმაც სამხატვრო ჟურნალი დააარსა, და ამის გამო ლხინი გამართა, არნუმ ფრედერიკს სთხოვა, მის თვალწინ, ასე ერთი საათით ადრე ვადაზე, წვეულთათვის მიეწერა, სადილი აღარ გაიმართებაო.

— ეს პატიოსნებას არ ბღალავს, ხომ გესმით?

და ახალგაზრდამ ვერ გაბედა უარი ეთქვა ამაზე.

მეორე დღეს, ჰიუსონესთან ერთად რომ არნუს კანტორაში შეიარა, ფრედერიკმა კარში (რომელიც კიბეზე გადიოდა) თვალი მოჰკრა ქალის კაბის კალთას.

— დიდი ბოდიში! — უთხრა ჰიუსონემ. — რომ მცოდნოდა, აქ ქალი იყო...

— ოჰ! ისა? ჩემი ცოლი იყო, წუთით შემოიარა, — მიუგო არნუმ.

— როგორ? — უთხრა ფრედერიკმა.

— დიახ, ის იყო. და ახლა შინ წავა.

გარემოს მშვენება მყის გაქრა. ის, რაც აქ იყო გაბნეული, როგორც თვითონ ეგონა, ახლა გაქრა, ან იქნებ სულაც არ ყოფილა. უსაზღვრო გაკვირვება და თითქოს ღალატით გამოწვეული ტკივილიც განიცადა.

არნუ ყუთში რაღაცას ეძებდა და იღიმებოდა. ჩემზე ხომ არ იცინისო, გულში გაივლო ფრედერიკმა. ნოქარმა არნუს მაგიდაზე ერთი დასტა ნოტიო ქაღალდი დაუდო.

— აჰ! აფიშები! — წამოიძახა ვაჭარმა. — დღეს სადილს დროზე ვერ ვეღირსები.

რეჟემბარმა თავისი ქუდი აიღო.

— როგორ, მტოვებთ?

— შვიდი საათია! — მიუგო რეჟემბარმა.

ფრედერიკიც გაჰყვა.

მონმარტრის ქუჩის კუთხეში ფრედერიკი მობრუნდა: პირველი სართულის ფანჯრებს გაჰხედა და გულში გაეცინა, რომ სიბრალული იგრძნო საკუთარი თავისადმი: რამდენჯერ სიყვარულით ჩამოუთვალიერებია ისინი! ნეტავ სად ცხოვრობს იგი? როგორ შევხვ-

დე ახლა? მარტოობა კვლავ დაეუფლა — უფრო მძაფრად, ვიდრე როდისმე.

— გინდა თუ არა? — ეკითხება რეჟემბარი.

— რა?

— აბსენთი!

დაჟინებულ ხვეწნაზე უარი ვეღარ უთხრა და ბორდოს სამიკიტნოში შეჰყვა. სანამ რეჟემბარი მკლავებზე იყო დაყრდნობილი და ბოთლს შესცქეროდა, ფრედერიკი აქეთ-იქით იხედებოდა. ტროტუარზე პელერენს მოჰკრა თვალი, სასწრაფოდ ფანჯარაზე დაუკაკუნა და, მხატვარი ჯერ კიდევ არ დამჯდარიყო, რომ რეჟემბარმა მიახალა, „Art industriel"-ში" რატომ აღარ დადიხარო.

— სულიც გამფრთხობია, თუ იქ ფეხი შევდგა! ის ერთი ვინმე პირუტყვი, მეშჩანი, საძაგელი და თაღლითია!

გაჯავრებულ ფრედერიკს ეს გინება ეამა, თუმცა ცოტა კიდევაც ეწყინა, რადგან ეგონა, ქ-ნ არნუსაც ოდნავ ეხებაო.

— განა ასეთი რა გიყო? — ჰკითხა რეჟემბარმა.

პასუხის ნაცვლად პელერენმა მიწას ფეხი დაარტყა და ღრმად ამოიხვნეშა.

იგი საჩოთირო საქმეებსაც აკეთებდა, როგორიც იყო ორფერი ფანქრით დიდ ოსტატთა პორტრეტების ხატვა ან ნაწარმოებთა გაყალბება ნაკლებ მცოდნე მოყვარულთათვის; და, რადგან ასეთი მუშაობა მას ამცირებდა, ჩვეულებრივ ამაზე დუმდა. მაგრამ „არნუს საძაგლობამ" მეტად გააბრაზა და გული მოიოხა.

არნუს შეკვეთით, რომლის მოწმეც ფრედერიკი იყო, მან ორი სურათი მოიტანა. ვაჭარმა თავს ნება მისცა ისინი გაეკრიტიკებინა! იწუნებდა კომპოზიციას, კოლორიტსა და ნახატს, განსაკუთრებით ნახატს; მოკლედ, სულაც არ უნდოდა მიეღო; მაგრამ, რაკი პელერენი იძულებული იყო ვექსილის ვადის გასვლის გამო, სურათები ებრაელ ისააკს დაუთმო და ორი კვირის შემდეგ იმავე არნუმ ისინი ორი ათას ფრანკად მიჰყიდა ვიღაც ესპანელს.

— ერთი სუც არ დაუკლია! რა საძაგლობაა! და ეს პირველად როდი უქნია, დასწყევლოს ღმერთმა, ერთხელაც იქნება სამართალში მისცემენ.

— როგორ აზვიადებთ! — გაუბედავად უთხრა ფრედერიკმა.

— კარგი ერთი! მე ვაზვიადებ? — შესძახა მხატვარმა და მაგიდას მაგრად დაარტყა მუშტი.

ამ უხეშობამ ახალგაზრდას გამბედაობა შეჰმატა. რა თქმა უნდა, შეიძლება უფრო ზრდილობიანად მოქცეულიყო; თუმცა, თუკი, არნუს აზრით, ეს სურათები...

— ცუდია! თქვით რაღა! გინახავთ კი ის სურათები? ან გესმით რამე მხატვრობაში? ჰოდა, ჩემო პატარავ, მე ამ საქმეში მოყვარულები არ მწამს!

— ეჰ! არცაა ჩემი საქმე! — უთხრა ფრედერიკმა.

— მერმე რა მოსაზრებით იცავთ? — გულგრილად ჰკითხა პელერენმა.

ახალგაზრდამ წაიბუტბუტა:

— მაგრამ... მე ხომ მისი მეგობარი ვარ!

— მაშ გადაეხვიეთ ჩემს მაგიერ! ღამე მშვიდობისა!

და მხატვარი გაჯავრებული წავიდა, რა თქმა უნდა, ისე, რომ ნახარჯზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

როცა არნუს იცავდა, ფრედერიკი დარწმუნებული იყო მის სიმართლეში. თავისი მკვერმეტყველებით გატაცებული, სინაზეს გრძნობდა ამ ჭკვიანი და კეთილი კაცისადმი, რომელსაც მისი მეგობრები ცილს სწამებენ და რომელიც ახლა მარტოდმარტო მუშაობს, ყველასაგან მიტოვებული. ამიტომ აღარ ეურჩა უცნაურ სურვილს, დაუყოვნებლივ ენახა იგი. ათი წუთის შემდეგ იგი უკვე მაღაზიის კარს აღებდა.

არნუ და მისი ნოქარი უზარმაზარ აფიშებს ამზადებდნენ სურათების გამოფენისათვის.

— ვაჰ! რამ მოგიყვანათ?

ამ უბრალო კითხვამ ფრედერიკი შეაცბუნა და, რაკი არ იცოდა, რა ეპასუხა, ჰკითხა, შემთხვევით ხომ არ გინახავთ ჩემი უბის წიგნაკი, პატარა ლურჯი ტყავისყდიანი წიგნაკიო.

— ისა, სადაც ქალების წერილებს ინახავთ? — უთხრა არნუმ.

ფრედერიკი ქალწულივით წამოწითლდა და სცადა თავი დაეცვა ასეთი მოსაზრებისაგან.

— წერილებს თუ არა, მაშ თქვენს ლექსებს? — მიუგო ვაჭარმა.

იგი არჩევდა მის წინ გაშლილ ნიმუშებს, მსჯელობდა მათს ფორმაზე, ფერზე, ბორდიურზე; ფრედერიკს სულ უფრო აღიზიანებდა მისი საქმიანი იერი, განსაკუთრებით კი მისი ხელები, აფიშებს რომ უსვამდა, დიდრონი, ოდნავ მოდუნებული, ბრტყელ-ფრჩხილებიანი ხელები. ბოლოს არნუ ადგა და თქვა: „ეს მორჩა!“

და შინაურულად ხელი ნიკაპზე მოჰკიდა. ეს უბრალოება ფრედერიკს არ მოეწონა და უკან დაიწია; შემდეგ მისი კაბინეტის ზღურბლს გადააბიჯა უკანასკნელად თავის სიცოცხლეში, როგორც ფიქრობდა; თვით ქ-ნ არნუსაც კი ამცირებდა ქმრის ასეთი ვულგარობა.

. იმავე კვირას ფრედერიკმა მიიღო დელორიეს წერილი, რომლითაც იტყობინებოდა, მომავალ ხუთშაბათს პარიზს ჩამოვალო. მაშინ ფრედერიკი კვლავ დაუბრუნდა ამ უფრო მტკიცე და უფრო ამაღლებულ მეგობრობას. ერთი ასეთი კაცი ღირდა ყველა ქალად. მისთვის საჭირო აღარ იქნება არც რეჟემბარი, არც პელერენი, არც ჰიუსონე და არც სხვა ვინმე! თავისი მეგობარი რომ უკეთ მოეწყო, იყიდა რკინის საწოლი, მეორე სავარძელი, შუა გაყო თეთრეული; ხუთშაბათ დილას კი ის იყო ჩაიცვა, რათა დელორიეს შესასვედრად წასულიყო, რომ კართან უეცრად გაისმა ზარის ხმა. არნუ შემოვიდა.

— მხოლოდ ერთი სიტყვა! გუშინ ჟენევიდან საუცხოო კალმახი გამომიგზავნეს: თქვენი იმედი გვაქვს, დღეს, ზუსტად შვიდ საათზე... შუაზელის ქუჩა, სახლი № 24, არ დაგავიწყდეთ.

ფრედერიკი იძულებული გახდა დამჯდარიყო. მუხლი უკანკალებდა. წამდაუწუმ იმეორებდა: „როგორც იქნა! როგორც იქნა!“ შემდეგ ბარათები მისწერა თავის მკერვალს, მექუდეს, მეფეხსაცმელეს და სამ სხვადასხვა დამტარებელს გაატანა. მალე კარში გასაღები გადატრიალდა და შემოვიდა მეკარე, რომელსაც მხარზე სკივრი ედო.

დელორიე რომ დაინახა, ფრედერიკი ისე შეკრთა, როგორც მოღალატე ცოლი ქმრის დანახვისას.

— რა მოგვივიდა? — უთხრა დელორიემ, — ჩემ წერილს, ალბათ, მიიღებდი?

ფრედერიკს არ შეეძლო ტყუილი ეთქვა.

ხელები გაშალა და გადაეხვია.

შემდეგ კლერკმა თავისი ამბავი მოუთხრო: მამაჩემმა მეურვეობის ანგარიშის ჩაბარებაზე უარი მითხრა, რადგან ათი წლის ხანდაზმულობაა. მაგრამ, რაკი სამართალწარმოებაში ძალიან გამოცდილი ვარ, ბოლოს და ბოლოს, მთელი დედისეული მემკვიდრეობა — შვიდი ათასი ფრანკი პირწმინდად დავაყაჭინე და აგერ ქვეელ საფულეში მაქვსო.

— ეს მარაგია შავი დღისათვის, საჭიროა ხვალ დილიდანვე მოვიფიქრო, სად მოვათავსო და თვითონაც სადმე მოვეწყო. დღეს კი სრულ შვებულებასა და შენს განკარგულებაში ვარ, ჩემო ძველო!

— ოჰ, ნუ მომერიდები! — უთხრა ფრედერიკმა. — თუ ამ საღამოს რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გაქვს...

— აბა რას ამბობ! კაი ვიგინდარა ვიქნებოდი...

ეს შემთხვევით წამოსროლილი ეპითეტი შიგ გულში მოხვდა ფრედერიკს, როგორც შეურაცხმყოფელი ქარაგმა.

მეკარემ ბუხრის პირას სუფრაზე დააწყო კატლეტები, წვნიანი, კიბოები, დესერტი და ორი ბოთლი ბორდო. ასეთმა მასპინძლობამ გული აუჩუყა დელორიეს.

— მეფესავით მიმასპინძლდები, ნამდვილად!

ილაპარაკეს წარსულზე, მომავალზე, დროდადრო ხელს უწვდიდნენ ერთმანეთს სუფრაზე და წუთით ნაზად გაუსწორებდნენ ხოლმე თვალს ერთმანეთს, მაგრამ აი გაგზავნილმა მოიტანა ახალი ქუდი. დელორიემ ხმამაღლა შენიშნა, რა კაწკაწა ლენტი აქვსო.

მერმე მკერვალმა თვითონ მოიტანა გაუთოებული ფრაკი.

— კაცს ეგონება, ქორწილი აქვსო, — უთხრა დელორიემ.

ერთი საათი გავიდა და მოვიდა მეწაღე, რომელმაც დიდი შავი ტომრიდან ამოიღო ერთი წყვილი მშვენიერი ლაქის ფეხსაცმელი. სანამ ფრედერიკი ფეხსაცმელს ისინჯავდა, მეწაღე დამცინავ თვალს არ აშორებდა პროვინციელის ფეხსაცმელს.

— ბატონო, თქვენ არაფერი გესაჭიროებათ?

— გმადლობთ, — მიუგო კლერკმა და მაგიდისქვეშ დამალა ფეხები, რომლებზეც ძველი, ყაითნიანი ფეხსაცმელი ეცვა.

ამ დამცირებამ ფრედერიკი შეაცბუნა. იგი სულ აყოვნებდა გულისნადების გამჟღავნებას. ბოლოს წამოიძახა, თითქოს რამე გაახსენდაო:

— აჰ, რა ჯანდაბაა, სულ დამავიწყდა!

— რა?

— ამ საღამოს დაპატიჟებული ვარ!

— დამბრეზებთან? რატომ არაფერს არ მწერდი მათზე?

— არა, დამბრეზებთან კი არა, არნუებთან.

— გამაფრთხილებდი, — უთხრა დელორიემ, — და ერთი დღის შემდეგ ჩამოვიდოდი.

— შეუძლებელი იყო! — მკვახედ მიუგო ფრედერიკმა, — მხოლოდ დღეს დამპატიჟეს, ამ დილით.

და თავისი დანაშაული რომ გამოესყიდა და მეგობრის ყურადღება სხვა რამისთვის მიექცია, დაიწყო სკივრის თოკების შემოხსნა, კომოდის დალაგება, სურდა მეგობრისათვის დაეთმო თავისი ლოგინი, თვითონ კი საკუჭნაოში დაწოლილიყო, შემდეგ, ოთხი საათიდან თავის მორთვას შეუდგა.

— დრო კიდევ ბევრი გაქვს, — უთხრა მეგობარმა.

ბოლოს ჩაიცვა და წავიდა.

— აი მდიდრები! — გულში თქვა დელორიემ.

და სასადილოდ წავიდა ერთ პატარა რესტორანში სენ-ჟაკის ქუჩაზე.

ფრედერიკს ისე ძლიერ უძგერდა გული, რომ რამდენჯერმე შეჩერდა კიბეზე. ერთი ხელთათმანი, მეტად ვიწრო, გაუსკდა და სანამ გახეულ ადგილს სახელოში დამალავდა, მის უკან კიბეზე მიმავალმა არნუმ მკლავში ხელი მოჰკიდა და შეიყვანა.

ტალანი ჩინურად იყო მოწყობილი: ჭერში მოხატული ფარანი ეკიდა, კუთხეებში ბამბუკები იდგა. სასტუმრო ოთახში გავლისას ფრედერიკმა ფეხი წამოსდო ვეფხვის ტყავს. სანთლები ჯერ კიდევ არ აენთოთ, მხოლოდ ბუდუარში ენთო ორი ლამპა.

მ-ელ მართა შემოვიდა და თქვა, დედა იცვამსო. არნუმ ქალიშვილს ხელი სტაცა, ტუჩამდე აიყვანა და აკოცა; შემდეგ რაკი სურდა თვითონ აერჩია სარდაფში ღვინო, ფრედერიკი ქალიშვილთან დატოვა.

იგი ძლიერ გაზრდილიყო მონტეროში მგზავრობის შემდეგ. შავი თმის კულულები შიშველ მკლავებზე ეფინა; ბალერინას კაბაზე უფრო შნოიერ, მოკლე კაბაში ვარდისფერი ბარკლები უჩანდა და მთელი მისი ქორფა ტანი ყვავილების თაიგულივით ფშვინავდა. ფრედერიკის ქათინაურები ისე მიიღო, როგორც მოაშიკემ; თავისი ღრმა თვალები გაუსწორა, ავეჯებს შუა გაძვრა და კატასავით გაილალა.

ფრედერიკი აღარ ღელავდა. ქაღალდის მაქმანით დაფარული ლამპების აბაჟურები ლილისფერი აბრეშუმით გაკრულ კედლებს რძისფერ მკრქალ შუქს აფრქვევდნენ, ბუხრის რიკულაში, დიდ მარაოს რომ ჰგავდა, ნაკვერჩხლები მოჩანდა; საათის გვერდით ვერცხლისსაკეტებიანი ყუთი იდო. აქა-იქ გაბნეული იყო სხვადასხვა საოჯახო ნივთები: პატარა სავარძელზე იდო დედოფალა, სკამის ზურგზე თავსაფარი ეკიდა, სამუშაო მაგიდაზე კი რაღაც ნაქსოვი,

რომელშიც გარეშობილი იყო ორი ძვლის ყაისნაღი. ეს იყო ერთი მშვიდი, მოკრძალებული და ოჯახური კუთხე.

არნუ დაბრუნდა; მეორე კარში კი ქ-ნი არნუ გამოვიდა. ქალს ჩრდილი დაეცა და ფრედერიკი პირველად მხოლოდ მის თავს ხედავდა. ტანთ ეცვა შავი ხავერდის კაბა, თავზე ეხურა წითელი აბრეშუმის ალყირული გრძელი ლეჩაქი, თმის სავარცხელზე რომ იყო შემოხვეული და ბოლო მარცხენა მხარზე ეშვებოდა.

არნუმ ფრედერიკი გააცნო.

— ოჰ, მე კარგად ვიცნობ ბატონს, — მიუგო მან.

შემდეგ შემოვიდა თითქმის ყველა წვეული: დიტმერი, ლოვარიასი, ბიურიე, კომპოზიტორი როზენვალდი, პოეტი თეოფილე ლორისი, ორი მხატვრული კრიტიკოსი — ჰიუსონეს კოლეგები, ქაღალდის ქარხნის მეპატრონე და ბოლოს განთქმული პიერ-პოლ მეინსიუსი — დიდი ფერწერის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც თავის დიდებასთან ერთად მხნედ ატარებდა ოთხმოცი წელსა და ვეება მუცელს.

როცა სტუმრები სასადილო ოთახისაკენ გაემართნენ, ქ-ნმა არნუმ მკლავი გაუყარა მას. ერთი სკამი თავისუფალი დარჩა პელერენისათვის. არნუს უყვარდა იგი და თანაც ექსპლუატაციას უწევდა. გარნა ისე ძლიერ ეშინოდა მის ავი ენისა, რომ გულის მოსაგებად მისი პორტრეტი მოათავსა „Art industriel-ში“ და გადაჭარბებული ქებით მოიხსენია. პელერენი, ვისაც სახელი უფრო ენატრებოდა, ვიდრე ფული, საღამოს რვა საათზე აქოშინებული მოვიდა. ფრედერიკს ეგონა, უკვე დიდი ხანია შევრიგდითო.

საზოგადოება, საჭმელი, ყველაფერი მოსწონდა. სასადილო ოთახის კედლებზე, საშუალო სიუკუნეთა დარბაზივით, გაკრული იყო ტვიფრული ტყავი; ჰოლანდიური ეტაჟერი იდგა ჩიბუხების საჭერის წინ, ბოჰემიური სხვადასხვა ფერის ბროლის ჭიქები, რომლებიც სუფრაზე იყო ჩამწკრივებული, გაჩირაღდნებულ ბაღს ჰგავდა.

სუფრაზე იყო ათი სახეობის მდოგვი; ფრედერიკმა გასინჯა დაკპაშო, კერი, ილი, კორსიკული შაშვები, რომაული ვერმიშელი; დალია არაჩვეულებრივი ღვინოები, ლიპ-ფრაოლი და ტოკაი. არნუ პურ-მარილის კაცი იყო, უმასპინძლდებოდა ფოსტის მეეტლეებს, რომელთაც სხვადასხვანაირი სურსათი მოჰქონდათ მისთვის, და იცნობდა მდიდართა მზარეულებს, საწებლების რეცეპტებს რომ აძლევდნენ.

მაგრამ ფრედერიკს განსაკუთრებით ართობდა საუბარი. რაკი მოგზაურობა უყვარდა, ტკბებოდა დიტმერის ნაამბობით აღმოსავლეთზე; თეატრისადმი ინტერესს უკმაყოფილებდა როზენვალდის ლაპარაკი ოპერაზე; ხოლო ბოჰემიური ცხოვრების სიმკაცრე სასაცილო ეჩვენებოდა იმ მხიარულების გამო, რომლითაც ჰიუსონე შეფერადებულად აღწერდა, როგორ გაატარა მთელი ზამთარი ისე, რომ ჰოლანდიური ყველის გარდა სხვა არაფერი არ უჭამია. შემდეგ ლოვარიასსა და ბიურიეს შორის ატეხილმა კამათმა ფლორენციულ სკოლაზე მთელი შედევრები გადაუშალა თვალწინ, გაუფართოვა ჰორიზონტი და ძლივს შეიკავა აღტაცება, როცა პელერენმა წამოიძახა:

— თავს ნუ მაბეზრებთ მაგ თქვენი საძაგელი რეალობით! რა არის რეალობა? ზოგი ხედავს შავს, ზოგი ცისფერს, უმრავლესობა სისულელეს. არაფერი არ არის იმაზე ნაკლებ ბუნებრივი, ვიდრე მიქელანჯელო, არაფერი არ არის იმაზე უფრო შესანიშნავი! ზრუნვა გარეგნული სიმართლისათვის ამხელს თანამედროვე სიმდაბლეს; და, თუ ასე გაგრძელდა, ხელოვნება გადაიქცევა რაღაც უაზრობად, გახდება ნაკლებ პოეტური, ვიდრე რელიგია, და ნაკლებ საინტერესო, ვიდრე პოლიტიკა. თქვენ ვერ მიაღწევთ მის მიზანს, — დიაღ, მის მიზანს! — რაც ის არის, რომ მოგვანიჭოს არაპიროვნული აღტაცება, რაიმე მცირე ნაცოდვილარით, რაგინდ ეცადოთ შეალამაზოთ იგი. აი, მაგალითად, ბასოლიეს სურათები; ლამაზია, მოხდენილია, ფაქიზია და არა მძიმე! შეიძლება ჯიბეში ჩაიდო, გზაში თან წაიღო! ნოტარიუსები ასეთ რამეში ოცი ათასობით ფრანკს იძლევიან, მათი იდეების ფასი კი გახვრეტილი ფარაა, ხოლო უიდეოდ არაფერი დიადი არ იქნება! თუ დიადი არაა, არც მშვენიერია! ოლიმპო მთაა! ყველაზე განსაცვიფრებელი ძეგლი მუდამ პირამიდები იქნება. უმჯობესია ნამეტნაობა, ვიდრე ზომიერება, უდაბნო, ვიდრე ტროტუარი, და ველური, ვიდრე დალაქი!

ფრედერიკი რომ ამას უსმენდა, ქ-ნ არნუს უცქეროდა, სიტყვები მის გონებაში ისე ცვიოდა, როგორც ნატეხი ლითონი ბრძმედში, ერთვოდნენ მის ვნებას და სიყვარულად იქცეოდნენ.

იგი მესამე იჯდა ქ-ნ არნუს შემდეგ, იმავე მხარეზე. ქალი ხანდახან ოდნავ დაიხრებოდა, თავს მოაბრუნებდა და რამეს ეტყოდა თავის პატარა ქალიშვილს; და, რაკი მაშინ გაიღიმებდა ხოლმე, ლოყაზე ჭუტი გაუჩნდებოდა, რაც მის სახეს უფრო სათნო იერს ანიჭებდა.

როცა ლიქიორები მოიტანეს, იგი წავიდა. ლაპარაკი მეტად მოურიდებელი გახდა; აქ ბ-ნი არნუ ბრწყინავდა, ფრედერიკი გაკვირვებული იყო მამაკაცთა ამ ცინიზმით. თუმცა ინტერესი ქალისადმი თითქოს თანასწორობას ამყარებდა მათსა და მას შორის, რაც მას ამაღლებდა საკუთარ თვალში.

სასტუმრო ოთახში რომ დაბრუნდა, ზრდილობის გამო, გადაშალა ალბომი, მაგიდაზე რომ იდო. იმ დროის დიდ ხელოვანებს დაემშვენებინათ იგი თავიანთი ნახატებით, ჩაეწერათ პროზა, ლექსები, თუ უბრალოდ, დაეტოვებინათ ხელწერა; სახელგანთქმულთა შორის ბევრი იყო უცნობი და საგულისხმო აზრი კანტიკუნტად ხვდებოდა აუარებელ სისულელეში. ცოტად თუ ბევრად ყველა შეიცავდა ქ-ნ არნუს ქებას. ფრედერიკისათვის საშიში იქნებოდა, თუნდაც ერთი სტრიქონი ჩაეწერა მათ გვერდით.

ქ-ნი არნუ ბუდუარში გავიდა, რათა მოეტანა ვერცხლსაკეტიანი ყუთი, ფრედერიკმა რომ ბუხრის თავზე დაინახა. ეს იყო მისი ქმრის ნაჩუქარი, აღორძინების ეპოქის ნახელოვნევი. არნუს მეგობრები აქებდნენ ამ ნობათს, ცოლი მადლობას უხდიდა; ქმარს სინაზე მოერია და ცოლი გადაკოცნა ყველას წინაშე.

შემდეგ ლაპარაკი გაჩაღდა აქა-იქ, ჯგუფურად; ძია მეინსიუსი ქ-ნ არნუსთან იჯდა პატარა საგარძელში ბუხართან: ქალი მისი ყურისკენ იხრებოდა, თავები ერთმანეთს ეხებოდნენ; — და ფრედერიკი დათანხმდებოდა ყოფილიყო ყრუ, უმწეო და მახინჯი, ოღონდ ჰქონოდა სახელი და თეთრი თმა, ერთი სიტყვით, ისეთი რამ, რაც სწორედ ასე დააახლოვებდა ამ ქალთან. გული უწუხდა, გაბრაზებული იყო თავის სიყმაწვილეზე.

მაგრამ აი ქ-ნი არნუ მივიდა სალონის იმ კუთხეში, სადაც ფრედერიკი იყო და ჰკითხა, სტუმართაგან თუ იცნობთ ვინმეს, ფერწერა თუ გიყვართ და დიდი ხანია პარიზში სწავლობთო? მისი წარმოთქმული ყოველი სიტყვა ფრედერიკს ეგონა რაღაც ახალი, მხოლოდ მის პიროვნებაზე დამოკიდებული. თვალს არ აშორებდა მისი ფესიდან გადმოკიდებულ ფოჩს, შიშველ მხარს რომ ეხებოდა, სულით იძირებოდა ქალის ტანის ამ სითეთრეში, გარნა ვერ ბედავდა თვალი გაემართა და სახეში შეეხედა პირდაპირ.

როზენვალდმა შეწყვიტა მათი საუბარი და ქ-ნ არნუს სთხოვა, გვიმღერეთ რამეო. კაცი კლავიშებს შეეხო, ქალი ელოდებოდა; გახსნა ბაგე და გაისმა მშვენიერი, თანაბრად მორაკრაკე ხმა.

ფრედერიკმა ვერაფერი ვერ გაიგო იტალიური სიტყვებიდან. სიმღერა იწყებოდა დინჯი რიტმით, როგორც საეკლესიო გალობა, შემდეგ თანდათან ცოცხლდებოდა, წკრიალებდა ზარივით და მყის მინელდებოდა; მაშინ ნაზად მეორდებოდა მელოდია ფართო და განზომილი.

ქალი კლავირთან იდგა ხელებდაშვებული, თვალით სადღაც, სივრცეს გასცქეროდა. ზოგჯერ ნოტების წასაკითხავად წუთით თვალს მოუტავდა და წინ წამოიწევდა მისი კონტრალტო დაბალ რეგისტრებზე ავბედითად გაისმოდა და გულს ყინავდა; ლამაზი სახე, გრძელი წარბები რომ ამშვენებდნენ, მხარზე ეხრებოდა; მკერდი ებურცებოდა, ხელებს შლიდა, თავს უკან გადააგდებდა ნაზად, თითქოს ვისმე ჰაეროვან ამბორს უძღვნისო, ხმა კი განაგრძობდა რაკრაკს; სამი მაღალი ნოტა აიღო, დაეშვა, ერთი კიდევ შესძახა სულ მაღლა და, მცირე დუმილის შემდეგ, დინჯად დაამთავრა.

როზენვალდი პიანინოს არ მოშორებია. თავისთვის განაგრძობდა დაკვრას. დროდადრო სტუმართაგან ვინმე წავიდოდა. თერთმეტ საათზე, რადგან უკანასკნელნიც წავიდნენ, არნუ პელერენს გაჰყვა, გავაცილებო. იგი იმ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა, ვინც თავს ავად გრძნობს, თუ ნასადილევს ერთი არ გაისეირნა.

ქ–ნი არნუ ტალანში გავიდა; დიტმერი და ჰიუსონე გამოეთხოვნენ, მან ხელი გაუწოდა; ხელი გაუწოდა აგრეთვე ფრედერიკს, რამაც ჟრუანტელი მოჰგვარა მთელ ტანში.

ფრედერიკი მეგობრებს გამოეთხოვა; მარტო დარჩენა უნდოდა. გული საგულეში ვეღარ ეტეოდა. „რად გამომიწოდა ხელი? მოუფიქრებელი საქციელი იყო თუ გამამხნევებელი ნიშანი? კარგი, ერთი! ნამდვილად გავგიჟდი! თუმცა სულ ერთი არაა, თუკი ახლა შემიძლია ვნახო, როცა მინდა, ვისუნთქო მისი ჰაერი!“

ქუჩები უკაცრიელი იყო. ხანდახან გაივლიდა მძიმე საზიდარი და ქვაფენილს შეაზანზარებდა. რუხკედლიანი სახლები ფანჯრებგამოკეტილი იყო; იგი აგდებულად ფიქრობდა იმ ადამიანებზე, რომლებსაც კარგამოკეტილში ეძინათ, ცხოვრობდნენ ისე, რომ არ ენახათ მისი საყვარელი არსება და არც კი ეგონათ, იყო ამ ქვეყნად თუ არა! დაეკარგა სივრცისა და ადგილის წარმოდგენა, სად იმყოფებოდა, რას შვრებოდა; მიდიოდა, ხელჯოხს დახურულ დარაბებს უკაკუნებდა და მიიწევდა სულ წინ, შეუგნებლად, გაბჟობილი,

გატაცებული. უეცრად სინესტე იგრძნო; მიხვდა, რომ სანაპიროზე იყო.

ანთებული ფარნები ორ უსასრულო წყებად იყო ჩამწკრივებული, გრძელი წითელი ალი წყლის სიღრმეში ციალებდა. წყალი ასპიდისფერი იყო, უფრო ნათელი ცა კი თითქოს უზარმაზარ ჩრდილებს ეყრდნობოდა, მდინარის ორივე ნაპირზე რომ იყო აღმართული. შენობები, რომლებიც არ ჩანდა, უფრო ამძაფრებდნენ წყვდიადს. გაშუქებული ნისლი მიცურავდა სახურავებზე; ყოველგვარი ხმაური ერთ გუგუნად ისმოდა; ქროდა მსუბუქი ნიავი.

ფრედერიკი ახალ ხიდზე შეჩერდა და ქუდმოხდილი, საკინძეგახსნილი ისუნთქავდა ჰაერს. გრძნობდა, რომ გულის სიღრმიდან დაიძრა რაღაც უშრეტი ნაკადი, მომდუნებელი სინაზის ტალღა, როგორც მოლივლივე წყალი მის თვალწინ. სადღაც ეკლესიის საათმა დარეკა ნაშუალამევის პირველი საათი, თითქოს ვიღაცამ უხმოო.

მაშინ სულის ისეთი ფრფენა დაეუფლა, როცა გგონია სადღაც უზენაეს სამყაროში გადამიყვანესო. უეცრად დაებადა არაჩვეულებრივი უნარი, რომლის მიზანიც არ იცოდა. სერიოზულად დაეკითხა თავის თავს, დიდი მხატვარი გინდა იყო თუ დიდი პოეტი;— და გადაწყვიტა, მხატვარიო, რადგან ამ ხელოვნებას შეეძლო იგი ქ-ნ არნუსთან დაეახლოებინა. მაშასადამე, პოვა თავისი მოწოდება! ახლა ცხადი იყო მისი არსებობის მიზანი, მომავალი კი გარდაუვალი.

როცა კარი მიიხურა, შეესმა, ვიღაც ხვრინავდა ბნელ საკუჭნაოში მისი ოთახის გვერდით. ეს მისი ამხანაგი იყო, რომელიც უკვე დავიწყნოდა.

სარკეში თავისი სახე დაინახა. ლამაზი ვარო, გაიფიქრა, და ერთ ხანს სარკესთან იდგა.

V

მეორე დილით ფრედერიკმა იყიდა ერთი ყუთი საღებავები, ფუნჯები, მოლბერტი. პელერენმა იკისრა გაკვეთილები მიეცა მისთვის და ფრედერიკმა თავის ბინაზე მიიყვანა, რათა ენახა, ხომ არაფერი აკლია ისეთი, რაც ფერწერისათვის საჭიროაო.

დელორიე უკვე დაბრუნდა. მეორე სავარძელში ერთი ახალგაზრდა იჯდა. კლერკმა უთხრა:

— აი ეს არის სენეკალი.

ფრედერიკს იგი არ მოეწონა. შუბლი უფრო მაღალი უჩანდა, რადგან თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. რაღაც მკაცრი და ცივი გამოსჭვიოდა ჩიჩხ თვალებში, ხოლო მისი გრძელი შავი სერთუკი პედაგოგისა და მღვდლის ტანსაცმელს აგონებდა.

ლაპარაკი ჯერ ახალ ამბებზე იყო, სხვათა შორის, როსინის „სტაბატზე". როცა სენეკალს ჰკითხეს, განაცხადა, თეატრში არასოდეს არ ვყოფილვარო.

პელერენმა საღებავების ყუთი გახსნა.

— ეს ყველაფერი შენია? — ჰკითხა კლერკმა.

— დიახ!

— დახე! აი იდეა!

და იგი დაიხარა მაგიდაზე, სადაც მათემატიკის რეპეტიტორი ლუი ბლანის ტომს ფურცლავდა. ეს წიგნი თან მოეტანა და ახლა ხმადაბლა კითხულობდა ცალკეულ ადგილებს, ხოლო პელერენი და ფრედერიკი ათვალიერებდნენ პალიტრას, შპატელს, საღებავებს; შემდეგ სიტყვა ჩამოვარდა არნუეებისას გამართულ სადილზე.

— სურათების ვაჭრისას? — იკითხა სენეკალმა. — კაი ვინმეა, ჩემმა მზემ!

— ვითომ რაო? — უთხრა პელერენმა.

სენეკალმა მიუგო:

— კაცი, რომელიც პოლიტიკური საძაგლობით ფულს აკეთებს!

და მან ლაპარაკი დაიწყო განთქმულ ლიტოგრაფიულ სურათზე, რომელზეც გამოხატულია სხვადასხვაგვარი სასარგებლო საქმიანობით გართული მეფე და მთელი მისი ოჯახი: ლუი-ფილიპეს კანონთა კრებული უჭირავს, დედოფალს ლოცვანი, პრინცესები ქარგავენ, ნემურის ჰერცოგი ხმალს ირტყამს წელზე, ბ-ნი დე ჟუანვილი გეოგრაფიულ რუკას უჩვენებს თავის უმცროს ძმებს; ოთახის სიღრმეში მოჩანს ორმაგი საწოლი. ეს სურათი— „ერთი კარგი ოჯახი" ბურჟუებს ახარებდა, პატრიოტებს კი ამწუხრებდა. გაჯავრებულმა პელერენმა, თითქოს თვით ყოფილიყოს ამ სურათის ავტორი, უპასუხა, რაღა ერთი აზრი და რაღა მეორეო; სენეკალმა პროტესტი განაცხადა: ხელოვნების ერთადერთი მიზანი მასების მორალური გაკეთილშობილება უნდა იყოს! ისეთი სიუჟეტი უნდა აირ-

ჩიო, რომ კაცს კეთილი საქმისათვის აქეზებდეს, სხვა ყოველივე მავნებელიაო.

— ეს დამოკიდებულია შესრულებაზე! — წამოიძახა პელერენმა. — მე შემიძლია შედეგრი შევქმნა.

— მაშინ, მით უარესი თქვენთვის! უფლება არავის აქვს...

— როგორ?

— არა, ბატონო! უფლება არა გაქვთ ის დამაძალოთ, რასაც ვგმობ! რად მინდა გულდასმით გაკეთებული ისეთი რამეები, რისგანაც ვერავითარ სარგებელს ვერ ვნახავ; მაგალითად, მთელი ეს ვენერები, მთელი თქვენი პეიზაჟები? ამაში ხალხისათვის საგულისხმოს ვერაფერს ვხედავ. უმჯობესია გვიჩვენოთ მისი გაჭირვება! აღგვაფრთოვანეთ იმ მსხვერპლით, რომელიც მას გაუღია! ეჰ, ღმერთო ჩემო, განა ცოტაა ასეთი სიუჟეტი: სოფლის მეურნეობა, სახელოსნო...

პელერენს სიბრაზით ენა ებმოდა, ეგონა, საბუთი ვიპოვნეო:

— მოლიერი გწამთ თუ არა?

— მწამს! — უთხრა სენეკალმა. — აღტაცებაში მოვყავარ, როგორც რევოლუციის წინამორბედს.

— აჰ! რევოლუცია! რა ხელოვნებაა? იმაზე უბადრუკი ეპოქა არასოდეს არ ყოფილა!

— იმაზე უდიდესი, ბატონო ჩემო!

პელერენმა ხელები გულზე დაიკრიფა და თვალი გაუსწორა:

— თქვენ ჩინებულ ეროვნულ გვარდიელს მაგონებთ!

კამათს ჩვეულმა მოწინააღმდეგემ მიუგო:

— მე გვარდიელი არა ვარ და ისევე მძულს იგი, როგორც თქვენ. მაგრამ მაგნაირი პრინციპებით ხალხს რყვნიან! თუმცა მთავრობის განზრახვაც ეგეთია. იგი ესოდენ ძლიერი არ იქნებოდა, მასხარათა ხროვა რომ მხარს არ უჭერდეს.

მხატვარი ვაჭარს იცავდა, რადგან სენეკალის აზრი აბრაზებდა. მან იმის მტკიცებაც კი გაბედა, ეაკ არნუ ნამდვილი ოქრო კაცია, შეგობრების ერთგული და ცოლის ნაზად მოყვარულიო.

— ოჰ! ოჰ! კარგი თანხა რომ შესთავაზო, მენატურედაც კი გაგიხდის ცოლს.

ფრედერიკი გაფითრდა.

— ალბათ, ძლიერ გაწყენინათ რამე, ბატონო?

— მე? არა! მხოლოდ ერთხელ ვნახე, კაფეში, მეგობართან. ეს იყო და ეს.

სენეკალი მართალს ამბობდა. მაგრამ „Art industriel-ის“ რეკლამები ყოველ დღე აბრაზებდნენ. მის თვალში არნუ იყო იმ ადამიანების წარმომადგენელი, რომლებიც დემოკრატიის დამღუპველად მიაჩნდა. თავგადაკლული რესპუბლიკელი იყო და ყოველგვარი მშვენიერება გახრწნილებად მიაჩნდა, თვითონ კი არაფერი არ ესაჭიროებოდა და უმწიკვლოდ პატიოსანი იყო.

საუბარი ძნელად ეწყობოდა. მხატვარს მალე თავისი პაემანი მოაგონდა, რეპეტიტორს კი მოწაფეები; როცა ისინი წავიდნენ, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, არნუს ამბავი გამოჰკითხა.

— შემდეგ მეც წარმადგენ, არა, ძველო?

— რასაკვირველია, — მიუგო ფრედერიკმა.

მერმე იფიქრეს იმაზე, თუ როგორ მოწყობილიყვნენ. დელორიემ ადვილად მიიღო მეორე კლერკის ადგილი ადვოკატთან, ჩაეწერა სამართლის სკოლაში, შეიძინა აუცილებელი წიგნები; და დაიწყო ცხოვრება, რომელზეც ესოდენ ოცნებობდნენ.

ეს ცხოვრება მომხიბვლელი იყო მათი ახალგაზრდობის სილამაზის გამო. დელორიე ფულის არავითარ საკითხზე არ ლაპარაკობდა, ფრედერიკსაც არ უხსენებია იგი. ფრედერიკი ეწეოდა ყოველგვარ ხარჯს, ალაგებდა კარადას, ოჯახობდა; ხოლო თუ საჭირო იყო მეკარის დატუქსვა, ამას კლერკი კისრულობდა და ახლაც ისე, როგორც კოლეჯში, მფარველისა და უხუცესის როლს ასრულებდა.

ერთმანეთს მთელ დღეს ვერ ხედავდნენ და მხოლოდ საღამოს შეიყრებოდნენ. თავიანთ ადგილებზე დასხდებოდნენ ბუხართან და საქმობდნენ. ეს იყო გულის უსაზღვრო გადაშლა, უმიზეზო მხიარულება და ზოგჯერ დავაც აბოლებული ლამპის, თუ სადღაც მიგდებული წიგნის გამო, წუთიერი წყრომა, სიცილით რომ მთავრდებოდა ხოლმე.

საკუჭნაოს კარი მუდამ ღია იყო და შორიდანაც შეეძლოთ ლაუბობა ლოგინში მწოლიარეთ.

დილით პერანგის ამარა დასეირნობდნენ აივანზე; მზე ამოვიდოდა, მდინარეზე მსუბუქი ნისლი აიკრიფებოდა, მახლობელი ყვავილების ბაზრიდან მოისმოდა წივილ-კივილი; მათი ჩიბუხების ბოლი დაიხვეოდა სუფთა ჰაერში, ნამძინარევ თვალებს რომ აგრილებდა; ისუნთქავდნენ ამ ჰაერს და გული ევსებოდათ დიდი იმედით, ყველგან რომ იყო გაბნეული.

თუ წვიმა არ იყო, კვირაობით, ერთად მიდიოდნენ სასეირნოდ და მკლავგაყრილნი დადიოდნენ ქუჩებში. თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე აზრი დაებადებოდათ ხოლმე, ანდა, როცა ლაპარაკობდნენ, გარშემო ვერაფერს ვერ ხედავდნენ. დელორიე ნატრობდა სიმდიდრეს როგორც ადამიანებზე ბატონობის საშუალებას. სურდა აემოძრავებინა რაც შეიძლება მეტი ხალხი, გამოეწვია დიდი ხმაური, თავის განკარგულებაში ჰყოლოდა სამი მდივანი, და კვირაში ერთხელ გაემართა დიდი პოლიტიკური სადილი. ფრედერიკი სასახლეს იწყობდა მავრულ გემოვნებაზე, რათა წოლილიყო ქიმმირგადაკრულ დივანზე და დამტკბარიყო შადრევნების ჟღურტულით; მოსამსახურედ ჰყოლოდა ზანგი პაჟები და ბოლოს ფანტაზია ან ოცნება ისეთ გაურკვეველ სახეს იღებდა, რომ ფრედერიკი წუხდა ხოლმე, თითქოს ყოველივე ეს მართლაც დაჰკარგვოდეს.

— რად უნდა ვილაპარაკოთ ყოველივე ამაზე, — იტყოდა იგი, — თუ არასოდეს არ გვექნება!

— ვინ იცის? — მიუგებდა დელორიე.

მიუხედავად დემოკრატიული აზროვნებისა, იგი ურჩევდა ფრედერიკს დაახლოებოდა დამბრეზებს. ეს კი შეესიტყვებოდა, ბევრჯერ ვცადეთ.

— ვა! ერთხელ კიდევ მიდი! მიგიწვევენ!

მარტის შუა რიცხვებში, სხვა საკმაოდ დიდ ანგარიშებს შორის, მათ მოუვიდათ იმ სამიკიტნოს ანგარიში, სადაც სადილობდნენ ხოლმე. ფრედერიკს მთელი ხარჯის გასასტუმრებელი ფული არ ჰქონდა და დელორიესაგან ისესხა ასი ეკიუ; ორი კვირის შემდეგ კვლავ სთხოვა და კლერკმა გვარიანად გაჯორა იმის გამო, რომ ამდენს ხარჯავს არნუებთან.

მართლაც, აქ იგი ზომიერებას არ იცავდა. ვენეციის ხედს, ნეაპოლის ხედს, კონსტანტინეპოლის ხედს ეკავა მისი ოთახის სამი კედელი, აქა-იქ ეკიდა ალფრედ დე დრეს ცხენთა ესკიზები, ბუხარზე იდო პრადიეს ქანდაკებათა ჯგუფი, პიანინოზე ეწყო ჟურნალ „Art industriel-ის" ნომრები, ოთახის კუთხეებში იატაკზე ეყარა ყდები და ამის გამო ისეთი ვიწროობა იყო, რომ წიგნს ვერსად დადებდი და ხელს ვერ გაანძრევდი. ფრედერიკი ირწმუნებოდა ეს ყველაფერი სახატავად მესაჭიროებაო.

იგი პელერენთან მუშაობდა. პელერენი კი ხშირად არ იყო ხოლმე შინ. ჩვეულებად ჰქონდა დასწრებოდა ყველა დაკრძალვასა და

ამბავს, რაზეც გაზეთები ბეჭდავენ, და ფრედერიკი მთელ საათებს მარტო ატარებდა ატელიეში. ამ დიდი ოთახის სიჩუმე, სადაც ისმოდა მხოლოდ თაგვების ჩუჩუნი, სინათლე, ჩარდახიდან რომ ჩამოდიოდა, ღუმელის გუგუნიც კი, ყოველივე ეს ერთგვარ სულიერ კმაყოფილებას ჰგვრიდა. შემდეგ თვალს მოაშორებდა სამუშაოს, მიაშტერდებოდა ჩამოქერქილ კედლებს, უმნიშვნელო საგნებს ეტაჟერზე, ტორსებს, სქელი მტვერი რომ ხავერდის სამოსივით ჰფარავდა, და როგორც ტყეში გზადაბნეული მუდამ ერთსა და იმავე წერტილს უბრუნდება, ყოველი თავისი ფიქრის ფსკერზე პოულობდა ქ-ნ არნუზე მოგონებას.

ნიშნავდა დღეებს მასთან წასასვლელად; მეორე სართულზე ავიდოდა, კართან შედგებოდა და ზარის დარეკვას ვერ ბედავდა; ესმოდა ნაბიჯების ხმა, როცა კარი გაიღებოდა და ეტყოდნენ: ქალბატონი შინ არ არისო, ეს იყო შვება, თითქოს გულზე უზომო ტვირთი მოეხსნაო.

თუმცა კიდევაც შეხვდებოდა ხოლმე. პირველად რომ ეწვია, მასთან სამი ქალი იყო, მეორეჯერ, ნაშუადღევს მ-ელ მართას სუფთა წერის მასწავლებელმა მოუსწრო. მამაკაცები, რომლებიც ქ-ნ არნუს ეწვეოდნენ ხოლმე, ვიზიტად არ მიდიოდნენ მასთან. ფრედერიკი მოერიდა და აღარ მისულა.

ხუთშაბათს სადილზე რომ მიწვევა მიეღო, იგი ყოველ ოთხშაბათს დადიოდა „Art industriel-ში“ და ყველაზე დიდხანს რჩებოდა იქ, რეჟემბარზე გვიანაც კი, ვითომ გრავიურას ათვალიერებდა ან გაზეთს კითხულობდა. ბოლოს არნუ ეტყოდა: „ხვალ საღამოს გცალიათ?“ მიწვევაზე თანხმობას აცხადებდა, სანამ არნუ ფრაზას დაამთავრებდა. არნუ თითქოს კიდევაც დაუმეგობრდა. ასწავლიდა თუ რა ღვინო ეყიდა, როგორ მოემზადებინა პუნში ან ჩიბუხას რაგუ; ფრედერიკი მორჩილად ასრულებდა მის რჩევას, უყვარდა ყველაფერი, რაც ქ-ნ არნუსთან იყო დაკავშირებული, მისი ავეჯი, მისი მოსამსახურეები, მისი სახლი, მისი ქუჩა.

ამ სადილებზე სრულიად არ იღებდა ხმას, აკვირდებოდა მხოლოდ ყველაფერს. ქ-ნ არნუს მარჯვენა საფეთქელზე პატარა ხალი ჰქონდა; ყურებზე სადად გადავარცხნილი თმა უფრო მუქი ფერისა იყო, ვიდრე კეფაზე, და მუდამ თითქოს ოდნავ სველი ბოლოებზე; დროდადრო იგი ორი თითით იტკეცავდა ხოლმე მას. ფრედერიკმა შეისწავლა ყოველი მისი ფრჩხილი, ტკბებოდა მისი აბრეშუმის კა-

ბის შრიალით, როცა კარში გავიდოდა ხოლმე, შეუმჩნევლად იყნოსავდა მისი ცხვირსახოცის სურნელებას; მისი სავარცხელი, თათმანები, ბეჭდები ფრედერიკისათვის რაღაც განსაკუთრებული ნივთები იყო, მნიშვნელოვანი, ვით ხელოვნების ნაწარმოები, თითქმის ცოცხალი, როგორც ადამიანები; ისინი უძგერებდნენ გულს და უძლიერებდნენ ვნებას.

ძალა არ ყოფნიდა დაემალა თავისი გრძნობა დელორიესათვის. როცა ქ-ნ არნუსაგან დაბრუნდებოდა, თითქოს უნებლიეთ, აღვიძებდა ხოლმე, ოღონდ მასზე ელაპარაკნა.

დელორიე, რომელსაც საკუჭნაოში ეძინა, პირსაბანის ახლოს, გრძლად დაამთქნარებდა ხოლმე. ფრედერიკი საწოლზე დაუჯდებოდა ფერხთით. ჯერ სადილზე ილაპარაკებდა, მერმე უამბობდა ათასგვარ უმნიშვნელო წვრილმანს, რომლებშიც თავისადმი სიძულვილისა თუ კარგი განწყობილების ნიშანს ხედავდა. ერთხელ, მაგალითად, მკლავგაყრილი არ გაჰყვა, რადგან დიტმერი ირჩია, რამაც ფრედერიკი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

— აჰ, რა სისულელეა!

ანდა ერთხელ უწოდა: ჩემო მეგობაროო.

— მაშასადამე, უფრო გაბედული უნდა იყო!

— მაგრამ ვერ ვბედავ, — ეტყოდა ფრედერიკი.

— მაშინ მასზე ნუღარც იფიქრებ! ღამე მშვიდობისა.

დელორიე კედლისკენ გადაბრუნდებოდა და დაიძინებდა. მას არ ესმოდა ასეთი სიყვარული და ყრმობის უკანასკნელ ახირებად მიაჩნდა. რაკი ფრედერიკს, ალბათ, აღარ აკმაყოფილებდა მასთან მეგობრობა, ფიქრად მოუვიდა კვირაში ერთხელ მოეწვია საერთო მეგობრები.

შაბათობით მოდიოდნენ ხოლმე, დაახლოებით ცხრა საათზე. სამივე ალუირული ფარდა გადაიწეოდა; ლამპა და ოთხი სანთელი აინთებოდა; შუაგულ მაგიდაზე დაიდებოდა თამბაქოიანი ქისა და ჩიბუხები, მათს გარშემო ლუდის ბოთლები, ჩაიდანი, რომის ჭურჭელი და ნამცხვარი. მსჯელობდნენ სულის უკვდავებაზე, ერთმანეთს ადარებდნენ პროფესორებს.

ერთ საღამოს ჰიუსონემ მოიყვანა ერთი მაღალი ახალგაზრდა, რომელსაც მეტად მოკლესახელოებიანი სერთუკი ეცვა და თანაც მორცხვობდა. ეს იყო ის ბიჭი, რომლის განთავისუფლებაც შარშან სურდათ საპოლიციო უბნიდან.

რაკი ველარ დაიბრუნა მაქმანიანი კოლოფი, რომელიც შეტაკების დროს დაკარგა, პატრონმა ქურდობა დასწამა და დაემუქრა, სამართალში მიგცემო; ახლა კი ნოქრად მუშაობდა სატრანსპორტო კანტორაში. ჰიუსონე დილით ქუჩაში შეხვდა და წამოიყვანა, რადგან დიუსარდიეს მადლობის სათქმელად „მეორის“ ნახვაც სურდა.

მან ფრედერიკს გაუწოდა ჯერ კიდევ მთლად სავსე საპაპიროსე, რომელსაც მოწიწებით ინახავდა, რომ პატრონისათვის დაებრუნებია. ახალგაზრდებმა დაპატიჟეს, მოდი ხოლმეო, და ისიც არ აკლდებოდა.

ყველანი კარგად იყვნენ განწყობილნი ერთმანეთისადმი. მათი სიძულვილი მთავრობისადმი უდავო დოგმატად იყო გადაქცეული. მხოლოდ მარტინონი ცდილობდა დაეცვა ლუი-ფილიპე. მის წინააღმდეგ იშველიებდნენ ყველა იმ ზოგად ცნობებს, გაზეთებში რომ იყო გამოქვეყნებული: პარიზის გარშემო გალავნის აგებას, სექტემბრის კანონებს, პრიტჩარდს, ლორდ გიზოს, ასე რომ მარტინონი გაჩუმდებოდა ხოლმე, არავის ვაწყენინოო. კოლეჯში შვიდ წელს სწავლის დროს ერთხელაც არ ყოფილა დასჯილი, ახლა კი სამართლის სკოლაში თავს აწონებდა პროფესორებს. ჩვეულებრივად ეცვა განიერი ცეცხლისფერი სერთუკი, კაუჩუკის კალოშები; მაგრამ ერთ საღამოს პირდაპირ სასიძოსავით გამოწყობილი გამოცხადდა: ხავერდის ჟილეტი, თეთრი ჰალსტუხი, ოქროს ძეწკვი.

უფრო გაუკვირდათ, როცა შეიტყეს, დამბრეზებიდან დაბრუნებულაო. ბანკირმა მართლაც იყიდა მარტინონის მამისაგან კარგა მოზრდილი ტყის ნაკვეთი; მოხუცმა ვაჟი გააცნო და დამბრეზმა ორივე დაპატიჟა სადილზე.

— ბევრი ტრიუფელი მოგართვეს? — ჰკითხა დელორიემ, — და ხომ არ მოგიხერხებია სადმე კარებში გადაპხვეოდი მის ცოლს sicut decet?[1]

ახლა საუბარი ქალებზე დაიწყო. პელერენს არ სწამდა, რომ არიან ლამაზი ქალები (იგი ვეფხვებს ამჯობინებდა); საერთოდ, დედალი, — ადამიანთა მოდგმაში დაბალი ხარისხის არსია ესთეტიკის იერარქიაში.

---

[1] როგორც რიგია.

— ის, რაც თქვენ გსიბლავთ, სწორედ ის ამცირებს მას, როგორც იდეას. მე მინდა ვთქვა: თმა, გულ-მკერდი...

— გარნა, — შეესიტყვა ფრედერიკი, — გრძელი შავი თმა, დიდრონი შავი თვალები...

—ოჰ! ცნობილია! — წამოიძახა ჰიუსონემ. — კმარა ანდალუზიელი ქალები მოლზე! ანტიკური რამეები? თქვენი მონა-მორჩილი! რადგან, ბოლოს და ბოლოს, ხუმრობა იქით იყოს, ვინმე ლორეტი უფრო საინტერესოა, ვიდრე მილოსის ვენერა! ვიყოთ გალები, ნუ გენაღვლება! და ვიცხოვროთ, როგორც რეგენტობის დროს, თუ შეგვიძლია!

— იდინე, ღვინო კეთილო; იღიმებოდეთ, ქალებო!

— შავგვრემანიდან გავეშუროთ ქერასაკენ! თანახმა ხართ თუ არა, ძია დიუსარდიე?

დიუსარდიემ არა უპასუხა რა. ყველა ჩამოეკიდა, უნდოდათ გაეგოთ მისი გემოვნება.

— ჰოდა, აი, — თქვა მან და წამოწითლდა, — მე მინდა მუდამ ერთი და იგივე მიყვარდეს!

ეს ისე იყო ნათქვამი, რომ წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, ზოგი მისმა გულწრფელობამ გააკვირვა, ზოგს კი მის სიტყვებში ის მოეჩვენა, რაზეც, შესაძლებელია, ფარულად ოცნებობდნენ.

სენეკალმა თავისი ლუდის კათხა კარის ლავგარდანზე შედგა და დოგმატურად განაცხადა: რაკი პროსტიტუცია ტირანიაა, ქორწინება კი უზნეობა, ამიტომ თავშეკავება უმჯობესიაო. დელორიე ქალებს ისე უცქეროდა, როგორც გასართობ ნივთებს ან არსებებს, მეტი არაფერი. ბ-ნ დე სიზის ქალები ათასნაირ შიშს ჰგვრიდნენ.

რაკი კეთილმორწმუნე ბებიის მეთვალყურეობით იყო აღზრდილი, ამ ახალგაზრდების კომპანია მიმზიდველი ეჩვენებოდა, როგორც საძრახისი ადგილი, და ჭკუისსასწავლებელი, როგორც სორბონი. გაკვეთილები მისთვის არ შურდათ; იგიც ესოდენ დიდ ბეჯითობას იჩენდა, რომ თამბაქოს მოწევაც კი სურდა, მიუხედავად გულისრევისა, რაც მოწევის შემდეგ მუდამ აწუხებდა. ფრედერიკი ზრუნვას არ აკლებდა. აღტაცებული იყო მისი ჰალსტუხების ფერით, მისი პალტოს ბეწვით, განსაკუთრებით კი მისი ფეხსაცმლით, რომლის ტყავი ხელთათმანივით ნაზი, ნატიფი და კრიალა იყო; ეტლი მუდამ ელოდებოდა ქუჩაში.

ერთხელ, როცა იგი წავიდა, იმ საღამოს კი თოვდა, სენეკალმა

სიბრალულით დაიწყო ლაპარაკი მის მეეტლეზე. შემდეგ გაილაშქრა ყვითელი ხელთათმანების, ჟოკეი-კლუბის წინააღმდეგ. იგი ყოველ მუშას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ამ ბატონებს.

— ყოველ შემთხვევაში მე ვშრომობ! ღარიბი ვარ!

— ეს კიდევაც ჩანს, — უთხრა ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ფრედერიკმა.

რეპეტიტორმა მისდამი ბოღმა ჩაიდო გულში ამ სიტყვის გამო.

მაგრამ როცა რეჟემბარისაგან გაიგონა, სენეკალს ნაკლებ ვიცნობო, ფრედერიკმა თავაზიანობა გამოიჩინა არნუს მეგობრისადმი და მოიწვია, ჩვენს შაბათობებს დაესწარი ხოლმეო; შეხვედრა ორივე პატრიოტისათვის სასიამოვნო იყო.

თუმცა, ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ.

სენეკალს, რომელსაც წოწოლა თავი ჰქონდა, მხოლოდ სისტემები სწამდა. რეჟემბარს კი, პირიქით, ფაქტები მხოლოდ ფაქტებად მიაჩნდა. რაც მას უმთავრესად აწუხებდა, ეს იყო რაინის საზღვარი. იგი ამტკიცებდა, არტილერიაში საკმაოდ ვერკვევიო და ტანსაცმელს პოლიტიკური სკოლის მკერვალს აკერინებდა.

პირველ დღეს, როცა ღვეზელი შესთავაზეს, მხრები ზიზღით აიჩეჩა და თქვა, ეგ ქალებს შეეფერებაო; უფრო თავაზიანი არც შემდეგ ყოფილა. როგორც კი მსჯელობა უფრო მაღალ იდეებს შეეხებოდა, ბუტბუტს მოჰყვებოდა: „ოჰ! არავითარი უტოპია. არავითარი ოცნება!“ ხელოვნების დარგში (თუმცა სახელოსნოებში დადიოდა და თავაზიანობით ფარიკაობის გაკვეთილებს იძლეოდა) მისი აზრები არცთუ ესოდენ ღრმა იყო. ბ-ნ მარასტის სტილს ადარებდა ვოლტერისას, ქ-ნ დე სტალს ადარებდა მ-ელ ვატნაზს, მხოლოდ იმიტომ, რომ მან დაწერა ოდა პოლონეთზე, „სადაც გულადობა გამოიჩინა“. ბოლოს, რეჟემბარი თავს აბეზრებდა ყველას და განსაკუთრებით დელორიეს, რადგან მოქალაქე არნუს დაახლოებული პირი იყო. კლერკს სწყუროდა მოხვედრილიყო იმ სახლში, რადგან იმედი ჰქონდა იქ სასარგებლო ნაცნობობა გაება. „როდისღა წამიყვან იმათთან?“ — ეკითხებოდა ხოლმე ფრედერიკს. არნუ ხან ძლიერ მოუცლელი იყო, ხანაც სადმე წასვლას აპირებდა; შემდეგ კი წასვლა სულაც არ ღირდა, რადგან სადილები მალე გაუქმდებოდა.

თუკი საჭირო ყოფილიყო მეგობრისათვის თავის განწირვა, ფრედერიკი ამას იზამდა. მაგრამ რაკი ისწრაფოდა თავი, რაც კი შეიძ-

ლებოდა, უპირატესად ეჩვენებინა, თვალყურს ადევნებდა თავის სიტყვებს, მოქცევას, კოსტიუმს და „Art industriel“-შიც კი მუდამ უნაკლოდ თათმანჩაცმული მიდიოდა ხოლმე; ეშინოდა, ვაითუ დელორიემ თავისი ძველი შავი სერთუკით, თავისი კლერკული ქცევით და თავდაჯერებული ლაპარაკით ცუდი შთაბეჭდილება მოახდინოს ქ-ნ არნუზე, რაც სახელს გაუტეხდა თვით ფრედერიკს და დაამცირებდა მას ქალის თვალში. სხვებს იგი იწყნარებდა, მაგრამ სწორედ ეს კაცი შეარცხვენდა ყველაზე მეტად. კლერკმა შეამჩნია, რომ ფრედერიკს არ სურდა დაპირების შესრულება და მისი დუმილი უფრო მეტ შეურაცხყოფად ეჩვენებოდა.

სურდა, ყველაფერში მისი ხელმძღვანელი ყოფილიყო, მათი ჭაბუკობის იდეალების თანახმად განვითარებულიყო; ფრედერიკის უქნარობა აშფოთებდა, როგორც ურჩობა და როგორც ღალატი. ამასთან ფრედერიკი, რომლის მთელი ფიქრები ქ-ნ არნუს დასტრიალებდნენ თავს, ხშირად ლაპარაკობდა მის ქმარზე; და დელორიემ მოიგონა მისი გაღიზიანების აუტანელი ხერხი: დღეში ასჯერ მაინც, ყოველი ფრაზის ბოლოს უტვინო რეგვენივით იმეორებდა არნუს გვარს. როცა მის კარზე დააკაკუნებდა ვინმე, ის უპასუხებდა: „შემოდით, არნუ!“ რესტორანში ბრის ყველს „არნუ! მაგალითისამებრ“ შეუკვეთავდა ხოლმე; ღამით კი მოიგონებდა მაჯლაჯუნა მახრჩობსო, და ამხანაგს გაალვიძებდა ყვირილით: „არნუ! არნუ!“ ბოლოს, გაოგნებულმა ფრედერიკმა რაღაცნაირი საბრალო ხმით უთხრა:

— გული ნუ გამიწყალე მაგ შენი არნუთი!

— არ მოგეშვები! — მიუგო კლერკმა.

> მუდამ იგი! ყველგან იგი! ხან წყველი და ხან ფაინავი,
> წარმოგიდგება არნუ...

— გაჩუმდი-მეთქი! — დაუყვირა ფრედერიკმა და მუშტი აღმართა.

მერმე წყნარად დასძინა:

— ძალიან კარგად იცი, რომ ვერ ვიტან მაგაზე ლაპარაკს.

— ოჰ! მაპატიე, ძველო, — მიუგო დელორიემ და თავი ძლივ-დაბლა დახარა. — ამიერიდან მხედველობაში მივიღებთ კეთილშობილი ქალწულის ნერვებს! ერთხელ კიდევ მაპატიე. ათასი ბოდიშ-ასე დამთავრდა დაცინვა.

მაგრამ სამი კვირის შემდეგ, ერთ საღამოს, ფრედერიკს უთხრა:

— იცი, დღეს იგი ვნახე, ქ-ნი არნუ!

— სად?

— სასამართლოში, ადვოკატ ბალანდართან ერთად; შავგვრემანი, შუათანა ტანისაა, ხომ?

ფრედერიკმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. ელოდებოდა, დელორიემ ლაპარაკი დაიწყოსო. ერთი აღტაცებული სიტყვა, და იგი მზად იყო მთელი გული გადაეშალა, გაეღმერთებინა დელორიე; მაგრამ იგი დუმდა; ბოლოს ფრედერიკმა ვეღარ მოითმინა და გულგრილად ჰკითხა, რა აზრისა ხარ მასზეო.

დელორიეს ფიქრით, „არა უშავს რა, თუმცა განსაკუთრებული არაფერი აქვს“.

— აჰ! შენ გგონია, — უთხრა ფრედერიკმა.

დადგა აგვისტო, მისი მეორე გამოცდის დრო. საერთო აზრით, ორი კვირა საკმაო იყო, რომ საგნები მოემზადებინა. ფრედერიკს არ ეეჭვებოდა თავისი უნარი და ზედიზედ გადაყლაპა საპროცესო კოდექსის პირველი ოთხი წიგნი, სასჯელთა დებულების პირველი სამი წიგნი, სისხლის სამართლის რამდენიმე ნაწყვეტი და სამოქალაქო კოდექსის ერთი ნაწილი ბ-ნ პოსსელეს შენიშვნებითურთ. წინა დღით დელორიემ გაამეორებინა, რაც დილამდე გაგრძელდა, ხოლო, უკანასკნელი წუთებიც უსარგებლოდ რომ არ დაკარგულიყო, თან გაჰყვა და ქუჩაში განაგრძობდა კითხვების მიცემას.

რადგან ბევრი გამოცდა ერთსა და იმავე საათში ტარდებოდა, ეზოში ბევრი ხალხი იყრიდა თავს, სხვათა შორის, ჰიუსონე და სიზიც ამ გამოცდებს არ აკლდებოდნენ, როცა საქმე ამხანაგებს ეხებოდა. ფრედერიკმა ტრადიციული შავი ტანისამოსი ჩაიცვა; მთელი გუნდის თანხლებით, იგი სამ სტუდენტთან ერთად შევიდა დიდ დარბაზში, რომელსაც ფარდები არ ჰქონდა, კედლების გასწვრივ კი სკამლოგინები იყო ჩამწკრივებული. შუაგულ ოთახში ტყავგადაკრული სკამები იდგა მაგიდის გარშემო, რომელსაც მწვანე მაუდი ეფარა. ეს მაგიდა კანდიდატებს ჰყოფდა ბ-ნ გამომცდელთაგან, რომელნიც წითლად იყვნენ ჩაცმულნი, მხრებზე სიასამური ჰქონდათ და თავზე სირმიანი ქუდები ეხურათ.

ფრედერიკი სიაში უკანასკნელის წინ იყო, ცუდი ადგილია! პირველსავე კითხვაზე, რა განსხვავებაა კონვენციასა და ხელშეკრუ-

ლებას "ორისო, განმარტებანი აურია და პროფესორმა, ყოჩაღმა კაცმა უთხრა:

— ნუ ღელავთ, ბატონო, დამშვიდდით!

შემდეგ კიდევ მისცა ორი ადვილი კითხვა, რომლებზეც ბუნდოვანი პასუხი მიიღო, და, ბოლოს, მეოთხეზე გადავიდა. ფრედერიკი ცუდ გუნებაზე დააყენა ასეთმა ცუდმა დასაწყისმა. დამსწრეთა შორის დელორიე ნიშნებით აგრძნობინებდა, არაფერია, გულს ნუ გაიტეხო; პასუხს მეორე კითხვაზე, სისხლის სამართლიდან, არა უშავდა რა. მაგრამ მესამე კითხვაზე, საიდუმლო ანდერძს რომ შეეხებოდა, ფრედერიკი სულ აირ-დაირია, რადგან გამომცდელი მუდამ გულცივი იყო, ჰიუსონე თითქოს ტაშისათვის ამზადებდა ხელებს, ხოლო დელორიე კვლავ მხრებს იჩეჩავდა. ბოლოს, დადგა დრო ეპასუხნა სამართალწარმოებაზე! კითხვა შეეხებოდა მესამე პირთა შესიტყვებას. პროფესორმა, რომელიც განაწყენებული იყო იმის გამო, რომ ისმენდა საკუთარი თეორიის საწინააღმდეგო დებულებებს, მკვახედ ჰკითხა:

— რაო, ბატონო ჩემო, ეს თქვენი აზრია? როგორ გნებავთ შეუთანხმოთ სამოქალაქო კოდექსის 1351-ე მუხლის პრინციპი სარჩელის წაყენების ასეთ არაჩვეულებრივ საშუალებას?

ფრედერიკს საშინლად სტკიოდა თავი, რადგან მთელი ღამე არ სძინებია. ახლა კი დარაბის ნახვრეტში შემძვრალი მზის სხივი ზედ სახეზე დარჭობოდა. ფრედერიკი სკამს უკან იდგა, ადგილზე ტოკავდა და ულვაშს იგრეხდა.

— ველოდები თქვენს პასუხს! — განუმეორა კაცმა, სირმიანი ქუდი რომ ეხურა.

ფრედერიკის საქციელს, ეტყობოდა, მოთმინებიდან გამოყავდა იგი, და დასძინა:

— თქვენს წვერში მას ვერ იპოვნით!

ამ სარკაზმმა დამსწრეთა სიცილი გამოიწვია; ნაამები პროფესორი მოლბა. კიდევ მისცა ორი კითხვა: სასამართლოში მიწვევასა და დაჩქარებულ სამართალწარმოებაზე, შემდეგ მოწონების ნიშნად თავი დახარა; საჯარო გამოცდა დამთავრდა. ფრედერიკი ვესტიბიულში დაბრუნდა.

— ჩაჭრილხარ! — უთხრა ჰიუსონემ. — წავიდეთ!

მეკარის ოთახთან მარტინონს შეხვდნენ, გაწითლებულიყო, ღელავდა, თვალები უცინოდა, შუბლს გამარჯვების შარავანდედი

უმოსავდა. ის იყო კარგად ჩაებარებინა უკანასკნელი გამოცდა. რჩებოდა მხოლოდ დისერტაცია. ორი კვირის შემდეგ უკვე ლიცენციანტი იქნებოდა. მისი ოჯახი ერთ მინისტრს იცნობდა, მარტინონის „ბრწყინვალე კარიერა“ ისახებოდა.

— ამან მაინც გაგისწრო, — თქვა დელორიემ.

იმაზე მეტი დამცირება არ შეიძლება, ვიდრე ხედავდე უჭკუოს, რომელიც სწორედ იქ აღწევს წარმატებას, სადაც შენ მარცხდები. გაჯავრებულმა ფრედერიკმა უპასუხა, ფეხებზედაც არ მკიდია, მაგაზე უფრო მაღალი მისწრაფება მაქვსო. ხოლო როცა ჰიუსონემ წასვლა დააპირა, ფრედერიკმა განზე გაიხმო და უთხრა:

— იმათთან, რა თქმა უნდა, სიტყვა არ დაგცდეთ!

საიდუმლოს დაცვა ადვილი იყო, რადგან არნუ ზეგ გერმანიაში მიემგზავრებოდა.

როცა კლერკი საღამოს შინ დაბრუნდა, თავისი მეგობარი უცნაურად გამოცვლილი ნახა: პირუეტს თამაშობდა, უსტვენდა; როცა დელორიემ გაიკვირვა, ფრედერიკმა განაცხადა, დედასთან არ მივდივარ, არდადეგებზე უნდა ვიმეცადინოო.

ძლიერ გაუხარდა, როცა გაიგო, არნუ მიემგზავრებაო. ახლა შეუძლია იაროს იქ, როცა მოესურვება და შიშიც არ ექნება, რომ რამე დააბრკოლებს. სრული უშიშროების რწმენა გაბედულებას მიანიჭებს; ბოლოს და ბოლოს, ისე შორს აღარ იქნება მისგან, აღარ განშორდება! რკინის ჯაჭვზე უფრო ძლიერი რაღაც აკავებდა პარიზში, შინაგანი ხმა ჩასძახოდა, დარჩიო.

დაბრკოლება წარმოიშვა. დედას მისწერა და დაბრკოლება დასძლია; უწინარეს ყოვლისა, გაუმხილა მარცხი, რაც გამოწვეული იყო პროგრამაში შეტანილი ცვლილებით, შემთხვევა, უსამართლობა; თუმცა ყველა გამოჩენილი ადვოკატი (ასახელებდა მათს გვარებს) იჭრებოდა ხოლმე გამოცდებში. მაგრამ იმედი აქვს ნოემბერში კვლავ წარსდგეს. და რაკი დროს დაკარგვა არ სურს, შინ ვერ წავა წელს; დედას სთხოვდა, ტრიმესტრის ფულის გარდა, ორას ორმოცდაათი ფრანკი გამომიგზავნე რეპეტიტორთან სამეცადინოდ, რაც დიდ სარგებლობას მომიტანსო. ყოველივე ამას დასძენდა სინანულს, ნუგეშს, სინაზესა და დედაშვილურ სიყვარულს.

ქ-ნი მორო, რომელიც შვილს მეორე დღეს ელოდა, ორმაგად იყო ნაწყენი. მარცხი დამალა და უპასუხა: „შინ მაინც ჩამოდი“. ფრედერიკმა არ გაუგონა. დაიწყო სამდურავი. მიუხედავად ამისა,

კვირის ბოლოს მიიღო სამი თვის ფული და რეპეტიტორისათვის საჭირო თანხა, რაც გამოიყენა ღია რუხი შარვლის, თეთრი ფეტრის ქუდისა და ოქროსთავიანი ხელჯოხის საყიდლად.

როცა ყოველივე ეს შეიძინა, გაიფიქრა:

„იქნებ ეს დალაქს უფრო შეეფერებოდეს?“

და მტანჯველმა ეჭვმა შეიპყრო.

იმის გადასაწყვეტად, წავიდე თუ არა ქ-ნ არნუსთანო, სამჯერ ააგდო მონეტი. ნიშანი სამივეჯერ კარგი იყო, მაშასადამე, ბედისწერა უკარნახებდა. ეტლმა შუაზელის ქუჩაზე მიიყვანა.

კიბე სწრაფად აირბინა, ზარის თოკი ჩამოსწია, არ დაირეკა. ეგონა, აგერ-აგერ გული წამივიო.

შემდეგ გიჟურად ჩამოჰკრა წითელი აბრეშუმის მძიმე ზონარი. ზარი აწკარუნდა, მერე ნელ-ნელა მიწყნარდა; და კვლავ არავითარი ხმაური. ფრედერიკი შეშინდა.

კარს ყური მიადო: არც ერთი ჩქამი! კლიტის ნახვრეტში შეიჭვრიტა, მაგრამ ტალანში ვერაფერი დაინახა, გარდა ორი წნელისა ყვავილოვან შპალიერზე. ბოლოს ის იყო წასვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ამჯერად ოდნავ დაუკაკუნა. კარი გაიღო და აი მის წინაშე წარმოდგა თმაგაბურძგნული, სახეალეწილი და უკმაყოფილო არნუ.

— ვაჰ! რა ეშმაკმა მოგიყვანათ? მობრძანდით!

და შეიყვანა არა ბუდუარში, არა თავის ოთახში, არამედ სასადილო ოთახში, სადაც სუფრაზე . ერთი ბოთლი შამპანური და ორი ჭიქა იდგა; მერე მრკლედ ჰკითხა:

— რაიმე საქმე გაქვთ ჩემთან, ძვირფასო მეგობარო...

— არა! არაფერი, არაფერი! — წაიბუტბუტა ახალგაზრდამ და არ იცოდა, რა ეთქვა მისვლის გასამართლებლად.

ბოლოს, ასე უთხრა: თქვენი ამბის შესატყობად მოვედი, რადგან, როგორც ჰიუსონემ მითხრა, გერმანიაში მეგონეთო.

— სრულიადაც არა! — მიუგო არნუმ. — რა ბატისტვინაა ის ბიჭი, ყველაფერი უკულმა ესმის!

შეცბუნების დასაფარავად ფრედერიკმა ოთახში გაიარ-გამოიარა. სკამს წამოედო და გადმოაგდო ქოლგა, ზედ რომ იდო; სპილოს ძვლის ტარი გატყდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა. — რა სამწუხაროა, რომ ქ-ნ არნუს ქოლგა გავტეხე.

ამ სიტყვებზე ვაჭარმა თავი ასწია და რალაც უცნაურად გაიღიმა. ფრედერიკმა შემთხვევით ისარგებლა, რათა მასზე დაეწყო ლაპარაკი და გაუბედავად დასძინა:

— შეიძლება მისი ნახვა?

იგი თურმე თავის მშობლიურ სოფელში იყო, ავადმყოფ დედასთან.

მან ვერ გაბედა ეკითხა, იქ რამდენ ხანს დარჩებაო, მხოლოდ დასძინა, რა მხარეშია ქ-ნ არნუს სამშობლოო.

— შარტრში! გიკვირთ განა?

— მე? არა! რად უნდა მიკვირდეს? სრულიადაც არა!

შემდეგ სრულებით აღარაფერი ჰქონდათ სალაპარაკო. არნუმ თამბაქო გაახვია, მაგიდის გარშემო დადიოდა და ხვნეშოდა. ფრედერიკი ღუმელს მიეყრდნო და ათვალიერებდა კედლებს, კარადას, პარკეტს, და ხსოვნაში, უკეთ თვალწინ, მშვენიერი სახეები ეჯარებოდნენ. ბოლოს წავიდა.

წინკარში არნუმ აიღო ბურთივით დაჭმუჭნული გაზეთის ნახევი, იატაკზე რომ ეგდო, თითის წვერებზე დადგა და ზანზალაკში ჩატენა, რათა განეგრძო, როგორც თვითონ თქვა, ნასადილევს შეწყვეტილი ძილი. შემდეგ ხელი გაუწოდა:

— გეთაყვა, უთხარით მეკარეს, რომ შინ არ ვარ!

და კარი მაგრად მიაბრახუნა.

ფრედერიკი ზანტად დაუყვა კიბეს. პირველი ცდის მარცხი შემდგომი წარმატების იმედს უკარგავდა. შემდეგ დაიწყო მოწყენილობით აღსავსე სამი თვე. რაკი არავითარი სამუშაო არ ჰქონდა, უსაქმურობა მწუხარებას უმძაფრებდა.

მთელი საათობით გადასცქეროდა აივნიდან მდინარეს, რომელიც მიიზლაზნებოდა რუხ სანაპიროებს შუა, ქალაქის ჭუჭყიანი მილსადენებით რომ იყო აქა-იქ გაშავებული; ხედავდა სარეცხის ბოგას ზედ ნაპირზე, სადაც ბავშვები ზოგჯერ იმით ერთობოდნენ, რომ შლამიან წყალში რომელიმე ფინიას ბანდნენ. არასოდეს არ გაიხედავდა მარცხნივ, ქვიტკირის ხიდისაკენ ღვთიშობლის ტაძართან და სამი კიდული ხიდისაკენ, არამედ თვალს არ აშორებდა თელების სანაპიროს, ბებერი ხეების კოროძს, მონტეროს ნავსადგურის ცაცხვებს რომ აგონებდა. პირდაპირ, აუარებელ სახურავთა შორის აღმართული იყო წმ. იაკობის კოშკი, ქალაქის საბჭოს შენობა, წმ. ღერვასის, წმ. ლუის, წმ. პავლეს ეკლესიები, აღმოსავლე-

თით, უზარმაზარ ოქროს ვარსკვლავივით ბრწყინავდა ანგელოზი ივლისის სვეტის თავზე; ცისკიდურის მეორე მხარეზე კი მოჩანდა ტიუილერის უზარმაზარი მრგვალი და ცისფერი გუმბათი. ამ მიმართულებით, სადღაც შორს, უნდა ყოფილიყო ქ-ნ არნუს სახლი.

ფრედერიკი თავის ოთახში ბრუნდებოდა, დივანზე წამოწვებოდა და ეძლეოდა უთავბოლო ფიქრებს: სამუშაოს გეგმაზე, იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყო მომავალში. ბოლოს, საკუთარ თავს რომ გაქცეოდა, გარეთ გავიდოდა.

დადიოდა უგზო-უკვლოდ, ლათინთა უბანში, რომელიც, ჩვეულებრივ, ესოდენ ხმაურიანი, მაგრამ ამ დროს კი უკაცრიელია, რადგან სტუდენტები თავიანთ სახლებში მიდიან. სასწავლებელთა გრძელი შენობები თითქოს უფრო დაგრძელებულან ამ დუმილის გამო და უფრო დაღვრემილან; ისმოდა მშვიდობიანი ყოველდღიურობის სხვადასხვა ხმაური: გალიაში ფრინველი ფართქუნებდა, ჭრიალებდა ფეიქრის დაზგა, მეწაღე ჩაქუჩს უბარტყუნებდა, მეძველნი კი ქუჩებში ამაოდ ეკითხებოდნენ თვალით ფანჯრებს. დაცარიელებულ კაფეებში მებუფეტე ქალები ამთქნარებდნენ სავსე სურებს შორის; გაზეთები ხელუხლებლად ეწყო სამკითხველო მაგიდებზე; სამრეცხაოში თბილი ქარი არხევდა სარეცხს. ხანდახან იგი შეჩერდებოდა ხოლმე ბუკინისტის მაგიდასთან; ახლოს გავლილი ომნიბუსი ტროტუარს შეეხებოდა და უკან მიახედებდა: ლუქსემბურგს რომ მიაღწევდა, იქით აღარ წავიდოდა.

ზოგჯერ გართობის იმედი ბულვარებისაკენ გაიტყუებდა.

ბნელი შესახვევებიდან, სადაც სინესტის სუნი იდგა, გავიდოდა დიდ უკაცრიელ მოედნებზე, მზით რომ იყო განათებული, ხოლო რომელიმე ძეგლიდან ქვაფენილზე გაწოლილი იყო შავი, დაკბილული ჩრდილი. მაგრამ კვლავ დაიწყებდნენ რახრახს საზიდრები, კვლავ გამოჩნდებოდა დუქნები და ბრბო გააყრუებდა, განსაკუთრებით კვირადღეს, როცა ბასტილიიდან წმ. მაგდალინელის ეკლესიამდე ადამიანთა უზარმაზარი ნაკადი, განუწყვეტელ ხმაურსა და მტვერში ასფალტზე მიედინებოდა; პირდაპირ გული ერეოდა ხოლმე მთელი ამ სახეების უგვანობით, უჭკუო ლაპარაკით, სულელური თვითკმაყოფილებით, მათ შუბლებზე რომ იყო აღბეჭდილი. გარნა იმის შეგნება, რომ იგი ამ ადამიანებზე მაღლა დგას, ამ სანახაობით გამოწვეულ დაღლილობას უნელებდა.

იგი ყოველდღე დადიოდა Art industrel"-ში, და რომ გაე-

გო, როდის დაბრუნდებოდა ქ-ნი არნუ, დაწვრილებით გამოიკითხავდა ხოლმე დედამისის ამბავს. არნუს პასუხი მუდამ უცვლელი იყო: „გაუმჯობესება გრძელდება“. ჩემი ცოლი და გოგონა მომავალ კვირას დაბრუნდებიანო. რაც უფრო აგვიანებდა დაბრუნებას ქ-ნი არნუ, მით უფრო მეტ შეშფოთებას იჩენდა ფრედერიკი, ასე რომ ამგვარი თანაგრძნობით გულაჩუყებულმა არნუმ ექვსიოდეჯერ დაპატიჟა რესტორანში.

ამ ხანგრძლივი შეხვედრების დროს ფრედერიკი მიხვდა, რომ სურათების ვაჭარი მაინცდამაინც დიდი ჭკუის პატრონი არ იყო. არნუს შეეძლო შეემჩნია გულის გაგრილება და თანაც ეს იმის საბაბი იყო, რომ ოდნავ მაინც სამაგიერო მიეზღო მისი თავაზიანობისათვის.

რაკი სურდა ყველაფერი კარგად მოეწყო, ყველა თავისი ახალი კოსტიუმი მეძველეს მიჰყიდა ოთხმოც ფრანკად, ამ თანხას მიუმატა დარჩენილი ასი ფრანკი, არნუსთან მივიდა და სადილად დაპატიჟა. იქ რეჟეშბარი დახვდა. ყველანი „სამი პროვანსელი ძმის“ რესტორანში წავიდნენ.

მოქალაქემ საქმე იმით დაიწყო, რომ სერთუკი გაიხადა და, რაკი დარწმუნებული იყო, მეინახენიც მოიწონებენო, მენიუ შეადგინა, მაგრამ, თუმცა თვით წავიდა მზარეულთან, რომ პირადად მოლაპარაკებოდა, ჩავიდა სარდაფში, რომლის ყველა კუნჭულს კარგად იცნობდა, და რესტორნის პატრონიც გამოიწვია, ვინც „კარგად შეახურა“, იგი ვერ დააკმაყოფილეს ვერც საჭმელებმა, ვერც ღვინოებმა და ვერც სუფრის გაშლამ. მოიტანდნენ თუ არა ახალ კერძს, ახალი მარკის ღვინოს, პირველი გასინჯვისა და დაჭაშნიკებისთანავე მიაგდებდა ჩანგალს და გადადგამდა სტაქანს; შემდეგ სუფრას იდაყვებით დაეყრდნობოდა და მოჰყვებოდა წუწუნს, პარიზში შეუძლებელი გახდა სადილობაო. ბოლოს, რაკი არ იცოდა რა კერძი მოეგონა, „სულ უბრალოდ“ შეუკვეთა პროვანსულ ზეთში მოხრაკული ლობიო, რაც მაინცდამაინც სახარბიელო არ გამოვიდა, მაგრამ რამდენადმე მაინც დააშოშმინა იგი. შემდეგ ლაქიასთან გაბა საუბარი რესტორნის ძველ ლაქიებზე: როგორ არის ანტუანი? ეჟენი? ან თეოდორი, პატარა, მუდამ ქვემოთ რომ ემსახურებოდა? იმ ხანებში ჭამა-სმა აქ გაცილებით უკეთესი, ხოლო ბურგუნდიული ღვინო ისეთი იყო, როგორსაც ვეღარასოდეს ვერ იშოვნი!“

შემდეგ სიტყვა ჩამოვარდა გარეუბნებში მიწის ფასზე არნუს რაღაც წაუგებელ სპეკულაციასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით იგი პროცენტებში ზარალობდა. რადგან არასგზით არ თანხმდებოდა გაეყიდა, რეჟემბარმა უთხრა, ერთ კაცს შეგახვედრებო, და ორივემ ფანქრით დაიწყო ანგარიში, სანამ დესერტი დამთავრდებოდა.

ყავის სასმელად წავიდნენ სომონის პასაჟში, ყავახანაში, რომელიც მოთავსებული იყო ანტრესოლში. ფრედერიკი სულ ფეხზე იდგა და თვალს ადევნებდა ბილიარდის დაუსრულებელ თამაშს, რასაც თან ახლდა ლუდის ბლომად სმა. მან აქ შუაღამემდე დაჰყო, არც კი იცოდა რისთვის, სულმოკლეობით, სისულელით თუ იმ ბუნდოვანი იმედით, რომ იქნებ ჩემი სიყვარულისათვის ხელსაყრელი რამ მოხდესო.

„ აბა როდისღა ვნახავ“? ფრედერიკს სასოწარკვეთილება ეუფლებოდა. მაგრამ ერთხელ საღამოს, ნოემბრის ბოლოს, არნუმ უთხრა:

— იცით, გუშინ ჩემი ცოლი დაბრუნდა!

მეორე დღეს ხუთ საათზე ფრედერიკი უკვე ეწვია მას.

მიულოცა დედის გამომრთელება, რომელიც მძიმედ იყო ავად.

— არა! ეგ ვინ გითხრათ?

— არნუმ!

ქალს უნებლიეთ აღმოხდა მსუბუქი „აჰ“. შემდეგ უთხრა, ძლიერი ეჭვი მქონდა, მაგრამ ახლა არა უშავს რაო.

იგი ცეცხლთან იჯდა მოქარგულ სავარძელში; ხოლო ფრედერიკი დივანზე, ქუდი მუხლზე ედო, საუბარი უჭირდათ; ქალი ხშირად დუმდა. ვაუს კი საბაბი ვერ ეპოვნა, რათა თავის გრძნობებზე ელაპარაკნა. მაგრამ როცა ფრედერიკმა დაიწყო ჩივილი, იძულებული ვარ ათასგვარი ხრიკი ვისწავლოო, მან უთხრა: „დიახ... წარმომიდგენია... სასამართლო საქმეები“!... თავი ჩაღუნა და რაღაც ფიქრებში გაერთო.

ფრედერიკს წყუროდა შეეტყო, რა ფიქრები იყო, და ამიტომ სხვა ვერაფერი ვერ მოეგონებინა. ბინდმა ჩრდილი გაამუქა მათ გარშემო.

ქალი ადგა, რადგან საქმეზე უნდა წასულიყო, შემდეგ კვლავ გამოვიდა; ხავერდის ქუდი ეხურა, მხრებზე თრიათინის ბეწვით მორთული მანტო მოესხა; მან გაბედა ეთქვა, გაგაცილებთო.

უკვე დაღამდა; ცივი ამინდი იყო; მყრალი ნისლი ბურავდა სახლების ფასადს. ფრედერიკი სიამოვნებით ისუნთქავდა მას, რადგან მის დაბამბულ სარჩულში გრძნობდა ქალის იდაყვს, ხოლო მისი ხელი, ზედ რომ ნატის ორღილიანი თათმანი ეცვა, მისი პატარა ხელი, კოცნით რომ სურდა დაეფარა, მის მკლავს ეყრდნობოდა, ქვაფენილი მოლიპული იყო და ოდნავ ქანაობდნენ; ასე ეგონა, ორივენი ღრუბლებში ვართ გახვეული და ქარი გვარწევსო.

ბულვარის ფარნების კაშკაშმა სინამდვილეს დაუბრუნა. კარგი შემთხვევა იყო, უნდა ეჩქარა. გადაწყვიტა, სანამ რიშელიეს ქუჩამდე მივიდოდეთ, სიყვარულს გავუმჟღავნებო. მაგრამ თითქმის მაშინვე, ქალი ჭურჭლის მაღაზიასთან შეჩერდა და უთხრა:

— მივედით, გმადლობთ! ხუთშაბათამდე, არა, ჩვეულებრივ?

სადილების გამართვა განახლდა; რაც უფრო ხშირად ნახულობდა, ქ-ნ არნუს, მით უფრო ძლიერ იტანჯებოდა.

ამ ქალის ნახვა ისე აბრუებდა, როგორც მეტად მაგარი სუნამოს არომატი. ამ შეგრძნებით იმსჭვალებოდა მთელი მისი არსება და იმორჩილებდა ყველა სხვა გრძნობას, ხდებოდა მისი არსებობის ახალი სახე.

მეძავები, გაზით განათებულ ქუჩებში რომ ხვდებოდნენ, მომღერალი ქალები, ჭენებით მიმავალი ცხენოსანი ქალები, ქვეითად მიმავალი ბურჟუა-ქალები, გრიზეტები თავიანთ ფანჯრებში, ყველა ქალი აგონებდა იმას, მსგავსების თუ მკვეთრი კონტრასტის გამო. იგი უცქეროდა სავაჭროებში გამოფენილ ქიშმირის შალებს, მაქმანებსა და ძვირფასი ქვების საკიდებს, წარმოიდგენდა, როგორ უხდება ისინი მის ტანს, როგორ ამშვენებენ მის კორსაჟს და როგორ ბრწყინავენ მის შავ თმაში. ვაჭართა გობებზე ყვავილები იმისთვის იშლებოდნენ, რომ მას გავლისას აერჩია; მეფეხსაცმელის ვიტრინაში გედის ბუმბულით მორთული ატლასის ტუფლები თითქოს მის ფეხებს ელოდებიანო; ყველა ქუჩა მისი სახლისაკენ მიდიოდა; მოედანზე ეტლები მხოლოდ იმიტომ იდგნენ, რომ რაც შეიძლება მალე მისულიყო მასთან; პარიზი მასთან იყო დაკავშირებული და მთელი ეს უზარმაზარი ქალაქი, ამდენი ხმით აღსავსე, უშველებელი ორკესტრივით გუგუნებდა მის გარშემო.

როცა ფრედერიკი ბოტანიკურ ბაღში შევიდოდა, პალმის დანახვა შორეულ ქვეყნებში გადაიყვანდა ხოლმე. ისინი ერთად მოგზაურობენ აქლემებით, სპილოებით, იახტით ცისფერ არქიპელაგში, ან-

და მხარდამხარ ზანზალაკიანი ჯორებით, ბალახში რომ ბორძიკობენ დამსხვრეულ კოლონებზე. ზოგჯერ ლუვრში შეჩერდებოდა ხოლმე ძველ სურათებთან და, რაკი სიყვარული განვლილ საუკუნეთა მანძილზეც არ შორდებოდა, სურათებზე დახატული პერსონაჟების ნაცვლად საყვარელი ქალის სახეს წარმოიდგენდა. მას სამონაზვნო მაღალი ქუდი ეხურა და დაჩოქილი ლოცულობდა რკინისრიკულიან ფანჯარასთან. ორივე კასტილიის ან ფლანდრიის მბრძანებელი, იგი მორთულ-მოკაზმული ზის; შემდეგ ადგება და, ფარჩის კაბით გამოწყობილი, სირაქლემას ფრთების ჩარდახქვეშ, ჩაივლის მეწამული ქვის დიდ კიბეს, გარს სენატორები ახვევიან. ზოგჯერ კი იგი წარმოუდგებოდა ყვითელი აბრეშუმის შარვალჩაცმული, ბალიშებზე მიწოლილი ჰარამხანაში და ყველაფერი, რაც კი რამ მშვენიერია: ვარსკვლავთა ციმციმი, მუსიკის ცნობილი მელოდიები, ფრაზის ნარნარი, ყოველივე ეს მის ფიქრებს უეცრად და შეუმჩნევლად ხოლოდ მისკენ მიმართავდა.

ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ იგი საყვარლად გაეხადა, დარწმუნებული იყო, ყოველი ცდა ამაოდ ჩაუვლიდა.

ერთხელ, სალამოს ქ-ნ არნუს დიტმერი ესტუმრა და შუბლზე ეამბორა; ლოვარიასიც ასე მოიქცა და უთხრა:

— ნებას მიბოძებთ, არა, მეგობართა პრივილეგიის მიხედვით?

ფრედერიკმა ჩაიბუტბუტა:

— მე მგონია, რომ ჩვენ ყველანი მეგობრები ვართ!

— მაგრამ ყველა ძველი მეგობარი როდია! — შეესიტყვა ქ-ნი არნუ.

ეს ნიშნავდა მის უარყოფას წინდაწინ, გადაკვრით.

მაგრამ რა უნდა ექნა? ეთქვა, მიყვარხარო? იგი უთუოდ სთხოვს, თავი დამანებეო ანდა შეიძლება გულისწყრომითაც კი გააგდოს გარეთ! მას კი ყოველგვარი წამება ურჩევნია იმ საშინელ ხვედრს, რომელიც სამუდამოდ მოუსპობს მისი ნახვის საშუალებას.

მას შურდა პიანისტების ნიჭი, ჯარისკაცების ჭრილობანი.

ნატრობდა საშიშ ავადმყოფობას, რომ ამით მაინც ღირსებოდა მისი ყურადღება.

ერთი რამ უკვირდა ფრედერიკს: არ იჭვნეულობდა არნუსადმი; ქ-ნი არნუ ვერ წარმოედგინა სხვანაირად, თუ არ ჩაცმული, ესოდენ ბუნებრივი ეჩვენებოდა მისი კდემამოსილება, რაც მის სქესს სადღაც იდუმალ ჩრდილში აყენებდა.

გარნა იგი ოცნებობდა ბედნიერებაზე ეცხოვრა მასთან, შენობით ელაპარაკნა მასთან, დიდხანს ესვა ხელი თავზე ანდა დაჩოქილიყო მის წინაშე, წელზე შემოეხვია ხელი, დამტკბარიყო მისი თვალების ცქერით. ამისათვის საჭირო იქნებოდა დაეძლია ბედისწერა; მას კი არ შესწევდა მოქმედების უნარი, ამიტომ წყევლიდა ღმერთს და თავს აყვედრიდა, სულმოკლე ხარო, ტყვე იყო თავისი ნატვრისა, ვით პატიმარი დილეგში. სულს უხუთავდა გაუნელებელი ნაღველი. მთელი საათობით იჯდა ხოლმე უძრავად ან უეცრად წასკდებოდა ცრემლი; ერთხელ, როცა თავი ვეღარ შეიკავა, დელორიემ უთხრა:

— აი დალახვროს ღმერთმა! რა მოგდის?

ფრედერიკს ნერვები ჰქონდა აშლილი. დელორიეს ეს არ სჯეროდა. ფრედერიკი რომ ასე იტანჯებოდა, მან იგრძნო, როგორ გაეღვიძა მეგობრისადმი ძველი სიბრალული, და გაამხნევა იგი: შენისთანა ვაჟკაცი და სულით ეცემოდე, რა სისულელეა! ყმაწვილობაში კიდევ ჰო, მაგრამ უფრო გვიან, დროის დაკარგვაა.

— შენ მიფუჭებ ჩემს ფრედერიკს! მე წინანდელს მოვითხოვ! ბიჭო, კვლავ გაყვედრი! ის მომწონდა! აჰა, მოწიე ჩიბუხი, პირუტყვო! გონს მოდი, თავს ნუ მაბეზრებ!

— მართალია, — უთხრა ფრედერიკმა, — გიჟი ვარ!

კლერკმა განაგრძო:

— აჰ! ძველო ტრუბადურო, განა არ ვიცი, რა გაწუხებს! გულიკო ხომ? გამოტყდი! არაფერია! ერთს დავკარგავთ, ოთხს ვიშოვნით! სათნო ქალების დაკარგვისათვის სხვები გვანუგეშებენ. გინდა, მე გაგაცნო ქალები? საჭიროა მხოლოდ ალჰამბრაში წახვიდე.

ეს იყო საჯარო ბალები, იმ ხანებში რომ გაიხსნა ელისეს მინდვრების ბოლოს და უკვე შემდეგ სეზონში გაკოტრდა ფუფუნების გამო, რაც ნაადრევი იყო ამგვარი დაწესებულებისათვის.

— იქ თურმე მხიარულობენ. ჩვენც წავიდეთ! თუ გინდა, მეგობრებიც წამოიყვანე: რეჟემბარზეც ყაბულს ვარ!

ფრედერიკს მოქალაქე არ მოუწვევია. დელორიემ უარი თქვა სენეკალზე. წაიყვანეს მხოლოდ ჰიუსონე, სიზი და დიუსარდიე და ერთმა ეტლმა ხუთივე ალჰამბრის კართან მიიყვანა.

ორი მავრიტანული სტილის გალერეა პარალელურად იყო გაჭიმული მარცხნივ და მარჯვნივ. შესასვლელის პირდაპირ აღმართულიყო სახლის კედელი, მთელი უკანა არე რომ ეკავა, მეოთხე მხარე (რესტორნისა) წარმოადგენდა მონასტრის გოთურ გალავანს,

ფერადი მინები რომ ჰქონდა. ესტრადას, სადაც მუსიკოსები უკრავდნენ, თავს ეხურა ჩინური ჩარდახის მაგვარი რაღაც. მიწა გარშემო მოასფალტებული იყო, ვენეციური ფარნები, ბოძებზე რომ ეკიდა, მოცეკვავეთა თავზე მრავალფერი სინათლის გვირგვინივით მოჩანდა. აქა-იქ კვარცხლბეკზე იდგა ქვის ფიალები, საიდანაც წყლის ნაკადი ჩქეფდა. ფოთლებში გამოკრთოდა ჰებისა თუ კუპიდონების თაბაშირის ქანდაკებანი, ზეთის შეუმშრალი საღებავებით რომ ბზინავდნენ; გულდასმით გაწმენდილი და ღია ყვითელი სილით მოფრქვეული მრავალი ხეივნის გამო ბაღი გაცილებით უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე ნამდვილად იყო.

სტუდენტები თავიანთ სატფროებთან დასეირნობდნენ; მოდური საკაჭროების ნოქრები ხელჯოხებით კოხტაობდნენ; კოლეჯელები სიგარას ეწეოდნენ; ხნიერი უცოლოები თავიანთ შეღებილ წვერს ივარცხნიდნენ; აქ იყვნენ ინგლისელები, რუსები, სამხრეთ აფრიკის მცხოვრებნი; სამი აღმოსავლელი, რომელთაც ფესი ეხურათ. ლორეტები, გრიზეტები, მეძავი ქალები აქ მოსულიყვნენ იმ იმედით, რომ ეშოვნათ ქმაგი, საყვარელი, ოქროს ფული, ან უბრალოდ იმისათვის, რომ ცეკვით დამტკბარიყვნენ; მათი ღია მწვანე, მუქშინდისფერი და იისფერი კაბები ტირიფნარსა და იასამნარში ფრიალებდნენ. თითქმის ყველა მამაკაცს ეცვა კუბოკრული ქსოვილის კოსტიუმი, ზოგს კი, გრილი საღამოს მიუხედავად, თეთრი შარვალი ეცვა, ენთებოდა გაზის ფარნები.

ჰიუსონე, იმის გამო, რომ ურთიერთობა ჰქონდა მოდურ ჟურნალებთან და მცირე თეატრებთან, ბევრ ქალს იცნობდა; იგი ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა მათ, დროდადრო მოშორდებოდა ხოლმე მეგობრებს და მიდიოდა მათთან სალაპარაკოდ.

დელორიეს შურდა მისი ცელქობა. ცინიკურად მიადგა ერთ ტანმაღალ ქერას, რომელსაც ნანკინის კაბა ეცვა. ქალმა ნაღვლიანად ახედ-ჩახედა და უთხრა: „არა, ჩემო კარგო, ვერ გენდობი!“, და განშორდა.

მან იგივე გაიმეორა ერთ სქელ შავგვრემანთან, რომელიც უეჭველად გიჟი იყო, რადგან დელორიეს პირველი სიტყვისთანავე წამოხტა და დაემუქრა, პოლიციას დავუძახებ, თუ არ დაგიშლიაო. დელორიემ ძალად გაიცინა; შემდეგ ერთი პატარა ტანის ქალი დაინახა, განზე რომ იჯდა ფარანთან და საცეკვაოდ მიიპატიჟა.

მუსიკოსები, ესტრადაზე რომ ისხდნენ და მაიმუნებივით იმან-

ჭებოდნენ, ულმობლად აკყიპინებდნენ და აგუგუნებდნენ. ორკესტრის ლოტბარი ზეზე იდგა და ავტომატურად აქნევდა ხელებს. ერთმანეთში ირეოდნენ, მხიარულობდნენ; ქუდების გახსნილი ლენტები ჰალსტუხებს ეხვეოდა, ფეხსაცმელები კაბებში იხლართებოდა; ყველანი რიტმულად ხტუნავდნენ; დელორიე გულში იხუტებდა პატარა ქალს და, კანკანით გახურებული, ისე ტრიალებდა მოცეკვავეთა შორის, როგორც დიდი მარიონეტი. სიზი და დიუსარდიე სეირნობას განაგრძობდნენ; ახალგაზრდა არისტოკრატი ლორნეტით ათვალიერებდა, მაგრამ, ნოქრის წაქეზების მიუხედავად, მათთან დალაპარაკებას ვერ ბედავდა, რადგან ეგონა, რომ ასეთ ქალებს მუდამ ჰყავთ „კარადაში დამალული, რევოლვერით შეიარაღებული კაცი, რომელიც უეცრად გამოხტება და ხელს მოგაწერინებს ვექსილზე“.

ისინი ფრედერიკთან დაბრუნდნენ. დელორიე აღარ ცეკვავდა; ყველა იმაზე ფიქრობდა, საღამო როგორ დავამთავროთო, რომ ჰიუსონემ წამოიძახა:

— ვა! მარკიზ დ' ამაეგის ქალი!

ეს იყო ერთი ფერმკრთალი, ცხვირაჩქენტილი ქალი, რომელსაც თათმანი იდაყვებამდე ეცვა, გრძელი შავი დალალები ლოყებზე დაჰფენოდა, როგორც ძაღლს ყურები. ჰიუსონემ უთხრა:

— ერთი პატარა ქეიფი, ალმოსავლური რაუტი რომ გავმართოთ შენსას? ეცადე მოიწვიო შენი მეგობარი ქალები ამ ფრანგი რაინდებისათვის! ჰო! აბა რა გაწუხებს? იქნებ შენს ჰიდალგოს ელოდები?

ანდალუზიელმა თავი დახარა; რაკი იცოდა თავისი მეგობრის არცთუ ფუფუნებით ცხოვრება, ეშინოდა, ვაითუ ყველაფერი მე გადამხდესო. მაგრამ, როცა ფული ახსენა, სიზიმ შესთავაზა ხუთი ოქრო, რაც კი ქისაში ედო; გადაწყდა. მაგრამ ფრედერიკი იქ აღარ იყო.

ეგონა, არნუს ხმა გავიგონეო, თვალი მოჰკრა ქალის ქუდს და იქვე კორომში შევარდა.

მ-ელ ვატნაზი იყო არნუსთან.

— ბოდიში! ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

— სრულიადაც არა! — მიუგო ვაჭარმა.

მათი ლაპარაკის უკანასკნელი სიტყვიდან ფრედერიკმა გაიგო,

რომ არნუმ ალჰამბრაში მოირბინა, რათა მ-ელ ვატნაზს მოლაპარაკებოდა გადაუდებელ საქმეზე და, ეტყობოდა, დამშვიდებული ვერ იყო, რადგან შეშფოთებით ჰკითხა:

— ნამდვილად დარწმუნებული ხართ?

— სრულიად! უყვარხართ! აჰ! რა ადამიანია!.

და გაებუტა, წაუშვა თავისი სქელი ტუჩები, სისხლისფრად რომ შეეღება. თვალები კი განსაცვიფრებელი ჰქონდა: თაფლისფერი გუგები რომ ოქროსავით უკიაფებდა, ჭკვიანი, სიყვარულითა და მგრძნობიერებით აღსავსე. ისინი კანდელივით უშუქებდნენ ოდნავ ყვითელ და ხმელ სახეს. არნუ თითქოს ტკბებოდა მისი უხეში მოპყრობით, მისკენ გადაიხარა და ჰკითხა:

— რა კარგი ხართ! ერთი მაკოცეთ!

ქალმა ყურებში ჩაჰკიდა ხელი და შუბლზე აკოცა.

ამ დროს ცეკვა შეწყდა; ორკესტრის ლოტბარის ადგილზე გამოჩნდა ერთი ლამაზი ახალგაზრდა, მეტად სქელი და ფიჭასავით თეთრი. გრძელი შავი თმა მხრებზე ეფინა, როგორც ქრისტეს; ტანთ ეცვა ცისფერი ხავერდის ჟილეტი, რომელზეც ამოქარგული იყო პალმის დიდრონი ტოტები, შესახედაობა ჰქონდა ამაყი, ვით ფარშავანგს, და უტვინო, ვით ინდაურს; საზოგადოებას თავი დაუკრა და დაიწყო შანსონეტი.' სიმღერაში ერთი ვინმე გლეხი მოუთხრობდა თავის მოგზაურობაზე პარიზში; არტისტი მღეროდა ქვემო ნორმანდიულ კილოზე და აჯავრებდა მთვრალს; რეფრენი:

აჰ! რა სიცილია, რა კისკისი,
ამ უქნარა პარიზში!

აღტაცებულ გუგუნს იწვევდა. დელმასი, „მკაფიო გამომსახველობის მომღერალი", ისეთი მომღერალი როდი იყო, რომ ეს აღტაცება გაენელებინა. მყის გიტარა გადასცეს და მანაც ნაღვლიანად დაამღერა ზედ რომანსი „ალბანელი ქალის ძმა".

ამ სიტყვებმა ფრედერიკს მოაგონეს სიმღერა, რომელსაც გემზე ჩამოფლეთილი არფისტი მღეროდა. თვალები უნებლიეთ გაურბოდა კაბის ბოლოსაკენ, მის წინ რომ დაფენილიყო. ყოველ კუპლეტს მოსდევდა ხანგრძლივი დუმილი და ქარიც ფოთლებში ისე შრიალებდა, როგორც ზღვის ტალღა.

მ-ელ ვატნაზმა ხელით გადასწია კვიდოს ტოტები, ესტრადას რომ ფარავდა, და თვალს არ აშორებდა მომღერალს; ნესტოები

ებერებოდა, თვალები მოეხუჭა და თითქოს მთელი არსებით იმსჭვალებოდა ნამდვილი სიხარულით.

— ჩინებულია! — უთხრა არნუმ. — ახლა მესმის, რატომ მოხვედით ამ საღამოს ალჰამბრაში! დელმასი მოგწონთ, ჩემო კარგო.

ქალს არ სურდა გამოტეხილიყო.

— აჰ! რა მორცხვობაა!

და ფრედერიკზე მიუთითა:

— იქნებ იმის გამო? იმაზე უფრო მოკრძალებული ახალგაზრდა არავინაა.

ყველა, ვინც თავის მეგობარს — ფრედერიკს ეძებდა, მწვანე დარბაზში შევიდა. ჰიუსონემ ისინი არნუს გააცნო. არნუმ ყველას სიგარები შესთავაზა და შემდეგ შარბათით გაუმასპინძლდა.

მ-ელ ვატნაზი წამოწითლდა, როცა დიუსარდიე დაინახა. იგი სწრაფად წამოდგა და ხელი გაუწოდა:

— ვეღარ მცნობთ, ბატონო ოგიუსტ?

— თქვენ საიდან იცნობთ ამ ქალს? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— ერთად ვმუშაობდით ერთ მაღაზიაში, — მიუგო მან.

სიზი სახელოთი ეზიდებოდა ფრედერიკს, ისინი გავიდნენ; გავიდნენ თუ არა, მ-ელ ვატნაზმა ქება დაუწყო დიუსარდიეს; კიდევაც დასძინა: ო ქ რ ო ს გ უ ლ ი ა ქ ვ ს.

შემდეგ ლაპარაკი დაიწყეს დელმასზე, მას თავისი მიმიკით შეუძლია თეატრში წარმატება მოიპოვოსო, და გაიმართა კამათი, რომელიც შეეხო შექსპირს, ცენზურას, სტილს, ხალხს, პორტ-სენ-მარტენის თეატრის შემოსავალს, ალექსანდრე დიუმას, ვიქტორ ჰიუგოს და დუმერსანს. არნუ ბევრ სახელგანთქმულ არტისტს იცნობდა; ახალგაზრდები მისკენაც კი გადაიხარნენ, რათა უკეთ გაეგონათ მისი ნათქვამი, მაგრამ სიტყვებს მუსიკის გუგუნი ახშობდა; როგორც კი დამთავრდებოდა პოლონური ან კადრილი, ყველანი სუფრისკენ გარბოდნენ, ეძახდნენ ოფიციანტებს, იცინოდნენ; ლუდისა და გაზიანი ლიმონათის საცობების ტკაცუნი გაისმოდა ფოთლებში; ქალები ქათმებივით კაკანებდნენ, ზოგჯერ ორი ვინმე ჩხუბს დააპირებდა; ერთი ქურდი დაიჭირეს.

მუსიკამ საცეკვაო დაუკრა და ხეივნები მოცეკვავეებით გაიჭედა. აქოშინებულნი, სახეაწითლებულნი და მოღიმარენი, ქარიშხალივით დაქროდნენ, რის გამოც ფრიალებდნენ კაბებისა და სერთუკების კალთები; ტრომბონები უფრო ღრიალებდნენ, რიტმი ძლიერ-

დებოდა; შუა საუკუნეთა მონასტრის გალავნის გადაღმა ტკაცანი გაისმა; გაიელვეს რაკეტებმა; აბორიალდნენ მზეები; ზურმუხტოვანი ბენგალური ცეცხლი ერთ წუთს ანათებდა მთელ ბაღს და უკანასკნელი რაკეტის აფეთქებისას ბრბოს გმინვა აღმოხდა.

ნელა დაიშალნენ. ჰაერში თოფის წამლის ბოლი იდგა. ფრედერიკი და დელორიე ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევდნენ გზას ხალხში, როცა ერთმა სანახაობამ შეაჩერა ისინი: მარტინონი ხურდას მოითხოვდა გასახდელში, სადაც ქოლგებს ინახავენ; იგი აცილებდა ასე ორმოცდაათი წლის ქალს, ულამაზოს, მაგრამ დიდებულად ჩაცმულს, რომელიც არავინ იცოდა რა წრისა იყო.

— ეს ვაჟბატონი. — თქვა დელორიემ, — არც ისე უბრალო ვინმეა, როგორც ჰგონიათ. მაგრამ სიზი სად დაიკარგა?

დიუსარდიემ უჩვენა სამიკიტნო, სადაც მათ დაინახეს რაინდთა ნაშიერი; იგი პუნშის ჭიქას უჯდა ქალთან ერთად, რომელსაც ვარდისფერი ქუდი ეხურა.

ამ დროს გამოჩნდა ჰიუსონეც, ხუთი წუთის წინათ რომ სადღაც წავიდა.

მასთან მკლავგაყრილი მოდიოდა ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც ხმამაღლა ეძახდა მას „ჩემო კატუნი“.

— ნუ-მეთქი! — ეუბნებოდა ჰიუსონე. — ნუ-მეთქი! ხალხში აგრე ნუ შეძახი! უმჯობესია ვიკონტი დამიძახო! ეს მამსგავსებს ლუი XIII დროინდელ რბილწაღებიან რაინდს, რაც ძლიერ მომწონს. დიახ, ჩემო კარგებო, ძველი მეგობარია! კარგია, არა?

და ნიკაპში ხელი ამოსდო.

— მიესალმე ამ ბატონებს! ესენი საფრანგეთის პერების შვილები არიან! მათთან ვმეგობრობ, რომ ელჩი გამხადონ!

— რა ხუმარა ვინმე ხართ! — ამოიოხრა მ-ელ ვატნაზმა.

და დიუსარდიეს სთხოვა, შინ მიმაცილეო.

არნუმ თვალი გააყოლა მათ და მერმე ფრედერიკს მიმართა:

— მოგწონთ იგი, ვატნაზი? თუმცა, ამგვარ რამეებში თქვენ გულახდილი არ ხართ! მე მგონია, თქვენ მალავთ საკუთარ გატაცებებს?

ფრედერიკი გაფითრდა, ფიცავდა, არაფერს არ ვმალავო.

— არავინ იცის ხომ, საყვარელი გყავთ თუ არა, — განაგრძობდა არნუ.

ფრედერიკს სურდა დაესახელებინა ვინმე ალალბედზე. მაგრამ

ეს ამბავი შეიძლებოდა მისთვის გადაეცათ. მან უპასუხა, მართლაც, საყვარელი არ მყავსო.

ვაჭარმა დაძრახა ამის გამო.

— ამ საღამოს საამისო შემთხვევა გქონდათ. რატომ ისე არ მოიქეცით, როგორც სხვები, რომლებიც ქალებთან ერთად წავიდნენ?

— კი, მაგრამ თქვენ? — უპასუხა ასეთი დაყინებით გაბეზრებულმა ფრედერიკმა.

— აჰ! მე! ეგ სხვა საქმეა, ჩემო პატარავ! მე ცოლთან მივდივარ.

კაბრიოლეტს დაუძახა, ჩაჯდა და წავიდა.

მეგობრები ფეხით გაუდგნენ გზას. ქროდა აღმოსავლეთის ქარი. ორივე დუმდა. დელორიე ნანობდა, რომ თავი არ გამოიჩინა ჟურნალის გამომცემლის წინაშე, ფრედერიკს კი თავისი მწუხარება დაეუფლა. ბოლოს მან განაცხადა, ეს ბალი სისულელე იყოო.

— მერმე ვისი ბრალია? შენ რომ არ მიგეტოვებინე შენი არნუს გამო...

— ეჰ! რაც უნდა მექნა, სრულიად უსარგებლო იქნებოდა!

გარნა კლერკს თავისი თეორიები ჰქონდა: თუ გინდა რაიმეს მიაღწიო, ძლიერ უნდა ისურვო იგი.

შენ კი, თვითონ, წეღან...

— ფეხებზედაც არ მეკიდა! — უთხრა დელორიემ და იქვე გააწყვეტინა ქარაგმა.

— არაფრად მეპრიანება ეგ შენი ქალები!

და დაიწყო მათი პრანჭვის, მათი სისულელის განქიქება; ერთი სიტყვით, მას ქალები არაფრად ეპრიანება.

— კარგი ერთი, ნუ იბღინძები! — უთხრა ფრედერიკმა.

დელორიე გაჩუმდა. მერმე უეცრად:

— გინდა სანაძლეო დავდო ასი ფრანკი, რომ პირველივე შემხვედრი დავიყოლიო?

— მოდი!

პირველი, ვინც შეხვდათ, ერთი საძაგელი მათხოვარი იყო და უკვე იმედს კარგავდნენ, რომ რივოლის ქუჩაში დაინახეს ერთი მაღალი ქალიშვილი, რომელსაც ხელში კოლოფი ეჭირა.

დელორიე მას თალების ქვეშ შეხვდა. ქალმა მკვეთრად გადაუხვია ტიუილრისაკენ და მალე კარუსელის მოედანზე გავიდა, თანაც აქეთ-იქით იხედებოდა. მერმე მეეტლისაკენ გაიქცა; დელორიე და-

ეწია. ახლა მხარდამხარ მიჰყვებოდა და ხელების ქნევით ელაპარაკებოდა. ბოლოს ქალმა მკლავი გაუყარა და გზა განაგრძეს სანაპიროზე. შატლუმდე მივიდნენ და იქ ოციოდე წუთს მიმოდიოდნენ ტროტუარზე, როგორც ორი მეზღვაური საგუშაგოზე. მაგრამ უეცრად გავიდნენ ხაზინის ხიდზე, გაიარეს ყვავილთა ბაზარი და ნაპოლეონის სანაპიროს გაჰყვნენ. ფრედერიკი უკან გაჰყვა მათ. დელორიემ აგრძნობინა, ხელს შეგვიშლი და ისღა დაგვრჩენია, ჩვენ მოგვბაძოო.

— ჯიბეში რამდენი დაგრჩა?

— ორი ასსუიანი!

— კმარა! ღამე მშვიდობისა!

ფრედერიკს დაეუფლა ისეთი გაკვირვება, როგორსაც კაცი კარგი ხუმრობის დროს განიცდის. „დამცინის, — ფიქრობდა ფრედერიკი. — რა იქნება, რომ ავიდე?“ დელორიე, ალბათ, იფიქრებს, ჩემი სასიყვარულო შემთხვევა შურსო. „თითქოს არ ვიცნობდე სიყვარულს და ასჯერ უფრო იშვიათს, უფრო კეთილშობილურს, უფრო ძლიერს!“ რაღაც მრისხანების მსგავსი რამ გრძნობა ეწეოდა წინ და ქ-ნ არნუს სადარბაზო შესასვლელის წინ აღმოჩნდა.

მისი ბინის არც ერთი ფანჯარა არ ციადიოდა ქუჩაში. მაგრამ მაინც გაჩერდა და თვალს არ აშორებდა სახლის წინამოს, თითქოს სურდა თვალით გაეხვრიტა კედელი. ახლა უთუოდ მშვიდად ისვენებს, ვით მიძინებული ყვავილი; საუცხოო შავი კულულები ბალიშზე დაუფენია, ბაგენი ოდნავ გაუხსნია, ხელი თავქვეშ ამოუდევს.

თითქოს არნუს თავიც მოეჩვენა. ფრედერიკი სახლს განშორდა, გაექცა ამ მოჩვენებას.

გაახსენდა დელორიეს რჩევა და შეძრწუნდა. მაშინ ქუჩებში ხეტიალი დაიწყო.

როცა ვინმე ქვეითი მიუახლოვდებოდა, ცდილობდა დაკვირვებოდა მის სახეს. ზოგჯერ ფეხებში სინათლე გაუელვებდა და პირსწორ ქვაფენილზე მეოთხედი წრისოდენა რკალს მოხაზავდა. ბნელში გამოტყვრებოდა ვინმე, რომელსაც თავზე კალათი ედგა და ხელში ფარანი ეკავა, ზოგ ადგილას ქარი აღრეჭიალებდა საკომური მილის რკინას; საიდანღაც მოისმოდა ხმები, მის თავში ხმაურს ერთვოდა, და მაშინ ეჩვენებოდა, ჰაერში კადრილის რი-

ტურნელი ბუბუნებსო. სიარული უფრო მეტად აბრუებდა; იგი თანხმობის მოედანზე აღმოჩნდა.

მაშინ გაახსენდა სხვა საღამო, ერთი წლის წინათ, როცა პირველად ბრუნდებოდა მისი სახლიდან, და იძულებული გახდა შემდგარიყო, ისე ძლიერ უცემდა გული, ათასგვარი იმედით სავსე. ახლა ყველა იმედი ჩამკვდარი იყო!

შავი ღრუბლები ფარავდნენ მთვარეს. ფრედერიკი შესცქეროდა მას და ფიქრობდა სივრცის უსაზღვროებაზე, ცხოვრების არარაობაზე, ყოველივეს ამაოებაზე. განთიადმა უსწრო; კბილები უკაწკაწებდა, ძილმორეული, ნისლით დანოტიებული, თვალცრემლიანი ეკითხებოდა თავის თავს, რატომ არ უნდა მოეღოს ამას ბოლოო? საკმაოა მხოლოდ ერთი მოძრაობა! თავი ამძიმებდა, უკვე ხედავდა საკუთარ სხეულს, წყალი რომ მიაქანებდა; იგი დაიხარა. პარაპეტი ცოტა განიერი იყო და მხოლოდ დაღლილობის გამო არ უცდია გადახტომა.

შიშმა შეიპყრო. ბულვარებზე დაბრუნდა და, ქანცმილეული, სკამლოგინზე ჩამოჯდა. პოლიციელებმა გააღვიძეს, დარწმუნებული იყვნენ, რომ ყმაწვილს „გვარიანად უყლაპავს“.

ადგა და წავიდა. მაგრამ, რადგან ძლიერ შიოდა, ყველა რესტორანი კი დაკეტილი იყო, დახურული ბაზრის ერთ საბარეში დანაყრდა. შემდეგ, რაკი დარწმუნდა, ჯერ კიდევ ძლიერ ადრეაო, ცხრის თხუთმეტ წუთამდე ქალაქის მუნიციპალიტეტის მიდამოებში დაეხეტებოდა.

დელორიემ კარგა ხანია გაუშვა თავისი უსირცხვილო; ახლა შუაგულ ოთახში მაგიდას უჯდა და წერდა. დაახლოებით ოთხ საათზე დე სიზი ეწვია.

დიუსარდიეს წყალობით იგი გუშინ საღამოს ვიღაც ქალს გაეცნო და მის ქმართან ერთად ეტლით მიაცილა სახლამდე. სადაც ქალმა პაემანი დაუნიშნა. ეს არის ახლა დაბრუნდა იქიდან. ამ ქალის ვინაობა არავინ არ იცის!

— მერმე მე რა გიყოთ? — უთხრა ფრედერიკმა.

მაშინ ახალგაზრდა არისტოკრატი სიხულელის როშვას მოჰყვა; ილაყბა მ-ელ ვატნაზზე, ანდალუზიელსა და სხვებზე, ბოლოს, ბევრი მიკიბვ-მოკიბვის შემდეგ, მისვლის მიზანიც გაუმხილა: რაკი შენი მოკრძალების ამბავი ვიცი, მოვედი, რათა დახმარება გთხოვო ერთ საქმეში, რის შემდეგაც ჩემს თავს ნამდვილ ვაჟკაცად

შეიჩნევო; და ფრედერიკსაც უარი არ უთქვამს. ეს ამბავი დელორიესაც უთხრა, მხოლოდ არ გაუმხელია ის, რაც პირადად თვითონ ეხებოდა.

კლერკი დარწმუნდა, რომ ფრედერიკი ახლა „ნამდვილი ბიჭია“. იმ გარემოებამ, რომ ფრედერიკი ესოდენ გულმოდგინედ ასრულებს მის რჩევას, კლერკი უკეთეს გუნებაზე დააყენა.

სწორედ თავისი მხიარული ხასიათით მოხიბლა პირველი შეხვედრისთანავე მ-ელ კლემანს დავიუ, სამხედრო ჩაცმულობის ოქრომკედით მქარგავი, უთვინიერესი ქმნილება ამქვეყნად, ლერწამივით ტანწერწეტი, მუდამ გაკვირვებული დიდრონი ცისფერი თვალები რომ აქვს. კლერკი ბოროტად იყენებდა მის გულუბრყვილობას, იქამდეც კი, რომ არწმუნებდა, ორდენით ვარ დაჯილდოებულიო; როცა მარტონი იყვნენ ხოლმე, სერთუკზე წითელ ლენტს იკეთებდა, მაგრამ ხალხში კი არა, რათა არ დაემცირებინა თავისი უფროსი, როგორც თვითონ ამბობდა. გარნა ძლიერ როდი იახლოებდა ამ ქალს, ნებას აძლევდა ეალერსნა მისთვის, ვით ფაშისათვის, და ხუმრობით „ხალხის შვილს“ ეძახდა მას. ქალი მუდამ ის თაიგულს სძღვნიდა ხოლმე. ფრედერიკს ასეთი სიყვარული არ ეპრიანებოდა.

მაგრამ, როცა, მკლავგაყრილნი, სასადილოდ წავიდოდნენ ხოლმე, პენსიონის ან ბარიოს ცალკე კაბინეტში, დელორიეს უცნაური მოწყენა ეუფლებოდა. ფრედერიკს აინუნშიც არ მოსდიოდა, რაოდენ ტანჯვას აყენებდა დელორიეს მთელი წლის განმავლობაში ყოველ ხუთშაბათს, როცა შუაზელის ქუჩაზე წასასვლელად ემზადებოდა ხოლმე და ფრჩხილებს დაუწყებდა წმენდას.

ერთ საღამოს, როცა თავის აივანზე იდგა და მათ მიმავალთ უცქეროდა, შორს, არკოლის ხიდზე, თვალი მოჰკრა ჰიუსონეს; იგი ანიშნებდა, ჩამოდიო, და როცა ფრედერიკი მეხუთე სართულიდან ძირს დაეშვა, უთხრა:

— აი რა: შაბათს, 24, ქ-ნ არნუს დღეობაა.

— როგორ? მას ხომ მარიამი ჰქვია?

— აგრეთვე ანჟელი; მაგრამ განა სულ ერთი არაა! დღეობა მათს აგარაკზე იქნება, სენ-კლუში; დავალებული მაქვს გაცნობოთ, სამ საათზე ეკიპაჟი დაგელოდებათ რედაქციასთან. მაშ, შევთანხმდით! მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ. მაგრამ იმდენი საქმე მაქვს!

ის იყო ფრედერიკი დაბრუნდა, რომ მეკარემ ბარათი გადასცა:

„ბატონი და ქალბატონი დამბრეზები სთხოვენ ბატონ ფ. მოროს პატივი გვცეს და გვეწვიოს სადილად შაბათს, ამა თვის 24. კეთილ ინებეთ და გვიპასუხეთ“.

„მეტად გვიანაა“, გაიფიქრა მან.

მიუხედავად ამისა, წერილი აჩვენა დელორიეს, რომელმაც წამოიძახა:

— აჰ, როგორც იქნა! მაგრამ შენ თითქოს უკმაყოფილო ხარ რატომ?

ფრედერიკმა ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ უპასუხა, ამ დღეს სხვაგანაც დაპატიჟებული ვარო.

— მაამე და... ჯანდაბას შუაზელის ქუჩა. სისულელეს თავი გაანებე! თუ შენ გერიდება, მე მივწერ შენს მაგიერ.

და კლერკმა მესამე პირით მისწერა თანხმობა.

რაკი ამ ქვეყანას თავისი ნატვრის სიმძაფრის მიხედვით აფასებდა, იგი წარმოედგინა როგორც ხელოვნური რამ ქმნილება, რომელიც მათემატიკური კანონების ძალით მოქმედებს. სადილად დაპატიჟებას, გავლენიან პირთა შეხვედრას, ლამაზი ქალის ღიმილს შეეძლო გამოეწვია ერთი მეორიდან გამომდინარე სხვადასხვა მოქმედება, ჰქონოდა დიდი შედეგი. პარიზის ზოგიერთი სალონი წარმოედგინა როგორც მანქანა, ნედლ მასალას რომ იღებს, გადაამუშავებს და ასჯერ მეტ ღირებულებას მისცემს. სჯეროდა, რომ არიან ისეთი კურტიზანები, რომლებიც რჩევას აძლევენ დიპლომატებს, რომ შეიძლება კარგი ქორწინება ინტრიგების შემწეობით, რომ არიან გენიალური კატორღელები, არის შემთხვევა, ძლიერ ადამიანს რომ ემორჩილება. ბოლოს, დამბრეზებთან ნაცნობობა ესოდენ სასარგებლოდ მიაჩნდა და ისეთი მჭევრმეტყველება გამოიჩინა, რომ ფრედერიკმა აღარ იცოდა, რა გადაწყვეტილება მიეღო.

ასე იყო თუ ისე, რაკი ქ-ნ არნუს დღეობა უნდა გამართულიყო, ფრედერიკს საჩუქარი უნდა მიერთმია მისთვის; მან, რა თქმა უნდა, იფიქრა ქოლგაზე და სურდა გამოესწორებინა თავისი უხერხულობა. ნახა ერთი მტრედისფერი აბრეშუმის ჩინური ქოლგა, სპილოს ძვლის პატარა მოჩუქურთმებული ტარი რომ ჰქონდა. მაგრამ იგი ას სამოცდათხუთმეტი ფრანკი ღირდა, ფრედერიკს კი გახვრეტილი ფარაც არ ჰქონდა და ვალით ცხოვრობდა, სანამ თვიურ ფულს მიიღებდა. მაგრამ მაინც ძლიერ სურდა ეყიდა და, თუმცა ეხამუშებოდა, იძულებული იყო დელორიესათვის მიემართა.

დელორიემ უპასუხა, ფული არ მაქვსო.

— მესაჭიროება, — უთხრა ფრედერიკმა, — ძლიერ მესაჭიროება.

ხოლო როცა დელორიემ ერთხელ კიდევ მოიბოდიშა, ფრედერიკი გაბრაზდა:

— შეგეძლო ზოგჯერ...

— რა?

— არაფერი!

კლერკი მიხვდა. თავისი დანაზოგიდან აიღო მოთხოვნილი თანხა, და როცა ზედიზედ დაუთვალა, უთხრა:

— ხელწერილს არ გთხოვ, რადგან შენს ხარჯზე ვცხოვრობ!

ფრედერიკი გადაეხვია და მეგობრობა შეჰფიცა. დელორიე გულგრილი დარჩა. მეორე დღეს კი, როცა პიანინოზე ქალგა დაინახა:

— აჰ! ამისთვის გინდოდა!

— იქნებ ეს გავუგზავნო, — სულ მოკლედ მიუგო ფრედერიკმა.

შემთხვევამ ხელი შეუწყო, რადგან საღამოს სამგლოვიარო ბარათი მიიღო, რომლითაც ქ-ნი დამბრეზი ბიძის გარდაცვალებას აუწყებდა და ბოდიშს იხდიდა, სხვა დროისათვის უნდა გადავდო თქვენი გაცნობის სიამოვნებაო.

ორ საათზე ჟურნალის რედაქციაში მივიდა. ნაცვლად იმისა, რომ დალოდებოდა და თავისი ეტლით წაეყვანა, არნუ წინა დღით წავიდა, რაკი ვერ გაუძლო სურვილს სუფთა ჰაერი ესუნთქა.

ყოველ წელს, გაიფურჩქნებოდა თუ არა პირველი ფოთლები, არნუ რამდენიმე დღით დილიდანვე გადიოდა ქალაქგარეთ, სეირნობდა მინდორში, სვამდა რძეს ფერმებში, ელაციცებოდა სოფლელ ქალებს, კითხულობდა მოსავლის ამბებს და ცხვირსახოცით მოჰქონდა სალათის კონები. ბოლოს, დიდი ხნის ნატვრაც აისრულა: ს

სახლი ასოდე ნაბიჯზე იყო ხიდიდან გორაკის შეფენებაზე. ბალის ღობეს ფარავდა ორწყებად ჩარგული ცაცხვები, მინდორი ზედ მდინარის ნაპირს აწყდებოდა. რაკი ჭიშკარი ღია იყო, ფრედერიკი შევიდა.

ბალახში წამოწოლილი არნუ კატის კნუტებს ეთამაშებოდა. იგი ამ გასართობით იყო მთლად გატაცებული. ვატნაზის წერილმა გაუფუჭა გუნება.

— ჯანდაბას! ჯანდაბას! სამწუხაროა! იგი მართალია; უნდა წავიდე.

შემდეგ ბარათი ჯიბეში ჩაიდო და სიამოვნებით უჩვენა სტუმარს თავისი მამული. ყველაფერი დაათვალიერებინა: საჯინიბო, ფარდული, სამზარეულო. სასტუმრო ოთახი იყო ფანჯრებს იქით, პარიზისაკენ რომ გადიოდა, მოჩანდა კატაბარდით მორთული ტრელაჟი. უეცრად მათ ზემოთ გაისმა სიმღერა; ქ-ნი არნუ, რომელსაც ეგონა, შინ მარტო ვარო, სიმღერით ერთობოდა. ვარჯიშობდა გამებში, კრიმანჭულში, არპეჯოში. ზოგი ჰანგი თითქოს ჰაერში ეკიდა, ზოგი მალე იცარებოდა, თითქოს ჩანჩქერის შხეფებიაო; მისი ხმა დარაბებში გამოდიოდა, გაუტეხელ სიჩუმეს არღვევდა და ლურჯ ცაში იფანტებოდა.

იგი უეცრად გაჩუმდა, როცა მეზობლები ბ-ნი და ქ-ნი უდრი მოვიდნენ.

შემდეგ თვითონ გამოჩნდა წინკარში და, როცა კიბეზე ჩამოდიოდა, ფრედერიკმა დაინახა მისი ფეხი. ქ-ნ არნუს ეცვა ბრინჯაოს ფერის მოხდილი ფეხსაცმელი, რომლებსაც სამი გარდი-გარდმო ბანდული ჰქონდა, წინდის ფონზე რომ ოქროს რიკულივით მოჩანდა.

სტუმრები მოვიდნენ. ადვოკატ ლეფოშერის გარდა, ესენი იყვნენ ხუთშაბათის მუდმივი სტუმრები. თითოეულმა მოიტანა საჩუქარი: დიტმერმა სირიული შარფი, როზენვალდმა რომანსების ალბომი, ბიურიემ აკვარელი, სომბაზმა თავისი საკუთარი კარიკატურა, პელერენმა კი ნახშირით ნახატი, რაღაც სიკვდილის როკვის მსგავსი რამ, საზიზღარი ფანტაზია, უხეიროდ შესრულებული. ჰიუსონეს გადაეწყვიტა ხელცარიელი მოსულიყო.

ფრედერიკმა სხვებს აცალა და მერმე მიართვა თავისი საჩუქარი.

ქალმა დიდი მადლობა გადაუხადა. მაშინ ფრედერიკმა უთხრა:

— კი, მაგრამ... ეს თითქმის ვალია! ისე გაჯავრებული ვიყავი, რომ...

— რატომ? — უთხრა მან. — არაფერი მესმის!

—-სუფრაზე! — უთხრა მასპინძელმა და მკლავში ხელი ჩაჰკიდა; შემდეგ ყურში ჩასჩურჩულა:

— რა მიუხვედრელი ვინმე ხარ!

არაფერი ისე სასიამოვნო არ იქნებოდა, როგორც ეს წყლისფერად შეღებილი სასადილო ოთახი. ერთ-ერთ ქვის ფერიას ფეხი წაეყო აუზში, სადაფის ფორმა რომ ჰქონდა. ღია ფანჯრებში მოჩანდა მთელი ბაღი და გრძელი მოლი, რომლის ნაპირას აღმართულიყო ნახევრადხმელი შოტლანდიური ფიჭვი; კვლები აქ უთანაბროდ იყო მოწყობილი; მდინარის გაღმა ფართო რკალად იშლებოდა ბულონის ტყე, ნეილი, სევრი, მედონი. ღობის გადაღმა, პირდაპირ, აფრიანი ნავი მიცურავდა.

ისაუბრეს ჯერ ამ ხედზე, მერმე ხაერთოდ პეიზაჟზე, და ის იყო კამათი დაიწყო, რომ არნუმ მსახურს უბრძანა, ათის ნახევარზე ამერიკული ეტლი შეაბიო. მოლარის ბარათი ქალაქში იწვევდა მას.

— გინდა წამოგყვე? — უთხრა ქ-მა არნუმ.

— რა თქმა უნდა!

და თავი დაბლა დაუკრა.

— ძალიან კარგად იცით, ქალბატონო ჩემო, რომ უთქვენოდ სიცოცხლე შეუძლებელია!

ყველამ მიულოცა, ასეთი მშვენიერი ქმარი გყავთო.

— აჰ! მარტო რომ არ ვარ! — ნაზად მიუგო და პატარა გოგონაზე ანიშნა.

შემდეგ სიტყვა კვლავ ფერწერაზე ჩამოვარდა, ლაპარაკი დაიწყეს რიუისდალის სურათზე, რომლის გაყიდვით არნუ გვარიანი თანხის მიღებას ვარაუდობდა; პელერენმა ჰკითხა, მართალია თუ არა, რომ გასულ თვეში ლონდონიდან ჩამოვიდა ყბადაღებული სავლე მათიასი და ამ სურათში ოცდასამ ათას ფრანკს იძლეოდა.

— სრული სიმართლეა!

და არნუმ ფრედერიკს მიმართა:

— ეს სწორედ ის კაცია, რომელთან ერთად იმ საღამოს მოვედი ალჰამბრაში, გარწმუნებთ, არა ჩემი სურვილით, რადგან ინგლისელები ისეთი ხალხი როდია, რომელთანაც გართობა შეგეძლოს!

ფრედერიკს ეჭვი ჰქონდა, მ-ელ ვატნაზის წერილი ქალის რაღაც ამბავს უნდა ეხებოდესო, და გაუკვირდა, რა მოხერხებულად იპოვნა პატივცემულმა არნუმ სათანადო საბაბი, რომ ქალაქში გაქ-

ცეულიყო, მაგრამ მისმა ახალმა ტყუილმა, რაც სრულიად არ იყო საჭირო, თვალები დააჭყეტინა.

ვაჭარმა სულ უბრალოდ დასძინა:

— რა ჰქვია იმ მაღალ ყმაწვილკაცს, თქვენს მეგობარს?

— დელორიე, — სწრაფად მიუგო ფრედერიკმა.

და რომ მოენანიებინა დანაშაული, რასაც მის წინაშე გრძნობდა, შეაქო, როგორც დიდი ჭკუის პატრონი.

— აჰ! მართლა? მაგრამ შესახედავად ისეთი მოსაწონი როდია, როგორც მეორე, სატრანსპორტო კანტორის მოსამსახურე.

ფრედერიკი აძაგებდა დიუსარდიეს. ქ-ნმა არნუმ არ იფიქროს, უბრალო ხალხთან ჰქონია საქმეო.

შემდეგ საუბარი შეეხო დედაქალაქის გამშვენებას, ახალ უბნებს და მოხუცმა უდრიმ დიდ საქმოსანთა შორის ბ-ნი დამბრეზიც დაასახელა.

ფრედერიკმა შემთხვევით ისარგებლა და თავის გამოსაჩენად განაცხადა, მას ვიცნობო. მაგრამ პელერენმა გაილაშქრა მედუქნეთა წინააღმდეგ — სანთელს ვაჭრობენ ისინი თუ ფულს, მათ შორის განსხვავებას ვერ ვხედავო. შემდეგ როზენვალდი და ბიურიე პორსელენს შეეხნენ; არნუ ქ-ნ უდრის ესაუბრებოდა მებაღეობაზე; სომბაზი, ძველი სკოლის ხუმარა, იმით ერთობოდა, რომ დასცინოდა მის ქმარს: მსახიობ ოდრის სახელს უწოდებდა მას, შემდეგ განაცხადა, იგი უთუოდ ძაღლთა მხატვარ უდრის შთამომავალია, რადგან შუბლზე ცხოველთა კოპი ემჩნეოო. სურდა მისი თავის ქალაც კი მოესინჯა, იგი კი არ ნებდებოდა პარიკის გამო; დესერტი სიცილ-ხარხარში დამთავრდა.

როცა ყავა ბაღში, ცაცხვებქვეშ დალიეს, თამბაქო მოწიეს და ბილიკებზე გაიარ-გამოიარეს, მდინარის ნაპირზე გასასეირნებლად წავიდნენ.

კომპანია შეჩერდა მეთევზის ახლოს, თავის ფარდულში რომ გველთევზას წმენდდა. მ-ელ მართას უნდოდა თევზი ენახა; მეთევზემ ბალახზე გადმოყარა თავისი ნანადირევი და გოგონამ დაიჩოქა მათ დასაჭერად, ხან სიამით იცინოდა, ხანაც შიშით ყვიროდა. ყველა თევზი დაიხოცა, არნუმ მათი ფასი გადაიხადა.

შემდეგ აზრად მოუვიდა ნავით გასეირნება.

ჰორიზონტის ერთი მხარე მკრთალდებოდა, მეორეზე კი ცას ფართო ზოლად ეფინებოდა ნარინჯისფერი შუქი, მოწითალო ელ-

ფერი რომ ედებოდა ბორცვების მწვერვალებთან, რომლებიც მთლად გაშავდა. ქ-ნი არნუ დიდ ქვაზე იჯდა, დაფიონისათვის ზურგშექცეული; დანარჩენები კი ახლოს დაეხეტებოდნენ. ჰიუსონე ძირს იდგა, მდინარის ნაპირას და წყალში კენჭებს ისროდა.

არნუ დაბრუნდა და თან მოათრია ერთი ძველი ნავი, რომელშიც, მიუხედავად სხვათა გონივრული გაფრთხილებისა, თავისი სტუმრები ჩასვა. ნავმა ჩაძირვა იწყო, იძულებული გახდნენ გადმოსულიყვნენ.

ჩითგაკრულ სასტუმრო ოთახში უკვე აენთოთ სანთლები კედლებზე მიმაგრებულ ჟირანდოლებში. დედაბერ უდრის მშვიდად ეძინა სავარძელში, სხვები კი უსმენდნენ ლეფოშერს, რომელიც სახელგანთქმულ ადვოკატებზე ლაპარაკობდა. ქ-ნი არნუ განმარტოებული იდგა ფანჯარასთან. ფრედერიკი მასთან მივიდა.

იმაზევე ლაპარაკობდნენ, რაზედაც სხვები საუბრობდნენ. ქალს ორატორები მოსწონდა; ფრედერიკი მწერლის სახელს ამჯობინებდა. მაგრამ, ალბათ, მეტ სიამეს განიცდი, ამბობდა ქალი, როცა უშუალოდ მოქმედებ ხალხზე, როცა ამჩნევ, რომ მას გადაეცემა მთელი შენი გრძნობები. ასეთი ტრიუმფი არ ხიბლავდა ფრედერიკს, სრულიადაც არ იყო პატივმოყვარე.

— აჰ! რატომ? — უთხრა მან, — ოდნავი პატივმოყვარეობა საჭიროა.

ფანჯარასთან იდგნენ ერთმანეთის ახლოს. ღამე განვრცობილიყო მათს წინაშე, ვით ვერცხლის წინწკლებით დაფარული უზარმაზარი მუქი საბურველი. პირველად ლაპარაკობდნენ არა უმნიშვნელო ამბებზე; ფრედერიკმა მისი ანტიპათია და გემოვნებაც კი შეიტყო: ზოგიერთი სურნელება აუტანელი იყო მისთვის, აინტერესებდა ისტორიული წიგნები, სწამდა სიზმრები.

ფრედერიკმა სიტყვა ჩამოაგდო სიყვარულზე. ვნებით გამოწვეული ტანჯვა ქალის თანაგრძნობას იწვევდა, მაგრამ აღაშფოთებდა საზიზღარი პირმოთნეობა; და ეს პირდაპირობა ისე ეხამებოდა მისი მშვენიერი სახის სწორ ნაკვთებს, თითქოს მათ შორის რაღაც დამოკიდებულება არსებობსო.

ქალი ზოგჯერ გაიღიმებდა და წუთით თვალს მიაპყრობდა. მაშინ გრძნობდა, რომ მისი ცქერა სულში უძვრებოდა, როგორც მზის მძლავრი სხივები სწვდებიან წყლის ფსკერს. უყვარდა სრულიად გულწრფელად, უიმედოდ, თავდავიწყებით; გამოუთქმელი მისწრა-

ფებით, მადლობის გრძნობას რომ ჰგავდა, სურდა მისი შუბლი კოცნით დაეფარა. იმავე დროს რაღაც შინაგანი ძალა თითქოს მეტ სიმაღლეს ანიჭებდა; ეს იყო წყურვილი — თავი მსხვერპლად მიეტანა, მოთხოვნილება — დაუყოვნებლივ დაემტკიცებინა თავისი ერთგულება, რაც მით უფრო ძლიერი იყო, რომ მისი დაკმაყოფილება არ შეეძლო.

იგი სხვებთან ერთად არ წასულა, არც ჰიუსონე. ისინი ეტლით უნდა დაბრუნებულიყვნენ და ამერიკული კაბრიოლე უკვე კართან იდგა, როცა არნუ ბაღში ჩავიდა ვარდების დასაკრეფად. ყვავილები ძაფით შეკრა, ხოლო რაკი ღეროები სხვადასხვა სიგრძისა იყო, ჯიბეში ქაღალდი მოიძებნა, პირველსავე ნაპოვნში გახვია თაიგული, დიდი ქინძისთავით დაამაგრა და გრძნობით მიართვა ცოლს.

— ინებე, ჩემო ძვირფასო, და მაპატიე, რომ დამავიწყდი.

მაგრამ ქალმა შეჰკივლა, რადგან უხეიროდ გაყრილი ქინძისთავი ეჩხვლიტა, და თავის საწოლ ოთახში გაიქცა. თხუთმეტიოდე წუთს ელოდნენ. ბოლოს გამოვიდა, მართა აიტაცა და ეტლში ჩაჯდა.

— თაიგული? — უთხრა არნუმ.

— არა! არა! რა საჭიროა?

ფრედერიკი მის მოსატანად გაიქცა; ქალმა მიაძახა:

— არ მინდა!

მაგრამ მან თაიგული მალე მოიტანა და თქვა: ხელახლა შევხვიე ქაღალდში, რადგან ვარდები ძირს ეყარაო. ქალმა თაიგული ტყავის წინსაფარში ჩადო და ეტლიც დაიძრა.

ფრედერიკმა, რომელიც გვერდით უჯდა, იგრძნო, რომ ქალი მთლად კანკალებდა. ხიდი რომ განვლეს, არნუმ მარცხნივ გაუხვია:

— არა! ცდები! იქით, მარჯვნივ!

ჩანდა, გაღიზიანებული იყო; ყველაფერი აწუხებდა. ბოლოს, როცა მართამ თვალები დახუჭა, ქალმა თაიგული აიღო და გარეთ გადააგდო, მერმე ფრედერიკს ხელი მოჰკიდა და მეორე ხელით ანიშნა, ამაზე არასოდეს არ ილაპარაკოო. შემდეგ ტუჩზე ცხვირსახოცი მიიდო და აღარ განძრეულა.

ორი თანამგზავრი, კოფოზე რომ იჯდა, საუბრობდა სტამბაზე, ხელმომწერლებზე. არნუს უყურადღებოდ მიჰყავდა ეტლი და შუაგულ ბულონის ტყეში გზა დაებნა. იძულებული იყვნენ რაღაც უფრო ვიწრო ხეივნებით ევლოთ. ცხენი ნელა მიდიოდა; ტოტები ეტ-

ლის ჩარდახს ედებოდა. ბნელში ფრედერიკი მხოლოდ ქ-ნ არნუს თვალებს ხედავდა; მართა კალთაში ეწვა დედას, ფრედერიკს მისი თავი ეჭირა.

— გაწუხებთ, არა?

მან უპასუხა:

— არა! ოჰ, არა!

მტვრის კორიანტელი ნელა იძვროდა; ეტლი ოტეილზე გადიოდა; სახლები მთლად დაკეტილი იყო; ფარანი ხან აქ, ხან იქ გაანათებდა კედლის კუთხეს, მერმე კვლავ ბნელში შედიოდნენ; უეცრად ფრედერიკმა შეამჩნია, რომ ქალი ტიროდა.

რა იყო ეს: სინდისის ქენჯნა? სურვილი? მისი წუხილი, რისი მიზეზიც არ იცოდა, გულს უჩუყებდა ფრედერიკს, თითქოს რაღაც თვით მას ეხებაო; ახლა მათ შორის დამყარდა ახალი კავშირი, ერთგვარი შეთქმულება და რაც კი შეეძლო ალერსით ჰკითხა:

— გაწუხებთ რამე?

— დიახ, ოდნავ, — მიუგო მან.

ეტლი მიდიოდა; ჩიტივაშლას და იასამანს კენწლები ლობეზე გადმოედოთ და ღამის ჰაერს ნაზი სურნელებით აზავებდნენ. მრავალფურჩალიანი კაბა ფეხებს უფარავდა ქალს. ფრედერიკს ეგონა, ეს ბავშვი, მათ შუა რომ იწვა, მთელ მის არსებასთან მაკავშირებსო. იგი გოგონასკენ დაიხარა, მშვენიერი შავი თმა გადაუწია და შუბლზე წყნარად აკოცა.

— რა კეთილი ხართ! — უთხრა ქ-ნმა არნუმ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბავშვები გიყვართ.

— არა ყველა!

მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ მისკენ გაიწოდა ხელი და მთლად გაშალა, ეგონა, ისიც ასე იზამს და ჩვენი ხელები შეერთდებაო. შემდეგ შერცხვა და ხელი გამოსწია.

მალე ქვაფენილზე გავიდნენ. ეტლი უფრო ჩქარა წავიდა, გაზის ფარნები გახშირდა, ეს პარიზი იყო. ჰიუსონე კოფოდან ჩამოხდა გარდ-მებლის წინ. ფრედერიკი ეტლიდან მხოლოდ მაშინ გადმოვიდა, როცა უკვე ეზოში შევიდნენ; მერმე შუაზელის ქუჩის კუთხეს ამოეფარა და იქიდან უცქეროდა არნუს, ბულვარებისაკენ რომ ნელა მიდიოდა.

მეორე დღიდან ფრედერიკი ბეჯითად შეუდგა მუშაობას.

თავი სასამართლოს დარბაზში წარმოიდგინა ზამთრის ერთ საღამოს, როცა დამცველის სიტყვა დასასრულს უახლოვდება, როცა მსაჯულთა სახეები გაფითრებულია, აცახცახებული ხალხი კი ტიხარს აწვება და ტიხარი ჭრაჭუნებს: იგი უკვე ოთხ საათს ლაპარაკობს, აჯამებს თავის დამამტკიცებელ საბუთებს, ამჟღავნებს ახლებს და თითოეული ფრაზის, თითოეული სიტყვის წარმოთქმის დროს გრძნობს, როგორ სულ მაღლა მიიწევს გილიოტინის დანა სადღაც იქ, იმ ზურგს უკან. მერმე იგი დეპუტატთა პალატის ტრიბუნაზეა, ორატორია, რომლის სიტყვაზეც დამოკიდებულია მთელი ხალხის ხსნა; თავის მოწინააღმდეგეებს ანადგურებს შედარებებით, სპობს ერთი პასუხით; მის ხმაში ელერს გრგვინვაც და მუსიკალური კილოც: ირონია, პათოსი, მრისხანება, სიდიადე. ისიც იქ არის, სადღაც ხალხში და აღტაცების ცრემლებს ვუალით ჰფარავს. შემდეგ ერთმანეთს ხვდებიან; ვერც იმედის გაცრუება, ვერც ცილისწამება და ვერც შეურაცხყოფა ვერაფერს დააკლებს, ოღონდ მან თქვას: „აჰ! ეს მშვენიერია!“ და შუბლზე თავისი ნაზი ხელი გადაუსვას.

ეს სახენი შუქურასავით ბრწყინავდნენ მისი ცხოვრების ჰორიზონტზე. მისი აღგზნებული გონება განმტკიცდა და უფრო მოქნილი გახდა. აგვისტოს თვემდე ჩაიკეტა და უკანასკნელი გამოცდა ჩააბარა.

დელორიეს, ასეთი შრომით რომ წვრთნიდა მას მეორე გამოცდისათვის დეკემბრის ბოლოს და მესამისათვის — თებერვალში, უკვირდა მისი ბეჯითობა. განახლდა ძველი იმედი. ათი წლის შემდეგ ფრედერიკი უნდა გახდეს დეპუტატი, თხუთმეტი წლის შემდეგ — მინისტრი, რატომაც არა? იმ მემკვიდრეობის დახმარებით, რაც მალე უნდა მიიღოს, შეუძლია დააარსოს გაზეთი; ამით დაიწყებს, შემდეგ კი, ვნახოთ. რაც შეეხება თვითონ დელორიეს, იგი წინანდებურადვე ოცნებობდა იურიდიული ფაკულტეტის კათედრაზე და დოქტორის დისერტაცია ისე შესანიშნავად დაიცვა, რომ პროფესორების ქება დაიმსახურა.

სამი დღის შემდეგ ფრედერიკმაც დაიცვა დისერტაცია. არდადეგების დაწყების წინ გადაწყვიტა მოეწყო პიკნიკი, რაც შაბათობის შეკრების დასკვნა უნდა ყოფილიყო.

პიკნიკზე ფრედერიკი მხიარულ გუნებაზე იყო. ქ-ნი არნუ ახლა თავის დედასთან იყო შარტრში. მაგრამ მალე კვლავ შეხვდებოდა და ბოლოს და ბოლოს მისი საყვარელი გახდებოდა.

დელორიემ, რომელსაც სწორედ იმ დღეს დართეს ნება მეექვსეტყველებაში სავარჯიშოდ ორსეს სანაპიროზე, ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ დიდი ტაში დაიმსახურა. თუმცა ჩვეულებრივად იგი თავშეკავებული იყო, ამჯერად დაითრო და დესერტის დროს დიუსარდიეს უთხრა:

— შენ პატიოსანი კაცი ხარ! როცა გავმდიდრდები, მოურავად აგიყვან.

ყველა ბედნიერი იყო: სიზი არ აპირებდა კურსის დამთავრებას; მარტინონი სტაჟის განსაგრძობად პროვინციაში აპირებდა წასვლას, სადაც პროკურორის თანაშემწედ დაინიშნებოდა; პელერენი ფიქრობდა დაეხატა დიდი სურათი თემაზე „რევოლუციის გენიოსი". ჰიუსონეს მომავალ კვირაში უნდა წაეკითხა „გასართობი თეატრის" დირექტორისათვის პიესა, რომლის წარმატება არ ეეჭვებოდა:

— რადგან დრამის აღნაგობა დავას არ იწვევს! ვნებებში კარგად ვერკვევი, რაკი ამქვეყნად ბევრი ნათრევი ვარ. რაც შეეხება გონებამახვილობას, ეს ხომ ჩემი ხელობაა!

მერმე გადახტა, თავდაყირა დადგა და რამდენჯერმე შემოუარა სუფრას.

ეს ბავშვური საქციელი სენეკალს არ ეამა. პანსიონიდან, სადაც იგი მსახურობდა, დაითხოვეს, რადგან ერთი არისტოკრატის შვილს სცემა. რაკი დიდ გაჭირვებაში იყო, ამის ბრალს საზოგადოებრივ წყობილებას სდებდა და სწყევლიდა მდიდრებს; თავის გრძნობებს უზიარებდა რეფემბარს, ვინც მასზე უფრო გულგატეხილი, მოწყენილი და გაბეზრებული იყო; მოქალაქეს ახლა საბიუჯეტო საკითხები აინტერესებდა და კამარილას ბრალს სდებდა, ალჟირში მილიონებს ღუპავსო.

რაკი მას არ შეეძლო ისე დასძინებოდა, რომ ალექსანდრეს სამიკიტნოში არ შეევლო, თორმეტ საათზე გაილალა. დანარჩენები უფრო გვიან წავიდ-წამოვიდნენ; ჰიუსონესთან გამოთხოვებისას ფრედერიკმა შეიტყო, რომ ქ-ნი არნუ წინადღით უნდა დაბრუნებულიყო.

ფრედერიკი დილიჟანსების სამმართველოში წავიდა, რათა ბილეთი ზეგისათვის გამოეცვალა, და საღამოს ექვს საათზე უკვე ქ-ნ არნუსას იყო. მისი დაბრუნება ერთი კვირით გადაიდო, უთხრა მეკარემ. ფრედერიკმა მარტოდ ისადილა და შემდეგ ბულვარებზე იხეტიალა.

ვარდისფერი ღრუბლები, გაშლილი შარფების მსგავსი, სახლების სახურავებზე მიზოზინებდნენ. უკვე იწყებდნენ დუქნების ფარდების აწევას, ქუჩის მტვერს ასხურებდნენ სარწყავი კასრები და მოულოდნელი სიგრილე ერთვოდა კაფეებიდან სუნს; ღია კარებში მოჩანდა ყვავილების მთელი კონები, მაღალ სარკეებში რომ იხატებოდა. ხალხი ნელა იძვროდა. მამაკაცთა ჯგუფები შუაგულ ტროტუარზე იდგნენ და საუბრობდნენ; ქალებს თვალებში ეტყობოდათ ის სინაზე, ხოლო სახეებზე კამელიისებრი ფერმკრთალობა, რასაც დიდი სიცხისაგან გამოწვეული მოქანცულობა იწვევს. რაღაც თვალუწვდენი რამ ეკიდა ჰაერში, ჰბურავდა შენობებს. ფრედერიკს არასოდეს არ ენახა პარიზი ესოდენ მშვენიერი. მომავალი მას წარმოედგინა სიყვარულით აღსავსე დაუსრულებელი წლების ნაკადად.

პორტ-სენ-მარტენის თეატრის წინ შეჩერდა, აფიშას თვალი მოავლო და, რაკი საქმე არა ჰქონდა რა, ბილეთი იყიდა.

წარმოადგენდნენ რაღაც ძველ ფეერიას. მაყურებელი ცოტა იყო; სხვენის სარკმელში მოჩანდა ცა, პატარა ლურჯი ოთხკუთხედები, რამპის კინკეტები კი მთლიან ყვითელ ალად იყო გაჭიმული. სცენა წარმოადგენდა მონების ბაზარს პეკინში, სადაც მოჩანდა ზანზალაკები, დოლები, ჯიღები, წოწოლა ჩაჩები: გაისმოდა ხუმრობა. როცა ფარდა დაეშვა, ფრედერიკი უკაცრიელ ფოიეში გავიდა და ფანჯარაში ბულვარზე დაინახა დიდი მწვანე ლანდო, რომელშიც შებმული იყო ორი თეთრი ცხენი, მეეტლეს კი მოკლე შარვალი ეცვა.

იგი უკვე თავის ადგილზე ჯდებოდა, როცა ბელეტაჟის პირველ ლოჟაში შემოვიდა ქალი და მამაკაცი. ქმარს ჰქონდა ფერმკრთალი სახე, თხელი ჭაღარა წვერი, ორდენის კოკორი საღილეში და ისეთი ცივი გამომეტყველების სახე, როგორსაც დიპლომატებს მიაწერენ ხოლმე.

მის მეუღლეს, ვინც სულ ცოტა ოცი წლით ახალგაზრდა მაინც იქნებოდა ქმარზე, არც მაღალსა და არც დაბალს, არც გონჯსა და არც ლამაზს, ვისაც ქერა თმა ინგლისურ მოდაზე ჰქონდა დახვეული და ტანთ ეცვა სადალიფიანი კაბა, ხელში ეჭირა ფართო მაქმანიანი შავი მარაო. იმისათვის, რომ გაეგო თუ ამგვარი წრის ადამიანები რატომ მოსულან თეატრში ასეთ სეზონშიო, უნდა გევარაუდნა ან რაღაც შემთხვევა, ან მოწყენილობა, თუ საღამოს გა-

ტარება ერთად მოუხდებოდათ შინ. ქალი მარაოს კვნეტდა, კაცი კი ამთქნარებდა. ფრედერიკს ვერ გაეხსენებინა, სად ენახა ეს კაცი.

შემდეგ ანტრაქტში რომ ტალანში გაიარა, ფრედერიკი ორივეს შეხვდა და გაუბედავად მიესალმა. ბ-მა დამბრეზმა იცნო, მივიდა და მაშინვე მოიხადა ბოდიში შეუწყნარებელი დაუდევრობის გამო. ეს იყო გადაკრული ნათქვამი იმ მრავალ სადარბაზო ბარათზე, რასაც ფრედერიკი გზავნიდა ხოლმე კლერკის რჩევით. ოღონდ წლებს ურევდა და ეგონა ფრედერიკი ჯერ კიდევ მეორე კურსზეაო. შემდეგ უთხრა, მშურს, რომ სოფლად მიდიხარ, მეც კი უნდა დავისვენო, მაგრამ საქმეების გამო პარიზიდან ვერ გავსულვარო.

ქ-ნი დამბრეზი, ქმრის მკლავს რომ ეყრდნობოდა, ოდნავ ხრიდა თავს და მისი სახის თავაზიანი გამომეტყველება არ ეხამებოდა იმ ნაღვლიანობას, წეღან რომ ეტყობოდა.

— თუმცა აქ ბევრი კარგი გასართობიც არის! — თქვა მან მეუღლის უკანასკნელ სიტყვებზე. — რა სისულელეა ეს სპექტაკლი! არა, ბატონო?

და სამივე ზეზე განაგრძობდა ლაპარაკს თეატრსა და ახალ პიესებზე.

ფრედერიკს, რომელიც მიჩვეული იყო პროვინციელი კეკელების პრანჭვას, ჯერ არც ერთი ქალი არ ენახა, რომელსაც ასეთი სითამამე და უბრალოება გამოეჩინოს ქცევაში, რაც მხოლოდ შნოა, და რაც გულუბრყვილო ადამიანებს უნებლიე სიმპათიის გამოჩენად მიაჩნიათ.

იმედოვნებდნენ, თავიანთ ოჯახში ენახათ იგი, როგორც კი სოფლიდან დაბრუნდებოდა. ბ-ნმა დამბრეზმა დაავალა, ძია როკს მოკითხვა გადაეცია.

დაბრუნდა თუ არა შინ, ფრედერიკმა მაშინვე უამბო დელორიეს ამ შეხვედრაზე.

— დიდებულია! — უთხრა კლერკმა. — ოღონდ დედას არ გაუქალაჩუნდე! მალე დაბრუნდი!

შინ დაბრუნების მეორე დღეს ქ-მა მორომ ნასაუზმევს შვილი ბაღში ჩაიყვანა.

დედას უხაროდა, რომ შვილს ახლა წოდება ჰქონდა, რადგან ისინი არცთუ ასე მდიდრები არიან, როგორც ბევრს ჰგონია; მიწა ცოტა შემოსავალს იძლევა; მოიჯარეები ფულს ცუდად იხდიან;

იძულებული ვიყავი, ეტლიც კი გამეყიდაო, — უთხრა დედამ და ბოლოს გააცნო თავიანთი მდგომარეობა.

„როცა დავქვრივდი, — უამბო დედამ. — მეტისმეტად გამიჭირდა. მაშინ ერთმა ვერაგმა კაცმა, ბ-მა როკმა, ფული მასესხა და უჩემოდ განაახლებდა და განავადებდა ხოლმე ვექსილებს. ერთხელ უეცრად მომთხოვა მთელი ფული და იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავი მის პირობებზე, მუქთად დავუთმე პრელის ფერმა. ათი წლის შემდეგ გაკოტრდა მელენის ბანკი და მთელი კაპიტალი დამეკარგა. შიშის ზარს მცემდა უძრავი ქონების დაგირავება, თანაც მსურდა დამეცვა ცხოვრების წესი, რაც მომავალში ჩემს შვილს გამოადგებოდა, და ამიტომ, როცა ბ-ნი როკი კვლავ გამოცხადდა, კვლავ დავთანხმდი მის პირობებზე. მაგრამ ახლა ყველაფერი გადახდილი მაქვს. მოკლედ, ჩვენ დაგვრჩა დაახლოებით ათი ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი, აქედან შენს წილად ორი ათას სამასი ფრანკი, ეს არის სულ მამაშენის მემკვიდრეობა!“

— ეს შეუძლებელია! — წამოიძახა ფრედერიკმა.

დედამ თავი ისე გაიქნია, რაც ნიშნავდა, სრულიად შესაძლებელიაო.

— კი, მაგრამ ბიძაჩემი ხომ დამიტოვებს რამეს?

— მაგაში საეჭვო არაფერია!

მათ უხმოდ გაიარეს ბაღში. ბოლოს დედამ გულში ჩაიკრა და ცრემლმორეული ხმით უთხრა:

— აჰ! ჩემო საბრალო ბიჭო! რამდენი იმედი გამიცრუვდა!

ფრედერიკი სკამლოგინზე ჩამოჯდა აკაციის სქელ ჩრდილში.

— მე ასე გირჩევ: კლერკად დაუდექ ადვოკატ პრუარამს, რომელიც შემდეგში თავის კონტორას გადმოგცემს; თუ საქმეს კარგად წაიყვან, შეგეძლება იგი გაყიდო და მდიდარი ქალი შეირთო.

ფრედერიკი აღარ უსმენდა. იგი უნებლიეთ მეზობელ ბაღში იცქირებოდა.

იქ ხედავდა თორმეტიოდე წლის მწითურთმიან გოგონას, რომელიც მარტოდმარტო იყო. ცირცელის საყურე გაეკეთებინა. ტილოს კაბა ეშვებოდა მხრებზე, მზეს რომ ოდნავ დაეწვა ოქროსფრად; კაბაზე მურაბის ლაქები უჩანდა და მთელ მის სხეულს, დაძაბულსა და ხიოჭს, მტაცებელი მხეცის სინარნარე ამშვენებდა. უცნობი კაცის დანახვამ, ჩანდა, გააკვირვა; ხელში სარწყავი ეჭირა, უეცრად შედგა და სხივოსანი ცისფერ-მომწვანო თვალები ფრედერიკს მიაშტერა.

— ეგ ბატონ როკის ქალიშვილია, — უთხრა ქ-მა მორომ. — მან ამას წინათ შეირთო თავისი მოსამსახურე ქალი და ბავშვი იშვილა.

VI

— განადგურებული ვარ, გაძარცული, დაღუპული!

ფრედერიკი სკამზე იჯდა, როგორც დამბლადაცემული. ბედს წყევლიდა, სურდა გაელახა ვინმე; სასოწარკვეთილებას ის უფრო უმძაფრებდა, რომ გრძნობდა რაღაც შეურაცხყოფას, შეგინებას, რადგან წინათ ეგონა, მამისეული ქონება მომავალში თხუთმეტიოდე ათას ლივრ შემოსავალს მომცემსო, და ეს არნუების ოჯახსაც აგრძნობინა! ახლა მას ჩათვლიან მკვეხარად, თაღლითად, გაიძვერად, რომელმაც მათი ნდობა იმიტომ მოიპოვა, რომ რამეს გამორჩეს! და იმას, ქალბატონ არნუს, რა პირით უნდა შეხვდეს ახლა?

თუცმა ეს სრულიად შეუძლებელია ახლა, რაკი მხოლოდ სამი ათასი ფრანკი აქვს წლიური შემოსავალი! ხომ არ შეუძლია მუდამ მეოთხე სართულზე იცხოვროს, ჰყავდეს მხოლოდ მეკარე და მთელ წელიწადს ატაროს სულ ის უბადრუკი შავი ხელთათმანები, თითებზე რომ გახუნებულა, გაზინთული ქუდი და ერთი და იგივე სერთუკი. არა და არა, არასოდეს! გარნა უმისოდ ცხოვრება აუტანელია. თუმცა ბევრს არავითარი ქონება არ გააჩნია, მათ შორის დელორიეს; და სულმოკლეობად ეჩვენა, რომ ასეთ წვრილმანებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. გაჭირვებამ შეიძლება ასჯერ გააძლიეროს მისი ნიჭი. იგი აღაგზნო ფიქრმა დიდ ადამიანებზე, რომლებიც სხვებისთვის მუშაობენ. ისეთ არსებას, როგორიც ქ-ნი არნუა, ასეთმა სანახაობამ გული უნდა მოულბოს. ამრიგად, ეს კატასტროფა ბედნიერებაცაა; როგორც მიწისძვრამ, საგანძურებს რომ გამოაგლეს ხოლმე, მან გააღვიძა მისი ბუნების ფარული სიმდიდრენი. მაგრამ მსოფლიოში მხოლოდ ერთი ადგილია, სადაც ეს სიმდიდრენი შეიძლება დააფასონ: პარიზი! რადგან მისი ფიქრით, ხელოვნება, მეცნიერება და სიყვარული (ეს სამი პიროვნება ღვთისა, როგორც პელერენი ამბობს) დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ დედაქალაქზე.

საღამოს დედას განუცხადა პარიზს ვბრუნდებიო. ქ-ნი მორო

გაოცდა და აღშფოთდა: „ეს სიგიჟეა, სისულელეა. უმჯობესი იქნება ჩემი რჩევა დაიჯერო, ესე იგი დარჩე ჩემთან და იმუშაო. ფრედერიკმა მხრები აიჩეჩა: „აბა რას ამბობ!“ და გადაწყვიტა, ასეთი წინადადება შეურაცხყოფას მაყენებსო.

მაშინ კეთილმა ქალმა სხვა ხერხს მიმართა. წყნარად აქვითინდა და ნაზი ხმით დაიწყო წუწუნი თავის მარტოობაზე, სიბერეზე. გაღებულ მსხვერპლზე. ახლა, როცა, ესოდენ უბედურია, ტოვებენ! შემდეგ გადაკრულად განაცხადა:

— ღმერთო ჩემო! ცოტა მოიცა. მალე თავისუფალი იქნები!

ეს წუწუნი დღეში ორჯერ მაინც მეორდებოდა სამი თვის განმავლობაში, ოჯახური სიამენი კი გულს ულბობდნენ; ტკბებოდა უფრო რბილი ლოგინით, დაუგლეჯელი პირსახოცებით და, ბოლოს, დაუძლურებული, უნებისყოფო, ლმობიერების საშინელი ძალით დამარცხებული ფრედერიკი მეტრ პრუარამთან წაიყვანეს.

იქ მან ვერ გამოიჩინა ვერც ცოდნა, ვერც ბეჯითობა. აქამდე იგი მიაჩნდათ დიდი უნარის მქონე ყმაწვილკაცად, დეპარტამენტის ძომავალ სიამაყედ. ახლა ყველას იმედი გაუცრუვდა.

პირველ ხანებში ფიქრობდა: „უნდა ვაცნობო ქ-ნ არნუს“, და მთელ კვირას თხზავდა დითირამბებით აღსავსე წერილებს. ლაპიდარული და ნატიფი სტილით დაწერილ მოკლე ბარათებს. მაგრამ აკავებდა თავისი მდგომარეობის გამეღავნების შიში. შემდეგ გადაწყვიტა, უმჯობესი იქნება მის ქმარს მივწეროო. არნუ ცხოვრებას იცნობს და გამიგებსო. ბოლოს, თხუთმეტი დღის ყოყმანის შემდეგ, გადაწყვიტა:

„ერთი მეცა! სულაც აღარ უნდა ვნახო ისინი. დაე დამიეიწყონ! თავს მაინც არ დავიმცირებ მათს თვალში! იგი იფიქრებს, რომ მოვკვდი, და იქნებ ... შევებრალო კიდევაც“.

რადგან მეტად უკიდურესი გადაწყვეტილებანი არაფრად ეღირდა, ფიცი დადო, პარიზს აღარ დავბრუნდე და ქ-ნ არნუს ამბავი აღარ ვიკითხოო.

ნამდვილად კი, გაზის სუნი და ომნიბუსების გრიალიც კი სინანულს იწვევდა მის გულში. ოცნებით იგონებდა მის ყოველ სიტყვას, მისი ხმის ტემბრს, მისი თვალების ჟუჟუნს და, რაკი ეგონა, ჩემი საქმე წასულიაო, სრულიად აღარაფერს აკეთებდა.

დილით გვიან იღვიძებდა და ფანჯარაში გასცქეროდა მიმავალ საზიდრებს. განსაკუთრებით ცუდად გრძნობდა თავს პირველ ექვს თვეს.

და მაინც ზოგჯერ საკუთარ თავს შემოუძახებდა ხოლმე. მაშინ შინიდან წავიდოდა მინდვრებში, რომელთაც ზამთრობით სენა წყლით ფარავს. მინდვრებს ალვის ხეები ყოფენ. აქა-იქ გადებულია პატარა ხიდები. საღამომდე იხეტიალებდა, თელავდა გაყვითლებულ ფოთლებს, ისუნთქავდა ნისლს, ხტუნავდა თხრილებზე, და რაც უფრო მიეძალებოდა სისხლი საფეთქლებს, მით უფრო გაუხელდებოდა მოქმედების წყურვილი; სურდა მონადირე ყოფილიყო ამერიკაში; გამხდარიყო აღმოსავლელი ფაშის მსახური ან მატროსი რომელიმე ხომალდზე; მელანქოლიას დელორიესადმი გაგზავნილ წერილებში იქარვებდა.

ის კი თავს არ იზოგავდა, რომ როგორმე გზა გაეკვლია. მეგობრის სულმოკლეობა და განუწყვეტელი იერემიადა მას სისულელედ მიაჩნდა. მალე მათი მიწერ-მოწერა თითქმის შეწყდა. ფრედერიკმა მთელი თავისი ავეჯი აჩუქა დელორიეს, რომელიც კვლავ მის ბინაში ცხოვრობდა. დედა დროდადრო ელაპარაკებოდა ამაზე; ერთხელ გამოუტყდა, ვაჩუქეო, დედა გაუჯავრდა, რომ ამ დროს წერილი მიიღო.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მან. — მთლად კანკალებ!

— არაფერია! — მიუგო ფრედერიკმა.

დელორიე ატყობინებდა: სენეკალი შემოვისახლე და ახლა აგერ ორი კვირაა ერთად ვცხოვრობთ. ამრიგად, სენეკალი ახლა იმყოფება იმ ნივთებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია არნუსთან. მას შეუძლია გაყიდოს ისინი, ილაპარაკოს მათზე, იოხუნჯოს. ფრედერიკმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. თავის ოთახში ავიდა. სიკვდილს ნატრობდა.

დედამ დაუძახა. ბაღში რაღაც უნდა დაერგო და სურდა რჩევა ეკითხა. ეს ბაღი ინგლისურ პარკს ჰგავდა, შუაზე გაყოფილი იყო მესერით, ერთი ნახევარი ეკუთვნოდა ძია როკს, ვისაც მდინარის ნაპირზე ბოსტანიც ჰქონდა. რაკი მეზობლები მომდურავი იყვნენ, ერიდებოდნენ ბაღში ერთსა და იმავე დროს ჩასვლას. მაგრამ ფრედერიკის დაბრუნების შემდეგ ბ-მა როკმა უფრო ხშირად იწყო იქ სეირნობა და თავაზიანობას არ აკლებდა ქ-ნ მოროს ვაჟს. იგი თანაუგრძნობდა ფრედერიკს, ვინც იძულებული იყო პატარა ქალაქში ეცხოვრა. ერთხელ ძია როკმა უთხრა, ბ-ნმა დამბრეზმა გიკითხათო. მეორეჯერ ლაპარაკი დაუწყო შამპანზე, სადაც ჩვეულებად აქვთ, რომ ტიტული მდედრობით შტოზე გადადიოდეს.

— იმ დროს თქვენ წარჩინებული პირი იქნებით, დედათქვენი ხომ დე ფუვანის ასულია. და მართლაც, რაც გინდა თქვი, სახელი ბევრს ნიშნავს! თუმცა, — დასძინა და თვალი ცბიერად შეავლო, — „ეს იუსტიციის მინისტრზეა დამოკიდებული“.

არისტოკრატობის ეს პრეტენზია სრულიად არ ეგუებოდა მის გარეგნობას. რაკი პატარა ტანისა იყო, მიხაკისფერი განიერი სერთუკი სხეულს უცნაურად უგრძელებდა. როცა კასკეტს მოიხდიდა, გამოუჩნდებოდა ქალური სახე და არაჩვეულებრივი წვეტიანი ცხვირი; ყვითელი ფერის თმა პარიკს მოგაგონებდა; სალამი ისეთი დაბალი იცოდა, რომ კედლებს ეხლებოდა.

ორმოცდაათი წლის ასაკამდე კატრინი ემსახურებოდა; ეს იყო ერთი ლორენელი ვინმე, მისი კბილა, ჩოფურა. მაგრამ 1834 წელს პარიზიდან მოიყვანა ლამაზი ქერა, სახე რომ ცხვრისას უგავდა, „წარმოსადეგობა კი მეფური“ ჰქონდა. მალე დიდრონი საყურეები დაიკიდა და ქალბატონივით დაბრძანდებოდა, ხოლო ყველაფერი ცხადი გახდა, როცა ქალიშვილი დაებადა, ვისაც სახელად ელისაბედ-ოლიმპ-ლუიზ როკი დაარქვეს.

კატრინს ეჭვიანობა სტანჯავდა და ეგონა, ბავშვი შემძულდებაო, მაგრამ, პირიქით, გოგონა შეუყვარდა; არ აკლებდა არც მზრუნველობას, არც ყურადღებასა და არც ალერსს, რათა დედის მაგიერობა გაეწია და ბავშვი მის წინააღმდეგ აემხედრებინა, რაც დიდ შრომას არ მოითხოვდა, რადგან ელეონორამ მთლად მიატოვა ქალიშვილი და მეზობლებთან ლაყბობას ამჯობინებდა. დაქორწინების მეორე დღესვე სუპრეფექტის ოჯახში იყო, მოსამსახურეებს შენობით აღარ ელაპარაკებოდა და ბავშვს სასტიკად ეპყრობოდა, რაკი ეს კარგ ტონად მიაჩნდა. მის გაკვეთილებს ესწრებოდა; მასწავლებელმა, მუნიციპალიტეტის ძველმა მოსამსახურემ, არ იცოდა, რა ექნა. მოსწავლე ურჩობდა, რისთვისაც ცემდნენ, და შემდეგ კატრინის კალთაში ტიროდა; კატრინი მუდამ ბავშვს ამართლებდა; მაშინ ქალები ჩხუბობდნენ; ბ-ნი როკი მათ აზავებდა. მან ცოლი ქალიშვილის სიყვარულით შეირთო და არ სურდა, რომ იგი ეტანჯათ.

გოგონას ხშირად დაგლეჯილი კაბა და მაქმანიანი ნიფხავი ეცვა, მაგრამ დიდ დღესასწაულებში პრინცესასავით გამოწყობილი დადიოდა, მეზობლების გამოსაჯავრებლად, რომლებიც თავიანთ პატარებს უკრძალავდნენ მასთან თავის გაყადრებას, აქაოდა უკანონოდშობილიაო.

გოგონა მარტო ცხოვრობდა თავის ბაღში, ქანაობდა საქანელაზე, დასდევდა პეპლებს, მერე უეცრად შედგებოდა და უცქერდა, როგორ ჯდებოდნენ ხოჭოები ვარდის ბუჩქზე. ამგვარმა ცხოვრებამ მისცა ალბათ, მის სახეს გაბედულისა და მეოცნების იერი. იგი ისეთივე ტანისა იყო, როგორც მართა, ასე რომ ფრედერიკმა როცა მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს, უთხრა:

— მადმუაზელ, ნებას მომცემთ, გაკოცოთ?

გოგონამ თავი ასწია და უპასუხა:

— რატომაც არა!

გარნა მათ მესერი ჰყოფდა.

— უნდა გადმოვხტე, — უთხრა ფრედერიკმა.

— არა, ამიყვანე!

იგი ღობეზე გადაიხარა, იღლიებში ხელი ამოსდო, აიყვანა და ორივე ლოყა ჩაუკოცნა; მერმე ასევე ჩასვა; ამრიგად განმეორდა რამდენჯერმე.

დაინახავდა თუ არა, ჩემი მეგობარი მოდისო, გულუბრყვილო, ვით ოთხი წლის ბავშვი, მის შესახვედრად გაექანებოდა, ანდა ხეს ამოეფარებოდა და ძაღლივით დაიწყებდა ყეფას მის შესაშინებლად.

ერთხელ, როცა ქ-ნი მორო შინ არ იყო, ფრედერიკმა თავის ოთახში აიყვანა. გოგონამ სუნამოს ყველა შუშას თავი მოხადა, თმაზე უხვად წაიცხო პომადი, შემდეგ სრულიად მოურიდებლად წამოწვა მის ლოგინზე.

— ვითომ შენი ცოლი ვარ, — უთხრა ფრედერიკს.

მეორე დღეს იგი მთლად თვალცრემლიანი ნახა; გამოუტყდა, ჩემს ცოდვებს დავტიროდიო, ხოლო როცა ფრედერიკმა ჰკითხა, რა ცოდვებიო, მან თვალი მოარიდა:

— ნუ მკითხავ!

ახლოვდებოდა პირველი ზიარების დღე; აღსარებისათვის წაიყვანეს.

ზიარების შემდეგ უფრო ჭკვიანი არ გამხდარა. ზოგჯერ პირდაპირ გაცოფდებოდა ხოლმე; მაშინ მის დასაწყნარებლად ფრედერიკს მიმართავდნენ.

ხშირად თან დაჰყავდა სასეირნოდ. როცა იგი თავისთვის ოცნებობდა ხოლმე სიარულის დროს, გოგონა ყაყაჩოებს კრეფდა ყანის პირას და, თუ ჩვეულებრივზე უფრო მოწყენილს ნახავდა, ცდილობდა ნაზი სიტყვებით ენუგეშებინა. მისმა გულმა, რომელმაც სა-

მაგიერო სიყვარული არ იცოდა, მის ბავშვურ მეგობრობას თანაუგრძნო; კაცუნებს უხატავდა, არაკებს უყვებოდა და ხშირად ხმამაღლა უკითხავდა ხოლმე.

დაიწყო „რომანტიკული ანალებით", რომელიც იმ დროს ლექსებისა და პროზის განთქმული კრებული იყო. შემდეგ, რაკი ესოდენ გატაცებული იყო მისი გონივრულობით, რომ მისი ასაკიც კი დაავიწყდა, წაუკითხა „ატალა", „სენ-მარი", „შემოდგომის ფოთლები". მაგრამ ერთხელ ღამით (იმ საღამოს მან მოისმინა „მაკბეტის" უბრალო თარგმანი ლეტურნერისა) ყვირილით გაეღვიძა: „ლაქა! ლაქა!" კბილები უკაწკაწებდა, ცახცახებდა, თავის მარჯვენა ხელს დასცქეროდა, ისრესდა და ამბობდა: „სულ ლაქა!" ბოლოს ექიმი მოვიდა და განკარგულება გასცა, არ ააღელვოთო.

ადგილობრივმა ბურჟუებმა ეს ამბავი მისი ზნეობისათვის ავის მომასწავებლად მიიჩნიეს. ხმა გავარდა: „მოროს ვაჟს" სურდა, მომავალში იგი მსახიობი გაეხადაო.

მალე ყურადღება სხვა ამბავმა მიიპყრო, სახელდობრ ძია ბართელემის ჩამოსვლამ. ქ-ნმა მორომ მას თავისი საწოლი ოთახი დაუთმო და ისე გულუხვად გაუმასპინძლდა, რომ მარხვის დღეებში სახსნილოს აქმევდა.

მოხუცი არცთუ ისე თავაზიანი აღმოჩნდა, ერთთავად სულ ჰავრს ადარებდა ნოჟანს, სადაც, მისი აზრით, ჰაერი მძიმეა, პური უგემური, ქუჩები უხეიროდ მოკირწყლულია, სურსათი არ ვარგა, ქალაქის მცხოვრებნი კი ზარმაცები არიან.

— რა უბადრუკი ვაჭრობა გაქვთ!

თავის განსვენებულ ძმას აუგებდა უგუნურობის გამო, მე კიო, მე ისეთი თანხა შევიძინე, რაც ოცდაშვიდ ათას ლივრ ყოველთვიურ შემოსავალს მაძლევსო. ბოლოს, ერთი კვირის შემდეგ წავიდა და ეტლის საფეხურზე შემდგარმა ასეთი ნაკლებსაიმედო სიტყვები წამოაყრანტალა:

— მუდამ მოხარული ვარ, რომ გაუჭირვებლად ცხოვრობთ.

— შენ არაფერი არ გერგება! — უთხრა ფრედერიკს ქ-მა მორომ და შინ დაბრუნდა.

ძია მოვიდა მხოლოდ ქ-ნ მოროს თხოვნით, რომელიც მთელი რვა დღის განმავლობაში ცდილობდა, იქნებ მეტად აშკარად, გაემჟღავნებინა გულის ნადები. ახლა ნანობდა, არ უნდა მექნაო, სავარძელში იჯდა თავჩაღუნული და დუმდა. ფრედერიკი მის პირ-

დაპირ იჯდა და თვალს არ აშორებდა; არც ერთი ხმას არ იღებდა, როგორც ამ ხუთიოდე წლის წინათ, როცა მონტეროდან დაბრუნდა. ამ დამთხვევამ, უნებურად რომ მოუვიდა თავში, ფრედერიკს ქ-ნი არნუ მოაგონა.

ამ დროს ფანჯარასთან შოლტის ტყლაშუნი და თავისი სახელის ძახილი გაისმა.

ეს იყო ძია როკი, მარტოდ რომ იჯდა თავის საზიდარში. იგი აპირებდა მთელი დღე დარჩენილიყო ლა-ფორტელში, ბ-ნ დამბრეზთან, და მეგობრულად შესთავაზა ფრედერიკს, წაგიყვანო.

— ჩემთან ერთად მიპატიჟება საჭირო არაა, ნუ გეშინია!

ფრედერიკი ხალისით დათანხმდებოდა, მაგრამ როგორ ახსნას საბოლოოდ გადმოსახლება ნოჟანში? არც შესაფერისი საზაფხულო კოსტიუმი ჰქონდა. თანაც დედა რას იტყოდა? და უარი უთხრა.

მას შემდეგ მეზობელი ნაკლებ მეგობრულად ეპყრობოდა.

ლუიზა იზრდებოდა; ქ-ნი ელეონორა მძიმედ გახდა ავად და ურთიერთობა შეწყდა ქ-ნ მოროს გასახარელად, რადგან იგი ფიქრობდა, ასეთ ხალხთან დაახლოება ჩემს შვილს არაფერს შესძენსო.

იგი ოცნებობდა შვილისათვის ადგილი ეყიდა სასამართლოში; ფრედერიკი არცთუ ძლიერ ეწინააღმდეგებოდა ამ განზრახვას. ახლა დედას დაჰყვებოდა ხოლმე წირვაზე, საღამოობით „იმპერიალს“ ეთამაშებოდა; ეჩვეოდა პროვინციას, ეთვისებოდა და მის სიყვარულსაც რაღაც სამარისებური სიამე, მიძინებული მომხიბვლელობა მიენიჭა. თავისი მწუხარება იმდენჯერ გამოამეღავნა წერილებში, იმდენჯერ იგონებდა, როცა წიგნებს კითხულობდა თუ შინდვრებში სეირნობდა, რომ ნაღველი თითქმის განქარდა, და ქ-ნი არნუ ისე წარმოუდგებოდა, როგორც გარდაცვლილი, ვისი საფლავი, მისდა გასაკვირვებლად, უცნობიც კი იყო მისთვის, ესოდენ ჭშვიდი და მორჩილი გახდა მისი გრძნობა.

ერთხელ, 1845 წლის 12 დეკემბერს, მზარეულმა ქალმა წერილი გადასცა ფრედერიკს. მისამართი დაწერილი იყო უცნობი ხელით, დიდრონი ასოებით და ჯერ კიდევ ძილისაგან გამოუფხიზლებელი ფრედერიკი მის გახსნას არ იჩქაროდა. ბოლოს წაიკითხა:

„ჰავრის მომრიგებელი მოსამართლე, III ოლქი.

ბატონო,

ბ. მორო, თქვენი ბიძა გარდაიცვალა ანდერძის დაუტოვებლად“...

— მემკვიდრე ვარ!

ფრედერიკი წამოვარდა ფეხზეშველა, პერანგის ამარა, თითქოს მეორე ოთახში ხანძარი გაჩნდაო, სახეზე ხელი გადაისვა, საკუთარ თვალებს არ უჯეროდა, ეგონა, კვლავ სიზმარს ვხედავო და, ამბის სინამდვილეში რომ დარწმუნებულიყო, ფანჯარა ფართოდ გააღო.

თოვლი მოვიდა; სახურავები გადაათეთრა; ეზოში სარეცხი გობიც კი შეამჩნია, გუშინ საღამოს რომ ბნელაში ზედ წამოედო.

სამჯერ ზედიზედ გადაიკითხა წერილი; მართალია და მართალი! ბიძის ძთელი ქონება! ოცდაშვიდი ათასი ლივრი შემოსავალი! და მძაფრმა სიხარულმა მოიცვა იმის ფიქრზე, რომ ქ-ნ არნუს ნახავდა. ისეთი გარკვევით დაინახა თავისი თავი მის სახლში და მის გვერდით, როგორც ჰალუცინაციის დროს; აბრეშუმის ქაღალდში გახვეული რაღაც საჩუქარი მიუტანა, შესასვლელში კი ელოდება ტილბიური, არა, უმჯობესია ორადგილიანი ეტლი! შავი ორადგილიანი ეტლი და კოფოზე მიხაკისფერი ლივრეით გამოწყობილი მეეტლე. ესმის, როგორ აბაკუნებს ფეხებს ცხენი, ლაგამის ჩხაკუნი კი მათი კოცნის ნაზ ხმაურს ერთვის. ასე იქნება ყოველდღე, უსასრულოდ. თავისთან მიიღებს მათ, თავის სახლში; სასადილო ოთახში გააკრავს წითელ ტარსიკონს, ბუდუარში ყვითელ აბრეშუმს, ყველგან დივნები იქნება დადგმული! და რა ეტაჟერები! რა ჩინური ლარნაკები! რა ხალიჩები! ეს სურათები ისე სწრაფად იცვლებოდნენ თვალწინ, რომ თავბრუ დაეხვია. მაშინ დედა მოაგონდა და მასთან წავიდა, წერილი კი ერთთავად ხელში ეჭირა.

ქ-ნი მორო შეეცადა შეეკავებინა მღელვარება და კინაღამ გული წაუვიდა. ფრედერიკმა გულში ჩაიკრა და შუბლზე ეამბორა.

— კარგო, დედიკო, ახლა შეგიძლია კვლავ შეიძინო ეკიპაჟი; მაშ გაიცინე, ნუ ჩამოგტირის სახე, გამხიარულდი!

ათი წუთის შემდეგ ეს ახალი ამბავი გარეუბნებამდე გავრცელდა. მალე ესტუმრნენ მეტრ ბენუა, ბ-ნი გამბლენი, ბ-ნი შამბიონი და ყველა მეგობარი. ფრედერიკი წუთით გავიდა, რომ წერილი მიეწერა დელორიესათვის. სხვებიც მოვიდნენ. ნაშუადღევი მთლად მილოცვას მოუნდა. ამასობაში სულ გადაავიწყდათ როკის ცოლი, რომელიც „ძალიან ცუდად" იყო.

საღამოს, როცა მარტო დარჩნენ, ქ-მა მორომ შვილს უთხრა: ჟირჩევ ტრუაში დასახლდე და ადვოკატობას მოჰკიდო ხელი. ამ მხარეში უკეთ გიცნობენ, ვიდრე სხვაგან, აქ უფრო ადვილად იშოვნი მდიდარ საცოლეს.

— აჰ! ეგ მეტისმეტია! — წამოიძახა ფრედერიკმა.

ძლივს ბედნიერებას ეღირსა და ახლა წართმევას უპირებენ. კატეგორიულად განაცხადა, პარიზში უნდა დავსახლდეო.

— იქ რა უნდა აკეთო?

— არაფერი!

გაკვირვებულმა ქ-მა მორომ ჰკითხა, ვინ გინდა იყოო?

— მინისტრი! — მიუგო ფრედერიკმა.

და დედა დაარწმუნა: სრულიადაც არ ვხუმრობ, მინდა დიპლომატი გავხდე, აქეთკენ მიმიწევს ცოდნაც და მიდრეკილებაც. ჯერ სახელმწიფო საბჭოში შევდგამ ფეხს, რაკი ბ-ნ დამბრეზის პროტექციით ვისარგებლებო.

— განა იცნობ მას?

— რა თქმა უნდა! ბატონ როკის მეშვეობით!

— უცნაურია! — თქვა ქ-მა მორომ.

შვილმა ძველი პატივმოყვარული ოცნება გაუღვიძა. ამ ოცნებამ ისიც გაიტაცა და სხვა აღარაფერი ახსოვდა.

ფრედერიკი თავის მოუთმენლობას რომ აჰყოლოდა, იმ წამსვე გაემგზავრებოდა პარიზს. მეორე დღეს ყველა ადგილი დილიჟანსში გაყიდული აღმოჩნდა; ზეგამდე, საღამოს შვიდ საათამდე მოუხდა წვალება.

როცა სადილად სხდებოდნენ, სამჯერ დარეკეს ეკლესიის ზარი, შემოვიდა მსახური და განაცხადა, ქ-ნი ელეონორა გარდაიცვალაო.

ეს სიკვდილი, ბოლოს და ბოლოს, არავისთვის არ იყო უბედურება, თვით ბავშვისთვისაც კი. გოგონასთვის იგი შემდეგში მხოლოდ სასარგებლო იქნება.

რადგან სახლები ახლოს იყო, ისმოდა გაწამაწია, მოდიოდა ხმა, და იმის ფიქრი, რომ მიცვალებული ესოდენ ახლოს ასვენია, სამგლოვიარო იერს ჰფენდა მათს განშორებას. ქ-მა მორომ ბარე ორსამჯერ შეიშრო ცრემლი, ფრედერიკს გული უწუხდა.

როცა სადილი დაამთავრეს, კატრინმა კარებში გააჩერა იგი; ქალიშვილს უთუოდ უნდა შენი ნახვა, ბაღში იცდისო. ფრედერიკი გავიდა, ღობეზე გადახტა, ხეებს წამოედო და როკის სახლისკენ გაემართა. მეორე სართულის ერთ ფანჯარაში ლამპა ენთო, ლანდი გაკრთა და ხმა გაისმა:

— მე ვარ.

ქალი ჩვეულებრივზე მაღალი ეჩვენა, ალბათ, იმიტომ, რომ ძაძა ეცვა. რაკი არ იცოდა, რა ეთქვა, ხელები გამოართვა, ამოიოხრა და უთხრა:

— აჰ! ჩემო საბრალო ლუიზა!

მან არაფერი უპასუხა. მხოლოდ თვალი გაუსწორა, დიდ ხანს, ყურადღებით. ფრედერიკი შიშობდა, დილიჟანსმა არ გამასწროსო; შორიდან თითქოს გოგრების გრიალი მოესმა და, ეს ამბავი რომ დაემთავრებია, უთხრა:

— კატრინმა მითხრა, რომ შენ გინდოდა...

— დიახ, მართალია, მინდოდა თქვენთვის მეთქვა...

ამ „თქვენთვისმა“ გააკვირვა; ქალი დუმდა და ფრედერიკმა ჰკითხა:

— მერე, რა?

— აღარ ვიცი. დამავიწყდა! მართალია, რომ მიდიხართ?

— დიახ, ახლავე.

მან გაიმეორა:

— აჰ! ახლავე?.. სულ?.. ერთმანეთს ველარ ვნახავთ?

ქვითინი ახრჩობდა.

— მშვიდობით! მშვიდობით! მაკოცეთ!

და სწრაფად მოეხვია.

ნაწილი მეორე

I

როცა ფრედერიკმა თავისი ადგილი დაიკავა კუპეში და ხუთმა ცხენმა ერთბაშად დასძრა დილიჟანსი, რალაცნაირმა აღტაცებამ მოიცვა. როგორც არქიტექტორი ადგენს სასახლის გეგმას, სწორედ ისე ფიქრობდა იგი წინასწარ თავის ცხოვრებაზე. მოსავდა მას სინატიფითა და სიდიადით; აჰყავდა ცამდე; ქმნიდა განუზომელ სიუხვეს და მისმა ჰვრეტამ ისე გაიტაცა, რომ მთელი გარესამყარო გაქრა.

მხოლოდ სურდენის გორაკთან გამოერკვია, თუ სად იყვნენ. სულ რაღაც ხუთი კილომეტრი თუ ექნებათ გავლილი! აღშფოთდა. ფანჯარა დაუშვა, რომ გზა დაენახა. რამდენჯერმე ჰკითხა კონდუქტორს, ზუსტად როდის მივალთო. თანდათან დამშვიდდა და თვალდაჭყეტილი იჯდა თავის კუთხეში.

კოფოზე მიმაგრებული ფარანი საძირის ცხენების გავას აშუქებდა. წინ კი ამჩნევდა მხოლოდ დანარჩენი ცხენის ფაფარს, თეთრ ტალღასავით რომ ლივლივებდა; ცხენების სუნთქვით ორივე მხარეზე ორთქლი ბოლავდა; რკინის ძეწკვები წკარუნებდა, მინები ჩხარუნებდა ჩარჩოებში და მძიმე ეკიპაჟი რიტმულად მიგორავდა. ხან აქ, ხან იქ ბნელში გამოკრთებოდა ფარდულის კედელი ან განმარტოებული ფუნდუკი. ზოგჯერ, როცა რომელიმე სოფელში გაივლიდნენ, ფურნეში გაიელვებდა გაჩაღებული ცეცხლი და ცხენების უცნაური ლანდები აისახებოდა მოპირდაპირე სახ-

ლების კედლებზე. სადგურებში, სანამ ცხენებს გამოცვლიდნენ, წუთით გაუტეხელი სიჩუმე ჩამოვარდებოდა. ვიღაც ეკიპაჟის სახურავზე ახრაგუნდებოდა, და წინკარში გამოჩნდებოდა ქალი, სანთელს რომ ხელს აფარებდა. შემდეგ კონდუქტორი ეკიპაჟის საფეხურზე შეხტებოდა და დილიჟანსი გზას განაგრძობდა.

მორმანში ზარმა ნაშუაღამევის პირველი საათი და თხუთმეტი წუთი ჩამორეკა.

„მაშასადამე, დღეს, — გაიფიქრა მან, — დღესვე, მალე!"

მაგრამ თანდათანობით მისი იმედი და მოგონებანი, ნოჟანი, შუაზელის ქუჩა, ქ-ნი არნუ, დედამისი, ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ნალების ყრუ ჭახუნმა გააღვიძა, შარანტონის ხიდზე გადიოდნენ, ეს იყო პარიზი; მაშინ მისმა თანამგზავრებმა მოიხადეს, ერთმა კასკეტი, მეორემ ბლონდი, ქუდები დაიხურეს და საუბარი გააბეს. პირველი, ერთი სახეწითელი სქელი ვინმე, ხავერდის სერთუკი რომ ეცვა, ვაჭარი იყო; მეორე კი დედაქალაქს მიდიოდა ექიმთან საკონსულტაციოდ; და ფრედერიკმა უეცრად ბოდიში მოიხადა, ღამით ხომ არ შეევაწუხეო, ესოდენ მოულბო გული ბედნიერებამ.

ვოგზლის სანაპირო, ალბათ, შეტბორილი იყო და გზა განაგრძეს პირდაპირ, კვლავ გამოჩნდა მინდვრები. შორს ფაბრიკების მაღალი საკომურები ბოლავდნენ. შემდეგ ივრისაკენ გაუხვიეს. რომელიღაც ქუჩაში გავიდნენ; ფრედერიკმა უეცრად პანთეონის გუმბათი დაინახა.

აჩიჩქნილი ვაკე ნანგრევების გროვას ჰგავდა. ციხის გალავანი ჰორიზონტულად აბურცულიყო. საცალფეხო ბილიკების გასწვრივ, გზატკეცილს რომ ეხვეოდნენ, ჩამწკრივებული იყო დაბალი უტოტებო ხეები; მათ იცავდნენ თამასები, რომელთაც ლურსმნები ესო; ქიმიური ნაწარმის ფაბრიკები საწყობებს ენაცვლებოდნენ; ნახევრადღია მაღალ ჭიშკრებში, როგორიც ფერმებშია, მოჩანდა ბინძური, ნაგვით სავსე ეზოები და შუაგულში ჭუჭყიანი გუბურები. სამიკიტნოების გრძელი, ხარის სისხლისფერი შენობების კედლებზე დახატული ყვავილების გვირგვინში გამოსახული იყო ბილიარდის გადაჯვარედინებული ჯოხები. ხან აქ, ხან იქ გამოჩნდებოდა სანახევროდ აგებული და შებათქაშებული უბადრუკი ქოხმახები. შემდეგ ორივე მხარეზე უწყვეტ ხაზად იწყებოდა სახლები და მათს გაშიშვ-

ლებულ ფასადებზე აქა-იქ გამოჩრილი იყო რკინის უზარმაზარი სიგარი, რაც უჩვენებდა თამბაქოს დუქანს, ანდა გამოფენილი იყო ბებიაქალის აბრა, რომელზეც ეხატა ჩაჩიანი, ახოვანი ქალი; მას ახუტებული ჰყავდა მაქმანიან, დალიანდაგებულ საბანში გახვეული ძუძუთა ბავშვი. სახლების კუთხეებზე გაკრული იყო სანახევროდ დაფლეთილი და ქარისაგან მჩვრებივით აფრიალებული აფიშები. მიდიოდნენ ბლუზიანი მუშები, ლუდის კასრებით სავსე საზიდრები, ხორცის ურიკები, სამრეცხაოთა ფურგონები; ეინელავდა, ციოდა ფერმკრთალ ცაზე არსად არ ჩანდა ჭიატი, მაგრამ ნისლის მიღმა ელავდა ორი თვალი, რომლებიც მისთვის მზის ფასად ღირდა.

ბერასთან დიდხანს იდგნენ, რადგან გზა გადაუღობეს ცხვრის ფარებმა, კვერცხის ვაჭრებმა, მეფორნეებმა, დარაჯს ფარაჯის კაპიუშონი ჩამოეფხატა და თავისი ჯიხურის წინ ბოლთას სცემდა, რომ გამთბარიყო. აქციზის მოხელე დილიჟანსის იმპერიალზე შედგა და ააყვირა სასიგნალო საფოსტო ბუკი. დილიჟანსმა ბულვარი გაიარა ჭენებით, საბმურების რაკუნით, ჭაპნების თრევით. გრძელი შოლტი ნესტიან ჰაერში ტყლაშუნებდა. კონდუქტორი გაჰკიოდა: „ჰეი, ხაბარდა! ხაბარდა!“ და ქუჩის მგველები გზას უტევდნენ, ქვეითები განზე ხტებოდნენ, ტალახი ფანჯრებში ეშხეფებოდა დილიჟანსს; მოისწრაფოდნენ საზიდრები, კაბრიოლეტები, ომნიბუსები. ბოლოს გამოჩნდა ბოტანიკური ბაღის რიკული.

მოყვითალო სენა ხიდების თითქმის ფიცარნაგს სწვდებოდა. მდინარეს სიგრილე მოჰქონდა. ფრედერიკი მთელი მკერდით სუნთქავდა, ტკბებოდა პარიზის მადლიანი ჰაერით, რომელიც თითქოს სიყვარულით და აზრით იყო გაჟღენთილი; გული აუჩვილდა, როცა პირველი მეეტლე დაინახა. ყველაფერი საამო იყო მისთვის: ნახერხიც, ღვინის სარდაფების ზღურბლზე რომ ეყარა, ფეხსაცმლის მწმენდელთა ყუთებიც, საბაყლოს ნოქარიც კი, ყავის მოსახალავ ტაფას რომ აქნევდა. სწრაფად მიმოდიოდნენ ქოლგიანი ქალები; ფრედერიკი ფანჯარაში ჰყოფდა თავს, აკვირდებოდა გამვლელთ: ხომ შეიძლებოდა, რომ შემთხვევას ქ-ნი არნუც მოეყვანა აქ?

მაღაზიების რიგი გრძელდებოდა, ხალხი მატულობდა, ხმაური ძლიერდებოდა. გაიარეს სენ-ბერნარის, ლა ტურნელის, მონტეტელოს სანაპიროები და გზა განაგრძეს ნაპოლეონის სანაპიროზე. ფრედერიკს სურდა დაენახა თავისი ბინის ფანჯრები, მაგრამ იგი შორს იყო. შემდეგ ერთხელ კიდევ გადავიდნენ სენაზე ახალი ხი-

დით, მივიდნენ ლუვრამდე, სენ-ჰონორეს, კრუა-დე პტი-შანისა და დიუ ბულუას ქუჩებით გავიდნენ კოკ-ჰერონის ქუჩაზე და შევიდნენ სასტუმროს ეზოში.

სიამის განსაგრძობად ფრედერიკი რაც შეიძლება ზანტად იცვამდა და მონმარტრის ბულვარზეც კი ფეხით წავიდა; ღიმილი ეძალებოდა, როცა გაიფიქრებდა, რომ აი მარმარილოს პატარა დაფაზე კვლავ წავიკითხავ საყვარელ სახელსო. აიხედა და... არც ვიტრინა, აღარც სურათები, არაფერი!

შუაზელის ქუჩაზე გაიქცა. ბ-ნი და ქ-ნი არნუები იქ აღარ ცხოვრობდნენ. მეკარის ნაცვლად ვიღაც მეზობელი ქალი იყო. ფრედერიკი მეკარეს დაელოდა, იგი მალე მოვიდა, მაგრამ ძველი მეკარე როდი იყო. მან სრულიად არ იცოდა მათი მისამართი.

ფრედერიკი კაფეში შევიდა და საუზმის დროს გადაათვალიერა „სავაჭრო ალმანახი". იქ სამასიოდე არნუ აღმოჩნდა, მაგრამ ჟაკ არნუ კი არ იყო! მაშ სად ცხოვრობენ ისინი? პელერენმა უნდა იცოდეს.

იგი გაემგზავრა პუასონიერის გარეუბნის სულ ბოლოს, მის სახელოსნოში. კარზე არ იყო არც ზარი და არც ჩაქუჩი; რამდენჯერმე მუშტი დაარტყა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ეძახდა, ყვიროდა. არავინ ხმა არ გასცა.

შემდეგ ჰიუსონე მოაგონდა. მაგრამ სად ნახოს ასეთი ადამიანი? ფრედერიკმა ერთბელ მიაცილა იგი მისი საყვარლის სახლამდე, ფლერიუსის ქუჩაზე. ამ ქუჩაზე რომ მივიდა, გაახსენდა, რომ იმ ქალის სახელი არ იცის.

პოლიციის პრეფექტურას მიმართა. კიბიდან კიბეზე, კანცელარიიდან კანცელარიაში იარა. სამისამართო ბიურო მუშაობას ამთავრებდა. უთხრეს, ხვალ მოდიო.

შემდეგ შემოიარა სურათების ყველა ვაჭარი, ვისაც კი მიაგნო, რათა გამოეკითხა, არნუს ხომ არ იცნობთო. თურმე ბ-ნი არნუ ვაჭრობას აღარ მისდევდა.

ბოლოს, სულით დაცემული, გაწამებული, დაქანცული სასტუმროში დაბრუნდა და დაწვა. როცა თავზე ზეწარს იხურავდა, უეცრად ფიქრმა გაუელვა და სიხარულით კიდევაც შეხტა:

„რეჟემბარი! რა სულელი ვარ, რომ ის არ გამახსენდა!"

მეორე დღეს, დილის შვიდ საათზე, ნოტრ-დამ-დე-ვიქტუარის ქუჩაზე მივიდა ღვინის სარდაფში, სადაც რეჟემბარი ჩვეულებრივ

თეთრი ღვინის სასმელად დადიოდა. სარდაფი ჯერ კიდევ დაკეტილი იყო. ფრედერიკმა მახლობლად გაისეირნა და ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. რეჟემბარი უკვე წასულიყო. ფრედერიკი ქუჩაში გავარდა. შორიდან თითქოს თვალი მოჰკრა მის ქუდს; მიცვალებულის დამკრძალავმა პროცესიამ და სამგლოვიარო ეტლებმა გზა გადაუღობეს. ხოლო როცა გზა გაიწმინდა, მოჩვენება გაქრა.

საბედნიეროდ, გაახსენდა, რომ მოქალაქე ყოველდღე, ზუსტად თერთმეტ საათზე საუზმობდა ხოლმე პატარა რესტორანში გიიონის მოედანზე. საჭირო იყო მოთმინება; მას შემდეგ, რაც დაუსრულებლად ეთრია ბირჟიდან მადლენამდე და მადლენიდან ჟიმნაზამდე, იგი ზუსტად თერთმეტ საათზე შევიდა რესტორანში იმ იმედით, რომ იქ ნახავდა თავის რეჟემბარს.

— ასეთს არავის არ ვიცნობ! — უკმეხად უთხრა რესტორნის პატრონმა.

ფრედერიკი არ მოეშვა; მან განუმეორა:

— მე მას აღარ ვიცნობ, ბატონო! — მედიდურად ასწია წარბები და, რაღაც საიდუმლოების ნიშნად, თავი ჩაიქნია.

როცა ისინი უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს, მოქალაქემ „ალექსანდრეს“ სამიკიტნო ახსენა. მეეტლემ ფრედერიკი მიიყვანა ასეთ დაწესებულებასთან ფრან-ბურჟუა-სენ-მიშელის ქუჩაზე და ფრედერიკის შეკითხვაზე: ბ-ნ რეჟემბარის ნახვა თუ შეიძლებაო, პატრონმა დიდი თავაზიანობით უპასუხა:

— დღეს ჯერ კიდევ არ მოვინახავს იგი, ბატონო! — და თავის მეუღლეს, დახლში რომ იჯდა, დიდმნიშვნელოვნად გადახედა.

მერმე კედლის საათს შეხედა.

— მაგრამ ჩვენ მას ვნახავთ, იმედი მაქვს, ათი წუთის, სულ ბევრი თხუთმეტი წუთის შემდეგ. — სელესტენ, მალე გაზეთები! — რას ინებებთ, ბატონო?

ფრედერიკმა, თუმცა არაფერი არ სურდა, გადაკრა ერთი ჭიქა რომი, ერთი ჭიქა კირში, ერთი ჭიქა კიურასაო, შემდეგ დალია სხვადასხვა გროგი, ცივი თუ ცხელი. წაიკითხა „სიკელის“ მთელი ნომერი და კვლავ გადაიკითხა; დაწვრილებით შეისწავლა „შარივარის“ ქაღალდი და კარიკატურები; ბოლოს ზეპირად იცოდა ყველა განცხადება. დრო და დრო ტროტუარზე გაისმოდა ფეხის ხმა, ისაა! და ვინმეს ლანდი გამოჩნდებოდა ფანჯარაში, მაგრამ ყოველთვის გაივლიდა!

მოწყენილობის გამო ფრედერიკი ადგილებს იცვლიდა: უკანა კედელთან დაჯდა, იქიდან ჯერ მარჯვნივ გადაინაცვლა, მერმე მარცხნივ; შემდეგ პატარა დივნის შუაგულში დაჯდა და ხელები გაშალა. კატა, ჩუმად რომ დადიოდა დივნის ხავერდის საზურგეზე, ფხაჭუნით აშინებდა, როცა უეცრად დაახტებოდა ხონჩას, რომ სიროფის წვეთები აელოკა, პატრონის პატარა, ოთხი წლის აუტანელი ბიჭი კი სარაკუნას ათამაშებდა დახლის საფეხურებზე. დედამისი, ტანდაბალი და ფერმკრთალი ქალი უაზროდ იღიმებოდა და ჩაშავებულ-ჩაჭიანებულ კბილებს აჩენდა. რა უნდა მოსვლოდა რეჟემბარს? უსაზღვროდ სასოწარკვეთილი ელოდებოდა ფრედერიკი.

წვიმა სეტყვასავით უშენდა კაბრიოლეტის სახურავს. ფარდაწეულ ფანჯარაში ფრედერიკი ხედავდა ქუჩაში საბრალო ცხენს, გახევებულივით რომ იდგა. ნაწვიმარი წყალი, უზომოდ რომ ადიდებულიყო, კაბრიოლეტის თვლებს შორის ჩადიოდა, მეეტლე კი, წინსაფარი რომ წამოეხურა, კოფოზე თვლემდა; შაგრამ, რაკი ეშინოდა, მგზავრი არ გამეპაროსო, დროდადრო ოდნავ შეაღებდა ხოლმე კარს და მაშინ წყალი ნაკადულივით დიოდა. ცქერას რომ გამანადგურებელი ძალა ჰქონოდა, საათისაგან აღარაფერი არ დარჩებოდა, ისე მიშტერებოდა მას ფრედერიკი. საათი კი მუშაობდა. ბატონი ალექსანდრე ბოლთას სცემდა და განუწყვეტლად იმეორებდა: „ის მოვა, იცოდეთ! ის მოვა!“ და, რომ გაერთო, ესაუბრებოდა, პოლიტიკაზე ელაპარაკებოდა. ისეთი თავაზიანობაც კი გამოიჩინა, რომ წინადადება მისცა, ერთი ხელი დომინო ვითამაშოთო.

ბოლოს, ხუთის ნახევარზე ფრედერიკი, რომელიც შუადღიდან იქ იყო, ერთბაშად წამოხტა და განაცხადა, შეტს აღარ მოვიცდიო.

— მე თვითონ არაფერი მესმის, — გულუბრყვილოდ მიუგო კაფეს პატრონმა. — პირველი შემთხვევაა, რომ ბატონი ლედუ არ მოდის!

— როგორ? ბატონი ლედუ?

— დიახ, ბატონო!

— მე ხომ რეჟემბარი გკითხეთ! — წამოიძახა გაბრაზებულმა ფრედერიკმა.

— აჰ! დიდი ბოდიში! თქვენ ცდებით! — ხომ ასეა, ქალბატონო ალექსანდრ, ამ ბატონმა ბრძანა: ბ-ნი ლედუ?

მერმე ოფიციანტსაც შეეკითხა:

— თქვენც ხომ ისე გაიგონეთ, როგორც მე?

ოფიციანტს, ცხადია, რისთვისღაც სამაგიერო უნდოდა გადაეხადა პატრონისათვის, და მხოლოდ ღიმილი იკმარა.

დროს დაკარგვით აღშფოთებულმა ფრედერიკმა უბრძანა, ბულვარზე წაძიყვანეო; საშინლად გაბრაზებული იყო მოქალაქეზე და სურდა მალე ენახა, თითქოს ღმერთი ვინმე ყოფილიყოს; მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, თუნდა შორეულ სარდაფში ეპოვნა და ამოეთრია; ეკიპაჟი აღიზიანებდა ფრედერიკს და ამიტომ გაუშვა; ფიქრები ერეოდა თავში; შემდეგ უეცრად გაახსენდა ყველა კაფეს სახელი, რომელიც კი მასთან უხსენებია იმ ქალაჩუნას; ფოიერვერკის ცეცხლივით აუბრიალდა ხსოვნაში: გასკარის კაფე, გრემბერის კაფე, ალბუს კაფე, ბორდოს, ჰავანის, ჰავრის სამიკიტნოები, ბეფ-ა-ლა-მოდ, გერმანული ლუდხანა, მერ მორელი; და ყველგან იყო ზედიზედ, მაგრამ რეჟემბარი ერთგან ესაა ყოფილიყო, მეორეგან — იქნებ მოვიდესო, მესამეგან — ნახევარი წელიწადია არ გვინახავსო, ერთგან კიდევ — გუშინ შაბათისათვის ცხვრის მწვადი შეგვიკვეთაო. ბოლოს, მიკიტან ვოტიესთან ფრედერიკი კარებში შეეჩეხა ოფიციანტს:

— ბატონ რეჟემბარს არ იცნობთ?

— როგორ არა, ბატონო, ვიცნობ! მე ხომ პატივი მაქვს მას ვემსახურო! ზევით ბრძანდება, სადილს ამთავრებს!

იღლიაში ხელსახოცგაჩრილი, დაწესებულების პატრონი, ფრედერიკთან მივიდა და ჰკითხა:

— თქვენ, პატივცემულო, ბატონ რეჟემბარს ეძებთ? ეს არის აქ იყო.

ფრედერიკმა შეიგინა, მაგრამ პატრონი არწმუნებდა, ბუტვილენთან უსათუოდ ნახავთო.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ! ჩვეულებრივზე ცოტა ადრე წავიდა, ვიღაც კაცს უნდა შეხვდეს საქმეზე. ვიმეორებ, ბუტვილენთან ნახავთ. სენ-მარტენის ქუჩაზე, ოთხმოცდამეორე ნომერ სახლში, შესასვლელი მეორე, ეზოში მხარმარჯვნივ, ანტრესოლის მარჯვენა კარი!

ბოლოს, თამბაქოს ბოლის კორიანტელში ნახა იგი, რეჟემბარი მარტოდ იჯდა უკანა ოთახში, ბილიარდის იქით, სილრმეში; წინ ჭიქა ლუდი ედგა; თავი დაეხარა და ჩაფიქრებული ჩანდა.

— აჰ! რამდენ ხანს გეძიეთ!

რეჟემბერმა გაუნძრევლად გაუწოდა ორი თითი და, თითქოს მხოლოდ გუშინ ენახათ ერთმანეთი, რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზა წარმოთქვა სესიის გახსნის გამო.

ფრედერიკმა სიტყვა შეაწყვეტინა და, რაც კი შეეძლო, ძალდაუტანებლად ჰკითხა:

— არნუ როგორ არის?

პასუხს დიდხანს ელოდა. რეჟემბარი ყელს ისველებდა ლუდით.

— არა უშავს!

— სად ცხოვრობს ამჟამად?

— ჰო... პარადი-პუასონიერის ქუჩაზე, — უპასუხა გაკვირვებულმა მოქალაქემ.

— რა ნომერია?

— ოცდამეჩვიდმეტე... უცნაური ხარ, ჩემმა მზემ!

ფრედერიკი წამოდგა.

— როგორ, მიდიხართ?

— დიახ, დიახ, უნდა წავიდე, სულ დამავიწყდა, რომ საქმე მაქვს! მშვიდობით!

სამიკიტნოდან ფრედერიკი არნუსთან გაიქცა, თითქოს თბილი ქარი მიერეკებაო, ისეთი არაჩვეულებრივი სიმსუბუქით, როგორც სიზმარში.

მალე კარის წინ გაჩნდა, მეორე სართულზე; გაისმა ზარის ხმა; მსახური გამოვიდა, გაიღო მეორე კარი. ქ-ნი არნუ ბუხართან იჯდა. ქმარი წამოვარდა და ფრედერიკს გადაეხვია. ქალს მუხლზე სამიოდე წლის ბიჭი ეჯდა; მისი ქალიშვილი, რომელიც ახლა ისევე მაღალი იყო, როგორც დედა, ბუხრის მეორე მხარეზე იდგა.

— ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ეს ბატონი, — უთხრა არნუმ და ბავშვი იღლიებით აიყვანა, რამდენჯერმე აისროლა ძლიერ მაღლა და დაიჭირა.

— შენ მაგას მოკლავ! აჰ, ღმერთო ჩემო! კმარა! — შეჰკივლა ქ-მა არნუმ.

ქმარი კი იფიცებოდა, არაფერიაო, და განაგრძობდა, თანაც ალერსით უჩლექდა ენას მარსელურ კილოზე.

— აჰ, ჩემო ჭუკო! ჩემო პატარა ბულბულო!

შემდეგ ფრედერიკს გამოჰკითხა, რატომ ამდენ ხანს არაფერი მოიწერე, რას აკეთებდი და დაბრუნება რამ გაიძულაო.

— მე კი, ჩემო კარგო, ახლა ფაიფურით ვვაჭრობ! მაგრამ, მოდი, თქვენზე ვილაპარაკოთ.

ფრედერიკმა გრძელი სასამართლო პროცესი დაიმოწმა, თანაც დედა ავად იყოო, რასაც ძლიერ გაუსვა ხაზი, რომ უფრო საინტერესო გამოჩენილიყო. მოკლედ, ახლა საბოლოოდ გადავწყვიტე პარიზში დავსახლდეო. მემკვიდრეობაზე კი არაფერი უთქვამს, რომ მათ თვალში თავისი წარსულისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა.

ფარდები, ისე როგორც ავეჯის საფარი, მიხაკისფერი შალის ქსოვილისა იყო; ორი ბალიში იდო სასთუმალთან; ბუხარში ნახშირზე თბებოდა ჩაიდანი; აბაჟური ლამპისა, კომოდის ნაპირზე რომ იდგა, ოთახს აჩრდილებდა. ქ-ნ არნუს ეცვა ლურჯი მერინოსის კაპოტი. იგი მინელებულ ნაკვერჩხლებს ჩასცქეროდა ბუხარში, ცალი ხელი ბიჭის მხარზე ედო, ცალით კი საკინძეს უხსნიდა; პერანგის ამარა რომ დარჩა, პატარა ატირდა და თავი სწორედ ისე წაიფხანა, როგორც ბატონმა ალექსანდრე-შვილმა.

ფრედერიკს ეგონა, ბედნიერებით გავიგუდებიო, მაგრამ სხვა არეში გადატანილი ვნება ჭკნება და როცა ქ-ნი არნუ იმ ვითარებაში ვერ ნახა, რომელშიც წინათ იცნობდა, ეგონა რაღაც დაუკარგავს, როგორღაც მოშვებულა, მოკლედ, ის აღარ არის, რაც წინათ იყოო. გულის სიმშვიდემ გააოცა. მოიკითხა ძველი მეგობრები, მათ შორის პელერენი.

— მას ძლიერ იშვიათად ვხედავ, — უთხრა არნუმ.

ქ-მა არნუმ დასძინა:

— ჩვენ სტუმრებს ისე აღარ ვიღებთ, როგორც წინათ!

იქნებ ეს გაფრთხილება იყო, წინანდებურად აღარ მოგიწვევთო? გარნა ბ-მა არნუმ წეღანდელი მეგობრული კილოთი განაგრძო და უსაყვედურა, რატომ უბრალოდ არ შემოიარე სადილზეო, და აუხსნა, რატომ გამოიცვალა ხელობა. — რას იზამ ასეთი დაქვეითების დროს, როგორიც ახლა ჩვენშია? დიდი ფერწერა მოდაში აღარ არის! თუმცა შეიძლება ხელოვნებას ყოველ საქმეში მოუძებნო ადგილი. მე ხომ, მოგეხსენებათ, სილამაზე მიყვარს. საჭიროა ამ დღეებში წაგიყვანო ჩემს ფაბრიკაში.

და მოისურვა დაუყოვნებლივ ეჩვენებინა ზოგიერთი თავისი ნაკეთობა ანტრესოლის საწყობში.

თეფშები, მწვანე ჯამები, საინები და ტაშტები დახორავებული იყო იატაკზე. კედლებზე მიყუდებული იყო შორენკეცის დიდრონი ფილები საბაზანო და საპირფარეშო ოთახებისათვის, ზედ გამოხა-

ტული იყო აღორძინების სტილის მითოლოგიური სიუჟეტები. შუაგულში კი ჰერს სწვდებოდა ორმაგი ეტაჟერი, რომელზეც ელა-გა ნაყინის ფიალები, საყვავილე ქოთნები, ჭაღები, პატარა ჟარდინი-ერები და დიდრონი ნაირფერი სტატუეტები, ზანგს თუ პომპადუ-რის სტილის მწყემს ქალს რომ გამოხატავდნენ. არნუს ახსნა-გან-მარტებამ თავი მოაბეზრა ფრედერიკს, სციოდა და შიოდა.

ინგლისურ კაფეში გაეშურა და მშვენივრად ივახშმა; ჭამის დროს გულში ამბობდა:

„კარგი კი ვიყავი იქ ჩემი ტანჯვით! ძლივს მიცნო! რა მეშჩანი ვინმეა!“

და, რაკი ძალთა უეცარი მოზღვავება იგრძნო, ეგოისტური გა-დაწყვეტილება მიიღო. თავისი გული იმ მაგიდასავით მაგარი ეჩვენე-ბოდა, რომელსაც ეყრდნობოდა. ასე რომ, ახლა შეეძლო შებმოდა მთელ ქვეყანას სრულიად უშიშრად. მოაგონდა დამბრეზები; მათ-თან ნაცნობობას გამოვიყენებო, გაივლო გულში; მერმე დელორიე გაახსენდა. „ერთი ისიც!“ მიუხედავად ამისა, ბარათი გაუგზავნა და ხვალისათვის პაემანი დაუნიშნა პალე-როიალში, ერთად ვისაუზ-მოთო.

დელორიეს ბედი ისე როდი სწყალობდა.

კათედრის მისაღებად მან წარადგინა დისერტაცია „ანდერძის უფლებისათვის“, რომლითაც ამტკიცებდა, რომ ეს უფლება უნდა შეიზღუდოს რაც შეიძლება, ხოლო რადგან ოპონენტი სისულელი-სათვის აქეზებდა, მანაც საკმაოდ როშა იგი, ამასთან გამომცდელებს წარბიც კი არ შეუხრიათ. შემდეგ შემთხვევას ენება, რომ მისი პი-რველი ლექციის თემა ხანდაზმულობის საკითხი ყოფილიყო. აქ დელორიემ უაღრესად სავალალო თეორიები გადმოშალა: ძველი პრეტენზიები შეიძლება წარდგენილ იქნას ახლების თანაბარ სა-ფუძვლებზე; რატომ უნდა წაერთვას კაცს საკუთრება, თუ მას შე-უძლია ოცდათერთმეტი წლის გასვლის შემდეგაც დაამტკიცოს თავისი უფლება მასზე? განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამდიდრებუ-ლი ქურდის მემკვიდრე პატიოსანი კაცის მდგომარეობაში ჩავაყე-ნოთ? ყოველგვარი უსამართლობა მართლდება ამ უფლების ფარ-თოდ გავრცელებით, რაც წარმოადგენს ტირანიას, ძალის ბოროტად გამოყენებას! მან კიდევაც შესძახა: — მოვსპოთ იგი და მაშინ ფრანკები ვეღარ დაჩაგრავენ გალებს, ინგლისელები ირლანდიე-ლებს, იანკები წითელყანიანებს, თურქები არაბებს, თეთრები ზან-გებს, პოლონეთი...

თავმჯდომარემ შეაწყვეტინა:

— კმარა, კმარა, ბატონო! თქვენი პოლიტიკური შეხედულება ჩვენ არ გვაინტერესებს, თქვენ ერთხელ კიდევ მობრძანდებით!

დელორიემ კვლავ გამოცხადება არ მოისურვა, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის III წიგნის ეს XX თავი მისთვის გადაულახავი რამ გახდა. იგი შრომობდა თხზულებაზე „ხანდაზმულობა, განხილული როგორც სამოქალაქო უფლებისა და ხალხთა ბუნებრივი უფლების საფუძველი". იგი გატაცებული იყო დიუნოს, როეერიუსის, ბალბუსის მერლინის, ვაზეილის, სავინიის, ტროლონისა და სხვათა სერიოზული შრომების კითხვით. ბოლოს, რათა უფრო ნაყოფიერად ემუშავა, თავი გაანება ადვოკატთან კლერკად სამსახურს. ცხოვრების სახსარს იძენდა რეპეტიტორობით და საკანდიდატო თხზულებათა წერით, ხოლო ორატორთა კრებებზე თავისი ენამწარობით აშინებდა კონსერვატორთა პარტიას, ბ-ნ გიზოს მიმდევარ ყველა ახალგაზრდა დოქტრიონებს, ასე რომ გარკვეულ წრეში მიაღწია ერთგვარ პოპულარობას, რაც შეზავებული იყო ოდნავ უნდობლობასთან მისი პიროვნებისადმი.

პაემანზე რომ მივიდა, ტანთ ეცვა სქელი პალტო, რომელსაც სარჩულად ედო წითელი ფლანელი; ასეთ პალტოს ოდესღაც სენეკალი ატარებდა.

გამვლელთ მოერიდნენ და ერთმანეთს არ გადახვევიან; მკლავი მკლავს გაუყარეს და, კმაყოფილნი, სიცილით გაემგზავრნენ ვეფურთან. შემდეგ, როცა მარტონი დარჩნენ, დელორიემ წამოიძახა:

— აჰ! ოხერი და ტიალი, აი როდის გვექნება საამური ცხოვრება!

ფრედერიკს არ ეამა მისი სურვილი მალე გამხდარიყო მეგობრის სიმდიდრის მოზიარე. დელორიე ამჟღავნებდა მეტისმეტ სიხარულს ორივესათვის და გაცილებით ნაკლებს მხოლოდ ფრედერიკისთვის.

მერმე დელორიემ უამბო თავის წარუმატებლობაზე, შემდეგ თავის ნაშრომებზე, ცხოვრებაზე, ამასთან, თავის თავზე ლაპარაკობდა სტოიკურად, სხვებზე კი გაბოროტებით. არაფერი არ მოსწონდა. არ ყოფილა არც ერთი შეძლებული კაცი, რომელიც მას არ ჩაეთვალა კრეტინად ან საძაგლად! ცუდად გარეცხილი ჭიქის გამო ოფიციანტი გალანძღა, ხოლო როცა ფრედერიკმა ამაზე უსაყვედურა, დელორიემ უპასუხა:

— აბა ძალიან მოვერიდები ასეთ ვაუბატონებს, რომლებიც წელიწადში ექვსიდან რვა ათასამდე ფრანკს აკეთებენ, უფლება აქვთ აირჩიონ და თვითონაც არჩეულ იქნენ! ოჰ, არა, არა!

მერმე კი ხუმრობის კილოთი განაგრძო:

— მაგრამ დამავიწყდა, რომ კაპიტალისტს ველაპარაკები, მონდორს, ოქროს ქისას, რადგან შენ ახლა მონდორი ხარ!

შემდეგ კვლავ გაიხსენა მემკვიდრეობის საკითხი და ასეთი აზრი გამოთქვა: გვერდითი ხაზით მემკვიდრეობის მიღება (თავისთავად უსამართლო რამ, თუმცა ამჟამად თვითონ მოხარულია) უახლოეს დღეებში გაუქმდება, როგორც კი რევოლუცია მოხდება.

— შენ გგონია? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდე! — მიუგო მან. — ასე აღარ შეიძლება! მეტისმეტად ვიტანჯებით! როცა ისეთ გაჭირვებულთ ვხედავ, როგორიც სენეკალია...

„კიდევ სენეკალი!“ — გაიფიქრა ფრედერიკმა.

— და საერთოდ ახალი რა არის? კვლავ გიყვარს ქ-ნი არნუ? თუ გაიარა, ა?

ფრედერიკმა არ იცოდა, რა ეპასუხა, თვალები დახუჭა და თავი დახარა.

არნუზე დელორიემ თქვა, რომ მისი გაზეთი ახლა ჰიუსონეს ეკუთვნის; მან გადააკეთა იგი და ეწოდება „L' Art“ ლიტერატურული ჟურნალი, საპაიო ამხანაგობა, თითო პაი „ასი ფრანკი“; ყოველ მეპაიეს უფლება აქვს ბეჭდოს თავისი ხელნაწერი, რადგან „ამხანაგობის მიზანია გამოსცეს დამწყებთა ნაწარმოებნი, იხსნას ნიჭიერი, შესაძლებელია გენიოსიც კი მტანჯველი კრიზისებისაგან და სხვა... გესმის, რა სიცრუეა!“ მაგრამ მაინც შეიძლებოდა რაიმეს გაკეთება: ხსენებული ფურცლის ტონის ამაღლება, შემდეგ იმავე რედაქტორების შენარჩუნებით ფელეტონების განგრძობა და ხელის მომწერლები ერთბაშად მიიღებდნენ პოლიტიკურ გაზეთს; წინასწარ გაწეული ხარჯი მაინცდამაინც მეტად დიდი არ იქნებოდა.

— შენ რას იტყვი ამაზე, ა? ხომ არ გინდა იმონაწილეო?

ფრედერიკს წინადადებაზე უარი არ უთქვამს. მაგრამ უნდა მოვიცადოთ, სანამ ჩემს საქმეებს მოვაწესრიგებდეო.

— მაშინ, თუ რამე დაგჭირდეს...

— გმადლობ, ჩემო კარგო! — უთხრა დელორიემ.

შემდეგ ფანჯრის ხავერდგადაკრულ გამირს დაეყრდნენ და სი-

გარები მოსწიეს. მზიანი დარი იყო, ჰაერიც მსუბუქი, ბაღში მონავარდე ფრინველთა გუნდები ხეებზე სხდებოდნენ; წვიმით გარეცხილი ბრინჯაოს და მარმარილოს ქანდაკებანი მზეზე ბრწყინავდნენ; წინსაფრიანი ძიძები სკამლოგინებზე ისხდნენ და საუბრობდნენ; ისმოდა ბავშვთა სიცილი და შადრევნების წყლის ეღურტული.

დელორიეს გაბოროტება ფრედერიკს აღელვებდა; მაგრამ ღვინის გამო, ძარღვებში რომ გასჯდომოდა, მთვლემარე, ტანდამძიმებული, მზისაკენ პირმიბრუნებული გაძინობდა მხოლოდ განუსაზღვრელ ნეტარებას, უაზრო ნებივრობას, როგორც ტენითა და სითბოთი გაღღენთილი მცენარე. თვალებმოხუჭული დელორიე სადღაც შორს იცქირებოდა. მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, და უეცრად დაიწყო:

— აჰ! რა კარგი იყო, როცა კამილ დემულენი აი იქ მაგიდაზე იდგა და ხალხს ბასტილიის წინააღმდეგ საიერიშოდ მოუწოდებდა! იმ დროს იყო ცხოვრება, შეიძლებოდა გამოგეჩინა თავი, ძალა! უბრალო ვექილები გენერლებს უბრძანებდნენ, უნიჭოები მეფეებს ცემდნენ, ახლა კი...

იგი გაჩუმდა, მერმე უეცრად:

— დიახ! მომავალი დიდ ამბებს გვიქადის!

და თითები ფანჯრის მინაზე აათამაშა და ბართელემის ეს ლექსი წარმოთქვა:

> იგი კვლავ მოვა, ბრისხანე ასამბლე,
> გიგანტი, წინ რომ მძლავრად მიაბიჯებს.

— მეტი აღარ მაგონდება! მაგრამ უკვე გვიანია, არ წავიდეთ?

და ქუჩაში განაგრძო თავისი თეორიების გადმოცემა.

ფრედერიკი არ უსმენდა; იგი მაღაზიების ვიტრინებში ათვალიერებდა თავისი ბინისათვის გამოსადეგ ავეჯსა და ქსოვილებს და იქნებ ქ-ნ არნუზე ფიქრმა აიძულა შეჩერებულიყო მაღაზიასთან, რომელშიც გამოფენილი იყო ქაშანურის სამი თეფში. თეფშები მოროთული იყო ყვითელი არაბესკებით და ცალი ას ეკიუდ ღირდა. ფრედერიკმა ისინი თავისთვის გადაადებინა.

— შენს ადგილზე, — უთხრა დელორიემ. — მე უფრო ვერცხლეულს ვიყიდდი.

და ამით თავისი დაბალი წარმოშობა გამოამჟღავნა.

როგორც კი ფრედერიკი მარტო დარჩა, მაშინვე წავიდა განთქმულ პომადერთან, რომელსაც შეუკვეთა სამი შარვალი, ორი ფრაკი, ერთი ბეწვიანი პალტო და ხუთი ჟილეტი; მერმე შეიარა მეწაღესთან, საცვლებისა და ქუდების სავაჭროებში და ყველგან მოითხოვდა, რომ შეკვეთა რაც შეიძლება მალე შეესრულებინათ.

სამი დღის შემდეგ, როცა ჰავრიდან დაბრუნდა, თავისი გარდერობი სავსე დახვდა; ეჩქარებოდა მათი ჩაცმა და აი გადაწყვიტა, სადარბაზოდ წასულიყო დამბრეზებთან, მაგრამ ჯერ ძლიერ ადრე. მხოლოდ რვა საათი იყო.

„იმათთან რომ წავიდე?“ — გაიცლო გულში.

არნუ შინ მარტო იყო და სარკის წინ წვერს იპარსავდა. მან ფრედერიკს შესთავაზა, სხვაგან წაგიყვან, სადაც მხიარულება იქნებაო, ხოლო როცა ბ-ნ დამბრეზის გვარი გაიგონა, უთხრა:

— აჰ, სწორედ ზედგამოჭრილია! იქ თქვენ მის მეგობრებსაც ნახავთ. მაშ წავიდეთ! გავერთობით!

ფრედერიკი უარობდა. ქ-ნმა არნუმ ხმაზე იცნო იგი და მიესალმა მეორე ოთახიდან; მისი გოგონა შეუძლოდ იყო და თვითონაც თავს კარგად ვერ გრძნობდა; მოისმოდა კოვზის წკარუნი ჭიქაში და გაურკვეველი ჩუჩუნი, რაც ავადმყოფის ოთახშია ხოლმე, როცა რაიმე ნივთი ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ. მერმე არნუ გავიდა, რომ ცოლს გამოთხოვებოდა. ისმოდა, როგორ ასახელებდა სხვადასხვა საბაბს:

— ხომ იცი, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმეა! მე იქ უნდა ვიყო, საჭიროა, მელოდებიან!

— წადი, ჩემო კარგო, წადი! გაერთე!

არნუმ მეეტლეს დაუძახა:

— პალე-როიალი! მონპანსიეს გალერეა, 7.

და დაჯდა თუ არა:

— აჰ, როგორ დავიღალე, ჩემო კარგო! სული მძვრება! ბოლოს, შემიძლია თქვენ გამოგიტყდეთ...

იგი იდუმალად გადაიხარა ფრედერიკისაკენ:

--- ვცდილობ დავამზადო სპილენძისფერ-წითელი საღებავი, როგორსაც ჩინელები ხმარობდნენ.

და მან აუხსნა, თუ რა არის ჭიქური და ნელი ცეცხლი. შევეს მაღაზიაში მიართვეს დიდი კალათი; მან უბრძანა, ეტლში ჩადეთო. მერმე „თავისი საბრალო ცოლისათვის“ შეარჩია ყურძენი, ანანა-

სები, სხვადასხვა იშვიათი ტკბილეულობა და განკარგულება გასცა, ყველაფერი ეს ხვალ დილას მომიტანეთო.

შემდეგ მკერავთან შეიარეს; ბალზე უნდა წასულიყვნენ. არნუმ ჩაიცვა ლურჯი ხავერდის მოკლე შარვალი, ასეთივე სერთუკი, ჩამოიცვა მწითური პარიკი; ფრედერიკმა დომინოსავით ჩაიცვა; ისინი გაემართნენ ლავალის ქუჩისაკენ, მივიდნენ სახლთან, რომლის ფანჯრები მეორე სართულზე განათებული იყო ნაირფერი ფარნებით.

უკვე ძირს, კიბეზე მოესმათ ვიოლინოების ხმა.

— სად ჯანდაბას მომიყვანეთ? — უთხრა ფრედერიკმა.

— მშვენიერ გოგონასთან! ნუ გეშინიათ!

გრუმმა კარი გააღო და შევიდნენ დერეფანში, სადაც სკამებზე ეყარა პალტოები, საწვიმრები და შალები. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც გამოწყობილი იყო ლუი XV დროინდელი დრაგუნის ტანსაცმლით, იმ წამს დერეფანში გაიარა. ეს იყო მადმუაზელ როზანეტ ბრონი, ამ სახლის დიასახლისი.

— აბა რაო? — ჰკითხა არნუმ.

— გაკეთებულია! — მიუგო მან.

— აჰ! გმადლობთ, ჩემო ანგელოზო!

და უნდოდა გადახვეოდა.

— ფრთხილად, ყეყეჩო! გრიმი არ გამიფუჭო!

არნუმ ფრედერიკი გააცნო.

— შემობრძანდით შინ, ბატონო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

პორტიერი გადასწია და ზეიმურად განაცხადა:

— ბატონი არნუ, მზარეულის შეგირდი, და თავადი, მისი მეგობარი!

ფრედერიკი ჯერ სინათლემ დააბრმავა; ხედავდა მხოლოდ აბრეშუმს, ხავერდს, გაშიშვლებულ მხრებს, ნაირფერ ბრბოს, რომელიც მუსიკის ხმაზე ირხეოდა; ორკესტრი დამალული იყო მწვანეში, ყვითელი აბრეშუმით გაკრულ კედლებს შორის, რომლებიც მორთული იყო პასტელით ნახატი რამდენიმე სურათით და ლუი XVI სტილის ბროლის ლამპიონით. კუთხეებში, კონსოლებზე დადგმულ ყვავილთა კალათების ზემოთ აღმართულიყო მაღალი ლამპები, რომელთა მქრქალი ხუფები თოვლის გუნდებს ჰგავდა, ხოლო პირდაპირ, ცოტა უფრო პატარა ოთახის იქით, მოჩანდა მესამე ოთახი, სადაც იდ-

გა გრეხილკოლონებიანი საწოლი და სასთუმალთან ვენეციური სარკე.

ცეკვა შეწყდა და გაისმა ტაში, მხიარული ხმაური, როცა ოთახში შემოვიდა არნუ, რომელსაც თავზე ედგა ხორაგით დატვირთული კალათი;

— ფრთხილად, ჭაღი!

ფრედერიკმა აიხედა: ეს იყო იგივე ძველი საქსონური ფაიფურის ჭაღი, „ლ' არ ინდუსტრიელის" მაღაზიას რომ ამშვენებდა. წარსული მოაგონდა, მაგრამ ამ დროს საყარაულო ფორმით გამოწყობილი ქვეითი ჯარისკაცი, ისეთი იერის მქონე, რასაც ტრადიციით ახალწვეულს მიაწერენ ხოლმე, მის წინ აიტუზა და გაკვირვებით ხელები გაშალა. მიუხედავად საშინელი, მეტისმეტად გაწკეპილი შავი ულვაშებისა, სახის იერი რომ გამოეცვალათ, ფრედერიკმა იცნო თავისი ძველი მეგობარი ჰიუსონე. რაღაცნაირ უცნაურ, ნახევრად ალბასურ, ნახევრად ზანგურ ენაზე ეს მასხარა დაუსრულებლად ულოცავდა და პოლკოვნიკს ეძახდა მას. ამ საზოგადოებით დარცხვენილმა ფრედერიკმა არ იცოდა, რა ეპასუხნა. მაგრამ აი გაისმა პიუპიტრზე სოლინარის კაკუნი და მოცეკვავეებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს.

ისინი აქ სამოცამდე იქნებოდნენ; ქალებს მეტწილად ეცვათ სოფლელ ქალთა თუ მარკიზთა კოსტიუმები, მამაკაცებს კი, რომელნიც თითქმის ყველანი ხანში შესულნი იყვნენ, ისე ეცვათ, როგორც მეურმეებს, მტვირთავებს თუ მატროსებს.

ფრედერიკი კედელთან იდგა და კადრილს უცქერდა.

ერთი ლამაზი მოხუცი, ვენეციელი დოჟივით ჩაცმული, რომელსაც მეწამული აბრეშუმის მანტია ესხა, ცეკვავდა ქ-ნ როზანეტთან. მას ეცვა მწვანე მუნდირი, ტრიკოს შარვალი და რბილი წაღები, ზედ რომ ოქროს დეზები უწკარუნებდა. მათს პირდაპირ ცეკვავდნენ ერთი ყელამდე შეიარაღებული არნაუტი და ცისფერთვალა შვეიცარიელი, რძესავით თეთრი და მწყერივით გაპუტკუნებული ქალი, წითელი კორსაჟი რომ ეცვა. ოპერის სტატისტი, მაღალი ქერა ქალი, ყველასათვის რომ ეჩვენებინა თავისი ნაწნავები, რომლებიც მუხლებამდე სცემდა, ველურ ქალად გამოწყობილიყო და მიხაკისფერ ტრიკოზე ჩაეცვა ტყავის წინსაფარი, მორთულიყო შუშის მძივებით, თავზე დაედგა ყალბი დიადემა და ზედ დაერჭო ფარშევანგის ფრთების კონა. მის წინ პრიტჩარდი, უზომოდ ფართო შავი

ფრაკი რომ ეცვა, იდაყვით აღნიშნავდა ტაქტს თავის სათუთუნეზე. ვატოსებური პატარა მწყემსი, მთლად ლაჟვარდი და ვერცხლი, ვით მთვარის შუქი, თავის ყავარჯენს უკაკუნებდა ბახუსის ქურუმი ქალის თირსს; ქურუმს თავს ედგა ყურძნის გვირგვინი, მარცხენა მხარეზე გადმოეშვა ლეოპარდის ტყავი და ფეხთ ეცვა ოქროსთასმიანი სანდლები. მეორე მხარეზე ცეკვავდა ღია წითელი ხავერდის კაბაში გამოწყობილი პოლონელი ქალი და სიფრიფანა ქვედაწელი აჩენდა ნათელი ფერის აბრეშუმის წინდებსა და თეთრი ბეწვით მოქობილ ვარდისფერ ფეხსაცმელს. იგი უღიმოდა ორმოციოდე წლის ასაკის ღიპიან კავალერს, საეკლესიო მგალობელივით რომ იყო მორთული; იგი ძლიერ მაღლა ხტუნავდა, ცალი ხელით სტიხარს იწევდა, მეორეთი კი თავზე წითელ სკუფიას იჭერდა. გარნა დედოფალი, ვარსკლავი იყო მადმუაზელ ლულუ, საჯარო ბალების განთქმული მოცეკვავე. რადგან ახლა იგი მდიდარი იყო, მის შავი ხავერდის ზედაწელს ჰქონდა მაქმანის ფართო საყელო, ხოლო წითელი აბრეშუმის მეტად განიერი შარვალი, უკან რომ გამოკრული იყო, წელში კი ქაშმირის შარფი ჰქონდა შემოჭერილი, ნაკერებზე მორთული იყო ცოცხალი თეთრი კამელიებით. მისი ფერმკრთალი ოდნავ შეშუპებული სახე და აჩქენტილი ცხვირი უფრო უტიფარი ჩანდა აბურძგნული პარიკის გამო, რომელზეც ეხურა, მარჯვენა ყურისაკენ გადახრილი, მამაკაცის რუხი ფეტრის ქუდი. როცა მადმუაზელ ლულუ შეხტებოდა, მისი ბრილიანტისაბზინდიანი ტუფლები თითქმის ეხებოდნენ კავალერის ცხვირს; ეს იყო მაღალი, საშუალო საუკუნეთა დროის ბარონი, რკინის საჭურველი რომ სტანჯავდა. აქ იყო აგრეთვე ანგელოზი, ხელში რომ ოქროს მახვილი ეპყრა. და ზურგზე გედის ფრთები ესხა; აქეთ-იქით რომ დადიოდა, მუდამ კარგავდა თავის კავალერს, ლუი XIV, ფეხი ეშლებოდა და მოცეკვავეებს უშლიდა.

ფრედერიკი უცქეროდა ამ ხალხს და თავს ობლად გრძნობდა, გუნებაზე ვერ იყო. კვლავ ქ-ნ არნუზე ფიქრობდა და ეგონა, მის წინააღმდეგ რაღაც მტრულ საქმეში ვერევიო.

როცა კადრილი დამთავრდა, მასთან მივიდა ქ-ნი როზანეტი; იგი ოდნავ ქოშინებდა და სარკესავით მობრჭყვიალე სამკერდული მსუბუქად ერხეოდა ნიკაპქვეშ.

— თქვენ კი, ბატონო, არ ცეკვავთ?

ფრედერიკმა იბოდიშა, ცეკვა არ ვიციო.

— მართლა! მაგრამ ჩემთან? ნუთუ მართლა?

იგი მთელი სხეულით გვერდზე გადახრილი იდგა, მუხლი ოდნავ მოეხარა და მარცხენა ხელს დაშნის პერლამუტრის ვადას უსვამდა. ფრედერიკს წუთით შეავლო ნახევრად მუდარის, ნახევრად დაცინვის გამომხატველი თვალი და მერმე უთხრა: „ღამე მშვიდობისა“, პირუეტი გაუკეთა და გაილალა.

თავისი თავით უკმაყოფილო ფრედერიკმა არ იცოდა, რა ექნა, და ოთახებში ხეტიალი დაიწყო.

შევიდა ბუდუარში, რომელიც გაკრული იყო მინდვრის ყვავილთა თაიგულებით მოხატული მკრთალცისფერი აბრეშუმით; ჭერზე მოოქრული ხის რგოლში, ლურჯი ცის ტატნობზე ცელქობდნენ ამურები ღრუბლებში, საწოლ ბუმბულებს რომ მოგვაგონებდნენ. ამ მშვენებამ, რაც დღეს ისეთი ქალის თვალში, როგორიც როზანეტი იყო, სიღატაკედ ითვლებოდა, ფრედერიკი დააბრმავა. იგი აღტაცებული იყო ყველაფრით: ხელოვნური ხვართქლით სარკის გარშემო, ბუხრის ეკრანით, თურქული დივნით. კედლის ნიში, კარავს რომ ჰგავდა, გაკრული იყო ვარდისფერი აბრეშუმით და თეთრი მუსლინი ეფარა. საწოლი ოთახი მორთული იყო თითბრით მოოქვილი შავი ხის ავეჯით, ხოლო გედის ბუმბულის ფარდაგით დაფარულ ქორედზე სირაქლემას ფრთებით მორთულ ჩარდახის ქვეშ იდგა განიერი საწოლი. პაწია ბალიშებში ჩარჭობილი ძვირფასთვლებიანი ქინძისთავები, ლამბაქებზე დაყრილი ბეჭდები, ოქროს მედალიონები და ვერცხლის კოლოფები მოჩანდა მიბინდულ ოთახში, რომელსაც ანათებდა სამ ძეწკვზე დაკიდებული ბროლის ჭაღი. პატარა ოდნავ ღია კარში მოჩანდა სათბური, რომელსაც მთელი ტერასა ეკავა, მის ბოლოში კი ვოლიერი იყო მოწყობილი.

ეს იყო მართლაც მოსაწონი რამ ადგილი. უეცრად გაეღვიძა ახალგაზრდობის გრძნობა და შეჰფიცა დამტკბარიყო ყოველივე ამით, გამხნევდა; დაბრუნდა სასტუმრო ოთახში, სადაც ახლა მეტი ხალხი იყო (ყველაფერი რაღაც მანათობელ მტვერში იყო გახვეული), კარებში გაჩერდა და უცქეროდა მოცეკვავეთ, თვალებს წკურავდა, რათა უკეთ დაენახა, და ისუტავდა ქალთა მათრობელ სურნელებას, დაუტევნელ ამბორივით რომ გაბნეულიყო ჰაერში. გარნა მის გვერდით, კარის მეორე მხარეზე იდგა პელერენი; მთლად გამოწყობილი პელერენი: მარცხენა ხელი უბეში ჩაეყო, მარჯვენით კი ქუდი და გახეული თეთრი ხელთათმანი ეპირა.

— ვაჰ! რამდენი ხანია არ ჩანხარ! სად დაიკარგე, კაცო? იტალიაში ხომ არ მოგზაურობდი? იტალია არც ისე სახარბიელოა, როგორც ამბობენ? მაგრამ სულ ერთია! მომიტანე როგორმე ამ დღეებში შენი ესკიზები!

მის პასუხს არ დაელოდა და თავის თავზე დაიწყო ლაპარაკი.

— დიდი წარმატება მოვიპოვე, რაკი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ხაზი უაზრობაა. ხელოვნების ნაწარმოებში ანგარიში უნდა გაეწიოს არა იმდენად სილამაზესა და მთლიანობას, რამდენადაც სახასიათოსა და საგანთა ნაირფერობას. რადგანაც ბუნებაში ყველაფერი არსებობს, მაშასადამე, ყველაფერი კანონიერი და ყველაფერი პლასტიკურია. საქმე მხოლოდ ის არის, რომ მიაგნო ტონი, მორჩა და გათავდა. მე გამოვამჟღავნე ეს საიდუმლოება!

მერმე ფრედერიკს იდაყვი წაჰკრა და რამდენჯერმე გაიმეორა:

— მე გამოვამჟღავნე ეს საიდუმლოება, გესმის! აი შეხედეთ ამ პატარა ქალს, სფინქსის თავსაკრავი რომ აქვს და რუს მეეტლესთან ცეკვავს; აქ ყველაფერი გარკვეულია, მშრალია, მკაფიოა, ყველაფერი გაცვეთილი და მკვეთრი ელფერით არის შესრულებული: ინდიგო უპეებზე, სიგნური ლოყებზე, ბისტრი საფეთქლებზე; ჰაი და ჰუი!

და გამართულ ცერს ისე აქნევდა ჰაერში, თითქოს ფუნჯს ხმარობსო.

— მაშინ როცა ის ბუდრუგუნა, აი იქ, — განაგრძობდა იგი და უჩვენებდა თევზის ვაჭარ ქალს, შინდისფერი კაბა რომ ეცვა, ყელზე ოქროს პატარა ჯვარი ეკიდა და ბატისტის თავსაფარი ზურგზე ჰქონდა გასკვნილი. — მთლად დამრგვალებულია, ნესტოები გაბრტყელებია, როგორც თავისი ჩაჩის ბაფთები, ტუჩის კუთხეები აწეული აქვს, ნიკაპი დაწეულია, ყველაფერი მსუქანია, შერთული, მკვრივი, მშვიდი და მზიური, ნამდვილი რუბენსია! მაგრამ ორივე სრულყოფილია! ჰოდა, ტიპი სადღაა მაშინ?

იგი უკვე ცხარობდა.

— რა არის ლამაზი ქალი? რა არის სილამაზე? აჰ! სილამაზე, მეტყვით თქვენ...

ფრედერიკმა შეაწყვეტინა, რათა გაეგო, ვინ იყო ის პიერო. თხის პროფილი რომ ჰქონდა, და მოცეკვავეებს ლოცავდა გაჩაღებული კადრილის დროს.

— სრული არარაობა! ქვრივია, სამი შვილის მამა. ისინი უნიფ-

ხვოდ ჰყავს, თვითონ კი დროს კლუბში ატარებს და თავის მოსამსახურე ქალთან ცხოვრობს.

— აი ის კი, საშუალო საუკუნეთა მსაჯულივით რომ აცვია და მარკიზ-პომპადურს ელაპარაკება ფანჯარასთან?

— ეს ქალბატონი ვანდაელია, თეატრი „ჟიმნაზის“ ყოფილი მსახიობი, დოჟის, გრაფ დე პალაზოს საყვარელია. უკვე ოცი წელია ერთად ცხოვრობენ, არავინ იცის კი რატომ. რა საოცარი თვალები ჰქონია ოდესმე ამ ქალს! ის მოქალაქე კი, მის გვერდით რომ დგას, კაპიტანი დ' ერბინიი, ძველი გვარდიის ვეტერანია; საპატიო ლეგიონის ორდენისა და პენსიის გარდა არაფერი არ გააჩნია; საზეიმო შემთხვევებში ასრულებს რომელიმე გრიზეტის ძიას როლს, აწყობს დუელის საქმეებს და მუდამ სტუმრად სადილობს.

— არამზადა ვინმეა? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— არა, პატიოსანი კაცია!

— აჰ!

მხატვარი სხვებსაც უსახელებდა, მაგრამ უეცრად დაინახა ერთი კაცი, რომელსაც, მოლიერის ექიმების მსგავსად, შავი სარჟის მანტია ეცვა, თავიდან ბოლომდე შეხსნილი, რათა ყველას დაენახა მისი ბრელოკები.

— თქვენს წინაშეა დოქტორი დე როჟი, იგი ბრაზობს, რომ გათქმული არ არის; დაწერა პორნოგრაფიული წიგნი; ხალისით მლიქვნელობს მაღალ საზოგადოებაში, ეხერხება ენაზე კბილის დაჭერა; აქაური ლამაზმანები აღმერთებენ. იგი და მისი მეუღლე (აი ის ხმელხმელი, საშუალო საუკუნეთა მანდილოსანი, რუხი კაბა რომ აცვია) ერთად დაეთრევიან ყველა საჯარო და სხვა ადგილებში. მიუხედავად ხელმოკლეობისა, აქვთ ხოლმე წვეულება ჩაიზე, მართავენ საღამოებს, სადაც ლექსებს კითხულობენ. — მოითმინეთ!

მართლაც, ექიმი მათთან მივიდა; და მალე სამივენი სასტუმრო ოთახის კართან იდგნენ და საუბრობდნენ; მათ შეუერთდა ჰიუსონე, შემდეგ ველური ქალის საყვარელი, ახალგაზრდა, პოეტი, რომლის უბადრუკაგებულებას ვერ ფარავდა ფრანსუა I სტილის მოკლე მანტო, და, ბოლოს, ოხუნჯი ვინმე, თურქი დარაჯივით რომ იყო გამოწყობილი. მაგრამ მის ყვითელსირმიან ქურთუკს იმდენ ხანს ემოგზაურა მოხეტიალე დანტისტთა ზურგზე, ფართო წითელი, ნაოჭებიანი შარვალი ისე გამოხუნებულიყო, დოლბანდი, ძლოკივით

რომ დაეხვია თავზე, ისეთი უბადრუკი სანახავი იყო, მოკლედ, მთელი მისი მორთულობა ისეთი სავალალო და თანაც ისეთი მოხერხებული იყო, რომ ქალები თავიანთ ზიზღს ვერ მალავდნენ. ექიმმა იმით ანუგეშა იგი, რომ აღტაცებული ქება-დიდება შეასხა მის საყვარელს. ეს თურქი ბანკირის შვილი იყო.

ორ კადრილს შუა როზანეტი მივიდა ბუხართან, რომლის ახლოს სავარძელში იჯდა ჩასუქებული მოხუცი, ოქროსღილებიანი მიხაკისფერი ფრაკი რომ ეცვა. მისი დამჭკნარი ლოყების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მაღალ თეთრ ყელსახვევს დაჰფენოდა, თმა ჯერ კიდევ ქერა ჰქონდა და თავის თავად იხვეოდა, როგორც პუდელის ბალანი, რაც ცელქურ იერს აძლევდა.

როზანეტი ზედ მის სახესთან თავდახრილი უსმენდა მას; მერმე ერთი ჭიქა სიროფიანი წყალი მოუმზადა; ვერაფერი ვერ შეედრებოდა ამ ქალის ნატიფ ხელებს, მწვანე მუნდირის მაქმანიან სახელოებში რომ მოუჩანდა. მოხუცმა სიროფი დალია და ხელები დაუკოცნა.

— ეს ხომ ბატონი უდრია, არნუს მეზობელი!

— სწორედ მაგან დაღუპა იგი! — სიცილით თქვა პელერენმა.

— როგორ?

ფოსტალიონის ტანსაცმლით გამოწყობილმა ლონჟიუმოელმა წელზე მოხვია ხელი როზანეტს; იწყებოდა ვალსი. კედლების გასწვრივ დივნებზე მსხდომი ქალები სწრაფად, ერთი-მეორის მიყოლებით წამოიშალნენ, მათი კაბები, შარვლები, თმები ერთბაშად დატრიალდა.

ისინი ისე ახლოს ტრიალებდნენ ფრედერიკთან, რომ ოფლის წვეთებსაც კი ამჩნევდა მათს შუბლზე, და ეს სულ უფრო გაძლიერებული ტრიალი თავბრუს ახვევდა, ათრობდა მას და სხვაგვარ სახეებს იწვევდა მის წარმოდგენაში. ყველა ეს ქალი, მის წინაშე რომ დაქროდა, თანაბრად მომხიბლავი იყო, მაგრამ ყოველი მათგანი, თავისი სილამაზის მიხედვით, სხვადასხვაგვარად აღელვებდა. პოლონელი ქალი, მოთენთილად რომ ირხეოდა ცეკვის დროს, სურვილს უღვიძებდა გულში ჩაეკრა და ასე ჩახუტებულნი გაქანებულიყვნენ მარხილით სადღაც შორს, თოვლიან სივრცეში. უშფოთველი ტკბობის სურათები სადმე ქოხში, ტბის ნაპირას, იხატებოდა შვეიცარიელი ქალის მოძრაობაში, ტანგამართული და თვალდახრილი რომ ცეკვავდა. შემდეგ უეცრად ბახუსის ქურუმი

ქალი, შავთმიანი თავი რომ გადაეგდო, იწვევდა ოცნებას მძაფრ ალერსზე ოლეანდრის ტევრებში, ჭექა-ქუხილის დროს და დოლის ოდნავგასაგონ ხმაზე. თევზის ვაჭარი ქალი, მეტად ჩქარი ტემპით რომ სული ეხუთებოდა, ხმამაღლა იცინოდა, და ფრედერიკს სურდა, მასთან ერთად ღვინო ესვა პორშერონის რომელიმე სამიკიტნოში და ზორბად ესრისა მისი თავსაფარი, როგორც ძველ კაი დროს. მტვირთავი ქალი კი, პარკეტს რომ ოდნავ ეხებოდა, თავისი ტანის მოქნილობაში, სახის სერიოზულ გამომეტყველებაში თითქოს მალავდა მთელ სინატიფეს თანამედროვე სიყვარულისას, მეცნიერების სიზუსტე და ჩიტის სისწრაფე რომ აქვს. როზანეტი დოინჯშემოყრილი ტრიალებდა; მის ღვლარჭნილ პარიკს, საყელოზე რომ უხტუნავდა, ყოველ მხრივ ეფრქვეოდა ირისის პუდრი, თავისი ოქროს დეზებით კი ყოველ მობრუნებაზე კინაღამ ეხებოდა ფრედერიკს.

ვალსის უკანასკნელ აკორდზე გამოჩნდა მ-ელ ვატნაზი, თავზე ალყირული თავსაფარი ეხურა, შუბლზე — სამკაულად მრავალი პიასტრი, თვალები ამოსურმული ჰქონდა; ტანთ ეცვა შავი ქაშმირის პალტოსებრი რაღაც, თეთრი ქვედაწელი ვერცხლიმკედით იყო ამოქარგული, ხელში კი დაირა ეჭირა.

მას მოჰყვებოდა მაღალი ტანის მამაკაცი, რომელსაც დანტეს კლასიკური კოსტიუმი ეცვა; იგი იყო (ქალი ახლა აღარ მალავდა თავის ურთიერთობას მასთან) ყოფილი მომღერალი „ალჰამბრიდან“, ვისაც პირველად ეწოდებოდა ოგიუსტ დელმარი, შემდეგ თავის თავს ეძახდა ანტენორ დელამარეს, მერმე დელამასს, შემდეგ ბელმარს და, ბოლოს, დელმარს და ამრიგად ცვლიდა და აუმჯობესებდა თავის გვარს სახელმოხვეჭილობის შესაბამისად; კაბარეების ესტრადა შეცვალა თეატრით და ამას წინათ წარმატებით გამოვიდა თეატრ „ამბიგიუში“ დადგმულ პიესაში „მეთევზე გასპარდო“.

ჰიუსონემ რომ იგი დაინახა, წარბი შეიკრა. მას შემდეგ, რაც მისი პიესა დაიწუნეს, მსახიობებს ვერ იტანდა. შეუძლებელიაო წარმოიდგინო ასეთი ვაუბატონების მედიდურება.

— აბა ერთი შეხედეთ, რა პრანჭიაა!

დელმარმა სალმის ნიშნად ოდნავ დაუქნია თავი როზანეტს და ბუხარს მიეყრდნო; უძრავად იდგა, ცალი ხელი გულზე მიედო, მარცხენა ფეხი წაედგა, თვალები აღეპყრო, თავზე, კაპიუშონის ზემოთ, მოოქრული დაფნის გვირგვინი ედგა და ცდილობდა სახისათვის მეტი პოეტურობა მიეცა, რათა ქალები მოეხიბლა. მის გარშემო, ცოტა მოშორებით, უკვე წრე გაკეთდა.

ვატნაზი, მას შემდეგ, რაც დიდხანს ეხვეოდა როზანეტს, ჰიუსონესთან მივიდა და სთხოვა სტილის მხრივ გადაეთვალიერებინა მისი ნაშრომი პედაგოგიკის დარგში, რომლის გამოცემასაც აპირებდა სათაურით „ახალგაზრდა ქალიშვილების ჰირლანდი“; ეს იყო ლიტერატურულ-მორალური კრებული. ლიტერატორმა დახმარება აღუთქვა. შემდეგ ჰკითხა, ხომ არ შეგიძლიათ ერთ-ერთ გაზეთში, სადაც ხელი მიგიწვდებათ, ოდნავ შეაქოთ ჩემი მეგობარი, შემდეგ კი როლიც მიანდოთო. ამის გამო ჰიუსონემ ერთი ჭიქა პუნში დაკარგა.

პუნში კი არნუმ დაამზადა. გრაფის გრუმის თანხლებით, რომელსაც ხონჩა ეკავა, იგი თავაზიანად აწვდიდა მას სტუმრებს.

როცა იგი ბ-ნ უდრისთან უნდა მისულიყო, როზანეტმა შეაჩერა:

— ის საქმე კი როგორ არის?

იგი ოდნავ წამოწითლდა; მერმე მოხუცს მიმართა:

— ჩვენი მეგობარი ქალი მეუბნებოდა, რომ თქვენ ესოდენ თავაზიანი ბრძანდებით...

— დიახ, რა თქმა უნდა, მიმსახურეთ, ჩემო მეზობელო.

მერმე ნახსენები იყო დამბრეზის სახელი; წყნარად ლაპარაკობდნენ, ამიტომ ფრედერიკს ცუდად ესმოდა; იგი ბუხრის იმ მხარეზე გადავიდა, სადაც როზანეტი დელმარს ესაუბრებოდა.

მსახიობს ვულგარული სახე ჰქონდა; იგი თეატრის დეკორაციების მსგავსად, შექმნილი იყო იმ ვარაუდით, რომ შორიდან ეცქირათ მისთვის: ხელები მსხვილი, ფეხები დიდრონი, ქვედა ყბა მძიმე; აგინებდა დიდად ცნობილ მსახიობებს, მედიდურად ლაპარაკობდა პოეტებზე, ამბობდა: „ჩემი ხმა, ჩემი გარეგნობა, ჩემი შესაძლებლობანი“, საუბარს ამკობდა თავისთვისაც ნაკლებგასაგები სიტყვებით, რომლებისკენაც მიდრეკილება ჰქონდა, როგორიც არის: „მორბიდეცა“, „ანალოგიური“, „ჰომოგენობა“.

როზანეტი უსმენდა და, თანხმობის ნიშნად, თავს უკანტურებდა ფერუმარილიანი ლოყები აღტაცებით უღაღადებდა და გაურკვეველი ფერის თვალებზე რაღაც სველი რამ ბინდივით ეფინებოდა. როგორ შეეძლო ასეთ კაცს მოეხიბლა იგი? ფრედერიკი ცდილობდა უფრო მძაფრად შეეძულებია იგი, რითაც იმედი ჰქონდა მოესპო ერთგვარი შური, რასაც მისდამი გრძნობდა.

ვატნაზი ახლა არნუსთან იყო; ქალი მეტად ხმამაღლა იცინოდა

და დროდადრო თავის მეგობარ ქალს გადახედავდა ხოლმე, ვისაც თვალს არ აშორებდა აგრეთვე უდრი.

მერმე არნუ და ვატნაზი სადღაც გაქრნენ; მოხუცი როზანეტთან მივიდა და რაღაც წყნარად უთხრა.

— დიახ, დიახ, გათავებულია! თავი დამანებეთ!

და ფრედერიკს სთხოვა, სამზარეულოში წასულიყო და შეეტყო, ბ-ნი არნუ იქ იყო თუ არა.

იატაკზე ჩამწკრივებული იყო მთელი ბატალიონი ნახევრადსავსე ჭიქებისა; ქვაბები, კარდალები და ტაფები ღუმელზე ხტუნავდნენ; არნუ განკარგულებას აძლევდა მსახურთ, ყველას „შენობით“ ელაპარაკებოდა, ურევდა ცხარე სოუსს, აჭაშნიკებდა საწებლებს, ეხუმრებოდა მზარეულ ქალს.

— კარგი, — უთხრა მან. — გადაეცით, რომ ახლავე ვუბრძანებ სუფრა გაშალონ.

ცეკვა დამთავრდა, ქალები კვლავ დასხდნენ, მამაკაცები ოთახში მიმოდიოდნენ. ერთ-ერთი ფანჯრის ფარდას ქარი აფრიალებდა. და ქალმა, სფინქსს რომ წარმოადგენდა, მიუხედავად ყველას გაფრთხილებისა, გამჭოლს მიუშვირა ოფლიანი გულმკერდი. მაგრამ სად არის როზანეტი? მის საძებნელად ფრედერიკი შორს წავიდა, ბუდუარსა და საწოლ ოთახში შევიდა. ზოგიერთი იქ შესულიყო, რათა მარტო ან პირისპირ დარჩენილიყო ვინმესთან. ბინდი ჩურჩულს ერთვოდა. ისმოდა ცხვირსახოცით მოგუდული სიცილი, ხოლო კორსაჟების ფონზე ბუნდოვნად მოჩანდა ნელა და რბილად მოძრავი მარაოები, დაჭრილი ფრინველის ფრთებივით რომ ფართქალებდნენ.

სათბურში რომ შევიდა, ფრედერიკმა შადრევანთან ახლოს, ფართო ფოთლების ქვეშ დაინახა ტილოს კანაპეზე პირქვე მწოლიარე დელმარი; მის ახლოს მჯდომ როზანეტს თითები შეეყო მის თმაში და ერთმანეთს შესცქეროდნენ. ამავე დროს მეორე მხრიდან, ვოლიერის მხრიდან არნუ შემოვიდა. დელმარი მაშინვე წამოხტა, მაგრამ გასასვლელისაკენ ნელა გაემართა, უკანმიუხედავად, და კართან კიდევაც შედგა, რათა ყვავილი მოეწყვიტა და ღილკილოში გაეკეთებია. როზანეტმა თავი დახარა; ფრედერიკმა, გვერდიდან რომ უცქერდა, შეამჩნია, რომ იგი ტიროდა.

— რა მოგვიდა? — ჰკითხა არნუმ.

პასუხის ნაცვლად მან მხრები აიჩეჩა.

— იმის მიზეზით? — კვლავ ჰკითხა.

ქალმა ხელები მოხვია კისერზე, შუბლზე აკოცა და ნელა უთხრა:

— ხომ კარგად იცი, რომ მუდამ შენ მეყვარები, ჩემო ღიპიანო. ამაზე ნულარ ვიფიქრებთ! წავიდეთ, ვივახშმოთ!

სპილენძის ორმოცსანთლიანი ჭაღი აშუქებდა სასადილო ოთახს, რომლის კედლები მთლად დაფარული იყო ქაშანური ძველი ნაწარმით. მკვეთრი შუქი სრულიად შეეულად ეცემოდა და უფრო დიდი ჩანდა ტიურბო, შუაგულ სუფრაზე რომ იდგა საუზმეულობასა და ხილს შორის; ნაპირებზე ჩამწკრივებული იყო კიბოსწვნიანი თეფშები. პელერენი და ბ-ნი უდრი როზანეტის ახლოს ალმოჩნდენ, არნუ მის პირდაპირ იჯდა. პალაზო და მისი მეგობარი ქალი ის იყო წავიდნენ.

— კეთილი მგზავრობა! — უთხრა მათ როზანეტმა. — შევუდგეთ!

და საეკლესიო გუნდის მგალობელმა, დიდმა ხუმარამ, ფართოდ გადაიწერა პირჯვარი და წარმოთქვა Benedicte.[1]

მანდილოსნები შერცხვენილ იქნენ, ყველაზე მეტად კი — თევზის ვაჭარი ქალი; მას ჰყავდა ქალიშვილი და სურდა წესიერ ქალად აღეზარდა. არც არნუს უყვარდა „ასეთი რამეები" და მიაჩნდა, რომ სარწმუნოებას პატივი უნდა სცენ.

გერმანული საათის გუგულმა ორჯერ დაიძახა და ბევრი ოხუნჯობა გამოიწვია ამ ფრინველის გამო. ამას მოჰყვა ყოველგვარი ზმა, ანეკდოტი, ტრაბახი, ნაძლეობა, სიცრუე, სიმართლედ რომ საღდებოდა, დაუჯერებელი მტკიცება, სიტყვების რახარუხი, მალე რომ კერძო საუბრად იქცა. ისმებოდა ღვინო, კერძს კერძი მოსდევდა, დოქტორი ხორცს ჭრიდა. სტუმრები შორიდან ესროდნენ ერთმანეთს ფორთოხალს, ბოთლის საცობს, დგებოდნენ, ვინმეს მოელაპარაკებოდნენ. როზანეტი ხშირად მიბრუნდებოდა ხოლმე დელმარისაკენ, რომელიც უძრავად იდგა მის უკან; პელერენი ლაყბობდა, ბ-ნი უდრი ილიმებოდა. მ-ელ ვატნაზმა თითქმის მარტომ შეჭამა ერთი მათლაფა კიბო და ნაჭუჭს ახრამუნებდა. ანგელოზი პიანინოს სკამზე დაჯდა (ეს იყო ერთადერთი სკამი, რომელზეც ფრთები არ უშლიდა) და ნებისად და განუწყვეტლივ იცოხნებოდა.

---

[1] კურთხეულ არს (ლოცვა).

რა მადა აქვს! — გაოცებული იმეორებდა საეკლესიო მგალობელი. — რა მადა აქვს!

სფინქსი კი არაყს სვამდა და ღრიალებდა, ეშმაკივით შმაგობდა. უეცრად ლოყები დაებერა, სისხლი დაედინა, რის გამოც სულ შეეხუთა, ტუჩზე ხელსახოცი მიიდო, მერმე აიღო და სუფრისქვეშ შეაგდო.

ფრედერიკმა ეს დაინახა.

— არაფერია!

და მის ხვეწნაზე, წადით და თავს მიხედეთო, ნელა უპასუხა:

— ეჰ! მერმე რა აზრი აქვს? ერთი მეორის ღირსია! სიცოცხლე არცთუ ისე სანატრელია!

მაშინ გულის გამყინავმა მწუხარებამ ფრედერიკს ერეოლა მოჰგვარა, თითქოს მის წინაშე გადაიშალა სიღატაკისა და სასოწარკვეთილების შთელი სამყარო, გაჩაღებული მაყალა ავადმყოფის საწოლთან, ტყავის წინსაფრებით დაფარული გვამები მორგში, ონკანთან, საიდანაც ცივი წყალი ეღვრებათ თავზე.

ამასობაში ველურის ფეხებთან დაყუნცული ჰიუსონე ჩახლეჩილი ხმით ღრიალებდა და მსახიობ გრასოს აჯავრებდა:

— ნუ ხარ სასტიკი, ო ჩელუტა! ეს პატარა ოჯახური დღესასწაული მომხიბვლელია! დამათვრეთ ავხორცობით, ჩემო საყვარელნო! ვიცელქოთ! ვიცელქოთ!

და ქალებს მხრებზე დაუწყო კოცნა; ისინი კრთოდნენ, ულვაშები ულუტუნებდნენ; შემდეგ მოუნდა თეფში თავზე დაემტვრია. სხვებმაც მიჰბაძეს; ფაიანსის ნამსხვრევები ისე ცვიოდა, როგორც კრამიტი ძლიერ ქარში, მტვირთავმა ქალმა კი წამოიძახა:

— ნუ გერიდებათ! ეგ არაფერი არ ღირს! იმ კაცის საჩუქარია, ვინც მაგას აკეთებს!

ყველამ თვალი არნუს მიაპყრო. მან უპასუხა:

— აჰ! არა, ბოდიში, ფულია გადახდილი! — რაკი, ალბათ, სურდა ეთქვა, როზანეტის საყვარელი არ ვარ, ან აღარ ვარო.

მაგრამ უეცრად გაისმა გააფთრებული ხმები:

— ყეყეჩი!

— უქნარა!

— ინებეთ!

— მეც!

თურმე დაობდნენ საშუალო საუკუნეთა რაინდი და რუსი

მეეტლე; უკანასკნელი ამბობდა, როცა აბჯარი გაქვს, მამაცობა საჭირო აღარ არისო, რაინდმა ეს შეურაცხყოფად მიიღო. სურდა ჩხუბი გაემართა, სხვები ჩაერივნენ, გვარდიის ვეტერანი კი ამ ხორხოცში ცდილობდა ხმა აღემაღლებინა:

— ბატონებო, გამიგონეთ! ერთი სიტყვა! გამოცდილი ვარ, ბატონებო!

როზანეტმა დანა აიღო, ჭიქას დაუკაკუნა და სიჩუმე დაამყარა; მერმე ჯერ რაინდს მიმართა, რომელსაც მუზარადი ჰქონდა, შემდეგ მეეტლეს, ბეწვის ქუდი რომ ეხურა:

— ჯერ თქვენი კასროლი მოიხადეთ! მის გამო მცხელა! თქვენ კი — მგლის თავი! გამიგონებთ თუ არა, ჯანდაბას თქვენი თავი! შეხედეთ ჩემს სამხრეებს! მე თქვენი მარშალი ვარ!

ისინი დაემორჩილნენ, ყველამ ტაში დაუკრა, იყვირეს:

— გაუმარჯოს მარშალს! გაუმარჯოს მარშალს!

მაშინ მან ბუხარზე შამპანურით სავსე ბოთლი აიღო და დაასხა გაწვდილ ჭიქებში. რადგან სუფრა მეტად ფართო იყო, სტუმრები, და პირველ რიგში კი ქალები, მისკენ გაეშურნენ: ჭლიკებზე დგებოდნენ, სკამებზე ადიოდნენ, ასე რომ ერთ წამში შეიქმნა ვარცხნილობის, შიშველი მხრების, გაწვდილი ხელების, დახრილი ტანების მთელი პირამიდა და იქვე ჩქეფდა ღვინო, რადგან პიერო და არნუ წამდაუწუმ ხდიდნენ თავს ბოთლებს და სახეში აშხეფებდნენ გარშემო მყოფთ. ჩიტები ვოლიერიდან, რომლის კარიც ღია დატოვეს, სასადილო ოთახში შემოფრინდნენ, შეშინებულნი ჭაღების ირგვლივ ფრთხიალებდნენ, ფანჯრებსა და ავეჯს ეხლებოდნენ, ზოგნი კი თავებზე ასხდებოდნენ და დიდრონ ყვავილებს მოგაგონებდნენ, ვარცხნილობას რომ ამშვენებდნენ.

მემუსიკენი წავიდნენ. პიანინო დერეფნიდან სასტუმრო ოთახში გადაიტანეს. ვატნაზი მიუჯდა და საეკლესიო მგალობლის აკომპანემენტით, დაირას რომ ურტყამდა, გააფთრებით უკრავდა კადრილს და ისე სცემდა კლავიშებს, ვით ცხენი ტორებს მიწას, თანაც ირხეოდა, რომ უკეთ დაეცვა ტაქტი. როზანეტმა ფრედერიკი გაიტაცა, ჰიუსონე ბორბალივით ტრიალებდა, მტვირთავი ქალი კლოუნივით იგრიხებოდა, პიერო მაიმუნივით იმანჭებოდა. ველურს მკლავები გაეშალა და მერხევ ნავს წარმოადგენდა. ბოლოს ყველანი მოიქანცნენ და გაჩერდნენ; ფანჯრები გააღეს.

ოთახში დილის სიგრილესთან ერთად დღის სინათლეც შემო-

იკრა. გაისმა გაკვირვების შეძახილები, შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ციმციმებდნენ სანთლების ყვითელი ენები, დროდადრო ტკაცუნით სკდებოდა მათი როზეტები; იატაკზე ეყარა ბაფთები, მძივები. სუფრებზე რჩებოდა პუნშისა და სიროფის წებოვანი ლაქები: შპალერი გათხუნული იყო, კაბები დაიკმუკნა, დაიმტვერა; კულულები ჩამოიშალა, ფერ-უმარილი ოფლმა დადღაბნა სახეებზე. რომელთაც მკვდრის ფერი დაედო, ჩაწითლებული უპეები ძლივს ხამხამებდნენ.

როზანეტი ისეთი შესახედავი იყო, თითქოს ეს არის აბანოდან გამოსულაო, ლოყები უღაღაყებდა, თვალები უბრწყინავდა. შორს გადააგდო თავისი პარიკი, თმა საწმისივით მხრებზე დაეფინა და მთელი კოსტიუმი დაუფარა, გარდა შარვლისა, რაც სახეირო, თანაც საამურ შთაბეჭდილებას ქმნიდა.

სფინქსს, კბილები რომ უკაწკაწებდა, შალი დასჭირდა.

როზანეტი შალის მოსატანად თავის ოთახში გაიქცა, სტუმარი გაედევნა, მაგრამ კარი სწრაფად ზედ მის ცხვირთან დახურა.

თურქმა ხმამაღლა თქვა, არავის შეუმჩნევია უდრი როგორ გამოვიდაო. ყველანი ისე დაღლილიყვნენ, რომ ამ იქედნური ქარაგმისათვის ყურადღება არ მოუქცევიათ.

შემდეგ, ეკიპაჟების მოლოდინში სტუმრებმა საწვიმრებისა და კაპორების ჩაცმა დაიწყეს. შვიდი საათისა დაირეკა. ანგელოზი კვლავ სასადილო ოთახში უჯდა ზეთიან სარდინებს, მის გვერდით კი თევზის ვაჭარი ქალი პაპიროსს ეწეოდა და ცხოვრებაში გამოსადეგ რჩევას აძლევდა.

ბოლოს, ეკიპაჟები მოვიდნენ, ყველანი წავიდნენ. ჰიუსონეს, როგორც პროვინციულ კორესპონდენტს, საუზმემდე ორმოცდაცამეტი გაზეთი უნდა წაეკითხა, ველურს რეპეტიცია ჰქონდა თეატრში, პელერენს მენატურე ელოდებოდა, საეკლესიო მგალობელს სამი პაემანი ჰქონდა. ანგელოზმა კუჭის აშლის პირველი შეტევა იგრძნო და ზეზე ვეღარ დგებოდა. საშუალო საუკუნეთა ბარონმა ხელზე აყვანილი ჩასვა ეტლში თავისი ახალგაზრდა ქალი.

— ფრთხილად, ფრთები არ დაამტვრიო! — ფანჯრიდან მიაძახა მტვირთავმა ქალმა.

მ-ელ ვატნაზმა, კიბეზე რომ იდგა, როზანეტს უთხრა;

— მშვიდობით, ძვირფასო! შენი საღამო ძალიან კარგი იყო.

შემდეგ ყურში ჩასჩურჩულა:

— მაგრად დაიკი იგი!

— უკეთეს დროებამდე, — უთხრა როზანეტმა და ნელა შეაქცია ზურგი.

არნუ და ფრედერიკი ერთად დაბრუნდნენ ისე, როგორც ერთად მოვიდნენ. ფაიანსის ვაჭარი ისე მოღუშული იყო, რომ თანამგზავრმა გაიფიქრა, ავად ხომ არ არისო.

— მე? არა!

იგი ულვაშს იკვნეტდა, იჭმუხნებოდა და ფრედერიკმა ჰკითხა, საქმეებმა ხომ არ შეგაწუხესო.

— სრულიადაც არა!

შემდეგ უეცრად:

— თქვენ ხომ იცნობდით ძია უდრის, არა?

და ბრაზიანად დასძინა:

— მდიდარია, ბებერი თაღლითი!

შემდეგ არნუმ სიტყვა ჩამოაგდო რაღაც გამოწვაზე, რაც დღეს უნდა მომხდარიყო მის ქარხანაში და სურდა დასწრებოდა. მატარებელი ერთი საათის შემდეგ გადიოდა.

— მაგრამ მაინც საჭიროა შინ შევიარო და ცოლი გადავკოცნო!

„აჰ! ცოლი!“ — გაიფიქრა ფრედერიკმა.

შემდეგ დასაძინებლად დაწვა, მაგრამ თავი საშინლად სტკიოდა. ადგა და წყურვილის მოსაკლავად მთელი სურა წყალი დალია.

სხვაგვარმა წყურვილმა დაუწყო ტანჯვა — ქალის, ფუფუნებისა და ყოველივე იმის წყურვილმა, რაც პარიზში ცხოვრებას შეადგენს. თავს ოდნავ გარეტიანებულად გრძნობდა, როგორც გემიდან ჩამოსული კაცი. დაძინება ვერ მოასწრო, რომ თვალწინ გაუელვეს თევზის ვაჭარი ქალის მხრებმა, მტვირთავი ქალის თეძოებმა, პოლონელი ქალის ნაკუთლებმა, ველური ქალის თმამ. შემდეგ ორი დიდი შავი თვალი, რომლებიც ბალზე არ ყოფილან, აგრეთვე გამოჩნდა, მსუბუქი, როგორც პეპლები, მწველი, ვით ჩირაღდანი, გაივლიდა და გამოივლიდა, ფართქალებდა, კარნიზამდე ადიოდა და მის ტუჩამდე ჩამოდიოდა. ფრედერიკი გააფთრებული ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა ისინი, მაგრამ ამაოდ; მაგრამ ძილი უკვე მოერია; ეჩვენებოდა, რომ ის და არნუ ერთად იყვნენ ეტლში შებმულნი, როზანეტი კი ზურგზე აჯდა მას და თავის ოქროს დეზებს არჭობდა გვერდებში.

II

რეფორმის ქუჩის კუთხეში ფრედერიკმა იქირავა ერთი პატარა სახლი, ერთბაშად იყიდა ორადგილიანი ეტლი, ცხენი, ავეჯი და ორი ყარდინიერი, არნუს სავაჭროში რომ აირჩია, რათა სასტუმრო ოთახში დაედგა კარის აქეთ-იქით მხარეზე. სასტუმრო ოთახის იქით იყო კიდევ ერთი ოთახი საპირფარეშოთურთ. აზრად მოუვიდა, იქ დელორიე დაებინავებინა. მაგრამ როგორლა უნდა მიეღო იგი, თავისი მომავალი სიყვარული? მეგობრის იქ ყოფნა მისთვის უხერხული იქნებოდა. მაშინ კედელი გაარღვევინა, რათა სასტუმრო ოთახი გაეგანიერებინა, საპირფარეშო კი თამბაქოს მოსაწევ ოთახად აქცია.

იყიდა საყვარელი პოეტების თხზულებანი, მოგზაურობანი, ატლასები, ლექსიკონები, რადგან მუშაობის ფართო გეგმა დაისახა, აჩქარებდა მუშებს, დარბოდა მაღაზიებში და, ვინაიდან მოუთმენლად სურდა დამტკბარიყო ცხოვრებით, ყველაფერს შეუვაჭრებლად ყიდულობდა.

მიმწოდებელთა ანგარიშებით ფრედერიკმა დაინახა, რომ ახლო მომავალში უნდა დაეხარჯა ორმოც ათასამდე ფრანკი, გარდა სამემკვიდრეო გადასახადისა, რაც ოცდაჩვიდმეტ ათასზე შეტი იქნებოდა; რაკი მის სიმდიდრეს უძრავი ქონება შეადგენდა, თავის ნოტარიუსს ჰავრში მისწერა, რათა გაეყიდა ქონების ნაწილი, რომ ვალები გადაეხადა, და ერთგვარი თანხაც თავის განკარგულებაში ჰქონოდა. შემდეგ, რაკი სურდა, ბოლოს, შეეტყო რას წარმოადგენდა ის უმდგრადი, ბუნდოვანი. გაურკვეველი რამ, რასაც „მაღალ საზოგადოებას“ ეძახიან, დამბრეზებს ბარათი გაუგზავნა და სთხოვდა, ნება მიბოძეთ გეწვიოთო, ქ-მა დამბრეზმა უპასუხა, იმედი მაქვს ჩვენს ოჯახში ხვალ გნახოთო.

ეს იყო მიღების დღე. ეზოში ეკიპაჟები იდგა. ორი ლაქია შესასვლელში მიეგება, ხოლო მესამე, კიბის ზემოთ რომ იდგა, შინისაკენ გაუძღვა.

გაიარა დერეფანი, ერთი ოთახი, შემდეგ დიდი სასტუმრო ოთახი, მაღალი ფანჯრები და მონუმენტური ბუხარი რომ ჰქონდა, რომელზეც იდგა ბურთობისებრი საათი და ფაიფურის ვეება ლარნაკები, ხოლო მათ შორის თითქოს ორი ოქროს ბუჩქიაო, აღმართულიყო. მრავალსანთლიანი ორი ჭაღი. კედლებზე ეკიდა ესპანური მა-

ნერის სურათები, დიდებულად ეშვებოდა მძიმე ქსოვილი პორტიერები: ამპირის სტილის მთელ მორთულობას: ამ სავარძლებს, კონსოლებს, მაგიდებს რაღაცნაირი დიდმნიშვნელოვანი და მიუკარებელი იერი ჰქონდა. კმაყოფილი ფრედერიკი უნებლიეთ იღიმებოდა.

ბოლოს, იგი შევიდა ოვალური ფორმის ოთახში, ვარდისფერი ხით რომ იყო მოპირკეთებული, და ერთი სარკოვანი ფანჯარა ჰქონდა, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა. ქ-ნი დამბრეზი ბუხართან იჯდა, მის ახლოს კი რკალიანი იდგა ათიოდე სტუმარი. ფრედერიკს იგი თავაზიანად შეხვდა და ანიშნა დაბრძანდითო, მაგრამ არ გაჰკვირვებია, რომ დიდი ხანია არ ენახა.

როცა ფრედერიკი შევიდა, ყველა ქებით იხსენიებდა აბე კერის მშვენმეტყველებას. შემდეგ ქურდობის გამო, რაც ერთ ლაქიას ჩაედინა, მოჰყვნენ წუწუნს მოსამსახურეთა უზნეობაზე და გაჩაღდა ჭორაობა. მოხუცი ქ-ნი სომერი გაციებულია, მ-ელ დე ტიურვიზო თხოვდება. მონშერონები იანვრის დამლევს ადრე არ დაბრუნდებიან, აგრეთვე ბრეტანკურები. ახლა გვიანობამდე რჩებიან ხოლმე სოფლად. საუბრის საგანთა არარაობას თითქოს მორთულობის ფუფუნება ამძაფრებდა. მაგრამ ის, რაზეც ლაპარაკობდნენ, ნაკლებ სულელური იყო, ვიდრე თვით საუბრის წარმოების წესი: უმიზნო, დაუკავშირებელი, უფერული. აქ კი ისეთი ხალხი იყო, რომელსაც ბევრი რამ ენახა ცხოვრებაში: ყოფილი მინისტრი, დიდი მრევლის ხუცესი, სამიოდე დიდი სახელმწიფო მოღვაწე ყველანი უალრესად გაცვეთილ რამეებზე ლაპარაკობდნენ. ზოგს უნუგეშო ქვრივის შესახედაობა ჰქონდა, ზოგსაც მევახშეთა ჩვევები, მოხუცები კი, აქ რომ ცოლებითურთ მოსულიყვნენ, მათ პაპებად შეეფერებოდნენ.

ქ-ნი დამბრეზი ყველას თანაბარი თავაზიანობით იღებდა. როგორც კი ვისმე ავადმყოფობაზე დაიწყებდნენ ლაპარაკს, მწუხარებით შეიკრავდა წარბებს, ხოლო როცა სიტყვა ბალებზე ან საღამოებზე ჩამოვარდებოდა, ერთბაშად გამხიარულდებოდა. მალე უარი უნდა თქვას ამ გართობაზე, რადგან ქმრის ობოლი ძმისწული უნდა შეივრდომოს. შეაქებს მისი თავდადება, ნამდვილ დედასავით იქცევიო.

ფრედერიკი გულმოდგინედ აკვირდებოდა მას. შავგვრემანი სახის კანი თითქოს დრეკადი და ნორჩი, მაგრამ უფერული იყო, ვით დაკონსერვებული ხილი. სამაგიეროდ ინგლისურ მოდაზე დახუქუ-

ჭებული თმა აბრეშუმზე უფრო ნაზი იყო, ცისფერი თვალები უბრწყინავდა, მთელი მოძრაობა ნატიფი ჰქონდა. ოთახის სიღრმეში იჯდა კოზეტზე და იაპონური ეკრანის წითელ ფოჩებს აცალკევებდა, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ეჩვენებინა თავისი ხელები, გრძელი, წვრილი ოდნავ გამხდარი ხელები და ბოლოებზე მაღლა აზნექილი თითები. ტანთ ეცვა დახურულლიფიანი რუხი მუარის კაბა, როგორც პურიტან ქალს.

ფრედერიკმა ჰკითხა, წელს ლა ფორტელში ხომ არ იქნებითო. ქ-ნა დამბრეზმა ამისა არაფერი არ იცოდა. თუმცა ფრედერიკისათვის ეს გასაგები იყო: ნოჟანში ქალბატონ დამბრეზს მოეწყინება. სტუმრები მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ხალიჩებზე განუწყვეტლივ ისმოდა კაბების შარიშური; ქალები სკამების კუთხეებზე ჩამოჯდებოდნენ, ჩაიკისკისებდნენ, რამდენიმე სიტყვას იტყოდნენ და ხუთი წუთის შემდეგ წავიდოდნენ თავიანთი ქალიშვილებითურთ. მალე შეუძლებელი გახდა საუბრისათვის თვალყურის დევნება და ფრედერიკი წასვლას აპირებდა, რომ ქალბატონმა დამბრეზმა უეცრად უთხრა:

— ყოველ ოთხშაბათს, არა, ბ. მორო? — და ამ ფრაზით გამოისყიდა მთელი გულგრილობა, რაც მის მიმართ გამოიჩინა.

ფრედერიკი კმაყოფილი იყო. მაგრამ მაინც, ქუჩაში რომ გავიდა, ღრმად და შვებით ამოისუნთქა; რაკი ნაკლებელოვნური საზოგადოება ენატრებოდა, ფრედერიკს გაახსენდა, „მარშალს“ ვეზიტად უნდა ვეწვიოო.

კარი დერეფანში ღია იყო, უეცრად ორი ჰავანური ფინია გამოვარდა, მოისმა ხმა:

— დელფინე! დელფინე! ფელიქს, შენ ხარ?

ფრედერიკი გაუნძრევლად იდგა; ფინიები კვლავ უყეფდნენ, ბოლოს გამოჩნდა როზანეტი, რომელსაც ტანთ თეთრი მუსლინის მაქმანიანი პენუარი და შიშველ ფეხზე ფლოსტები ეცვა.

— აჰ! ბოდიში, ბატონო! პარიკმახერი მეგონეთ, ერთი წამი! ახლავე მოვალ!

და ფრედერიკი მარტო დარჩა სასადილო ოთახში.

დარაბები დახურული იყო. ფრედერიკმა თვალი მოავლო ოთახს, გაახსენდა წუხანდელი აურზაური, რომ შუაგულ მაგიდაზე დაინახა მამაკაცის ფეტრის ქუდი, ძველი, დაჭმუჭნული, გაზინთული, საზიზღარი. ვისი უნდა იყოს ეს ქუდი? უშნოდ უჩანდა სარჩული და

თითქოს ამბობდა: „ფეხებზედაც არ მკიდია! აქ მე ბატონპატრონი ვარ!“

მარშალი დაბრუნდა. ქუდი აიღო, სათბურში კარი გააღო, ქუდი იქ შეაგდო, კარი დახურა (ამავე დროს სხვა კარები იღებოდა და იხურებოდა), ფრედერიკი სამზარეულოზე გაატარა და თავის საპირფარეშო ოთახში შეიყვანა.

აშკარად ჩანდა, რომ მთელ სახლში ეს იყო ყველაზე საყვარელი ადგილი, ასე ვთქვათ მთელი მისი სიკეთის ცენტრი. კედლებს, სავარძლებსა და ფართო რბილ დივანს გადაკრული ჰქონდა ხშირფოთლებიანი ჩითი; თეთრი მარმარილოს მაგიდაზე იდგა ლურჯი ფაიანსის ორი დიდი ტაშტი; მინის თაროებზე მის ზემოთ ელაგა ფლაკონები, კბილისა და სხვა ჯაგრისები, კოსმეტიკის ჩხირები, პუდრის კოლოფები; მაღალი ტრიუმო ირეკლავდა ცეცხლს, ბუხარში რომ ენთო; საბაზანოში ეკიდა ზეწარი, ჰაერი გაჟღენთილი იყო ნუშისა და საკმევლის სუნით.

— ბოდიში, დაულაგებელია! დღეს სტუმრად ვარ დაპატიჟებული!

მერმე ქუსლებზე შეტრიალდა და კინაღამ გაჭყლიტა ერთ-ერთი ფინია. ფრედერიკს ისინი ძლიერ მოეწონა. ქალმა აიყვანა ფინიები და მათი შავი დრუნჩები ლოყასთან მიუტანა ფრედერიკს, თანაც უთხრა მათ:

— აბა, გაიღიმეთ და აკოცეთ ბატონს!

ოთახში უეცრად შემოვიდა ვიღაც კაცი, რომელსაც ბეწვისსაყელოიანი გაზინთული პალტო ეცვა.

— ფელიქს, ძვირფასო, — უთხრა მან, — კვირას ყველაფერი მოწესრიგებული იქნება, აუცილებლად.

მოსულმა თავი დავარცხნა. აცნობა მისი მეგობარი ქალების: ქ-ნ დე როშეგიუნის, ქ-ნ დე სენ-ფლორენტენის, ქ-ნ ლომბარის, ყველა ამ არისტოკრატი ქალების ახალი ამბები, მთლად ისე, როგორც დამბრეზების სახლში. მერმე ილაპარაკა თეატრებზე; ამ საღამოს „ამბიგიუში“ განსაკუთრებული სპექტაკლიაო.

— წახვალთ?

— არა! შინ ვიქნები!

შემოვიდა დელფინე. როზანეტი გაუჯავრდა, ნებადაურთველად რატომ წახვედიო. მსახური იფიცავდა, ბაზარში ვიყავიო.

— მაშინ მოიტა გასავლის რვეული, ნებას დამრთავთ? — უთხრა ფრედერიკს.

როზანეტი გასაგონად კითხულობდა ჩანაწერებს და ყოველ დანახარჯს შენიშვნას უკეთებდა. ჯამი სწორი არ იყო.

— დამიბრუნე ოთხი სუ.

დელფინემ მისცა და როზანეტმა გაუშვა.

— აჰ! ღვთისმშობელო! რა წამებაა ამ ხალხთან საქმის დაპერა.

ფრედერიკი უსიამოდ გააოცა მისმა წუწუნმა. ეს ამბავი ძლიერ აგონებდა წეღან გაგონილს და ორივე სახლს შორის შეურაცხმყოფელ თანასწორობას ამყარებდა.

დელფინე კვლავ შემოვიდა, პატრონთან მივიდა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

— ოჰ, არა! არ მინდა!

დელფინე ისევ დაბრუნდა.

— ქალბატონო, არ მიჯერის.

— აჰ! რა საწყენია! გააგდე გარეთ!

სწორედ ამ დროს კარს ხელი ჰკრა შავადჩაცმულმა ქალმა. ფრედერიკს არაფერი გაუგონია, არაფერი არ დაუნახავს. როზანეტი მისკენ გაიჭრა საწოლ ოთახში.

როცა დაბრუნდა, ლოყები აწითლებული ჰქონდა და უხმოდ ჩაჯდა საფარძელში. ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა; მერმე ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდა და წყნარად ჰკითხა:

— რა გქვიათ?

— ფრედერიკი.

— აჰ! ფრედერიკო! ხომ არ გწყინთ, ასე რომ გეძახით?

და ალერსიანად, თითქმის შეყვარებულივით შეხედა. მაგრამ მყისვე სიხარულით შეჰკივლა მ-ელ ვატნაზის დანახვაზე.

ამ არტისტ ქალს სრულიად არ ჰქონდა დრო — ზუსტად ექვს საათზე ტაბლ დ' ოტის გამძღოლი უნდა ყოფილიყო; და სული ეხუთებოდა, აღარ შეეძლო. ჯერ საათის ძეწკვი ამოათრია თავის ბოხჩაში, მერმე ერთი ფურცელი ქაღალდი, სხვადასხვა ნივთი, ნაყიდობანი.

— უნდა იცოდე, რომ ჟუბერის ქუჩაზე იყიდება შვედური ხელთათმანები, წყვილი ოცდათექვსმეტ სუდ, მშვენიერია! შენი მღებარი გთხოვს, რვა დღეს კიდევ მაცალეო. გიპიურისათვის ვუთხარი მერმე შემოვალ-მეთქი. ბიუნიომ ბე მიიღო. მგონია, ესაა სულ? ჰოდა, შენგან მერგება ას ოთხმოცდახუთი ფრანკი!

როზანეტმა ყუთიდან ამოიღო ათი ნაპოლეონი. არც ერთს ხურდა არ ჰქონდა, ფრედერიკმა თავისი შესთავაზა.

— მე მოგართმევთ, — უთხრა ვატნაზმა და თხუთმეტი ფრანკი საფულეში ჩაიდო. — მაგრამ თქვენ ცუდი კაცი ხართ. აღარ მიყვარხართ, იმ საღამოს ერთხელაც არ მაცეკვეთ! — აჰ! ჩემო ძვირფასო, ვოლტერის სანაპიროზე ერთ საავეროში ვნახე კოლიბრის ფიტულებისაგან გაკეთებული სადგამი, ისეთი, რომ შეგიყვარდება. მე რომ შენი ვიყო, ვიყიდდი. აი შეხე, როგორ მოგწონს?

და უჩვენა ძველისძველი ვარდისფერი აბრეშუმის ნაქერი, რომელიც ტამპლში ეყიდა ქურთუკად დელმარისათვის.

— იგი დღეს შენთან იყო, არა?

— არა!

— უცნაურია!

და ერთი წუთის შემდეგ:

— დღეს საღამოს სად მიდიხარ?

— ალფონსინთან, — მიუგო როზანეტმა.

ეს დღევანდელი საღამოს გატარების უკვე მესამე ვარიანტი იყო.

მ-ელ ვატნაზმა კვლავ ჰკითხა:

— იმ მთიელი მოხუცისა კი ახალი რა არის?

მაგრამ მარშალმა თვალი ჩაუკრა და გააჩუმა, შემდეგ ფრედერიკი გააცილა დერეფნამდე, რათა ეკითხა, არნუს მალე ნახავო?

— სთხოვეთ შემოიაროს; რა თქმა უნდა, არა ცოლის გასაგონად!

წინკარში კედელზე მიყუდებული იყო ქოლგა და იქვე ეწყო კალოშები.

— ვატნაზის კალოშებია, — უთხრა როზანეტმა. — როგორი ფეხია, ა? გვარიანი ზორზოხა მეგობარი მყავს!

და მელოდრამატული ხმით წამოიძახა:

— როგორ არ უნდა ვიამაყო!

ასეთმა სიტყვებმა ფრედერიკს გაბედულება შეუმატა და უნდოდა კისერში ეკოცნა. მან კი გულგრილად უთხრა:

— ოჰ, ინებეთ! ამას ხომ ფასი არ ადევს!

ფრედერიკი იქიდან ახირებულ გუნებაზე წამოვიდა და არ ეეჭვებოდა, რომ მარშალი მალე მისი საყვარელი იქნებოდა. ამ სურვილმა სხვა ნატვრა აღუძრა. და, თუმცა ოდნავ გაჯავრებული იყო ქ-ნ არნუზე, მისი ნახვა მაინც მოუნდა.

ამასთანავე როზანეტის დავალებითაც უნდა მისულიყო იქ.

„მაგრამ ახლა, — გაიფიქრა მან (უკვე ნაშუადღევის ექვსი საათი იყო), — თვით არნუ უთუოდ შინ არის“.

და ვიზიტი ხვალისათვის გადადო.

ქ-ნი არნუ სწორედ ისე იჯდა, როგორც პირველად ნახვის დროს და ბავშვის პერანგს კერავდა. ბიჭუნა მის ფერთხით თამაშობდა; მართა მოშორებით წერდა.

ფრედერიკმა იმით დაიწყო, რომ ბავშვები შეაქო. მის პასუხში დედის სულელური პატივმოყვარეობის ნასახიც კი არ იყო.

ოთახში მშვიდობიანი ატმოსფერო სუფევდა. მზე აკაკაშებდა ფანჯრებს, ავეჯის კუთხეები ბრწყინავდა, ხოლო რადგან ქ-ნი არნუ ფანჯარასთან იჯდა, მზის ფართო სხივი კეფაზე ეცემოდა მისი თმის კულულებს და ოქროსფრად უღებავდა შავგვრემან სახეს. ფრედერიკმა უთხრა:

— როგორ გაიზარდა თქვენი გოგონა ამ სამ წელიწადში! გახსოვთ, მადმუაზელ, როგორ გეძინათ ჩემს მუხლებზე, ეტლში?

მართას არ ახსოვდა.

— ეს იყო ერთ საღამოს, როცა სენ-კლუდან მოვდიოდით.

ქ-მა არნუმ უცნაური ნაღვლით აღსავსე თვალი მიაპყრო, ხომ არ უკრძალავდა ყოველგვარ გადაკრულ ლაპარაკს მათს საერთო მოგონებაზე?

მისი მშვენიერი შავი თვალები ნელა ფოფინებდა ოდნავ მძიმე უპეებში და თვალთა გუგების სილრმეში უსაზღვრო გულკეთილობა დავანებულიყო. ვაჟს დაუუფლა უფრო ძლიერი, ვიდრე წინათ, დაუტევნელი გრძნობა; უცქერდა და ითანგებოდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და გამოფხიზლდა. როგორ ამაღლდეს მის თვალში? რა საშუალებით? და, როცა კარგად დაფიქრდა, უკეთესი ვერა მოიგონა რა და სიტყვა ფულზე ჩამოაგდო. რა კარგი ამინდიაო აქ და არც ისე ცივა, როგორც ჰავრშიო.

— განა იქ იყავით?

— დიახ, ერთ საქმეზე... ოჯახურ საქმეზე... მემკვიდრეობაზე.

— აჰ! ძალიან მიხარია! — ისეთი გულწრფელი კმაყოფილებით თქვა, რომ ფრედერიკს გული აუჩუყდა, თითქოს დიდი რამ ამაგი დასდებსო.

შემდეგ ქალმა ჰკითხა: რას აპირებთ, მამაკაცი ხომ რამეს უნდა აკეთებდესო. მას გაახსენდა თავისი მონაჩმახი და უპასუხა, იმედი

მაქვს ბ-ნ დეპუტატ დამბრეზის დახმარებით სახელმწიფო სახკო-ში მოვხვდეო.

— იქნებ თქვენ იცნობდეთ მას?

— მხოლოდ გვარი გამიგონია?

შემდეგ ხმას დაუწია და ჰკითხა:

— მან მეჯლისზე წაგიყვანათ ამას წინათ, არა?

ფრედერიკი დუმდა.

— სწორედ ეს მინდოდა გამეგო; გმადლობთ.

შემდეგ ორიოდე მორიდებული კითხვა მისცა მის ოჯახსა და სამ-შობლო ქალაქზე. რა კარგია, რომ არ დაგვიწყნიათ, თუმცა ამდენ ხანს იქ გიცხოვრიათო.

— მაგრამ... როგორ შემეძლო? — მიუგო მან. — განა გეეჭვე-ბოდათ?

ქ-ნი არნუ წამოდგა.

— მე მგონია, თქვენ წრფელი და მტკიცე გრძნობით ხართ ჩვე-ნდამი გამსჭვალული. მშვიდობით... ნახვამდის.

და მან მაგრად, მამაკაცურად ჩამოართვა ხელი. ეს საწინდარი, დაპირება ხომ არ არის? ფრედერიკმა ახლა ცხოვრების ბედნიერე-ბა იგრძნო; თავს იკავებდა, რომ არ ემღერა; სურდა, ვისთვისმე გაეზიარებინა თავისი აღტაცება, გამოეჩინა სულგრძელობა, გაეცა მოწყალება. გარშემო მიმოიხედა, ხომ არავინ არის ისეთი, ვისაც დახმარება ეჭირვებაო. არც ერთ მათხოვარს არ გაუვლია მის ახ-ლოს და ეს შზადყოფნა მსხვერპლისათვის უმალვე გაქრა, რადგან იგი ისეთი როდი იყო, ვინც დაუინებით დაიწყებდა ასეთი შემთხ-ვევის ძებნას.

შემდეგ მოიგონა თავისი მეგობრები. პირველი, რომელიც გაახ-სენდა, იყო ჰიუსონე, მეორე — პელერენი. დიუსარდიეს, რომელ-საც ძლიერ უჩინო მდგომარეობა ჰქონდა, განსაკუთრებული ყუ-რადღებით უნდა მოპყრობოდა; რაც შეეხებოდა სიზის, ფრედერიკს ახარებდა შესაძლებლობა თავისი სიმდიდრე დაეკვეხნა მის წინა-შე. ოთხივე წერილობით დაპატიჟა უახლოეს კვირას, ზუსტად 11 საათზე მასთან ედღესასწაულნათ ახალმოსახლეობა, დელორიეს კი დაავალა, სენეკალი მომიყვანეო.

რეპეტიტორი უკვე დაითხოვეს მესამე პენსიონიდან იმის გამო, რომ გაილაშქრა ჯილდოების განაწილების, იმ ჩვეულების წინააღ-მდეგ, რაც საზიანოდ მიაჩნდა თანასწორობის თვალსაზრისით. ახ-

ლა იგი ვიღაც მანქანათმშენებელთან მსახურობდა, უკვე ნახევარი წელი იყო, რაც დელორიესთან ალარ ცხოვრობდა.

განშორება მათთვის სამძიმო არ ყოფილა. სენეკალთან ამ ბოლო ხანებში დადიოდნენ ვიღაც ბლუზიანები, ყველანი პატრიოტები, ყველანი მუშები, ყველანი პატიოსანი ადამიანები; გარნა ვექილს მათი საზოგადოება მოსაწყენად ეჩვენებოდა, ამასთან მეგობრის ზოგიერთი იდეა, მშვენიერი, როგორც ბრძოლის იარაღი, მას არ მოსწონდა. პატივმოყვარეობის გამო ამაზე დუმდა, ცდილობდა ფრთხილად მოპყრობოდა მას, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის, რადგან მოუთმენლად ელოდა დიდ გადატრიალებას და იმედი ჰქონდა წინ წაეწია, კარგი ადგილი დაეკავებინა.

სენეკალის შეხედულებანი უფრო უანგარო იყო. ყოველ საღამოს, დაამთავრებდა თუ არა მუშაობას, შინ, თავის სხვენზე ბრუნდებოდა და წიგნებში ეძებდა ოცნების დადასტურება. უკეთებდა შენიშვნებს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას"; იზეპირებდა „რევიუ ენდეპანდანს"; ეცნობოდა მაბლის, მორელის, ფურიეს, სენ სიმონს, კონტს, კაბეს, ლუი ბლანს, სოციალისტ მწერალთა მთელ მძიმე ტვირთს, იმათ, ვისაც სურს მთელი კაცობრიობა ყაზარმებში მოათავსოს, იმათ, ვისაც უნდა იგი სამეძაო სახლებში გაართოს ანდა შრომით მოხაროს წელში; და მთელი ამ ნაზავით მან გამოიმუშავა სათნო დემოკრატიის იდეალი, ისეთი რაღაც, რომელიც ჰგავს ფერმასაც და საქსოვ სახელოსნოსაც, აგრეთვე ამერიკული ლაკედემონია, სადაც პიროვნება მხოლოდ იმისთვის იარსებებდა, რომ ემსახურნა საზოგადოებისათვის, უფრო ყოვლისშემძლესავით, უფრო თვითმპყრობლის, უცოდველისა და ღვთიურისათვის, ვიდრე ვიღაც დალაი ლამები და ნაბუქოდონოსორები არიან. მას არ ეეჭვებოდა, რომ ეს იდეა მალე განხორციელდებოდა და გააფთრებით იბრძოდა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც მისდამი მტრულად განწყობილი მიაჩნდა, მსჯელობდა, ვით მათემატიკოსი, და ბრმად სწამდა იგი, ვით ინკვიზიტორს. აზნაურული ტიტულები, მუნდირები, ორდენები და, განსაკუთრებით ლივრეები და მეტად მყვირალა რეპუტაციებიც კი მის აღშფოთებას იწვევდნენ, ხოლო წიგნები, რომლებსაც სწავლობდა, და საკუთარი გაჭირვება, დღითი დღე აძლიერებდა სიძულვილს ყოველი თვალსაჩინოსადმი და წარჩინების ყოველი გამოვლინებისადმი.

— რა მოვალე ვარ ამ ბატონის წინაშე, რომ თავაზიანობა გამოვიჩინო? თუკი ვესაჭიროები, შეუძლია თვითონ მოვიდეს ჩემთან!

დელორიემ პირდაპირ წაათრია იგი ფრედერიკთან.

მეგობარი მათ საწოლ ოთახში ნახეს. შტორები და ორმაგი ფარდები, ვენეციური სარკეები, არაფერი არ აკლდა; ფრედერიკს ხავერდის ქურთუკი ეცვა, ღრმა სავარძელში იჯდა და თურქულ სიგარეტებს ეწეოდა.

სენეკალმა წარბები შეიკრა, როგორც ფარისეველმა, რომელიც მხიარულ შეკრებილებაში მოხვდა. დელორიემ ერთბაშად მოავლო თვალი ყველაფერს, შემდეგ მდაბალი სალამი მისცა:

— თქვენო ბრწყინვალებავ! პატივი მაქვს მოგესალმოთ!

დიუსარდიე გადაეხვია.

—მაშ თქვენ ახლა მდიდარი ხართ? აჰ! მით უკეთესი, ჯანდაბას თქვენი თავი, მით უკეთესი!

სიზი მოვიდა, ქუდზე კრეპი ჰქონდა გაკეთებული. თავისი ბებიის გარდაცვალების შემდეგ გვარიანი ქონების პატრონი იყო და ცდილობდა იმდენად არ ელხინა, რამდენადაც სხვებში გამორჩეული-ყო. ყოფილიყო არა ისეთი, როგორც ყველა სხვა, ჰქონოდა „განსაკუთრებული დალი“. ასე იტყოდა ხოლმე.

უკვე შუადღე იყო და ყველა ამთქნარებდა; ფრედერიკი კიდევ ვიღაცას ელოდებოდა. არნუს ხსენებაზე პელერენი აიმრიზა. რენეგატად მიაჩნდა მას შემდეგ, რაც ხელოვნება მიატოვა.

— რა იქნება, რომ იგი მოვისაკლისოთ? რას იტყვით, ა?

ყველა დაეთანხმა.

მაღალგეტრებიანმა მსახურმა კარი გააღო და სტუმრებმა დაინახეს სასადილო ოთახი, რომლის კედლები მოპირკეთებული იყო მუხის ფართო პანელით და ოქროსფერი ბაგეტით. ორ სადგურზე ჭურჭელი ეწყო. ღუმელზე თბებოდა ღვინიანი ბოთლები; ახალი დანების პირები პრიალებდა ხამანწკის თეფშის ახლოს; თხელი ჭიქების რძისფერ იერში რაღაც ნაზად მომხიბვლელი გამოსჭვიოდა; სუფრა სავსე იყო ნანადირევით, ხილით, სხვადასხვანაირი არაჩვეულებრივი ნუგბარით. სენეკალს არ შეეძლო მთელი ამ ფუფუნების დაფასება.

მან იმით დაიწყო, რომ მოითხოვა უბრალო პური (რაც შეიძლება გამხმარი) და ამასთან დაკავშირებით დაიწყეს ლაპარაკი ბიუზანსეში მომხდარ მკვლელობასა და სასურსათო კრიზისზე.

არაფერი ეს არ მოხდებოდა, უფრო მეტს რომ ზრუნავდნენ მიწათმოქმედებისათვის, ყველაფერში რომ გამეფებულიყო კონკურენცია, ანარქია, „თავისუფალი ვაჭრობის“ ავბედითი პრინციპი. აი ასე იქმნება ფულადი ფეოდალიზმი, უარესი, ვიდრე ყოფილი ფეოდალიზმი. მაგრამ ფრთხილად! ხალხი ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოითმენს და თავისი ტანჯვისათვის კაპიტალისტებს გადაუხდის სისხლისმღვრელი განაჩენით ან მათი სასახლეების გაძარცვით.

ფრედერიკს წამით წარმოუდგა თვალწინ დაკაპიწებულ ადამიანთა ბრბო, ქ-ნ დამბრეზის დიდ დარბაზში რომ შეიჭრა და შუბებით ლეწავს სარკეებს.

სენეკალი განაგრძობდა: მუშა, ხელფასის უკმარობის გამო უფრო უბედურია, ვიდრე ილოტი, ზანგი ან პარია, განსაკუთრებით თუ შვილები ჰყავს.

— იქნებ მათი დახრჩობით უშველოს თავს, როგორც მალთუსის მიმდევარი ერთი ინგლისელი მეცნიერი, არ მახსოვს რომელი, იძლევა რჩევას?

და მან სიზის მიმართა:

— ნუთუ იქამდე მივალთ, რომ დავუჯერებთ საზიზღარი მალთუსის რჩევას?

სიზიმ, რომელმაც არაფერი არ იცოდა არათუ მალთუსის საზიზღრობაზე, არამედ თვით მის არსებობაზეც კი, მიუგო, ღარიბებს მაინც დიდ დახმარებას უწევენო და მაღალი კლასები...

— აჰ! მაღალი კლასები! — დაცინვით თქვა სოციალისტმა. — ჯერ ერთი, არავითარი მაღალი კლასები არ არსებობენ; ადამიანს ამაღლებს მხოლოდ მისი გული. ჩვენ მოწყალება არ გვინდა, გესმით? ჩვენ გვინდა თანასწორობა, პროდუქტების სამართლიანი განაწილება.

იგი მოითხოვდა, რომ მუშას შესძლებოდა გამხდარიყო კაპიტალისტი, როგორც ჯარისკაცს — პოლკოვნიკი. საამქროები რომ ქარგლების რაოდენობას ზღუდავდნენ, ყოველ შემთხვევაში ხელს უშლიდნენ მუშახელის მეტისმეტ დაგროვებას, ძმობის გრძნობას კი განამტკიცებდნენ დღესასწაულები და დროშები.

ჰიუსონე, როგორც პოეტი, დროშებზე ნანობდა, აგრეთვე პელერენი, რადგან ისინი მოსწონდა მას შემდეგ, რაც „დანიოს“ კაფეში მოისმინა ფალანსტერის მომხრეთა საუბარი. მან განაცხადა, ფურიე დიდი კაციაო.

— კარგი ერთი! — უთხრა დელორიემ. — ბებერი პირუტყვი! მას სახელმწიფო გადატრიელება ღვთის ნაცვალგებად მიაჩნია. იგი ობროდი სენ-სიმონისა და მისი სკოლის მიმდევარია, რომელთაც სძულთ საფრანგეთის რევოლუცია, მოლაყბეები არიან და კათოლიკობის აღორძინებას ეტრფიან.

ბ-მა სიზიმ, ალბათ, ცნობისმოყვარეობით ან იმის გამო, რომ სურდა თავი მოეწონებინა, წყნარად ჰკითხა:

— მაშ ეს მეცნიერები სხვა შეხედულებისანი არიან, ვიდრე ვოლტერი?

— ეს თქვენთვის დამითმია! — მიუგო სენეკალმა.

— როგორ? მე კი მეგონა...

— ოჰ, არა! მას ხალხი არ უყვარდა!

შემდეგ საუბარი გადავიდა თანამედროვე ამბებზე: ესპანეთის ქორწინებებზე, რაც გადასახადების გადიდებას გამოიწვევს. სენეკალის აზრით, გადასახადები ისედაც დიდი იყო!

— და რისთვის, ღმერთო ჩემო? რომ მუზეუმების მაიმუნებს სასახლეები აუგონ, მოედნებზე ბრწყინვალე პარადები მართონ ანდა კარის ლაქიებს შორის საშუალო საუკუნეთა ეტიკეტი განამტკიცონ!

— ჟურნალ „მოდში“ წავიკითხე, — თქვა სიზიმ, — რომ წმინდა ფერდინანდის დღეს ტიუილრიში ბალზე ყველანი ტაკიმასხარებივით იყვნენ ჩაცმულნი.

— აბა, განა ეს სავალალო არ არის! — თქვა სოციალისტმა და მხრები ზიზღით აიჩეჩა.

— და ვერსალის მუზეუმი! — წამოიძახა პელერენმა. — მოდით ვილაპარაკოთ იმაზე! იმ სულელებმა დელაკრუას ერთი სურათი დაამოკლეს და თავზე გრო წამოადგეს! ლუვრში ისე კარგად აღადგენენ სურათებს, ისე ფხეკენ და აცხებენ, რომ ათიოდე წლის შემდეგ იმათგან არაფერი აღარ დარჩება. ხოლო კატალოგში დაშვებულ შეცდომებზე ერთმა გერმანელმა მთელი წიგნი დაწერა. გეფიცებით, უცხოელები დაგვცინიან!

— დიახ, ევროპის დასაცინი გავხდით, — თქვა სენეკალმა.

— ეს იმიტომ, რომ ხელოვნება ფვირგვინს ემორჩილება.

— სანამ საყოველთაო საარჩევნო უფლება არ იქნება...

— ნება მიბოძეთ! რადგან მხატვარი, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში არც ერთ გამოფენაზე არ იღებდნენ, გამწყრალი

იყო ხელისუფლებაზე. — ოჰ, თავი დაგვანებონ! პირადად მე არაფერს არ მოვითხოვ! მაგრამ პალატებმა კანონების ძალით მხარი უნდა დაუჭირონ ხელოვნებას. უნდა დაარსდეს ესთეტიკის კათედრა და მოიძებნოს ისეთი პროფესორი, რომელიც პრაქტიკოსი იქნება, ამავე დროს ფილოსოფოსიც, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოახერხებს მასების გაერთიანებას. კარგი იქნებოდა, რომ თქვენ, ჰიუსონე, ერთ სიტყვას იტყოდეთ ამაზე თქვენს გაზეთში!

— განა ჩვენი გაზეთები თავისუფალია? განა თვითონ ჩვენ თავისუფალნი ვართ? როცა გაიფიქრებ, ოცდარვამდე ფორმალობაა საჭირო იმისათვის, რომ ნავი წყალში ჩაუშვა, გინდა გაიქცე აქედან და კაციჭამიებთან იცხოვრო. მთავრობა გვჭამს! ყველაფერი მას ეკუთვნის — ფილოსოფია, ძალაუფლება, ხელოვნება, ჰაერიც კი. ხოლო ქანცგაწყვეტილი საფრანგეთი ჟანდარმის წაღისა და ხუცესის ანაფორის ქვეშ გმინავს.

ასე ფართო ნაკადად ანთხევდა ნაღველს მომავალი მირაბო. ბოლოს, ჭიქა აიღო, ადგა, დოინჯი შემოიდგა, თვალები აუკიაფდა და წარმოთქვა:

— მე ვსვამ იმის სადღეგრძელოს, რომ დაინგრეს არსებული წყობილება, ესე იგი ყველაფერი, რასაც ეწოდება პრივილეგია, მონოპოლია, მმართველობა, იერარქია, ხელისუფლება, სახელმწიფო! — და უფრო ხმამაღლა, — რომლებიც მინდა დავამსხვრიო აი ასე... და სუფრაზე დაახალა მწვენიერი ფეხიანი ჭიქა, ათას ნამსხვრევად რომ გაიფანტა.

ყველამ ტაში დასცხო, განსაკუთრებით კი დიუსარდიემ.

უსამართლობა აღაშფოთებდა მის გულს. წუხდა ბარბესისათვის, რადგან ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვინც ეკიპაჟს შეუვარდება ქვეშ, რათა წაქცეულ ცხენებს დაეხმაროს. მისი ერუდიცია განისაზღვრებოდა ორი თხზულებით; ერთ მათგანს ეწოდებოდა „მეფის დანაშაულებანი“, მეორეს კი „ვატიკანის საიდუმლოებანი“. იგი პირდალებული და სულგანაბული უსმენდა ადვოკატს. ბოლოს ვეღარ მოითმინა:

— მე ლუი-ფილიპეს იმას ვუსაყვედურებ, რომ პოლონელები მიატოვა!

— ერთ წამს! — უთხრა ჰიუსონემ. — ჯერ ერთი, არავითარი პოლონეთი არ არსებობს; ეს ლაფაიეტის მონაჭორია! პოლონელები, საერთო წესით, ყველანი სენ-მარსოს გარეუბნიდან არიან, ნამ-

დვილი პოლონელები კი პონიატოვსკისთან ერთად დაიხრჩვნენ.

მოკლედ, მას „ვერ მოატყუებ“, „ყველაფერზე გული გაუტყდა“. ყოველივე ეს თითქოს ზღვის გველია, ეს ნანტის ედიქტის გაუქმება და „ბართლომეს ღამის ძველი არაკი!“

სენეკალი პოლონელებს არ გამოექომაგა და ჟურნალისტის უკანასკნელ სიტყვებს ჩასჭიდა ხელი. პაპებს ცილი დასწამეს, ისინი არსებითად ხალხს უჭერენ მხარსო, ლიგას კი უწოდა „დემოკრატიის განთიადი, დიადი მოძრაობა თანასწორობის დასაცავად პროტესტანტთა ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ“.

ფრუდერიკი ოდნავ გააკვირვა ასეთმა იდეებმა. სიზისაც, ალბათ, თავი მოაბეზრა, რადგან საუბარი გადაიტანა ცოცხალ სურათებზე ჟიმნაზის თეატრში, რასაც მაშინ დიდძალი ხალხი ეტანებოდა.

სენეკალი ამანაც გაანაწყენა. ასეთი სანახაობა რუვნის პროლეტარის ქალიშვილებს და შემდეგ ისინიც უტიფარ ფუფუნებას ააშკარავებენო. ამიტომ ამართლებდა ბავარიელ სტუდენტებს, რომლებმაც ლოლა მონტესი შეურაცხყვეს. რუსოს მაგალითისამებრ, იგი მეტ პატივს სცემდა მენახშირის ცოლს, ვიდრე მეფის საყვარელს.

— თქვენ არ მოგწონთ ტრიუფელები! — დიდებულად შეესიტყვა ჰიუსონე.

და, როზანეტის დასაცავად გამოექომაგა ასეთ ქალებს. შემდეგ სიტყვა ჩამოაგდო მის ბალსა და არნუს კოსტიუმზე.

— ამბობენ, მისი საქმე ცუდად არისო! — თქვა პელერენმა.

სურათების ვაჭარს ცოტა ხნის წინათ სასამართლო საქმე ჰქონდა ბელვილში მიწის ნაკვეთების გამო, ახლა კი ქვემო ბრეტანის ფაიფურის თიხის დამშუშავებელი კომპანიის წევრია ისეთივე საეჭვო პირებთან ერთად, როგორიც თვითონ არის.

ამ საქმეზე დიუსარდიემ უფრო მეტი რამ იცოდა, რადგან მისი პატრონი, ბ-ნი მუსინო, არნუზე ცნობებს აგროვებდა ბანკირ ოსკარ ლეფევრთან; მან განაცხადა: არნუ საიმედო პიროვნებად არ მიმაჩნია, რადგან რამდენჯერმე მომიხდა მისი ვექსილების გადაწერაო.

დესერტი დამთავრდა; გადავიდნენ სასტუმრო ოთახში, რომელიც გაკრული იყო ყვითელი აბრეშუმით, როგორც მარშლისას, და მორთული იყო ლუი XVI სტილზე.

პელერენმა უსაყვედურა ფრედერიკს, რატომ ახალბერძნულ სტილს არ მიეცი უპირატესობაო; სენეკალი აბრეშუმის შპალიერზე უფხაკუნებდა ასანთს; დელორიეს არავითარი შენიშვნა არ მიუცია. მხოლოდ ბიბლიოთეკაში თავი ვეღარ შეიკავა და პატარა გოგონას ბიბლიოთეკა უწოდა. იქ შეგროვებული იყო თანამედროვე ავტორთა მეტი წილი. შეუძლებელი იყო მათს ნაწერებზე ლაპარაკი, რადგან ჰიუსონე მაშინვე იწყებდა ანეკდოტებს მათზე, აკრიტიკებდა მათს გარეგნობას, ყოფაქცევას, კოსტიუმებს, აქებდა ვიღაც მეთხუთმეტე რიგის მწერლებს, მიწასთან ასწორებდა პირველხარისხოვნებს და, რა თქმა უნდა, მწუხარებას გამოთქვამდა თანამედროვე დაცემულობის გამო: უბრალო სოფლურ ლექსში მეტი პოეზიაა, ვიდრე XIX საუკუნის მთელ ლირიკაში; ბალზაკი ქებით აავსეს, ბაირონი გაანადგურეს, ჰიუგოს თეატრისა არაფერი გაეგებაო, და სხვა.

— რატომ არ გაქვთ ჩვენი მუშა პოეტების წიგნები? — ჰკითხა სენეკალმა.

ბ-ნ სიზის კი, რომელიც ლიტერატურას ეტანებოდა, გაუკვირდა, რომ ფრედერიკის მაგიდაზე ვერ დაინახა „რომელიმე უახლესი ფიზიოლოგია, თამბაქოს მწევლის, მეთევზის, საბაყოს მოხელის ფიზიოლოგია“.

მეგობრებმა ისე მოაბეზრეს თავი ფრედერიკს, რომ სურდა გარეთ გაერეკა ისინი „არა, მე, ალბათ, ვსულელდები!“ მერმე დიუსარდიე განზე გაიხმო და ჰკითხა, ხომ არაფერი გესაჭიროებაო.

ამ კაი ბიჭს გული აუჩუყდა: მე მოლარედ ვმსახურობ და არაფერი არ მესაჭიროებაო.

შემდეგ ფრედერიკმა დელორიე თავის საწოლ ოთახში შეიყვანა, უთთიდან ორი ათასი ფრანკი ამოიღო და უთხრა:

— აი, მეგობარო, წაიღე! ეს ჩემი ძველი ვალის ნაშთია.

— კი, მაგრამ... გაზეთი? — ჰკითხა ადვოკატმა. — ხომ იცი, მე უკვე ველაპარაკე ამაზე ჰიუსონეს.

ხოლო, როცა ფრედერიკმა მიუგო, ახლა ცოტა მიჭირსო, დელორიემ ბოროტად ჩაიცინა.

ლიქიორების შემდეგ ლუდი სვეს; ლუდის შემდეგ — გროგი; ერთხელ კიდევ მოსწიეს ჩიბუხები. ბოლოს, საღამოს ხუთ საათზე სტუმრები დაიშალნენ; მხარდამხარ მიაბიჯებდნენ, დუმდნენ. უეცრად დიუსარდიემ თქვა, ფრედერიკმა ჩინებულად მიგვიღოო. ყველა დაეთანხმა.

ჰიუსონემ განაცხადა, საუზმე ოდნავ მძიმე იყოო. სენეკალმა გააკრიტიკა ბინის მორთულობა, რაც მის უშინაარსობას ამჟღავნებსო. სიზიც ამავე აზრისა იყო: სრულიად არ ემჩნევაო „განსაკუთრებული ბეჭედი“.

— მე მგონია, — თქვა პელერენმა, — სავსებით შეუძლია შემიკვეთოს ერთი სურათი.

დელორიე დუმდა, რაკი შარვლის ჯიბეში ბანკის ბილეთები ედო.

ფრედერიკი მარტო დარჩა. თავის მეგობრებზე ფიქრობდა და გრძნობდა, რომ მათგან წყვდიადით სავსე ღრმა ხრამი ჰყოფდა. ხელი გაუწოდა მათ, მაგრამ მის გულწრფელობას მათი თანაგრძნობა არ გამოუწვევია.

გაახსენდა ყველაფერი, რაც პელერენმა და დიუსარდიემ არნუზე თქვეს. ეს უთუოდ ჭორია, ცილისწამებაა. მაგრამ რატომ? და უკვე თვალწინ წარმოუდგა გაღარიბებული, მტირალი ქ-ნი არნუ, თავის ავეჯს რომ ყიდის. ეს აზრი მთელ ღამეს აწვალებდა; მეორე დღეს მის სანახავად წავიდა.

არ იცოდა, როგორ შეეტყობინებინა მისთვის, რაც თვითონ იცოდა, და ლაპარაკში, სხვათა შორის, ჰკითხა, ბელვილში ხომ კვლავ გაქვთ მიწის ნაკვეთებიო.

— დიახ, გვაქვს.

— თქვენი მეუღლე ახლა, მგონი, ბრეტანის ფაიფურის თიხის მომპოვებელი კომპანიის წევრია?

— დიახ, მართალია.

— ფაბრიკაში ხომ ყველაფერი ძალიან კარგად არის?

— კი... მგონი.

და, რაკი ფრედერიკი ყოყმანობდა, ჰკითხა:

— რა მოხდა? თქვენ მე მაშინებთ!

ფრედერიკმა განვადებული ვექსილების ამბავი აცნობა. ქალმა თავი დახარა და თქვა:

— მეც აგრე მეგონა!

მართლაც, არნუმ ხელსაყრელი სპეკულაციის მიზნით, უარი თქვა მიწის გაყიდვაზე, იგი დიდ თანხად დააგირავა და, რაკი მყიდველი ვერ იშოვნა, საქმის გამოსწორება მანუფაქტურის დაარსებით განიზრახა. ხარჯი გეგმას აღემატა. ქალმა მეტი არაფერი არ იცო-

და. თვით არნუ კი ყოველგვარ კითხვას ერიდებოდა და ყოველთვის ამბობდა: „საქმე ძლიერ კარგად მიდის“.

ფრედერიკმა სცადა ნუგეშისცემა: იქნებ ეს დროებითი შეფერხებაა. ყოველ შემთხვევაში, თუ რამე შევიტყვე, გაცნობებთო.

— ოჰ, აგრე, გეთაყვა! — თქვა და ხელები მომხიბვლელი ვედრებით შეაერთა.

„მაშასადამე, შემიძლია გამოვადგე. ადგილი დავიკავო მის ცხოვრებაში, მის გულში“.

შემოვიდა არნუ.

— აჰ, რა კარგია! მოხვედით, რომ საღილად დამპატიჟოთ?

ფრედერიკს ხმა არ ამოუღია.

არნუმ უმნიშვნელო წვრილმანებზე ილაპარაკა, შემდეგ ცოლი გააფრთხილა, ძლიერ გვიან დავბრუნდები, რადგან ბ-ნ უდრის უნდა შევხვდეო.

— მისას?

რასაკვირველია, მისას.

კიბეზე რომ ჩადიოდნენ, იგი გამოტყდა: მარშალი დღეს თავისუფალია, მინდა „მულენ რუჟში“ წავიყვანო და ცოტა გავმხიარულდეთო. ხოლო, რადგან მუდამ ესაჭიროებოდა ხოლმე ვიწმე, რომ გულისნადები გაეზიარებინა, ფრედერიკი როზანეტის სახლამდე გაიყოლია.

ნაცვლად იმისა, რომ შინ შესულიყო, ტროტუარზე სიარულს მოჰყვა, თანაც მეორე სართულის ფანჯრებს შესცქეროდა. უეცრად ფარდა გადაიწია.

— აჰ! ვაშა! პაპა უდრი იქ აღარ არის. საღამო მშვიდობისა! მაშასადამე, ჟანეტს პაპა უდრი ინახავს? ახლა ფრედერიკმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა.

ამიერიდან არნუ წინანდელზე უფრო მეგობრობდა ფრედერიკს; პატიჟებდა საღილად თავის საყვარელთან და ფრედერიკიც მალე ორივე სახლის ხშირი სტუმარი გახდა.

როზანეტისას მხიარულება იყო ხოლმე. მისას სტუმრები მიდიოდნენ საღამოს, კლუბის ან თეატრის შემდეგ, სვამდნენ ჩაის, თამაშობდნენ ლოტოს; კვირაობით შარადებს ამოხსნიდნენ; როზანეტი ყველაზე დაუცხრომელი იყო, უყვარდა გართობა; მაგალითად, ოთხზე დადიოდა ხოლმე, ან თავზე ჩაჩს ჩამოიცვამდა. როცა ფანჯარაში გამვლელთ უცქეროდა, ტყავის ქუდს იხურავდა; ჩიბუხს

ეწეოდა და ტიროლურ სიმღერებს მღეროდა. დღისით, საქმე რომ არა ჰქონდა რა, ჩითის ყვავილებს გამოჭრიდა და ფანჯრის მინებს აკრავდა, თავის ფინიებს ფერ-უმარილს უცხებდა, სურნელოვან სანთლებს ანთებდა ან ბანქოზე მკითხაობდა. სურვილებს ვერ უძლებდა, რაიმე უბრალო ნივთის გამო ჭკუას კარგავდა, ღამე არ ეძინა. ესწრაფოდა ეყიდა ან გაეცვალა რამეში, უაზროდ აფუჭებდა ქსოვილებს, კარგავდა ძვირფასეულობას, ფლანგავდა ფულს, შეეძლო უკანასკნელი პერანგი გაეყიდა, რომ ლიტერის ლოჟის ბილეთი ეშოვნა. ხშირად ჰკითხავდა ხოლმე ფრედერიკს რაიმე წაკითხული სიტყვის აზრს, მაგრამ არ უსმენდა მის განმარტებას, ერთი საკითხიდან მეორეზე გადახტებოდა და კითხვებს აყრიდა. მხიარულება ბავშვური გაჯავრებით ეცვლებოდა ან ოცნება გაიტაცებდა, ბუხრის წინ იატაკზე დაჯდებოდა, მუხლებზე ხელებს შემოიხვევდა და გაქვავდებოდა, ვით გაშტერებული ძლოკი. ფრედერიკს არ ერიდებოდა, მასთან იცვამდა, ზანტად ჩამოიცვამდა აბრეშუმის წინდებს, მერმე ფურთქუნით პირს დაიბანდა, გარშემო ყველაფერს წინწკლავდა და უკან გადაიხრებოდა, როგორც აცახცახებული ნაიადა; მისი სიცილი, კბილების სითეთრე, თვალების ჟუჟუნი, მისი სილამაზე, მხიარულება ფრედერიკს ხიბლავდა და აღელვებდა.

ქ-ნი არნუ, როცა ფრედერიკი მისას მივიდოდა ხოლმე, ან ბიჭუნას კითხვას ასწავლიდა, ან ზურგს უკან ედგა მართას, გამას რომ უკრავდა; თუ საკერავი ჰქონდა, ფრედერიკისათვის დიდი ბედნიერება იყო მიეწოდებინა დავარდნილი მაკრატელი. ქალის ყოველი მოძრაობა მშვიდი და დარბაისლური იყო; მისი პატარა ხელები თითქოს იმისათვის იყო შექმნილი, რომ მოწყალება გაეცა, რომ ცრემლი შეემშრალებინა, ხოლო ბუნებით ოდნავ მოყრუებულ ხმაში მოსალბუნე ინტონაცია და თითქოს სიოს ქროლვა გაისმოდა.

ლიტერატურა მას არ აფრთოვანებდა, მაგრამ ჭკუა გამოსჭვიოდა მომხიბლავად უბრალო და მგრძნობიერ სიტყვებში. უყვარდა მოგზაურობა, ქარის შრიალი ტყეში და თავშიშველი სიარული წვიმაში. ფრედერიკი უსმენდა ყოველივე ამას და ეგონა, ჩვენი დაახლოება უკვე იწყებაო.

ამ ორ ქალთან ურთიერთობა თითქოს ორგვარ მუსიკას წარმოადგენდა; ერთი იყო ცელქი, ცქრიალა, მამხიარულებელი, მეორე კი ზეიმოვანი, თითქმის რელიგიური; და ერთსა და იმავე დროს რომ ეღერდნენ, განუწყვეტლივ ძლიერდებოდნენ და ნელინელ

ერთმანეთს ერთვოდნენ, რადგან თუ როდესმე მოხდებოდა, რომ ქ-ნი არნუ თუნდაც ოდნავ დააწებდა თითს ფრედერიკს, ამას მყისვე თვალწინ წარმოუდგებოდა მეორე ქალის სახე, იმიტომ რომ ამ მხრივ წარმატების მეტი შანსი ჰქონდა, ხოლო, როცა როზანეტთან ყოფნის დროს გული აუჩქროლდებოდა, მაშინვე თავისი დიდი სიყვარული გაახსენდებოდა.

ამ ცვალებადობას ხელს უწყობდა ორივე ბინის მორთულობის მსგავსება. იმ ორ სკივრთაგან, რომლებიც წინათ მონმარტრის ბულვარზე იყო, ახლა ერთი ამშვენებდა როზანეტის სასადილო ოთახს, მეორე კი ქ-ნ არნუს სასტუმრო ოთახს. ორივე სახლში სადილის სერვიზი ერთნაირი იყო და სავარძლებზეც კი ერთგვარი აბრეშუმის არახჩინები ეყარა; შემდეგ, ბევრი წვრილმანი საჩუქარი: ეკრანები, ყუთები, მაჯაოები ცოლიდან საყვარელთან გადადიოდა და პირუკუ, რადგან არნუ სრულიად მოურიდებლად ერთს წაართმევდა თავის ნაჩუქარს და მეორეს გადასცემდა.

როზანეტი და ფრედერიკი დასცინოდნენ მის ამ ცუდ საქციელს. ერთ კვირადღეს, ნასადილევს როზანეტმა ფრედერიკი მიიყვანა კარსუკან და არნუს პალტოს ჯიბეში აჩვენა შეხვეული ნამცხვარი, სუფრაზე რომ აეწაპნა, რათა, ალბათ, თავისიანებს გამასპინძლებოდა. ბ-ნი არნუ ისეთ სიცელქეს ჩაიდენდა ხოლმე, რაც სისაძაგლეს უფრო ჰგავდა. თავის მოვალეობად მიაჩნდა ქალაქის საბაჟოს მოტყუება; თეატრში წასასვლელად ფულს არასოდეს არ ხარჯავდა; მეორე კლასის ბილეთით, როგორც თვითონ ამბობდა, ყოველთვის პირველში შედიოდა; ხშირად გაიხსენებდა ხოლმე, როგორც შესანიშნავ ხუმრობას, თავის ჩვეულებას: აბანოს მოსამსახურეთა გასამრჯელოს ყულაბაში ათსუიანი მონეტის ნაცვლად ნიფხვის ღილს ჩავაგდებ ხოლმეო. ყოველივე ეს ხელს როდი უშლიდა როზანეტს ჰყვარებოდა იგი.

მაგრამ მაინც ერთხელ როგორღაც მასზე ლაპარაკში როზანეტმა თქვა:

— აჰ! თავი მომაბეზრა, ბოლოს და ბოლოს კმარა! უსათუოდ სხვას მოვძებნი!

ფრედერიკმა შენიშნა, ეგ „სხვა“, მგონი, უკვე მოძებნილია და ბ-ნი უდრი ჰქვიაო.

— მერმე რა? — მიუგო როზანეტმა და ხმაში ტირილი დაეტყო, — მე ისე ცოტა რამეს ვთხოვ, მაგრამ არ უნდა, პირუტყვია! არ უნდა! რაც შეეხება დაპირებას, ოჰ, ეგ სხვა საქმეა!

იგი წყალწაღებული ფაიფურის თიხის წარმოების მოგების მეოთხედსაც კი დაჰპირდა, მაგრამ მოგება არსად არის, აგერ ნახევარი წელიწადია თვალს უხვევს ქიშმირის შალით.

ფრედერიკმა თითქოს ერთბაშად გადაწყვიტა ეჩუქებინა ეგ შალი, მაგრამ არნუს შეეძლო ეს გაკვეთილად მიეჩნია და გაჯავრებულიყო.

მიუხედავად ამისა, იგი გულკეთილი იყო, ამას თვით მისი ცოლიც ამბობდა. მაგრამ რა დამთხვეული! ახლა, ნაცვლად იმისა, რომ სტუმრები შინ დაეპატიჟნა, ნაცნობებს რესტორანში იღებდა. ყიდულობდა ისეთ ნივთებს, რომლებიც სრულიად არ იყო საჭირო, მაგალითად, ოქროს ძეწკვებს, კედლის საათებს, ყოველგვარ საოჯახო ნივთებს. ქ-ნმა არნუმ კიდევაც აჩვენა ფრედერიკს დერეფანში დიდძალი ჩაიდანი, ნავთქურა, სამოვარი. ბოლოს ერთხელ თავისი შეშფოთებაც გაუმხილა: არნუმ ხელი მოაწერინა ვექსილზე ბ-ნ დამბრეზის სახელზე.

ფრედერიკს ხელი არ აუღია ლიტერატურულ პროექტებზე, რაც მისი თავმოყვარეობის საგანს შეადგენდა. სურდა დაეწერა ესთეტიკის ისტორია, პელერენთან მისი საუბრების შედეგი, შემდეგ დრამებით გამოეხატა საფრანგეთის რევოლუციის სხვადასხვა მომენტი და, დელორიეს და ჰიუსონეს ზეგავლენით, ფიქრობდა შეეთხზა დიდი კომედია. მუშაობის დროს ხშირად მის წინაშე გაიელვებდა ხან ერთი, ხან მეორე ქალის სახე; ებრძოდა სურვილს ენახა იგი, ხოლო როცა ქ-ნ არნუსგან დაბრუნდებოდა, უფრო მოწყენილი იყო ხოლმე.

ერთხელ დილით, როცა ბუხართან იჯდა და მელანქოლიას შეეპყრო, დელორიე ეწვია, მისი პატრონი' შეეშფოთებია სენეკალის მოღალატურ სიტყვებს და ეს უკანასკნელი კვლავ ულუკმაპუროდ დარჩენილიყო.

— მერმე რა გინდა, რომ ვქნა? — უთხრა ფრედერიკმა.

— არაფერი! ვიცი, ფული შენ არ გაქვს. მაგრამ იქნებ რაიმე ადგილი უშოვნო ბატონ დამბრეზის ან არნუს შემწეობით? არნუს, ალბათ, ინჟინრები ესაჭიროება თავის ფაბრიკაში.

ფრედერიკს ფიქრად მოუვიდა: სენეკალს შეეძლება მაცნობოს, როცა ქმარი შინ არ იქნება, გადასცეს წერილები და, საერთოდ ბევრ რამეში გამომადგეს. მამაკაცები ყოველთვის უწევენ ერთმანეთს ასეთ სამსახურს. ვეცდები ისეთი საშუალება გამოვძებნო,

რომ იგი ვერც კი მიხვდეს. კაი შემთხვევაა, ეს ძალიან კარგი ნიშანია და ხელიდან არ უნდა გავუშვაო.

და აი მოჩვენებითი გულგრილობით უთხრა: ვეცდები ეს საქმე მოვაგვაროო.

მართლაც, საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგა. არნუს ბევრი თავსატეხი საქმე ჰქონდა ფაბრიკის გამო. იგი ეძებდა სპილენძის წითელ ჩინურ საღებავს; მაგრამ საღებავები ქრებოდა გამოწვის დროს. ფაიანსი რომ ბზარებისაგან დაეცვა, თიხას კირს ურევდა; გარნა ნაკეთობა მსხვრევადი გამოდიოდა, ემალი ნატეხებზე იბუშტებოდა, დიდრონი ფირფიტები იღუნებოდა. ამ მარცხს ფაბრიკის ცუდ მოწყობილობას აბრალებდა და სურდა შეეკვეთა ახალი სამსხვრევი წისქვილები, ახალი სახმობები. ფრედერიკს მოაგონდა ზოგი ეს წვრილმანი და არნუსთან რომ მივიდა, განუცხადა: ვიპოვნე მეტად მცოდნე კაცი, რომელსაც შეუძლია დაამზადოს ეგ ყბადაღებული წითელი საღებავიო; არნუ სიხარულით შეხტა, მაგრამ შემდეგ, ყველაფერი რომ მოისმინა, ასე უთხრა, არაფერი არ მინდაო.

ახლა ფრედერიკი მოჰყვა სენეკალის საოცარი ცოდნის ქებას: ერთსა და იმავე დროს ინჟინერიც არის, ქიმიკოსიც, მოანგარიშეცა და პირველხარისხოვანი მათემატიკოსიცო.

ფაბრიკანტი დათანხმდა, მიჩვენეო.

ხელფასზე ცოტა შეკამათდნენ. ფრედერიკი ჩაერია და კვირის ბოლოს იმას მიაღწია, რომ პირობა დადეს.

მაგრამ ფაბრიკა კრეილში იყო და სენეკალი არაფერში არ გამოადგებოდა. ამ უბრალო მოსაზრებამ ფრედერიკი დაამწუხრა, თითქოს ნამდვილი მარცხი ყოფილიყოს.

გადაწყვიტა, რაც უფრო ხშირად დაშორდება არნუ თავის ცოლს, მით უფრო მეტი შესაძლებლობა მექნება დავუახლოვდე მასო. და დაიწყო როზანეტის დაუსრულებელი ქება; აუხსნა არნუს ყველაფერი, რითაც დამნაშავე იყო მის წინაშე, გადასცა ქალის ამასწინანდელი მუქარა და ქიშმირის შალზეც კი უთხრა, არც ის დაუმალავს, რომ როზანეტმა ძუნწობა დასწამა.

ამ საყვედურით ნაწყენმა (თანაც შეშფოთებულმა) არნუმ შალი უსაჩუქრა როზანეტს, მაგრამ გაჯორა იმისათვის, რომ ფრედერიკს შესჩივლა; ხოლო როცა ქალმა მიუგო, ათასჯერ მაინც მოგაგონე დანაპირებიო, არნუ არწმუნებდა, ათასი საქმე მაქვს და გადამავიწყდაო.

მეორე დღეს ფრედერიკი როზანეტს ეწვია. თუმც ნაშუადღევის ორი საათი იყო, ქალი კვლავ ლოგინში იწვა და ზედ მის სასთუმალთან დელმარი პატარა მრგვალ სუფრას უჯდა და პაშტეტს შეექცეოდა. ქალმა შორიდანვე მოაძახა:

„მივიღე! მივიღე!“

მერმე, ფრედერიკს ყურებში ჩაჰკიდა ხელი და შუბლში აკოცა, დიდხანს ეუბნებოდა მადლობას, „შენობით“ ელაპარაკებოდა და თავის ლოგინზეც კი დასვა. ლამაზი, ჟუჟუნა თვალები უციმციმებდა, სველი ტუჩი უღიმოდა, უსახელო პერანგი ხორცსავსე მკლავებს უჩენდა და ფრედერიკი დრიდადრო ბატისტისქვეშ მისი სხეულის მოქნილ ნაკვთებს გრძნობდა. ამასობაში დელმარი თვალებს აბრიალებდა:

— კი, მაგრამ ჩემო მეგობარო, ჩემო ძვირფასო მეგობარო!..

შემდეგაც ყოველთვის ასე იყო ხოლმე. როგორც კი ფრედერიკი შევიდოდა, ქალი მაშინვე ბალიშზე დაეყრდნობოდა იდაყვით, რომ ვაჟისათვის ადვილი ყოფილიყო მისი კოცნა, ეფერებოდა, ეალერსებოდა, საღილეში ყვავილს უკეთებდა, ჰალსტუხს უსწორებდა; ასეთი ალერსი ყოველთვის უფრო ძლიერი იყო ხოლმე, როცა დელმარი იქ იყო.

„აქ ხომ არ მეთამაშებაო“, ფიქრობდა ფრედერიკი. რაც შეეხება არნუს, ის ხომ ფრედერიკის ადგილას არ მოერიდებოდა მეგობრის მოტყუებას. ხომ აქვს უფლება სათნო არ იყოს მის საყვარელთან. რაკი სათნოა მის ცოლთან; რადგან ფრედერიკს მიაჩნდა, რომ ეს ასეა ან, უფრო სწორად, სურდა თავი ასე დაეჯერებინა, ცდილობდა გაემართლებინა თავისი გასაოცარი სულმოკლეობა. მაინც თავისი საქციელი სისულელად მიაჩნდა და გადაწყვიტა როზანეტთან პირდაპირ ემოქმედნა.

და აი ერთხელ დღისით, როცა ქალი თავის კომოდზე დაიხარა, იგი მივიდა და ისე არაორაზროვნად მოეხვია, რომ ქალი წელში გასწორდა და აფეთქდა. ვაჟი თავისას არ იშლიდა, მაშინ ქალი ატირდა და უთხრა: მე ძლიერ უბედური ვარ, მაგრამ ეს კიდევ არ არის იმის საფუძველი, რომ გეზიზღებოდეთო.

ფრედერიკმა ცდა განაახლა. ქალმა კი თავი სხვანაირად დაიჭირა და სულ იცინოდა. ვაჟმაც იმავე ხერხს მიმართა, მაგრამ რაკი მხიარულება მეტად ხელოვნური გამოუდიოდა, ქალმა მისი გულწრფელობა ვერ იწამა, ამხანაგური უშუალობა კი ხელს უშლიდა სერიო-

ზული გრძნობის გამოთქმას. ბოლოს ქალმა როგორღაც განუცხადა, სხვისი ნასუფრალით ვერ დავკმაყოფილდებიო.

— როგორ თუ სხვისი?

— განა არა? ქალბატონ არნუსთან მიბრძანდი!

ფრედერიკი ხშირად ლაპარაკობდა იმ ქალზე, მეორე მხრივ, არნუსაც ასეთი ჩვეულება ჰქონდა; ბოლოს და ბოლოს, როზანეტი მოთმინებიდან გამოჰყავდა ამ ქალის ქებას, და მისი საყვედური ერთგვარი შურისგება იყო.

ფრედერიკმა წყენა გულში ჩაიხვია.

თანაც ეს ქალი მეტად აღიზიანებდა. ზოგჯერ, რაკი თავი სიყვარულის საქმეებში გამოცდილად მიაჩნდა, როზანეტი ღვარძლიანად ლაპარაკობდა ამ გრძნობაზე და მისი სკეპტიკური სიცილი ვაჟს სურვილს უღვიძებდა სილა გაეწნა მისთვის. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, მისი აზრით, სიყვარული ერთადერთი ძვირფასი რამ იყო ამქვეყნად და, ნახევრად თვალმოხუჭული, გულზე ხელდაკრეფილი, თითქოს ვინმეს ეხვეწაო, როზანეტი რაღაცნაირად გაბრუებული დაიწყებდა ჩურჩულს: „აჰ! ჰო, კარგია! ძალიან კარგია!“ შეუძლებელი იყო მისი გამოცნობა, მაგალითად, იმის შეტყობა, უყვარდა თუ არა არნუ; დასცინოდა და თითქოს კიდევაც იჭვნეულობდა. ასევე იყო ვატნაზთანაც, რომელსაც ხან საძაგელს ეძახდა, ხან კი საუკეთესო მეგობარს. საერთოდ, მთელ მის არსებაში, იმაშიც კი, თუ როგორ იხვევდა თმას, იყო რაღაც გამოუცნობი, გამოწვევაჲ, რომ ჰგავდა, და ფრედერიკს სურდა უმთავრესად სიამოვნების მოსაპოვებლად დაემარცხებინა, დაემორჩილებინა იგი.

როგორ მოქცეულიყო? ზოგჯერ ქალი სრულიად მოურიდებლად გაისტუმრებდა ხოლმე, წუთით გამოჩნდებოდა კარებში, რათა წაეჩურჩულებინა: „საღამომდე არ მცალია!“ ანდა თორმეტიოდე სტუმარი ჰყავდა ხოლმე, როცა კი მარტონი დარჩებოდნენ, შეიძლებოდა სანაძლეო დაედო, რომ ათასგვარი დაბრკოლება გამოჩნდებოდა. ვაჟი სადილზე პატიჟობდა, იგი ყოველთვის უარს ამბობდა; ერთხელ როგორღაც დაეთანხმა, მაგრამ არ მივიდა.

ფრედერიკს თავში ნამდვილი მაკიაველისებური გეგმა მოუვიდა.

რაკი დიუსარდიესაგან იცოდა, პელერენი მემდურისო, ფრედერიკს აზრად მოუვიდა შეეკვეთნა მისთვის როზანეტის პორტრეტი მთელი ტანით, რაც ბევრ სეანსს მოითხოვდა. თვითონ ყველა სეანსს დაესწრებოდა და, რაკი მხატვარი ბეჯითი მუშაკი არ იყო, ქალთან

პაემანი გაუადვილდებოდა. ამიტომ წინადადება მისცა როზანეტს დათანხმებულიყო პოზირებაზე, რათა თავისი პორტრეტი ძვირფასი არნუსათვის მიერთმია. ქალი დათანხმდა, რადგან წინდაწინვე ხედავდა თავის პორტრეტს დიდ სალონში, ყველაზე საპატიო ადგილას და მის წინ შეგროვებულ ხალხს; გაზეთებიც ხომ ალაპარაკდებიან და იგი ერთბაშად „განთქმული“ გახდება.

პელერენმა სიამოვნებით ჩასჭიდა ხელი ამ წინადადებას. ამ პორტრეტმა სახელი უნდა გაუთქვას, შედევრი უნდა გახდეს.

მეხსიერებაში გადაათვალიერა დიდი ოსტატების ყველა პორტრეტი, რომლებსაც კი იცნობდა და საბოლოოდ აირჩია ტიციანი, მხოლოდ პორტრეტს დაუმატა სამკაული ვერონეზეს გემოვნების მიხედვით. ასე რომ, ჩანაფიქრს განახორციელებს, ხელოვნური ჩრდილების გამოუყენებლად, მკაფიო სინათლით, სხეულს ერთ ფერად გამოიყვანს აქსესუარები კი ათინათინებით იქნება გაშუქებული.

„რა იქნება, — ფიქრობდა იგი, — რომ ჩავაცვა ვარდისფერი აბრეშუმის აღმოსავლური ბურნუსიანი კაბა? ოჰ, არა! ჯანდაბას ბურნუსი! იქნებ აჯობებს ჩავაცვა ლურჯი ხავერდი? შეიძლებოდა კიდევ თეთრი გიპიურის საყელო, შავი მარაო, უკან კი ნაოჭიანი ალისფერი ქსოვილი?“

ამრიგად ფიქრობდა და დღითიდღე აფართოებდა თავის განზრახვას, აღტაცებული იყო მით.

გული აუძგერდა, როცა როზანეტი, ფრედერიკის თანხლებით, პირველ სეანსზე გამოცხადდა. სთხოვა რაღაც ესტრადისებურ რამეზე შემდგარიყო შუაგულ ოთახში; უჩიოდა განათებას და მწუხარებით იგონებდა თავის წინანდელ ატელიეს; ჯერ რაღაც კვარცხლბეკზე დააყრდნობინა იდაყვი, მერმე სავარძელში ჩასვა; ხან დაშორდებოდა, ხან კვლავ დაუახლოვდებოდა, რათა წკიპურით გაესწორებია კაბის ნაოჭები, თვალებს ჭუტავდა, უცქეროდა და ფრედერიკს რჩევას ჰკითხავდა.

— ოჰ! არა! — წამოიძახა, — ვუბრუნდები წინანდელ განზრახვას! ვენეციელ ქალს უნდა დაგამსგავსო!

მას ეცმება წითელი ხავერდის კაბა წელზე ოქროს ქამრით, ყარყუმის ბეწვით გაწყობილ ფართო სახელოში გამოუჩნდება კიბის სახელურზე დაყრდნობილი შიშველი ხელი. მხარმარცხნივ, ტილოს ზემო კიდემდე აღიმართება მაღალი სვეტი, რომელიც შეერწყმის

კამარის არქიტექტურულ დეტალებს. კამარაში ბუნდოვნად გამოჩნდება თითქმის შავი ფორთოხლის ხეების წვეროები ლაჟვარდი ცის ფონზე, სადაც გაფანტულა თეთრი ნაჭერი ღრუბლები. კიბის შვერილზე დაფენილია ხალიჩა, ზედ დგას ვერცხლის სინი, რომელზეც ყვავილების თაიგული, ქარვის კრიალოსანი, სატევარი და ძველისძველი ოდნავ გაყვითლებული სპილოს ძვლის კოლოფია, ოქროს ცეხინებით რომ არის სავსე; ზოგიერთი მონეტი იატაკზე გაბნეულა. როგორც ციალა წინწკლების ჯაჭვი, და ყურადღებას მიგაქცევინებს მისი ფეხის წვეროს, რადგან ქალი იდგება უკანასკნელის წინა საფეხურზე, მკაფიოდ განათებული.

მან მოიტანა ყუთი სურათების ჩასადებად და დადგა ესტრადაზე, საფეხურის გამოსახატავად; შემდეგ აქსესუარებად ტაბურეტზე, ბალუსტრადს რომ წარმოადგენდა, დააწყო თავისი სამუშაო ბლუზა, ფარი, სარდინების კოლოფი, ერთი შეკვრა ფრთები, დანა, მერე როზანეტის წინ დაყარა თორმეტიოდე სპილენძის მონეტი და სთხოვა პოზა დაეკავებინა.

— წარმოიდგინეთ, ყოველი ეს ნივთი განძია, საუცხოო საჩუქარია. თავი ოდნავ მარჯვნით! მშვენიერია! არ გაინძრეთ! ასეთი დიდებული პოზა ძლიერ შეეფერება თქვენი სილამაზის ხასიათს.

ქალს ეცვა შოტლანდიური კაბა, ხელში ეჭირა დიდი მუღუთა და სიცილს ძლივს იკავებდა.

— თმაში კი მარგალიტებს ჩავაწნავთ; მწითურ თმაში ეს ყოველთვის ეფექტიანია.

როზანეტმა უთხრა, მწითური თმა როდის მაქვსო!

— თავი დამანებეთ! მხატვართა წითელი ფერი ისეთი როდია, როგორც ყველასი!

მერმე დაიწყო საგნების დაესკიზება და ისე იყო გატაცებული აღორძინების ეპოქის დიდ მხატვრებზე ფიქრით, რომ მხოლოდ იმათზე ლაპარაკობდა. მთელი ერთი საათი ხმამაღლა ოცნებობდა ამ ადამიანთა ცხოვრებაზე, აღსავსე რომ იყო სიდიადით, გენიალობით, დიდებით და მშვენებით; ლაპარაკობდა ქალაქებში ტრიუმფით შესვლაზე და ლხინზე, ჩირაღდნებით რომ იყო გაშუქებული, ნახევრადშიშველ, ქალ-ღმერთებივით მშვენიერ ბანოვანთა შორის.

— თქვენ იმისთვის ხართ გაჩენილი, რომ იცხოვროთ ისე, როგორც იმ დროს ცხოვრობდნენ. თქვენისთანა ქალი პრინცის შესაფერისი იქნებოდა!

როზანეტს გულს ეფონა პელერენის ქათინაურები. დაინიშნა შემდეგი სეანსის დღე; ფრედერიკმა იკისრა აქსესუარების მოტანა. როზანეტს თავი ოდნავ უბრუოდა, რადგან ოთახში ძლიერ ცხელოდა; ამიტომ შინ ფეხით გაემართნენ დიუბაკის ქუჩით და სამეფო ხიდთან გავიდნენ.

მშვენიერი ამინდი იყო. ცივი, მაგრამ ნათელი. მზე ჩადიოდა; ცელი ქალაქის ზოგიერთი სახლის ფანჯრები ისე ლაპლაპებდა, როგორც ოქროს ფირფიტები, უკან კი, მხარმარჯვნივ, ღვთისმშობლის ტაძრის კოშკები სულ შავად მოჩანდა ლურჯი ცის ფონზე, ჰორიზონტი რომ რუხ ნისლს ნახად დაებურა. დაუბერა ქარმა, როზანეტმა განაცხადა, მომშივდაო, და ინგლისურ საკონდიტროში შეიდნენ.

ბავშვებიანი ახალგაზრდა ქალები ჭამდნენ მარმარილოს დახლთან, სადაც შუშის ხუფებქვეშ იყო ნამცხვრებიანი თეფშები. როზანეტმა შეჭამა ორი კრემიანი ბისკვიტი. ტუჩის კუთხეებში შაქრის მტვრით პაწია ულვაშები გაუკეთდა. მათს გასაწმენდად რამდენჯერმე ამოიღო მუფთიდან ცხვირსახოცი. მწვანე აბრეშუმის კაპორი რომ ეხურა, მისი სახე ფოთლებში გაშლილ ვარდს მოგაგონებდათ.

შემდეგ გზა განაგრძეს. პეს ქუჩაზე ქალი საიუველირო მაღაზიასთან შეჩერდა და სამაჯურს ათვალიერებდა; ფრედერიკს უნდოდა ეჩუქნა იგი.

— არა, — უთხრა მან. — ფული შეინახე.

ეს სიტყვები ეწყინა ფრედერიკს.

— რაო, ჩემო პატარავ? დავნაღვლიანდით?

და საუბარი კვლავ გაიმართა; ფრედერიკი, როგორც ყოველთვის, არწმუნებდა, მიყვარხარო.

— ხომ იცი, რომ ეს შეუძლებელია!

— რატომ?

— აჰ! იმიტომ, რომ...

მზარდამზარ მიდიოდნენ, ქალი ვაჟის მკლავს ეყრდნობოდა და მისი ქაბის ფურჩალები ფეხებზე ედებოდა. და გაახსენდა ზამთრის საღამო, როცა სწორედ ამ ტროტუარზე, მის გვერდით, მიდიოდა ქ-ნი არნუ; იგი ისე გაიტაცა ამ მოგონებამ, რომ ვეღარ ამჩნევდა როზანეტს და აღარც ფიქრობდა მასზე.

ქალი კი სივრცეს გასცქეროდა და მის მკლავზე ისე ეკიდა, როგორც ზარმაცი ბავშვი, რომელსაც ძალით მიათრევენ. ის დრო იყო, როცა სეირნობიდან ბრუნდებიან; მშრალ ქვაფენილზე სწრა-

ფად მიგრიალებდნენ ეკიპაჟები. ქალს, ალბათ, პელერინის ნათქვამი ქათინაური გაახსენდა და ამოიოხრა:

— აჰ! ხომ არიან მართლაც ისეთი ბედნიერები! მე ნამდვილად მდიდარი კაცისათვის ვარ გაჩენილი.

ფრედერიკმა უხეშად უპასუხა:

— აკი გყავს კიდევაც? — რადგან ბ-ნი უდრი, როგორც ყველას მიაჩნდა, სამგზის მილიონერი იყო.

ქალი თურმე მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ მისგან განთავისუფლებულიყო.

— მერმე ვინ გიშლის?

და მოჰყვა ამ პარიკიანი ბებერი ბურჟუას დამცირებას. თანაც ქალს არწმუნებდა, ასეთი კავშირი ულირსია და უთუოდ უნდა გაწყვიტოო.

— დიახ, — უპასუხა როზანეტმა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, — ბოლოს, ალბათ, ასე ვიზამ.

ფრედერიკი მისმა უანგარობამ აღაფრთოვანა. ქალმა ფეხი შეანელა, ვაჟს ეგონა, დაიღალაო, მას კი სრულიადაც არ სურდა ეტლში ჩაჯდომა, ფრედერიკი თავის სახლთან გაუშვა და ჰაეროვანი ამბორი გააყოლა.

„აჰ! რა სამწუხაროა! არიან თურმე ისეთი ყეყეჩები, რომელთაც მდიდარი ვგონივარ!“

უგუნებო ბრუნდებოდა შინ. იქ ჰიუსონე და დელორიე ელოდებოდნენ.

ჟურნალისტი მის მაგიდას უჯდა და თურქთა თავებს ხატავდა; ადვოკატს კი ტალახიანი ფეხები დივანზე აეტანა და თვლემდა.

— აჰ! როგორც იქნა! — წამოიძახა მან. — მაგრამ რას დაგიღრეჯია? შეგიძლია მომისმინო?

მისი სახელი, როგორც რეპეტიტორისა, ქრებოდა. რადგან მოწაფეებს ისეთი თეორიებით უტენიდა თავს, რომლებიც გამოცდებისათვის გამოუსადეგარი იყო. ორიოდეჯერ გამოვიდა სასამართლოში, საქმეები წააგო და სულ უფრო უძლიერდებოდა ძველი ოცნება გაზეთზე, სადაც შეეძლო გამოეჩინა თავი, ეძია შური, ენთხია ნაღველი და ეფრქვია აზრები. ამასთან ერთად მოვიდოდა სახელიც და სიმდიდრეც. ამ იმედით უქონავდა თავს ჰიუსონეს, რომელიც გაზეთს განაგებდა.

ახლა გაზეთს ვარდისფერ ქაღალდზე ბეჭდავდა: იგონებდა ჭო-

რებს, რებუსებს, იწყებდა პოლემიკას და (მხედველობაში სადგომის მიუღებლად) კონცერტების გამართვასაც კი აპირებდა. წლიური ხელმოწერა უფლებას იძლეოდა ერთი ადგილი ჰქონოდა პარიზის ერთ-ერთი მთავარი თეატრის პარტერში; გარდა ამისა, რედაქცია კისრულობდა პროვინციის ხელმომწერლებისათვის მიეწოდებინა საჭირო ცნობები ხელოვნებასა და სხვა დარგში. მაგრამ მესტამბე იმუქრებოდა, ბინის პატრონისათვის ცხრა თვის ქირა უნდა გადაეხადა. იქმნებოდა ყოველგვარი გაჭირვება და გაზეთი „ხელოვნება“ დაიხურებოდა, ადვოკატს რომ ჰიუსონე დღითიდღე არ ემხნევებინა. დელორიემ თან წაიტანა იგი, რათა მეტი წონა მიეცა თავისი შუამდგომლობისათვის.

— ჩვენ გაზეთის გამო მოვედით, — უთხრა მან.

— მერმე? შენ კვლავ ფიქრობ იმაზე? — დაუდეერად მიუგო ფრედერიკმა.

— რასაკვირველია, ვფიქრობ!

და კვლავ გააცნო თავისი გეგმა: ბირჟის ანგარიშებს დაბეჭდავენ, ამით ურთიერთობას დაამყარებენ ფინანსისტებთან და ამრიგად იშოვნიან ას ათას ფრანკს, რაც საჭიროა გირაოსათვის. მაგრამ ფურცელი რომ პოლიტიკურ გაზეთად გადაიქცეს, ჯერ ფართო კლიენტურა უნდა შეიძინოს და ამის გამო ერთგვარი ხარჯი გასწიოს, გარდა ქაღალდის, ბეჭდვისა და რედაქციის ხარჯებისა; მოკლედ, საჭირო იყო თხუთმეტი ათასი ფრანკი.

— მე კაპიტალი არა მაქვს, — უთხრა ფრედერიკმა.

— აბა ჩვენ საიდან? — მიუგო დელორიემ და გულზე ხელი დაიკრიფა.

ამ ჟესტით ნაწყენმა ფრედერიკმა უპასუხა:

— მერმე მე რა შუაში ვარ?

— აჰ, ძალიან კარგი! ამათ აქვთ შეშაც ბუხრისათვის, ქუფთაც სადილისათვის, რბილი ლოგინიც, ბიბლიოთეკაც, ეკიპაჟიც და ცხოვრების ყველა სახსარიც! ხოლო თუ სხვა სიცივით კანკალებს სხვენზე, სადილობს ოც სუდ, კატორღელივით შრომობს და სიღარიბეში ფართხალებს, ეს მათი ბრალი არ არის!

„ეს მათი ბრალი არ არის!“ — იმეორებდა იგი ციცერონისებრი ირონიით, სასამართლოს მჭევრმეტყველების იერი რომ დაჰკრავდა. ფრედერიკს ლაპარაკი უნდოდა.

— თუმცა, მესმის, არის სხვა მოთხოვნილება... არისტოკრატიული; უეჭველად... ვინმე ქალი...

— ბერმე რა, თუნდაც რომ აგრე იყოს? განა ნება არ მაქვს?

— ოჰ, სავსებით!

და ოდნავი დუმილის შემდეგ:

— დაპირება ყველაზე იოლი რამეა.

— ღმერთო ჩემო! მე ხომ უარს არ ვამბობ ამაზე! — უთხრა ფრედერიკმა.

ადვოკატმა განაგრძო:

— სკოლაში ფიცს დებენ, ამხანაგობას აარსებენ, ბალზაკის „ცამეტს“ ბაძავენ! მერმე კი, როცა ერთმანეთს შეხვდებიან: „ღამე მშვიდობისა, ძველო, მოუსვი აქედან“! რადგან ის, ვისაც შეუძლია სამსახური გაუწიოს სხვას, ყველაფერს თავისთვის ინახავს გულმოდგინედ.

— როგორ?

— დიახ, შენ არც კი გაგვაცანი დამბრეზები!

ფრედერიკმა იგი აათვალიერ-ჩაათვალიერა: ძველი სერთუკი, მუქი სათვალე, საშინლად ფერმკრთალი, ადვოკატი ისეთი უბადრუკი ეჩვენა, რომ ზიზღის ღიმილი ვერ შეიკავა. დელორიემ ეს შეამჩნია და წამოწითლდა.

ქუდს წაეტანა, წასვლა დააპირა. შეშფოთებულმა ჰიუსონემ სცადა მავედრებელი თვალით დაემშვიდებინა და მიმართა ფრედერიკს, რომელმაც მათ ზურგი შეაქცია.

— აბა, ჩემო კარგო! გახდით ჩემი მეცენატი! გაუწიეთ დახმარება ხელოვნებას!

ფრედერიკი უეცრად დაემორჩილა ბედს, ქაღალდი აიღო, ზედ რამდენიმე სტრიქონი დაჩხაპნა და მისცა. ჰიუსონეს სახე გაუბრწყინდა, წერილი დელორიეს გადასცა:

— ბოდიში მოიხადე, ბატონო!

მათი მეგობარი თავის ნოტარიუსს ეხვეწებოდა, რაც შეიძლება მალე თხუთმეტი ათასი ფრანკი გამომიგზავნეო.

— აჰ! ეს კი მესმის! — წამოიძახა დელორიემ.

— ვფიცავ აზნაურის პატიოსნებას, — დასძინა ჟურნალისტმა, — ყოჩაღი ხართ და ღვაწლმოსილ მოქალაქეთა გალერეაში მოგათავსებენ.

ადვოკატმა დაურთო:

— წაგებული არ დარჩები, დიდებული გარიგებაა!

— რა თქმა უნდა! აი მე და ჩემი კისერი.

და იმდენი სისულელე ილაპარაკა და იმდენ რამეს დაჰპირდა (რაც იქნებ თვითონაც სჯეროდა), რომ ფრედერიკმა არ იცოდა, მათ დასცინოდა თუ თავის თავს.

იმავე საღამოს დედის წერილი მიიღო.

დედა ოდნავ დასცინოდა და გაკვირვებული იყო, რომ მისი შვილი ჯერ კიდევ არ გამხდარა მინისტრი. შემდეგ თავის ჯანმრთელობაზე ლაპარაკობდა და იტყობინებოდა, ბ-ნმა როკმა ჩვენთან სიარულს მოუხშირაო. „მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, მისი მიღება საძრახისად არ მიმაჩნია. ლუიზა ძალიან დამშვენდა“ და პოსტსკრიპტუმში: „შენ არაფერს არ იწერები შენს გავლენიან ნაცნობზე, ბ-ნ დამბრეზზე; შენს ადგილზე მე შემთხვევით ვისარგებლებდი“. რატომ არ უნდა ესარგებლა? მაღალი მისწრაფებანი გაუქრა, სახსრები კი (ეს იცოდა) საკმაო არ იყო; ვალების გადახდისა და მეგობრებისათვის დაპირებული თანხის მიცემის შემდეგ მისი შეგროვებული სულ ცოტა ოთხი ათასი ფრანკით დაიკლებს. უნდა ითქვას, რომ გრძნობდა, საჭირო იყო შეეწყვიტა ასეთი ცხოვრება და რაიმე საქმეს შესდგომოდა. ამიტომ, როცა მეორე დღეს ქ-ნ არნუსთან სადილობდა, აცნობა დედის მოთხოვნა, რაიმე პროფესია აირჩიეო. — მე კი მეგონა, — უთხრა ქ-მა არნუმ. — რომ ბატონ დამბრეზს სახელმწიფო საბჭოში უნდა მოეწყეთ. ეს თქვენი შესაფერისი იქნებოდა.

„მაშასადამე, მას ასე სურს“. იგი დაემორჩილა.

ბანკირი, როგორც პირველი ნახვის დროს, თავის მაგიდას უჯდა და ხელით ანიშნა, ცოტა მაცალეო; ვიღაც კაცი, კარისათვის რომ ზურგი შეექცია, დიდ რამეებზე ელაპარაკებოდა. საქმე ეხებოდა ქვანახშირსა და რამდენიმე კომპანიის მომავალ გაერთიანებას.

სარკის იქით-აქეთ ეკიდა გენერალ ფუას და ლუი-ფილიპეს პორტრეტები; პანელიანი კედლების გასწვრივ თაროებზე ჭერამდი დახორავებული იყო საქაღალდე ყდები; ოთახში იდგა მხოლოდ ექვსი სელის სკამი, რადგან ბ-ნ დამბრეზს თავისი საქმეებისათვის უკეთესი სადგომი არ ესაჭიროებოდა: იგი ჰგავდა ბნელ სამზარეულოს, სადაც მშვენიერი ლხინის საჭმელები მზადდება. ფრედერიკმა განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება ორ უზარმაზარ ცეცხლგამძლე კარადას, კუთხეებში რომ იდგა, და გაიფიქრა, ნეტავ, შიგ

რამდენი მილიონი დაეტევაო. ბანკირმა გააღო ერთი მათგანი, რკინის დაფა გადაბრუნდა და იქ მხოლოდ ლურჯი ყდები ეწყო.

ბოლოს, სტუმარმა გვერდი ჩაუარა ფრედერიკს. ეს იყო მოხუცი უდრი. ერთმანეთს მიესალმნენ და წამოწითლდნენ, რამაც, ალბათ, ბ-ნი დამბრეზი გააკვირვა. თუმცა მასპინძელი ძლიერ თავაზიანი აღმოჩნდა. იმაზე ადვილი რა იქნებოდა, რომ ახალგაზრდა მეგობრისათვის რეკომენდაცია გაეწია მინისტრთან. იქ ძლიერ ეამებოდათ სამსახურში მისი მიღება. და თავაზიანობის დასადასტურებლად ფ. ედერიკი საღამოზეც კი მიიწვია, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა გაემართა.

ფრედერიკი ეტლში ჯდებოდა დამბრეზებთან წასასვლელად, როცა როზანეტის ბარათი მოუტანეს. ფარნების შუქზე წაიკითხა:

„ძვირფასო, შენი რჩევა მივიღე. ეს არის გავაგდე ჩემი ველური. ხვალინდელ საღამოდან თავისუფალი ვარ! ამის შემდეგ კიდევ იტყვი, რომ ყოჩაღი არა ვარ?“

მხოლოდ ეს ეწერა! მაგრამ ეს ხომ განთავისუფლებულ ადგილზე მიწვევა იყო! უნებური „აჰ“ აღმოხდა, ბარათი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

ქუჩაში ორი ცხენოსანი პოლიციელი იდგა. ჭიშკრის თავზე ჩირაღდნის ანთებული ჯამები იყო, ეზოში კი ლაქიები მეეტლეებს უყვიროდნენ, ეკიპაჟები წინკარს მიაყენეთო; დერეფანში ხმაური ერთბაშად წყდებოდა.

უცხო მცენარეები ამშვენებდნენ კიბის ბოყვს; ფაიფურის ლამპიონები შუქს ღვრიდნენ, რის გამოც კედლები თეთრი ატლასივით ლაპლაპებდა. ფრედერიკი მხიარულად ადიოდა კიბეზე. მოსამსახურემ მისი გვარი გამოაცხადა. ბ-ნმა დამბრეზმა ხელი გაუწოდა; შემდეგ გამოჩნდა ქ-ნი დამბრეზი. მაქმანით მორთული ღიალურჯი კაბა ეცვა; დალალები ჩვეულებრივზე უფრო დაეხვია. არავითარი სამკაული არ ეკეთა.

უსაყვედურა, იშვიათად გვნახულობთო, და რამდენიმე სიტყვა უთხრა. სტუმრები მოდიოდნენ, ზოგი მთელი ტანით განზე იხრებოდა, ზოგი ორად იკეცებოდა, ზოგიც მხოლოდ თავს ხრიდა; მოვიდა ცოლ-ქმარი, მთელი ოჯახი და ყველანი გაიფანტნენ უკვე სავსე დარბაზში.

ჭაღის ქვეშ, უზარმაზარი პუფის შუაგულს, იდგა ყვავილებიანი კალათა; ყვავილები ქუდის ფრთებივით თავს ადგა გარშემო მჯდომ

ქალებს; სხვები ისხდნენ ღრმა საკარძლებში, კედლების გასწვრივ რომ იყო ჩამწკრივებული სწორ რიგებად, რომლებსაც სიმეტრიულად წყვეტდნენ წითელი ხავერდის ფარდებით დაბურული ფანჯრები და მაღალი კარების მოოქრულკარნიზიანი მალები.

ფეხზემდგომი მამაკაცები, ხელში რომ ქუდები ეჭირათ, შორიდან შავ მასას მოგაგონებდათ, სადაც ორდენების ლენტები აქა-იქ წითელ წინწკლებად მოჩანდა, ხოლო ჰალსტუხების მონოტონური სითეთრე ამ მასას უფრო ამუქებდა. გარდა რამდენიმე ყმაწვილი კაცისა, წვერ-ულვაში რომ ოდნავ შექინქლოდათ, ყველანი, ეტყობოდათ, მოწყენილნი იყვნენ; რამდენიმე დაღვრემილი დენდი ქუსლებზე ყუნტალობდა. იყო ბევრი ჭაღარა თავი და პარიკი; ხან აქ, ხან იქ გაკრთებოდა მოტიტვლებული კეფა; აწითლებულ ან მეტად ფერმკრთალ სახეებს საშინელი დაღლილობის იერი ედოთ; იქ მყოფნი ეკუთვნოდნენ პოლიტიკოსთა ან საქმოსანთა წრეებს. ბ-ნ დამბრეზს მოეწვია აგრეთვე რამდენიმე მეცნიერი, მოსამართლე, სამიოდე ცნობილი ექიმი, და მოკრძალებით უარობდა, როცა წვეულებას უქებდნენ ან სიმდიდრეზე გადაუკრავდნენ სიტყვას.

დაფუსფუსებდნენ მოსირმული ლაქიები. დიდრონი ჭაღები, ვით ცეცხლის თაიგულები, იხატებოდნენ შპალერზე, ირეკლებოდნენ სარკეებზე, ბუფეტი კი სასადილო ოთახის სილრმეში, იასამნის ტრელაჟით რომ იყო მორთული, ეკლესიის საკურთხეველს ან ძვირფასეულობის გამოფენას მოგაგონებდათ, იმდენი იყო ზედ თეფშები, ხუფები, დანა-ჩანგალი, ვერცხლის თუ მოოქრული კოვზები, წახნაგოვანი ბროლი, რომლის ცისარტყელების ციალი სასმელ-საჭმელს ეფრქვეოდა. სამი სხვა სასტუმრო ოთახი სავსე იყო მხატვრული ნივთებით: კედლებზე ეკიდა ცნობილ მხატვართა პეიზაჟები; მაგიდებზე ეწყო სპილოს ძვლის ნაკეთობა და ფაიფური; კონსოლებზე კი — ჩინური სამშვენისები; ფანჯრების წინ იდგა ლაკის თეჯირები. ბუხრის თავებზე — კამელიის ბუჩქები, ხოლო მხიარული მუსიკა შორიდან ფუტკართა ზუზუნს მოგაგონებდათ.

კადრილს ცოტა ვინმე თუ ცეკვავდა და მოცეკვავენი ისე უგულოდ დალასლასებდნენ, შეიძლებოდა გეფიქრა, მოსაწყენ მოვალეობას ასრულებენო. ფრედერიკს ესმოდა ასეთი ფრაზები:

— მადმუაზელ, იყავით თუ არა ლამბერის უკანასკნელ საქველმოქმედო დღესასწაულზე?

— არა, ბატონო!

— ახლა ისეთ სიცხეებს დაიჭერს, რომ...

— დიახ, პირდაპირ გავიგუდებით!

— ნეტავ, ეს ვალსი ვინ შექმნა?

— ღმერთს გეფიცებით, არ ვიცი, ქალბატონო!

სამი მოახალგაზრდაო მოხუცი, ფრედერიკის უკან რომ იდგა ფანჯარასთან, ერთმანეთს ეჩურჩულებოდა უწმაწურ შენიშვნებს; სხვები ლაპარაკობდნენ რკინიგზებზე, თავისუფალ ვაჭრობაზე: ვიღაც სპორტსმენი უამბობდათ ერთ შემთხვევაზე ნადირობის დროს ლეგიტიმისტი ორლეანისტს ეკამათებოდა.

ფრედერიკი ჯგუფიდან ჯგუფთან გადადიოდა და ბოლოს შევიდა იმ ოთახში, სადაც ქალალდს თამაშობდნენ და სადაც პატივცემულ პირთა შორის დაინახა მარტინონი, „ამჟამად რომ სატახტო პროკურატურაზე იყო მიწერილი“.

მის სქელ, ცვილისფერ სახეს, როგორც რიგია, ჰფარავდა შავი წვერი, რომელიც საუცხოო რამ იყო, ისე გულდასმით ედო ბეწვი ბეწვს; თვითონ კი საშუალო გეზს იცავდა კოხტაობასა, რასაც მისი ასაკი მოითხოვდა, და დარბაისლობას შორის, რასაც თანამდებობა აკისრებდა; ამიტომ ხან კოპწიებს ბაძავდა და ცერები იღლიებში ჰქონდა ამოდებული, ხანაც მედიდური უდარდელობით ხელს ჟილეტში იყოფდა. ფეხთ საუცხოო ლაკის ტუფლები ეცვა, მაგრამ საფეთქლებს იპარსავდა, რათა ისეთი შუბლი ჰქონდა, როგორც მოაზროვნეებს.

ფრედერიკს რამდენიმე ცივად ნათქვამი სიტყვა აღირსა და კვლავ მოთამაშეებს მიუბრუნდა. ერთი მემამულე ამბობდა:

— ეს არის იმ ადამიანთა კლასი, ვინც საზოგადოებრივ გადატრიალებაზე ოცნებობს!

— ისინი შრომის ორგანიზაციას მოითხოვენ! — განაგრძო მეორემ. — შეგიძლიათ წარმოიდგინოთ?

— აბა რას იზამთ, — შეესიტყვა მესამე. — როცა ბატონი ჟენუდი „სიეკლს“ უწვდის ხელს.

— კონსერვატორებიც კი თავიანთ თავს პროგრესისტებს უწოდებენ! რომ მიგვიყვანონ, სად? რესპუბლიკასთან! თითქოს იგი საფრანგეთში შესაძლებელი იყოს!

ყველამ განაცხადა: საფრანგეთში რესპუბლიკის დაარსება შეუძლებელიაო. ყოველ შემთხვევაში, — მეტად ხმამაღლა შენიშნა ვიღაცამ. — რევოლუციას მეტად ბევრი მომხრე ჰყავს; რას არ წერენ ამაზე, მრავალი წიგნი გამოდის.

— იმაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, — თქვა მარტინონმა. — რო? ბევრი უფრო სერიოზული საგანია შესასწავლი.

სამინისტროს მოხელემ მოიხსენია თეატრების სკანდალები: — აი, მაგალითად, ახალი დრამა „დედოფალი მარგო", უნდა ითქვას. ყოველგვარი საზღვარი გადალახა! რა საჭირო იყო ვალუაზე ლაპ-რაკი? ყოველივე ეს მეფის ხელისუფლებას არახელსაყრელად გვი-ხატავს! აი თქვენი პრესაც! რაც გინდა თქვი, სექტემბრის კანონები მეტად ლმობიერია! სასურველია, რომ სამხედრო სასამართლოებმა ენა ჩააწყვეტინონ ამ ჟურნალისტებს! ოდნავი თავხედობისათვის სამხედრო საასმართლო! მორჩა და გათავდა!

— ოჰ, ბატონო, ჩემო, ფრთხილად, ფრთხილად! — უთხრა ერთ-მა პროფესორმა. ხელს ნუ ახლებთ ათას რვაას ოცდაათი წლის ჩვენს ძვირფას მონაპოვართ! პატივი ვცეთ ჩვენს თავისუფლებას!

მისი აზრით, საჭირო იყო დეცენტრალიზაცია, ქალაქის ზედმეტი მოსახლეობის სოფლებში გასახლება.

— მაგრამ ისინი მოწამლულნი არიან! — წამოიძახა კათოლი-კემ. — განამტკიცეთ სარწმუნოება!

მარტინონმა არ დააყოვნა და დასძინა:

— მართლაც, ეგ კარგი ლაგამია!

მთელი ბოროტება ის იყო, რომ თანამედროვეობა ისწრაფვოდა ამაღლებულიყო თავის კლასზე, მოეპოვებინა ფუფუნებით ცხოვ-რება.

— გარნა, — შენიშნა ერთმა მრეწველმა, — ფუფუნება ხელს უწყობს ვაჭრობას. აი ამიტომ ვემხრობი ნემურის ჰერცოგს, რომე-ლიც მოითხოვს, რომ მის საღამოებზე მოკლე შარვლით გამოწყო-ბილნი მიდიოდნენ.

— ბატონ ტიერს კი გრძელი შარვალი ეცვა. გაგიგონიათ მისი ოხუნჯობა?

— კი, მშვენიერია! მაგრამ დემაგოგობს და მისმა სიტყვამ შე-უთავსებლობის საკითხზე გავლენა მოახდინა 12 მაისის ხელყო-ფაზე.

— აბა რას ამბობთ!

— დიახ! დიახ!

იძულებულნი იყვნენ გზა მიეცათ ლაქიისათვის, ხონჩა რომ მიჰ-ქონდა, და აპირებდა დარბაზში შესულიყო ბანქოს სათამაშოდ.

მაგიღებზე მწვანეაბაჟურიანი სანთლები ენთო და ბანქო და

ოქროს ფული ეყარა. ფრედერიკი ერთ-ერთ მაგიდასთან გაჩერდა, თხუთმეტი ნაპოლეონდორი წააგო, რაც ჯიბეში ჰქონდა, პირუეტი გააკეთა და ბუდუარის ზღურბლზე აღმოჩნდა, სადაც ამ დროს ქ-ნი დამბრეზი იმყოფებოდა.

ბუდუარი სავსე იყო ქალებით, რომლებიც ერთმანეთის გვერდით ისხდნენ უზურგო სკამებზე. მათი გრძელი კაბები ტალღებივით ლივლივებდნენ, გულამოჭრილ კორსაჟებში კი მკერდი უჩანდათ. თითქმის ყველას იის თაიგული ეჭირა ხელში. მუქი თათმანები ხელებს უფრო თეთრს ხდიდნენ; მხრებზე ეკიდათ ფოჩები და რაღაც ბალახები; ზოგჯერ ტანში ერუანტელი დაუვლიდათ ხოლმე და მაშინ გეგონებოდათ ეს არის ტანსაცმელი მოსცილდებათო. გარნა გამომწვეე ჩაცმულობას არბილებდა სახეთა მოკრძალებული იერი. ზოგიერთს თითქმის პირუტყვული სიმშვიდე ეხატებოდა ზედ, და ამ ნახევრადშიშველ ქალთა სანახაობა ჰარამხანას გაგახსენებდათ; ფრედერიკს კი უფრო ტლანქი შედარებაც მოუვიდა თავში. მართლაც, აქ ყოველი ჯურის სილამაზე იყო: ინგლისელი ქალები — თითქოს სამახსოვრო ალბომიდან ამოუღიათო; იტალიელი ქალი, შავი თვალები რომ ვეზუვის ცეცხლივით უბრიალებდა, ცისფრად ჩაცმული, სამი დაი, ნორმანდიელი, ნორჩი, ვით ვაშლის ხე აპრილში, ამეთვისტოებით მორთული, მაღალი, თავცეცხლა ქალი; ბრილიანტების თეთრი ნაპერწკლები, თმაში რომ ეგრეტებზე ციმციმებდნენ, ძვირფასი თვლების ბრჭყვიალი მკერდზე და მარგალიტის ნაზი ციალი, სახის ფერს რომ ამძაფრებდა, ყველაფერი ეს ერწყმოდა ოქროს ბეჭდების ბრჭყვიალს, მაქმანებს, ფერ-უმარილს, ფრთებს, მარჯნის ტუჩებსა და ბროლის კბილებს. გუმბათოვანი ჭერი ბუდუარს კალათის სახეს ანიჭებდა და მარაოების რხევა სურნელოვან სიოს ქმნიდა.

ფრედერიკი უკან იდგა, მონოკლი ეკეთა და ხედავდა, რომ ყველა ქალს როდი ჰქონდა უნაკლო ბეჭები; იგი ფიქრობდა როზანეტზე და ეს ფიქრი თრგუნავდა ყველა სხვა სურვილს, ამშვიდებდა მას.

მაგრამ მაინც უცქეროდა ქ-ნ დამბრეზს და მომხიბლავი ეჩვენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ოდნავ დიდი ტუჩები და მეტად ფართო ცხვირის ნესტოები ჰქონდა. რაღაც განსაკუთრებული სინარნარე გააჩნდა. კულულებიც კი თითქოს აღსავსე იყო უცნაური

ვნებიანობით და იფიქრებდით, მისი აღათივით გლუ შუბლი ბევრ რამეს მალავს და მბრძანებლურ ხასიათს ამჟღავნებსო.

გვერდით ეჯდა ქმრის ძმისშვილი, საკმაოდ ულაზათო ქალწული. დროდადრო ადგებოდა ხოლმე სტუმრების შესახვედრად. ქალთა ხმა სულ უფრო მაღალი ხდებოდა და ფრინველთა ჭიკჭიკს მოგაგონებდათ.

საუბარი ეხებოდა ტუნისელ დესპანებსა და მათს ჩაცმულობას. ერთ-ერთი ქალი აკადემიის უკანასკნელ სხდომას ესწრებოდა; მეორე შეეხო მოლიერის „დონ ჟუანს", ფრანგულ თეატრში რომ ამას წინათ განახლდა. მაგრამ ქ-ნმა დამბრეზმა თვალით ძმისშვილი ანიშნა და თითი ტუჩთან მიიტანა, ხოლო უნებურმა ღიმილმა ეს სიმკაცრე გააბათილა.

უეცრად მოპირდაპირე კარში მარტინონი გამოჩნდა. ქ-ნი დამბრეზი წამოდგა. ვაჟმა ხელი გაუწოდა. ფრედერიკს სურდა ენახა, როგორ დაუწყებდა იგი ალერსს, ამიტომ ბანქოს მაგიდებს ჩაუარა და დიდ სასტუმრო ოთახში შეუერთდა მათ. ქ-ნმა დამბრეზმა მაშინვე მიატოვა თავისი კავალერი და შინაურულად გაელაპარაკა ფრედერიკს.

ქალმა იცოდა, რომ იგი არ ცეკვავდა და არც ქაღალდს თამაშობდა.

— ახალგაზრდობაში მოწყენილნი არიან ხოლმე!

და მოცეკვავეებს თვალი მოავლო.

— ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის სამხიარულო! ზოგიერთისათვის მაინც!

იგი სავარძლების გასწვრივ მიდიოდა, ხან აქ შეჩერდებოდა, ხან იქ და თავაზიანად გაელაპარაკებოდა ვინმეს; ლორნეტიანი მოხუცები მასთან მიდიოდნენ და რაიმე ქათინაურს ეტყოდნენ. ზოგიერთ მათგანს ფრედერიკი გააცნო. ბ-ნი დამბრეზი წყნარად შეეხო ფრედერიკის იდაყვს და ტერასზე გაიყვანა.

ბ-ნი დამბრეზი მინისტრს გამოელაპარაკა ფრედერიკის საქმეზე, რაც ისე ადვილი როდი აღმოჩნდა. სანამ ვინმე სახელმწიფო საბჭოში დაინიშნებოდეს, საჭიროა გამოცდის ჩაბარება. ფრედერიკმა წარმოუდგენელი თავდაჯერებით უპასუხა, საგანი ვიცი.

ფინანსისტს ეს არ გაჰკვირვებია მას შემდეგ, რაც ბ-ნმა როკმა ფრედერიკი ესოდენ უქო.

ამ გვარის გაგონებაზე ფრედერიკმა ცოცხლად წარმოიდგინა

პატარა ლუიზა, თავისი სახლი, თავისი ოთახი და გაახსენდა ასეთივე ღამეები, როცა ფანჯარასთან იდგა ხოლმე და ფურგონების რახრახს უგდებდა ყურს. წარსული ნაღვლის მოგონება ქ-ნ არნუზე ფიქრს იწვევდა; იგი დუმდა და ტერასზე სიარულს განაგრძობდა. ბნელში ფანჯრები გრძელ წითელ ფირფიტებად მოჩანდა; ბალის ხმაური ნელდებოდა; ეკიპაჟები წასვლას იწყებდნენ.

— მაინც რატომ ასე გსურთ სახელმწიფო საბჭოში სამსახური? — ჰკითხა ბ-ნმა დამბრეზმა.

და ლიბერალის ტონით აჯერებდა, სახელმწიფო სამსახური არაფერს არ იძლევა, ეს მე ძლიერ კარგად ვიცი, რაიმე საქმეს მოჰკიდო ხელი, გაცილებით უმჯობესიაო. ფრედერიკმა უპასუხა, საქმის ცოდნა ძნელიაო.

— ოჰ, არა! ხელად ყველაფერს შეგასწავლი.

„თავის საწარმოში მიღებას ხომ არ მიპირებს?“ ყმაწვილს ელვასავით გაუკრთა თვალწინ ის უზარმაზარი სიმდიდრე, რომელსაც იგი მოიპოვებს.

— შინ შევიდეთ, — უთხრა ბანკირმა.— თქვენ, რასაკვირველია, ვახშმად დარჩებით?

ნაშუალამევის სამი საათი იყო, სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. ახლო მეგობრებისათვის სუფრა სასადილო ოთახში იყო გაშლილი.

ბ-ნმა დამბრეზმა მარტინონი დაინახა, ცოლთან მივიდა და ჩურჩულით ჰკითხა:

— თქვენ დაპატიჟეთ?

მან მშრალად მიუგო:

— დიახ.

ძმისწული სუფრასთან არ ჩანდა. ძლიერ ბევრი სვეს, ხმამაღლა იცინეს და მლაშე ხუმრობაც არავის აცბუნებდა; იგრძნობოდა ის შვება, რაც დიდი ხნის დაძაბულობის შემდეგ მოდის. მხოლოდ მარტინონს ეჭირა თავი დარბაისლურად; შამპანურზე უარი თქვა, რადგან ეს კარგ ტონად მიიჩნდა, საერთოდ ძლიერ ყურადღებიანი და მეტად ზრდილობიანი იყო; რადგან ბ-ნი დამბრეზი, ვისაც ვიწრო გულ-მკერდი ჰქონდა, სულის ხუთვას უჩიოდა, რამდენჯერმე ჰკითხა, როგორ ბრძანდებითო; შემდეგ თავისი ცისფერი თვალები ქ-ნ დამბრეზს მიაპყრო.

ქ-მა დამბრეზმა ფრედერიკს ჰკითხა, რომელი ქალიშვილი მო-

გეწონაო. მას კი არც ერთი არ მოხვედრია თვალში და საერთოდ ოცდაათი წლის ასაკის ქალებს აძლევდა უპირატესობას.

— ეს, მართლაც, უაზრო როდია!

შემდეგ, როცა სტუმრები უკვე ქურქებსა და პალტოებს იცვამდნენ, ბ-მა დამბრეზმა უთხრა:

— როგორმე ამ დღეებში შემოიარეთ ჩემთან დილით, მოვილაპარაკოთ!

მარტინონმა, კიბე რომ ჩაიარა, სიგარი მოსწია; ახლა პროფილი ისეთი სქელი უჩანდა, რომ მის თანამგზავრს უნებურად აღმოხდა:

— აი, მესმის, თავი!

— და რამდენი გააბრუა! — დაჯერებული და ამავე დროს გაჯავრებული კილოთი უპასუხა სასამართლოს ახალგაზრდა მოხელემ.

დაწოლისას ფრედერიკმა საღამო შეაჯამა. უწინარეს ყოვლისა, მთელი მისი ტუალეტი (რამდენჯერმე ჩაიხედა სარკეში), დაწყებული ფრაკით და გათავებული ტუფლების ბაფთებით, უნაკლო იყო; ელაპარაკა მნიშვნელოვან პირებს, ახლოს ნახა მდიდარი ქალები, ბ-ნი დამბრეზი მშვენივრად მოეპყრო, ქ-ნი დამბრეზი კი თითქმის თავაზიანი იყო. ფრედერიკმა აწონ-დაწონა ყოველი მისი სიტყვა, ყველა შემოხედვა, ათასგვარი, გაურკვეველი, მაგრამ მაინც ესოდენ მჭევრმეტყველი წვრილმანი. .აი ასეთი საყვარელი უნდა გყავდეს! რატომაც არა ბოლოს და ბოლოს? რა სხვაზე ნაკლებია? იქნებ არც ისე მიუწვდომელია? შემდეგ მარტინონი გაახსენდა, თვლემდა და იღიმებოდა ამ პატიოსანი ბიჭისადმი სიბრალულით.

გაეღვიძა როზანეტზე ფიქრით; მისი ბარათის სიტყვები „ხვალინდელი საღამოდან“ ხომ დღევანდელ პაემანს ნიშნავდა! ცხრა საათამდე მოიცადა და მასთან გაეშურა.

მის წინ ვიღაცამ ავლო კიბე და კარი მიიხურა. ფრედერიკმა ზარი ჩამორეკა. დელფინამ გაუღო და არწმუნებდა, ქალბატონი შინ არ არისო.

ფრედერიკი დაჟინებით სთხოვდა. ძლიერ მნიშვნელოვანი რამ უნდა ვუთხრა, სულ რამდენიმე სიტყვაო. ბოლოს, კარგი საბუთი გამოდგა ხუთფრანკიანი და მოსამსახურემ დერეფანში დატოვა.

როზანეტი გამოვიდა. პერანგის ამარა იყო, თმაჩამოშლილი; თავს იქნევდა და შორიდანვე ხელებს ასავსავებდა, რაც ნიშნავდა არ შემიძლია შენი მიღებაო.

ფრედერიკი ნელა დაეშვა კიბეზე. ამ ჭირვეულობამ ყველა წინანდელს გადააჭარბა. არაფერი არ ესმოდა.

მეკარის ოთახთან მ-ელ ვატნაზმა შეაჩერა:

— არ მიგიღოთ?

— არა.

— გამოგაგდეს?

— როგორ შეიტყვეთ?

— გეტყობათ! წამო! წავიდეთ აქედან! არ შემიძლია!

ქუჩაში გავიდნენ. ქალს სული ეხუთებოდა. ფრედერიკი გრძნობდა, როგორ უკანკალებდა ქალს ხელი, რომლითაც მკლავზე ეყრდნობოდა. და უეცრად ვატნაზი აღშფოთდა:

— აჰ, საძაგელი!

— ვინ?

— სწორედ ის არის! ის, დელმარი!

ამ ამბავმა ფრედერიკი შეურაცხჰყო და კვლავ ჰკითხა:

— თქვენ დარწმუნებული ხართ?

— გეუბნებით, რომ სულ უკან მოვყვებოდი! — წამოიძახა ვატნაზმა. — ვხედავდი, როგორ მოდიოდა! ახლა ხომ გესმით? თუმცა, ეს უნდა მცოდნოდა: ჩემი სისულელით არ გავაცანი? ოჰ, ღმერთო ჩემო, რომ იცოდეთ! მე შევივრდომე ის საძაგელი, ვარჩენდი, ვაცმევდი. და ვზრუნავდი მისთვის გაზეთებში! მიყვარდა, როგორც დედას!..

მერმე ავად ჩაიცინა:

— აჰ! ამ ვაუბატონს ხავერდის კოსტიუმები ნებავს! ეს მხოლოდ სპეკულაციაა მისი მხრივ, იცოდეთ! ის ქალბატონი კი! მე მას ვიცნობდი ჯერ კიდევ როგორც უბრალო მკერვალს! მე რომ არა, რამდენჯერ იგორავებდა წუმპეში! მაგრამ კიდევ გადავაგდებ ტალახში! დიახ! დიახ! დაე საავადმყოფოში ამოხდეს სული! და დაე ყველამ შეიტყოს!

თავსლაფი დაასხა თავის მოქიშპეს და ფრედერიკის წინაშე გააშიშვლა მთელი მისი უტიფრობა:

— იგი ცხოვრობდა ჟიუმიაკთან, ფლაკურთან, ახალგაზრდა ალართან, ბრეტანოსთან, სენ-ვალერისთან — იმ ჩოფურასთან! არა, სხვასთან! სულ ერთია, ისინი ძმები არიან! ხოლო, როცა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, მე უნდა მეშველა! მერმე ამით რა სარგებლობა მქონდა? ისეთი ძუნწი ვინმეა! და შემდეგ, დამეთანხ-

მებით, რომ ჩემი მხრივ დიდი თავაზიანობაა მასთან მეგობრობა, ბოლოს და ბოლოს, რა მისი ტოლი ვარ! ვინმე გოგო ხომ არ ვარ? ნამუსს ფულად ხომ არ ვყიდი? რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სულელია თუთიყუშივით. სიტყვას „კატეგორია“ თ-ნით წერს. ესეც კია, ერთმანეთის ღირსნი არიან, ერთი შეწვი, მეორე წასცხე, თუმცა ის ვაუბატონი თავს არტისტს უწოდებს და თავი გენიოსად მოაქვს! მაგრამ, ღმერთო ჩემო, იმას რომ ჭკუა ჰქონდეს, ასეთ საძაგლობას არ ჩაიდენდა! ვიღაც ცუღლუტში გაცვალო წესიერი ქალი! ბოლოს და ბოლოს, მიმიფურთხებია! ნამდვილი მახინჯი გახდა! მეზიზღება! როგორც კი შევხვდები, პირში მივაფურთხებ!

და გააფურთხა:

— აი მისი ფასი! მაგრამ, ეს არნუ როგორია? საშინელებაა, ხომ? რამდენჯერ აპატია? ვერ წარმოიდგენ, რა მსხვერპლი არ შესწირა! ის ქალბატონი სულ ფეხს უნდა უკოცნიდეს! ისეთი გულუხვია, ისეთი გულკეთილი!

ფრედერიკი სიამოვნებით უსმენდა, როგორ ამკობდა დელმარს. არნუს უთმენდა. როზანეტის ვერაგობა რაღაც არაბუნებრივი, უსამართლო ეჩვენებოდა; შინაბერას აღელვება მასაც გადაედო და არნუსადმი რაღაც სინაზის მსგავსიც კი იგრძნო. და უეცრად მის საადარბაზო კართან აღმოჩნდა: ვერც კი შეამჩნია, როგორ მიიყვანა მ-ელ ვატნაზმა პუასონიერის გარეუბანში.

— აი ჩვენც მივედით, — უთხრა მან. — მე ვერ შევალ, თქვენ კი არაფერი არ გიშლით.

— რად უნდა შევიდე?

— რომ ყველაფერი უამბოთ, დალახვროს ეშმაკმა!

ფრედერიკი, თითქოს უეცრად გამოფხიზლდაო, მიხვდა, რა სისაძაგლეზეც აქეზებდნენ.

— რას შვრებით? — გაუმეორა.

ვაჟმა თვალები მესამე სართულს მიაპყრო. ქ-ნ არნუს ოთახში ლამპა ენთო. მართლაც, ხელს არაფერი არ უშლიდა ასულიყო.

— მე აქ დაგელოდებით. ადით თქვენ!

ამ ბრძანებამ სრულიად გაუგრილა გული და უთხრა:

— მე იქ დიდ ხანს დავრჩები. უმჯობესი იქნება შინ დაბრუნდეთ. ხვალ შემოვივლი თქვენთან.

— არა! არა! — მიუგო ვატნაზმა და ფეხი დაუტყაპუნა. — ისიც წაიყვანე, უსათუოდ წაიყვანე! დაე წაუსწროს მათ!

— მაგრამ დელმარი ხომ იქ აღარ იქნება?

ქალმა თავი დახარა.

— ჰო, ეგ მართალია.

იგი ჩუმად იდგა ქვაფენილზე; გარშემო ეკიპაჟები დაქროდნენ; შემდეგ ვაჟს გარეული კატის თვალები მიაპყრო.

— ხომ შემიძლია თქვენი იმედი ვიქონიო? ახლა ჩვენ თანამონაწილენი ვართ, ეს კარგია! მაშ იმოქმედეთ. ხვალამდე!

დერეფანში გავლისას ფრედერიკმა ორი ადამიანის ხმა გაიგონა, ისინი დაობდნენ. ქ-ნი არნუ ამბობდა:

— ნუ ცრუობ! ნუ ცრუობ-მეთქი!

ფრედერიკი შევიდა. ისინი გაჩუმდნენ.

არნუ ბოლთას სცემდა, ცოლი კი დაბალ სკამზე იჯდა ბუხართან, მეტად გაფითრებული იყო, თვალები გაშტერებოდა. ფრედერიკმა კარისაკენ გაიწია. არნუ ხელში ეცა, კმაყოფილი იყო, რომ მაშველი იშოვნა.

— მე მგონი... — თქვა ფრედერიკმა.

—დარჩით-მეთქი! — წასჩურჩულა არნუმ.

ქ-ნმა არნუმ უთხრა:

— შემწყნარებელი უნდა იყოთ, ბატონო მორო! ასეთი რამ ხანდახან ხდება ოჯახში.

— ესე იგი მოაწყობენ ხოლმე, — არხეინად თქვა არნუმ. — რას არ მოიგონებენ ეს ქალები! აი, მაგალითად, ეს სულაც არ არის ცუდი ქალი. პირიქით! მერე რა? მთელი საათია იმით ერთობა, რომ თავს მაბეზრებს ათასგვარი ჭორით.

— ეს ჭორი კი არა, მართალია, — გაჯავრებით უპასუხა ქ-მა არნუმ. — ასეა თუ ისე, ხომ მაინც იყიდე.

— მეე?

— ჰო, შენ! სპარსულ მაღაზიაში!

„ქიშმირის შალი!“ — გაიფიქრა ფრედერიკმა.

არნუ თავს დამნაშავედ გრძნობდა და ეშინოდა.

ქალმა იქვე დასძინა:

— ეს იყო გასულ თვეში, შაბათს, თოთხმეტ რიცხვს.

— აჰ, იმ დღეს მე სწორედ კრეილს ვიყავი. ასე რომ, ხედავ...

— სრულიადაც არა! თოთხმეტს ხომ ჩვენ ბერტენებისას ვიყავით სადილად?

— თოთხმეტს?... — და არნუმ თვალები აღაპყრო, თითქოს იგონებს, რა რიცხვი იყოო.

— და ნოქარიც, რომელმაც იგი გაყიდა, ქერა იყო.

— განა ნოქარი მემახსოვრება?

— გარნა შენ მისამართიც კი ჩააწერინე: ლავალის ქუჩა, 18.

— როგორ შეიტყვე? — ჰკითხა განცვიფრებულმა არნუმ.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— ოჰ, ეს ძლიერ ადვილად მოხდა: ჩემი შალის შესაკეთებლად შევედი და ნოქარმა მითხრა, სწორედ ასეთივე შალი ეს არის ქ-ნ არნუს გავუგზავნეთო.

— განა ჩემი ბრალია, რომ იმავე ქუჩაზე ვიღაც ქ-ნი არნე ცხოვრობს?

— დიახ, მაგრამ არა ჟაკ არნუს ცოლი, — მიუგო მან.

აქ იგი სულ აიბნა, ირწმუნებოდა, მე რა შუაში ვარო. ეს შეცდომაა, შემთხვევაა, ერთ-ერთი ისეთი უცნაურობაა, რაც ზოგჯერ ხდება. კაცი მხოლოდ ეჭვით, გაურკვეველი საბუთებით არ უნდა გაამტყუნო, და მაგალითად მოიყვანა უბედური ლეზიურკი.

— ერთი სიტყვით, მე ვამტკიცებ, რომ ცდები! გინდა, დავიფიცო?

— ნუ გაირჯები!

— რატომ?

ქალმა თვალი გაუსწორა, არაფერი არ უთხრა, მერმე ხელი გაიწოდა, ბუხრის თავზე ვერცხლის კოლოფი აიღო და გაშლილი ანგარიში მისცა.

არნუ ყურებიანად წამოწითლდა და აბნეული სახე კიდევაც შეეშუპა.

— ახლა?

— მერე რა, — ნელა უპასუხა, — ეს რას ამტკიცებს?

— აი თურმე! — ისეთი კილოთი თქვა ქალმა, რომელშიც გამოსჭვიოდა მწუხარებაც და ირონიაც. — აი თურმე!

არნუს ხელში ეჭირა ანგარიში, ატრიალებდა და თვალს არ აშორებდა, თითქოს იქ სურს ამოიკითხოს მისთვის საინტერესო პასუხი.

— აჰ! ჰო, ჰო, მაგონდება, — თქვა ბოლოს. — მომანდეს. ეს თქვენ უნდა იცოდეთ, ფრედერიკ?

ფრედერიკი დუმდა.

— მომანდეს... დიახ, დიახ... მოხუცმა უდრიმ მთხოვა მეყიდა...

— ვისთვის?

— მისი საყვარლისათვის!

— თქვენი საყვარლისათვის! — წამოიძახა ქ-მა არნუმ და მთელი ტანი გამართა.

— გეფიცები...

— ჩუმად! მე ყველაფერი ვიცი!

— ჰოო! ძალიან კარგი! მაშასადამე, მჯაშუშობენ!

ქალმა გულცივად მიუგო:

— შეიძლება ეს შეურაცხყოფდეს თქვენს მეტისმეტ წესიერებას?

— რაკი კაცი მოთმინებას დაკარგავს, — დაიწყო არნუმ და ქუდს ძებნა დაუწყო. და მისი გონს მოყვანა შეუძლებელია...

შემდეგ ღრმად ამოიოხრა:

— ცოლი არ შეირთოთ, ჩემო საბრალო მეგობარო, დამიჯერეთ, არ შეირთოთ!

და სულის მოსაბრუნებლად გარეთ გავარდა.

გაუტეხელი სიჩუმე ჩამოვარდა და ოთახშიც თითქოს ყველაფერი გაიყინაო. ჭერზე ლამპის თეთრი წრე იხატებოდა, კუთხეებში კი ძაძასავით ეფინებოდა ჩრდილი; ისმოდა საათის ტიკტიკი და ბუხარში ცეცხლის ტკაცუნი.

ქ-ნი არნუ კვლავ სავარძელში ჩაჯდა, ახლა უკვე ბუხრის მეორე მხარეზე; ჩარბებს იკვნეტდა, ცახცახებდა. ხელები აღმართა, ტირილი წასკდა, აქვითინდა.

ფრედერიკი დაბალ სკამზე დაჯდა და ისეთი ხმით, როგორითაც ავადმყოფებს ელაპარაკებიან, უთხრა:

— არ უნდა გეეჭვებოდეთ, რომ მე არ ვიზიარებ მის...

ქალმა არაფერი უპასუხა. მაგრამ ხმამაღლა გამოთქვა თავისი მოსაზრება:

— მე მას არ ვზღუდავ! ტყუილი რა საჭირო იყო!

— რა თქმა უნდა, — უთხრა ფრედერიკმა. — ეს უთუოდ ჩვევის ბრალია, ალბათ, არ დაფიქრებულა, თორემ უფრო მნიშვნელოვან საქმეებში...

— ამაზე უფრო მნიშვნელოვანი, თქვენი ფიქრით, რა უნდა იყოს?

— ოჰ!.. არაფერი!

ფრედერიკმა, მორჩილების ნიშნად, თავი დახარა და გაიღიმა: მას ზოგი რამ ღირსება მაინც აქვს, შვილები უყვარსო...

— აჰ! და არაფერს იშურებს, რომ გააღატაკოს ისინი!

— მაგის მიზეზი მისი უსაზღვრო ხელგაშლილობაა; ბოლოს და ბოლოს, ის ერთობ კაი ბიჭია.

ქალმა წამოიძახა:

— მერმედა. ეგ კაი ბიჭობა რას ნიშნავს?

ასე იცავდა მას ფრედერიკი სრულიად გაურკვეველი სიტყვებით, როგორიც კი მოეპოვებოდა და, თუმცა ქალს თანაუგრძნობდა, გულში კი უხაროდა, ნეტარებდა: შურისძიებისა თუ სიყვარულის გამო, მე მომეკედლებაო. იმედი უსაზღვროდ უძლიერდებოდა, სიყვარული უმტკიცდებოდა.

არასოდეს არ ენახა იგი ესოდენ მომხიბვლელი, ასე უსაზღვროდ მშვენიერი; ხანდახან მკერდი აუთრთოლდებოდა, ფართოდ გახელილი თვალები თითქოს იმ მოჩვენებას მიშტერებოდნენ, გონებაში მის თვალწინ რომ წარმოიშვა, ბაგენი კი ნახევრად გახსნოდა, თითქოს იმისათვის, რომ სული ადვილად ამოუვიდესო. ზოგჯერ ტუჩზე ცხვირსახოცს მიიდებდა ხოლმე და ფრედერიკი ნატრობდა, ბატისტის აი ამ ნაჭრად მაქცია, მისი ცრემლით ასე რიგად რომ გაჟღენთილაო. უნებურად უცქეროდა საწოლს ალკოვში, წარმოიდგენდა ბალიშებზე დასვენებულ მის თავს და ისე გარკვევით ხედავდა მას, რომ თავი უნდა შეეკავებინა, რათა ხელი არ მოეხვია და გულში არ ჩაეკრა. ქ-ნმა არნუმ თვალები დახუჭა, დამშვიდებულმა, ღონემიხდილმა. მაშინ იგი მიუახლოვდა, დაიხარა და ხარბად ჩააცქერდა თვალებში. დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, ქმარი დაბრუნდა. მათ გაიგონეს, როგორ მიხურა თავისი საწოლი ოთახის კარი. ფრედერიკმა ხელით ანიშნა, იქ ხომ არ წავიდეო.

ქალმაც ანიშნა: კიო, და აზრთა ეს მუნჯური გაზიარება თითქოს შეთანხმება, სასიყვარულო კავშირის დასაწყისი იყო.

არნუ ძილს აპირებდა და სერთუკს იხდიდა.

— ჰო, როგორ არის?

— ო, უკეთ! — უთხრა ფრედერიკმა. — გაუვლის!

გარნა არნუ შეწუხებული იყო.

— თქვენ მას ვერ იცნობთ! ახლა ნერვები აეშალა!.. ის ნოქარი ყეყეჩია! აი რას ნიშნავს გულკეთილობა! ნეტავ არ მეჩუქებინა როზანეტისათვის ის წყეული შალი!

— ნუ გენანებათ! იგი მეტად მადლობელია!

— აგრე გგონიათ?

ფრედერიკს ეს არ ეეპვებოდა. დამამტკიცებელი საბუთი ის იყო, რომ მოხუცი უღრი დაითხოვა.

— აჰ! საბრალო პაწაწა!

და გულაჩუყებული არნუ უკვე აპირებდა მასთან გაქცევას.

— არ გირჩევ! სწორედ იქიდან მოვდივარ: ავად არის!

— მით უმეტეს!

მალე კვლავ ჩაიცვა და შანდალი აიღო. ფრედერიკი თავს იწყევლიდა ამ სისულელის გამო და არნუს არწმუნებდა: ამ საღამოს ზრდილობისათვის ცოლთან უნდა დარჩე, მისი მარტოდ დატოვება არ შეიძლება, ეს ძალიან ცუდი იქნებოდაო.

— გულახდილად გეუბნები, ეს მხოლოდ საზარალო იქნებოდა! საქმე სრულიადაც არ არის სასწრაფო! ხვალ წადით! აბა, მოიქეცით ასე ჩემი გულისათვის.

არნუმ შანდალი დადგა და უთხრა:

— კარგი ხართ, კარგი!

III

ამის შემდეგ ფრედერიკს უბადრუკი ცხოვრება დაეწყო. იგი ამ სახლში პარაზიტი შეიქნა.

თუ ვინმე ავად გახდებოდა, დღეში სამჯერ მიდიოდა ამბის შესატყობად, დადიოდა პიანინოს ამწყობის მოსაყვანად, ათასგვარ საბაბს იგონებდა. რათა სამსახური გაეწია, კმაყოფილებით იტანდა მ-ელ მართას ჭირვეულობას და პატარა ეუენის ალერსს, ვინც მუდამ ჭუჭყიან ხელებს უსვამდა სახეზე. ესწრებოდა სადილებს, როცა ერთმანეთის პირდაპირ მჯდომარე ცოლი და ქმარი ერთ სიტყვასაც არ იტყოდნენ ან არნუ მკვახედ შენიშნავდა რამეს მეუღლეს, რაც ქალს გააღიზიანებდა. ნასადილევს არნუ ბიჭუნასთან წავიდოდა ხოლმე საწოლ ოთახში და ეთამაშებოდა კეკემალულობიას ან ზურგზე შეისვამდა და ატარებდა, როგორც ბეარნელი. ბოლოს სადმე წავიდოდა, ცოლი კი მაშინვე დაიწყებდა არნუზე ლაპარაკს, ვინც მისი ჩივილის მუდმივი თემა იყო.

ქმრის უზნეობა როდი აშფოთებდა, უფრო შელახული თავმოყვარეობა აწუხებდა და არ მალავდა ზიზღს ამ ყაცისადმი, ვინც მოკლებული იყო გულისხმიერებას, ღირსებას, პატიოსნებას...

— ან იქნებ გიჟია? — იტყოდა ხოლმე.

ფრედერიკი ხელოვნურად იწვევდა ხოლმე აღსარებისათვის. მაგრამ მთელი მისი ცხოვრების ამბავი შეიტყო.

მისი მშობლები, წვრილი ბურჟუები, შარტში ცხოვრობდნენ. ერთხელ არნუმ, როცა მდინარის პირას ხატავდა (მაშინ თავი მხატვარი ეგონა), დაინახა იგი, ეკლესიიდან რომ მოდიოდა, და წინადადება მისცა; მისი ქონების გამო მშობლები უყოყმანოდ დათანხმდნენ, თანაც მას უსაზღვროდ უყვარდა. ქალმა დასძინა:

— ღმერთო ჩემო, ახლაც კვლავ ვუყვარვარ თავისებურად!

პირველი თვეების მანძილზე იტალიაში მოგზაურობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აღტაცებული იყო ლანდშაფტებითა და ხელოვნების ძეგლებით, არნუ, მუდამ ჩიოდა, ღვინო არ ვარგაო, და პიკნიკებს აწყობდა ინგლისელებთან ერთად, რადგა თავი გაერთო. რამდენიმე სურათი კარგად გაყიდა და გადაწყვიტა მხატვრული ნივთებით ევაჭრა. შემდეგ ფაიანსის წარმოებამ გაიტაცა. ახლა კი სხვა სპეკულაციებს მიჰყო ხელი, სულ უფრო უხამსი ხდება და უხეშ და დამღუპველ ჩვევებს იძენს. ქალი იმდენად მის სხვადასხვა მანკიერებას არ უჩიოდა, რამდენადაც მთელ მის ყოფაქცევას. არავითარი ცვლილება მოსალოდნელი არ არის და ჩემი მწუხარება განუქარვებელიაო.

ფრედერიკი ამტკიცებდა, არც ჩემი ცხოვრება მოეწყოო.

— მაგრამ თქვენ ესოდენ ახალგაზრდა ხართ. გული რად უნდა გაიტეხოთ?

და კეთილ რჩევას აძლევდა: „იმუშავეთ! ცოლი შეირთეთ!" ვაჟი მწარე ჩაციებით უპასუხებდა, რადგან, ნაცვლად იმისა, რომ თავისი მწუხარების ნამდვილი მიზეზი გაემხილა, თავს იკატუნებდა, ვითომ სხვა მიზეზია, უფრო მაღალია, ოდნავ ბაძავდა ანტონის, რაც მის აზრს სავსებით როდი ამახინჯებდა.

ზოგიერთი ადამიანისათვის მოქმედება მით უფრო განუხორციელებელია რაც უფრო ძლიერია მათი სურვილი. უნდობლობა საკუთარი თავისადმი სტანჯავს მათ, აკრთობთ, ვაითუ არ მოვეწონოთო, თანაც ღრმა გრძნობებით წესიერ ქალებს გვანან; ეშინიათ, არ გამოვამჟღავნოთ ისინიო, და ცხოვრებას თავდახრილნი ამთავრებენ.

თუმცა ქ-ნი არნუ უფრო ახლო გაიცნო (ან იქნებ სწორედ ამიტომ), უფრო გაუბედავი გახდა. ყოველ დილას თავს სიტყვას აძ-

ლევდა, უფრო გაბედულად ვიმოქმედებო. მაგრამ ამას ხელს უშლიდა დაუძლეველი მორცხვობა, და არ შეეძლო ვისიმე მაგალითისათვის მიებაძა, რაკი ეს სულ განსაკუთრებული ქალი იყო. თავისი ოცნების ძალით იგი ადამიანთა ყოველგვარ ურთიერთობაზე მაღლა დაეყენა. თავი უფრო დიდ არარაობად მიაჩნდა, ვიდრე ქ-ნ არნუს მაკრატლით დაჭრილი აბრეშუმის ნაკუწები იყო.

შემდეგ წარმოიდგენდა რაღაც საშინელებას: ღამით მოულოდნელ თავდასხმას ნარკოტიკებითა და მორგებული გასაღებით. მისთვის ყველაფერი უფრო ადვილი იყო, არ შეეძლო მხოლოდ აეტანა მისი სიძულვილი.

ამასთან ბავშვები, ორი მოსამსახურე ქალი, ოთახების განლაგება, ყოველივე ეს გადაულახველი დაბრკოლება იყო. გადაწყვიტა, რომ მარტო იგი დაეუფლება მას და წავლენ სადმე ძლიერ შორს და განმარტოებით დასახლდებიან; იმაზეც კი ფიქრობდა, თუ რომელი ტბის წყალი უფრო ლურჯია, რომელ პლაჟზე უფრო რბილი ქვიშაა, ესპანეთში იქნება ეს, შვეიცარიასა თუ აღმოსავლეთში; საგანგებოდ ირჩევდა დღეებს, როცა ქ-ნი არნუ განსაკუთრებით გაჯავრებული ჩანდა, ეტყოდა, უნდა გათავდეს ესო. მოიძებნოს საშუალება და რომ გამოსავალი, როგორც თვითონ ფიქრობდა, მხოლოდ ერთია — გაყრა. მაგრამ შვილების სიყვარულით ასეთ რამეს არასოდეს არ იზამს. და ასეთი სათნოება უფრო უძლიერებდა პატივისცემას მისდამი.

ნასადილევს დროს ატარებდა გუშინდელი სტუმრობის მოგონებაში და ოცნებობდა იმაზე, თუ როგორ ეწვეოდა საღამოს. თუ სადილად მათთან არ იყო, მაშინ ასე საღამოს ცხრა საათზე მათი ბუჩის კუთხეში მივიდოდა და როგორც კი მიხურავდა არნუ სადარბაზო შესასვლელის კარს, ფრედერიკი სწრაფად ავიდოდა მესამე სართულზე და გულუბრყვილოდ ჰკითხავდა მოსამსახურე ქალს.

— ბატონი არნუ შინ არის?

მერმე ვითომ გაიკვირვებდა, რომ შინ ვერ შეისწრო.

არნუ ხშირად მოულოდნელად ბრუნდებოდა შინ. მაშინ იგი უნდა მიეცილებინა პატარა კაფეში. წმ. ანას ქუჩაზე, სადაც ახლა რეჟემბარი იყო ხოლმე.

მოქალაქე, უპირველეს ყოვლისა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა მთავრობისადმი. შემდეგ გაიბმებოდა საუბარი, ამასთან, მეგობრულად ეტყოდნენ ერთმანეთს მკვახე სიტყვებს, რადგან მეფაბრიკეს

დიდ მოაზროვნედ მიაჩნდა რეჟემბარი და, რაკი ასეთი ნიჭი უნაყოფოდ იკარგებოდა, ამით ნაწყენი მის სიზარმაცეზე ხუმრობდა ხოლმე. არნუს მოქალაქე მიაჩნდა სულგრძელ და დიდად გონიერ, მაგრამ უეჭველად მეტად უზნეო ადამიანად; ამიტომაც ეპყრობოდა სრულიად უნდობლად და მასთან სადილობაზეც კი უარს ამბობდა, რადგან „ცერემონია აბრაზებდა“.

ზოგჯერ, უკვე გამოთხოვების მომენტში, არნუს მოშივდებოდა, „მოენატრებოდა“ ერბოკვერცხი ან შემწვარი ვაშლი, ხოლო რადგან დაწესებულებაში ასეთი რამ ჩვეულებრივ არ აღმოჩნდებოდა, საყიდლად გაგზავნიდა. საჭირო იყო ლოდინი. რეჟემბარი არ წავიდოდა და ბოლოს და ბოლოს, ბუზღუნით დათანხმდებოდა რაიმე ეჭამა.

მიუხედავად ამისა, დაღვრემილი იყო, მთელი საათობით უჯდა ხოლმე ნახევრად დაცლილ ჭიქას. განგებაც მსოფლიოს მისი აზრების საწინააღმდეგოდ წარმართავდა. ჰიპოქონდრია ეუფლებოდა, გაზეთებსაც აღარ კითხულობდა, საკმაო იყო წარმოგეთქვა სიტყვა ინგლისი, რომ ღრიალი დაეწყო. ერთხელ, როცა ოფიციანტმა კერძი უხერხულად მიართვა, მან წამოიძახა:

— განა უცხოეთი ისედაც ცოტა შეურაცხყოფას გვაყენებს!

საერთოდ კი, თუ ასეთ სიფიცხეს არ ჩავთვლით, უთქმელი კაცი იყო და იცოდა ისეთი „აუცდენელი დარტყმა, რომ ერთბაშად გაენადგურებინა მთელი დუქანი“.

სანამ იგი გართული იყო ფიქრებში, უკვე შეზარხოშებული არნუ ერთფეროვანი ხმით მოჰყვებოდა დაუჯერებელ ამბებს და იგი მუდამ ბრწყინავდა საკუთარი თავდაჯერების მეოხებით. ფრედერიკი (ალბათ, იმის გამო იყო, რომ რაღაც იდუმალი მსგავსება არსებობდა მათ შორის) ერთგვარ მიდრეკილებას გრძნობდა მისდამი. იგი თავს უსაყვედურებდა ამ სისუსტეს და მიაჩნდა, რომ, პირიქით, უნდა სძულებოდა იგი.

არნუ მასთან ხშირად უჩიოდა ცოლის ცუდ განწყობილებას, მის ჯიუტობას, უსამართლო მიკერძოებას. წინათ ასეთი როდი იყო.

— მე რომ შენს ადგილზე ვიყო, — ეტყოდა ხოლმე ფრედერიკი, — სარჩოს გავუჩენდი და ცალკე ვაცხოვრებდი!

არნუ არაფერს უპასუხებდა, ერთი წუთის შემდეგ კი ცოლის ქებას მოჰყვებოდა: კეთილია, ერთგულია, ჭკვიანია, სათნოა; მერმე მის ხორციელ სილამაზეს გაიხსენებდა და უხვად აფრქვევდა წვრილმა-

ნებს ისეთი ფუქსავატობით, როგორითაც ზოგი ვინმე სასტუმროში გამოფენს ხოლმე თავის საუნჯეს ყველას დასანახავად.

წონასწორობიდან კატასტროფამ გამოიყვანა.

იგი შევიდა ფაიფურის თიხის მომპოვებელ კომპანიაში და საარევიზიო საბჭოს წევრი გახდა. მაგრამ, რაკი ყველაფერს ენდობოდა, რასაც ეუბნებოდნენ, ხელს აწერდა არასწორ ანგარიშებს და შეუმოწმებლად დაადასტურა წლიური უწყისი, რომელიც მმართველმა თაღლითურად შეადგინა. კომპანია გაკოტრდა და არნუს, სოლიდარულ პასუხისმგებლობას რომ კისრულობდა, სხვებთან ერთად მიუსაჯეს ზარალის ანაზღაურება, რაც მისთვის ნიშნავდა ოცდაათ ათასამდე ფრანკის დაკარგვას, რაც ამასთან განაჩენის დასაბუთებით რთულდებოდა.

ფრედერიკმა ეს გაზეთით შეიტყო და იმწამსვე პარადის ქუჩისაკენ გაეშურა.

იგი ქ-ნ არნუს ოთახში მიიღეს. დილის საუზმის დრო იყო. პატარა მაგიდა, ბუხართან, სავსე იყო რძიანი დიდრონი ფინჯნებით. ხალიჩაზე საღამური ფლოსტები ეყარა, საკარძლებზე კი ყოველგვარი ტანსაცმელი. არნუს, ნიფხვისა და სათბურას ამარა რომ იჯდა, თვალები დასწითლებოდა, თმა აბურძგნოდა; პატარა ეექნი, რომელსაც ყბაყურა სჭირდა, კარაქიან პურს ლოღნიდა და ტიროდა; მისი და მშვიდად ჭამდა, ხოლო ჩვეულებრივზე რამდენადმე უფრო ფერმკრთალი ქ-ნი არნუ სამივეს ემსახურებოდა.

— ჰოდა, აი! — ღრმა ამოოხვრით თქვა არნუმ. — თქვენ უკვე იცით!

ფრედერიკმა ანიშნა, შენი მწუხარების მონაწილე ვარო.

— ასე და ასე! ჩემი მიმნდობელობის მსხვერპლი გავხდი!

მერმე გაჩუმდა. ისე დამწუხრებული იყო, რომ საუზმეზე უარი თქვა. ქ-მა არნუმ თვალები აღაპყრო, მხრები აიჩეჩა. არნუმ კი შუბლზე ხელი გადაისვა.

— ბრლოს და ბოლოს, მე დამნაშავე არ ვარ. თავს ვერაფერს ვუსაყვედურებ. ეს უბედურებაა! როგორმე ვიპოვით გამოსავალს! რას იზამ!

იგი ცოლის ხვეწნას დაჰყვა და ტკბილ ფუნთუშას ერთი ლუკმა მოტეხა.

საღამოს მოუნდა ცოლთან ერთად ესადილნა „ოქროს სახლის“ ცალკე კაბინეტში. ქ-მა არნუმ ვერ გაიგო მისი ასეთი მისწრაფება

და კიდევაც იწყინა, რომ ისე მოეპყრნენ, როგორც ლორეტს; არნუს მხრივ კი, პირიქით, ეს იყო სიყვარულის გამოვლინება. შემდეგ მოიწყინა და გასართობად როზანეტთან წავიდა.

აქამდე ბევრი რამ ეპატიებოდა ხოლმე მისი გულკეთილობის გამო. სასამართლო პროცესმა იგი საეჭვო პირთა შორის დააყენა. და ახლა მარტოდ დარჩა თავისი ოჯახითურთ.

ფრედერიკს მოვალეობად მიაჩნდა უფრო ხშირად ყოფილიყო მათს ოჯახში, ვიდრე ოდესმე. იტალიურ ოპერაში ბენუარის ლოჟის აბონემენტი აიღო და ყოველ კვირას პატიჟებდა მათ. მაგრამ ისინი განიცდიდნენ ოჯახური უთანხმოების იმ მომენტს, როცა ყოველგვარი ურთიერთდათმობის შემდეგ, იბადება ისეთი გადაულახავი გულგრილობა, რაც აუტანელს ხდის არსებობას. ქ-ნი არნუ თავს იკავებდა, რომ მოთმინება საბოლოოდ არ დაჰკარგოდა, არნუ კი მუდამ წარბებშეკრული იყო, და ამ ორი უბედური ადამიანის დანახვა ფრედერიკს ამწუხრებდა.

ქ-ნმა არნუმ, რაკი ენდობოდა, მას დაავალა შეეტყო მათი საქმის მდგომარეობა, მაგრამ ფრედერიკს რცხვენოდა არნუსთან სადილობა, რაკი მისი ცოლის გულისმოგება სურდა, და ეს სტანჯავდა. მაგრამ მაინც განაგრძობდა, რადგან თავს იმით იმართლებდა, ვალდებული ვარ დავიცვა ქ-ნი არნუ და რაგვარადაც კი შემეძლება გამოვადგეო.

ბალის შემდეგ ერთი კვირა გავიდა და ფრედერიკი ვიზიტად იყო ბ-ნ დამბრეზთან. ფინანსისტმა თავისი ქვანახშირის საწარმოს ოცი აქცია შესთავაზა; ფრედერიკს ვიზიტი აღარ განუმეორებია. დელორიე წერილებს უგზავნიდა, იგი პასუხს არ აძლევდა. პელერენი იწვევდა, მოდი, პორტრეტი ნახეო, იგი ყოველთვის ზრდილობიანად უარობდა, მაგრამ სიზის დაჟინებულ თხოვნას დაუთმო და როზანეტი გააცნო.

ქალი ძლიერ თავაზიანად შეხვდა, გარნა კისერზე არ ჩამოჰკიდებია, როგორც წინათ სჩვეოდა. მისი მეგობარი ბედნიერი იყო, რომ გარყვნილ ქალთან მოხვდა, თანაც შემთხვევა მიეცა ესაუბრა მსახიობთან, რადგან დელმარი იქ იყო.

დრამამ, რომელშიც დელმარი ასრულებდა მდაბიოს როლს, ვინც ჭკუას ასწავლიდა ლუი XIV და 89 წლის რევოლუციას წინასწარმეტყველებდა, ისე თვალსაჩინო გახადა იგი, რომ მისთვის განუწყვეტლად თხზავდნენ ისეთსავე როლებს და მისი ფუნქცია ახლა იყო

მთელი ქვეყნის მონარქების აბუჩად აგდება. ინგლისელი ლუდის მექარხნის როლში იგი აქილიკებდა კარლოს I, სტუდენტ სალამანკის როლში წყევლა-კრულვას უთვლიდა ფილიპე II ანდა მგრძნობიარე მამის როლში გულისწყრომით იხსენიებდა პომპადურს; ეს ყველაფერს სჯობდა! ქუჩის ბიჭები თეატრის კარებთან ელოდებოდნენ ხოლმე, რომ მსახიობი დაენახათ, ანტრაქტებში კი ყიდდნენ მის ბიოგრაფიას, სადაც აწერილი იყო, როგორ ზრუნავდა იგი თავისი მოხუცი დედისათვის, კითხულობდა სახარებას, ეხმარებოდა ღარიბებს, ერთი სიტყვით, ბრუტუსისა და მირაბოს ნაზავი ვინმე, წმინდა ვენსან დე პოლი იყო. ასე იხსენიებდნენ: ჩვენი დელმარიო. ეკისრებოდა მისია, ქრისტე უნდა გამხდარიყო.

ყოველივე ამან როზანეტი მოხიბლა და უდარდელად მოიშორა თავიდან მოხუცი უდრი, რადგან ხარბი არ ყოფილა.

არნუ როზანეტს კარგად იცნობდა, დიდხანს სარგებლობდა მისი ასეთი თვისებით და ცოტას ხარჯავდა მისთვის; მერმე მოხუცი გამოჩნდა და სამივე ერიდებოდა გულახდილ აღსარებას. ახლა არნუს ეგონა, მხოლოდ ჩემი გულისათვის გააგდო მოხუციო, და ხარჯი მოუმატა. მაგრამ იგი სულ უფრო ხშირად თხოულობდა ფულს და ეს მით უფრო გაუგებარი იყო, რომ წინანდელზე ნაკლებ მფლანგველი ჩანდა. ქაშმირის შალიც გაყიდა, რადგან, მისი სიტყვით, სურდა ძველი ვალები გადაეხადა. არნუ კი სულ აძლევდა და აძლევდა; ქალმა მოხიბლა იგი და შეუბრალებლად აძრობდა ტყავს. ამრიგად, ანგარიშები, გადასახდელები წვიმასავით მოდიოდა ამ სახლში. ფრედერიკი გრძნობდა ახლო აღსასრულს.

ერთხელ როგორღაც ქ-ნ არნუსთან შეიარა. იგი შინ არ დაუხვდა. ბ-ნი არნუ კი, როგორც უთხრეს, ქვემოთ, მაღაზიაში მუშაობდა.

და მართლაც, არნუ თავის მოხატულ ლარნაკთა შორის იდგა და ცდილობდა თვალი აეხვია ვიღაც ახალდაქორწინებულთათვის, პროვინციელი ბურჟუაზიული ცოლ-ქმრისათვის. იგი ელაპარაკებოდა სახარატო, საჭურჭლო ხელობაზე, მოხატვასა და მოჭიქვაზე, მყიდველებს კი არ სურდათ თავი უვიცად ეჩვენებინათ, უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ და ყიდულობდნენ.

როცა ისინი წავიდნენ, არნუმ უამბო, დილით ცოლს ვეჩხუბეო. რაკი სურდა თავიდან აეშორებინა მისი შენიშვნა ხარჯების გამო, ირწმუნებდა, როზანეტი ჩემი საყვარელი აღარ არისო.

— მე კიდევაც ვუთხარი, რომ იგი შენი საყვარელია.

ფრედერიკი აღშფოთდა, მაგრამ, საყვედური გამოააშკარავებდა და ამიტომ წაიბუტბუტა:

— აჰ, რა ცუდად მოქცეულხართ, რა ცუდად!

— მერე რა მოხდა? — უთხრა არნუმ. — განა სამარცხვინოა მისი საყვარელი იყო? მე ხომ არ მრცხვენია! განა ეს შენთვის სასიქადულო არ იქნებოდა?

„ნეტავ, თუ ცოლმა უთხრა რამე? იქნებ ეს ქარაგმაა?“ და ფრედერიკმა უმალვე უპასუხა:

— არა! სრულიადაც არა! პირიქით!

— ჰოდა, რა მოხდა?

— დიახ, მართალი ხარ! არაფერია.

არნუმ განაგრძო:

— რატომ აღარ დადიხართ იქ?

ფრედერიკმა აღუთქვა, მოვალო.

— აჰ! კინაღამ დამავიწყდა! რა კარგი იქნებოდა... როზანეტზე საუბარში... ჩემს ცოლს რომ ეტყოდეთ რასმე... არ ვიცი, რას მაგრამ თქვენ მოახერხებთ... ისეთ რამეს, რაც იმას დაარწმუნებდა, რომ თქვენ როზანეტის საყვარელი ხართ. გთხოვ გამიწიო ეს სამსახური. ა? რას იტყვით?

ახალგაზრდა კაცმა პასუხის ნაცვლად სახე ორაზროვნად დამანჭა. ამ ცილისწამებას შეეძლო დაეღუპა იგი. იმ საღამოსვე ინახულა ქ-ნი არნუ და შეჰფიცა, რასაც არნუ ამბობს, სულ ტყუილიაო.

— მართლა?

ფრედერიკი თითქოს გულწრფელი იყო, ქალმა ამოიოხრა და მშვენიერი ღიმილით უთხრა: „მჯერა თქვენი“; მერმე თავი დახარა და თქვა:

— თუმცა თქვენთან ვის რა ხელი აქვს!

„მაშასადამე, ეს ვერაფერს ხვდება და ვეზიზღები, თუ არ-ფიქრობს იმდენად მაინც მიყვარდეს, რომ მისი ერთგული ვიყო!“ ფრედერიკს უკვე დაავიწყდა, რასაც როზანეტისაგან ელოდა, და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო ასეთი მოპყრობით.

შემდეგ ქ-ნმა არნუმ სთხოვა: ხანდახან მიდი ხოლმე „იმ ქალთან“, რომ ნახო, რაც იქ ხდებაო.

არნუ მივიდა ხუთი წუთის შემდეგ. მოისურვა ფრედერიკთან ერთად როზანეტთან წასულიყო.

მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა.

ფრედერიკი ოდნავ გაართო ნოტარიუსის წერილმა, ვისაც მეორე დღეს უნდა გამოეგზავნა მისთვის თხუთმეტი ათასი ფრანკი და, რომ გამოესყიდა თავისი უყურადღებობა დელორიესადმი, მაშინვე გაეშურა ამ სასიამოვნო ამბის შესატყობინებლად.

ადვოკატი ცხოვრობდა სამი მარიამის ქუჩაზე მდებარე სახლის მეექვსე სართულზე, მისი ბინის ფანჯრები ეზოს გადაჰყურებდნენ. მის პატარა ცივ კაბინეტში გაკრული იყო მორუხო შპალერი, იატაკი მოგებული იყო ფილებით; ოთახის მთავარი მორთულობა იყო ოქროს მედალი, რომელიც დოქტორის ხარისხის მისაღებად დაცული დისერტაციისათვის მიეღო, და იგი ხის შავ ჩარჩოში ეკიდა სარკის გვერდით. წითელი ხის საწიგნე კარადაში ეწყო ასამდე წიგნი. ტარსიკონით გადაკრული მაგიდა შუაგულ ოთახში იდგა; კუთხეებში იყო ოთხი ძველი სავარძელი, რომლებსაც გადაკრული ჰქონდა მწვანე ხავერდი; ბუხარში ნაფოტები იწვოდა, მაგრამ იქვე იყო ერთი შეკვრა შეშა, რომელიც შეიძლებოდა ცეცხლისათვის შეეკეთებინა, როგორც კი ზარს ჩამოჰკრავდნენ. ეს იყო მისი მისაღები საათები; ადვოკატმა თეთრი ჰალსტუხი გაიკეთა.

თხუთმეტი ათასი ფრანკის ამბავმა ძლიერ გაახარა (ალბათ, მისი მიღების იმედი გადაწყვეტილი ჰქონდა) და ღიმილით იმეორებდა:

— ეგ კარგია, ჩემო ძმაო, კარგია, ძალიან კარგია!

ცეცხლს შეშა შეუკეთა, კვლავ დაჯდა და მაშინვე გაზეთზე დაიწყო ლაპარაკი. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ჰიუსონეს თავიდან მოშორება.

— გული გააწყალა ამ კრეტინმა! რაც შეეხება გაზეთის მიმართულებას, მე მგონია, ყველაზე სწორი და გონივრული იქნება სულაც არ ექნეს მიმართულება!

ამან ფრედერიკი გააკვირვა.

— ჰო, რა თქმა უნდა! დროა პოლიტიკას მეცნიერული თვალსაზრისით მოვეპყროთ. მეთვრამეტე საუკუნის მოხუცებმა დასაბამი მისცეს, მაგრამ რუსომ და მწერლებმა შიგ შეიტანეს ფილანთროპია, პოეზია და სხვა სისულელეები კათოლიკეთა გასახარელად; თუმცა, ეს კავშირი ბუნებრივია, რადგან უახლეს რეფორმატორებს (შემიძლია დავამტკიცო) ყველას სწამს გამოცხადება. მაგრამ თუ თქვენ აწირვინებთ პოლონეთის ხსნისათვის, თუ დომინიკელთა ღმერთს, რომელიც ჯალათი იყო, ცვლით რომანტიკოსთა ღმერთით, რომე-

ლიც მხოლოდ მღებავია და მეტი არაფერი, თუ, ბოლოს, თქვენი წარმოდგენა აბსოლუტზე უფრო ფართო არ არის, ვიდრე თქვენი წინაპრებისა, მაშინ რესპუბლიკურ ფორმებში ამოიზრდება მონარქია და თქვენი წითელი ჩაჩი მუდამ იქნება ხუცის სკუფია! განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წამების ნაცვლად იქნება ცალკე პატიმრობა, მკრეხელობის ნაცვლად სარწმუნოების წაბილწვა, წმიდა კავშირის ნაცვლად ევროპის თანხმობა და ამ საუცხოო წყობილების დროს, რომელიც საყოველთაო აღტაცებას იწვევს და შექმნილია ლუი მეთოთხმეტის დროინდელი ნამსხვრევებისაგან, ვოლტერისეული ნანგრევებისაგან, იმპერატორის საღებავები რომ ამჩნევია, და ინგლისის კონსტიტუციის ნაფლეთებისაგან, დავინახავთ, როგორ შეეცდებიან მუნიციპალური საბჭოები თავი მოაბეზრონ მერს, გენერალური საბჭოები — თავის პრეფექტს, პალატები — მეფეს, პრესა — ხელისუფალთ, ადმინისტრაცია კი — ყველას ერთად! გარნა კეთილი გუნების ადამიანები აღტაცებული არიან სამოქალაქო კოდექსით, რომელიც, რაც გინდა თქვი, შეთითხნილია მეშჩანური და ტირანული სულისკვეთებით, რადგან კანონმდებელმა, ნაცვლად იმისა, რომ თავისი საქმე აკეთოს, ესე იგი ზნე-ჩვეულებანი მოაწესრიგოს, განიზრახა ააგოს საზოგადოება, თითქოს ვინმე ლიკურგიაო! რატომ ზღუდავს კანონი ოჯახის მეთაურს მემკვიდრეობის საკითხებში? რატომ ეწინააღმდეგება უძრავი ქონების იძულებით განსხვავებას? რატომ სჯის მაწანწალობას როგორც დანაშაულს, თუმცა იგი არსებითად კანონის დარღვევაც კი არ არი? ეს კიდევ ყველაფერი როდია! განა არ ვიცი! მინდა დავწერო ერთი პატარა რომანი სათაურით „მართლმსაჯულების იდეათა ისტორია“, რომელიც სასეირო რამ იქნება! მაგრამ, რა მაგის პასუხია, საშინლად მწყურია! შენა?

ფანჯარაში თავი გაყო და მეკარეს ჩასძახა: ერთი დუქანში წადი და გროგი მომიტანეო.

— საერთოდ, მე მგონია, რომ არის სამი პარტია. არა! სამი ჯგუფი, რომელთაგანაც არც ერთი არ მეპიტნავება: ისინი, ვისაც აქვს რამე, ისინი, ვისაც აღარაფერი არ აქვს და ისინი, ვინც ცდილობს რამე შეიძინოს. მაგრამ ყველანი ერთსულოვანნი არიან ძალაუფლებისადმი სულელურ თაყვანისცემაში! მაგალითები: მაბლი გვირჩევს ავუკრძალოთ ფილოსოფოსებს თავიანთი მოძღვრების გამოქვეყნება: ბატონი ვრონსკი, გეომეტრი, ცენზურას თავის ენაზე

უწოდებს „გონებაჭვრეტით ნიჭის კრიტიკულ აღკვეთას“, მამა ანფანტენი ლოცვა-კურთხევას უთვლის ჰამსბურგებს იმის გამო, რომ „ალპების გადაღმა ხელს უპოტინებენ იტალიის დასათრგუნავად“; პიერ ლერუს სურს, რომ ძალით მოგასმენინოს ორატორი, ლუი ბლანი კი სახელმწიფო რელიგიის მომხრეა, იმდენად შეპყრობილია ყველა ეს ვასალი მართვის წყურვილით! არც ერთი კი არ სცემს პატივს კანონიერებას, მიუხედავად მათი საუკუნეობრივი პრინციპებისა. ხოლო რამდენადაც პ რ ი ნ ც ი პ ი ნიშნავს წ ა რ მ ო შ ობ ა ს, საჭიროა მუდამ იფიქრო რაიმე რევოლუციაზე, ძალადობის აქტზე, რაღაც გარდამავალზე. ამრიგად, ჩვენი პრინციპია ხალხის სუვერენობა, რაც გამოიხატება პარლამენტური ფორმით, თუმცა პარლამენტს ეს არც კი სწამს. მაგრამ რატომ უნდა იყოს ხალხის სუვერენიტეტი ღვთის სამართალზე უფრო წმინდა? ერთიცა და მეორეც ფიქციაა! კმარა მეტაფიზიკა, კმარა ფანტომები! ქუჩების დასაგ

ბინა სტატიები, შეეკვეთა ისინი, უარეყო. თვალები უბრწყინავდ-
სათვალისქვეშ, ღელავდა და ანგარიშმიუცემლად ჭიქას ჭიქაზე
ცლიდა.

— შენ კვირაში ერთხელ სადილი უნდა გამართო ხოლმე. ეს
საჭიროა; შენი შემოსავლის ნახევარიც რომ მოუნდეს! ყველა მო-
სურვებს დაესწროს შენს სადილს, სხვებისათვის ეს გახდება თავ-
შესაყრელი ადგილი, შენთვის კი ბურკეტი და, რაკი საზოგადოებრივ
აზრს თავიდან ბოლომდე წარვმართავთ პოლიტიკით და ლიტერატუ-
რით, რაღაც ექვს თვეში, აი ნახავ, პარიზში თვალსაჩინო ადგილ-
დავიკავებთ.

ფრედერიკი უსმენდა და გრძნობდა, რომ ახალგაზრდავდებოდა,
მსგავსად ადამიანისა, რომელიც ოთახში დიდხანს ყოფნის შემდეგ
სუფთა ჰაერზე გადის. ამხანაგის აღფრთოვანება მასაც გადაედო.

— დიახ, ზარმაცი, სულელი ვიყავი, მართალი ხარ!

— გაგიმარჯოს! — წამოიძახა დელორიემ. — ახლა ვიცნობ ჩემ-
ფრედერიკს!

მერმე მუშტი ნიკაპქვეშ ამოსდო და უთხრა:

— არა, დიდხანს კი მაწვალე! მაგრამ არაფერია! მაინც მიყვარ-
ხარ!

გულაჩუყებულნი იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ, მზად
იყვნენ გადახვეოდნენ ერთმანეთს.

წინკარში ქალის ქუდი გამოჩნდა.

— რამ მოგიყვანა? — ჰკითხა დელორიემ.

ეს იყო მ-ელ კლემანსი, მისი საყვარელი.

ქალმა მიუგო: შენი სახლის ახლოს მივდიოდი, მინდოდა მენა-
ხე და, ერთად რომ გვესაუზმა, აი ტკბილი ნამცხვარი მოვიტანე;
და მაგიდაზე დადო.

— ფრთხილად, მანდ ჩემი ქაღალდებია! — გაჯავრებით თქვა
ადვოკატმა. — გარდა ამისა, აი უკვე მესამეჯერ გიკრძალავ მისა-
ღებ საათებში ჩემთან მოსვლას.

ქალმა საკოცნელად წაიწია.

— კარგი ახლა! მოშორდი! მოუსვი ბაყაყური!

დელორიემ ხელი ჰკრა; ქალი ატირდა.

— აჰ, თავი მომაბეზრე, ბოლოს და ბოლოს.

— მე ხომ მიყვარხარ!

— მე სიყვარულს კი არა, ყურადღებას მოვითხოვ!

ამ სასტიკმა სიტყვებმა ცრემლი შეუწყვიტეს კლემანსს. ფანჯარასთან მივიდა, შუბლი მინას მიადო და დაიკვნესა.

მისი პოზა და დუმილი დელორიეს აჯავრებდა.

— როცა გაათაოთ, უბრძანეთ ეტლი მოგართვან! გესმით?

ქალი მკვეთრად მოტრიალდა.

— მაგდებ?

— სწორედ!

ალბათ, უკანასკნელი მუდარის ნიშნად თავისი დიდრონი ცისფერი თვალები მიაპყრო დელორიეს, მერმე შოტლანდიური თავშალი ჯვარედინად მოიხვია, წუთით შეიცადა და წავიდა.

— დაგებრუნებინა! — უთხრა ფრედერიკმა.

— შენც ერთი!

და დელორიე, რომელიც საქმეზე უნდა წასულიყო, გავიდა სამზარეულოში, საპირფარეშო ოთახის დანიშნულებასაც რომ ასრულებდა. პლიტაზე, წაღებთან ერთად, ინახებოდა მცირე საუზმის ნაშთები, იატაკზე კი, კუთხეში, საბანთან, ერთად შეგრაგნილი ლეიბი ეგდო.

— ეს იმას გვიჩვენებს, რომ ძალიან იშვიათად ვიღებ მარკიზებს! გარწმუნებ, რომ უიმათოდ, და საერთოდ უქალოდ იოლად წახვალ. ისინი, ვინც არაფრად არ ღირს, დროს გართმევენ, ეს კი იგივე ფულია, მხოლოდ სხვა ფორმით; მე ხომ მდიდარი არ ვარ! გარდა ამისა, ისეთი სულელები არიან, ისეთი, რომ... ნუთუ შეგიძლია ქალთან ლაპარაკი?

ახალ ხიდთან დაშორდნენ ერთმანეთს.

— მაშ, გადაწყდა? ხვალ მოიტან ყველაფერს, როგორც კი მიიღებ?

— გადაწყდა! — უთხრა ფრედერიკმა.

მეორე დილით, გაიღვიძა თუ არა, ფოსტით მიიღო თხუთმეტი ათასი ფრანკის ჩეკი.

ეს ნაგლეჯი ქაღალდი წარმოუდგა ფულით სავსე თხუთმეტ დიდ ტომრად და გაიფიქრა: ასეთი დიდი თანხის პატრონს შემეძლო, უწინარეს ყოვლისა, სამი წლის განმავლობაში კიდევ მყოლოდა ცხენები და ეტლი,ნაცვლად იმისა, რომ ახლო მომავალში იძულებული ვარ გავყიდო ისინი, ანდა შემეძინა ორი კომპლექტი ჯავარიანი იარაღი, ვოლტერის სანაპიროზე რომ ვნახე, შემდეგ კიდევ ბევრი რამ: სურათები, წიგნები და... რამდენი თაიგული, საჩუქარი

ქ-ნ არნუსათვის! ერთი სიტყვით, ყველაფერი უკეთესი იქნებოდა, ვიდრე გამებედა და ამდენი ფული დამეკარგა გაზეთში!

დელორიე თავდაჯერებულ კაცად ეჩვენებოდა; უგრძნობლობამ, რაც მან გუშინ გამოიჩინა სიყვარულისადმი, გული გაუგრილა ფრედერიკს, რომელსაც უკვე დაეუფლა სინანული, რომ უეცრად, მისთვის სრულიად მოულოდნელად, არნუ შემოვიდა და მძიმედ, თითქოს რაღაც აწუხებსო, მისი ლოგინის ნაპირზე ჩამოჯდა.

— რა ამბავია?

— დავიღუპე!

იმავე დღეს უნდა შეეტანა ნოტარიუს ბომინეს კონტორაში წმ. ანას ქუჩაზე თვრამეტი ათასი ფრანკი, რაც ვინმე ვანერუასაგან ესესხნა.

— წარმოუდგენელი უბედურებაა! მე ხომ მივეცი გირაო, რასაც ასე თუ ისე უნდა დაემშვიდებინა! მაგრამ მემუქრება გავაპროტესტებო, თუ ფული დღესვე, ახლავე არ მივეცი!

— თუ არ მიეცი?

— მაშინ ყადაღას დამიდებს მთელ უძრავ ქონებაზე. პირველივე განცხადება გამანადგურებს, მორჩა და გათავდა! აჰ, რომ მაშოვნინა ვინმე, ვინც ამ წყეულ თანხას მასესხებდეს, ვანერუას ადგილს დაიკავებდა და... გადავრჩებოდი! შემთხვევით, თქვენ ხომ არ გექნებათ ასეთი თანხა?

— აჰ, ღმერთო ჩემო, არა, ძვირფასო მეგობარო!

მაგრამ ეძნელებოდა უარი ეთქვა არნუსათვის.

— ნუთუ ვერავის მიშოვნით, ვინც დათანხმდებოდა?

— ვერავის! მერმედა, ერთი კვირის შემდეგ კი ფული მექნება. ამ თვის ბოლოს უნდა მომცენ... ორმოცდაათი ათასი ფრანკი.

— ხომ არ შეგიძლიათ სთხოვოთ ცოტა ადრე მოგცენ?

— კი, მაგრამ თქვენ ხომ გაქვთ რაიმე ძვირფასეულობა, ვექსილები?

— არაფერი!

— რა ვქნათ? — უთხრა ფრედერიკმა.

— აი სწორედ მაგ კითხვას ვაძლევ ჩემს თავს, — მიუგო არნუმ. გაჩუმდა, მერმე ადგა და ოთახში ბოლთას სცემდა.

— ჩემთვის ხომ არ მინდა, ღმერთო ჩემო, არამედ ჩემი შვილებისათვის, ჩემი საბრალო ცოლისათვის!

შემდეგ ყოველი სიტყვა გარკვევით გამოთქვა და დასძინა:

— ბოლოს და ბოლოს... ძალას მოვიკრებ.. გუდა-ნაბადს ავიკრავ და წავალ ბედის საძებნელად. არ ვიცი კი სად!

— შეუძლებელია! — წამოიძახა ფრედერიკმა.

არნუმ დამშვიდებული ხმით უპასუხა:

— აბა ახლა პარიზში როგორღა დავრჩე?

ჩამოვარდა ხანგრძლივი დუმილი.

ფრედერიკმა დაიწყო:

— როდის შეგიძლიათ გადაიხადოთ ეს ვალი? არ გეგონოთ, რომ მე მაქვს, პირიქით! მაგრამ შემიძლია ვინახულო ზოგიერთი მეგობარი, მოვახერხო რამ.

და მოსამსახურეს დაუძახა, ჩაცმას შეუდგა. არნუმ მადლობა გადაუხადა.

— თვრამეტი ათასი გესაჭიროებათ, არა?

— ოჰ! თექვსმეტი საკმაო იქნებოდა! ორ-ნახევარ ათასს, სამი ათასს სუფრის ვერცხლეულობაში ავიღებდი, ვანერუა რომ ხვალემდე მადროვებდეს, ვიმეორებ, თქვენ შეგიძლიათ უთხრათ, დაიფიცოთ, რომ ერთი კვირის, შესაძლებელია ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ფულს დაუბრუნებთ. გარდა ამისა, იქნება გირაო. ასე რომ, არავითარი რისკი, გესმით?

ფრედერიკმა დაარწმუნა, მესმის, ახლავე წავალო.

იგი შინ დარჩა და წყევლა-კრულვას უგზავნიდა დელორიეს, რადგან უნდოდა სიტყვაც შეესრულებინა და ამავე დროს არნუსაც დახმარებოდა.

„რა იქნება, რომ დამბრეზს ვთხოვო? მაგრამ რა საბაბით ვთხოვო? მე ხომ, პირიქით, უნდა მივცე ქვანახშირის აქციებისათვის? აჰ, ჯანდაბას მისი აქციები! არაფრის მოვალე არა ვარ!“

და ფრედერიკი აღტაცებული იყო თავისი დამოუკიდებლობით, თითქოს დამბრეზს რაიმე სამსახურზე უარი უთხრაო.

„რა გაეწყობა, — გაიფიქრა შემდეგ, — ამ საქმეში ვკარგავ, თორემ ხომ შემეძლო თხუთმეტი ათასით ასი ათასი მომეგო! ბირჟაზე ზოგჯერ ხდება ხოლმე ასე... ჰოდა ასე, თუ ერთ ვინმეს ხელს არ შეუწყობ, განა ჩემი ნება არ არის... თანაც დელორიეს შეუძლია მოიცადოს! არა, არა ასე არ ვარგა, უნდა წავიდე მასთან!“

საათს დაჰხედა.

„აჰ, სასწრაფო არაფერია! ბანკი მხოლოდ ხუთ საათზე იხურება“.

ხუთის ნახევარზე კი, ფული რომ მიიღო, გადაწყვიტა:

„ახლა უკვე არ ღირს! შინ ვერ მივუსწრებ, საღამოს წავალ!“ — და, ამრიგად, საშუალება მისცა თავს უარი ეთქვა განზრახვაზე, რადგან შეგნებაში ყოველთვის რჩება სოფიზმების ერთგვარი ნასახი და მას ისეთი გემო დაჰკრავს, როგორც ღვინოს.

ბულვარზე გაისეირნა და რესტორანში მარტომ ისადილა. შემდეგ გასართობად „ვოდევილში“ რაღაც პიესის ერთი მოქმედება მოისმინა, მაგრამ ბანკის ბილეთები როგორღაც აწუხებდა, თითქოს მოუპარავსო. არ ინაღვლებდა, რომ დაკარგოდა.

შინ რომ დაბრუნდა, წერილი დახვდა, სადაც შემდეგი ეწერა:

„ახალი რა არის? ჩემი ცოლიც გთხოვს, ძვირფასო მეგობარო, იმ იმედით... და სხვ.

თქვენი“...

და ხელმოწერა.

— მისი ცოლი! მთხოვს!

იმ წამსვე გამოცხადდა არნუ, რათა შეეტყო, იშოვნა თუ ვერა საჭირო თანხა.

— აჰ, წაიღეთ! — უთხრა ფრედერიკმა.

ერთი დღის შემდეგ კი დელორიეს აცნობა:

— ვერაფერი ვერ მივიღე.

ადვოკატი სამჯერ ზედიზედ მივიდა ფრედერიკთან. დაჟინებით სთხოვდა მიეწერა ნოტარიუსისათვის. კიდევაც შესთავაზა, თვითონ წავალ ჰავრსო.

— არა! რა საჭიროა? მე წავალ!

როცა ერთი კვირა გავიდა, ფრედერიკმა გაუბედავად სთხოვა არნუს თავისი ფული.

არნუმ გადახდა ხვალისათვის გადაუდო, შემდეგ ზეგისათვის. ფრედერიკი შინიდან გასვლას მხოლოდ გვიან ღამით ბედავდა, ეშინოდა, დელორიე არ შემხვდესო.

ერთხელ, საღამოს, ვიღაცამ ხელი ჰკრა მოსახვევში, მაგდალინას ეკლესიასთან. ეს იყო დელორიე.

— ფულზე მივდივარ, — უთხრა ფრედერიკმა.

და დელორიემ მიაცილა რომელიღაც სახლამდე პუასონიერის გარეუბანში.

— აქ მომიცადე!

იგი ელოდებოდა. ბოლოს, ორმოცდასამი წუთის შემდეგ, ფრე-

დერიკი არნუსთან ერთად გამოვიდა და ხელით ანიშნა, ცოტა ხანს კიდევ მაცალეო. ფაიანსის ვაჭარმა და მისმა თანამგზავრმა ოტვილის ქუჩა გაიარეს და შემდეგ შაბროლის ქუჩაში შეუხვიეს.

ბნელი ღამე იყო. დროდადრო თბილი ქარი უბერავდა. არნე ნელა მიდიოდა და ლაპარაკობდა სავაჭრო რიგებზე, ხურულ გალერეებზე, სენ-დენის ბულვარიდან რომ გაგრძელდება შატლემდე, ეს იქნება შესანიშნავი საწარმო, რომელშიც ძლიერ სასურველი იქნებოდა მისი მონაწილეობა. ხანდახან რომელიმე მაღაზიასთან შეჩერდებოდა, რათა თვალი მოეკრა გრიზეტებისათვის, და მერმე მსჯელობას განაგრძობდა.

ფრედერიკს ისე ესმოდა დელორიეს ფეხის ხმა, როგორც საყვედური, როგორც სინდისის ქენჯნა. მაგრამ თავისი ფულის მოთხოვნას ხელს უშლიდა ყალბი სირცხვილი, რასაც ერთოდა შიში, ვაითუ არაფერი გამოვიდესო. დელორიე უახლოვდებოდა. ფრედერიკმა გაბედა.

არნუმ მეტად აგდებულად უპასუხა: ვალი ჯერ არ მიმიღია და ამჟამად ფულის მოცემა არ შემიძლიაო.

— მგონია, არ გესაჭიროება?

ამ დროს დელორიე მივიდა და ფრედერიკი განზე გაიხმო:

— პირდაპირ მითხარ, ფული გაქვს თუ არა?

— ჰო, არ მაქვს, — მიუგო ფრედერიკმა, — დავკარგე!

— აჰ, როგორ?

— წავაგე!

დელორიეს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მადლობის ნიშნად თავი ძლიერ დაბლა დახარა და წავიდა. არნუმ ამ შემთხვევით ისარგებლა, თამბაქოს სავაჭროში შევიდა და სიგარი მოსწია. რომ დაბრუნდა, იკითხა, ეს ახალგაზრდა ვინ არისო.

— ისე, მეგობარია ერთი!

შემდეგ, სამიოდე წუთს რომ იარეს, არნუ როზანეტის სახლის კართან შედგა და უთხრა:

— ავიდეთ, თქვენი ნახვა გაუხარდება. რა ველური ვინმე გახდით!

ფარანი, რომელთანაც იდგნენ, სახეს უშუქებდა; თეთრ კბილებში გაჩრილი სიგარი და მხიარული იერი რაღაც აუტანელს ხდიდა მას.

— აჰ, კინაღამ დამავიწყდა: დღეს ჩემი ნოტარიუსი თქვენს ნოტარიუსთან ყოფილა გირაოს თაობაზე, ცოლმა გამახსენა.

— ჭკვიანი ქალია! — უნებურად შენიშნა ფრედერიკმა.

— რა თქმა უნდა!

და არნუმ კვლავ დაუწყო ქება. ჭკუით, გულით, მომჭირნეობით ტოლი არ ჰყავსო. შემდეგ თვალები დაუპაჭუნა და ჩურჩელით უთხრა:

— ახლა მისი ტანი!

— მშვიდობით! — უთხრა ფრედერიკმა.

არნუ შეკრთა.

— ვა! რა მოხდა?

ხელი რომ გაუწოდა, სახეში შეხედა; ფრედერიკის მრისხანე გამომეტყველებამ შეაცბუნა.

ფრედერიკმა მშრალად გაიმეორა:

— მშვიდობით!

მაღლიდან დაგორებულ ქვასავით ჩაირბინა ბრედის ქუჩა; ნაღვლიანი და სასოწარკვეთილი, აღშფოთებული იყო არნუს საქციელით, ფიცს იძლეოდა, აღარც ის ვნახო და აღარც მისი ცოლიო. ნაცვლად იმისა, რომ გაჰყროდა, როგორც თვითონ ელოდა, ქმარი კვლავ აღმერთებდა მას, სულში იძვრენდა. ამ კაცის ვულგარობას მოთმინებიდან გამოჰყავდა ფრედერიკი. მაშასადამე, ყველაფერი ამას ეკუთვნის, მთლად! იგი კვლავ შეხვდა მას ლორეტის ზღურბლზე და დამდურების ნაღველი ერთვოდა საკუთარი უმწეობის ბრაზს. ამასთან არნუს პატიოსნება, გირაოს რომ იძლეოდა, შეურაცხყოფდა მას. ფრედერიკი მზად იყო თავისი ხელით დაეხრჩო იგი, ხოლო მის მწუხარებას ნისლივით დასწოლოდა თავს საკუთარი საძაგლობა - მეგობრისადმი. ცრემლები ახრჩობდა.

დელორიე მოწამეთა ქუჩით მიდიოდა და ისე აღშფოთებული იყო, რომ ხმამაღლა იგინებოდა, რადგან თავისი პროექტი, ვით დამხობილი ობელისკი, ახლა რაღაც არაჩვეულებრივი ეჩვენებოდა. ასე ეგონა, გამქურდეს, უდიდესი ზარალი მომაყენესო. მეგობრობის გრძნობა ფრედერიკისადმი მოკვდა და ეს ახარებდა, სამაგიეროს უზღავდა! მდიდრებისადმი სიძულვილმა შეიპყრო. სენეკალის შეხედულებანი გაიზიარა და სიტყვა მისცა თავს, კვლავაც მათ მივსდიოო.

ამასობაში არნუ მშვენივრად მოკალათებულიყო ღრმა სავარძელში ბუხართან და ჩაის მიირთმევდა, როზანეტი კი მუხლებზე ეჯდა.

ფრედერიკი მათთან აღარ წასულა, ხოლო თვისი დამლუპველი ვნება რომ განექარვებინა, ხელი ჩასჭიდა პირველ რამეს, რაც თავში მოუვიდა, და, გადაწყვიტა დაეწერა „აღორძინების ხანის ისტორია“. უთავბოლოდ დაახვავა მაგიდაზე ჰუმანისტების, ფილოსოფოსების, პოეტების თხზულებანი; დადიოდა ესტაფეტების კაბინეტში, რათა დაეთვალიერებინა მარკ ანტუანის გრავიურები; ცდილობდა ჩასწვდომოდა მაკიაველის. დამშვიდებულმა მუშაობამ ნელ-ნელა დააწყნარა. სხვათა პიროვნებას რომ სწავლობდა, თავისას ივიწყებდა, რაც, მგონი, ტანჯვისაგან განთავისუფლების ერთადერთი საშუალებაა.

ერთხელ, როცა დამშვიდებული აკეთებდა ამონაწერებს, მოსამსახურემ მოახსენა, ქ-ნი არნუ მობრძანდაო.

სწორედ ის იყო! მარტო? არა! ხელიხელჩაკიდებული მოჰყავდა პატარა ეჟენი, თეთრწინსაფრიანი ძიძა კი უკან მოდიოდა. ქ-ნი არნუ დაჯდა, ჩაახველა და უთხრა:

— დიდი ხანია ჩვენთან არ ყოფილხართ!

ფრედერიკმა თავის გასამართლებლად ვერაფერი თქვა და ქალმა დასძინა:

— ეს თქვენი თავაზიანობაა!

ფრედერიკმა ჰკითხა:

— რა თავაზიანობა?

— ის, რაც არნუსათვის გააკეთეთ! — უთხრა ქალმა.

ფრედერიკმა მხრები აიჩეჩა, რაც ნიშნავდა:

„იმასთან რა საქმე მაქვს! თქვენთვის გავაკეთე!“

ქალმა ბავშვი და ძიძა სასტუმრო ოთახში გაგზავნა, იქ ითამაშეთო.

მარტო რომ დარჩნენ, ორიოდე კითხვა მისცეს ერთმანეთს, როგორ ხართო, და საუბარი ამოიწურა.

ქალს ეცვა მიხაკისფერი აბრეშუმის კაბა, ფერით რომ ესპანურ ღვინოს მოგაგონებდათ, და კვერნის ბეწვით მორთული შავი ხავერდის პალტო; გინდოდა ხელი გადაგესვა ამ ბეწვეულისათვის, ხოლო გრძელ, სადად დავარცხნილ თმას ტუჩით შეხებოდი. მაგრამ ქალს რაღაც აღელვებდა და აწუხებდა; იგი კარისაკენ მიბრუნდა და თქვა:

— აქ ცოტა ცხელა!

ფრედერიკი გამოხედვაზე მიუხვდა გამოუთქმელ აზრს:

— ბოდიში, კარი მხოლოდ ოდნავ მიხურულია.

— აჰ! მართალია! — და გაიღიმა, თითქოს უნდოდა ეთქვა: მე არაფრის არ მეშინიაო.

ფრედერიკმა მაშინვე ჰკითხა, რაზე მობრძანებულხართო.

— ჩემმა ქმარმა, — ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, — მთხოვა შემომეევლო, რაკი თვითონ ვერ გაბედა.

— მერმე რატომ?

— თქვენ იცნობთ ბატონ დამბრეზს, არა?

— დიახ, ოდნავ!

— აჰ! ოდნავ!

და გაჩუმდა.

— მერე რა? განაგრძეთ.

და უამბო, რომ ამ სამი დღის წინათ ქმარმა ბანკირს ვერ გაუნაღდა ოთხი ათასი ფრანკის ვექილები, რომლებსაც თავის დროზე ხელი მოაწერა. ვნანობ, ბავშვების ქონებას საფრთხე შევუქმენიო, მაგრამ უსინდისობას ყველაფერი სჯობიაო, და თუ ბატონი დამბრეზი პროტესტს შეაჩერებს, რა თქმა უნდა, მალე ყველაფერს გადავიხდით, რადგან ვაპირებ შარტრში ჩემი სახლის გაყიდვასო.

— საბრალო ქალო! — წაიბუტბუტა ფრედერიკმა. — კარგი, წავალ. იქონიეთ ჩემი იმედი.

— გმადლობთ!

ქალმა წასვლა დააპირა.

— ო! რა გეჩქარებათ?

ქალი იდგა და ათვალიერებდა ჭერზე დაკიდებულ მონღოლურ ისრებს, წიგნის კარადებს, ყდებს, საწერ ხელსაწყოებს; ასწია ბრინჯაოს ფინჯანი, რომელშიც კალმები ეყარა; ფეხებს ნელინელ ინაცვლებდა ხალიჩაზე. ფრედერიკისას რამდენჯერმე ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ქმართან ერთად. ახლა მარტონი იყვნენ, მის საკუთარ სახლში; ეს იყო არაჩვეულებრივი ამბავი, თითქმის სამიჯნურო თავგადასავალი.

მისი ბაღის ნახვა ისურვა; ფრედერიკმა მკლავი გაუყარა და აჩვენა მთელი თავისი შამული, ოცდაათი წყრთა მიწის ნაკვეთი, რომელსაც ყოველ მხრივ ერტყა სახლები, კუთხეებში ჩარგული იყო ხეები, შუაგულში კი ყვავილები.

აპრილის პირველი დღეები იყო. იასამანი უკვე ამწვანებულიყო.

ქროდა სუფთა ნიავი, ჭიკჭიკებდნენ ფრინველები, რომლებსაც ეტლების სახელოსნოდან მჭედლის ჩაქუჩის ცემა ეხმიანებოდა.

ფრედერიკმა ბუხრის პატარა ნიჩაბი მოიტანა და, სანამ ისინი ბაღში სეირნობდნენ, ბავშვი ხეივნებში სილას აგროვებდა.

ქ-ნი არნუ ამბობდა: ჩემი ბიჭი დიდი ოცნების პატრონი არ იქნება, მაგრამ ხასიათი კი თვინიერი აქვს. მის დას, პირიქით, რაღაც თანდაყოლილი სიმშრალე სჩვევია, რაც დედისათვის ზოგჯერ საწყენია.

— ეგ არაფერია, გაივლის, — უთხრა ფრედერიკმა. — გული არასოდეს არ უნდა გაიტეხო.

ქალმა გაიმეორა:

— გული არასოდეს არ უნდა გაიტეხო!

ეს უნებურად განმეორებული სიტყვები ფრედერიკს გამხნევების ნიშნად ეჩვენა; მოწყვიტა ვარდი, ბაღში რომ ერთადერთი იყო და:

— გახსოვთ... ვარდების თაიგული ერთხელ, საღამოს, ეტლში?

ქალი ოდნავ წამოწითლდა და ხუმრობის მაგვარი სინანულის ხმით უთხრა:

— აჰ! მაშინ ძლიერ ახალგაზრდა ვიყავი!

— ამასაც, — წყნარი ხმით განაგრძო ფრედერიკმა. — იგივე ბედი ეწვევა?

ვარდის ღერო თითებში ისე დაატრიალა, როგორც ძაფი ჯარაზე და უთხრა:

— არა! ამას შევინახავ!

თვალით ანიშნა ძიძას, რომელმაც ბავშვი ხელში აიყვანა; ქუჩაში რომ გადიოდა, ქ-ნმა არნუმ ზედ ზღურბლზე დაყნოსა ყვავილი, თავი განზე გადახარა და თვალი მიაპყრო ნაზი, როგორც ამბორი.

კაბინეტში რომ დაბრუნდა, ფრედერიკი დააცქერდა საავარძელს, სადაც ქალი იჯდა, ნივთებს, რომლებსაც იგი შეეხო. მისგან დარჩენილი რაღაც დაქროლავდა გარშემო. მისი მოტანილი ალერსი კიდევ ცოცხლობდა.

— მაშასადამე, იგი აქ იყო! — იმეორებდა თავისთვის.

და დაუსრულებელი სინაზის ტალღამ შემოუტია.

მეორე დღეს, თერთმეტ საათზე, ბ-ნ დამბრეზისას გამოცხადდა. სასადილო ოთახში მიიღეს. ბანკირი ცოლის პირდაპირ იჯდა და საუზმობდა. ცოლის გვერდით იყო ქმრის დისწული, მეორე

მხარეზე კი ყვავილით სახედაკენკილი ინგლისელი გუვერნანტი ქალი.

ბ-ნმა დამბრეზმა თავისი ახალგაზრდა მეგობარი საუზმეზე მიიწვია და, როცა მან უარი განაცხადა, ჰკითხა:

— რით შემიძლია სასარგებლო ვიყო? გისმენთ.

ფრედერიკი ვითომ გულგრილად გამოტყდა, რომ ვინმე არნუსათვის სათხოვნელად მივიდა.

— აჰ! აჰ! სურათების ყოფილი ვაჭარი, — უხმო სიცილით თქვა ბანკირმა და ღრძილები გამოაჩინა. — წინათ მას უდრი თავმდებობდა; ახლა უბრად არიან.

და დაიწყო ჟურნალ-გაზეთების თვალიერება, იქვე რომ ედო სუფრაზე.

ემსახურებოდა ორი ლაქია, უხმაუროდ რომ დადიოდა პარკეტზე. და ამ ოთახის სიმაღლე, სამი მოქარგული პორტიერი და თეთრი მარმარილოს ორი აუზი, კრიალა კომფორები, თვით საუზმის გაწყობა, გაკრახმალებული ხელსახოცების ნაკეცებიც კი, მთელი ეს დიდებული კეთილდღეობა ფრედერიკის თვალში წარმოადგენდა სხვა საუზმის კონტრასტს, არნუებისას რომ ენახა

დიასახლისს მისი შეცბუნება არ გამოპარვია.

— ხვდებით თუ არა ჩვენს მეგობარ მარტინონს?

— დღეს საღამოს ჩვენთან იქნება, — უმალვე დასძინა ახალგაზრდა ქალმა.

— აჰ! შენ უკვე იცი? — ჰკითხა ბიცოლამ და ცივი თვალი მიაშტერა.

ერთ-ერთი ლაქია დიასახლისის ყურთან დაიხარა და რაღაც უთხრა.

— შენი მკერვალი, ჩემო შვილო!.. მის ჯონი!

და მორჩილი გუვერნანტი თავის აღსაზრდელთან ერთად გავიდა.

ბ-ნმა დამბრეზმა, გადადგმული სკამების ხმაურმა რომ გამოაფხიზლა, იკითხა, რა ამბავიაო.

— ქ-ნი რეჟემბერი მოვიდა.

— როგორ? რეჟემბარი! გამიგონია ეს გვარი. მინახავს ასეთი ხელმოწერა.

ფრედერიკი, ბოლოს, საქმეს შეუდგა; არნუ დახმარების ღირ-

სია: ვალდებულების შესრულების ერთადერთი მიზნით მეუღლის სახლის გაყიდვასაც კი აპირებს.

— ძალიან ლამაზი ქალის სახელი აქვს გავარდნილი, — თქვა ქ-ნმა დამბრეზმა.

ბანკირმა გულუბრყვილოდ დასძინა:

— თქვენ მათი მეგობარი ხართ... გულითადი?

ფრედერიკმა პირდაპირ არ უპასუხა, უთხრა მხოლოდ: ძლიერ დამავალებთ, თუ მიიღებთ მხედველობაში...

— რა გაეწყობა, თუკი თქვენთვის სასიამოვნოა! დაე, აგრე იყოს! შეიძლება მოვიცადოთ! დრო კიდევ მაქვს! ქვემოთ ხომ არ ჩავიდეთ ჩემს კონტორაში, გინდათ?

საუზმე გათავდა; ქ-ნმა დამბრეზმა თავი დაუქნია და უცნაურად გაუღიმა, რაც ალსავსე იყო თავაზით და ამავე დროს ირონიით. ფრედერიკმა ამაზე დაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, რადგან ბ-მა დამბრეზმა, როგორც კი მარტოდ დარჩნენ, ჰკითხა:

— თქვენი აქციები ხომ არ წაგიღიათ?

და ბოდიშის მოხდაც კი არ აცალა:

— კარგი! კარგი! საჭიროა რამდენადმე უკეთ გაიცნოთ საქმე.

მერმე პაპიროსი მიაწოდა და უამბო:

„დაარსდა საფრანგეთის ქვანახშირის მაღაროების დამმუშავებელი გენერალური კავშირი. ელოდებიან მხოლოდ წესდების დამტკიცებას. კომპანიების გაერთიანება უკვე ამცირებს კონტროლისა და მუშახელის ხარჯს, ადიდებს მოგებას. გარდა ამისა, კომპანიამ გადაწყვიტა საქმეში შეიტანოს სიახლე: საწარმოს მოგებით დააინტერესოს მუშები. კომპანია მათ აუგებს ჯანსაღ საცხოვრებელ სახლებს; მოსამსახურეთა მომმარაგებელი იაფად მიაწვდის მათ ყველაფერს“.

— და ისინი მოგებული დარჩებიან, ბატონო ჩემო, აი სად არის ნამდვილი პროგრესი! ეს არის ძლევამოსილი პასუხი ზოგიერთ რესპუბლიკურ ყვირილზე! ჩვენს საბჭოში შემოდიან, — და ამოიღო პროსპექტი, — საფრანგეთის პერი, ერთი მეცნიერი ინსტიტუტიდან, ერთი გადამდგარი ინჟინერ-გენერალი, ცნობილი პირები! ასეთი ელემენტები ამშვიდებენ მშიშარა აქციონერებს და იზიდავენ ჭკვიანებს. კომპანია მიიღებს სახელმწიფო შეკვეთებს, მოამარაგებს რკინიგზებს, გემებს, მეტალურგიულ საწარმოებს, გა-

ზის ქარხნების მუშათა სამზარეულოებს. ასე რომ, ჩვენ ვათბობთ, ჩვენ ვანათებთ, ჩვენ ვუახლოვდებით ყველაზე მოკრძალებულ ოჯახურ კერას. მაგრამ როგორ მოახერხებთ გასაღების უზრუნველყოფასო, იკითხავთ თქვენ. მფარველობითი კანონების დახმარებით, ჩემო ძვირფასო, და მათ კი ჩვენ მოვიპოვებთ: ეს ჩვენი საქმეა. თუმცა, მე ამკრძალავი სისტემის აშკარა მომხრე ვარ! საკუთარი ქვეყანა უწინარეს ყოვლისა!

ბ-ნი დამბრეზი არჩეულია დირექტორად, მაგრამ დრო არ ჰყოფნის სხვადასხვა წვრილმანისათვის, სხვათა შორის მოხსენებათა დასაწერად.

— მე ოდნავ ვერ ვეგუები კლასიკოსებს, დამავიწყდა მართლწერა! მესაჭიროება ვინმე ისეთი... ვინც ჩემს აზრებს ჩამოაყალიბებდა.

და უეცრად:

— ხომ არ გნებავთ ასეთი კაცი იყოთ და მიიღოთ გენერალური მდივნის სახელწოდება?

ფრედერიკმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

— ჰოდა, ხელს ვინ შეგიშლით?

მისი მოვალეობა იქნება ყოველწლიურად ანგარიშის შედგენა აქციონერებისათვის. განუწყვეტელი ურთიერთობა ექნება პარიზის ყველაზე გავლენიან ადამიანებთან. როგორც კომპანიის წარმომადგენელი, რა თქმა უნდა, მუშების სიყვარულს დაიმსახურებს, ეს კი შემდეგში შესაძლებლობას მისცემს მოხვდეს გენერალურ საბჭოში, გახდეს დეპუტატი.

ფრედერიკს ყურებში უწიოდა: საიდან არის ასეთი კეთილგანწყობილება? დიდ მადლობას იხდიდა.

მაგრამ, როგორც ბანკირმა უთხრა, არავისზე დამოკიდებული არ უნდა გაჰხდარიყო. საუკეთესო საშუალებაა აქციების შეძენა, რადგან ისინი წარმოადგენენ „ფულის მშვენიერ დაბანდებას, რამდენადაც თქვენი კაპიტალი უზრუნველყოფს თქვენს მდგომარეობას, თქვენი მდგომარეობა კი კაპიტალია“.

— როგორი უნდა იყოს დაახლოებით თანხა? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— ღმერთო ჩემო! როგორიც გნებავთ, ვფიქრობ, ორმოცი-სამოცი ათასი.

ეს თანხა ბ-ნ დამბრეზისათვის ისე მცირე, მისი ავტორიტეტი

კი ისე დიდი იყო, რომ ფრედერიკმა დაუყოვნებლივ გადაწყვიტა გაეყიდა ერთ-ერთი თავისი ფერმა. მან მიიღო წინადადება. ბ-ნ დამბრეზს ამ დღეებში უნდა დაენიშნა შეხვედრა, რათა საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ.

— მაშ, შემიძლია ვაცნობო ყაკ არნუს?..

— ყველაფერი, რაც გნებავთ! ოჰ, საბრალო! ყველაფერი რაც გნებავთ!

ფრედერიკმა ცოლ-ქმარ არნუს მისწერა: შეგიძლიათ დამშვიდდეთო; ეს წერილი მსახურს გაატანა, რომელსაც უთხრეს:

— ძალიან კარგი!

ხოლო ფრედერიკი მეტის ღირსი იყო ამ საქმის გამო. იგი მოელოდა ვიზიტს ან, სულ მცირე, წერილს. ვიზიტი არ გაუკეთეს. არავითარი წერილი არ მოსწერეს.

ეს გულმავიწყობა იყო მათი მხრით თუ განზრახ ჩაიდინეს? თუ-კი ქ-ნი არნუ ერთხელ მოვიდა მასთან, ახლა რა უშლის, რომ კვლავ მოვიდეს?

მაშასადამე, ის ბუნდოვანი ქარაგმა, ის აღიარება, რაც მისგან მოისმინა, მხოლოდ ანგარებით იყო გამოწვეული? „ნუთუ დამცინეს? ნუთუ ისიც მხარს უბამს ქმარს?“ უცნაური მორცხვობა, მისი სურვილის წინააღმდეგ, უშლიდა ხელს მისულიყო მათთან.

ერთხელ დილით (მათი მოლაპარაკების სამი კვირის შემდეგ) ბ-ნა დამბრეზმა მისწერა, ერთ საათში გელოდებიო.

გზაში კვლავ არ ასვენებდა ცოლ-ქმარ არნუზე ფიქრი და, რაკი არ შეეძლო მიმხვდარიყო, რამ გამოიწვია მათი საქციელი, წუხდა, ავი წინათგრძნობა ჰქონდა. ასეთი გუნების განსაქარვებლად კაბრიოლეტს დაუძახა და უბრძანა, პარადის ქუჩაზე წამიყვანეო.

არნუ ქალაქში არ იყო.

— ქალბატონი კი?

— სოფლადაა, ქარხანაშია!

— ბატონი როდის დაბრუნდება?

— ხვალ, უსათუოდ!

„მარტოს ვნახავ. შემთხვევა ხელს მიწყობს“. თითქოს ვიღაც მბრძანებლურად ეძახდა: „წადი!“ კი, მაგრამ ბ-ნი დამბრეზი? „პო, არაფერია! ვეტყვი, ავად ვიყავი-მეთქი!“ სადგურისაკენ გაეშურა. შემდეგ, უკვე ვაგონში, გაიფიქრა: „იქნებ სწორად არ ვიქცევი? აჰ, სულ ერთია!“

მარჯვნივ და მარცხნივ ამწვანებული ველები გაჰიმულიყვნენ; ჰატარებელი მიჰქროდა; სასადგურო შენობები განზე რჩებოდა, როგორც დეკორაციები, ორთქლმავლის კვამლი კი მძიმე ფანტელებად ეფინებოდა სულ ერთსა და იმავე მხარეზე, ჯერ ბალახის თავზე ფარფატებდა, მერმე კი იცარებოდა.

ფრედერიკი იჯდა და ყოველივე ამას მოწყენილობის გამო ისე გულგრილად უცქეროდა, რასაც მეტისმეტი დაძაბულობა იწვევს ხოლმე. მაგრამ აი გამოჩნდა ამწეები, საწყობები. ეს კრეილი იყო.

ამ ქალაქში, რომელიც გაშენებული იყო ორი დაბალი გორაკის კალთებზე (ერთი მათგანი შიშველი იყო, მეორის მწვერვალი კი შემოსილი იყო ტყით), მის საეკლესიო კოშკში, უსწორმასწორო სახლებში, ქვიტკირის ხიდში, როგორც ფრედერიკს ეჩვენებოდა, დასადგურებული იყო რაღაც მხიარული, მოკრძალებული და კეთილი რამ. მდინარეში ნავი მოდიოდა, ქარი წყალს აჩქროლებდა. ჯვარცმის კვარცხლბეკთან ქათმები იჩხრიკებოდნენ; გაიარა ქალმა, თავზე რომ კალათით სველი სარეცხი შემოედგა.

ფრედერიკმა ხიდი გაიარა და გავიდა კუნძულზე, სადაც მარჯვნივ მონასტრის ნანგრევები მოჩანდა. ბრუნავდა წისქვილი, მდინარე უაზის მეორე ტოტი რომ ვთლად გადაეხიდა, ნაპირზე კი აგებული იყო ქარხნის შენობა. დიდმა ნაგებობამ მეტად გააკვირვა ფრედერიკი. უფრო მეტი პატივისცემა იგრძნო არნუსადმი. სამი ნაბიჯი კიდევ გადადგა და შევიდა შუკაში, რომელიც რკინის მოაჯირით მთავრდებოდა.

ფრედერიკი შიგ შევიდა, მეკარე ქალმა მოაძახა, დაბრუნდიო.

— საშვები გაქვთ?

— რისთვის?

— ფაბრიკაში შესასვლელად!

ფრედერიკმა უხეშად მიუგო, ბ-ნ არნუსთან მივდივარო.

— ეგ ვინ ბატონი არნუა?

— ვინ და, უფროსი, პატრონი, მფლობელი, ერთი სიტყვით!

— არა, ბატონო, ეს არის ბატონ ლებეფისა და მილიეს ფაბრიკა!

დედაბერმა, ალბათ, იხუმრა. მუშები გამოვიდნენ. ფრედერიკმა ორ, თუ სამ მათგანს მიმართა; მათაც იგივე უთხრეს.

ფრედერიკი ეზოდან ბორძიკით გამოვიდა, თითქოს მთვრალიაო, და ისე აბნეული იყო, რომ ბუშერის ხიდზე ერთმა კაცმა, ჩი-

ბუხს რომ ეწეოდა, ჰკითხა, ხომ არაფერს ეძებო. ამ კაცმა იცოდა არნუს ფაბრიკა. იგი მონტატერში იყო.

ფრედერიკი ეტლს ეძებდა, მისი შოვნა კი მხოლოდ ვაგზალთან შეიძლებოდა. იგი იქით გაბრუნდა. საბარგო სალაროსთან ერთი დანჯღრეული ეტლი იდგა, რომელშიც ჯახრაკი ება. ფაგლეჯილი აკაზმულობა რომ ზედადგრებზე დაჰკიდებოდა.

ბიუმა უთხრა, „ძია პილონს“ მე მოგიყვანო. როცა დაბრუნდა, განაცხადა, ძია პილონი საუზმობსო. ფრედერიკს მოთმინება დაეკარგა და ფეხით წავიდა, მაგრამ გადასასვლელზე დაშვებული იყო შლაგბაუმი. ლოდინი მოუხდა, სანამ ორი მატარებელი გაივლიდა. ბოლოს მინდორში გავიდა.

თავისი ერთფეროვანი სიმწვანით იგი უზარმაზარი ბილიარდის მაუდს მოგაგონებდა. გზის გაყოლებით, ორივე მხარეზე ქვიშის გროვებივით ეყარა რკინის წიდა. ცოტა მოშორებით, ერთმანეთის ახლოს, ბოლავდა ქარხნების საკომურები. პირდაპირ წინ მრგვალ გორაკზე აღმართულიყო პატარა ციხედარბაზი კოშკებით და ოთხკუთხა სამრეკლოთი. ქვემოთ, ხეებში, უსწორო ხაზებად აღმართულიყო გრძელი კედლები, ხოლო სულ ქვემოთ სოფელი იყო.

სახლები ერთსართულიანია, თითოეულს აქვს სამსაფეხურიანი კიბე, რომელიც გამოკვეთილია მთლიანი ქვისაგან, უცემენტოდ. ხანდახან რომელიმე დუქნიდან მოისმოდა ზარის წკარუნი. შავ ტალახში დარჩენილიყო ვიღაცის დიდრონი ფეხების ნაკვალევი, ჟინჟღლავდა, რუხი ცა დაფარული იყო უთვალავი შტრიხით.

ფრედერიკი ქვაფენილს გაუყვა. ბოლოს, მოსახვევში, მარცხნივ დაინახა დიდი ხის თალი, რომელსაც ოქროს ვარაყით ეწერა: „ფაიანსი“.

ეკ არნუ განზრახ დამკვიდრდა კრეილის ახლოს: თავისი ქარხანა ააგო რაც შეიძლება ახლოს მეორესთან (რომელსაც დიდი ხანია კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი) და ვარაუდობდა, ხალხი მათ ერთმანეთში აურევს ჩემ სასარგებლოდო.

შენობის მთავარი კორპუსი იდგა პატარა მდინარის პირას, მდელოს რომ სერავდა. პატრონის სახლი ბაღში იყო ჩაფლული და გამოირჩეოდა თავისი წინკარით, რომელსაც ამშვენებდა ოთხი კაქტუსიანი ლარნაკი. თეთრი თიხის გროვა ფარდულში შრებოდა: ზოგი კიდევ პირდაპირ გარეთ ეყარა, შუაგულ ეზოში კი იდგა სე-

ნეკალი, რომელსაც თავისი უცვლელი წითელსარჩულიანი ლურჯი პალტო ეცვა.

ყოფილმა რეპეტიტორმა ფრედერიკს ხელი ცივად გაუწოდა.

— პატრონი გნებავთ? შინ არ გახლავთ.

ფრედერიკი შეცბა და სულელურად უპასუხა:

— ვიცი.

მაგრამ მყისვე დასძინა:

— მე ისეთ საქმეზე, ვარ, რომელიც ქალბატონ არნუს ეხება. შეუძლია თუ არა მიმიღოს?

— აჰ! აგერ სამი დღეა, არ ვინახავს, — მიუგო სენეკალმა.

და მოჰყვა წუწუნს: ფაბრიკანტის პირობებს რომ დავეთანხმე, მეგონა, პარიზში ვიცხოვრებდი და არა ამ ყრუ ადგილას. მეგობრებს მოშორებული, უგაზეთოდ. რას იზამ! ამასაც შევეჩვიდი. მაგრამ, ჩანს, არნუ არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩემს ინტერესებს. თანაც ჭკუამოკლეა, რეტროგრადი და იშვიათი უვიცია. ბაკვლად იმისა, რომ მხატვრულ სრულყოფას ვესწრაფვოდეთ. უმჯობესი იქნებოდა შემოგვეღო ქვანახშირითა და გაზით გათბობა. ბუჟუამ შეტოპა. სენეკალმა ეს სიტყვა აიჩემა. მოკლედ, მუშაობა მას არ მოსწონს.

სენეკალმა თითქმის მოსთხოვა ფრედერიკს, ორიოდე სიტყვა შემაწიე, ხელფასი მომიმატოსო.

— დამშვიდებული იყავით! — უთხრა ფრედერიკმა.

კიბეზე არავინ არ შეხვედრია. მეორე სართულზე რომ ავიდა, ფრედერიკმა ცარიელ ოთახში შეიხედა; ეს სასტუმრო ოთახი იყო. ხმამაღლა დაიძახა. არავინ არ უპასუხა; ალბათ, მზარეული შინ არ იყო, არც მოსამსახურე ქალი. ბოლოს, მესამე სართულზე რომ ავიდა, კარს ხელი ჰკრა. ქ-ნი არნუ მარტო იყო. სარკიან კარადასთან იდგა. კაპოტის შეხსნილი სარტყელი თეძოებზე ეკიდა. შავი თმა ნაკადულივით დაჰკიდებოდა მარჯვენა მხარზე, ორივე ხელი კი აწეული ჰქონდა: ცალით ნაწნავი ეჭირა, მეორეთი კი საჰერს უყრიდა შიგ. ერთბაშად შეჰკივლა და მიიმალა.

გულდასმით ჩაცმული დაბრუნდა. მისმა ტანმა, თვალებმა, კაბის შრიალმა, ყველაფერმა მოხიბლა ფრედერიკი. თავს იკავებდა, რომ არ გადაეკოცნა.

— ბოდიში, — წყნარად წარმოთქვა, — მაგრამ არ შემეძლო...

ფრედერიკს ეყო გამბედაობა, რომ სიტყვა შეეწყვეტინებინა.

— ისეთი კარგი იყავით... წელან...

ეს ქათინაური, ალბათ. რამდენადმე ტლანქი ეჩვენა: ლაწვები წამოუწითლდა. ვაჟს შეეშინდა, ხომ არ ვაწყენინეო. ქალმა კი ჰკითხა:

— რა ბედნიერმა შემთხვევამ მოგიყვანათ აქ?

არ იცოდა, რა ეპასუხა; ჩაეცინა. ცოტა დრო მოიგო, რომ დაფიქრებულიყო, და მერმე უთხრა:

— რომ ვთქვა, დამიჯერებთ?

— რატომაც არა?

ფრედერიკმა უამბო, გუშინლამ საშინელი სიზმარი ვნახეო.

— მეზმანა, ვითომ ძლიერ ავად, სიკვდილის პირად იყავით.

— ოჰ, არც მე და არც ჩემი ქმარი არასოდეს ავად არ ვართ!

— მე მხოლოდ თქვენ მესიზმრეთ, — უთხრა მან.

ქალმა მშვიდად შეხედა:

— სიზმრები ყოველთვის როდი ახდება ხოლმე.

ფრედერიკმა რაღაც წაიბუტბუტა და სიტყვებს დაუწყო ძებნა; ბოლოს საუბარი გაიბა სულის ნათესაობაზე: არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შორიდანაც კი შეუძლია დააკავშიროს ორი ადამიანი; იგი საშუალებას აძლევს თითოეულ მათგანს გაიგოს ის, რასაც მეორე გრძნობს, და ხელს უწყობს მათ შეერთდნენ.

იგი თავდახრილი უსმენდა და იღიმოდა თავისი მშვენიერი ღიმილით. სიხარულით აღსავსე ვაჟი კი შეპარვით უცქეროდა და უფრო თავისუფლად გამოთქვამდა თავის გრძნობას. ქალმა შეუთავაზა, ფაბრიკა დავათვალიეროთო. და რაკი დაჟინებით მოითხოვდა, იგი დათანხმდა.

ჯერ, რათა იგი რითიმე დაეინტერესებინა, რაღაც მუზეუმის მსგავსი რამ აჩვენა, კიბეს რომ ამშვენებდა. ნაკეთობათა ნიმუშები, კედლებზე რომ ეკიდა ან თაროებზე ელაგა, არნუს მეცადინეობასა და მისი მიდრეკილების ცვალებადობას მოწმობდნენ. დიდი ცდის შემდეგ ეპოვნა ჩინური წითელი საღებავი, იწყებდა მაიოლიკის, ეტრუსკული და აღმოსავლური სტილის ნივთების წარმოებას, იტალიური ფაიანსის მიბაძვას, ბოლოს ცდილობდა მოეხდინა რამდენიმე გაუმჯობესება, რაც მხოლოდ შემდეგში შეძლო. აი, ამიტომ ნაკეთობათა შორის იყო დიდრონი ვაზები, რომლებზეც ჩინელი მანდარინები ეხატა, მოწითალო-მიხაკისფერი ჯამებიც, ოქროვანი ციალი რომ დაჰკრავდა, არაბული წარწერებით მორთული

ქოთნებიც, აღორძინების სტილის სურებიც და ფართო თეფშებიც, რომლებზეც ორი ადამიანი იყო გამოხატული, ნაზად და ჰაეროვნად. ახლა იგი ამზადებდა ასოებს აბრებისათვის, ეტიკეტებს ღვინოებისათვის, მაგრამ, რაკი იმდენად დიდი ჭკუის არ იყო, რომ ნამდვილ ხელოვნებამდე ამაღლებულიყო, და არც იმდენად უხამსი, რომ მხოლოდ მოგებას გამოკიდებოდა, ვერავის ვერ აკმაყოფილებდა, თვითონ კი კოტრდებოდა. სანამ ისინი ამ ნივთებს ათვალიერებდნენ, ახლოს მ-ელ მართამ გაიარა.

— განა ბ-ნ მოროს ვერ იცნობ? — ჰკითხა დედამ.

— როგორ არა! — მიუგო მან და ფრედერიკს მიესალმა; მისი ცქერა კი, ქალწულებრივი, ნათელი და ეშვისამღები ცქერა, თითქოს ჩურჩულებდა: „შენ აქ რა გინდა?“ მერმე, ოდნავ განზე თავგადახრილი, ზემო სართულში წავიდა.

ქ-მა არნუმ ფრედერიკი ეზოში გაიყვანა, სერიოზული კილოთი უხსნიდა, როგორ ფხვნიან თიხას, როგორ წმენდენ, როგორ აცხავებენ.

— უმთავრესია მასის მომზადება.

და იგი შეიყვანა განყოფილებაში, სადაც ჩამწკრივებული იყო კასრები, სადაც ბრუნავდა ვერტიკალური ღერძი, ჰორიზონტული სახელურები რომ ჰქონდა. ფრედერიკი თავისი თავის უკმაყოფილო იყო, რომ უარი არ თქვა ფაბრიკის დათვალიერებაზე.

— ესენი სამრეცხაოებია! — უთხრა მან.

ქ-ნ არნუსაგან არ მოელოდა ამ სიტყვას, ის სასაცილო და თითქოს უადგილო ეჩვენა.

ფართო თასმები გადაჭიმული იყო ჭერის ერთი ბოლოდან მეორემდე, ეხვეოდა დოლებს და ყველაფერი მოძრაობდა, განუწყვეტლივ, მათემატიკური სიზუსტით და გამაღიზიანებლად.

იქიდან გამოვიდნენ და გაუარეს დანგრეულ ქოხს, სადაც წინათ ბაღის იარაღები ინახებოდა.

— ეგ უკვე არაფრად არ გამოდგება, — თქვა ქ-მა არნუმ.

ვაჟმა ათრთოლებული ხმით უპასუხა:

— ბედნიერება იპოვის იქ თავშესაფარს!

ორთქლის ტუმბომ მისი სიტყვები ჩაახშო; ისინი საყალიბოში შევიდნენ.

მუშები, ვიწრო შაგიდას რომ უსხდნენ, თიხის გუნდებს აწყობდნენ დისკოებზე, რომლებიც ყოველი მათგანის წინ ბრუნავდნენ;

მარცხენა ხელით გუნდაში ღრმულს აკეთებდნენ, მარჯვენათი ზედაპირს უსწორებდნენ და თქვენ თვალწინ, თითქოს გაშლილი ვარდებიაო, მთელი ლარნაკები ჩნდებოდა.

ქ-მა არნუმ უბრძანა ეჩვენებინათ უფრო ძნელ ნაკეთობათა ყალიბები.

მეორე სადგომში მზადდებოდა სალტეები, ყელები და გამობურცული ნაწილები. ზემო სართულზე ასწორებდნენ შეერთების ადგილებს და თაბაშირით ავსებდნენ წინა ოპერაციებისა დროს წარმოქმნილ ნახვრეტებს.

გისოსებზე, კუთხეებში, დერეფნებში, ყველგან ჩამწკრივებული იყო სხვადასხვა ჭურჭელი.

ფრედერიკს მოწყენა ეძალებოდა.

— ყოველივე ეს, ალბათ, გღლით? — უთხრა ქალმა.

რადგან ფრედერიკი შიშობდა, ამით არ შემოიფარგლოს ჩემი აქ მოსვლაო, თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ძლიერ აღტაცებული ყოფილიყოს. სინანულიც კი გამოთქვა, რატომ მე არ მოვკიოე ხელი ამ წარმოებასო.

ქალს თითქოს გაუკვირდა.

— რა თქმა უნდა! მაშინ შეეძლო თქვენს ახლოს მეცხოვრა!

ფრედერიკი ცდილობდა თვალი გაესწორებინა მისთვის, მაგრამ, რაკი ქ-ნ არნუს სურდა თვალი აერიდებინა, მაგიდაზე აიღო შოკირკეთებული თიხა, მოზილა, გააბრტყელა და ზედ აღბეჭდა თავისი ხელი.

— შეიძლება ეს წავიღო? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— ღმერთო ჩემო, რა ბავშვი ხართ!

უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ამ დროს სენეკალი შემოვიდა.

უკვე ზღურბლიდან შენიშნა ბატონმა ვიცე-დირექტორმა წესების დარღვევა. სახელოსნოები ყოველ კვირაში უნდა დაგვალიყო; შაბათი იყო და, რაკი მუშებმა ეს არ ინდომეს, სენეკალმა ვათ განუცხადა, ერთ ზედმეტ საათს დარჩებითო. „თვითონ დააშავეთ!..“

უხმოდ განაგრძეს მუშაობა, მაგრამ გაჯავრებული რომ იყვნენ, ხვნეშაზე ეტყობოდათ. თუმცა მათთან საქმის დაჭერა ადვილი როდი იყო: ისინი ყველანი დიდი ფაბრიკიდან დაითხოვეს. რესპუბლიკელი მათ მკაცრად ეპყრობოდა. იგი თეორეტიკოსი იყო და ანგარიშს მხოლოდ მასებს უწევდა, ცალკეულ პირებს კი ულმობლად ეპყრობოდა.

მისი იქ ყოფნით ფრედერიკი თავს უხერხულად გრძნობდა და ჩურჩულით ჰკითხა ქ-ნ არნუს, შეიძლება თუ არა ღუმელები ვანახოო. ქვემო სართულში ჩავიდნენ და ქალმა ყუთების დანიშნულების ახსნა დაუწყო, რომ უეცრად მათთან გაჩნდა სენეკალი, რომელიც არ შორდებოდათ.

თვითონ დაიწყო ახსნა-განმარტება, ვრცლად ლაპარაკობდა სხვადასხვა სახეობის სათბობზე, დნობაზე, პიროსკოპებზე, ღუმელების სადგარებზე, შენაერთებზე, ჰიქურსა და ლითონებზე, არახუნებდა ქიმიის ტერმინებს, ესაო ქლორის ნაერთიო, გოგირდოვანი ნაერთიო, ბორაქსიო ნახშირჟანგის მარილიო! ფრედერიკს ამისი არაფერი გაეგებოდა და ყოველ წამს ქ-ნ არნუს აპყრობდა თვალს.

— თქვენ ყურს არ უგდებთ, — უთხრა მან. — ბატონი სენეკალი კი ძალიან გასაგებად განმარტავს. მან ყოველივე ეს ჩემზე გაცილებით უკეთ იცის.

მისი შექებით წახალისებულმა მათემატიკოსმა შესთავაზა ეჩვენებინა, როგორ ღებავენ ჭურჭელს. ფრედერიკმა შეშფოთებული თვალი მიაპყრო ქ-ნ არნუს. ქალი გულგრილი დარჩა, ალბათ, არ სურდა მარტოდ დარჩენილიყო მასთან, თანაც არ ფიქრობდა განშორებოდა. ფრედერიკმა მკლავი შესთავაზა.

— არა, გმადლობთ! მეტად ვიწრო კიბეა!

ზემოთ რომ ავიდნენ, სენეკალმა შეაღო ოთახის კარი, ქალებით რომ იყო სავსე. მათ ხელში ეჭირათ ფუნჯები, შუშები, სადაფები, მინის ფირფიტები. კედლების გაყოლებით გაკეთებული ფიცრული, რომელზეც ელაგა გრავირებული ნახატები. ოთახში დაფრიალებდა ნაგლეჯი თხელი ქაღალდები, თუჯის ღუმელი კი საშინლად ახურებდა ჰაერს, რომელიც გაჟღენთილი იყო სკიპიდარის სუნით.

მუშა ქალები თითქმის ყველანი ჩამოკონკილები იყვნენ. გარნა მათ შორის იყო ერთი, ვისაც აბრეშუმნარევი კაბა ეცვა და გრძელი საყურეები ეკეთა. იგი ტანადი და ამავე დროს ფუნთუშა იყო, ჰქონდა დიდრონი შავი თვალები და ხორციანი ტუჩები, თითქოს ზანგიაო. გულ-მკერდი ამობურცული ჰქონდა; ცალი ხელით დაზგას ეყრდნობოდა, მეორე კი ძირს დაეშვა და ჩაფიქრებული სადღაც შორს იცქირებოდა. მის ახლოს ღვინიანი ბოთლი იდგა და ძეხვის ნაჭერი იდო. განაწესის მიხედვით ჭამა სახელოსნოში აკრ-

ძალული იყო: ეს ღონისძიება ითვალისწინებდა მუშაობაში სიზუფთავისა და მუშათა შორის ჰიგიენის დაცვას.

სენეკალმა, მოვალეობის გრძნობის თუ დესპოტიზმისადმი მიდრეკილების გამო, ჯერ კიდევ შორიდან მიაძახა და ჩარჩოში ჩასმულ განცხადებაზე მიუთითა:

— თქვენ ეი, მანდ, ბორდოელო! აბა ერთი მეცხრე პარაგრაფი წამიკითხეთ ხმამაღლა!

— ჰო, კიდევ რა გნებავთ?

— კიდევ რა, ქალბატონო? კიდევ ისა, რომ სამ ფრანკ ჯარიმას გადაიხდით!

ქალმა პირდაპირ თვალებში შეხედა უტიფრად.

— დიდი ამბავი! პატრონი დაბრუნდება და ჯარიმას გააუქმებს! ფეხებზედაც არ მკიდია, ჩემო კარგო!

სენეკალი, ხელები რომ უკან შემოეწყო, და, ვით კლასის დამრიგებელი გაკვეთილის დროს, ბოლთას ცემდა, მხოლოდ იღიმეზოდა.

— მე-13 პარაგრაფი, ურჩობა, ათი ფრანკი!

ბორდოელი კვლავ მუშაობას შეუდგა. ქ-ნ არნუს, ზრდილობის გამო, არაფერი უთქვამს, მაგრამ წარბები კი შეიკრა. ფრედერიკმა წაიბურტყუნა:

— ოჰ, როგორც დემოკრატი, თქვენ მეტად ჭკაცრი ხართ!

სენეკალმა ჭკუისდამრიგებლის კილოთი უპასუხა:

— დემოკრატია პიროვნების თავაშვებულება როდია. ეს არის თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე, შრომის განაწილება, წესრიგი!

— თქვენ გაიწყდებათ ჰუმანურობა! — უთხრა ფრედერიკმა.

ქ-მა არნუმ მკლავი გაუყარა მკლავში ფრედერიკს: სენეკალმა, ალბათ, უტყვი თანხმობის ეს ნიშანი იწყინა და წავიდა.

ფრედერიკმა უდიდესი შვება იგრძნო. დილიდანვე ეძებდა შემთხვევას, რომ ქ-ნ არნუს გამოლაპარაკებოდა, შემთხვევა მიეცა. ამასთან ქ-ნ არნუს უეცარი მოძრაობა თითქოს დაპირებას შეიცავდა და, ვითომ ფეხების გასათბობად, ნებართვა ითხოვა მის ოთახში შესულიყო. მაგრამ, როცა მის გვერდით დაჯდა. გაუბედაობა დაეუფლა: არ იცოდა, რით დაეწყო. საბედნიეროდ, სენეკალი გაახსენდა.

— ასეთ დასჯაზე უაზრო არაფერია!

ქ-ნი არნუ შეესიტყვა:

— სიმკაცრე საჭიროა ხოლმე.

— როგორ? და ამას ამბობთ თქვენ, ესოდენ კეთილი! ოჰ, ვცდები! რადგან ზოგჯერ თქვენ გიყვართ ადამიანის დატანჯვა!

— მე იგავები არ მესმის, ჩემო კარგო.

და მისმა შემოხედვამ, უფრო მბრძანებლურმა, ვიდრე მისმა სიტყვებმა, იგი შეაჩერა. მაგრამ ფრედერიკს განზრახვა ჰქონდა განეგრძო. კომოდზე მიუსეს ერთი ტომი იდო, რამდენიმე ფურცელი გადაშალა, შემდეგ ლაპარაკი დაიწყო სიყვარულზე, თავის სასოწარკვეთილებასა და ლტოლვაზე.

ყოველივე ეს, ქ-ნ არნუს აზრით, ან დანაშაულებრივი იყო ან მოგონილი.

ახალგაზრდა კაცმა ეს უარყოფა იწყინა და, იგი რომ გაებათილებინა, საბუთად მოიყვანა თვითმკვლელობანი, გაზეთებში რომ კითხულობენ, მოჰყვა დიდი ლიტერატურული ტიპების: ფედრას, რომეოს, დე გრიეს ქებას. და აიბნა.

ბუხარში ცეცხლი ჩაქრა, ფანჯრებში წვიმა უშხაპუნებდა. ქ-ნი არნუ უძრავად იჯდა, ხელები სავარძლის სახელურებზე ედო; მისი ჩაჩის ლენტები ისე ეკიდა, ვით სფინქსის თავსაკრავები. მისი სუფთა, ფერმკრთალი პროფილი მკაფიოდ ისახებოდა ბნელში.

სურდა ფეხებში ჩავარდნოდა ქალს. დერეფანში ჭრაქუნი გაისმა და ვერ გაბედა.

თან რაღაც მოკრძალებული შიში იჭერდა. ეს კაბა, ბინდს რომ ერწყმოდა, უსაზომო, უსასრულო, გადაულახველ დაბრკოლებად ეჩვენებოდა და ამიტომაც სურვილი უფრო უძაფრდებოდა. მაგრამ შიში — არ გადავაჭარბო ანდა, როგორც საჭიროა ისე ვერ მოვიქცეო, საშუალებას არ აძლევდა ჯანსაღად ეაზროვნა.

„თუ არ მოვწონვარ, — ფიქრობდა, — გამაგდოს! — ხოლო თუ თვალში მოვუდივარ, გამამხნეოს!“

და ამოოხვრით უთხრა:

— მაშასადამე, თქვენ არ გწამთ, რომ შეიძლება გიყვარდეს... ქალი?

ქ-მა არნუმ უპასუხა:

— როცა იგი გასათხოვარია, ცოლად ირთავენ: როცა იგი სხვას ეკუთვნის, შორდებიან.

— მაშასადამე, ბედნიერება შეუძლებელია?

— რატომაც არა! მაგრამ სიცრუე, შეშფოთება და სინდისის ქენჯნა ბედნიერებას ვერ მოგანიჭებს.

— განა სულ ერთი არაა, თუ იგი უზენაეს სიხარულს განიჭებს?

— ცდა ძლიერ ძვირად გვიღირს.

ფრედერიკმა ირონიის მოშველიება სცადა.

— მაშასადამე, სათნოება სხვა არა არის რა, თუ არა ლაჩრობა?

— უფრო სწორედ, შორსმჭვრეტელობა. იმ ქალებისათვისაც კი, ვისაც მოვალეობა და სარწმუნოება დავიწყნია, საკმაო იქნება ჯანსაღი აზრი. ეგოიზმი უბიწოების მკვიდრი საფუძველია.

— აჰ, რა მეშჩანური შეხედულება გაქვთ!

— მე არც მიფიქრია, წარჩინებული ქალი ვიყო!

ამ დროს პატარა ეჟენმა მოირბინა.

— დედიკო, სადილი არ გინდა?

— ჰო, ახლავე!

ფრედერიკი ადგა. შეშოვიდა მართა.

ვაჟმა წასვლა ვერ გადაწყვიტა, ქ-ნ არნუს მუდარით ალბავსე თვალი მიაპყრო და ჰკითხა:

— ის ქალები, რომლებზეც თქვენ ლაპარაკობთ, ალბათ, ძალიან უგრძნობელნი არიან?

— არა! მაგრამ ყრუ კი, როცა საჭიროა.

იგი საწოლი ოთახის ზღურბლზე იდგა, იქვე იყო მისი ორი შვილი.

ფრედერიკმა უხმოდ დაუკრა თავი. ქალმაც უსიტყვოდ უპასუხა.

ის, რაც ფრედერიკმა პირველად განიცადა, უზომო განცვიფრება იყო. იმან, თუ როგორ გააგებინა ქალმა მისი იმედის ამოეება, სრულიად გაანადგურა იგი. გრძნობდა დავიღუპეო, როგორც კაცი, ვინც ხრამში ჩავარდნილა, იცის, რომ ვერ უშველიან, და უნდა მოკვდეს.

იგი ვაინც მიდიოდა, თუმცა ალალბედზე, მიდიოდა. მაგრამ ვერაფერს ხედავდა; ბორძიკობდა, გზა აებნა. ხის ფლოსტების ბაკაბუკი მოესმა: სამსხმელო ქარხნიდან მუშები მოდიოდნენ. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს.

ჰორიზონტზე გამწკრივებულიყო რკინიგზის ანთებული ფარნები. მატარებელს ძლივს მიუსწრო: ვაგონში შეაგდეს, და მაშინვე დაეძინა.

ერთი საათის შემდეგ, ბულვარებზე, საღამოს პარიზის მხიარულებამ მისი მგზავრობა სადღაც შორეულ წარსულში გადაისროლა. გადაწყვიტა, ჰტკ�ე ვიყოო, და გული იძით მოიოხა, რომ ქ-ნი არ-ნუ საგინებელი ეპითეტებით შეამკო:

„ჭკუათხელი, ინდაური, გაუთლელი, სრულიად უნდა დავივიწყო!"

შინ რომ დაბრუნდა, კაბინეტში წერილი დახვდა. რვა ფურცელი. ცისფერ პრწკიალა ქაღალდზე რომ იყო დაწერილი და რ. ა. ინიციალები ჰქონდა.

წერილი მეგობრული საყვედურით იწყებოდა:

„რა მოგვიდათ, ჩემო მეგობარო? მოწყენილი ვარ".

მაგრამ ხელწერა ისეთი საძაგელი იყო, რომ ფრედერიკმა კინაღამ გადააგდო, რომ თვალში უეცრად ეცა მინაწერი:

„იმედი მაქვს, რომ ხვალ ჩემთან ერთად წამოხვალთ დოლზე".

რას ნიშნავდა ეს მიპატიჟება? როზანეტის კიდევ ერთი ხრიკი ხომ არ იყო? მაგრამ ხომ შეუძლებელია, რომ ორჯერ ზედიზედ სრულიად უმიზეზოდ გაბიაბურონ კაცი? ცნობისმოყვარეობამ დაძლია და წერილი ყურადღებით წაიკითხა. . .

ფრედერიკმა გაარჩია: „გაუგებრობა... წახვიდე იმედგაცრუების... არასწორი გზით... რა საბრალო ბავშვები ვართ! მსგავსად ორი ნაკადულისა, რომლებიც ერთმანეთს ერთვიან..." და სხვ.

ეს სტილი ლორეტის ენას არ შეეფერებოდა. რა ცვლილება მომხდარა?

დიდხანს ეჭირა ხელში ეს ფურცლები. ირისის სუნი სდიოდა. ხოლო ასოების მოხაზულობა და უსწორმასწოროდ დაშორებული სტრიქონები რაღაცნაირად ტუალეტის უწესრიგობას მოგაგონებდათ, რამაც ფრედერიკი შეაშფოთა.

„რატომ არ უნდა წავიდე? — გაიფიქრა ბოლოს. — ქ-მა არნუ? რომ შეიტყოს? ოჰ, დაე შეიტყოს! მით უკეთესი! და დაე იეჭვიანოს! სამაგიერო მიეზღვება".

IV

როზანეტი მზად იყო და ელოდებოდა.

— აი ეს კი მშვენიერია! — უთხრა და მიაპყრო თავისი ლამაზი თვალები, რომლებიც ნაზიც იყო და მხიარულიც.

ქუდის ლენტები შეიკრა, დივანზე დაჯდა და გაჩუმდა.

— რაო, არ წავიდეთ? — უთხრა ფრედერიკმა.

ქალმა კედლის საათს შეხედა.

— ოჰ, არა! კიდევ საათ-ნახევარი.

ამით თითქოს ზღვარს უდებდა თავის გაუბედაობას.

ბოლოს დანიშნული დროც დადგა.

— ბოდა...

და ერთხელ კიდევ გაისწორა სარკეში თმა და განკარგულება მისცა დელფინეს.

— ქალბატონი სადილად დაბრუნდება?

— არა, რისთვის? ჩვენ ერთად ვისადილებთ სადმე, ინგლისურ კაფეში. სადაც ინებებთ!

— ძალიან კარგი!

იქვე ფინიები ყეფდნენ.

— ჯობს, თან წავიყვანოთ, არა?

ფრედერიკმა თვითონ წაიყვანა ეკიპაჟი. ეს იყო ნაქირავები საფოსტო ეტლი, წყვილი ცხენი რომ ება, კოფოზე ფორეიტორი იჯდა. უკან კი ფრედერიკის ლაქია იდგა. როზანეტი, როგორც ჩანდა, კმაყოფილი იყო ფრედერიკის ეოსაზრებულობით: ჩაჯდა თუ არა ეტლში, ჰკითხა, იყავით თუ არა არნუსას უკანასკნელ ხანსო.

— მთელი თვეა არ ვყოფილვარ, — მიუგო ფრედერიკმა.

— მე კი ამას წინათ შევხვდი, დღესაც უნდოდა მოსულიყო. მაგრამ ბევრი უსიამოვნება აქვს, კვლავ რაღაც პროცესი. ერთი სიტყვით, არ ვიცი, რა. რა უცნაური ადამიანია.

— დიახ! ძლიერ უცნაურია!

და გულგრილად დასძინა:

— რა მაგის პასუხია, კიდევ ხვდებით... რა ჰქვია? აი იმ ყოფილ მომღერალს... დელმარს?

ქალმა მშრალად მიუგო:

— არა! გათავდა!

მაშასადამე, განშორება საეჭვო აღარ იყო. ფრედერიკს იმედი ჩაესახა.

ბრედას უბანი ნელა გაიარეს: კვირადღე იყო და ქუჩები უკაცრიელი იყო, ფანჯრებში ხალხი იცქირებოდა. ეკიპაჟი უფრო ჩქარა წავიდა; თვლების რახუნზე გამვლელნი უკან იხედებოდნენ; გადახდილი ეტლის ტყაპი ბრწყინავდა: მსახური წელში იხრებოდა.

ფინიები კი სიასამურის ბეწვის მუფთებს ჰგვანდნენ, ბალიშზე რომ ბიეგდოთ. ფრედერიკი ირყეოდა. როზანეტი იღიმებოდა და აქეთ-იქით იხედებოდა.

მისი ჯრელი ჩალის ქუდი შავი მაქმანით იყო გაწყობილი. საბურველის კაპიშონს ქარი არხევდა, მზისგან კი თავს იფარავდა ლილისფერი ატლასის ქოლგით, ჩინურ პაგოდასავით რომ წაწვეტილიყო.

— რა ლამაზია ეს თითები! — უთხრა ფრედერიკმა და წყნარად აიღო მისი მარცხენა ხელი, ძეწკვის ოქროს სამაჯურით რომ იყო მორთული. — და ეს ნივთიც რა მშვენიერია! საიდან გაქვთ?

— ო, დიდი ხანია მაქვს, — უთხრა როზანეტმა.

ახალგაზრდა კაცმა ფარისევლურ პასუხზე არაფერი უთხრა. ამჯობინა „შემთხვევით ესარგებლნა". ხელი კვლავ ეჭირა, დაიხარა და ზედ დაეკონა თათმანსა და სახელოს შუა.

— ნუ შვრებით, დაგვინახავენ!

— მერე რა?

თანხმობის მოედანი რომ გაიარეს, ჯერ კონფერანსის სანაპიროზე გაუხვიეს, შემდეგ ბილიის სანაპიროზე, სადაც ერთ-ერთ ბაღში კედარი შენიშნეს. როზანეტს ეგონა, ლიბანი ჩინეთშიაო; თვითონვე გაეცინა საკუთარ უვიცობაზე და ფრედერიკს სთხოვა გეოგრაფიის გაკვეთილები მომეციო. შემდეგ ტროკადერო მარჯვნით დატოვეს, იენის ხიდი გაიარეს და, ბოლოს, შეჩერდნენ მარსის მინდორზე. სხვა ეკიპაჟების გვერდით იპოდრომის წინ რომ იდგნენ.

მინდვრის უსწორმასწორო ზედაპირი უბრალო ხალხით იყო დაფარული. ცნობისმოყვარულნი სამხედრო სასწავლებლის აივანზე მოწყობილიყვნენ, ორივე პავილიონი კი ყაფანს იქით, ორი ტრიბუნა წრეში, ხოლო მესამე სამეფო ლოჟის პირდაპირ, მორთული ხალხით იყო სავსე, რომელიც იმის მიხედვით, თუ თავი როგორ ეჭირა, მოკრძალებით ეპყრობოდა ამ ჯერ კიდევ ახალი სახეობის გასართობს. დოღის დამსწრე საზოგადოებას, რომელიც იმ დროს უფრო თავისებური იყო, ნაკლებ ვულგარული შესახედაობა ჰქონდა: ეს იყო პაჭანაკების, ხაევრდის საყელოებისა და თეთრი ხელთათმანების დრო. გრძელწვერიანი, ფერადი ტანსაცმლით გამოწყობილი ქალები, ტრიბუნის სკამებზე რომ ისხდნენ, უზარმაზარ ყვავილნარს მოგაგონებდნენ, რომლის ფონზე აქა-იქ შავ წერტილებად მოჩანდა მამაკაცთა კოსტიუმები. მაგრამ ყველას თვალს იპყრობდა განთქმუ-

ლი ალეირელი ბუ-მაზი, უდარდელად რომ იჯდა გენერალური შტაბის ორი ოფიცრის შუა ერთ-ერთ შორეულ ლოჟაში. ჯოკეი კლუბის ტრიბუნაზე მყოფი მაყურებლები დარბაზელი პირები იყვნენ.

ყველაზე აღტაცებული მოყვარულები ძირს მოთავსებულიყვნენ, სადოღო წრესთან, შეღობილი რომ იყო ორწყება სარებით, რომლებზეც თოკი იყო გამობმული. უზარმაზარი ოვალის შიგნით, რასაც ეს ღობე ქმნიდა, ღრიალებდნენ სასმელების გამყიდველნი. სხვები ყიდდნენ დოღის პროგრამას, სიგარებს; გუგუნი არ წყდებოდა: წინ და უკან დაფუსფუსებდნენ პოლიციელები: დარეკა ციფრებით დაფარულ სვეტზე ჩამოკიდებულმა ზარმა. გამოვიდა ხუთი ცხენი, და ხალხმა ადგილები დაიკავა ტრიბუნაზე.

ამასობაში იქ, პირდაპირ, საწვიმარმა მძიმე ღრუბელმა დაფარა თელების წვეროკინები. როზანეტს წვიმის ეშინოდა.

— ქოლგები მაქვს თან, — უთხრა ფრედერიკმა. — ქოლგები და ყველაფერი, რაც საჭიროა გასართობად, —დასძინა და ასწია წინა დასაჯდომი, რის ქვეშაც სანოვაგიანი კალათი იყო.

— ვაშა! ჩვენ ერთმანეთი გვცოდნია!

— და კიდევ უფრო გვეცოდინება, არა?

— შესაძლებელია! — მიუგო ქალმა და წამოწითლდა.

ჟოკეები, აბრეშუმის ქურთუკები რომ ეცვათ, ცდილობდნენ მწყობრად დაეყენებინათ ცხენები და ორივე ხელით აკავებდნენ. ვიღაცამ წითელი ალამი დაიქნია. მაშინვე ხუთი მხედარი ცხენის ფაფარზე დაიხარა და დაიძრა. ჯერ ერთად მიდიოდნენ, მტკიცე მწყობრით, მაგრამ ჯაჭვი მალე დაგრძელდა, გაწყდა; ჯოკეი, რომელსაც ყვითელი ეცვა, პირველი წრის შუაზე კინაღამ გადმოვარდა. ფილი და ტიბი დიდხანს ერთად მიდიოდნენ, ვერც ერთი ვერ ასწრებდა; მერმე მათ გაუსწრო ტომ პუსმა, მაგრამ კლუბსტიკმა. თავიდანვე რომ ყველაზე უკან მიდიოდა, ყველანი ჩამოიტოვა, პირველი მოვიდა და სერ ჩარლზს ორი კორპუსით გაუსწრო. ეს მოულოდნელი იყო; ხალხი ყვიროდა; ფიცარნაგი ფეხების ბრახუნით ზანზარებდა.

— მხიარულად ვართ! — უთხრა როზანეტმა.—მიყვარხარ, ძვირფასო!

ფრედერიკს გამარჯვება აღარ ეეჭვებოდა: ამას როზანეტის სიტყვები ადასტურებდნენ.

მათგან ასიოდე ნაბიჯზე ორადგილიან კაბრიოლეტში დამა გამოჩნდა. თავს გამოყოფდა, მერმე ისევ მალე მიიმალებოდა ხოლმე. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ფრედერიკმა მისი სახე ვერ გაარჩია. ეპვი შეეპარა: მოეჩვენა, რომ ეს ქ-ნი არნუ იყო. მაგრამ არა, შეუძლებელია! აბა აქ რად უნდა მოსულიყო?

ეკიპაჟიდან გადმოვიდა. ვითომ ყაფანთან მივდივარო.

— თავაზიანი ვერა ხართ! — უთხრა როზანეტმა.

ყური არ უგდო და წინ წავიდა. კაბრიოლეტი გაბრუნდა, ცხენი ჩორთით წავიდა.

იმავე წამს ფრედერიკს ხელი სტაცა სიზიმ:

— გამარჯობა, ძვირფასო! როგორა ხარ? ჰიუსონე აგერ იქაა. გამიგონეთ!

ფრედერიკს სურდა თავიდან მოეშორებინა, რომ კაბრიოლეტს დასწეოდა. როზანეტმა ანიშნა, დაბრუნდიო. სიზიმ ქალი დაინახა, მოისურვა უსათუოდ მისალმებოდა.

მას შემდეგ, რაც ბებია გამოიგლოვა, სიზი ახორციელებდა თავის იდეალს და ცდილობდა განსაკუთრებული იერი ჰქონოდა, კებოკრული ჟილეტი, მოკლე ფრაკი, ფართო ყაითნები ფეხსაცმელზე და შესასვლელი ბილეთი ქუდის ლენტში, მართლაც ყველაფერი შეესაბამებოდა იმას, რასაც „შიკს“ ეძახდა; ეს იყო ანგლომანისა და მუშკეტერის შიკი. პირველ რიგში არ მოსწონდა მარსის მინდორი, ეს საზიზღარი ადგილი დოლისათვის, მერმე ილაპარაკა შანტილიის დოლზე და იმაზე, თუ რა ხდება ხოლმე იქ, იკვეხნიდა, შეეძლია თორმეტი ჭიქა შამპანური დავლიო, სანამ საათი თორმეტჯერ დარეკავდესო, როზანეტს ენიძლავებოდა, ფინიებს ეალერსებოდა. იდაყვი ეკიპაჟის კარზე ჩამოედო, სტეკის ტარი პირში ჩაედო, ფეხები გაედგა, წელში გამართულიყო და სისულელეს როშავდა. ფრედერიკი მის გვერდით იჯდა, თამბაქოს ეწეოდა და ცდილობდა გამოერკვია, საით წავიდა კაბრიოლეტი.

ზარი ჩამოირეკა, სიზი წავიდა, როზანეტის გასახარად. რომელსაც, მისი თქმით, თავი ძლიერ მოაბეზრა.

მეორე გარბენას განსაკუთრებული არაფერი მოჰყოლია. არც მესამეს, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ერთი ეოკეი საკაკით ვაიყვანეს. უფრო საინტერესო გამოდგა მეოთხე გარბენა ქალაქის პრიზზე.

ტრიბუნების მაყურებლები სკამებზე შედგნენ. სხვები ეკიპა-

ქებში იდგნენ და ბინოკლებით ადევნებდნენ თვალს ოკეების მოძრაობას; ისინი წითელ, ყვითელ, თეთრ და ლურჯ წერტილებივით მიქროდნენ ხალხის წინ, იპოდრომს რომ ეხვია გარს. შოლოდან მათი მოძრაობა მაინცდამაინც სწრაფი არ ჩანდა: მარსის მინდვრის ბოლოში იგი თითქოს უფრო ნელიც კი მოჩანდა. ცხენები თითქოს მისრიალებდნენ, მუცლით თითქოს მიწას ეხებოდნენ და გაჭიმულ ფეხებს არ ღუნავდნენ; მაგრამ მობრუნების შემდეგ სწრაფად იზრდებოდნენ, ჰაერს ჭრიდნენ, მიწა ზანზარებდა, ჰაერში იფანტებოდა ხრეში; ოკეების ბლუზები იალქნებივით იბერებოდა ქარით, ისინი მათრახით მიერეკებოდნენ ცხენებს, ოღონდ ფინიშთან მისულიყვნენ; ეს იყო მათი მიზანი. ზოგიერთ ციფრს ხსნიდნენ, ახლებს კიდებდნენ; გამარჯვებული, მთლად გაოფლიანებული, თავდახრილი ცხენი ძლივს მიაბიჯებდა ტაშის გრიალში, ხოლო მხედარი გაჭირვებით სუნთქავდა და ფერდებზე იქერდა ხელებს.

უკანასკნელი გარბენა რაღაც სადაო საკითხის გამო შეგვიანდა. ხალხს მოეწყინა და წავიდ-წამოვიდა. მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და საუბრობდნენ ტრიბუნებთან. ლაპარაკი თავისუფალი იყო. მაღალი საზოგადოების დამები ადრე წავიდნენ, რადგან თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ ლორეტების იქ ყოფნით.

აქ იყვნენ დიდი ბალების განთქმული მანდილოსნებიც. ბელვარის თეატრების მსახიობი ქალებიც, — და ყველაზე ლამაზებს, როდი ხვდებოდა წილად ყველაზე მეტი ქება. ხნიერი ჟორჟინა ლებერი, სწორედ ის, ვისაც ერთმა ვოდევილისტმა პროსტიტუციის ლეგ XI უწოდა, ფერ-უმარილით შეთითხნილი, გაჭიმულიყო თავის გრძელ ეტლში, კვერნის პალანტინში ისე შეხვეულიყო, თითქოს ზამთარიაო, და დროდადრო ისეთ ხმას გამოსცემდა, რომელიც ლორის ღრუტუნს უფრო ჰგავდა, ვიდრე სიცილს. ქ-ნი რემუსო, ვინც საბელი გაითქვა, თავისი პროცესით, ამერიკელებთან ერთად ბრეკში ბრძანდებოდა, ხოლო ტერეზ ბაშლიუს, გარეგნობით რომ საშუალო საუკუნეთა ბადონას მოგაგონებდათ, თავისი კაბის თორბეტი ფურჩალით დაეკავებინა პატარა ფაიტონი, სადაც წინსაფრის ნაცვლად ვარდებიანი ჟარდინიერი იყო. როზანეტს შეშურდა მთელი ეს ფუფუნება: ყურადღება რომ მიეპყრო, წარამარა აქნევდა ხელებს და მეტად ხმამაღლა ლაპარაკობდა.

ვიღაც ჯენტლმენებმა იცნეს და მიესალმნენ. იგიც თავს უკრავ-

და და ფრედერიკს ეუბნებოდა მათს გვარებს. ყველა ისინი იყვნენ გრაფები, ვიკონტები, თავადები და მარკიზები, და ფრედერიკი გადიდრაჯდა, რადგან ყველას თვალებში იხატებოდა ერთგვარი პატივისცემა, რაც გამოწვეული იყო მისი წარმატებით ამ ქალის სიყვარულში.

სიზი, ალბათ, არანაკლებ ბედნიერად გრძნობდა თავს მოწიფული ასაკის მამაკაცთა შორის. ესენი, ვისაც გრძელი ჰალსტუხები ეკეთათ, ისე იღიმებოდნენ, თითქოს მას დასცინიანო. ბოლოს მან ხელზე ხელი დაჰკრა ყველაზე უფროსს და როზანეტთან მივიდა.

ქალი გადამეტებული სიხარბით ჭამდა პაშტეტს; ფრედერიკი, მორჩილების ნიშნად, მის მაგალითს ჰბაძავდა და მუხლზე ედგა ღვინიანი ბოთლი.

კაბრიოლეტი კვლავ გამოჩნდა, შიგ ქ-ნი არნუ იჯდა. იგი საშინლად გაფითრებული იყო.

— დამისხი შაჰპანური! — უთხრა როზანეტმა ფერედერიკს.

და რაც შეიძლებოდა მაღლა ასწია საცსე ჭიქა და წამოიძახა:

— ეი თქვენ მანდ, პატიოსანო ქალბატონო, ჩემი მფარველის მეუღლეე, ეი!

გარშემო სიცილი გაისმა, კაბრიოლეტი მიიმალა. ფრედერიკი კაბაში ეწეოდა როზანეტს, მზად იყო აფეთქებულიყო. მაგრამ იქვე იდგა სიზი იმავე პოზაში, როგორც წელან; მან უფრო გაბედულად დაპატიჟა ახლა როზანეტი, ამაღამ ერთად ვივახშმოთო.

— არ შემიძლია! — უთხრა როზანეტმა. — ჩვენ ერთად მივდივართ ინგლისურ კაფეში.

ფრედერიკი დუმდა, ვითომ არაფერი გამიგონიაო, და იმედგაცრუებული სიზი როზანეტს მოშორდა.

სანამ ფრედერიკი ეტლის მარჯვენა კართან იდგა და ელაპარაკებოდა, მარცხნიდან ჰიუსონე მოვიდა და, როცა გაიგონა ინგლისური კაფეო, დასძინა:

— მშვენიერი რამეა! ხომ არ წავიხემსოთ იქ, ა?

— როგორც გნებავთ, — უთხრა ფრედერიკმა.

ეტლის კუთხეში მიიყუჟა და უცქეროდა, როგორ მიდიოდა შორს კაბრიოლეტი და გრძნობდა, რომ გამოუსწორებელი რამ ეთხდა, დაეკარგა თავისი დიდი სიყვარული. მეორე სიყვარული კი აგერ იყო, მასთან, მხიარული და მსუბუქი. მაგრამ დაღლილმა, ერთმანეთის საწინააღმდეგო მისწრაფებებით გამსჭვალულმა, აღარ იცოდა,

რა სურდა და უსაზღვრო მოწყენილობას განიცდიდა, სიკვდილი ენატრებოდა.

ფეხის ხმამ და ყვირილმა გამოაფხიზლა; ბავშვები სარბენი წრის ბარიერზე ხტუნავდნენ, რომ ახლოს მისულიყვნენ ტრიბუნებთან, ყველანი მიდიოდნენ. წვიმის რამდენიმე წვეთი ჩამოვარდა. ეკიპაჟებმა თავი მოიყარეს. ჰიუსონე სადღაც გაქრა.

— მით უკეთესი! — თქვა ფრედერიკმა.

— გირჩევნია მარტონი ვიყოთ? — ჰკითხა როზანეტმა და ხელისგული მის ხელს დაადო.

ამ დროს მათს ახლოს გაიარა სპილენძითა და ფოლადით აკაზმულმა დიდებულმა ლანდოვ, რომელსაც ოთხი ცხენი ება წალიკად, და ორი ჟოკეი მართავდა, მოსირმული ხავერდის ქურთუკი რომ ეცვა. შიგ ქ-ნი დამბრეზი იჯდა ქმრის გვერდით, მათს წინ კი პატარა სკამზე მარტინონი მოთავსებულიყო: ყველას სახეზე გაკვირვება იხატებოდა.

„მიცნეს!“ — გაიფიქრა ფრედერიკმა.

როზანეტი მოითხოვდა შეჩერებულიყვნენ, რათა უკეთ დაენახა ხალხის წასვლა-წამოსვლა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა კვლავ გაეოჩენილიყო ქ-ნი არნუ. ფრედერიკმა მეეტლეს მიაძახა:

— წადი! წადი! ჩქარა!

და ეტლი გაექანა ელისეს მინდვრებისაკენ, მწყობრად მისდევდა სხვა ეკიპაჟებს, ფაეტონებს, ინგლისურ კებებს, წალიკად შებმულ კაბრიოლეტებს, ტილბიურებს, ტყავისფარდებიან ფურგონებს, რომლებშიც იმღეროდნენ შეზარხოშებული ნოქრები, ერთცხენიან კარეტებს, რომლებსაც ფრთხილად მართავდნენ ოჯახის უფროსები. ზოგჯერ ხალხით გაჭედილი ეტლიდან გამოჩნდებოდა ფეხები ვიღაც ბავშვისა, მუხლებზე რომ უჯდა ვინმეს. დიდ კარეტებში მაუდგადაკრულ სავარძლებზე თვლემდნენ ქვრივები: ანდა უეცრად გამოხტებოდა მშვენიერიორღაშებული ეტლი, უბრალო და ელეგანტური, ვით დენდის შავი ფრაკი. წვიმა კი თანდათან ძლიერდებოდა. ჩნდებოდა ქოლგები, ომბრელები, პაკინტოშები; მგზავრები შორიდან გასძახოდნენ ერთმანეთს: „გამარჯობა!“ — „როგორა ხარ?“ — „დიახ!“ — „არა!“ — „ნახვამდის!“ და სახეები ჩინური ჩრდილების სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ფრედერიკი და როზანეტი დუმდნენ, გაოგნებულნი იყვნენ უთვალავი გოგორით, მათს გარშემო რომ მიგორავდა.

დროდადრო ერთმანეთს მიკრული ეკიპაჟები რამდენიმე მწყობრად შეჩერდებოდნენ. ამაში შიგმჯდომნი სარგებლობდნენ ვეზობლობით და აკვირდებოდნენ ერთმანეთს. ღერბებით მორთული ეკიპაჟებიდან გულგრილი თვალები დასცქეროდნენ ბრბოს; უბრალო ფაეტონების მეეტლეები შურით აღსავსე თვალით უცქეროდნენ; ზიზღიანი ღიმილი იყო მედიდური თავისქნევის პასუხი; ფართოდ-დაღებული პირი გამოხატავდა უაზრო აღტაცებას; ხან აქ, ხან იქ ვინმე უსაქმოდ მოხეტიალე გაეჩხირებოდა ეკიპაჟებს შორის და ერთი გადახტომით შველოდა თავს, რომ არ გაეთელა ამ ორომტრიალში უეცრად შემოჭრილ ცხენოსანს. შემდეგ ყველაფერი კვლავ ამოძრავდებოდა; მეეტლეები სადავეს მიუშვებდნენ, გრძელ შოლტებს აღმართავდნენ; გაფიცხებული ცხენები ლაგამს აჩხაკუნებდნენ, გარშემო დუჟს აფრქვევდნენ, ჩამავალი მზის სხივები კი ჭოლავდნენ ორთქლს, ცხენთა სველ გავებსა და ფაფრებს რომ ასდიოდა. ტრიუმფალურ თაღში ეს სხივები გრძელდებოდა და იქცეოდა მწვითურ სვეტად, საიდანაც ნაპერწკლები ეფრქვეოდა გოგრების რიკებს, კარეტების კარის სახელურებს, ხელნების თავებს, კეხის რგოლებს ფართო სატევის ორივე მხარეს, ნაკადს რომ მოგვაგონებდა, სადაც ირხეოდა ქეჩო-ფაფარი, ტანსაცმელი და ადამიანთა თავები, ორ მწვანე კედელივით აღმართულიყვნენ ხეები, წვიმას რომ გაელუმპა. აქა-იქ კვლავ გამოჩნდებოდა ხოლმე ლურჯი ცა, ნაზი, ვით ატლასი.

აქ ფრედერიკს მოაგონდა ის შორეული დღეები, როცა შენატროდა გამოუთქმელ ბედნიერებას მჯდარიყო ასეთ ეკიპაჟში ასეთი ქალის გვერდით. ახლა ჰქონდა ეს ბედნიერება, მაგრამ იგი დიდ ბედნიერებას როდი ანიჭებდა.

წვიმამ გადაიღო. საზღვაო სამინისტროს კოლონადაში თავშეფარებული გამვლელნი იქიდან გამოდიოდნენ. მოსეირნენი სამეფო ქუჩით ბრუნდებოდნენ ბულვარისაკენ. საფეხურებზე საგარეო საქმეთა სამინისტროს წინ უსაქმოდ მოყიალენი იდგნენ.

ჩინურ აბანოებთან, სადაც ოღროჩოღრო ქვაფენილი იყო, ეტლმა სვლა შეანელა. ტროტუარის ნაპირზე მოდიოდა კაცი, რომელსაც მოყვითალო პალტო ეცვა. გაქანებულმა ეტლმა ტალახი შეასხა ზურგზე. გაბრაზებული კაცი მობრუნდა. ფრედერიკი გაფითრდა: მან იცნო დელორიე.

ფრედერიკი ინგლისურ კაფესთან ჩამოხდა და ეკიპაჟი გაუშვა.

როზანეტი წინ წავიდა, სანამ იგი მეეტლეს ანგარიშს უსწორებდა. კიბეზე დაეწია, სადაც როზანეტი ვიღაც მამაკაცს ელაპარაკებოდა ფრედერიკმა მკლავი გაუყარა, მაგრამ შუაგულ კიბეზე ქალი მეორე მამაკაცმა შეაჩერა.

— შენ წადი, — უთხრა როზანეტმა. — ახლავე მოვალ!

და ფრედერიკი მარტო შევიდა ცალკე კაბინეტში. ორივე ფანჯარა ღია იყო, ხოლო ქუჩის მეორე მხარეზე მდებარე საბლის ფანჯრებში ხალხი მოჩანდა. შემშრალი ასფალტი მუარის ფერს ღებდა. ბალკონის ნაპირზე დადგმული მაგნოლია ოთახს სურნელებით ავსებდა. ამ სურნელებამ და სიგრილემ ფრედერიკს ნერვები დაუწყნარა; იგი წითელ სავარძელში ჩაჯდა, სარკესთან რომ იდგა.

შემოვიდა როზანეტი, შუბლში აკოცა და ჰკითხა:

— მოწყენილია ჩემი ბიჭუნა?

— შესაძლებელია! — მიუგო მან.

— არა მარტო შენ!

ეს ნიშნავდა: „დავივიწყოთ ჩვენი მწუხარება და ერთად დავტკბეთ ბედნიერებით“.

შემდეგ ტუჩში დაიკაკა ვარდის ფურცელი და გაუშვირა, მოგლიჯეო. ამ მოძრაობამ, რაც აღსავსე იყო ვნებიანი მშვენებით და თითქმის სინაზით, ფრედერიკი მოალბო.

— რატომ მაჯავრებ? — ჰკითხა ფრედერიკმა, რომელიც ქ-ნ არნუზე ფიქრობდა.

— მე გაჯავრებ?

ქალი წინ დაუდგა, ხელები მხრებზე დაადო და თვალმოჭუტული ჩააცქერდა.

ვაჟის მთელი სათნოება, მთელი ბისი გულისწყრომა უსაზღვრო სულმოკლეობაში ჩაიძირა.

მან განაგრძო:

— შენ ხომ არ გსურს გიყვარდე? — და მუხლებზე დასჯდომად მიიზიდა.

ქალი არ გასჭალიანებია; ორივე ხელი წელზე შემოჰხვია: მისი აბრეშუმის კაბის შრიალმა უფრო აღაგზნო.

— სად არიან? — გაისმა დერეფანში ჰიუსონეს ხმა.

როზანეტი ზეწამოიჭრა, ოთახის ბოლოს მივიდა და კარს ზურგი შეაქცია.

ქალმა ხამანწკა მოითხოვა. სუფრას შემოუსხდნენ.

ჰიუსონე ისე შეჭქცევი აღარ იყო. რაკი იძულებული იყო ყოველდღე ეწერა ათასგვარ თემაზე, წაეკითხა მრავალი გაზეთი, მოესმინა ბევრი დავა და ელაპარაკნა პარადოქსებით, რათა ბუქი აეყენებინა, ბოლოს და ბოლოს თავისი ოხუნჯობის სუსტმა პეტარდებმა დააბრმავეს და დაეკარგა რეალური წარმოდგენა საგნებზე. ოდესღაც იოლი, დღეს კი ძნელი ცხოვრების მოთხოვნილებანი მუდამ აღელვებდნენ, ხოლო საკუთარი უძლურება, რომელშიც არ სურდა გამოტეხილიყო, მობუზღუნეს, სარკასტულს ხდიდა მას. ახალ ბალეტ „ოზაის“ გამო სასტიკად გაილაშქრა ცეკვის, ხოლო ცეკვის გამო ოპერის წინააღმდეგ, შემდეგ კი ოპერის გამო იტალიელთა წინააღმდეგ, რომლებიც ახლა ესპანელ მსახიობთა დასმა შეცვალა, „თითქოს ჩვენთვის ჯერ თავი არ მოუბეზრებია კასტილიას!“ რაკი ამრიგად შეურაცხყოფილ იქნა ფრედერიკის რომანტიული სიყვარული ესპანეთისადმი, ამ საუბრის შესაწყვეტად იგი შეეკითხა კოლეჟ დე ფრანსზე, საიდანაც ის იყო გარიცხეს ედგარ კინე და მიცკევიჩი. მაგრამ ჰიუსონე ბ-ნ დე მესტრის თაყვანისმცემელი იყო და განაცხადა, მთავრობისა და სპირიტუალიზმის მომხრე ვარო. გარნა ეეჭვებოდა უაღრესად უცილობელი ფაქტები, უარყოფდა ისტორიას და სადავოს ხდიდა ისეთ რამეებს, რაც ყველაზე ნაკლებ საეჭვო იყო. იქამდეც კი მივიდა, რომ გაიგონა თუ არა სიტყვა „გეომეტრია“, წამოიძახა: „რა სისულელეა ეს გეომეტრია!“ თანაც მუდამ ჰბაძავდა სხვადასხვა მსახიობს. მისი მთავარი მაგალითი იყო სენვილი.

მთელი ეს ჯამბაზობა ძლიერ მობეზრდა ფრედერიკს. სკამზე მოუთმენლად ცმუკავდა და მაგიდისქვეშ ფეხი უნებურად მოახვედრა ერთ-ერთ ფინიას. ატყდა აუტანელი წკავწკავი.

— უმჯობესი იყო შინ გაგეგზავნათ ეგენი, — უკმეხად თქვა მან.

როზანეტი ვერავის ვერ ანდობდა ჰათ. მაშინ ფრედერიკმა ჟურნალისტს მიმართა:

— რა გაეწყობა, ჰიუსონე, მსხვერპლად უნდა შეეწიროთ!

— ოჰ, დიახ, ჩემო პატარავ! რა კარგი იქნებოდა!

ჰიუსონეს ხვეწნაც არ დასჭირვებია, ისე წაიყვანა ისინი.

როგორ გადავუხადოთ მადლობა ასეთი თავაზიანობისათვის? ფრედერიკს ამაზე არც კი უფიქრია. კიდევაც გაეხარდა, რომ მარტონი დარჩნენ, მაგრამ ამ დროს ლაქია შემოვიდა.

— ქალბატონო, ვიღაც გკითხულობთ.

— როგორ? კვლავ!

— მაინც უნდა გავიდე, ვნახო, ვინ არის! — თქვა როზანეტმა.

ფრედერიკს წყუროდა იგი, ესაჭიროებოდა. ეს გასვლა ვერაგობად, თითქმის საძაგლობად ეჩვენებოდა. რა უნდა? განა არ კმარა, რომ შეურაცხყოფა მიაყენა ქ-ნ არნუს? თუმცა იმას ასე მოუხდება! ახლა ყველა ქალი სძულდა. ცრემლები ახრჩობდა, რადგან მისმა სიყვარულმა თანაგრძნობა ვერ პოვა, ხოლო სურვილი გაუცრუვდა.

როზანეტი დაბრუნდა, სიზი წარუდგინა და უთხრა:

— ეს ბატონი დავპატიჟე. ხომ კარგი ვქენი?

— რა თქმა უნდა! — და ფრედერიკმა წამებულის ღიმილით სთხოვა არისტოკრატს, დაბრძანდიო.

როზანეტმა მენიუ გადაათვალიერა, საჭმელების უცნაურ სახელებზე თვალი უჩერდებოდა.

— რა იქნება, რომ გავსინჯოთ ბაჭიის ტიურბო ა ლა რიშელიე და ორლეანური პუდინგი?

— ოჰ, არა! ოღონდ არა ორლეანური, — წამოიძახა სიზიმ, რომელიც ლეგიტმისტი იყო და სურდა ეოხუნჯა.

— თქვენ გირჩევნიათ ტიურბო ა ლა შამბორ?

ასეთმა მლიქვნელობამ ფრედერიკი აღაშფოთა.

როზანეტმა გადაწყვიტა შეეკვეთა უბრალო ფილე, კიბოები, ტრიუფელი, ანანასის სალათა და ვანილის შარბათი.

— შემდეგ, ვნახოთ. წადით... აჰ, სულ დამავიწყდა! მომიტანეთ ძეხვი, ოღონდ უნივროდ.

იგი ლაქიას ეძახდა „ყმაწვილს“, დანას უკაკუნებდა სტაქანზე და ჭერში ისროდა დასორსალებულ პურს. ინება, მაშინვე დაელიათ ბურგუნდიული.

— ჭამის წინ დალევა მიღებული არაა, — შენიშნა ფრედერიკმა. ვიკონტის აზრით, ეს ზოგჯერ შეიძლება.

— ოჰ, არა! არასოდეს!

— გარწმუნებთ, რომ შეიძლება!

— აჰა, ნახე!

და თვალითაც დაადასტურა, რაც ნიშნავდა:

„მდიდარი კაცია, ეგ სიზი, დაუჯერე!“

კარი კი წარამარა იღებოდა, ლაქიები იგინებოდნენ, მეზობელ

კაბინეტში კი ვილაც უბარტყუნებდა პიანინოს. საუბარი დოღიდან გადავიდა ცხენოსნობის სპორტზე საერთოდ და მის ორ საწინააღმდეგო სისტემაზე. სიზი იცავდა ბოშეს, ფრედერიკი — გრაფ დ' ორს. როზანეტმა, ბოლოს, მხრები აიჩეჩა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! კმარა! ამ საქმეში მაგას უკეთ გაეგება, დამიჯერე!

იგი სუფრას დაყრდნობოდა ორივე იდაყვით და ბროწეულს წუწნიდა; მის წინ ანთებულ შანდლებს ქარი უბერავდა; კაშკაშა სინათლე მის პირის კანს ასადაფებდა, ქუთუთოებს უვარდისფერებდა, თვალებს უქუქუნებდა; ნაყოფის მეწამული მისი ტუჩის მარჯანს ერწყმოდა. თხელი ნესტოები უთრთოდა; მთელი მისი არსება გაემსჭვალა რაღაც უტიფარს, მთვრალსა და გარყვნილს, რაც ფრედერიკს აღიზიანებდა და ამავე დროს გულს გიჟური ნდომით უვსებდა.

შემდეგ ქალმა წყნარად იკითხა: ვის ეკუთვნის ის დიდი ლანდო და მიხაკისფერლივრეიანი ლაქიაო.

— გრაფინია დამბრეზს, — უთხრა სიზიმ.

— ისინი ძალიან მდიდრები არიან, არა?

— ო, მეტად მდიდრები არიან! თუმცა ქალბატონ დამბრეზს, სულ ვილაც ბუტრონის ასულს, პრეფექტის ქალიშვილს, მცირე ქონება აქვს. ქმარმა კი, პირიქით, როგორც ამბობენ, რამდენიმე მემკვიდრეობა მიიღო.

და სიზიმ ჩამოთვალა ვისგან და რამდენი მიიღო; დამბრეზების ხშირი სტუმარი იყო და კარგად იცოდა მათი ამბავი.

ფრედერიკს სურდა უსიამოვნება მიეყენებინა სიზისათვის და ამიტომ მედგრად ეწინააღმდეგებოდა. ამტკიცებდა, ქალბატონი დამბრეზი დე ბუტრონის ასულიაო, და ხაზს უსვამდა მის აზნაურობას.

— განა სულ ერთი არ არის! მე კი მის ლანდოს არ დავიწუნებდი, — თქვა როზანეტმა და სავარძლის ზურგზე გადაწვა.

მისი კაბის სახელო ოდნავ გადაბრუნდა და შამაკაცებმა მარცხენა მაჯაზე დაუნახეს ბრასლეტი, რომელსაც სამი ოპალის თვალი ეჯდა.

ფრედერიკმა შეამჩნია იგი.

— მოიცადეთ! ეგ...

სამივემ ერთმანეთს გადახედა და წამოწითლდა.

კარი ოდნავ გაიღო და ჯერ ქუდის ფარფლები. მერმე კი ჰიუსონეს სახე გამოჩნდა.

— მაპატიეთ, თუ ხელი შეგიშალეთ, შეყვარებულნო!

იგი გაკვირვებული შეჩერდა, როცა სიზი თავის ადგილზე მჯდარი დაინახა.

მოიტანეს კიდევ ერთი პირის ჭურჭელი. ჰიუსონე ძლიერ მშიერი იყო და ამიტომ მოურიდებლად ჭამდა სადილის ნარჩენს. ხორცს თეფშზე, ხილს კალათში; ცალ ხელში ეჭირა ჭიქა, მეორეში — ჩანგალი და ამავე დროს უამბობდა, როგორ შეასრულა მათი დავალება: ფინიები მშვიდობით მიიყვანა. შინ ახალი არაფერია. მზარეულ ქალს ჯარისკაცთან შეასწრო; ეს ტყუილი ჰიუსონემ მხოლოდ იმიტომ შეთხზა, რომ ეფექტი მოეხდინა.

როზანეტმა საკიდარზე თავისი ქუდი ჩამოიღო. ფრედერიკმა დარეკა და ჯერ კიდევ შორიდან მიაძახა მსახურს:

— ეტლი!

— მე მყავს ეტლი, — უთხრა ვიკონტმა.

— როგორ შეიძლება, ბატონო!

— ნება მიბოძეთ, ბატონო!

და ერთმანეთს მიაშტერდნენ; ორივე გაფითრებული იყო და ორივეს ხელები უკანკალებდა.

როზანეტი, ბოლოს, მკლავგაყრილი გაჰყვა სიზის, თვალით ანიშნა ჰიუსონეზე, გამალებული რომ ჭამდა, და თქვა:

— ყური უგდეთ მაგას, არ დაიხრჩოს. ჩემთვის სასურველი არ იქნებოდა, რომ ჩემი ფინიებისადმი ერთგულებას იგი დაეღუპა!

კარი ჯახუნით დაიხურა.

— ახლა? — უთხრა ჰიუსონემ.

— რა ახლა?

— მე მეგონა...

— რა გეგონათ?

— განა თქვენ არ...

და ფრაზა ხელის ჩაქნევით დაამთავრა.

— არა-მეთქი! არასოდეს!

ჰიუსონეს აღარაფერი უთქვამს.

როცა სადილზე ძალად დაეპატიჟა, მას გარკვეული მიზანი ჰქონდა. რიდგან მისი გაზეთი, რომელსაც ახლა ერქვა არა „ხელოვნება“, არამედ „შუქი“ და ეპიგრაფად ჰქონდა „კანონიერებო

ქვემეხებთან!“ სახარბიელო მდგომარეობაში არ იყო, მას სურდა ყოველკვირეულ მიმოხილვად გადაექცია და თვითონ ყოფილიყო გამომცემელი, დელორიეს დაუხმარებლად. ლაპარაკი დაიწყო თავის ძველ პროექტზე და ახალი გეგმა ჩამოაყალიბა.

ფრედერიკი, რომელსაც, ალბათ, არ გაეგებოდა რაზე ელაპარაკებოდნენ, უგულისყუროდ პასუხობდა. ჰიუსონემ მაგიდაზე რვადენიშე სიგარა აიღო, საჩქაროდ მიაძახა „მშვიდობით, მეგობარო“ და წავიდა.

ფრედერიკმა ანგარიში მოითხოვა. ანგარიში დიდი იყო და, სანამ ლაქია, იღლიაში რომ ხელსახოცი გაეჩარა, ფულის გადახდას ელოდებოდა, შემოვიდა მეორე, ფერმკრთალი ვინმე, მარტინონს რომ ჰგავდა, და უთხრა:

— ბოდიშს ვიხდი, დაგვავიწყდა ანგარიშში მეეტლის ფულის შეტანა.

— ვინ მეეტლეა?

— აი ის, ფინიები რომ წაიყვანა.

და ლაქიას სახე დაებრიცა, თითქოს საბრალო ყმაწვილის მდგომარეობა ენანებაო. ფრედერიკს უნდოდა სილა გაერტყა ოცდახუთი ფრანკი ხურდა უსაჩუქრა და გაისტუმრა.

— გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ! — უთხრა ხელსახოცი-ანმა კაცმა და თავი დაბლა დაუკრა.

მთელი შემდეგი დღე ფრედერიკი ბრაზობდა და სულ თავის დამცირებაზე ფიქრობდა. თავს უსაყვედურებდა, რომ სიზის სილა არ გააწნა. რაც შეეხება როზანეტს, იფიცებდა, აღარ შევხვდეო. „განა ასეთი ლამაზი ქალი ცოტაა? მათს საშოვნელად ფულია საჭირო, ამიტომ ფერმას გავყიდი, ბირჟაზე ვითამაშებ, გავმდიდრდები და შეძლებული ცხოვრებით გულს მოვუკლავ როზანეტსა და მთელ ქვეყანას“. როცა დაღამდა, გაუკვირდა, რომ ქ-ნ არნუზე არ უფიქრია.

„მით უკეთესი! რა აზრი აქვს?“

მესამე დღეს, უკვე რვა საათზე, პელერენი ეწვია. ბინის მორთულობის შექებით დაიწყო, ქათინაურები უთხრა. შემდეგ უეცრად ჰკითხა:

— კვირას დოლზე იყავით?

— ვაი, რომ ვიყავი.

მაშინ მხატვარმა აგინა ინგლისური ცხენები, შეაქო ჟერიკოს, პართენონის ცხენები.

— თქვენთან იყო როზანეტი?

ახლა მისი ქება დაიწყო.

ფრედერიკის გულგრილობამ შეაცბუნა. არ იცოდა, როგორ ჩამოეგდო სიტყვა პორტრეტზე.

მისი პირველი განზრახვა იყო პორტრეტი ტიციანისებურად დაეხატა. მაგრამ ნელ-ნელა მოდელის ნაირფერმა აცთუნა და მთელი გულწრფელობით დაიწყო მუშაობა, ფენა ფენას დაადო, შუქს შუქი შეჰმატა. თავდაპირველად როზანეტი აღტაცებული იყო; მისმა პაემნებმა დელმართან ეს სეანსები შეაწყვეტინა და პელერენს სრული თავისუფლება მისცა დამტკბარიყო საკუთარი უნარით.. შემდეგ, როცა აღფრთოვანება გაუნელდა, თავის თავს ჰკითხა, საკმაო სიდიადე აქვს პორტრეტს თუ არაო. ტიციანის სურათების სანახავად წავიდა, განსხვავებას მიხვდა, თავისი შეცდომა აღიარა და კონტურები შეაკეთა; შემდეგ შეანელა ისინი, სცადა გაეერთიანებინა, დაეახლოებინა თავის ტონი და პორტრეტის არე, ამით სახე უფრო მკაფიო გახდა, ჩრდილები უფრო შესამჩნევი და ყველაფერს მეტი სიმტკიცე დაეტყო. ბოლოს როზანეტი კვლავ მოვიდა. შენიშვნების მიცემის უფლებაც კი მისცა თავის თავს. მხატვარი, რასაკვირველია, თავისას არ იშლიდა, ბრაზობდა მისი სისულელის გამო, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა, იქნებ მართალიც იყოსო. მაშინ დაიწყო ეჭვების ხანა, აზრის მერყეობა, რაც იწვევს კუჭის სპაზმებს, უძილობას, ციებ-ცხელებას, ზიზღს საკუთარი თავისადმი. ეყო იმდენი გამბედაობა, რომ სურათი შეესწორებინა, მაგრამ ამას სჩადიოდა უხალისოდ, გრძნობდა, რომ პორტრეტი არ გამოუვიდა.

იგი მხოლოდ იმას უჩიოდა, რომ სურათი გამოფენაზე არ მიიღეს, შემდეგ ფრედერიკს უსაყვედურა, ერთი არ შემოხვედი, როზანეტის პორტრეტი გენახაო.

— როზანეტთან რა საქმე მაქვს!

ასეთმა განცხადებამ გამბედაობა შესძინა პელერენს.

— წარმოგიდგენიათ, რომ იმ პირუტყვს პორტრეტი აღარ ნებავს!

პელერენს არ გაუმხელია, რომ ათასი ეკიუ მოსთხოვა. როზანეტი კი სულაც არ ფიქრობდა, ვინ გადაიხდისო და, რაკი ამჯობინებდა არნუსაგან სხვა, უფრო საჭირო ნივთები მიეღო, პორტრეტზე არაფერი არ უთქვამს.

— არნუ რას ამბობს? — ჰკითხა ფრედერიკმა.

როზანეტმა უკვე გაგზავნა მასთან პელერენი. სურათების ყოფილმა ვაჭარმა პორტრეტი არაფრად მიიჩნია.

— იგი ამტკიცებს, ეს ნივთი როზანეტს ეკუთვნისო.

— მართლაც, მისია.

— როგორ! მან კი თქვენთან გამომგზავნა, — მიუგო პელერენმა.

იგი რომ დარწმუნებული ყოფილიყო, ჩემი ნაწარმოები მშვენიერიაო, იქნებ არც კი ეფიქრა, რომ იმისაგან რაიმე სარგებლობა მიეღო. მაგრამ განსაზღვრული თანხა (და მნიშვნელოვანი თანხაც) გაბათილებდა კრიტიკოსების აზრს და მისთვისაც დახმარება იქნებოდა. თავიდან რომ მოეშორებინა, ფრედერიკმა თავაზიანად ჰკითხა, რა ეღირებაო.

გასაოცარმა ციფრმა აღაშფოთა, მან მიუგო:

— ოჰ, არა, არა!

— კი, მაგრამ თქვენ ხომ მისი საყვარელი ხართ, თქვენ შემიკვეთეთ მისი პორტრეტი!

— მოითმინეთ, მე მხოლოდ შუამავალი ვიყავი!

— კი, მაგრამ მე რას ვაქნევ მის პორტრეტს!

მხატვარი გაბრაზდა.

— ოჰ, არ მეგონა თუ ასეთი ხარბი იყავით!

— მე კი თუ ასეთი ძუნწი იყავით!

წავიდა თუ არა პელერენი, სენეკალი შემოვიდა.

ფრედერიკი შეცბა, შეშფოთდა.

— რა ამბავია?

სენეკალმა ყველაფერი უამბო:

— შაბათს, ცხრა საათზე, ქ-ნ არნუს მოუვიდა წერილი, რომლითაც პარიზს იწვევდნენ. რაკი შემთხვევით არავინ აღმოჩნდა, ვინც კრეილს წასულიყო ეკიპაჟის მოსაყვანად, მას ჩემი გაგზავნა უნდოდა. მე უარი ვთქვი, რადგან ეს ჩემი მოვალეობა არ არის. თვითონ წავიდა და კვირა საღამოს დაბრუნდა. უეცრად გუშინ დილით არნუ ფაბრიკაში მოვიდა. ბორდოელმა მუშა ქალმა შესჩივლა. არ ვიცი, მათ შორის რა ხდება, მაგრამ ყველას თანდასწრებით, ჯარიმისაგან გაანთავისუფლა. ჩვენ დიდი ლაპარაკი მოგვიხდა. ერთი სიტყვით, ანგარიში გამისწორა, ეს იყო და ეს!

— თუმცა... არ ვნანობ, მე ჩემი ვალი მოვიხადე. შენი ბრალი კია.

— როგორ? — წამოიძახა და შეეშინდა, სენეკალი არ მიხვდესო.

სენეკალი, ცხადი იყო, ვერაფერს ვერ მიხვდა, რადგან განაგრძო:

— ესე იგი, თქვენ რომ არა, იქნებ უკეთესი რამ მეშოვნა.

ფრედერიკმა რაღაც სინდისის ქენჯნის მაგვარი იგრძნო.

— ახლა რით შემიძლია დაგეხმაროთ?

სენეკალმა სთხოვა, რამე საქმე, რაიმე ადგილი მიშოვნეო.

— თქვენთვის ეს ადვილია. იმდენი ნაცნობი გყავთ, მათ შორის ბატონი დამბრეზიც, როგორც დელორიემ მითხრა.

დელორიეს მეგობარს არ ეამა მისი სახელის ხსენება. მარსის მინდორზე შეხვედრის შემდეგ იგი სრულიადაც არ აპირებდა დამბრეზებთან მისვლას.

— მათთან ისე დაახლოებული არ ვარ, რომ ვინმე ვურჩიო.

დემოკრატმა ეს უარი სტოიკურად მიიღო, წუთით იყუჩა და თქვა:

— დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ბორდოელისა და თქვენი ქალბატონი არნუს ბრალია.

ამ „თქვენმა ქ-მა არნუმ“ სრულიად გაუქარწყლა ფრედერიკს დახმარების სურვილი. გარნა, თავაზიანობის გამო, აიღო თავისი საწერი მაგიდის გასაღები.

სენეკალმა დაასწრო:

— გმადლობთ!

შემდეგ დაივიწყა თავისი გასაჭირი და ლაპარაკი დაიწყო სამშობლოს საქმეებზე, ორდენებზე, რომლებიც უხვად დაარიგეს მეფის დაბადების დღეს, კაბინეტის შეცვლაზე, დრუიარისა და ბენიეს საქმეებზე, რამაც იმ დროს დიდი აურზაური გამოიწვია, აღშფოთებული იყო ბურჟუაზიის მოქმედებით და იწინასწარმეტყველა რევოლუცია.

მისი ყურადღება მიიპყრო იაპონურმა სატევარმა, კედელზე რომ ეკიდა. ჩამოიღო, ვადაზე ხელი გადაუსვა, შემდეგ ზიზღით შიაგდო დივანზე.

— მაშ, მშვიდობით! ნოტრ-დამ-დე-ლორეტში უნდა წავიდე.

— ოჰო! რისთვის?

— დღეს გოდრფუა კავენიაკის გარდაცვალების წლისთავის პანაშვიდია. ნამდვილად საგუშაგოზე მოკვდა, მაგრამ ჯერ ყველაფერი როდი გათავებულა!.. ვინ იცის!

და მხნედ გაუწოდა ხელი.

— იქნებ ვეღარასოდეს შევხვდეთ ერთმანეთს. მშვიდობით!

ამ ორჯერ თქმულმა „მშვიდობით“, წარბების შეკვრამ, როცა სატევარს შეხედა, ბედისადმი მორჩილებამ და უმთავრესად მისმა საზეიმო განწყობილებამ ოცნების გუნებაზე დააყენა ფრედერიკი. მალე შეწყვიტა ფიქრი სენეკალზე.

იმავე კვირაში მისმა ჰავრელმა ნოტარიუსმა გამოუგზავნა გაყიდული ფერმის ფასი — ას სამოცდათოთხმეტი ათასი ფრანკი. ეს თანხა შუაზე გაყო; ერთი ნაწილი ბანკში შეიტანა, მეორე კი ბირჟის მაკლერს წაუღო, რათა ბირჟაზე თამაში დაეწყო.

მოდურ რესტორნებში სადილობდა, დადიოდა თეატრებში და ცდილობდა გართობილიყო. ასეთ ყოფაში მოუსწრო ჰიუსონეს წერილმა, რომლითაც ატყობინებდა, რომ როზანეტმა დღის მეორე დღესვე გამოიცვალა სიზი. ამან ისე გაახარა ფრედერიკი, რომ არც კი დაფიქრებულა თუ რატომ ატყობინებდა ამას ჰიუსონე.

სამიოდე დღის შემდეგ შემთხვევით შეხვდა სიზის. ახალგაზრდა აზნაურმა სრული თავდაჭერილობა გამოიჩინა და სადილადაც კი დაპატიჟა იგი მომავალი კვირის ოთხშაბათს.

იმ დღეს, დილით, ფრედერიკმა სასამართლოს ბოქაულისაგან მიიღო ქაღალდი, რომლითაც ბ-ნი შარლ-ჟან-ბატისტ უდრი ატყობინებდა, რომ, სასამართლოს დადგენილების თანახმად, მას ეკუთვნის ბელვილში არსებული მამული ბ-ნ ჟაკ არნუსი, და რომ იგი მზად არის გადაიხადოს ორას ოცდასამი ათასი ფრანკი, მამულის ღირებულება. მაგრამ იმავე ცნობიდან ცხადი ხდებოდა, რომ, რადგან თანხა, რომლითაც დაგირავებული იყო ეს ქონება, მის ღირებულებას აღემატება, ფრედერიკისათვის მიცემულ ვექსილს ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება.

მთელი უბედურება იქიდან წარმოდგებოდა, რომ თავის დროზე ვექსილის ვადა არ გაუგრძელებიათ. არნუმ ეს იკისრა, მაგრამ გადაავიწყდა. ფრედერიკი გაუჯავრდა, მაგრამ, როცა დამშვიდდა, თავის თავს ასე უთხრა:

„რა გაეწყობა... არაფერია! თუ ეს უშველის, მით უკეთესი! მე არაფერი მიშავს! ამაზე ფიქრიც კი არ ღირს!“

მაგრამ, ქაღალდებს რომ ათვალიერებდა მაგიდაზე, კვლავ მოხვდა ხელში ჰიუსონეს წერილი და ყურადღება მიაქცია პოსტსკრიპტუმს, რაც პირველად ვერ შეამჩნია, ჟურნალისტი სთხოვდა ხუთ ათას ფრანკს, ზუსტად, გაზეთის საქმეების მოსაგვარებლად.

„აჰ, როგორ მომაბეზრა თავი!“

ჰიუსონეს მოკლე ბარათი გაუგზავნა და მკვახე უარი შეუთვალა. მერმე ჩაცმა დაიწყო, რადგან „ოქროს სახლში“ წასვლას აპირებდა.

სიზიმ თავისი სტუმრები გააცნო; ჯერ ყველაზე პატივცემული, სქელი ჭაღარა ბატონი:

— მარკიზ ჟილბერ დეზ ონე, ჩემი ნათლია. ბატონი ანსელმ დე ფორშამბო, — უთხრა შემდეგ მეორეზე (ეს იყო ქერა და გამხდარი, უკვე ძელოტი ყმაწვილი), შემდეგ უჩვენა ორმოციოდე წლის მამაკაცი, რომელსაც თავი უბრალოდ ეჭირა — კოზეფ ბოფრე, ჩემი ბიძაშვილი, და აი ჩემი ძველი მასწავლებელი, ბატონი ვეზუ.

ეს პიროვნება ჰგავდა მეეტლესაც და სემინარისტსაც, ჰქონდა დიდრონი ქილვაშები, ეცვა გრძელი სერთუკი, რომელიც შეკრული ჰქონდა ძირს ერთი ღილით ისე, რომ გულ-მკერდზე შალივით ეხვეოდა.

სიზი ელოდა კიდევ ერთს, ბარონ დე კომენს, რომელიც „ან მოვიდოდა ან არა!“ სიზი ყოველ წუთს გადიოდა, აღელვებული იყო, ბოლოს რვა საათზე ყველანი დარბაზში გადავიდნენ, რომელიც დიდებულად განათებული და მეტად ვრცელი იყო ამდენი სტუმრისათვის. სიზიმ განგებ აირჩია იგი მეტი ზეიმურობისათვის.

შუაგულ სუფრაზე იდგა მოოქრული ვერცხლის ლარნაკი, რომელშიც ყვავილები იყო. სუფრა გაშლილი იყო, ძველი ფრანგული ჩვეულებისამებრ, ვერცხლის თეფშებით; მათს გარშემო მწნილიანი და სანელებლიანი მომცრო საინები; ერთმანეთის დაშორებით აღმართულიყო სურები, რომლებშიც ესხა გაციებული ვარდისფერი ღვინო; ყოველი თეფშის წინ იდგა ხუთი სხვადასხვა ზომის ჭიქა და ელაგა მრავალი უცნაური ხელსაწყო, რისი დანიშნულებაც უცნობი იყო. პირველ კერძად მოიტანეს ზუთხის თავი შამპანურის წვნით, იორკის შაშხი ტოკაიური ღვინის სანელებლით, ორცხობილას ფხვნილში მოხრაკული შაშვები, შემწვარი მწყერები, ვოლ ო-ვანი ქლიავის წვნით; წითელი კაკბის სოტე და კარტოფილის სალათა ტრიუფელით აგვირგვინებდა მთელ ამ მასპინძლობას.

ჭაღი და ჟირანდოლები აშუქებდნენ დარბაზს, რომლის კედლებზეც გაკრული იყო წითელი აბრეშუმი. ოთხი ფრაკიანი ლაქია იდგა ტარსიკონგადაკრული სავარძლების უკან. ამ მორთულობის

მნახველმა სტუმრებმა, განსაკუთრებით სიზის ყოფილმა მასწავლებელმა, თავი ვერ შეიკავეს ალტაცებისაგან.

— გეფიცებით, ჩვენს ამფიტრიონს სულ დავიწყებია კეთილგონიერება. ეს მეტისმეტია!

— ესა? — თქვა ვიკონტ დე სიზიმ, — რას ბრძანებთ.

და ერთი ლუკმის შემდეგ:

— აბა, ჩემო ძვირფასო ,დეზ ონე, ნახეთ თუ არა პალე როიალში „მამა და მეკარე"?

— ხომ იცი, რომ არ მცალია! — მიუგო მარკიზმა.

დილაობით იგი მეტყველობის კურსს უსმენდა, საღამოს სასოფლო-სამეურნე კლუბში დადიოდა, დღისით კი ქარხნებში სამწათმოქმედო მანქანების წარმოებას სწავლობდა. სამ მეოთხედ წელიწადს სენტო-ონეში ცხოვრობდა, სატახტო ქალაქში ყოფნას კი ცოდნის შემატებას ანდომებდა და მისი ფართოფარფლიანი ქუდი, კონსოლზე რომ იდო, სავსე იყო ბროშურებით.

სიზიმ შეამჩნია, რომ ბ-ნი დე ფორშამბო ღვინოს არ სვამდა.

— დალიე! შენი უკანასკნელი ხმიადი სადილი კი ნუ გგონია!

ეს რომ გაიგონეს, ყველამ თავი დაუკრა, მიულოცა.

— ის ახალგაზრდა პიროვნება კი, — უთხრა მასწავლებელმა, — მომხიბვლელია, დარწმუნებული ვარ!

— ღმერთმანი! — წამოიძახა სიზიმ. — რაც უნდა იყოს, ის მართალი არ არის; ცოლის თხოვა სისულელეა!

— შენ ზერელედ მსჯელობ , ჩემო კარგო, — შეესიტყვა დეზ ონე, ვისაც თვალებზე ცრემლი მოადგა, რადგან თავისი განსვენებული ცოლი გაახსენდა.

ფორშამბომ კი სიცილით რამდენჯერმე გაიმეორა:

— თქვენც ისე მოიქცევით! აი ნახავთ!

სიზი არ ეთანხმებოდა. მას ერჩია გართობა, „რეგენტულად" ცხოვრება. სურდა შეესწავლა ჩხუბის ილეთები, რომ ევლო ძველი ქალაქის სამიკიტნოებში, როგორც „პარიზის მისტერიების" როდოლფს; ამოიღო მოკლეტარიანი ჩიბუხი, უხეშად ეპყრობოდა მსახურთ. ძლიერ ბევრს სვამდა და, მასზე რომ კარგი აზრის ყოფილიყვნენ, იწუნებდა ყოველნაირ საჭმელს; ტრიუფელიც კი გაატანინა და მასწავლებელმა, ვისაც ძალიან უყვარდა ეს საჭმელი, მის საამებლად თქვა:

— აბა კვერცხის ტაფამწვარს კი ვერ შეედრება, ქალბატონ ბებიაშენს რომ უმზადებენ ხოლმე!

შემდეგ დაიწყო საუბარი გვერდით მჯდომ აგრონომთან, ვისაც მიაჩნდა, რომ სოფლად ცხოვრებას ბევრი უპირატესობა აქვს, რაც მას, მაგალითად, შესაძლებლობას ანიჭებს თავის ქალიშვილებს შთაუნერგოს უბრალოებისადმი სიყვარული. მასწავლებელი უწონებდა ასეთ შეხედულებას, რაკი ფიქრობდა, რომ აგრონომს გავლენა ჰქონდა მის მოწაფეზე, რადგან გულში ნატრობდა მისი მოურავი გამხდარიყო.

ფრედერიკი სიზის უკმაყოფილო იყო, რომ აქ მოიყვანა; მისმა სისულელემ იარაღი დააყრევინა. ხოლო სიზის ქცევა, მისი სახე აგონებდა სადილს ინგლისურ კაფეში, სულ უფრო აღიზიანებდა და ბეჯითად უგდებდა ყურს უხიაგ შენიშვნებს, რასაც ჩურჩულით აკეთებდა სიზის ბიძაშვილი ეოზეფი, სრულიად უქონელი, გარნა კაი ბიჭი, ნადირობის ტრფიალი და ბირჟაზე მოთამაშე. სიზიმ რამდენჯერმე ხუმრობით უწოდა მას გაიძვერა: შემდეგ უეცრად წამოიძახა:

— აჰ, აგერ ბარონიც!

შემოვიდა ასე ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცი, სახე ერთგვარად ტლანქი, მოძრაობა კი მსუბუქი ჰქონდა; ქუდი გვერდზე მოეგდო, ღილაღილოს ყვავილი უმშვენებდა. ეს იყო ვიკონტის იდეალი. ასეთი სტუმრით ალტაცებულმა, მისი მოსვლით აღფრთოვანებულმა სიზიმ გადაწყვიტა ეოხუნჯა იმის გამო, რომ ის იყო შემწვარი სოკო შემოიტანეს:

— აი საუკეთესო, ლა ბრუიერის გმირთა შორის.

სიზიმ მრავალი რამ ჰკითხა ბ-ნ დე კომენს ისეთ პირთა შესახებ, რომელთაც დანარჩენი სტუმრები ვერ იცნობდნენ; ბოლოს, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შეეკითხა:

— მითხარით, ჩემზე ფიქრობდით თუ არა?

მან მხრები აიჩეჩა.

— თქვენ ჯერ პატარა ხართ, გეთაყვა! არ შეიძლება!

სიზიმ ბ-ნ დე კომენს სთხოვა, შენს კლუბში შემიყვანეო. ბარონმა, ალბათ, დაინდო მისი თავმოყვარეობა და უთხრა:

— აჰ, კინაღამ დამავიწყდა! მომილოცნია, ჩემო კარგო, სანაძლეო მოიგე!

— რა სანაძლეო?

— აი იქ, დოლზე რომ მიმტკიცებდით, ამ საღამოსვე ვიქნები იმ ქალთანო.

ფრედერიკს თითქოს მათრახი უცხუნესო, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა, სიზი რომ შეცბუნებული დაინახა.

მართლაც, უკვე მეორე დღეს, როგორც კი არნუ, მისი წინანდელი საყვარელი, მისი არნუ მოვიდა, როზანეტი სინანულმა შეიპყრო. მან და არნუმ ვიკონტს აგრძნობინეს, აქ ზედმეტი ხარო, და სრულიად უბოდიშოდ გააგდეს გარეთ.

სიზიმ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არ გამიგონიაო. ბარონმა დასძინა:

— რასა იქმს მშვენიერი როზანეტი? წინანდებურად ლამაზი ფეხები აქვს?

— ასეთი სიტყვებით იმის თქმა უნდოდა, რომ მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

ამან ფრედერიკი გააბრაზა.

— აქ დარცხვენა რა შუაშია, — განაგრძო ბარონმა. — ცუდი საქმეა თუ?

სიზიმ ენა დააწკლაპუნა.

— ეჰ, არცთუ ისე კარგია!

— ვითომ?

— რა თქმა უნდა, ღმერთო ჩემო! ჯერ ერთი, განსაკუთრებული არაფერი გააჩნია, და შემდეგ ისეთები, როგორიც იგია, შეიძლება რამდენიც გნებავთ იშოვნოთ. რაც უნდა იყოს იგი ხომ... საქონელია!

— არა ყველასათვის! — გაჯავრებით მიუგო ფრედერიკმა.

— მას ჰგონია, სხვებს არ ვგავარო! — თქვა სიზიმ. — აი ხუმარა!

სტუმრებმა გაიცინეს.

გული ისე უცემდა ფრედერიკს, რომ სული ეხუთებოდა. ერთბაშად ორი ჭიქა წყალი დალია.

მაგრამ ბარონს სასიამოვნო მოგონება დარჩენოდა როზანეტზე.

— იგი კვლავინდებურად ვინმე არნუსთან არის?

— არაფერი არ ვიცი, — მიუგო სიზიმ. — მე იმ ბატონს არ ვიცნობ.

მიუხედავად ამისა, იგი ამტკიცებდა, არნუ ყალთაბანდიაო.

— მოითმინეთ! — შესძახა ფრედერიკმა.

— გარნა ეს უეჭველია! პროცესიც კი ჰქონდა!

— ტყუილია!

ფრედერიკი არნუს გამოექომაგა. ირწმუნებოდა პატიოსანიაო, თვითონაც კი დაიჯერა, იგონებდა ციფრებს, მოჰყავდა საბუთები. გაავებული, თანაც მთვრალი, ვიკონტი ჯიუტობდა. ფრედერიკმა მტკიცედ ჰკითხა:

— გნებავთ შეურაცხყოფა მომაყენოთ, ბატონო?

და ცქერა, ვიკონტს რომ ესროლა, ისეთივე ცხელი იყო, როგორიც მისი სიგარის ბოლო.

— ოჰ, სრულიადაც არა! გეთანხმებით, . რომ მას მეტად კარგი რამეც გააჩნია: ცოლი!

— თქვენ იცნობთ მას?

— რა თქმა უნდა! სოფი არნუ, მას მთელი ქვეყანა იცნობს.

— როგორ ბრძანეთ?

სიზი წამოდგა და ენის ბორძიკით გაიმეორა:

— ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

— ჩუმად! იგი ისეთი ქალი არ არის, ვისთანაც თქვენ დაბრძანდებით!

— მინდა, დავიჯერო!

ფრედერიკმა თეფში ესროლა სახეში.

თეფშმა ელვასავით გადაუქროლა სუფრას, წააქცია ორი ბოთლი, გატეხა სასალათე, სამად დაიმსხვრა, ვერცხლის ლარნაკს მოხვდა და ვიკონტს მუცელში ეტაკა.

ყველანი წამოცვივდნენ, რომ შეეკავებინათ იგი, ვიკონტი იქაჩებოდა, ყვიროდა, ცოფდებოდა. ბ-ნი დეზ ონე ეხვეწებოდა:

— დამშვიდდით! კმარა, ჩემო შვილო!

— ეს გასაოცარია! — გაჰკიოდა მასწავლებელი.

ფორშამბო გაფითრებული იყო და ცახცახებდა; ჟოზეფი ხმამაღლა ხარხარებდა; ლაქიები სუფრას ასუფთავებდნენ, ნამსხვრევებს კრეფდნენ, ბარონმა ფანჯარა დახურა, რადგან, მიუხედავად ეკიპაჟების გრიალისა, ხმაური შეიძლებოდა ბულვარზეც გაეგონათ.

იმ დროს, როცა ფრედერიკმა თეფში ესროლა, ყველანი ერთად ლაპარაკობდნენ, ამიტომ შეუძლებელი იყო იმის გამორკვევა, რამ გამოიწვია შეურაცხყოფა, ვინ იყო მიზეზი, თვით არნუ თუ ქ-ნი არნუ, როზანეტი თუ კიდევ სხვა ვინმე. ერთი რამ კი უეჭველი იყო,

სახელდობრ, ფრედერიკის უმაგალითო უხეშობა. მან გადაჭრით თქვა უარი გამოეხატა უმცირესი სინანულიც კი.

ბ-ნი დეზონე შეეცადა დაეშოშმინებინა იგი, აგრეთვე ბიძაშვილი ჟოზეფი; ამასვე ცდილობდნენ მასწავლებელი და ფორშამბოც კი. ბარონი სიზის ამშვიდებდა, რომელიც ნერვიულმა შერყევამ ისე დაასუსტა, რომ ცრემლებს ღვრიდა. ფრედერიკი, პირიქით, სულ უფრო ბრაზობდა და შესაძლებელი იყო ასეთი მდგომარეობა მეორე დილამდე გაგრძელებულიყო, რომ ბარონს, რომელსაც სურდა ბოლო მოეღო ამ ყოფისათვის, არ ეთქვა:

— მოწყალეო ბატონო, ვიკონტი ხვალ თავის სეკუნდანტებს გამოგიგზავნით.

— რომელ საათზე?

— შუადღისას, თუ გნებავთ.

— თქვენი მონა-მორჩილი, ბატონო ჩემო.

ქუჩაში რომ გავიდა, ფრედერიკმა ღრმად ამოისუნთქა. მეტად დიდხანს იკავებდა თავს. ახლა კი ნება მისცა საკუთარი რაღაც მამაცურ სიამაყეს, შინაგანი ძალების მატებას გრძნობდა, რაც ათრობდა. ორი სეკუნდანტი ესაჭიროებოდა. პირველი, ვინც გაახსენდა, რეჟემბარი იყო და იმ წამსვე გაემართა მისთვის ცნობილ სამიკიტნოში სენ-დენის ქუჩაზე. დარაბები დახურული იყო, მაგრამ ფანჯარაში კარის თავზე სინათლე მოჩანდა. კარი გაიღო და იგი თავდაღუნული შევიდა კართანას გადმოხურულში.

ცარიელ სადგომში სანთელი ენთო, დახლის ნაპირზე რომ იდგა. სკამები დაყირავებული ეწყო მაგიდებზე. დიასახლისი და მსახური სამზარეულოს კართან, კუთხეში ვახშმობდნენ; ქუდმოუხდელი რეჟემბარიც მათთან იჯდა და ოდნავადაც კი ავიწროებდა მსახურს, რომელიც ყოველი ლუკმის გადაყლაპვაზე იძულებული იყო გვერდით მიბრუნებულიყო, სუფრისაკენ. ფრედერიკმა მოკლედ გააცნო რეჟემბარს საქმის ვითარება და განუმარტა თავისი თხოვნა. მოქალაქემ ჯერ არაფერი არ უთხრა; თვალებს ატრიალებდა, თითქოს ფიქრობსო, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში და, ბოლოს, უთხრა:

— კარგი, სიამოვნებით!

და მომაკვდინებელი ღიმილი გაუკრთა სახეზე, რამაც შუბლზე ნაოჭები გაუსწორა, როცა შეიტყო მოწინააღმდეგე არისტოკრატიაო.

— ხეირს არ დავაყრით, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ! ჯერ ერთი, დუელი დაშნით უნდა იქნეს...

— მაგრამ იქნებ, — შენიშნა ფრედერიკმა, — მე უფლება არ მაქვს...

— გეუბნებით, დაშნით უნდა იბრძოლოთ! — მკვახედ მიუგო მოქალაქემ. — იცით თუ არა ფარიკაობა?

— ცოტათი.

— აჰ! ცოტათი! ყველანი აგეთი ხართ! ბრძოლაში კი ეჩრებით! მერმე რას წარმოადგენს ფარიკაობის შესწავლა! გამიგონეთ: მოწინააღმდეგეს ახლოს ნუ მიეკარებით, წრე შეკარით და სულ უკან და უკან იხიეთ! ეს ნებადართულია. მოღალეთ იგი! მერმე პირდაპირ ეძგერეთ. მთავარია არავითარი ცბიერება, არავითარი ლა ფუეერისებური დარტყმა! არა! უბრალოდ ერთი-ორი, გათავდა. აი შემომხედეთ! მაჯა უნდა ატრიალოთ, ვითომ გასაღებით აღებთ კარს...

— ძია ვოტიე, მომეცით თქვენი საბიჯგი ჯოხი! აჰ, ეს კარგია! ხელი დაავლო ჯოხს, რითაც გაზს ანთებდნენ, მარჯვენა ხელი დაამრგვალა, მარცხენა კი იდაყვში მოხარა და ჯოხი კედელს დაუშინა. ფეხებს უტყაპუნებდა, გაფიცხდა, ისე იქცეოდა, ვითომ დაბრკოლებას წავაწყდიო, ყვიროდა. „მოგხვდა, ა? მოგხვდა?“ და კედელზე ისახებოდა მისი უზარმაზარი სილუეტი, ქუდი კი თითქოს ჭერს ეხებოდა. სამიკიტნოს პატრონი დროდადრო გაიძახოდა: „ვაშა! ჩინებულია!“ მისი მეუღლე, თუმცა აღელვებული იყო, მაგრამ მაინც აღტაცებას ვერ მალავდა, თევდორე კი, ყოფილი ჯარისკაცი, რეკემბარის თავგადაკლული პატივისმცემელი, გაოცებით გაქვავებულიყო.

მეორე დღეს, დილაადრიან, ფრედერიკი გაეშურა მაღაზიაში, სადაც დიუსარდიე მსახურობდა. გაიარა მთელი რიგი სადგომები, სადაც ყველგან მოჩანდა ქსოვილები, თაროებზე თუ დახლებზე, სოკოსებრ სადგარებზე კი გაფენილი იყო შალები, დიუსარდიე იპოვნა რომელიღაც გალიაში, რიკულს გადაღმა, საანგარიშო წიგნებში ჩაფლული, იდგა პიუპიტრთან და წერდა. ამ ყოჩაღმა ბიჭმა მაშინვე მიატოვა საქმე.

სეკუნდანტები შუადღემდე მოვიდნენ. ფრედერიკმა უფრო ზრდილობიანად მიიჩნია მოლაპარაკებას არ დასწრებოდა.

ბარონმა და ბ-მა ჟოზეფმა განაცხადეს, ჩვენ სრულიად უბრა-

ლო ბოდიში დაგვაკმაყოფილებსო. მაგრამ რეჟემბარმა, რომელსაც წესად ჰქონდა არასოდეს არ დაეთმო და თანაც თავის მოვალეობად მიაჩნდა არნუს ღირსება დაეცვა (ფრედერიკს სხვაც არაფერი უთქვამს მისთვის), მოითხოვა, თვით ვიკონტმა მოიხადოს ბოდიშიო. ბ-ნი დე კომენი ამ უტიფრობამ აღაშფოთა. მოქალაქეს დათმობა არ სურდა. შერიგება სრულიად შეუძლებელი ხდებოდა და უნდა ებრძოლათ.

სხვა დაბრკოლებაც წარმოიშვა, რადგან წესით იარაღის არჩევის უფლება შეურაცხყოფილ სიზის ეკუთვნოდა. გარნა რეჟემბარი ამტკიცებდა, რაკი სიზიმ გამოიწვია, ამით შეურაცხმყოფელი გამოდისო. სიზის სეკუნდანტები აღშფოთდნენ, სილა, რაც უნდა იყოს, ულასტიკესი შეურაცხყოფა არისო. ბოლოს გადაწყვიტეს მიემართათ სამხედრო პირებისათვის და ოთხივე სეკუნდანტი წავიდა, რათა სადმე ყაზარმაში მოთათბირებოდნენ ოფიცრებს.

ისინი გაჩერდნენ ყაზარმასთან ორსეს სანაპიროზე. ბ-მა დე კომენმა მიმართა ორ კაპიტანს და დავაც აუხსნა.

კაპიტნებმა ვერაფერი ვერ გაიგეს, რადგან შენიშვნები, რომლებსაც მოქალაქე ჩაურთავდა ხოლმე, მხოლოდ აბუნდოვანებდნენ საქმეს. ბოლოს მათ წინადადება მისცეს სეკუნდანტებს შეედგინათ ოქმი; ისინი წაიკითხავდნენ ამ ოქმს და გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ. მაშინ კი კაფეში შევიდნენ. მეტი სიფრთხილისათვის ოქმში სიზი აღნიშნეს ასოთი გ. ხოლო ფრედერიკი ასოთი კ.

შემდეგ ყაზარმაში დაბრუნდნენ. ოფიცრები იქ აღარ იყვნენ. როცა მოვიდნენ, განაცხადეს, იარაღის არჩევის უფლება უეჭველად ბ-ნ გ. ეკუთვნისო. ყველანი სიზისთან წავიდნენ. რეჟემბარი და დიუსარდიე ჭუჭაში დარჩნენ.

როცა ვიკონტმა ეს გადაწყვეტილება შეიტყო, ისე აღელდა, რომ რამდენჯერმე გაამეორებინა, ხოლო როცა ბ-მა დე კომენმა ლაპარაკი დაიწყო რეჟემბარის მოთხოვნაზე, წაიბუტბუტა: „გარნა!“ გულში კი გაივლო, დავთანხმდებიო. მერმე სავარძელში ჩაეშვა და განაცხადა, არ ვიბრძოლებო.

— რა? როგორ? — ჰკითხა ბარონმა.

მაშინ სიზიმ დაიწყო რაღაც უაზრო როშვა. სურდა ესროლა მიბრჯნით, უსათუოდ დამბაჩა.

— ანდა ჭიქაში ჩაყარონ დარიშხანა და წილი ყარონ. ასე იქცევიან ხანდახან, მე წამიკითხავს!

ბარონმა, ვინც არცთუ ძლიერ მომთმენი ხასიათისა იყო, უფრო მკვახედ უთხრა:

— ბატონი სეკუნდანტები თქვენს პასუხს ელოდებიან. ბოლოს და ბოლოს ეს უზრდელობაა! რას ირჩევთ? დაშნას, არა?

ვიკონტმა თავი დაუქნია, რაც თანხმობას ნიშნავდა, და დუელი დაინიშნა მეორე დილისათვის ზუსტად შვიდ საათზე მაიოს კართან.

დიუსარდიე იძულებული გახდა თავის მაღაზიაში დაბრუნებულიყო. ფრედერიკისათვის ყველაფერი რეჟიმბარს უნდა შეეტყობინებია.

ფრედერიკს მთელი დღე არაფერი არ გაუგია; მისმა მოუთმენლობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

— მით უკეთესი! — წამოიძახა მან.

მოქალაქე კმაყოფილი იყო მისი თავდაჭერილობით.

— ჩვენგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ, წარმოგიდგენია! რაღაც ერთი სიტყვა და... მაგრამ მე იმათ ვუჩვენე! ხომ ასე უნდა მოვქცეულიყავი?

— რა თქმა უნდა, — მიუგო ფრედერიკმა და გაიფიქრა, უკეთესი იქნებოდა სხვა სეკუნდანტი მომეწვიაო.

შემდეგ, მარტო რომ დარჩა, რამდენჯერმე ხმამაღლა გაიმეორა: „ორთა ბრძოლა უნდა გავმართო! დიახ, უნდა ვიბრძოლო! სასეიროა!“

ოთახში ჩოლთას სცემდა და სარკის წინ შედგა, შეამჩნია, რომ გაფითრებული იყო.

„ხომ არ მეშინია?“

საშინელმა შეშფოთებამ შეიპყრო, როცა გაიფიქრა, შევშინდებიო.

„რომ მომკლან, მაშინ? მამაჩემიც ორთა ბრძოლაში დაიღუპა. ჰო, მომკლავენ!“

და უეცრად თვალწინ წარმოუდგა ძაძითმოსილი დედა; უცნაურმა სახეებმა გაუელვეს თავში. სასოწარკვეთილება დაეუფლა სულმოკლეობის გამო. შემდეგ სიმამაცემ, განადგურების წყურვილმა მოიცვა. მთელი ბატალიონის წინაშეც კი არ შედრკებოდა. როცა ალტყინება მინელდა, სიხარულით იგრძნო, ურყევი ვარო. ფიქრთა განსარინებლად თეატრში წავიდა ბალეტზე, მუსიკა მოისმინა, მოცეკვავენი ნახა, ანტრაქტში კი ერთი ჭიქა პუნში დალია. მაგრამ შინ რომ დაბრუნდა, კაბინეტს, იქაურობას რომ თვალი

მოავლო, სადაც შესაძლოა უკანასკნელად ყოფილიყო, რაღაც სი-სუსტე იგრძნო.

ბაღში ჩავიდა. ვარსკვლავიანი ღამე იყო. ფიქრებში გაერთო. ფიქრი, რომ ქალისთვის იბრძოდა, საკუთარ თვალში ამაღლებდა, აკეთილშობილებდა. დამშვიდებული დაწვა დასაძინებლად.

სხვაგვარად იქცეოდა სიზი. როცა ბარონი წავიდა, ჟოზეფმა სცაღა გაემხნევებინა. მაგრამ ვერაფერს გახდა; მაშინ ბიძაშვილმა უთხრა:

— ჩემო კარგო, თუ გინდა საქმე მოსპო, წავალ და ვეტყვი მათ.

სიზიმ ვერ გაბედა ეთქვა, რა თქმა უნდაო, მაგრამ გულში ჩაი-ხვია წყრომა ბიძაშვილისადმი, რომელმაც ეს სამსახური მის დაუ-კითხავად არ გაუწია.

სურდა ფრედერიკი ამაღამ დამბლას გაეთავებინა, ანდა მომხდა-რიყო აჯანყება და დიღით იმდენი ბარიკადი ყოფილიყო ქუჩებ-ში, რომ ბულონის ტყეში მისვლა შეუძლებელი გამხდარიყო; ან კიდევ რაიმე დაბრკოლებას ხელი შეეშალა და ერთ-ერთი სეკუნ-დანტი არ მოსულიყო, რადგან მაშინ დუელი აღარ გაიმართებოდა. სურდა სადმე წასულიყო ჩქარი მატარებლით. ნანობდა, რომ მედი-ცინა არ იცოდა, რათა ისეთი წამალი დაელია, რომელიც მომაკვდი-ნებელი კი არ იქნებოდა, არამედ დააძინებდა და იმათ მკვდარი ეგონებოდათ. იქამდეც კი მივიდა, რომ მძიმე ავადმყოფობა ინატრა.

რაკი რჩევასა და დახმარებას ეძებდა, კაცი გაგზავნა ბ-ნ დეზ ონეს მოსაყვანად. ეს ღირსეული პიროვნება სენტ-ონეს წასული-ყო, რადგან ერთ-ერთი ქალიშვილის ავადმყოფობის ამბავი მოსვ-ლოდა. სიზის ეს ცუდის მომასწავებლად ეჩვენა. საბედნიეროდ, მის სანახავად მოვიდა ბ-ნი ვეზუ, მისი ყოფილი მასწავლებელი. დაიწყო გულითადი საუბარი.

— რა უნდა ვქნა, ღმერთო ჩემო? რა უნდა ვქნა?

— თქვენს ადგილზე, ბატონო ვიკონტო, მე ვინმეს დავიქირავებ-დი ბაზარში, რომ იგი კარგად დაეზილა.

— სულ ერთია, მიხვდება, ვინ მიუგზავნა! — შენიშნა სიზიმ.

სიზი დროდადრო კვნესოდა.

— განა კანონით ორთა ბრძოლა ნებადართულია?

— ეს ბარბაროსობის გადმონაშთია! რას იზამ!

პედაგოგმა თავაზიანობით თავი დააპატიჟებინა სადილზე. მის

მოწაფეს არაფერი არ უპამია, ნასადილევს კი გასეირნების სურვილი აღეძრა.

ეკლესიასთან რომ გაიარეს, მან უთხრა:

— ცოტა ხნით რომ შევიდეთ... ვნახოთ?

ბატონ: ვეზუ ხალისით დათანხმდა და ნაკურთხი წყალიც კი შესთავაზა.

მაისი იყო, საკურთხეველი ყვავილებით მოერთოთ, ისმოდა გალობა, უკრავდა ორღანი, მაგრამ ლოცვა არ შეეძლო; მღვდელთმსახურება დაკრძალვას მოაგონებდა, ყურებში თითქოს De Profundis[1] უგუგუნებდა.

— გავიდეთ! რაღაც ცუდად ვარ!

მთელ ღამეს ქაღალდს თამაშობდნენ. ვიკონტი ცდილობდა წაეგო და ამით მოემადლიერებინა ბედისწერა, ბ-ნი ვეზუ კი ამით სარგებლობდა. ბოლოს, განთიადისას ქანცგაწყვეტილი სიზი მაგიდაზე დაემხო და დაიძინა, ძილში უსიამოვნო სიზმრებს ხედავდა.

გარნა, თუ მამაცობა სისუსტის დაძლევის სურვილია, ვიკონტმა მამაცობა გამოიჩნა, რადგან სეკუნდანტები რომ მის წასაყვანად მოვიდნენ, მთელი ძალა დაძაბა, თავმოყვარეობა ეუბნებოდა, უკანდახევა დამღუპველიაო. ბ-მა კომენმა სიმხნევე უქო.

მაგრამ ეტლში რომ იჯდა, რხევამ და მზის მცხუნვარებამ დაასუსტა. ენერგია გაუქრა. ქუჩებსაც კი ვეღარ ცნობდა, რომლებითაც მიდიოდნენ.

ბარონი იმით ერთობოდა, რომ ლაპარაკობდა „მკვდარზე“ და იმაზე, თუ როგორ წაეღო ცხედარი ქალაქში ისე, რომ არავის დაენახა, რითაც უფრო აძლიერებდა სიზის შიშს. ჟოზეფიც მხარს უბამდა. ეს საქმე ორივეს სისულელედ მიაჩნდა და დარწმუნებული იყო, რომ მოგვარდებოდა.

სიზი თავჩაღუნული იჯდა; მერმე წყნარად ასწია თავი და თქვა, ექიმი არ წამოგვიყვანიაო.

— რა საჭიროა, — უთხრა ბარონმა.

— მაშასადამე, საფრთხე არ არსებობს?

ჟოზეფმა ზეიმოვნად მიუგო:

— იმედი ვიქონიოთ!

ეტლში ხმა ალარავის ამოუღია.

---

[1] ფსალმუნია. (მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი).

რვის ათ წუთზე მივიდნენ მაიოს კართან. ფრედერიკი და მისი სეკუნდანტები უკვე იქ იყვნენ; სამივე შავად იყო ჩაცმული. რეჟემბარს ჩვეულებრივი ჰალსტუხის ნაცვლად ცხენის ძუის ყელსახვევი ეკეთა, როგორც მხედარს; ხელში ეჭირა ვიოლინოს ბუდის მსგავსი გრძელი ყუთი, ასეთ შემთხვევებში რომ მუდამ თან ჰქონდათ ხოლმე. მედუელები გულცივად მიესალმნენ ერთმანეთს. შემდეგ ყველანი ბულონის ტყეში შევიდნენ მადრიდის გზით, რათა შესაფერისი ადგილი აერჩიათ.

რეჟემბარმა უთხრა ფრედერიკს, რომელიც მასა და დიუსარდიეს შუა მიდიოდა:

— ჰო, შიშის შესახებ როგორაა საქმე? თუ რამე გინდა, ნუ მერიდები, მე ხომ მესმის! ადამიანს შიში სჩვევია.

მერმე ხმადაბლა უთხრა:

— ნუღარ ეწევით, ეგ კაცს ასუსტებს!

ფრედერიკმა გადააგდო სიგარა, რომელიც უშლიდა, და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო გზა. ვიკონტი, რომელსაც სეკუნდანტები გვერდში ამოსდგომოდნენ, უკან მოდიოდა.

გამვლელნი იშვიათად ხვდებოდნენ. ცა მოწმენდილი იყო და ბალახში ზოგჯერ ჩამიჩუმი ისმოდა: ბაჭიები დახტოდნენ. ბილიკის მოსახვევში კუბოკრულთავსაფრიანი ქალი ელაპარაკებოდა ბლუზიან მამაკაცს, წაბლის ხეების დიდ ხეივანში კი ტილოსბლუზიანი მეჯინიბეები ცხენებს დაასეირნებდნენ. სიზის გაახსენდა ის ბედნიერი დღეები, როცა წაბლა ულაყზე მჯდომი, მონოკლგაკეთებული, ვინმეს ეტლის გვერდით დაჯირითობდა ხოლმე. მოგონებანი ამძაფრებდნენ მის წუხილს; აუტანელი წყურვილი ტანჯავდა; ბუზების ბზუილი თითქოს მის მაჯისცემას ერთვოდა; ფეხები სილაში ეფლობოდა და ეგონა, მთელი საუკუნეა მივდივართო.

სიარულის დროს სეკუნდანტები ბეჯითად ათვალიერებდნენ ბიდამოს, მსჯელობდნენ, საით წავიდეთ: კატელანის ჯვრისა თუ ბაგატელის კედლისაკენო. ბოლოს მარჯვნივ გაუხვიეს, ერთ კორომამდე მივიდნენ და ფიჭვებქვეშ გაჩერდნენ.

ადგილი ისე აირჩიეს, რომ ორივე მოწინააღმდეგე თანაბარ პირობებში ჩაეყენებინათ. დანიშნეს, სად უნდა დამდგარიყვნენ. შემდეგ რეჟემბარმა თავისი ყუთი გახსნა. შიგ წითელი ტარსიკონის ბალიშზე იდო ოთხი საუცხოოდ ნაკეთები დაშნა, რომელთაც შუაგულში ღრუ ჰქონდათ, ვადები კი მოჩუქურთმებული იყო. მზის

სხივები ფოთლებში გამოკრთა და ზედ დაეცა, სიზის კი ეს დაშნები გველებად მოეჩვენა, სისხლის გუბეში რომ ლაპლაპებდნენ.

მოქალაქემ აჩვენა, რომ მათ ერთი და იგივე სიგრძე ჰქონდათ; ბესამე თვითონ აიღო, რათა, თუ საჭირო გახდებოდა, მებრძოლნი დაეზავებინა. ბ-ნ დე კომენს საბიჯგი ჯოხი ჰქონდა. ჩამოვარდა დუმილი.

სახეზე ყველას აბნეულობა თუ სიმკაცრე ეხატა.

ფრედერიკმა სერთუკი და ჟილეტი გაიხადა. სიზიმ ჟოზეფის დახმარებით იგივე მოიმოქმედა; როცა ჰალსტუხი შეიხსნა, ყველამ დაინახა, რომ გულზე პატარა ხატი ეკიდა. ამან რეჟემბარს სიბრალულის ღიმილი მოჰგვარა.

მაშინ ბ-ნი დე კომენი (რათა ფრედერიკისათვის მოფიქრების დრო მიეცა) წერილმანებს გამოედევნა: უფლებას იტოვებდა, რომ სიზის თათმანები ჰქონოდა, მოწინააღმდეგის დაშნისათვის მარცხენა ხელი ეტაცნა. რეჟემბარს, როშელსაც ეჩქარებოდა, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ბოლოს ბარონმა ფრედერიკს მიმართა:

— ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, ბატონო ჩემო! საკუთარი შეცდომების აღიარება საძრახისი არ არის.

დიუსარდიემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მოქალაქე კი აღშფოთდა:

— როგორ, თქვენი აზრით, ჩვენ აქ იხვების საბდღვნელად ხომ არ მოვსულვართ, დალახვროს ეშმაკმა!.. დადექით!

მოწინააღმდეგენი პირისპირ დადგნენ, სეკუნდანტები თითოეულ მათგანს გვერდში ამოუდგნენ. რეჟემბარმა შესძახა:

— დაიწყეთ!

სიზი საშინლად გაფითრდა. ვისი დაშნის წვერო მათრახივით ცახცახებდა. თავი გადასწია, ხელები გაშალა და გულღმა გაიშხლართა, გრძნობა დაკარგა. ჟოზეფმა ააყენა, ცხვირთან მარილწყლის შუშა მიუტანა და, რაც ძალა ჰქონდა, შეარხია. ვიკონტმა თვალები გაახილა და უეცრად გიჟივით ეცა თავის დაშნას. ფრედერიკს დაშნა მზად ეჭირა ხელში და მოწინააღმდეგეს ელოდებოდა.

— შეჩერდით! შეჩერდით! — მოისმა გზიდან ვილაცის ყვირილი და გაპენებული ცხენის ფლოქვების თქარუნი; კაბრიოლეტის ძარა ტოტებს ამტვრევდა. კაცს ეკიპაჟიდან თავი გამოეყო, ცხვირსახოცს აქნევდა და გაჰკიოდა: „შეჩერდით! შეჩერდით!“

ბ-ნ დე კომენს ეგონა, პოლიცია ჩაგვერიაო, და ჯოხი აღმართა:

— კმარა! შეჩერდით! ვიკონტი დაჭრილია!

— დაჭრილი ვარ? — იკითხა ვიკონტმა.

მართლაც, როცა დაეცა, მარცხენა ხელის ცერი გაიკაწრა.

— ეგ, რომ დაეცა, მაშინ ჰოუვიდა, — განმარტა მოქალაქემ.

ბარონმა თავი მოიკატუნა, არ გამიგონიაო.

კაბრიოლეტიდან არნუ გამოხტა.

— დავიგვიანე? არა! მადლობა ღმერთს!

იგი ფრედერიკს მოეხვია, ხელებს უფოთინებდა, სახეს უკოცნიდა.

— მე ვარ მიზეზი; თქვენ ძველ მეგობარს გამოექომაგეთ! აი ეს მესმის! დიახ, კარგია! არასოდეს ამას არ დავივიწყებ! რა გულკეთილი ხართ! ოჰ, საყვარელო ბავშვო!

შესცქეროდა და სიხარულით იცინოდა, თანაც ცრემლს ღვრიდა. ბარონმა ჟოზეფს მიმართა:

— ვფიქრობ, რომ ჩვენ ზედმეტი ვართ ამ პატარა ოჯახურ დღესასწაულზე. ხომ ყველაფერი გათავდა, ბატონებო, არა? ვიკონტ ხელი შეიხვიეთ. ეი, წაიღეთ ჩემი ცხვირსახოცი!

და მბრძანებლურად დასძინა:

— კმარა! შერიგდით! ასეთია ჩვეულება.

მოწინააღმდეგეებმა უხალისოდ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. ვიკონტი, ბ-ნი დე კომენი და ჟოზეფი ერთი მხრით წავიდნენ, ხოლო ფრედერიკი და მისი მეგობრები მეორე მხრით.

რაკი რესტორანი ვადრიდი ახლოს იყო, არნუმ განაცხადა, შევიდეთ, თითო ჭიქა ლუდი დავლიოთო.

— შეიძლებოდა გვესაუზმა კიდეც, — თქვა რეჟემბარმა.

გარნა დიუსარდიეს ეჩქარებოდა და იძულებული გახდნენ ბაღში წახემსებით დაკმაყოფილებულიყვნენ. ყველანი განიცდიდნენ იმ ნეტარ მდგომარეობას, რაც ბედნიერ დასასრულს მოჰყვება ხოლმე. მოქალაქე მაინც უკმაყოფილო იყო, რომ ორთა ბრძოლა ყველაზე საინტერესო მომენტში შეწყდა.

არნუმ ეს ამბავი შეიტყო რეჟემბარის მეგობრის, ვინმე კომპენისაგან და დიდსულოვნური მისწრაფებით გაეშურა დუელის ადგილისაკენ, რათა ჩაეშალა იგი, რადგან ფიქრობდა, რომ მისი მიზეზი თვით იყო. ფრედერიკს სთხოვა, დაწვრილებით მიამბეო. ფრედერიკს კი, რომელსაც გული აუჩუყა არნუს სინაზემ, რცხვენოდა,

ანუს ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა, თითქოს დუელის მიზეზი მართლაც იგი ყოფილიყოს.

— თუ ღმერთი გწამთ, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ!

ეს თავდაჭერილობა არნუმ დელიკატობად მიიღო და მაშინვე, ჩვეული ფუჭსავატობით, სხვა საგანზე დაიწყო ლაპარაკი.

— ახალი რა იცით, მოქალაქევ?

და ლაპარაკი დაიწყეს ვექსილებზე, გადახდის ვადებზე. უფრო მოხერხებულად რომ დამსხდარიყვნენ, მეორე მაგიდაზედაც კი გადავიდნენ და ჩურჩული დაიწყეს.

ფრედერიკმა ყური მოჰკრა სიტყვებს.

— ხელს მომიწერთ?

— დიახ, მაგრამ თქვენ, რა თქმა უნდა...

— ჰო, ბოლოს სამასად გავასაღე! ხელსაყრელია, ვფიცავ!

მოკლედ, აშკარა იყო, რომ არნუ და ჰოქალაქე ბევრ სხვადასხვა საქმეს აჭახრაკებდნენ.

ფრედერიკს უნდოდა გაეხსენებინა მისთვის თავისი თხუთმეტი ათასი ფრანკი, მაგრამ მისი წელანდელი მოსვლა გამორიცხავდა თუნდაც სულ მცირე საყვედურის შესაძლებლობას. თანაც დაღლილობას გრძნობდა. ადგილი საამისო არ იყო. სხვა დროისათვის გადადო.

არნუ იასამნის ჩრდილში იჯდა, თამბაქოს ეწეოდა და მეტად მხიარულ გუნებაზე იყო. თვალი მოავლო ცალკე კაბინეტებს, ყველა რომ ბაღში გამოდიოდა, და თქვა, წინათ აქ ძლიერ ხშირად ვყოფილვარო.

— და უთუოდ არა მარტო? — ჰკითხა მოქალაქემ.

— რა თქმა უნდა!

— რა ცუღლუტი ხართ ეს ცოლიანი კაცი!

— თქვენ კი? — ჰკითხა არნუმ, შემწყნარებლურად გაიღიმა და დასძინა: — დარწმუნებული ვარ კიდევაც, რომ ამ უქნარას სადმე ოთახი აქვს ნაქირავები და იქ გოგოებს იღებს.

ნიშნად იმისა, რომ ეგ მართალიაო, მოქალაქემ მხოლოდ წარბი შეიხარა. მერმე თავიანთ გემოვნებაზე დაიწყეს საუბარი. არნუს ახლა უფრო ახალგაზრდობა, მუშა ქალები მოსწონდა; რეკემბარს კი თვალის დასანახავად სძულდა „კოხტაპრუწები“ და უწინარეს ყოვლისა, დადებით თვისებებს აფასებდა. დასკვნა, რომელიც ფაიფურის ვაჭარს გამოქონდა, ასეთი იყო: ქალებს სერიოზულად არ უნდა მოეპყროო.

„თავისი ცოლი კი მაინც უყვარს“, — ფიქრობდა ფრედერიკი, შინ რომ ბრუნდებოდა, და არნუ უპატიოსნო კაცად ეჩვენებოდა. ამ დუელის გამო უჯავრდებოდა, თითქოს მართლაც მისთვის ჩაეგდო თავი საფრთხეში.

დიუსარდიეს ერთგულების კი მადლიერი იყო; ნოქარი, რომელსაც დაჟინებით პატიჟობდა ხოლმე, ბოლოს და ბოლოს მისი ხშირი სტუმარი გახდა.

ფრედერიკი აძლევდა წიგნებს: ტიერის, დიულორის, ბარანტის ნაწარმოებთ, ლამარტინის „ჟირონდისტებს“. ეს ყოჩაღი ბიჭი ყურადღებით უსმენდა და მის აზრებს იღებდა, როგორც მასწავლებლის დარიგებას.

ერთხელ, საღამოს მეტად შეშფოთებული ეწვია.

იმავე დღეს, დილით, ბულვარზე ვიღაც კაცი წამოეწია და, რაკი იცნო სენეკალის ერთ-ერთი მეგობარი, უთხრა:

— იგი ეს არის დაიჭირეს, მე თავს ვუშველე!

ეს სრული სიმართლე იყო. დიუსარდიე მთელ დღეს ამ ამბის გამოსარკვევად დარბოდა. სენეკალი, ვისაც ბრალად პოლიტიკური დანაშაული ედებოდა, ახლა საპყრობილეში იჯდა.

სენეკალი ლიონელი იყო; ოსტატის შვილი და შალიეს ერთ-ერთი მომხრის მოწაფე, იგი ჩავიდა თუ არა პარიზს, მაშინვე „ოჯახთა საზოგადოების“ წევრი გახდა; მისი ყოფაქცევა ცნობილი იყო; პოლიცია თვალყურს ადევნებდა. 1839 წლის მაისში მებრძოლთა რიგებში იყო და მას შემდეგ თავს უფრთხილდებოდა; მაგრამ თანდათანობით ეგზნებოდა, ფანატიკურად სცემდა თაყვანს ალიბოს, ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა უკმაყოფილებას, რასაც საზოგადოება აგრძნობინებდა, და გაბოროტებას, რასაც ხალხში მონარქია ნერგავდა; ყოველ დილას, გაიღვიძებდა თუ არა, გულს ესახებოდა იმედი რევოლუციისა, რომელიც ორ კვირასა თუ ერთ თვეში სახეს შეუცვლიდა ქვეყანას. რაკი მოძმეთა გაუბედაობამ მოთმინებიდან გამოიყვანა, ათასგვარმა დაბრკოლებამ მისი ოცნების განხორციელება დააყოვნა, სამშობლომ კი სასო წარუკვეთა, იგი ქიმიკოსად შევიდა შეთქმულთა რიგებში, ბომბებს რომ ამზადებდნენ, და მოულოდნელად შეიპყრეს მონმარტრის გზაზე, სადაც უნდა გამოეცადათ დენთის ძალა, უკანასკნელი საშუალება რესპუბლიკის დასამყარებლად.

დიუსარდიესათვის რესპუბლიკა ნაკლებ ძვირფასი როდი იყო.

ვიდრე სენეკალისათვის, რადგან მისი წარმოდგენით რესპუბლიკა ნიშნავდა თავისუფლებასა და საყოველთაო ბედნიერებას. ერთხელ— მაშინ თხუთმეტი წლისა იყო, ტრანსნონენის ქუჩაში, ბაკალეიის დუქანთან, დაინახა ჯარისკაცები, რომელთა თოფების ხიშტები გასვრილი იყო სისხლით, თათებს კი თმის ბეწვები მიჰკვროდა. მას შემდეგ მთავრობა აღაშფოთებდა, როგორც უსამართლობის განსახიერება. მის წარმოდგენაში ჟანდარმები და მკელელები ცოტათი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან; მაძებარი მისთვის იგივე იყო, რაც მამისმკვლელი. მთელ ბოროტებას, რაც ამქვეყნად მოიპოვება, იგი თავისი გულუბრყვილობით ხელისუფლებას მიაწერდა და სძულდა ორგანული, მუდმივი სიძულვილით, მის გულს რომ მთლად დაუფლებოდა და მგრძნობიერებას უმწვავებდა. სენეკალის ქადაგებამ იგი დააბრმავა. დამნაშავეა იგი თუ არა, საზიზღარია თუ არა მისი ცდა, ამას რა მნიშვნელობა აქვს! რაკი იგი ხელისუფლების მსხვერპლი გახდა, უნდა დაეხმარონ.

— პერები, რასაკვირველია, გაამტყუნებენ! მერმე საპატიმრო ეტლით წაიყვანენ, როგორც კატორღელს და ჩააგდებენ მონ-სენ-მიშელის დილეგში, სადაც მთავრობა მათ აწამებს! ოსტენი ჭკუაზე შეირყა! შტეიბენმა თავი მოიკლა! როცა ბარბესი საკანში გადაჰყავდათ, ფეხებით და თმით მიათრევდნენ! ფეხით თელავდნენ, თავი საფეხურებს ეხლებოდა. რა საშინელებაა! საზიზღრები!

სული ეხუთებოდა, რისხვით ტიროდა, გულამღვრეული ოთახში დაბორიალებდა.

— მაინც რამე უნდა ვიღონოთ! გამიგონეთ, მე არა ვიცი რა! რა იქნება, რომ ვცადოთ მისი გათავისუფლება, ა? როცა ლუქსემბურგში წაიყვანენ, შეიძლება თავს დავესხათ ბადრაგს დერეფანში! თორმეტიოდე მარჯვე ბიჭი, რას არ იზამს!

თვალები ისე ანთებოდა, რომ ფრედერიკს შეეშინდა.

სენეკალი ახლა უფრო დიდი ეჩვენებოდა, ვიდრე წინათ. გაახსენდა, როგორ ეწამა საბრალო, რა მკაცრი იყო მისი ცხოვრება. თუმცა დიუსარდიეს ენთუზიაზმს არ იზიარებდა, მაგრამ მაინც გრძნობდა აღტაცებას, რასაც გვაგრძნობინებს ხოლმე ადამიანი, თავი რომ მსხვერპლად შეუწირავს იდეისათვის. ფრედერიკი გულში ამბობდა, რომ დავხმარებოდი, იქნებ ეს არ დამართოდაო, და მეგობრები ბეჯითად ცდილობდნენ გამოეძებნათ რაიმე საშუალება მის დასახსნელად.

ხენეკალამდე მისვლა შეუძლებელი გახდა.

ფრედერიკი გაზეთებში ეძებდა ცნობებს მისი ბედის შესატყობად, სამი კვირის განმავლობაში სამკითხველოებში დადიოდა.

ერთხელ ხელში ჩაუვარდა „ფლამბარის“ ბევრი ნომერი. მისი მოწინავე წერილი მუდამ ეძღვნებოდა ხოლმე რომელიმე ცნობილი პიროვნების განადგურებას. შემდეგ მოდიოდა მაღალი საზოგადოების ახალი ამბები, ჭორები. მერმე დასცინოდნენ „ოდეონს“, კარპენტრას, მეთვალყურეობას და სიკვდილისჯილთ, თუ ასეთი იყო ვინმე. საოკეანო გემის დაკარგვა, მთელი წლის განმავლობაში ხუმრობის საგანი იყო. მხატვრულ კორესპონდენციებს მესამე სვეტი ეჭირა, სადაც ანეკდოტებისა თუ რჩევის სახით მოცემული იყო ხოლმე მკერვალების რეკლამები, ანგარიში ბალების შესახებ, საჯარო ვაჭრობის განცხადება, წიგნების გარჩევა და ერთი და იმავე სტილით იწერებოდა რომელიმე ლექსთა ტომზე და წაღებზე. ერთადერთი სერიოზული განყოფილება იყო მცირე თეატრების მიმოხილვა, სადაც თავს ესხმოდნენ ზოგიერთ დირექტორს, ხოლო კრიტიკოსს ხელოვნების ინტერესებზე მსჯელობის საბაბს აძლევდა „ფუნამბულის“ თეატრის დეკორაციები ან „დელასმანის“ თეატრში შეყვარებულთა როლის შემსრულებელი მსახიობი ქალი.

ფრედერიკს განზე უნდა გადაედო ყოველივე ეს, რომ უეცრად თვალი მოჰკრა წერილს სათაურით: „ერთი ვარიკა და სამი მამალი“. ეს იყო მისი დუელის ცოცხალი, ხუმრული აღწერა. ფრედერიკმა ადვილად გამოიცნო თავისი თავი, რადგან მას იხსენიებდნენ ხუმრობით: „ახალგაზრდა კაცი, რომელმაც სანსის კოლეჯი დაამთავრა, მაგრამ ჭკუა ვერ ისწავლა.[1] იგი დახატული იყო საბრალო პროვინციელად, უვიც ტეტიად, რომელიც ცდილობდა დიდ ბატონებს გატოლებოდა. რაც შეეხება ვიკონტს, იგი კეთილშობილი გმირის როლს ასრულებდა ჯერ ვახშამზე, სადაც დაუპატიჟებლად მივიდა, შემდეგ სანაძლეოში, რადგან ქალიშვილი მიჰყავდა, და ბოლოს დუელში, რომლის დროსაც ისე იქცეოდა, როგორც ჯენტლმენს შეეფერება. მართალია, ფრედერიკის მამაცობას არ უარყოფდნენ, მაგრამ გვაგრძნობინებდნენ, რომ შუამავალი, ესე იგი „მფარველი“ სწორედ დროზე მოვიდა. ყოველივე ეს თავდე-

---

[1] აქ სიტყვის თამაშია: Sens ფრანგულად ჭკუასაც ნიშნავს. მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი.

ბოდა ისეთი ფრაზით, რომელიც, შესაძლებელია, ბევრ ცბიერებას შეიცავდა:

„საიდან წარმოდგება მათი სინაზე? აი პრობლემა! და, როგორც დონ ბაზილიო ამბობს, დალახვროს ეშმაკმა, აქ ვის ატყუებენ?"

ეს იყო, სრულიად უეჭველად, ჰიუსონეს შურისძიება ფრედერიკისადმი, ხუთი ათასი ფრანკი რომ არ ასესხა.

რა უნდა ექნა? ჰიუსონესაგან რომ განმარტება მოეთხოვა, იგი მოჰყვებოდა თავის მართლებას და ამრიგად არაფერი გამოვიდოდა. უმჯობესი იყო ეს ამბავი უთქმელად გადაეტანა. უწინარეს ყოვლისა, ამ „ფლამბარს" არავინ არ კითხულობს.

სამკითხველოდან რომ გამოვიდა, დაინახა რომ სურათების ვაჭრის დუქნის წინ ხალხი შეყრილიყო. ყურადღებას იპყრობდა ქალის პორტრეტი, რომელსაც ბოლოში შავი ასოებით ეწერა: „მადმუაზელ როზ-ანეტ ბრონი. ნოჟანელ ბ-ნ ფრედერიკ მოროს საკუთრება".

დიახ, ეს იყო სწორედ იგი, დახატული იყო en face, მკერდღია, თმაგაშლილი, ხელში ეჭირა წითელი ხავერდის ხელჩანთა, მხარზე კი თავი გადმოედო ფარშევანგს, რომლის ბოლო მარაოსავით ილანდებოდა კედლის არეზე.

პელერენმა სურათი გამოფინა, რათა ფრედერიკი იძულებული გამხდარიყო ფული გადაეხადა, რადგან დარწმუნებული იყო, სახელგანთქმული ვარ, პარიზი მხარს დაჭერს და ამ უბადრუკობით აღფრთოვანდებაო.

შეთქმულება ხომ არ არის? მხატვარმა და ჟურნალისტმა ერთად ხომ არ მოაწყვეს თავდასხმა?

დუელს არაფერი შეუცვლია. იგი სასაცილოა, ყველანი დასცინიან.

სამი დღის შემდეგ, ივნისის უკანასკნელ რიცხვებში, ჩრდილოეთის კომპანიის აქციებმა თხუთმეტი ფრანკით იმატა, რითაც ფრედერიკმა, რომელმაც გასულ თვეში ორი ათასი ფრანკის აქციები იყიდა, მთელი ოცდაათი ათასი ფრანკი მიიღო. ბედის ამ ღიმილმა საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა. იფიქრა: „არავინ არ მესაჭიროება, მთელი ჩემი მარცხი წარმოდგება გაუბედაობისაგან, ურწმენობისაგან. როზანეტს ერთბაშადვე უფრო მტკიცედ უნდა მოვპყრობოდი, ჰიუსონე იმთავითვე გამეგდო, პელერენთან ურთიერთობა არ დამემყარებინა და მეჩვენებინა, რომ არავითარ

უხერხულობას არ ვგრძნობ“, შემდეგ ქ-ნ დამბრეზს ეწვია ერთ-ერთ მის ჩვეულებრივ სადილზე.

დერეფანში მარტინონი, რომელიც იმავე დროს მოსულიყო, მოუბრუნდა და ჰკითხა:

— როგორ, შენ აქ ხარ? — გაკვირვებული და უკმაყოფილოც კი იყო, რომ ხედავდა.

— რატომაც არა?

ფრედერიკი სასტუმრო ოთახში შევიდა, თანაც ფიქრობდა, თუ რა იყო ასეთი შეხვედრის მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ ოთახის კუთხეებში ლამპები ენთო, დარბაზი ბუნდოვანი ჩანდა, რადგან სამივე ფართოდ გაღებული ფანჯარა ერთობ მკვეთრ შავ ოთხკუთხედებად მოჩანდა და ჩრდილს აყენებდა. სურათების ქვემოთ აღმართულიყო კაცის სიმაღლე ყარდინიერები, ხოლო შუაგულ ოთახში ვერცხლის ჩაიდანი და სამოვარი იხატებოდა სარკეში. ისმოდა დაბალი ხმით ლაპარაკი და ფეხსაცმლის ჭრაჭუნი ხალიჩაზე.

დაინახა შავი ფრაკები, მერმე მრგვალი მაგიდა, რომელზეც იდგა დიდბაჟურიანი ლამპა; მაგიდას უჯდა საზაფხულოდ ჩაცმული შვიდი თუ რვა ქალი, ხოლო მოშორებით საქანაო სავარძელში იჯდა ქ-ნი დამბრეზი. ტანთ ეცვა იასამნისფერი ტაფტის კაბა, სახელოები გაჭრილი ჰქონდა, საიდანაც მოჩანდა დოლბანდის ფურჩულა, ქსოვილის ნაზი ფერი ეხამებოდა მისი თმის ფერს; იგი უკან გადაიხარა და ფეხი ბალიშზე დადო, — ეშვიდი იყო, ვით ხელოვნების ქმნილება, ნატიფი, როგორც საუცხოო ყვავილი.

ბ-ნი დამბრეზი ვიღაც ჭაღარა მოხუცთან ერთად ოთახში მიმოდიოდა. ზოგიერთი სტუმარი კოზეტზე იჯდა მცირე ჯგუფებად და საუბრობდა. სხვები შუაგულ ოთახში იდგნენ წრედ.

საუბარი შეეხებოდა არჩევნებს, კანონებში შესატან ცვლილებებს, ამ ცვლილებათა დამატებას, ბ-ნ გრანდენის სიტყვას, ბ-ნ ბენუას პასუხს ამ სიტყვაზე. მესამე პარტია მართლაც მეტად ბევრ რამეს მოითხოვს! მემარცხენე ცენტრი არ უნდა ივიწყებდეს თავისი წარმოშობის ისტორიას! სამინისტროს დიდი ზიანი მიადგა! გარნა სანუგეშოა ის გარემოება, რომ შემცვლელი არ უჩანს. მოკლედ, მდგომარეობა საგსებით ისეთივეა, როგორიც 1834 წელს იყო.

ფრედერიკისათვის ყოველივე ეს მოსაწყენი იყო და ამიტომ ქალებთან მივიდა. მარტინონიც იქვე იყო; იგი გვერდშექცეული იდ-

გა, ქუდი იღლიაში გაეჩარა და ისეთი წესიერი შესახედავი იყო, რომ სევრის ფაიფურის ნაწარმს მოგაგონებდათ. მან აიღო „რევიუ დე მონდის“ ნომერი, მაგიდაზე რომ ეგდო „ქრისტეს მიბაძვა-ს“ და „გოთეს ალმანახს“ შორის, და ქედმაღლურად წარმოთქვა თავისი აზრი ერთ განთქმულ პოეტზე; განაცხადა, სენ-ფრანსუას კონფერენციებს ვესწრები ხოლმეო; ყელის ტკივილს უჩიოდა და დროდადრო აბებს ყლაპავდა; ლაპარაკობდა მუსიკაზე და თავისი ფუქსავატობით თავი მოჰქონდა. მ-ელ სესილი, ბ-ნ დამბრეზის დისწული. მანეტებს რომ იქარგავდა, თავისი ცისფერი თვალებით ირიბად შესცქეროდა, ხოლო მის ჯონმა, ცხვირჩაზნექილმა გუვერნანტმა, საქარგავიც კი მიაგდო; ორივე თითქოს გულში გაიძახოდა: „რა ლამაზია!“

ქ-მა დამბრეზმა მიმართა:

— მომეცით ჩემი მარაო, აი ეგერ პატარა მაგიდაზე რომ ძევს... არა, არა, მანდ ნუ ეძებთ! მეორეზეა!

ქალი წამოდგა, ხოლო რადგან მარტინონს მარაო უკვე მოჰქონდა, ერთმანეთს პირისპირ შეეყარნენ შუაგულ ოთახში; ქალმა უკმეხად უთხრა, რალაც, ალბათ, უსაყვედურა, როგორც მისი სახის უდიერი გამომეტყველება ამტკიცებდა. მარტინონმა გაღიმება ცადა, შემდეგ დარბაისელ მამაკაცთა წრეს შეუერთდა. ქ-ნი დამბრეზი ისევ იჯდა, სავარძლის სახელურზე გადაიხარა და ფრედერიკს უთხრა

— ამ დღეებში ვნახე ერთი კაცი, ბ-ნ დე სიზი, რომელიც თქვენზე მელაპარაკა. თქვენ მას იცნობთ, არა?

— დიახ... ოდნავ.

ქ-მა დამბრეზმა უეცრად წამოიძახა:

— დიუშეს, აჰ, რა ბედნიერებაა!

და იგი გაეშურა კარისკენ პატარა მოხუცი ქალის შესახვედრად. რუხი ტაფტის კაბა რომ ეცვა და თავზე გრძელბოლოებიანი მაქმანის ჩაჩი ეხურა. ამ ქალს, რომელიც იყო განდევნილ გრაფ დ' არტუას ერთ-ერთი მეგობრის შვილი და ქვრივი ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშლისა, 1830 წელს რომ საფრანგეთის პერი გახდა, ნაცნობობა ჰქონდა როგორც ძველ, ისე ახალ კართან და ბევრი რაჰის გაკეთება შეეძლო. შუაგულ ოთახში მდგომთ გზა მისცეს და საუბარი განაგრძეს.

საუბარი ახლა ეხებოდა პაუპერიზმს, რომლის აღწერაც, მობაასეთა აზრით, მეტად გაზვიადებული იყო.

— გარნა, — შენიშნა მარტინონმა, — სიღატაკე არსებობს, უნდა გამოვტყდეთ! მაგრამ მისი განკურნება არ ძალუძს არც მეცნიერებას, არც ხელისუფლებას. ეს პირწმინდად ინდივიდუალური საკითხია. როცა დაბალი კლასები მოისურვებენ თავიდან მოიშორონ საკუთარი მანკიერებანი, მათი გასაჭირიც გათავდება. ხალხი უფრო ზნეობრივი უნდა გახდეს და მაშინ ასეთი სიღარიბეც აღარ იქნება!

ბ-ნ დამბრეზს მიაჩნდა, რომ კარგი არაფერია მოსალოდნელი, სანამ კაპიტალის სიჭარბე არ იქნება. მაშასადამე, ერთადერთი საშუალება ისაა, რომ, „როგორც სხვათა შორის სენსიმონისტებსაც სურდათ (ღმერთო ჩემო, მათაც ხომ ჰქონდათ კარგი რამ!), ვიყოთ სამართლიანი ყველასადმი, პროგრესის საქმე მივანდოთ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ გაადიდონ ხალხის დოვლათი“.

საუბარი შეუმჩნეველად შეეხო მსხვილ სამრეწველო საწარმოებს, რკინიგზებს, ქვანახშირის ველოებს და ბ-ნმა დამბრეზმა ფრედერიკს წყნარად უთხრა:

— თქვენ მაინც არ ინებეთ ჩვენს საქმეზე მოლაპარაკება.

ფრედერიკმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, მაგრამ იგრძნო, ეს სულელური თავისმართლებაა, და დასძინა:

— თანაც მაშინ ფული მესაჭიროებოდა.

— ეტლი რომ გეყიდათ? — წაულაპარაკა ქ-ნმა დამბრეზმა, რომელსაც ფინჯანი ჩაი მოჰქონდა, და გვერდულად მოუხედა.

მას ეგონა როზანეტი ფრედერიკის საყვარელიაო; ქარაგმა ნათელი იყო. ფრედერიკს ისიც კი მოეჩვენა, ყველა ქალი ერთბაშად აჩურჩულდა და მიცქერიან. რათა უკეთ გაეგო, ჩემზე რას ფიქრობენო, კვლავ მათკენ გაემართა.

მარტინონი, რომელიც მაგიდის მეორე მხარეზე იჯდა მ-ელ სესილის ახლოს, ალბომს ათვალიერებდა. იქ იყო ლიტოგრაფიები, ესპანურ კოსტიუმებს რომ გამოხატავდნენ. მარტინონი ხმამაღლა კითხულობდა წარწერებს: „სევილიელი ქალი“, „ვალენსიელი მებაღე“, „ანდალუზიელი პიკადორი“ და უეცრად, ფურცლის ბოლოს რომ წარწერა დაინახა, ერთბაშად წამოიძახა:

— „ჟაკ არნუ, გამომცემელი“. მგონი, თქვენი ერთ-ერთი მეგობარია?

— დიახ, — მიუგო მისი მომართვით ნაწყენმა ფრედერიკმა.

— მართლაც, — ჩაერია საუბარში ქ-ნი დამბრეზი, — თქვენ ხომ ერთხელ დილით მოხვედით... სახლის შესახებ... მგონი, ასე იყო?.. დიახ, დიახ, მისი ცოლის სახლის გამო. (ეს ნიშნავდა: „მისი ცოლი თქვენი საყვარელია").

ფრედერიკი ყურებიანად გაწითლდა, ხოლო ბ-მა დამბრეზმა, რომელიც ამ წუთში მასთან მივიდა, დასძინა:

— თქვენ თითქოს ძლიერ ცდილობდით მათთვის.

ამ სიტყვებმა საბოლოოდ შეაშფოთეს ფრედერიკი. მის შეცბუნებას, რაც, მისი ფიქრით, შეამჩნიეს, უნდა დაედასტურებინა ეპვები, რომ უეცრად ბ-ნი დამბრეზი უფრო მიუახლოვდა და სერიოზული ტონით ჰკითხა:

— მე მგონია, რომ მასთან თქვენ საერთო საქმეები არ გაქვთ?

ფრედერიკმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია: არ ესმოდა რა მიზნით ეკითხებოდა ამას კაპიტალისტი, ვისაც სურდა რჩევა მიეცა მისთვის.

უნდოდა გამოსთხოვებოდა და წასულიყო, მაგრამ სულმოკლეობის გამოჩენა აკავებდა. ლაქიამ ჩაის ფინჯნები აალაგა: ქ-ნი დამბრეზი ლურჯფრაკიან დიპლომატს ესაუბრებოდა: ორ ქალიშვილს შუბლი შუბლზე ჰიედო და ბეჭედს ათვალიერებდა. დანარჩენები საკარძლებში ისხდნენ, საუბრობდნენ და წყნარად იბრუნებდნენ თეთრ პირისახეებს, შავი თუ ქერა თმა რომ აშშვენებდა. ერთი სიტყვით, იგი არავის არ აინტერესებდა. ფრედერიკი კარისაკენ გაემართა, რამდენჯერმე მიუხვ-მოუხვია, ის იყო გასასვლელთან მივიდა, რომ უეცრად ჩინურ ლარნაკსა და კედელს შუა ორადგაკეცილი გაზეთი შეამჩნია; გამოსწია და სათაური წაიკითხა: „ფლამბარი".

ვინ მოიტანა იგი აქ? სიზიმ! რა თქმა უნდა, სხვამ არავინ! თუმცა, განა სულ ერთი არ არის? ისინი დაიჯერებენ; ალბათ. ყველამ დაუჯერა წერილს. რატომ გაწიწმატდნენ ასე? უსიტყვო დაცინვა ერტყა გარს. თავი უდაბნოში დაკარგული ეგონა. მკვრამ უეცრად გაისმა მარტინონის ხმა.

— ჰო, არნუს შესახებ; ბომბეის საქმეზე ბრალდებულთა სიაში წავიკითხე მისი ერთ-ერთი მოსამსახურის გვარი, სენეკალი. ეს ჩვენი სენეკალი ხომ არ არის?

— სწორედ ის არის, — მიუგო ფრედერიკმა.

პარტიონომ ხმამაღლა წამოიძახა:

— როგორ! ჩვენი სენეკალი! ჩვენი სენეკალი!

ყველამ დაიწყო გამოკითხვა შეთქმულებაზე; სასამართლოში მსახურობთ და გეცოდინებათო.

იგი ირწმუნებოდა, არაფერი ვიციო. საერთოდ კი ამ კაცს ნაკლებ ვიცნობ, რადგან ორიოდეჯერ მინახავს და უნდა მოგახსენოთ, გვარიანი გაიძვერაა. აღშფოთებულმა ფრედერიკმა წამოიძახა:

— სრულიადაც არა! უალრესად პატიოსანი ბიჭია!

— კი, მაგრამ, ბატონო ჩემო, — შენიშნა ერთ-ერთმა მდიდარმა, — პატიოსანი ადამიანები შეთქმულებაში არ მონაწილეობენ!

აქ ეყოფ მამაკაცთა უმრავლესობა სულ მცირე ოთხ მთავრობას ემსახურებოდა და ისინი მზად იყვნენ გაეყიდათ საფრანგეთი ან კაცობრიობა, რათა გადაერჩინათ თავიანთი ქონება, თავიდან აეცილებინათ გაჭირვება ანდა ეს ჩაედინათ თანდაყოლილი სისაძაგლით, რაც მათ ძალას უმორჩილებდა; ყველა აცხადებდა, პოლიტიკურ დანაშაულს გამართლება არ აქვსო. უფრო მალე შეიძლება გაჭირვებით გამოწვეული დანაშაულის პატიებაო. და მაგალითად მოიყვანეს ოჯახის ყბადაღებული უფროსი, ერთსა და იმავე მეპურეს რომ მუდამ პარავს ლუკმაპურს.

ვიღაც ბობოლა მოხელემ კიდევაც წამოიძახა:

— ბატონო, რომ გამეგო, ჩემი ძმა შეთქმულებაში მონაწილეობს, დავაბეზღებდი!

ფრედერიკმა დაიმოწმა წინააღმდეგობის უფლება, მოიშველია დელორიესაგან გაგონილი რამდენიმე ფრაზა, დაასახელა დეზოლმი, ბლეკსტონი, ინგლისის უფლებათა ბილი და 91 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლი. სწორედ ამ უფლების ძალით ჩამოაგდეს ნაპოლეონი; იგი აღიარებულ იქნა 1830 წელს და ქარტიას საფუძვლად დაედო.

— საერთოდ, როცა მონარქი თავის ვალდებულებას არღვევს, მართლმსაჯულება მის ჩამოგდებას მოითხოვს.

— კი, მაგრამ ეს საშუალებაა! — წამოიძახა ერთი პრეფექტის ცოლმა.

დანარჩენები დუმდნენ, შეშინებულივით იყვნენ, თითქოს ტყვიების ზუზუნი გაიგონესო. ქ-ნი დამბრეზი თავის სავარძელში ქანაობდა და ღიმილით უსმენდა ფრედერიკს.

ვიღაც მრეწველი, ყოფილი კარბონარი, შეეცადა დაემტკიცე-

ბინა მისთვის, ორლეანელთა ოჯახი მშვენიერიაო; მართალია, არის ხოლმე ბოროტმოქმედება, მაგრამ...

— მერმე რა?

— აგრე არ უნდა ლაპარაკობდეთ ამაზე, ჩემო ძვირფასო! რომ იცოდეთ, რა ცუდ გავლენას ახდენს საქმეებზე ოპოზიციონერთა მთელი ეს ყვირილი!

— რას ვაქნევ მაგ საქმეებს! — მიუგო ფრედერიკმა.

ეს დახავსებული მოხუცები აღშფოთებდნენ მას, გული მოიცა. რაც ზოგჯერ მეტად გაუბედავსაც მოსდის ხოლმე, და შეუტია ფინანსისტებს, დეპუტატებს, მთავრობას, მეფეს, გამოექომაგა არაბებსა და ბევრი სისულელე რაზე. ზოგიერთი ირონიულად აქეზებდა: „მიდით! განაგრძეთ!“ სხვები კი ბუტბუტებდნენ: „დალახვროს! რა აღტყინებაა!“ ბოლოს წასვლა არჩია; და როცა უკვე მიდიოდა. ბ-მა დამბრეზმა გადაკვირით აგრძნობინა მდივნის ადგილი და უთხრა:

— საბოლოოდ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი! მაგრამ უნდა იჩქაროთ!

ქ-ნმა დამბრეზმა კი წაილაპარაკა:

— მალე გვნახავთ, არა?

..გამოთხოვებისას თქმული ეს სიტყვები ფრედერიკმა უკანასკნელ დაცინვად მიიჩნია. გადაწყვიტა, აღარასოდეს აღარ მოსულიყო ამ სახლში, აღარ ენახა ეს ხალხი. ფიქრობდა. ვაწყენინეო. და არ იცოდა, გულგრილობის რა დიდი მარაგი გააჩნია საზოგადოებას. განსაკუთრებით აშფოთებდნენ ქალები. არც ერთმა არ გააჩნევა თუნდაც თანაგრძნობის თვალით. იმიტომ ჯავრდიბოდა მათზე, რომ მისმა სიტყვებმა ისინი არ ააღელვა. რაც შეეხება ქ-ნ დამბრეზს. მას შეამჩნია რაღაც მიბნედილობა და თანაც სიმშრალე, რაც ხელს უშლიდა ერთი ფორმულით დაეხასიათებინა იგი. ჰყავს თუ არა საყვარელი? თუ ჰყავს, ვინ არის? დიპლომატი თუ სხვა ვინმე? იქნებ შარტინონია? შეუძლებელია! გარნა შარტინონი რაღაც ეშვის მსგავსს აღუძრავდა, ქალი კი გაუგებარ გაბოროტებას.

შინ დიუსარდიე ელოდებოდა, რომელიც ყოველ საღამოს ეწვეოდა ხოლმე. ფრედერიკს გული ბოღმით ჰქონდა სავსე და ოდნავ მოიოხა; მისმა ჩივილმა, თუმცა ბუნდოვანი და გაუგებარი იყო. ნოქარი დაამწუხრა. ფრედერიკი თავის მარტოობასაც უჩიოდა. დიუსარდიემ, თუმცა ოდნავ ყოყმანობდა, წინადადება მისცა დელორიესთან შევიარონთო.

ადვოკატის სახელის გაგონებაზე, ფრედერიკს ძლიერ მოუნდა მისი ნახვა. იგი მძაფრად გრძნობდა თავის გონებრივ მარტოობას, დიუსარდიეს საზოგადოება კი არ აკმაყოფილებდა. დაე დიუსარდიე თავისი შეხედულებით აწყობდეს ყველაფერს, ასეთი იყო მისი პასუხი.

მათი წაკიდების შემდეგ დელორიეც გრძნობდა. რაღაც მაკლია. იგი ადვილად დათანხმდა მეგობარს შერიგებაზე.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ და საუბარი დაიწყეს უწყინარ ამბებზე.

დელორიეს დიდსულოვნებამ გული აუჩუყა ფრედერიკს და. თავი რომ როგორმე გაემართლებინა მის წინაშე, უამბო როგორ დაკარგა თხუთმეტი ათასი ფრანკი, თუმც არ უთქვამს, რომ თავდაპირველად ეს ფული მისთვის ჰქონდა განზრახული. გარნა ადვოკატს ეს არ ეეშველებოდა. უსიამოვნებამ, ფრედერიკთან რომ შეუმთხვა, რაც განამტკიცებდა მის შეხედულებას არნუს წინააღმდეგ. სრულიად გააქარწყლა მისი წყენა, და უკვე არ გაუხსენებია წინანდელი დაპირება.

ფრედერიკს, რომელიც შეცდომაში შეიყვანა მისმა დუმილმა, ეგონა, დელორიეს ეს დაპირება დააავიწყდაო. რამდენიმე დღის შემდეგ მეგობარს ჰკითხა, თუ არის რაიმე შესაძლებლობა ეს ფული დაგიბრუნოო.

შეიძლებოდა სადავოდ გაეხადათ წინანდელი გირავნობის ფურცლების სინამდვილე, არნუსთვის ბრალი დაედოთ უკანონო გარიგებაში, სარჩელი წარედგინათ მისი მეუღლისათვის.

— არა! არა! ოლონდ არა ცოლისათვის! — წამოიძახა ფრედერიკმა და ყოფილი კლერკის დაკონებულ კითხვაზე სრული სიმართლე უთხრა.

დელორიე დარწმუნდა, ფრედერიკმა, ალბათ, თავაზიანობის გამო ყველაფერი არ მითხრაო, და ასეთი უნდობლობა იწყინა.

გარნა ისინი წინანდებურად მეგობრობდნენ და ერთად ყოფნა ისეთ სიამოვნებას ჰგვრიდათ, რომ დიუსარდიეს იქ ყოფნა კიდევაც აწუხებდათ ხოლმე. საქმე გვაქვსო, მოიმიზეზებდნენ და ნელ-ნელა განთავისუფლდებოდნენ ხოლმე მისგან. არიან ისეთი ადამიანები, რომელთა დანიშნულება ის არის, რომ სხვების შუამავლები იყვნენ; მათ ზურგზე ისე გადადიან, როგორც ხიდზე და გზას განაგრძობენ.

ფრედერიკი არაფერს არ უმალავდა თავის ძველ მეგობარს. მან უამბო ქვანახშირის კომპანიასა და ბ-ნ დამბრეზის წინადადებაზე. ადვოკატი ჩაფიქრდა.

— უცნაურია! ამ თანამდებობაზე საჭირო იქნებოდა ისეთი კაცი, ვინც სამართლის საკითხებში ერკვევა!

— მაგრამ შენ დამეხმარებოდი, — მიუგო ფრედერიკმა.

— ჰო, მართალია... დასწყევლოს ღმერთმა! რა თქმა უნდა.

იმ კვირაშივე ფრედერიკმა დედის წერილი უჩვენა.

ქ-ნი მორო სინანულს გამოთქვამდა, რომ ცუდი აზრისა იყო ბ-ნ როკზე, რომელმაც ახლა დამაკმაყოფილებლად განუმარტა თავისი საქციელი; შემდეგ იგი წერდა მის სიმდიდრეზე და იმაზე, რომ მომავალში შესაძლებელია ფრედერიკმა ცოლად შეირთოს ლუიზა.

— ეს, მართლაც, ურიგო არ იქნებოდა! — უთხრა დელორიემ. ფრედერიკი ფიცხად უარყოფდა ასეთ შესაძლებლობას; თანაც ძია როკი ძველი გაიძვერაა. ადვოკატის აზრით, ეს არაფერს ნიშნავდა.

ივლისის დამლევს ჩრდილოეთის აქციების ფასი გაუგებარი მიზეზების გამო დაეცა; ფრედერიკმა ვერ მოასწრო მათი გაყიდვა და ერთბაშად სამოცი ათასი ფრანკი დაკარგა. შემოსავალი მნიშვნელოვნად შეუმცირდა. საჭირო იყო ან ხარჯი შეემცირებინა, ან სამსახური ეშოვნა, ანდა საქმე ხელსაყრელი ქორწინებით გამოესწორებინა.

აქ დელორიემ ლაპარაკი დაუწყო მ-ელ როკზე. არაფერი არ გიშლის ხელს, ჩახვიდე იქ და საკუთარი თვალით ნახო იქაურობა; ოამდენადმე დაღლილიც ხარ, პროვინცია და დედის უბე შენთვის დასვენება იქნებაო. ფრედერიკი წასასვლელად მოემზადა.

მთვარით განათებულ ნოეანის ქუჩებში რომ გაიარა, შორეულ მოგონებათა სამყაროში გადავიდა და მოწყენილობა იგრძნო, როგორც იმ ადამიანმა, ვინც დიდი ხნის მოგზაურობიდან ბრუნდება.

დედასთან იყო ყველა მისი ჩვეულებრივი სტუმარი: ბ-ნი გამბლენი, ედრა და შამბრიონი, ლებრენის ოჯახი, ქალიშვილები ოჟე, გარდა ამისა, ძია როკი. ხოლო ბანქოს მაგიდასთან ქ-ნ მოროს პირდაპირ ლუიზა იჯდა. ახლა იგი დიდი იყო. ადგა, შეჰკივლა. ყველა ამოძრავდა. იგი ადგილზე გაქვავდა, ხოლო ოთხი სანთლის შუქი, ვერცხლის შანდლებით რომ იდგა მაგიდაზე, უფრო აფერმკრთალებდა მის სახეს. როცა ქაღალდი კვლავ აიღო, ხელი უკან-

კალებდა. ქალის მღელვარებამ უზომოდ აამა ფრედერიკს, ... ვისი სიამაყეც შებღალული იყო; გულში ჩაილაპარაკა: „შენ კი უბუოდ შემიყვარებ!“ და რაკი აინაზღაურა ყველა წყენა, რაც პარიზში მიაყენეს, იქაური დარბაისლის, ლომის როლი გაითამაშა: აცნობა თეატრის ახალი ამბები, უამბო მათ უხეირო გაზეთებში წაკითხული ანეკდოტები, ერთი სიტყვით, გააოცა თავისი თანამემამულენი.

მეორე დღეს ქ-მა მოროომ შვილს უქო ლუიზა, შემდეგ ჩამოუთვალა ტყეები და ფერმები, რომლებიც მას მზითვად უნდა რგებოდა. ბ-ნი როკი კარგა მდიდარი იყო. მან კაპიტალი იმით შეიძინა, რომ ბ-ნ დამბრეზის ფულს პროცენტებით ავალებდა: სესხს ისეთ პირებს აძლევდა, ვისაც შეეძლო წარმოედგინა კარგი გირაო, რაც საშუალებას აძლევდა მოეთხოვა საკომისიო ან გადარიცხვა თავის სასარგებლოდ. სესხს, ფხიზელი მეთვალყურეობის მეოხებით, არავითარი საფრთხე არ მოელოდა. თუმცა ძია როკი არასოდეს არ მორიდებია ყადაღის დადებას; შემდეგ იაფად იძენდა ხოლმე დაგირავებულ ქონებას, ხოლო ბ-ნი დამბრეზი ხედავდა, როგორ იზრდებოდა მისი კაპიტალი და ფიქრობდა, საქმე კარგად ვიდისო.

მაგრამ ეს უკანონო ხრიკები სახელს უტეხდნენ მას მოურავის თვალში. დამბრეზს არაფერზე არ შეეძლო უარი ეთქვა მისთვის. სწორედ როკის დაკინებული თხოვნით იღებდა იგი ასე კარგად ფრედერიკს.

ნამდვილად კი ძია როკს გულში პატივმოყვარული განზრახვა ედო. სურდა, რომ თავისი ქალიშვილი აზნაური გამხდარიყო, და სხვა ახალგაზრდა ვინმეს ვერ ხედავდა, ვისაც შეესძლებოდა, ქალიშვილის ბედის საფრთხეში ჩაუგდებლად, ამ მიზნის მიღწევა.

ბ-ნ დამბრეზის მფარველობას შეეძლო ფრედერიკისათვის მიენიჭებინა მისი პაპის ტიტული, რადგან ქ-ნი ჰორო გრაფ დე ფუვანის ქალიშვილი იყო და თანაც ენათესავებოდა შამპანის უძველეს გვარიშვილებს: ლავერანდებსა და დ' ეტრინებს. რაც შეეხება თვით მოროებს, გუთური წარწერა, რაც დაკული იყო ქალაქ ვილნევ-ლარშევეკის წისქვილების ახლოს, ასახელებდა ვინმე ჟაკობ მოროს, ვინც ისინი განაახლა 1596 წელს, ხოლო მისი ვაჟის, პიერ მოროს, ლუი XIV საჭურველთმტვირთველის საფლავი წმ. ნიკოლოზის საკამნოში იყო.

ბ-ნი როკი, ლაქიის შვილი, მოხიბლული იყო მთელი ამ სიდიადით. გრაფის გვირგვინი რომ ვერ მოეპოვებინა, მაშინ სხვა რამე

ანუგეშებდა: როცა ბ-ნი დამბრეზი პერი გაჰდებოდა. ფრედერიკს შეეძლო დეპუტატი გამხდარიყო და მაშინ ხელს შეუწყობდა როგორ საქმეებში, უშოვიდა იჯარას, კონცესიებს. როგორც ახალგაზრდა კი, ფრედერიკი მოსწონდა. დაბოლოს, ქალიშვილი იმიტომ უნდოდა მისთვის მიეთხოვებინა, რომ უკვე დიდი ხანია ეს აზრი აეკვიატა და სულ უფრო ღრმად ეჭედებოდა თავში.

ახლა დაიწყო ეკლესიაში სიარული, ხოლო ქ-ნ მოროს გადმობირება მოახერხა უმთავრესად ტიტულის მიღების იმედით. მაგრამ ქალი მაინც ფრთხილობდა და საბოლოო პასუხს არ აძლევდა.

ერთი კვირის შემდეგ, თუმცა ჯერ არავითარი წინადადება არ მიეცა, ფრედერიკი უკვე ითვლებოდა მ-ელ ლუიზას „საქმრად" და ძია როკი, კაცი, ნაკლებ პედანტური, ზოგჯერ ერთად ტოვებდა ხოლმე მათ.

V

დელორიემ ფრედერიკისაგან მიიღო გირავნობის ფურცლის პირი და ფორმის თანახმად შედგენილი მინდობილობა. რაც სრულ რწმუნებულებას ანიჭებდა მას; მაგრამ როცა თავის მოწყენილ კაბინეტში ავიდა მეხუთე სართულზე და ტყავის სავარძელში ჩაჯდა. გერბიანი ქაღალდის დანახვამ ზიზღი მოჰგვარა.

იგი მოღალა ყველაფერმა: ოცდათორმეტ სუდ ღირებულმა სადილმაც, ომნიბუსით მოგზაურობამაც, თავისმა სილარიბემაც და თავისმა ღონისძიებებმაც. ქაღალდები გადაათვალიერა, იქ იყო ქვანახშირის კომპანიის პროსპექტი და მაღაროების სია, სადაც აღნიშნული იყო მათი ოდენობა; ფრედერიკმა გადასცა ყოველივე ეს, რათა მისი აზრი შეეტყო.

ფიქრად მოუვიდა, წასულიყო ბ-ნ დამბრეზთან და მდივნის თანამდებობა ეთხოვნა. რასაკვირველია, ამ ადგილს ვერ მიიღებდა, თუ განსაზღვრული რაოდენობის აქციებს არ შეიძენდა. მიხვდა თავისი გეგმის უაზრობას და თქვა:

„ოჰ, არა! ეს არ ივარგებდა!"

მაშინ დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ მიეღო არნუსაგან თხუთმეტი ათასი ფრანკი. ფრედერიკისათვის ასეთი თანხა აბაფერს არ წარმოადგენდა. მაგრამ მისთვის კი მძლავრი ბერკეტი იქ-

ნებოდა. და ყოფილი კლერკი აღშფოთებული იყო თავისი მეგობრის სიმდიდრით.

„იგი ასე საძაგლად სარგებლობს თავისი ქონებით. ეგოისტია. აჰ, ძალიან არ მინდა მისი თხუთმეტი ათასი!“

რისთვის გაასესხა იგი? ქ-ნ არნუს მშვენიერი თვალებისათვის? იგი ხომ მისი საყვარელია! დელორიეს ეს არ ეეჭვებოდა. „აი კიდევ რაში იხარჯება ფული!“ ავი ფიქრები დაეუფლნენ.

ბერმე თვით ფრედერიკის პიროვნებაზე დაფიქრდა. იგი მუდამ ემორჩილებოდა ფრედერიკის თითქმის ქალურ მომხიბვლელობას. და აი კვლავ აღტაცებული იყო მისი წარმატებით, რისთვისაც თავისი თავი უნიკოდ მიაჩნდა.

მაგრამ განა ნებისყოფა ყოველი წამოწყების მთავარი ელემენტი არ არის? ხოლო თუ ნებისყოფით ყველაფრის დაძლევა შეიძლება...

„აჰ, რა სერი იქნებოდა!“

მაგრამ თავისი ვერაგობის შერცხვა, ერთი წუთის შემდეგ კი გაიფიქრა:

„ვაჰ, ნუთუ შემეშინდა?“

ქ-ნი არნუ (იმის გამო, რომ მასზე ამდენი რამ სმენოდა) არაჩვეულებრივ არსებად ეხატებოდა. ეს მტკიცე სიყვარული აღიზიანებდა. როგორც გადაუჭრელი პრობლემა. მისი ოდნავ თეატრალური სიმკაცრე ახლა მოსაწყენი ეჩვენებოდა. საერთოდ, მაღალი წრის ქალი (ან ის, რასაც ამ სახელით გულისხმობდა) აბრმავებდა ადვოკატის ფანტაზიას როგორც სიმბოლო და როგორც ათასგვარი განუცდელი ტკბობის გამოხატულება. სიღარიბეში რომ ცხოვრობდა, ამიტომ უაღრესად მკაფიო ფორმის ფუფუნებას ესწრაფოდა.

„ბოლოს და ბოლოს, თუ გაჯავრდება, დაე, გაჯავრდეს! ძალიან ცუდად მომეპყრო, რომ მაინცდამაინც ველოლიავო; მე არავითარი საბუთი არა მაქვს, რომ ის ქალი მისი საყვარელია! ამას თვითონაც უარყოფს. მაშასადამე, მე რა მაფერხებს?“

ამ ნაბიჯის გადადგმის სურვილი აღარ ასვენებდა. უნდოდა გამოეკადა თავისი ძალები და აი ერთხელ თვითონ გაიწმინდა ფეხსაცმელი, იყიდა თეთრი ხელთათმანები და გზას გაუდგა... თავი ფრედერიკის ადგილას წარმოედგინა, თითქმის ეტოლებოდა მას და განიცდიდა თავისებურ ფსიქოლოგიურ ევოლუციას, რომელ-

ში(ც) შერწყმული იყო შურისგების წყურვილი და სიმპათია, მიმბაძველობა და თავხედობა.

მსახურს უთხრა, ასე მოახსენეო: „დოქტორი დელორიე“.

ქ-ნ არნუს გაუკვირდა, რადგან ექიმი არ ეოუწვევია.

— აჰ! დიდი ბოდიში! მე სამართლის დოქტორი ვარ, ბ-ნ მოროს საქმეების გამო გეახელით.

ამ სახელმა თითქოს შეაცბუნა იგი.

„მით უკეთესი! — გაიფიქრა ყოფილმა კლერკმა. — იგი არ უარუყვია, არც მე უარმყოფს“, თავს ინუგეშებდა, იმ ზოგადი ჭეშმარიტებით, თითქოს საყვარლის თავიდან მოშორება უფრო ადვილია, ვიდრე ქმრისა.

— ერთხელ მქონდა სიამოვნება შეგხვედროდით სასამართლოში...

და დღე და რიცხვიც კი დაასახელა. ასეთმა მეხსიერებამ ქ-ნი არნუ გააკვირვა. დელორიე კი შემპარვი ხმით განაგრძობდა:

— თქვენ მაშინაც უკვე... ძნელ მდგომარეობაში... იყავით!

ქალმა არაფერი უპასუხა; მაშასადამე, ეს მართალი იყო.

ადვოკატმა ილაპარაკა ამაზე, იმაზე, არნუს ბინაზე, ფაბრიკაზე; შემდეგ, სარკესთან რომ რამდენიმე ვედალიონი შეამჩნია, თქვა:

— აჰ, უეჭველად ოჯახური პორტრეტებია!

მერმე ყურადღება მიაქცია ხნიერი ქალის, ქ-ნ არნუს დედის პორტრეტს.

— სახეზე ეტყობა, მშვენიერი ქალია, ტიპიური სამხრეთელია.

როცა უთხრეს, შარტრელიაო:

— შარტრი? მშვენიერი ქალაქია.

შეაქო შარტრის ტაძარი და ხაჭაპური, შემდეგ პორტრეტს დაუბრუნდა, მასა და ქ-ნ არნუს შორის მსგავსება აღმოაჩინა და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ქათინაური უთხრა. ეს ქალს არ სწყენია. ამიტომ უფრო თავდაჯერებული გახდა და განაცხადა, ბ-ნ არნუს დიდი ხანია ვიცნობო.

— ძალიან კარგი ბიჭია, ვაგრამ სახელს იტეხს! მაგალითად, აი ეს გირავნობის ფურცელი... ვერ წარმოიდგენთ, რა ქარაფშუტობაა...

— დიახ, ვიცი, — მიუგო ქალმა და მხრები აიჩეჩა.

მის მიერ უნებურად გამოთქმულმა ზიზღმა დელორიე გაამხნევა და განაგრძო:

— ფაიფურის თიხის ამბავი, იქნებ თქვენ არ იცოდეთ, კინაღამ ცუდად დამთავრდა, და მისი კარგი სახელიც...

როცა ქალმა წარბები შეიკრა, ენა ჩაიკვნიტა.

მაშინ უფრო ზოგად თემებზე გადავიდა და სიბრალულით დაიწყო იმ ქალებზე ლაპარაკი, ვისი ქმრებიც ქონებას ფლანგავენ.

— კი, ბატონო, მაგრამ ქონება მისია, მე არაფერი არ გამაჩნია.

— სულერთია! აბა, ვინ იცის... საქმეებში გამოცდილი კაცი შეიძლება გამოგადგეთ.

იგი სთხოვდა, ენდეთ ჩემს ერთგულებას, მიგულეთ, თუ დაგჭირდეთო. დაიწყო თავის ქება და პირდაპირ სახეში ჩააცქერდა ბრჭყვიალა სათვალიდან.

ქალი უცნაურმა ძალამ შებოჭა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და უთხრა: — გთხოვთ საქმეზე გადავიდეთ!

ადვოკატმა ქაღალდების ყდა გახსნა.

— აი, ფრედერიკის მინდობილობა. ასეთი დოკუმენტი რომ სასამართლოს ბოქაულს ჩაუვარდეს ხელში და იგი ისე მოიქცეს, როგორც საჭიროა, გათავებულია: აქ ოცდაოთხ საათში აღარაფერი... (ქალი სრულიად უშფოთველი იყო, დელორიემ ტაქტიკა შეიცვალა). თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რამ აიძულა იგი, რომ ეს ფული მოითხოვა, მას ხომ სრულიად არ ესაჭიროება იგი!

— როგორ! ბ-ნმა მორომ ისეთი სიკეთე გვიყო...

— ოჰ, გეთანხმებით!

და დელორიემ დაუწყო ქება ფრედერიკს, შემდეგ კი ნელ-ნელა შეაპარა ძაგება: ისეთი კაცია, რომ სიკეთეს არ დაგინახავს, თავმოყვარეა, ძუნწია.

— მეგონა, ბატონო, რომ ის თქვენი მეგობარი იყო.

— ეგ როდი მიშლის ხელს, რომ მისი ნაკლი დავინახო. მაგალითად, ცუდად აფასებს... როგორ გითხრათ?.. იმ სიმპათიას...

ქ-ნი არნუ რაღაც სქელ რვეულს ფურცლავდა. სიტყვა შეაწყვეტინა და სთხოვა ერთი სიტყვა განემარტა.

ადვოკატი მის მხარზე დაიხარა და ისე ახლოს, რომ ლოყას შეეხო. ქალი წამოწითლდა. ამ გარემოებამ დელორიე აანთო: მის ხელს დააცხრა და ტუჩებით მოწუწნა.

— რას სჩადიხართ, ბატონო ჩემო?

და აი კიდელთან მდგომი, დიდრონი თვალებით, აღშფოთებული უცქეროდა და ამ ცქერამ დელორიე იქვე გააქვავა.

— მომისმინეთ! მიყვარხართ!

ქალს გაეცინა, გაეცინა ულმობლად, ველურად. დელორიე ისე გაცოფდა, რომ სურდა დაეხრჩო. თავი შეიკავა და, ვით დამარცხებულმა, შებრალებას რომ ითხოვს, წარმოთქვა:

— აჰ, როგორ ცდებით! მე ხომ იმასავით არ...

— ვისზე ლაპარაკობთ?

— ფრედერიკზე!

ბატონი მორო მე ნაკლებ მაწუხებს, ხომ გითხარით?

— ოჰ, მაპატიეთ!.. მაპატიეთ!

და ენამწარედ, სიტყვების განვრცობით დასძინა:

— მე კი მეგონა, თქვენ იმდენად გულგრილი არ ბრძანდებით ჩემდამი, რომ სიამოვნება არ მოგანიჭოთ იმის ცოდნამ...

ქალი გაფითრდა. ყოფილმა კლერკმა განაგრძო:

— რომ იგი ცოლს ირთავს!

— ცოლს ირთავს?

— ერთი თვის შემდეგ, არა უგვიანეს, მ-ელ როკს, ბ-ნ დამბრეზის მოურავის ქალიშვილს. ამიტომაც წავიდა ნოკანს, მხოლოდ ამიტომ.

ქალმა ხელი გულზე დაიდო, თითქოს ძლიერ დაარტყესო. მაგრამ მყის მივარდა ზარს. დელორიეს აღარ მოუცდია, რომ გაეგდოთ. როცა ქალი მობრუნდა, იგი აღარ იყო.

ქალბატონ ჰარნუს სული ეხუთებოდა. ფანჯარასთან მივიდა, რომ სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა.

ქუჩის გადალმა, ტროტუარზე, შემფუთველს სერთუკი გაეხადა და ყუთს თავს აჭედებდა. ეკიპაჟები მიმოდიოდნენ. ფანჯარა დახურა და კვლავ დაჯდა. მოპირდაპირე ფაღალი სახლები ზზეს ეფარებოდნენ და ოთახში გრილი სინათლე შემოდიოდა. ბავშვები შინ არ იყვნენ; გარშემო სიჩუმე სუფევდა. თითქოს ყველამ მიატოვა იგი.

„ცოლს ირთავს! განა ეს შესაძლებელია?“

ნერვიული კანკალი აუტყდა.

„ეს რაა? ნუთუ მიყვარს იგი?“

მერმე უეცრად:

— დიახ, დიახ, მიყვარს!.. მიყვარს“

ეგონა, სადღაც ვიძირები და ამას ბოლო არ უჩანს. საათმა

სამჯერ დარეკა. ყურს უგდებდა, როგორ ილეოდა რეკა. სავარძელში იჯდა, თვალი სივრცისათვის მიეშტერებინა და იღიმებოდა.

იმავე დღეს, იმავე მომენტში, ფრედერიკი და მ-ელ ლუიზა სეირნობდნენ ბაღში, რომელსაც ბ-ნი როკი ფლობდა კუნძულის ბოლოში. მოხუცი კატრინი შორიდან ადევნებდა მათ თვალს. ისინი მხარდამხარ მიდიოდნენ და ფრედერიკი ეუბნებოდა:

— გახსოვთ, როგორ წაგიტანეთ ქალაქგარეთ?

— რა კარგად მეპყრობოდით მაშინ! — მიუგო მან. — მეხმარებოდით სილის ნამცხვრის დამზადებაში, წყალს მისხამდით სარწყავით, მაქანავებდით საქანელაზე...

— რა მოუვიდათ თქვენს ტიკინებს, მარკიზებსა და დედოფლებს რომ ეძახდით?

— აღარ მახსოვს!

— და თქვენი ძაღლი მორიკო?

— დაიხრჩო, საბრალო!

— „დონ-კიხოტი“, რომელშიც ერთად ვაფერადებდით ნახატებს?

— დღემდე შემომრჩა!

ფრედერიკმა მოაგონა მისი პირველი ზიარება, რა კარგი იყო მწუხრზე. თეთრი პირბადე რომ ჰქონდა და ხელში დიდი სანთელი ეპყრა, სხვა გოგონებთან ერთად გარს რომ უვლიდა საკურთხეველს პატარა ზარის წკრიალში.

ამ მოგონებებში მ-ელ როკისათვის, ალბათ, ცოტა რამ იყო საწუკვარი: პასუხი არ მიუცია, ცოტა ხნის შემდეგ კი უთხრა:

— საძაგელი! ერთხელაც კი არ მომწერა თავისი ამბავი!

ფრედერიკმა მოუცლელობა მოიმიზეზა.

— კი, მაგრამ რას აკეთებთ?

ამ კითხვამ საგონებელში ჩააგდო: უპასუხა, პოლიტიკას ვსწავლობო.

— ჰოო!

მეტი აღარაფერი უკითხავს, ეს კი თქვა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გაინტერესებთ, მე კი...

და უამბო, რა მოწყენით ცხოვრობს, რა მარტოა, ვერავის ხედავს, მოკლებულია ყოველგვარ სიამოვნებას, გასართობს. ახლა ენატრება ცხენზე ჯდომა.

— ვიკარის აზრით, ქალიშვილს ეს არ შეჰფერის. რა სისულე-

ლეა — არ შეჰფერის! წინათ ყველაფრის ნებას მაძლევდნენ, ახლა კი... არაფერი!

— კი, მაგრამ მამას ხომ უყვარხარ?

— დიახ, მაგრამ მაინც...

მან ამოიოხრა, რაც ნიშნავდა: „ჩემი ბედნიერებისათვის ეს არ კმარა".

ჩამოვარდა სიჩუმე. მხოლოდ სილა ხრაშუნებდა ფეხქვეშ და შორს ჩქრიალებდა წყალი. ნოეანის ზემოთ სენა ორ ტოტად იყოფა. ტოტი, რომელიც წისქვილებს აბრუნებს, აქ ძლიერ აწვება ნაპირებს, ქვემოთ კი ბუნებრივ კალაპოტს ერთვის. ხიდს რომ გაივლი, მარჯვნივ, გალმა ნაპირზე, შვერილზე, სადაც მოლი ამწვანებულა, თეთრი სახლი გამოჩნდება; მარცხნივ, კი მინდვრებში. ალვის ხეები: ხოლო პირდაპირ ჰორიზონტი, მდინარის მოსახვევი რომ ზღუდავს. იმ წუთს იგი გლუ იყო, ვით სარკე; დიდრონი მწვერები დასრიალებდნენ უძრავ ზედაპირზე; ლელი და ლერწამი უთანასწორო ზოლად ეკვროდა ნაპირებს; ბაიები ზედ ნაპირზე გაფურჩქნულიყვნენ, რაღაც ყვითელი ყვავილები მტევნებივით დაკიდებულიყვნენ ლურჯი ყვავილების მაღალ ბუჩქებში. აქა-იქ მოჩანდა ბაბუაწვერა. მდინარის ყურე დაფარული იყო თეთრი დუმფარებით, ხოლო ბებერი ძეწნების მწკრივი, რომელთა ქვეშ ხაფანგები იდგმებოდა, კუნძულის ამ მხარეზე, ღობის მაგივრობას ეწეოდა.

თვით ბაღში, კრამიტგადახურული ქვიტკირით რომ იყო შეღობილი, შავად მოჩანდა ახლადდაბარული კვლები. ვიწრო კვალზე ნესვებს თავს ეხურა შუშის ხუფები, მზეზე რომ ლაპლაპებდნენ: არტიშოკების, ლობიოს, ისპანახის, სტაფილოს და პომიდვრის კვლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნაკვეთის ბოლომდე. რომელიც დათმობილი ჰქონდა სატაცურს. ფრთების კორომს რომ ჰგავდა.

დირექტორიის დროს მთელ ამ ადგილს ეწოდებოდა „სოგიეე". მას შემდეგ ხეები ძლიერ გაიზარდა. დახურულ ხეივნებში კატაბარდა გაიბლანდა, ბილიკებს ხავსი მოეკიდა, ყველგან უხვად მოჩანდა სარეველა ბალახი. ბალახში იფშვნებოდა თაბაშირის ქანდაკებათა ნამსხვრევები. ფეხს ედებოდა მავთულის ნაწყვეტები. ჰავილიონისაგან დარჩენილიყო მხოლოდ ქვემო ორი ოთახი, რომელთაც შპალერი ჩამოფლეთოდა. ფასადის გაყოლებით გადიოდა იტალიური ბილიკი, სადაც აგურის სვეტებზე იდგა ვენახით შეგრაგნილი ხის რიკული.

ისინი გაჰყვნენ ბილიკს; მზის სხივი ატანდა ფოთლებში და ფრედერიკი, ლუიზას გვერდით რომ მიდიოდა, მის სახეზე ხედავდა ჩრდილისა და შუქის თამაშს.

ქალს თმა მწითური ჰქონდა, ნაწნავში ერჭო ქინძისთავი, რომელსაც ზურმუხტისფერი შუშის თვალი ეჯდა, და, თუმცა ჯერ კიდევ ძაძას ატარებდა, ფეხთ ეცვა (იმდენად გულუბრყვილო, ცუდი გემოვნება ჰქონდა), ვარდისფერი ატლასით მორთული ჩალის ტუფლები, უხეირო რამ, რომელიც, ალბათ, სადმე ბაზრობაზე იყო ნაყიდი.

ფრედერიკმა ეს შეამჩნია და ირონიული ქათინაური უთხრა.

— ნუ დამცინით! — მიუგო ქალმა.

მერმე თავით ფეხამდე, რუხი ფეტრის ქუდიდან აბრეშუმის წინდებამდე ჩამოათვალიერა და უთხრა:

— თქვენ კი რა კოხტა ვინმე ხართ!

შემდეგ სთხოვა, დაესახელებინა მისთვის საკითხავი წიგნები: და როდესაც ფრედერიკმა ჩამოუთვალა გოგონამ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ოჰ, რა სწავლული ხართ!

ლუიზამ ჯერ კიდევ სულ პატარამ შეიყვარა იგი იმ ბავშვური სიყვარულით, რომელსაც თან ახლავს რელიგიური სიწმინდე და ამასთანავე გამსჭვალულია დაუძლეველი ვნებით. მისთვის იგი იყო ამხანაგი, ძმა, მასწავლებელი, უპასუხებდა მის ფიქრებს, უძგერებდა გულს და მთელ მის არსებას უნებურად ჰგვრიდა უცნაურ, გაუნელებელ თრობას. შემდეგ ფრედერიკი წავიდა და იგი მიატოვა გარდატეხის ტრაგიკულ მომენტში, მისი დედის გარდაცვალების დღეს და გაუორმაგა მწუხარება. განშორების წლებში ვაჟი უფრო გაიზარდა ქალის მოგონებაში; ხოლო დაბრუნდა ერთგვარი შარავანდედით მოსილი და მისი ხილვა გულუბრყვილო ბედნიერებას განაცდევინებდა.

ფრედერიკმა თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ უყვართ, და ამ ტკბილი შეგრძნებით, რომელიც სიამის ჩვეულებრივ გრძნობაზე უფრო ძლიერი არ ეჩვენებოდა, მის არსებაში თითქოს რაღაც იზრდებოდა. მან ხელები გაშალა და თავი უკან გადაიგდო.

ცაში ამ დროს დიდი ღრუბელი მიცურავდა.

— პარიზისაკენ მიცურავს, — უთხრა ლუზიამ. — თქვენ, ალბათ, გინდათ გაჰყვეთ მას, არა?

— მე? რატომ?

— ვინ იცის?

მწვავე თვალით უჩხვლიტა და თქვა:

— იქნებ იქ არის თქვენი (სიტყვას ეძებდა)... გულის სწორი.

— აჰ, მე გულის სწორი არ მყავს!

— ნამდვილად?

— რა თქმა უნდა, მადმუაზელ ლუიზა!

წელიც არ გასულიყო და ქალიშვილის არსებაში კი არაჩვეულებრივი ცვლილება მომხდარიყო, რამაც ფრედერიკი გააკვირვა. ოდნავი დუმილის შემდეგ მან დასძინა:

— კარგი იქნებოდა, რომ შენობით ვილაპარაკებდეთ, როგორც წინათ. გინდათ?

— არა.

— რატომ?

— ისე.

ვაქმა დაიჟინა. ქალმა თავი ჩალუნა და თქვა:

— ვერ ვბედავ.

ისინი ახლა ბაღის ბოლოში იყვნენ, საგუბრის ახლოს. ფრედერიკი კენჭებს იღებდა და ანცობით წყალში ისროდა. ქალმა უბრძანა, დაჯექიო. იგი დაემორჩილა. ცოტა ხნის შემდეგ თვალით მდინარე უჩვენა, აქ რომ ჩანჩქერს ქმნიდა:

— ნამდვილი ნიაგარაა!

და დაიწყო ლაპარაკი შორეულ ქვეყნებზე, ხანგრძლივ მოგზაურობაზე. ქალს ხიბლავდა მოგზაურობაზე ფიქრი. ვერაფერი ვერ შეაშინებდა, ვერც ქარიშხალი, ვერც ლომი.

ერთად ისხდნენ, სილას მუჭით იღებდნენ და თითებში ათამაშებდნენ, თანაც საუბრობდნენ. მინდვრებიდან თბილ ქარს მოჰქონდა ლავანდის სურნელება, რომელსაც ერთვოდა კუპრის სუნი, ჯებირს გადაღმა ბარჟიდან რომ მოდიოდა. მზე აშუქებდა ჩანჩქერს; მომწვანო ქვებზე, რომლებზეც წყალი ისე დიოდა, როგორც კედელზე, თითქოს ვერცხლისფერი გამქვირვალე ქსოვილი იყო დაფენილი. ქვემოთ თანაბარ წინწკლებად იფანტებოდა ქაფის გრძელი ლენტი. იქით კი ტრიალებდა მორევი, წყალი ქაფქაფებდა, ტალღები ერთმანეთს ეხლებოდნენ და ბოლოს, დამშვიდებულნი, ერთ კამკაპა და გლუ ნაკადს ქმნიდნენ, საბურველს რომ ჰგავდა.

ლუიზამ წაიჩურჩულა, თეევზებს შევნატრიო.

— ჩაყვინთვა, სულ ძირამდე ჩასვლა, ალბათ, ძლიერ სასიამოვნოა! თანაც გრძნობ, რომ ყოველმხრივ რალაც გეალერსება.

იგი ცახცახებდა და ეს ცახცახი გამსქვალული იყო ავხორცული შემპარაობით.

მაგრამ მოისმა ხმა:

— სადა ხარ?

— ძიძა გეძახით, — უთხრა ფრედერიკმა.

— მეძახოს!

იგი ადგილიდან არ იძვროდა.

— გაჯავრდება, — განაგრძო ფრედერიკმა.

— რა მენაღვლება! და საერთოდ....

მ-ელ როკი აგრძნობინებდა, ძიძა დამორჩილებული მყავსო.

მაგრამ მაინც ადგა; შემდეგ თავის ტკივილს უჩიოდა. ხოლო როცა დიდ ფარდულს ჩაუარეს, სადაც ჯარჯის კონები ეწყო, თქვა:

— მოდი ვიცელქოთ და დავიმალოთ!

ფრედერიკმა თავი მოიკატუნა, თითქოს არ გამიგონიაო, შემდეგ ადგილობრივ დიალექტს, მის გამოთქმაში რომ იგრძნობოდა, სწვდა და კიდევაც გამოაჯავრა. ქალის ტუჩის კუთხეები ნელ-ნელა ათრთოლდა, მერმე იგი კიდევაც ჩაიკვნიტა, გაჭირვეულდა და ჩამორჩა.

ფრედერიკი მასთან დაბრუნდა, დაიფიცა, წყენინება სულაც არ მიფიქრიაო, ძლიერ მიყვარხარო.

— მართლა? — წამოიძახა და ღიმილით დაუწყო ცქერა, რის გამოც ოდნავ დაჭორფლილი სახე გაუბრწყინდა.

ვაჟი დაემორჩილა ამ გაბედულ გრძნობას, ამ უმწიკვლო სინორჩეს და განაგრძო:

— რისთვის უნდა გეცრუო?.. განა გეეჭვება? — და მარცხენა ხელი წელზე მოჰხვია.

ნაზი შეკივლება, ვით მტრედის ღუღუნი, აღმოხდა მის მკერდს; თავი უკან გადაუვარდა, გული მისდიოდა. ვიქმა შეაკავა. საუბარი, სინდისის ქენჯნა აქ უსარგებლო იქნებოდა. შიშმა შეიპყრო ამ ქალწულის წინაშე, რომელიც ნებდებოდა. დაეხმარა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაში, სულ ნელა, ნელა. ალერსიანი სიტყვები გათავდა; ვაჟი ცდილობდა ესაუბრა მასთან გულგრილ რამეებზე და საუბარი შეეხო ნოქანელ საზოგადოებას.

ქალმა უეცრად ხელი ჰკრა და მწარე ხმით წამოიძახა:

— შენ არ გეყოფა გამბედაობა თან წამიყვანო!

საშინლად გაოცებული, იგი იქვე გაქვავდა. ქალი ატირდა და თავი მის მკერდს მიახუტა:

— განა შემიძლია უშენოდ სიცოცხლე!

ფრედერიკი ცდილობდა დაეშშვიდებინა. ქალმა ხელები მხრებზე დაადო და, უკეთ რომ დაენახა, თავისი მწვანე, ცრემლიანი და თითქმის მტაცებლური თვალები სახეში მიაშტერა:

— გინდა, ჩემი ქმარი იყო?

— მაგრამ... — თქვა ფრედერიკმა და შეეცადა პასუხი მოეძებნა. — რა თქმა უნდა... მე მხოლოდ ეგ მსურს.

ამ წუთს იასამნის ბუჩქებში ბ-ნ როკის ქუდი გამოჩნდა.

მან თავისი „ახალგაზრდა მეგობარი“ მიიწვია ერთად დაეთვალიერებინათ მისი მამული და ორ დღეს დაატარებდა მიდამოებში. როკა ფრედერიკი დაბრუნდა, შინ სამი წერილი დახვდა.

პირველი იყო ბ-ნ დამბრეზისაგან, რომელიც სადილად ეპატიჟებოდა წარსულ სამშაბათს. საიდან იყო ასეთი თავაზიანობა? მაშასადამე, აპატიეს მისი უსაქციელობა?

მეორე იყო როზანეტისაგან. ქალი მადლობას უხდიდა, რომ თავი საფრთხეში ჩაიგდო მის გამო. ფრედერიკმა ჯერ ვერ გაიგო, რა ჰქონდა მხედველობაში, მერმე, ბევრი აბდაუბდის შემდეგ, ეხვეწებოდა, მიმართავდა მის მეგობრულ გრძნობებს, „დაჩოქილი“ ემუდარებოდა. რაკი იძულებული იყო აუცილებლობით, როგორც თხოულობენ ლუკმაპურს, რომ ეხსნა იგი და მიეცა დახმარება ხუთასი ფრანკის რაოდენობით. ფრედერიკმა ბაშინვე გადაწყვიტა გაეგზავნა ეს თანხა.

მესამე წერილი დელორიესაგან იყო, გრძელი და უთავბოლო, შეეხებოდა გირავნობის ფურცელს. ადვოკატს ჯერ არაფერი გადაეწყვიტა. ეხვეწებოდა, ნუ შეწუხდებიო: „შენი დაბრუნება საჭირო არ არის“, და ამას რაღაც უცნაური დაჟინებითაც კი იმეორებდა.

ფრედერიკს სრულიად ვერაფერი გაეგო და უეცრად პარიზს დაბრუნება მოენატრა; აშფოთებდა ის გარემოება, რომ ცდილობდნენ ხელმძღვანელობა გაეწიათ მისი მოქმედებისათვის.

თანაც კვლავ დაეუფლა ბულვარების ნახვის ნაღველი, დედა კი ისე აჩქარებდა, ბ-ნი როკი ისე ელოლიავებოდა და მ-ელ ლუიზას სიყვარულიც ესოდენ ძლიერი იყო, რომ, თუ წინადადება არ მიე-

ცა, აქ დარჩენაც აღარ შეეძლო. საჭირო იყო ყოველივე ამის მოფიქრება და შორიდან უკეთ მოახერხებდა.

წასვლის გასამართლებლად ფრედერიკმა რაღაც მოიგონა, ყველას ეუბნებოდა, მალე დავბრუნდებიო და თვითონაც ასე სჯეროდა.

VI

პარიზს დაბრუნებას არ გაუხარებია. აგვისტოს ბოლო იყო, საღამო. ბულვარები თითქოს დაცლილიყო. გამვლელნი დაღვრემილნი დადიოდნენ. აქა-იქ ბოლავდა ასფალტიანი ქასრები. სახლის დარაბები მაგრად იყო ჩაკეტილი. თავის სახლში მივიდა. კედლები მტვერს დაეფარა. მარტო რომ სადილობდა, უცნაური გრძნობა დაეუფლა: ეგონა, ყველამ მიმატოვაო. მაშინ მ-ელ როკი მოაგონდა.

ცოლის შერთვაზე ფიქრი აღარ ეჩვენებოდა რაღაც საშინელ რამედ. იმოგზაურებენ, წავლენ იტალიაში, აღმოსავლეთში! და ლუიზა წარმოუდგებოდა გორაკზე მდგომი, მიდამოს ცქერით რომ ტკბებოდა, ან, მის მკლავს დაყრდნობილი, ათვალიერებდა ფლორენციულ გალერეას, აკვირდებოდა სურათებს. სასიხარულო იქნება იმის ნახვა, თუ როგორ გაიფურჩქნება ეს საყვარელი არსება ხელოვნებისა და ბუნების სხივებში! თავის წრეს დაშორებული, იგი ძლიერ მალე გახდება მშვენიერი მეგობარი. თანაც ბ-ნ როკის ქონება აცთუნებდა. გარნა ასეთი გადაწყვეტილება ვაინც არ ეამებოდა, როგორც ერთგვარი სისუსტე, დამცირება.

მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი (რადაც უნდა დასჯდომოდა) შეეცვალა ცხოვრების ნირი, ესე იგი გული არ გადაელია უნაყოფო ვნებით, და კიდევაც ყოყმანობდა, შეესრულებინა თუ არა ლუიზას დავალება. ეაკ არნუსაგან უნდა ეყიდა ორი დიდი შეღებილი სტატუეტი, რომლებიც გამოსახავდნენ ზანგებს, სწორედ ისეთები, როგორიც ტრუას პრეფექტურაშია. ლუიზას დაემახსოვრებინა მეფაბრიკის მარკა და სურდა, სწორედ ასეთი სტატუეტები ჰქონოდა. ფრედერიკი შიშობდა, ქ-ნ არნუს რომ დავინახავ, ვაითუ კვლავ გაცოცხლდეს ჩამქრალი სიყვარულიო.

მთელ საღამოს არ ასვენებდნენ ასეთი ფიქრები. უკვე დასაძინებლად ემზადებოდა, რომ უეცრად ქალი შემოვიდა.

— მე ვარ, — სიცილით უთხრა ვ-ელ ვატნაზმა. — როზანეტის დავალებით მოვედი.

მაშასადამე, შერიგებულან?

— ღმერთო ჩემო, რასაკვირველია! ხომ იცით, რომ მე გულღრძო არა ვარ! თანაც საბრალო როზანეტი... დიდბანს დამჭირდება ამაზე ლაპარაკი.

მოკლედ, როზანეტს სურდა მისი ნახვა; იგი ელოდა პასუხს თავის წერილზე, პარიზიდან რომ ნოელს გაგზავნეს. ვ-ელ ვატნაზმა მისი შინაარსი არ იცოდა. ფრედერიკმა როზანეტის ამბავი ჰკითხა.

ახლა იგი ცხოვრობდა ერთ ძლიერ ვდიდარ კაცთან, რუს თავად ჩერნუკოვთან, რომელმაც შარშან ზაფხულში გაიცნო დოლზე მარსის მინდორში.

— მთელი სამი ეკიპაჟი, ცხენი, ლივრეიანი მსახურები, გრუმი ინგლისური წესისამებრ, სახლი ქალაქგარეთ, ლოჟა იტალიურ ოპერაში და კიდევ ბევრი რამ. აი რა ამბებია, ჩემო კარგო!

და ვატნაზი, თითქოს როზანეტის ბედის ცვლილებით მანაც ისარგებლაო, გამხიარულდა, სრულიად ბედნიერი გახდა. ხელთათმანები გაიძრო და ავეჯსა და მორთულობას ათვალიერებდა. თითოეული ნივთის ღირებულებას არკვევდა, თითქოს ანტიკვარიაო. ამათი ფასი ჩემთვის უნდა გეკითხა და მაშინ გაცილებით უფრო ადვილად შეიძენდიო. უქებდა გემოვნებას.

— აბ, მშვენიერია! საუცხოოა! ამაში ვერავინ გაჯობებთ!

შემდეგ, ალკოვში, სასთუმალის უკან რომ კარი შენიშნა, ჰკითხა:

— აქედან მანდილოსნებს უშვებ ხოლმე?

და მეგობრულად მოჰკიდა ხელი ნიკაპზე. იგი შეკრთა გრძელი, ხმელი და ნაზი ხელის შეხებით. მის სახელოს შემოვლებული ჰქონდა მაქმანი, მწვანე კაბის ლიფი კი, როგორც ჰუსარს, მორთული ჰქონდა ყაითნით. ფარფლებდაშვებული შავი ტიულის ქუდი ოდნავ უფარავდა შუბლს; თვალები უციმციმებდა: თმას პაჩულის სუნი დაჰკრავდა. კენკეტი, ვრგვალ მაგიდაზე რომ იდგა, ქვემოდან აშუქებდა მას, ვით თეატრის რამპა, და ამის გამო ნიკაპი უფრო მკვეთრად გამოიყოფოდა. და უეცრად ამ ულამაზო, ავაზასავით მოქნილი ქალის მნახველმა ფრედერიკმა გაურკვეველი ნდომის, ცხოველური ავხორცობის მოზღვავება იგრძნო.

ქალმა საფულიდან ამოიღო სამი კვადრატული ნაჭერი ქაღალდი და მოთაფლული ენით ჰკითხა:

— ხომ აიღებთ?

ეს იყო დელმარის ბენეფისის სამი ბილეთი.

— როგორ? მისი ბენეფისისა?

— დიახ!

მ-ელ ვატნაზი მოერიდა ყოველგვარ ახსნა-განმარტებას და დასძინა, ყველაზე მეტად ახლა მას ვალმერთებო. მისი სიტყვით, იგი საბოლოოდ ალიარებულ იქნა „სახელგანთქმულ მსახიობად“ და განასახიერებდა არა ამა თუ იმ პიროვნებას, არამედ თვით საფრანგეთის გენიას, ხალხს! იგი „ჰუმანური სულის პატრონია, ესმის ხელოვნების საიდუმლოება“. მთელი ამ შესხმისათვის რომ ბოლო მოეღო, ფრედერიკმა უმალვე გადაუხადა სამივე ბილეთის ფასი.

— იქ შეგიძლიათ ამაზე არ ილაპარაკოთ... ღმერთო ჩემო, რა გვიანია! უნდა წავიდე... აბ, კინაღამ დამავიწყდა მისამართის მოცემა: გრანდ-ვატელიერის ქუჩა, 14.

და ზღურბლიდან:

— მშვიდობით, საყვარელო კაცო!

„ვის ვუყვარვარ? — თავის თავს ეკითხებოდა ფრედერიკი. — რა უცნაური ადამიანია!“

და უნებლიეთ გაახსენდა, რომ ერთხელ დიუსარდიემ ამ ქალზე თქვა „ოჰ, დიდს არაფერს წარმოადგენს!“ თითქოს არასაქებურ ამბებს აქარაგმებსო.

მეორე დღეს როზანეტთან წავიდა. იგი ახალაგებულ სახლში ცხოვრობდა, რომლის შტორები ქუჩაში გამოდიოდა; კიბის ყოველ მოედანზე კედლის სარკე იყო, ფანჯრების წინ ყვავილებიანი ლავგარდანები, საფეხურებზე დაფენილი იყო ტილოს ფიანდაზი. ვინც ქუჩიდან შემოდიოდა, აქ საამურ სიგრილეს გრძნობდა.

როზანეტს მამაკაცი მსახურიც ჰყავდა, მას კარი გაუღო ლაქიამ, რომელსაც წითელი ჟილეტი ეცვა. წინკარში, როგორც მინისტრის მისაღებ ოთახში, გრძელ სკამზე იჯდა ქალი და ორი მამაკაცი, ალბათ, მიმწოდებლები, და ელოდებოდნენ. მარცხნივ, სასადილო ოთახის ოდნავ ღია კარში მოჩანდა ცარიელი ბოთლები ბუფეტებზე, ხელსახოცები სკამების საზურგეებზე, ხოლო სასადილოს პარალელურად იყო გალერია, სადაც ვარდებს შედგმული ჰქონდა მოოქრული ჯოხები. ქვემოთ, ეზოში, ორი დაკაპიწებული მსახური წმენდდა ეტლს. მათი ხმები ზევით ისმოდა.

ლაქია დაბრუნდა და მოახსენა: „ქალბატონი გთხოვთ“, და

ფრედერიკი მეორე ტალანით შეიყვანა დიდ სასტუმრო ოთახში რომელიც გაკრული იყო ყვითელი ფარჩით, კუთხეებში გადიოდა გრეხილები, ჭერში რომ ერთდებოდა და ჭაღის გრეხილ შტოებს უერთდებოდა. წუხელ აქ, ალბათ, ლხინობდნენ, რადგან კონსოლებზე სიგარის ფერფლი იყო დარჩენილი.

ბოლოს იგი შეავიდა ბუდუარის მაგვარ ოთახში, რომელსაც ბუნდოვანად ამშუქებდა ფერადმინიანი ფანჯრები. კარის თავს ამშვენებდა ხისაგან გამოჭრილი სამყურა; ბალუსტრადის იქით სამი შეწამული მატრასი დივნის მაგივრობას ეწეოდა, რომელზეც პლატინის ყალიონი ეგდო. ბუხრის თავზე სარკის ნაცვლად ეკიდა პირამიდის მსგავსი ეტაჟერი, ხოლო მის თაროებზე ელაგა ათასგვარი საკვირველება: უძველესი ვერცხლის საათი, ბოჰემიური ბუკები, ძვირფასთვლებიანი ბალთები, ნეფრიტის ღილები, მინანქარი, ჩინური კერპები, ღვთისმშობლის ბიზანტიური ხატი მოოქრული ვერცხლის სამოსლით, და ყოველივე ეს ოქროსფერ ბინდბუნდში ერწყმოდა ცისფერ ხალიჩას, სადაფისფერ ტაბურეტებს, კედლების მოყვითალო-წითელი ტყავის ასაკრავს. კუთხეებში ტუმბოებზე იდგა ყვავილების ბრინჯაოს ლარნაკები, მძიმე სურნელს რომ აკმევდნენ.

როზანეტს ეცვა ვარდისფერი ატლასის ქურთუკი, თეთრი ქაშმირის შარვალი, ყელზე ეკიდა პიასტრების მანიაკი, თავს ეხურა წითელი ქუდი, რომელზეც შემოხვეული ჰქონდა იასამნის შტო.

ფრედერიკმა განცვიფრება ვერ დამალა. როცა გონს მოვიდა, უთხრა, მოვიტანე, რასაც „ითხოვდი", და ბანკის ბილეთი გაუწოდა.

ქალმა მეტად გაკვირვებით შეხედა. ფრედერიკმა კი არ იცოდა, სად დაედო ბანკნოტი და კვლავ ხელში ეჭირა.

— წაიღეთ-მეთქი!

მან გამოსტაცა და დივანზე მიაგდო.

— ძლიერ თავაზიანი ხართ!

ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ წლიური გადასახადი შეეტანა მიწის ნაკვეთისა, ბელვიუში რომ ჰქონდა. ფრედერიკმა ასეთი მოპყრობა იწყინა. თუმცა, მით უკეთესი! ეს შურისგებაა წარსულისათვის.

— დაბრძანდით! — უთხრა მან. — აი, აქ, უფრო ახლოს, — და სერიოზული ტონით დაიწყო: — უწინარეს ყოვლისა, მადლობა

უნდა მოგახსენოთ, ჩემო კარგო, რადგან ჩემი გულისათვის თავი საფრთხეში ჩაიგდეთ.

— ოჰ, ეგ არაფერია!

— რასა ბრძანებთ! შესანიშნავია!

როზანეტის მადლობა ეუხერხულებოდა, რადგან ქალი, ალბათ, ფიქრობდა, რომ იგი იბრძოდა მხოლოდ და მხოლოდ არნუსათვის, რომელმაც, ცხადია, ასე წარმოიდგინა, ვეღარ მოითმინა და როზანეტს უამბო.

„ალბათ, დამცინის“, — ფიქრობდა ფრედერიკი.

აქ მას აღარაფერი ესაქმებოდა, მოუცლელობა მოიმიზეზა და ადგა.

— არა! არა! მოითმინეთ!

იგი კვლავ დაჯდა და კოსტიუმი უქო.

მან ნაღვლიანად უპასუხა:

— თავადს მოსწონს, როცა ასე ვიცვამ! და ავრეთვე უნდა მოვწიო, აი ეს რაღაცაა, — დასძინა და ყალიონი აჩვენა. — რა იქნება, რომ გავსინჯოთ? გინდათ?

ნაკვერჩხალი მოიტანეს. ლითონის შენადნობი ნელა ხურდებოდა და როზანეტმა მოუთმენლობით ფეხები აატყაპუნა. შერმე რაღაც მოთენთილობა დაეუფლა, უძრავად იწვა ტახტზე, ბალიში ხელქვეშ შეედო, ოდნავ ჰოღუნულს, ერთი ფეხი მოკეცილი ჰქონდა, მეორე კი სრულიად გაჭიმული. წითელი ტარსიკონის გველი, იატაკზე რომ იწვა, ხელზე შემოეხვია. ქარვის მუნდშტუკი ტუჩთან მიიტანა და თვალებმოჭუტული უცქეროდა ფრედერიკს ბოლში, რომელშიც მთლად გაეხვია. როზანეტის სუნთქვის გამო წყალი თუხთუხებდა და დროდადრო, ისმოდა ქალის ჩურჩული:

— საყვარელი ბავშვი! საბრალო!

ფრედერიკი ცდილობდა გამოენახა საუბრის სასიამოვნო თემა. ვატნაზი გაახსენდა.

ჩემი აზრით, იგი ძლიერ მორთული იყოო, უთხრა მან.

— ოღონდაც! — უპასუხა როზანეტმა. — მისი ბედია, რომ ცოცხალი ვარ! და ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს, — რამდენი რამ იყო უთქმელი მათ საუბარში.

ორივე რაღაც უხერხულობას გრძნობდა, რაღაც უშლიდათ ხელს. როზანეტს მართლაც მიაჩნდა თავი დუელის მიზეზად, რაც მის თავმოყვარეობას ეამებოდა. ძალიან გაუკვირდა, რომ ფრედე-

რიკი არ გამოეშურა მასთან და არ დაიკვეხა გმირობა. და იგი რომ ნოეყვანა, სწორედ ამიტომ მოიგონა, ხუთასი ფრანკი მჭირდებაო. მერმე ჯილდოდ რატომ არ ითხოვს ალერსს? ეს იყო მისი ხასიათის სინატიფე, რაც ქალს აოცებდა, და ამიტომ გულითადად შესთავაზა:

— გინდათ, წამოდით, ჩვენთან, ზღვაზე, დასასვენებლად?

— ვინ — ჩ ვ ე ნ თ ა ნ?

— ჩემთან და ჩემს ჩალხანასთან. მე, როგორც ძველისძველ კომედიებში, ვიტყვი ხოლმე, ჩემი ბიძაშვილია-მეთქი.

— თქვენი მონა-მორჩილი!

— ჰოდა, ჩვენს ახლოს დაიქირავე ოთახი.

ბდიდარ კაცთან კეკემალულობიას თავაში თავის დამცირებად მიაჩნდა.

— არა, ეს შეუძლებელია!

— როგორც გენებოთ!

როზანეტმა პირი იბრუნა, თვალები ცრემლით ევსებოდა. ფრედერიკმა ეს შეამჩნია და, თანაგრძნობა რომ გამოეცხადებინა, უთხრა: მახარებს, კეთილ ცხოვრებას რომ მიაღწიეთო.

ქალმა მხრები აიჩეჩა. ვინ არის მისი მწუხარების მიზეზი? ან, იქნებ, არ უყვართ?

— ოჰ, არა! მე ყოველთვის ვუყვარვარ!

და დასძინა:

— გააჩნია, როგორი სიყვარულით.

როზანეტმა სიცხე მოიმიზეზა, „ვიხრჩობიო“, ქუთუკი გაიხადა, აბრეშუმის პერანგის ამარა დარჩა, თავი განზე გადახარა და მიიღო პოზა მხეველისა, ცთუნებას რომ ლამობს.

ნაკლებანგარიშიანი ეგოისტი არ იფიქრებდა, რომ შეიძლება მოვიდეს ვიკონტი, ბ-ნი დე კომენი ან კიდევ სხვა ვინმე. მაგრამ ფრედერიკი ხშირად შეუყვანია შეცდომაში ასეთ შეხედულებას და ამიტომ სულაც არ უნდოდა ახალი დამცირება განეცადა.

ქალს აინტერესებდა, ვისთან იყო იგი დაახლოებული, როგორ ერთობოდა; პირად საქმეებზეც კი შეეკითხა და სესხი შესთავაზა, თუ ფული გესაჭიროებაო. ფრედერიკმა ყოველივე მოისმინა და ქუდი აიღო.

— აბა, ძვირფასო, გისურვებ მხიარულებას! ნახვამდის.

ქალმა თვალები დაჭყიტა, მერმე მშრალად უთხრა:

— ნახვამდის!

ფრედერიკმა კვლავ გაიარა ყვითელი სასტუმრო ოთახი და მეორე ტალანი. იქ მაგიდაზე, სადარბაზო ბარათების ლარნაკსა და სამელნეს შუა, იდგა ნაჭედი ვერცხლის კოლოფი. ეს იყო ქ-ნ არნუს კოლოფი. ფრედერიკს გული აუჩვილდა და ამავე დროს სირცხვილიც იგრძნო, თითქოს მკრეხელობის მოწმე ყოფილიყო!.. სურდა ხელი შეეხო, თავი აეხადა, ეაგრამ დამინახავენო, გაიფიქრა და გვერდი აუარა.

ფრედერიკი ბოლომდე სათნო დარჩა. არნუსთან არ შესულა.

მან ზანგთა სტატუეტების საყიდლად ლაქია გაგზავნა, დაწვრილებით აუხსნა, რაც საჭირო იყო, და ყუთი იმ საღამოსვე გაგზავნა ნოჟანს. მეორე დღეს, როცა დელორიესთან მიდიოდა, ვივიენის ქუჩისა და ბულვარის კუთხეში ქ-ნ არნუს შეეჩეხა.

პირველი მათი მოძრაობა ის იყო, რომ უკან დაიხიეს, შემდეგ ერთი და იგივე ღიმილი გაჩნდა მათს ბაგეებზე და ერთმანეთთან მივიდნენ. წუთით დუმილი.

ქალს მზე აშუქებდა და მისი ოვალური სახე, გრძელი წარბები, შავი მაქმანიანი შალი, მხრებზე რომ ჰქონდა, მტრედისფერი აბრეშუმის კაბა, იების თაიგული ქუდზე, ყველაფერი მშვენიერი, შეუდარებელი ეჩვენა. მისი თვალები ულეველ სინაზეს აფრქვევდნენ, და ფრედერიკმა ალალბედზე წარმოთქვა, რაც პირველად თავში მოუვიდა:

— ბ-ნი არნუ როგორ არის?

— გმადლობთ!

— ბავშვები?

— ძალიან კარგად!

— აჰ!.. რა მშვენიერი ამინდია, არა?

— დიახ, კარგია!

— თქვენ საყიდლად მიდიოდით?

— დიახ.

ქალმა თავი დახარა და უთხრა:

— მშვიდობით!

ხელი არ გაუწოდა, არც ერთი ალერსიანი სიტყვა არ უთხრა, არც კი მიიპატიჟა შინ; ეჰ, განა სულ ერთი არაა! ამ შეხვედრას ფრედერიკი არ გაუცვლიდა თვით უბრწყინვალეს თავგადასავალში, და, გზას რომ განაგრძობდა, სულ ამ შეხვედრის სიტკბოს იგონებდა.

დელორიე მისმა მოსვლამ გააკვირვა, მაგრამ უსიამოვნება დამალა, რადგან ჯიუტობის გამო კიდევ რაღაც იმედი ჰქონდა, რომ ქ-ნ არნუსთან რამეს გახდებოდა; ამიტომ მისწერა მას ნოქანში და ურჩევდა დარჩენილიყო იქ. რათა თვითონ თავისუფლად შესძლებოდა მოქმედება.

გარნა უამბო, რომ მასთან იყო, რათა გაეგო, დაპირობებულია თუ არა ქონების ერთობლიობა მისი საქორწინო კონტრაქტით; ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ცოლისთვისაც წაეყენებინა სარჩელი. და „რა სახის გამომეტყველება ჰქონდა, როცა შენზე ვუთხარი, ცოლს ირთავს-მეთქი!"

— აბა! ეგ რაღა ჭორია!

— ეს საჭირო იყო, რომ სცოდნოდა, ფული რად დაგჭირდა! შენდამი გულგრილი ადამიანი ამის გამო გონს არ დაკარგავდა, როგორც იგი.

— მართლა?

— აჰ, მეგობარო, როგორ გამოტყდი! ჰო, კარგი, გულახდილად თქვი ყველაფერი.

საშინელი სულმოკლეობა დაეუფლა ქ-ნ არნუს თაყვანისმცემელს.

— არა-მეთქი... გარწმუნებ... პატიოსან სიტყვას გეუბნები!

ამ უღიმღამო სიტყვებმა საბოლოოდ დაარწმუნეს დელორიე. მან წარმატება მიულოცა ფრედერიკს, დაუწყო დაწვრილებით გამოკითხვა. ფრედერიკმა არაფერი არ უამბო და სურვილიც კი დასძლია გამოეგონებინა ეს დაწვრილებითი ცნობები.

რაც შეეხება ჯირავნობის ფურცელს, სთხოვა, ნურაფერს მოიქმედებ, მოიცადეო. დელორიეს აზრით, ფრედერიკი მართალი არ იყო და კარგადაც გაჯორა.

თუმცა, დელორიე ახლა უფრო დაღვრემილი, გაღიზიანებული და გაჯავრებული იყო, ვიდრე წინათ. ერთი წლის შემდეგ, თუ ჩემს ყოფაში ცვლილება არ მოხდა, ამერიკაში წავალ ან შუბლში ტყვიას ვიკრავო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე აბრაზებდა და მისი რადიკალიზმი ისე უსაზღვრო იყო, რომ ფრედერიკმა ვერ მოითმინა და უთხრა:

— მთლად სენეკალს დაემსგავსე.

მის ხსენებაზე დელორიეს ფრედერიკს აცნობა, რომ იგი გა-

ანთავისუფლეს სენტ-პელაჟის საპატიმროდან, რადგან, ცხადია, გამოძიებამ საკმაო საბუთი ვერ პოვა სასამართლოს პროცესისათვის.

მისი განთავისუფლების გამო გახარებულმა დიუსარდიემ მოისურვა „სტუმრები პუნშზე მოეწვია“ და ფრედერიკიც დაპატიჟა, მაგრამ თანაც გააფრთხილა, რომ შეხვდებოდა ჰიუსონეს, რომელმაც სენეკალის მიმართ თავი საუკეთესოდ გამოიჩინა.

საქმე ისაა, რომ „ფლამბარს“ გარდა, დააარსა კონტორა, რომელსაც მისი პროექტების მიხედვით ჰქონდა „ღვინის სავაჭრო კანტორა, განცხადებათა განყოფილება, გადახდევინებათა განყოფილება და სხვ.“ მაგრამ ჰიუსონე შიშობდა, ვაითუ ამ წამოწყებამ ზიანი მიაყენოს ჩემს ლიტერატურულ რეპუტაციასო, და ანგარიშის საწარმოებლად მათემატიკოსი მოიწვია. თუმცა ადგილი მაინც დაშაინც სახარბიელო არ ყოფილა, მაგრამ უმისოდ სენეკალი შიმშილით მოკვდებოდა. ფრედერიკს არ სურდა ეწყენინებინა ამ პატიოსანი კაცისათვის და დაპატიჟებაზე დათანხმდა.

დიუსარდიემ წინასწარ, სამი დღით ადრე, თვით გახეხა თავისი სხვენის წითელი ქვის იატაკი, გაბერტყა სავარძელი და მტვრისაგან გაწმინდა ბუხარი, სადაც სტალაქტიტსა და ქოქოსის კაკალს შორის იდგა ალებასტრის საათი. თავის სამი შანდალი: ორი დიდი და ერთი პატარა, საკმაო არ იყო, ამიტომ მეკარისაგან ითხოვა კიდევ ორი შანდალი; ეს ხუთი სანთელი ანათებდა კომოდზე, რომელსაც მეტი შნოისათვის გადაფარებული ჰქონდა ხელსახოცები და ზედ ეწყო ნუშის ნამცხვარი, ბისკვიტი, ტკბილი პური და იდგა ერთი დუჟინი ბოთლი ლუდი. კომოდის პირდაპირ, ყვითელშპალერიან კედელთან, იდგა წითელი ხის საწიგნე კარადა, სადაც მოჩანდა ლაშამბოდის „არაკები“, „პარიზის საიდუმლოებანი“, ნორვენის „ნაპოლეონი“, ალკოვში კი პალისანდრის ხის ჩარჩოში იღიმებოდა ბერანჟეს სახე.

მოწვეული იყვნენ (დელორიესა და სენეკალის გარდა) ფარმაცევტი, რომელსაც ახლახან დაემთავრებინა კურსი, მაგრამ სახსარი არ გააჩნდა თავისი საქმე დაეწყო; ახალგაზრდა კაცი, დიუსარდიეს მაღაზიაში რომ მსახურობდა, ღვინის ვაჭრობის კომისარი, არქიტექტორი და ვიღაც კაცი, სადაზღვევო საზოგადოებაში რომ მუშაობდა. რეჟემბარს მოსვლა არ შეეძლო. წუხდნენ მისი დაუწერებლობის გამო.

ფრედერიკი ძლიერ გულთბილად მიიღეს, რადგან დიუსარდიეს

მეოხებით იცოდნენ, რაც დამბრეზისას ილაპარაკა. სენეკალმა ის იკმარა, რომ თავისი ღირსების შეგნებით გაუწოდა ხელი.

ეგი ბუხარსმიყრდნობილი იდგა. დანარჩენებს პირში ჩიბუხები გაეჩარათ და ყურს უგდებდნენ მის მსჯელობას საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე, რასაც უნდა გამოეწვია დემოკრატიის გამარჯვება, სახარების პრინციპების განხორციელება. არჩევნების დრო ახლოვდებოდა. პროვინციებში იმართებოდა სარეფორმო ბანკეტები; პიემონტი, ნეპოლი, ტოსკანა...

— ეგ მართალია, — შეაწყვეტინა სიტყვა დელორიემ, — ასე აღარ შეიძლება.

და დაიწყო მდგომარეობის დახასიათება:

— ჰოლანდია გავწირეთ, რათა ინგლისს ეღიარებინა ლუი-ფილიპე, ხოლო ყბადაღებული კავშირი ბრიტანეთთან უნაყოფოდ დაილუპა ესპანეთის ქორწინებათა გამო! შვეიცარიაში ბატონი გიზო, ავსტრიის შთაგონებით, მხარს უჭერს ათას რვაას თხუთმეტი წლის ტრაქტატს. პრუსია და მისი საბაჟო კავშირი საქმეს გვირთულებს. აღმოსავლეთის საკითხი გადაუჭრელია. თუ დიდი მთავარი კონსტანტინე ომალის ჰერცოგს საჩუქარს უგზავნის, ეს კიდევ არ ეძლევა იმის საფუძველს, რომ რუსეთს ვენდოთ. რაც შეეხება საშინაო საქმეებს, ჯერ არასოდეს არ უნახავთ ასეთი დაბრმავება, ასეთი სისულელე. მათი ხმათა უმრავლესობაც კი საეჭვოა. ერთი სიტყვით, ცნობილი ანდაზისა არ იყოს, არაფერია, სრულიად არაფერია! და, მიუხედავად ასეთი სამარცხვინო მდგომარეობისა, — განაგრძობდა დოინჯშემოყრილი ადვოკატი, — ისინი აცხადებენ. კმაყოფილი ვართო!

ეს ქარაგმა შეეხებოდა ხმის მიცემის ცნობილ შემთხვევას და იქ მყოფთა ტაში გამოიწვია. დიუსარდიემ გახსნა ლუდის ბოთლი, ქაფი ფარდებს შეეშხეფა, ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის; ჩიბუხებს ტენიდა, შაქრის პურს ჭრიდა და სტუმრებს ეპატიჟებოდა, რამდენჯერმე ჩავიდა ძირს, რათა შეეტყო, მზად არის პუნში თუ არა; სტუმრები კი ღელავდნენ, რადგან ყველანი თანაბრად იყვნენ აღშფოთებულნი ხელისუფლების მოქმედების გამო. მათი აღშფოთება ძლიერი იყო და იკვებებოდა მხოლოდ სიძულვილით უსამართლობისადმი, გარნა სწორ ბრალდებასთან ერთად ისმოდა სრულიად უაზრო საყვედურიც.

ფარმაცევტი წუხდა ფლოტის სავალალო მდგომარეობაზე. სა-

დაზღვევო საზოგადოების აგენტს მარშალ სულტისათვის ვერ ეპატიებინა, რომ მის სადარბაზო შესასვლელში ორი ჯარისკაცი იდგა. დელორიე ამხილებდა იეზუიტებს, რომელნიც აშკარად დამკვიდრდნენ ლილში. სენეკალს მეტად სძულდა ბ-ნი კუზენი, რადგან ეკლექტიზმი, რომელიც გვასწავლის რწმენა გონებაში ვეძიოთ, ავითარებს ეგოიზმს და ანგრევს სოლიდარობას. ღვინის ვაჭრობის კომისიონერმა, ვისაც ასეთ რამეებში არაფერი არ გაეგებოდა, ყველას გასაგონად განაცხადა, ბევრი სისაძაგლე დაგვიწყდათო.

— მეფის ვაგონი ჩრდილოეთის რკინიგზაზე ოთხმოცი ათასი ფრანკი უნდა დაჯდეს! ამას ვინ გადაიხდის?

— ჰო, ვინ გადაიხდის? — ისეთი გააფთრებით წამოიძახა ნოქარმა, თითქოს ეს ფული მისი ჯიბიდან უნდა წაეღოთ.

ატყდა ჩივილი მებირჟე ექსპლოატატორებსა და მოხელეთა მექრთამეობაზე. სენეკალის აზრით, საჭირო იყო ბოროტების მიზეზი ზემოფენებში ეძიათ და ბრალი, უწინარეს ყოვლისა, დაედოთ პრინციპებისათვის, რომლებმაც რეგენტობის ზნე-ჩვეულებანი გააცოცხლეს.

— იცით თუ არა, რომ ამ დღეებში მონპანსიეს ჰერცოგის მეგობრებმა, რომლებიც, ალბათ, მთვრალი ბრუნდებოდნენ ვენსენიდან, თავიანთი სიმღერებით სენტ-ანტუანის გარეუბნის მუშები შეაწუხეს?

— უყვიროდნენ, ძირს ქურდებიო! — თქვა ფარმაცევტმა. — მეც იქ ვიყავი, მეც ვუყვიროდი!

— მით უკეთესი! ტენტ-კიუბიერის პროცესის შემდეგ ხალხი, ბოლოს, იღვიძებს.

— მე კი ამ პროცესმა დამამწუხრა, — თქვა დიუსარდიემ. — ლაფი დაასხეს ძველ ჯარისკაცს!

— იცით თუ არა, — განაგრძო სენეკალმა, — რომ დე პრალენის ჰერცოგის ცოლს უპოვნეს...

მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ფეხი ჰკრა კარს და გაიღო. შემოვიდა ჰიუსონე.

— მოგესალმებით, სინიორებო! — თქვა და საწოლზე ჩამოჯდა.

კრინტი არავის დაუძრავს მის სტატიაზე; ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა იგი ნანობდა, რადგან გვარიანად მოხვდა როზანუტისაგან ამ სტატიის გამო.

იგი მოვიდა დიუმას თეატრიდან, სადაც ნახა „საროსკიპოს რაინდი“. ამ პიესას იგი აძაგებდა.

ამგვარმა მსჯელობამ დემოკრატები გააკვირვა, რადგან ეს დრამა თავისი ტენდენციის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავისი დეკორაციების გამო იმათ მოსწონდათ. სენეკალმა, დავისათვის რომ ბოლო მოეღო, იკითხა, ეს პიესა სასარგებლოა თუ არა დემოკრატიისათვისო.

— დიახ, მგონი... მაგრამ რა სტილია!

— მაშასადამე, პიესა კარგია. სტილი რა არის? მთავარია იდეა!

ფრედერიკს შესიტყვება არ აცალა და განაგრძო:

— ასე რომ, მე ვამტკიცებდი, რომ პრალენის საქმეში...

ჰიუსონემ გააწყვეტინა:

— აჰ, ძველი ლათაიებია! თავი მომაბეზრა!

— და არა მარტო თქვენ, — შენიშნა დელორიემ. — იმის გამო უკვე ხუთი გაზეთი დახურეს! აბა, ყური დაუგდეთ ამ ციფრებს.

ბის წიგნაკი ამოიღო და წაიკითხა:

„მას შემდეგ, რაც „საუკეთესო რესპუბლიკა“ განმტკიცდა. გაიმართა ათას ორას ოცდაცხრა პროცესი პრესის საქმეთა შესახებ, რისი შედეგიც ავტორებისათვის იყო: სამი ათას ას ორმოცდაერთი წლით პატიმრობა და მცირე ჯარიმა შვიდი მილიონი ას ათი ათასი ფრანკის რაოდენობით“. მშვენიერია, ხომ?

ყველამ მწარედ ჩაიცინა. დანარჩენებივით აღელვებულმა ფრედერიკმა დასძინა:

— „მშვიდობიან დემოკრატიას“ ახლა პროცესი აქვს მის მიერ გამოქვეყნებული რომანის „ქალის ხვედრის“ გამო.

— აი ბარაქალა! — თქვა ჰიუსონემ. — ერთიც ვნახოთ, აკრძალეს ჩვენი „ქალის ხვედრი“?

— რას არ კრძალავენ! — წამოიძახა დელორიემ. — აკრძალულია თამბაქოს მოწევა ლუქსემბურგის ბაღში, აკრძალულია პიუს მეცხრისათვის ჰიმნის გალობა!

— აკრძალულია მესტამბეთა ბანკეტიც! — ყრუდ წარმოთქვა ვიღაცამ.

ეს იყო არქიტექტორი, ალკოვოში რომ იჯდა და აქამდე სიტყვა არ დასცდენია. მან დასძინა, რომ გასულ კვირაში მეფის შეურაცხყოფისათვის საბრალდებო განაჩენი გამოუტანეს ვინმე რუჟეს.

— დიახ, რუჟე გათავებულია! — თქვა ჰიუსონემ.

სენეკალმა ეს ხუმრობა უადგილოდ მიიჩნია, რომ ჰიუსონეს უსაყვედურა, თითქოს იგი ექომაგებოდა „რატუშის ტაკიმასხარას, პოლალატე დემურიეს მეგობარს“.

— მე ვექომაგები? პირიქით!

ლუი-ფილიპე მას მიაჩნდა უგვან, უღიმღამო პიროვნებად, ეროვნულ გვარდიელად, იშვიათ მედუქნედ. მერმე ჟურნალისტმა ხელი გულზე დაიდო და მოჰყვა საკრამენტალურ ფრაზებს:

„ყოველთვის ახალი კმაყოფილებით... — პოლონელი ხალხი არ დაილუპება... — ჩვენი დიადი წამოწყებანი ნაყოფს გამოიღებენ...— ფულს ნუ დაიშურებთ ჩემი პატარა ოჯახისათვის!..“

ყველამ ბევრი იცინა და ალიარა, მშვენიერი, ორუნჯი ბიჭიაო. მხიარულება გაორკეცდა, როცა შემოიტანეს ქვემოთ, რესტორანში შეკვეთილი პუნში.

სპირტისა და სანთლების ალმა სწრაფად გაათბო ოთახი. სინათლე, რომელიც სხვენის ფანჯრიდან ეცემოდა, მოპირდაპირე სახლის სახურავს აღწევდა, სადაც ღამის ცაში შავი სვეტივით აღმართულიყო საკომური. ყველა ერთად ძლიერ ხმამაღლა ალაპარაკდა; სერთუკები გაიხადეს; ზოგი ავეჯს ეხლებოდა, ისმოდა ჭიქების წკრიალი.

ჰიუსონემ წამოიძახა:

— მოიწვიეთ აქ წარჩინებული ბანოვანნი, რათა ყოველივე ეს მოგვაგონებდეს „ნელის კოშკს“, რათა უფრო მკაფიო გახდეს ადგილობრივი კოლორიტი, რათა რაღაც რემბრანტისებური რამ გამოვიდეს, დალახვროს ეშმაკმა!

ფარმაცევტმა კი, დაუსრულებლად რომ ურევდა პუნშს, ღრიალით დაიწყო:

ბოსელში მყავს ორი ხარი,
ორი დიდი თეთრი ხარი.

სენეკალმა ტუჩზე ხელი დააფარა, არ უყვარდა უწესობა. ახლო პახლო მოსახლენი ფანჯრებში იხედებოდნენ, უკვირდათ არაჩვეულებრივი ხმაური, დიუსარდიეს სხვენიდან რომ გადიოდა.

მასპინძელი მხიარული იყო და ამბობდა, მაგონდება წინანდელი თავყრილობანი ნაპოლეონის სანაპიროზე, ოღონდ ზოგი ვინმე აკლია, მაგალითად, პელერენიო...

— უიმისოდ შეიძლება იოლად წავიდეთ, — უთხრა ფრედერიკმა.

დელორიემ მარტინონი იკითხა:

— რასა იქმს ეს საინტერესო პიროვნება?

მაშინ ფრედერიკმა გვარიანად შეამკო მარტინონი: დაუწუნა ჭკეა, ხასიათი, ყალბი პეწი და ბევრი რამ სხვა.

— ბლეხთა წრიდან გამომხტარი ტიპური მეტიჩარა! ახალი არისტოკრატია — ბურჟუაზია, ვერ შეედრება წინანდელ აზნაურობას.

ამტკიცებდა ფრედერიკი, დემოკრატები კი ეთანხმებოდნენ, თითქოს ფრედერიკი ძველ არისტოკრატიას ეკუთვნოდა და თითქოს თვითონაც შესული იყვნენ ახალი აზნაურების ოჯახებში, მოხიბლული იყვნენ ფრედერიკით. ფარმაცევტმა იგი ბ-ნ დ' ალტონ-შესაც კი შეადარა, რომელიც, თუმცა საფრანგეთის პერი იყო, გარნა ხალხს ემხრობოდა.

წასვლის დრო იყო. გამოთხოვებისას ხელს ართმევდნენ ერთმანეთს; გულაჩვილებულმა დიუსარდიემ ფრედერიკი და დელორიე გააცილა. ქუჩაში რომ გავიდნენ, ადვოკატი თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრდა და ოდნავი დუმილის შემდეგ ფრედერიკს ჰკითხა:

— მაშ შენ ძლიერ გაჯავრებული ხარ პელერენზე?

ფრედერიკს თავისი წყენა არ დაუმალავს.

— კი, მაგრამ მხატვარმა ხომ მოხსნა გამოფენიდან თავისი ყბადაღებული სურათი? უბრალო რამეზე დამდურება არ ღირს. მტერი რად უნდა შეიძინო? წუთიერმა გულისწყრომამ შეიპყრო, რაც სრულიად მისატევებელია, როცა ჯიბე ცარიელია. შენთვის ხომ გასაგებია ეს!

როცა დელორიე თავის სახლთან მივიდა, დიუსარდიე ფრედერიკს არ მოშორებია: კიდევაც ცდილობდა დაეჯერებინა, სურათი იყიდეო. საქმე ის იყო, რომ, როცა პელერენის ბუქარამ არ გაჭრა დაეშინებინა ფრედერიკი, მაშინ მისი ამხანაგები მოიშველია, რათა მათ დაეყოლიებინათ იგი ეყიდა სურათი.

შემდეგი შეხვედრისას დელორიე კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და დაჟინებაც კი გამოიჩინა. მხატვრის მოთხოვნა მას საფუძვლიანად მიაჩნდა.

— დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც ხუთას ფრანკად...

— ოჰ, მიეცი. თუ კაცი ხარ, აი, ფული, — უთხრა ფრედერიკმა.

იმავე საღამოს სურათი მიუტანეს. ფრედერიკს იგი უფრო საშინელი ეჩვენა, ვიდრე პირველი ნახვის დროს, ჩრდილები და ნა-

ხევარჩრდილები იმდენჯერ იყო შესწორებული, რომ ტყვიისფერი მიეღო და თითქოს გაშავებულიყო შუქის მკაფიო ლაქების ფონზე.

ფრედერიკმა სურათის ძაგებით გული მოიოხა. დელორიემ მისი სიტყვები ირწმუნა და საქციელი მოუწონა, რადგან მას ხელი არ აეღო მისწრაფებაზე შეედგინა ფალანგა და მისი მეთაური გაბედარიყო; არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც სიამოვნებას ჰგვრის მეგობრებს ისეთი ნაბიჯი გადაადგმევინონ, რაც მათ არ სურთ.

ფრედერიკი დამბრეზებთან აღარ დადიოდა. ფული არ ჰქონდა. საჭირო გახდებოდა ათასგვარი ახსნა-განმარტება; არ იცოდა, რა ექნა. უნდა ითქვას, რომ მართალიც იყო. ისეთი დრო იყო, რომ არაფრის იმედი არ შეიძლებოდა გქონოდა, თუნდაც ქვანახშირის კომპანიისა. საჭირო იყო ამ წრესთან კავშირის გაწყვეტა. დელორიემ საბოლოოდ დაარწმუნა, ეგ შენი საქმე არ არისო. სიძულვილი სათნოს ხდიდა მას; თანაც ერჩივნა ფრედერიკი არამდიდარი ჰყოლოდა. ასე უფრო თანასწორნი იყვნენ და უფრო მტკიცედ მეგობრობდნენ.

მ-ელ როკის დავალება ძალიან ცუდად იქნა შესრულებული. ქალიშვილის მამამ წერილი მოსწერა ფრედერიკს და დაწვრილებით აუხსნა რა და როგორი ეყიდა; წერილს ასე ამთავრებდა: „ვშიშობ, შრომა არ დაგჭირდეთ“.

ფრედერიკს ისღა დარჩენოდა, რომ თვითონ მისულიყო არნუსთან. მაღაზიაში არავინ დახვდა. სავაჭრო სახლი გაკოტრების კარზე იყო, ნოქრები უდარდელობით თავიანთ პატრონს არ ჩამორჩებოდნენ.

გაჰყვა გრძელ თაროებს, რომლებზეც ქაშანურის ჭურჭელი ეწყო და ოთახის მთელი შუაგული ეკავა; როცა დახლთან მივიდა, განგებ მძიმედ გადადგა ნაბიჯი, რათა ხმაური ვინმეს გაეგონა.

პორტიერი აიწია და ქ-ნი არნუ გამოვიდა.

— როგორ! თქვენ! აქ!

— დიახ, — ოდნავ დარცხვენით წაიბუტბუტა მან. — ერთ რაღაცას ვეძებდი...

კონტორულაზე მისი ცხვირსახოცი შეამჩნია და მიხვდა: ქმართან შემოსულა, ალბათ, რითიმე შეწუხებული, რომ გაუგებრობა გამოერკვიაო.

— მაგრამ... თქვენ... იქნებ გესაჭიროებათ რამე?

— ისე, უმნიშვნელო რამ, ქალბატონო.

— ეს ნოქრები პირდაპირ აუტანელნი არიან! მუდამ სადმე უნდა გაქრნენ.

— რატომ ძრახავთ? პირიქით, მე მიხარია ეს გარემოება!

ქალმა დაცინვით შეავლო თვალი.

— ჰო, მართლა, ქორწილის საქმე როგორ არის?

— ვისი ქორწილისა?

— თქვენი?

— ჩემი? არასოდეს ჩემს სიცოცხლეში!

ქალმა ხელის ჩაქნევით გამოხატა, არ მჯერაო.

— და თუნდაც აგრე იყოს! ზოგჯერ მდარე ჟანრითაც ვკმაყოფილდებით ხოლმე, როცა გვეკარგება იმის მიღწევის იმედი, რაზეც ოცნებობდით!

— თქვენი ოცნება არცთუ ისე... უმანკო ყოფილა!

— ამით რისი თქმა გნებავთ?

— თუკი დოღზე დაბრძანდებით ისეთ... პიროვნებასთან ერთად!

ფრედერიკმა როზანეტი დასწყევლა, მაგრამ მეხსიერებამ უშველა.

— მაგრამ განა თვითონ თქვენ არ მთხოვეთ ოდესღაც შევხვედროდი მას თქვენი მეუღლის გულისათვის?

ქალმა თავის დაქნევით უპასუხა:

— და ისარგებლეთ შემთხვევით, რომ გართობილიყავით.

— ღმერთო ჩემო! არ ღირს ამ სისულელეებზე ფიქრი!

— მართალი ხართ, რაკი ცოლის შერთვას აპირებთ.

თანაც ტუჩი ჩაიკვნიტა და ოხვრა ჩაახშო.

მაშინ ვაჟმა წამოიძახა:

— მაგრამ ვიმეორებ, რომ ეგ აგრე არ არის! ნუთუ შეგიძლიათ დაიჯეროთ, რომ ჩემ სულიერ მოთხოვნილებათა, ჩემ ჩვევათა პატრონი ჩავიკეტები პროვინციაში, რათა გავერთო ბანქოს თამაშით, თვალყური ვადევნო მშენებლობის მუშებს და ვისეირნო ხისაგან გაჩორკნილი ქოშებით? და რისთვის? თქვენ გითხრეს, რომ ის ქალი მდიდარია, არა? აჰ, ფულს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს! თუ მე ვესწრაფვოდი მშვენიერებას, მომხიბვლელს, სამოთხეს, ადამიანის სახე რომ მიუღია, და თუ, ბოლოს, ვიპოვნე იგი, ვიპოვნე ეს იდეალი, თუ მისი ხილვა ყოველივე დანარჩენს მიჩრდილავს...

და ორივე ხელი მოჰხვია თავზე, თვალებში კოცნიდა და იმეორებდა:

— არა! არა! არასოდეს ცოლს არ შევირთავ! არასოდეს! არასოდეს!

ქალი არ უარობდა, გათანგული იყო გაოცებით და აღტაცებით.

მაღაზიის გარეკარი მოაბრახუნეს. ქ-ნი არნუ განზე გახტა და ხელი გაიწოდა, თითქოს უბრძანებს გაჩუმდიო. ნაბიჯი მოახლოვდა, მერმე ვიღაცამ იკითხა:

— ქალბატონო, აქ ბრძანდებით?

— შემოდით!

ქ-ნი არნუ დახლზე დაყრდნობილი იდგა და კალამს ატრიალებდა მშვიდად ხელში, როცა მოანგარიშემ კარი შემოაღო.

ფრედერიკი ადგა.

— პატივი მაქვს გამოგეთხოვოთ, ქალბატონო! სერვიზი მზად იქნება, არა? შემიძლია იმედი ვიქონიო?

ქალმა არაფერი უპასუხა. მაგრამ თანამონაწილეობის უხმო შეგნებამ მისი სახე შეღება სიწითლის ყველა ელფერით, როგორიც კი სიძვამ იცის.

მეორე დღეს ფრედერიკი კვლავ წავიდა მასთან; იგი მიიღეს და, რაკი სურდა ესარგებლა უკვე მიღწეულით, ერთბაშადვე, მიუკიბ-მოუკიბავად, დაიწყო თავისმართლება იმაში, რაც მარსის მინდორზე მოხდა.

— სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი იმ ქალთან. ვთქვათ, იგი ლამაზია! (ნამდვილად კი ასეთი არ არის), როგორ შეუძლია მას, დაეუფლოს ჩემს ფიქრებს, თუკი სხვა მიყვარს? თქვენ ეს უკვე იცით, და კიდევაც მითქვამს.

ქ-მა არნუმ თავი დახარა.

— ძლიერ საბწუხაროა, რომ გითქვამთ.

— რატომ?

— წესიერების უბრალო გრძნობა მოითხოვს ახლა, რომ აღარ შეგხვდეთ!

ფრედერიკი შეეცადა დაერწმუნებია, ჩენი სიყვარული უმწიკვლოაო. წარსული მომავლის თავმდებია; სიტყვა მოვეცი ჩემს თავს აღარ შევაშფოთო თქვენი ცხოვრება, აღარ ავაღელვო ჩემი ჩივილითო.

— მაგრამ გუშინ ჩემმა გულმა ვეღარ გაუძლო.

— ეგ წუთი აღარ უნდა გავიხსენოთ, ჩემო მეგობარო!

— გარნა რა უნდა იყოს აქ ცუდი, თუ საერთო მწუხარება ორ

საბრალო არსებას აერთიანებს? თქვენც ხომ უბედური ხართ! ო, მე ვიცი! არავინ არ გყავთ, ვისაც შეეძლოს დააცხროს წყურვილი თქვენი სიყვარულისა. ერთგულებისა. ყოველივეს მოვიმოქმედებ, რასაც კი ინებებთ! შეურაცხყოფას არ მოგაყენებთ... გეფიცებით.

და იქვე დაიჩოქა, რაკი მეტად მძიმე გრძნობის ტვირთს ეღარ გაუძლო.

— ადექით! — უთხრა ქალმა. — გიბრძანებთ!

და მტკიცედ განუცხადა, ვეღარასოდეს ვერ მნახავთ, თუ ახლა არ გამიგონებთო.

— აჰ, მე არ მეშინია თქვენი მუქარისა! — უპასუხა ფრედერიკმა. — რა უნდა ვქნა ამქვეყნად? სხვები მხოლოდ იმას ელტვიან, რომ მოიპოვონ ქონება, სახელი, ძალაუფლება! მე ადგილი არ გამაჩნია საზოგადოებაში, თქვენ ხართ ერთადერთი ჩემი სიმდიდრე, მიზანი, ჩემი ცხოვრების ღერძი, ჩემი ფიქრების საკრებულო. არ შემიძლია სიცოცხლე უთქვენოდ, ისე, როგორც უჰაეროდ! განა ვერ გრძნობთ, როგორ ელტვის ჩემი სული თქვენს სულს. ვერ გრძნობთ, რომ ისინი უნდა შეერთდნენ და რომ მე ვკვდები?

ქ-ნ არნუს მთელი სხეული აუთრთოლდა.

ქალის მღელვარებამ შეაჩერა იგი. სცადა ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ უკან დაიხია და ხელები გულზე დაიკრიფა.

— თავი დამანებეთ! ღვთის გულისათვის! შემიბრალეთ!

და ფრედერიკის სიყვარული ესოდენ დიდი იყო, რომ წავიდა.

მალე თავის თავს გაუჯავრდა, სულელი უწოდა, ხოლო ერთი დღის შემდეგ კვლავ მივიდა მასთან.

ქ-ნი არნუ შინ არ იყო. აღშფოთებული, გაბრაზებული ფრედერიკი კიბის ბაქანზე იდგა. არნუ მოვიდა და უთხრა, ცოლი დილით ოტეილს წავიდა ქალაქგარეთ სახლში, რომელიც დაქირავებული გვაქვს მას შემდეგ, რაც სენ-კლუში საკუთარი სახლი გავყიდეთო.

— მისი ჩვეულებრივი ჭირვეულობაა! რას ერჩი, ასე ურჩევნია... არსებითად მეც. ჰოდა, ასე! დღეს ერთად ვისადილოთ, ა?

ფრედერიკმა სასწრაფო საქმე მოიმიზეზა და ოტეილს გაეშურა.

ქ-ნმა არნუმ სიხარულით შეჰკივლა. ფრედერიკს მთელი ბრაზი გაუქრა.

სიყვარულზე სიტყვა არ დაუძრავს. მეტი ნდობა რომ გამოეწვია, კიდევაც აზვიადებდა თავშეკავებას და, როცა ჰკითხა, შემიძ-

ლია თუ არა კიდევ მოვიდეო, ქალმა უპასუხა: „რა თქმა უნდა“, და ხელი გაუწოდა, ვაგრამ მყისვე უკან წაიღო.

ამიერიდან ფრედერიკი ხშირად დადიოდა. მეეტლეს მეტს ჰპირდებოდა არყისათვის. მაგრამ ზოგჯერ, როცა ნელა მგზავრობა მოთმინებიდან გამოიყვანდა, ჩამოხდებოდა, ირბენდა და აქოშინებული შეძვრებოდა ომნიბუსში. და რა ზიზღით ათვალიერებდა ხოლმე მგზავრებს, რომლებიც მის პირდაპირ ისხდნენ და რომლებიც მასთან არ მიდიოდნენ!

მის სახლს შორიდან იცნობდა ცხრატყავას გამო, სახურავზე რომ ადიოდა. ეს იყო შვეიცარიული შალეს მაგვარი შენობა, წითლად შეღებილი და აივანი ჰქონდა. ბაღში სამი ძირი ბებერი წაბლის ხე იდგა; შუაგულში, ბორცვზე აღმართული იყო ჩალის ქოლგა, ხის მორი რომ ამაგრებდა; აქა-იქ კედელზე ადიოდა მსხვილი ვაზი, მაგრამ ისე ცუდად იყო მიმაგრებული, რომ დამპალი ბაგირივით ეკიდა. კუტკარს მტკიცედ მიმაგრებული ზარი უხეიროდ წკარუნებდა: დიდხანს არ აღებდნენ ხოლმე. ფრედერიკი ყოველთვის შეშფოთებას, უცნაურ შიშს გრძნობდა.

ბოლოს, სილაში ფოსტლების ფრატუნით გამოვიდოდა მოსამსახურე ან თვით ქ-ნი არნუ. ერთხელ, როგორღაც, როცა ფრედერიკი მივიდა, იგი ზურგშექცევით იყო ბალახში დაჩოქილი და იებს ეძებდა.

ქალიშვილი, ცუდი ხასიათის გამო, მონასტრის პანსიონში იყო მიბარებული; ბიჭი კი დღისით სკოლაში დადიოდა. არნუს ბევრ დროს ართმევდა საუზმეები პალე-როიალში რეჟისორთან და მეგობარ კომპენთან ერთად. ახლა დაუპატიჟებელი სტუმრის მოსვლა როდი აფიქრებდა.

მტკიცედ იყო გადაწყვეტილი, რომ ისინი ერთმანეთს არ უნდა ეკუთვნოდნენ. ეს გადაწყვეტილება, მათ რომ საფრთხისაგან იცავდა, გულის გადაშლას უადვილებდათ.

ქალმა უამბო თავის წინანდელ ცხოვრებაზე შარტრში, დედასთან, რა ღვთისმოსავი იყო თორმეტი წლის ასაკში, შემდეგ როგორ გაიტაცა მუსიკამ და შუაღამემდე მღეროდა ხოლმე თავის ოთახში, რომლის ფანჯრიდან ციხის გალავანი მოჩანდა. მან კი მოუთხრო თავის მელანქოლიაზე კოლეჯის წლებში, იმაზე, თუ როგორ ბრწყინავდა მის ოცნებაში ქალის სახე? ამიტომაც, როცა პირველად გნახეთ, მაშინვე გიცანითო.

ჩვეულებრივ თავიანთ საუბრებში მხოლოდ იმ წლებს ეხებოდნენ, როცა უკვე ნაცნობნი იყვნენ. ვაჟი მოიგონებდა ხოლმე სხვადასხვა წვრილმან რამეს, იმას, თუ რა ფერისა იყო მისი კაბა ამა და ამ დროს, ვინ მოდიოდა მასთან, რას ეუბნებოდა იგი, და ქ-ნი არნუც მთლად აღტაცებული უპასუხებდა:

— დიახ, მახსოვს!

ერთნაირი ჰქონდათ გემოვნება, აზრები. ხშირად ის, ვინც უს მენდა, წამოიძახებდა:

— მეც!

მეორე კი, თავის მხრივ გაიმეორებდა:

— მეც, მეც!

მერმე დაიწყებოდა დაუსრულებელი ჩივილი განგებისადმი:

— რატომ არ ენება ზეცას?.. ადრე რომ შეეხვედროდით ერთმანეთს!

— აჰ, უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო! — ოხრავდა ქალი.

— არა, მე უნდა ვყოფილიყავი უხნესი!

და მათ წარმოდგენაში იხატებოდა მხოლოდ სიყვარულით გამსჭვალული ცხოვრება, ესოდენ შინაარსიანი, რომ მით შეიძლებოდა ამოვსებულიყო თვით უღრმესი მარტოობა, ისეთი, რომელსაც ვერ შეედრებოდა ვერავითარი სიხარული, რომელიც ჩაახშობდა ყოველგვარ ჭუჭყარეგას, სიცოცხლეს, როცა დრო დაილეოდა გულის განუწყვეტელ გადმოშლაში, რაღაც ისე დამაბრმავებელი და ამაღლებელი, ვით ვარსკვლავთა ციმციმი.

ისინი თითქმის ყოველთვის გარეთ ისხდნენ, წინკარში. შემოდგომის სიყვითლით შეღებილი ხეები უსწორმასწორო რიგებად ჩამწკრივებულიყო ზედ ფერმკრთალ ცისკიდურზე. ზოგჯერ, სეირნობის დროს, მოვიდოდნენ ხეივნის ბოლომდე და დასხდებოდნენ ტალავერში, სადაც სხვა ავეჯი არ იყო რუხტილოგადაკრული დივანის გარდა; სარკე მოჩითული იყო შავი წერტილებით; კედლებს ობის სუნი სდიოდა, და ისინი დიდხანს ისხდნენ ხოლმე აქ, ბაასობდნენ საკუთარ თავზე, სხვებზე, ყველაფერზე ამქვეყნად. ზოგჯერ მზის სხივები შემოანათებდნენ დარაბებში, იატაკიდან ჭერამდე გაიბმოდნენ, ვით ჩანგის სიმები; მტვრის ცახეები დარიალებდნენ ამ აბრეშუმივალებულ ზოლებში. ქ-ნი არნუ იმით ერთობოდა, რომ ხელით გაჰფანტავდა ხოლმე მათ. ფრედერიკი ფრთხილად გამოართმევდა ხელს და ტკბებოდა ვენების გადაკვანძვით, კანის ელფერით,

თითების ფორმით. ყოველი მათგანი მისთვის თითქმის ცოცხალი არსება იყო.

ქალმა თავისი ხელთათმანები აჩუქა, ერთი კვირის შემდეგ კი ცხვირსახოცი. იგი მას ეძახდა „ფრედერიკ“, ვაჟი კი „მარი“ და თაყვანს სცემდა ამ სახელს, რომელიც იმისთვის იყო შექმნილი, როგორც თვითონ ამბობდა, რომ ექსტაზის წუთებში ოხვრით წარმოეთქვათ ჩურჩულით, სახელი, რომელიც თითქოს საკმელის სურნელებას, ვარდის ფურცლებს შეიცავდა.

ისინი, ბოლოს, ადრევე ნიშნავდნენ პაემნის დღეებს; თითქოს სახლიდან სრულიად შემთხვევით გამოვიდაო, ქალი მის შესახვედრად მოეშურებოდა.

ქალი არ ცდილობდა გაემძაფრებინა ვაჟის სიყვარული, რადგან ტკბებოდა იმ უდარდელობით, რაც ნამდვილ ბედნიერებას ახასიათებს. იმ დროს იგი ატარებდა მიხაკისფერი აბრეშუმის კაპოტს. რომელიც მორთული იყო ამავე ფერის ხავერდით; ეს იყო ფართო, მოხერხებული ტანსაცმელი, რომელიც უხდებოდა მის მოქნილ მოქრაობას და სახის სერიოზულ გამომეტყველებას. ამასთანავე მისთვის იწყებოდა ქალის ცხოვრების შემოდგომის ხანა, სინაზის და ფიქრის ხანა, როცა სიმწიფე ცქერას აღანთებს უფრო დიდი ალით, როცა გრძნობის ძალა ერწყმის ცხოვრების გამოცდილებას და ადამიანის არსება, თავის უკანასკნელ აყვავებას რომ მიაღწია, უხვად ხარჯავს ჰარმონიისა და სილამაზის საგანძურს. არასოდეს არ ყოფილა ასეთი ნაზი, ასეთი თვინიერი. რაკი დარწმუნებული იყო, დაცემა არ მოხდებაო, იგი მიეცა გრძნობას, რომლის უფლება, როგორც ეგონა, საკუთარი მწუხარებით მოიპოვა. თანაც იგი ესოდენ მშვენიერი, ესოდენ განუცდელი იყო! რა უფსკრული იყო არნუს უხეშობასა და ფრედერიკის თაყვანისცემას შორის!

ვაჟს ეშინოდა ისეთი ზედმეტი სიტყვა არ წამოსცდენოდა, რომელიც დააკარგვინებდა ყველაფერს, რასაც, როგორც ეგონა, უკვე მიაღწია, და თავს აჯერებდა, ბედნიერი შემთხვევა შეიძლება განმეორდეს, ნათქვამი სისულელის გამოსწორება კი შეუძლებელიაო. სურდა, რომ ქალი თვით დანებებოდა და არა ძალდატანებით. ახარებდა, რომ დარწმუნებული იყო მის სიყვარულში, თითქოს წინასწარ ტკბებაო დანებების წუთით, და მისი მშვენება სულს უფრო აღელვებდა, ვიდრე გრძნობას. ეს იყო წარმოუდგენელი ნეტარება, ხიბლი; იგი ავიწყებდა თვით სრული ბედნიერების შესაძლებლობას. მასთან გაწმორებისას ვნებიანი გულისთქმა სტანჯავდა

შემდეგ მათი საუბრები ხანგრძლივი დუმილით წყდებოდა. ზოგჯერ, თითქოს თავიანთი სქესისა რცხვენიათო, წამოწითლდებოდნენ. ყველა გაფრთხილება, რომლითაც ცდილობდნენ თავიანთი სიყვარული დაემალათ, მხოლოდ ამაზე მეტყველებდა. რამენადაც გრძნობა ძლიერდებოდა, იმდენად თავდაჭერილნი ხდებოდნენ. ამ ვარჯიშობამ სიცრუეში გაამახვილა მათი გულისხმიერება. დაუსრულებლად ტკბებოდნენ სველი ფოთლების სუნით, იტანჯებოდნენ, როცა აღმოსავლეთის ქარი უბერავდა, განიცდიდნენ უმიზეზო მღელვარებას, ემორჩილებოდნენ ავბედით წინათგრძნობას, აშინებდათ ფეხის ხმა, იატაკის ფიცრების ჭრაჭუნი, თითქოს დამნაშავენი ყოფილიყვნენ; გრძნობდნენ, უფსკრულისაკენ მივდივართო; ავის მომასწავებელ ატმოსფეროში ცხოვრობდნენ, თუ ფრედერიკი წუხდა, ქალს თავი დამნაშავედ მიაჩნდა.

— დიახ, მე კარგად არ ვიქცევი! შეიძლება კაცმა თქვას, კეკლუცობსო! აღარ მოხვიდე!

მაშინ ვაჟი გაიმეორებდა წინანდელ ფიცს, რასაც ქალი სიხარულით ისმენდა.

ფრედერიკის დაბრუნებამ პარიზს და საახალწლო ფუსფუსმა დროებით შეწყვიტა მათი პაემნები. როცა ფრედერიკი კვლავ ეწვია, მის ქცევას რაღაც უფრო გაბედული დაეტყო. ქალი ყოველ წუთში გადიოდა ხოლმე საოჯახო საქმეებზე და, მიუხადავად ვაჟის თხოვნისა, იღებდა ყველა მომსვლელს. საუბარი ეხებოდა ლესტადს, ბ-ნ გიზოს, პაპს, აჯანყებას პალერმოში და მე-12 ოლქის ბანაეტს, რომელიც შეშფოთებას იწვევდა. ფრედერიკი გულს იოხებდა მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებით, რადგან ახლა ისე გაბოროტებულიყო, რომ საყოველთაო გადატრიალება სურდა, ისევე, როგორც დელორიეს. ილუშებოდა ქ-ნი არნუც.

მისი ქმრის ახირებას საზღვარი არ ჰქონდა; ახლა ხანად აყავდა თავისი ფაბრიკის ერთ-ერთი მუშა ქალი, სწორედ ის, ვისაც ბორდოელს ეძახდნენ. ქ-ნმა არნუმ ეს თვითონ უთხრა ფრედერიკს. აქედან ვაჟს სურდა დასკვნა გამოეტანა: „კი, მაგრამ თქვენ რომ გღალატობენ“.

— ოჰ, ეს ჰე სრულიადაც არ მაღელვებს, — უთხრა მან.

ეს სიტყვები, როგორც ფრედერიკს ეგონა, საბოლოოდ განამტკიცებდნენ მათ დაახლოებას.

— არნუ არ ეჭვიანობს?

— არა! ახლა არა!

და ქალმა უამბო: ერთხელ, საღამოს, მარტონი დაგვტოვა, მერმე დაბრუნდა და კართან დაგვაყურა, მაგრამ რადგან უბრალო რამეებზე ვლპარაკობდით, მას შემდეგ სრულიად დამშვიდებულია.

— და იგი მართალია, არა? — ნაღვლიანად უთხრა ფრედერიკმა.

— დიახ, რა თქმა უნდა!

მისთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს სიტყვები არ ეთქვა.

ერთხელ იგი შინ არ დახვდა იმ დროს, როცა ფრედერიკი ჩვეულებრივ ეწვეოდა ხოლმე. ვაჟისთვის ეს თითქოს ღალატი იყო.

ერთხელ კიდევ იმან გააჯავრა, რომ მისი ნაძღვნევი ყვავილები შუადამ წყლიან ჭიქაში იყო ხოლმე.

— აბა, სად უნდა იყოს, თქვენი ფიქრით?

— ოჰ, მხოლოდ არა აქ! თუმცა აქ, უნდა ითქვას, მათ ისე არ შესცივათ, როგორც თქვენს გულთან.

რამდენიმე დღის შემდეგ ფრედერიკმა უსაყვედურა: გუშინ იტალიურ ოპერაში ყოფილხარ, ჩემთვის კი არ გაგიმხელია. სხვებმა დაგინახეს, ტკბებოდნენ თქვენი ცქერით, იქნებ კიდევაც შეუყვარდითო.

იგი მხოლოდ იმიტომ იჭვნეულობდა, რომ უნდოდა ესაყვედურნა, ეტანჯნა; გულში სიძულვილი ეპარებოდა და სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ თავისი ტანჯვის ნაწილი მასაც რგებოდა!

ერთხელ, დღისით (ეს თებერვლის შუა რიცხვებში იყო) ქალი ძლიერ აღელვებული დახვდა. ეჟენი ყელის ტკივილს უჩიოდა. ექიმმა უთხრა, არაფერია, გაცივებულა, გრიპიაო. ფრედერიკს უკვირდა, რომ ბავშვი რაღაც მოთენთილი, ძილბურანში იყო, მაგრამ მაინც სცადა დედა დაემშვიდებინა, დაასახელა ბევრი ბავშვი, რომლებამაც ასეთივე დაავადება გადაიტანეს და მალე გამოკეთდნენ.

— მართლა?

— დიახ, რა თქმა უნდა!

— რა კეთილი ხართ!

და ხელში ხელი მოჰკიდა. ფრედერიკმა ხელი ვოუჭირა.

— აჰ, თავი დამანებეთ!

— მერმე აქ ცუდი რაა, თქვენ ხომ იგი მანუგეშებელს გაუწოდეთ? თქვენ გჯერათ, როცა ასეთ რამეს გეუბნებით და გეეჭვებათ... როცა ჩემს სიყვარულზე ვლაპარაკობ!

— არ მეეჭვება, ჩემო საბრალო მეგობარო!

— საიდან არის ასეთი უნდობლობა? თითქოს ერთი სალახანა ვინმე ვიყო და შემიძლია ბოროტად გამოვიყენო...

— ოჰ, არა!

— მე რომ დამამტკიცებელი საბუთი მქონდეს...

— რა საბუთი?

— ის, რასაც პირველ შემხვდურს აძლევენ და რაც ოდესმე მეც მომეცით.

და გაახსენა, რომ როგორღაც ერთხელ ქუჩაში ერთად მიდიოდნენ ზამთრის ბურუსიან საღამოს. დიდი ხანია მას აქეთ! ვინღა გიშლით ხელს მკლავგაყრილი გამომყვეთ სრულიად აშკარად, ისე, რომ არ გეშინოდეთ, მე კი არავითარი ფარული აზრი არ მქონდეს, გვიშლიან-მეთქი.

— კარგი! — ისეთი გაბედულებით, ისეთი სიმტკიცით თქვა, რომ ფრედერიკი ერთხანს კიდევაც გაოცდა.

მაგრამ მაშინვე დასძინა:

— გინდათ, დაგელოდებით ტრონშეს ქუჩისა და ფერმის ქუჩის კუთხეში?

— ღმერთო ჩემო! მეგობარო... — ბუტბუტებდა ქ-ნი არნუ.

ფიქრი აღარ აცალა და დაუმატა:

— მაშასადამე, სამშაბათს?

— სამშაბათს?

— დიახ, ორსა და სამ საათს შუა!

— მოვალ!

ქალი წამოწითლდა და პირი იბრუნა. ფრედერიკი ტუჩით შეეხო მის კეფას.

— ოჰ, ეგ არ ვარგა! — უთხრა მან. — თქვენ მაიძულებთ ვინანო.

ფრედერიკმა წასვლა ამჯობინა, რადგან შეაშინა ქალის ჩვეულებრივმა ცვალებადობამ. უკვე კართან ალერსიანად წაიჩურჩულა, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილიაო:

— სამშაბათამდე!

ქალმა მოკრძალებით და მორჩილად დახარა მშვენიერი თვალები.

ფრედერიკს განსაკუთრებული გეგმა ჰქონდა.

მას იმედი ჰქონდა, რომ ან წვიმა, ან მწველი მზე თავს შეაფარებინებდათ სადმე ჭიშკრისქვეშ და რომ, ჭიშკარში მყოფი, იგი დათანხმდებოდა სახლშიც შეჰყოლოდა. ძნელი ის იყო, რომ რაიმე შესაფერისი ადგილი მოეძებნა.

საძებნელად წავიდა და უკვე ტრონშეს ქუჩაში შორიდან დაინახა აბრა: „ავეჯით გაწყობილი ოთახები“.

ლაქია განზრახვას მიუხვდა და უჩვენა ორი ოთახი, საწოლი ოთახი და პატარა კაბინეტი, რომელსაც ორი გასასვლელი ჰქონდა. ფრედერიკმა ეს ბინა დაიქირავა და ერთი თვისა წინდაწინ გადაიხადა.

შემდეგ მაღაზიები შემოიარა და იყიდა სხვადასხვა სუნამო. გიპიური, რათა იმით შეეცვალა საძაგელი, წითელი დალიანდაგებული საბანი, აირჩია წყვილი ცისფერი ატლასის ფეხსაცმელი. სხვა საყიდლებს თავი დაანება, რადგან შიშობდა უხეში არაფერი გამოშივიდესო. ნაყიდი ნივთები ბინაზე მიიტანა და მეტი მოწყობით. ვიდრე საკურთხეველს მორთავდა, ვისმე რომ დაეკვალებინა, გადაადგილა ავეჯი, თვით დაკიდა ფარდები, ბუხარზე ერიკა დადგა, კომოდზე კი იები. სურდა მთელი იატაკი მოეკვარაყებინა. „ეს იქნება ხვალ, — იმეორებდა, — დიახ, ხვალ! ეს სიზმარი როდია!“ და გრძნობდა, რა ძლიერ უცემდა გული იმედის ბოდვაში. ხოლო როცა ყველაფერი გააკეთა, წავიდა და გასალები ჯიბეში დამალა, თითქოს ბედნიერება, იქ რომ თვლემდა, შეიძლებოდა გაფრენილიყო.

შინ დედის წერილი დახვდა.

„რატომ ამდენ ხანს არ ჩამოდიხარ? შენი საქციელი დაცინვას იწვევს. მესმის, რომ, როცა საქორწინოდ ემზადებოდი, ცოტაოდენი გაუბედაობა გწვეოდა, მაგრამ მაინც დაფიქრდი!“

და თანაც ზუსტ ცნობებს აწვდიდა: ორმოცდახუთი ათასი ლივრი შემოსავალი. უნდა იცოდე, რომ უკვე „იყო მოლაპარაკება“ და ბ-ნი როკი საბოლოო პასუხს ელოდება. რაც შეეხება ქალიშვილს, მისი მდგომარეობა მართლაც უხერხული იყო. „მას ძლიერ უყვარხარ“.

ფრედერიკმა ბოლომდე არ წაიკითხა და მიაგდო. მერმე გახსნა დელორიეს ბარათი.

„მეგობარო,

მსხალი დამწიფდა. დაპირების თანახმად, შენი იმედი გვაქვს. ხვალ დილაადრიან პანთეონის მოედანზე ვიკრიბებით. შემოიარე სუფლოს კაფეში. მინდა მოგელაპარაკო მანიფესტაციამდე“.

„ოჰ, ვიცი მათი მანიფესტაციები! მონა-მორჩილი! მე უფრო სასიამოვნო შეხვედრა მომელის“.

მეორე დღეს ფრედერიკი თერთმეტ საათზე გავიდა შინიდან.

სურდა დარწმუნებულიყო, ყველაფერი მზად იყო თუ არა. თანაც, ვინ იცის, შეიძლება ქ-ნი არნუ ჰასზე ადრე გამოსულიყო? ტრონშეს ქუჩამდე რომ მივიდა, მაგდალინელის ტაძრიდან ყვირილი მოესმა; გზა განაგრძო და მოედნის ბოლოს, მარცხნივ, რამდენიმე ბლუზიანი კაცი და მცხოვრებნი დაინახა.

მართლაც, გაზეთებში დაბეჭდილი განცხადება ხალხს იწვევდა ამ ადგილას შეკრებილიყო ყველა, ვისაც სურდა მონაწილეობა მიეღო რეფორმისტების ბანკეტში. მთავრობამაც თითქმის ერთბაშად გამოუშვა მოწოდება, რომლითაც ბანკეტი აკრძალული იყო. წინადღის საღამოს საპარლამენტო ოპოზიციამ უარი თქვა ბანკეტზე; მაგრამ პატრიოტები, რომლებმაც თავიანთი ბელადების ეს გადაწყვეტილება არ იცოდნენ, შეკრების ადგილზე მოვიდნენ; მათთან ახლდა ბევრი უსაქმოდ მოყიალე. სტუდენტთა დელეგაცია ის იყო წავიდა ოდილონ ბაროსთან. დელეგაცია ამჟამად საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო და არავინ იცოდა, გაიმართებოდა თუ არა ბანკეტი, მთავრობა განახორციელებდა თუ არა თავის მუქარას, მოვიდოდა თუ არა ეროვნული გვარდია. დეპუტატები ისეთსავე უკმაყოფილებას იწვევდნენ, როგორც მთავრობა. ბრბო თანდათან მატულობდა, უეცრად გაისმა „მარსელიეზა“.

ახლოვდებოდა სტუდენტთა კოლონა. ისინი მოდიოდნენ ფეხშეწყობილად, ორ რიგად, აღელვებულნი, დაკაპიწებულნი და დროდადრო ყველანი ერთად ყვიროდნენ.

— გაუმარჯოს რეფორმას! ძირს გიზო!

ფრედერიკის მეგობრები, რა თქმა უნდა, აქ უნდა ყოფილიყვნენ. შეეძლოთ დაენახათ იგი და თან წაეყვანათ. იგი უმალვე არკადის ქუჩის კუთხეში მიიმალა.

სტუდენტებმა ორჯერ შემოუარეს მაგდალინელის ტაძარს და თანხმობის მოედნისაკენ გაემართნენ. მოედანი გაჭედილი იყო ხალხით და ბრბო შორიდან შავ მღელვარე ყანასავით მოჩანდა.

იმავე წუთს ეკლესიის მარცხნივ ჯარი საბრძოლო წესით ჩამწკრივდა.

ბრბო კი არ იძვროდა. მოქალაქურად ჩაცმული პოლიციელები, ყოველივე ამისათვის რომ ბოლო მოეღოთ, მოურიდებლად სტაცებდნენ ხელს ყველაზე ურჩებს და ნაწილში მიჰყავდათ. ფრედერიკი, თავისი აღშფოთების მიუხედავად, გულგრილი იყო; სხვებთან ერთად შეეძლოთ ისიც წაეყვანათ და ქ-ნ არნუს ვეღარ შეხვდებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მუნიციპალური გვარდიის ჩაჩქნები. ჯარისკაცები სიბრტყით ურტყამდნენ ხმალს. ერთ-ერთი ცეცნი წაიქცა, მისცვივდნენ მას ასაყენებლად, ხოლო, როცა ზედარი კვლავ შეჯდა, ყველანი ჭენებით მოშორდნენ იქაურობას.

მაგრამ აი გამეფდა სრული სიჩუმე. შეწყდა ჟინყღლი, ასფალტი რომ დაასველა. დასავლეთის სუსტმა ქარმა დაუბერა და ღრუბლები გაფანტა.

ფრედერიკი ტრონშეს ქუჩაზე მიმოდიოდა და სულ აქეთ-იქით იხედებოდა.

ბოლოს საათმა ორჯერ დარეკა.

„აჰ, ახლა კი დროა გამოჩნდეს! — გაიფიქრა მან. — აი, გამოვიდა შინიდან, აქეთ მოდის". გავიდა ერთი წუთი. „აქამდის კიდევაც უნდა მოსულიყო". სამ საათამდე ცდილობდა თავი ენუგეშებინა: „არა, არ დაიგვიანებს. ცოტა ვოთმინებ!"

ამასობაში მაღაზიებს ათვალიერებდა, რომლებიც აქ ცოტა იყო: წიგნების, უნაგირების სავაჭრო, სამგლოვიარო ტანსაცმლის მაღაზია. მალე შეისწავლა ყველა წიგნის სათაური, აკაზმულობის მთელი სახეობა, ყველა ქსოვილი. ვაჭრებმა რომ წინ და უკან მოსიარულე ფრედერიკი დაინახეს, ჯერ გაუკვირდათ, მერმე შეეშინდათ და თავიანთი დუქნები დახურეს.

„უთუოდ რამემ შეუშალა ხელი და ეს თვითონაც აწუხებს. მაგრამ რა სიამე მოგველის! არა, უთუოდ მოვა, ამას ეჭვი არ უნდა! ხომ დამპირდა!"

გარნა აუტანელი ნაღველი დაეუფლა.

იგი დაქირავებულ ბინაში დაბრუნდა, თითქოს შეიძლებოდა იქ ყოფილიყო, რა უაზრო ფიქრია! მაგრამ იქნებ ამ წუთში უკვე მოდის. უკანვე გაიქცა. არავინ! და კვლავ ტროტუარზე იწყო სიარული.

აკვირდებოდა ნახვრეტებს ქვაფენილზე, საწვიმარ მილებს, ფარნებს, ნომრებს ჭიშკრებზე. თვით უმნიშვნელო საგნები მის ამხანაგებად, ანდა დამცინავ გამვლელებად იქცეოდნენ, სახლების მწყობრი ფასადები ულმობელ რამეებად ეჩვენებოდა. ფეხები ეყინებოდა. თავს ვოსხლეტილად, ქანცმილეულად გრძნობდა. საკუთარი ფეხის ხმა ტვინში სცემდა.

როცა საათზე ოთხი დაინახა, იგრძნო, თავი მიბრუისო, შეეშინდა. ცდილობდა გაეხსენებინა რაიმე ლექსი, ითვლიდა, ანგარიშობ-

და, იგონებდა რაიმე ამბავს. არაფერი არ გამოუდიოდა: ქ-ნ არნუს სახე არ ასვენებდა. სურდა გაქანებულიყო მის შესახვედრად. მაგრამ რა გზა აირჩიოს, რომ არ ასცდეს?

შიკრიკთან მივიდა, ხელში ხუთფრანკიანი ჩაუდო და დაავალა მისულიყო პარადის ქუჩაზე ყაკ არნუსთან და მეკარისაგან შეეტყო, შინ იყო თუ არა ქალბატონი. თვითონ კი ფერმის ქუჩისა და ტრონშეს ქუჩის კუთხეში დადგა, რათა ერთსა და იმავე დროს ორივე ქუჩა დაენახა. შორს, ბულვარზე, რაღაც შავი ბრბოები იძვროდნენ. ზოგჯერ გაარჩევდა ხოლმე დრაგუნის ჯიღას ან ქალის ქუდს და, რომ გაერკვია, თვალს ძაბავდა. ქუჩის ბიჭმა, ვალიაში რომ ზაზუნა ჰყავდა, გაუღიმა და სამოწყალო სთხოვა.

შიკრიკი, პლისეს ბლუზა რომ ეცვა, დაბრუნდა.

— მეკარემ მითხრა, ქალბატონი შინიდან არ გასულაო.

„ნეტავ, ვინ დააკავა? ავად რომ ყოფილიყო, მეკარე იტყოდა. იქნებ სტუმარმა? არ მივიღებდი და მორჩა! შუბლში ხელი იტაცა: აჰ, რა სულელი ვარ! არეულობამ შეაფერხა!“ ამ უბრალო ახსნამ დაამშვიდა. მერმე უეცრად ჰკითხა თავს: „კი, მაგრამ მის უბანში რომ სიმშვიდეა?“ და საშინელი ეშვი დაეუფლა. „ერთიც ვნახოთ, არ მოვიდა? იქნებ იმისათვის დამპირდა, რომ თავიდან მოვეშორებინე?... არა, არა! უთუოდ რაიმე არაჩვეულებრივმა შემთხვევამ შეუშალა ხელი, ისეთმა, რომლის გათვალისწინება შეუძლებელია მაგრამ მაშინ მომწერდა“. და დაქირავებული ბინიდან მსახური გაგზავნა თავის სახლში, რემფორდის ქუჩაზე, რათა შეეტყო, წერილი ხომ არ არისო.

წერილი არ ყოფილა. მან ცოტა დაამშვიდა.

ახლა მკითხაობა დაიწყო და ნიშნად მიიჩნია გამვლელის შესახედაობა, ცხენის ფერი, ჯიბეში ალალ ბედზე ამოღებული ფული; თუ ნამკითხავები ხელსაყრელი არ იყო, ცდილობდა არ დაეჯერებინა. როცა ბრაზი მოუვლიდა, ჩურჩულით აგინებდა ქ-ნ არნუს. მერმე ისეთი სისუსტე შეიპყრობდა, რომ გონი ეკარგებოდა. უეცრადვე იმედი ჩაესახებოდა; აი, ახლა მოვა, აქ არის, ზურგს უკან დგას. მობრუნდებოდა — არაფერი! ერთხელ მოშორებით დაინახა იმავე სიმაღლის ქალი, ვისაც სწორედ ისე ეცვა, როგორც ქ-ნ არნუს. დაედევნა, დაეწია, მაგრამ ის არ იყო! საათმა ხუთჯერ დარეკა! ექვსის ნახევარი, ექვსი! გაზი აანთეს. ქ-ნი არნუ არ მოვიდა.

წუხელ კი ქ-ნმა არნუმ სიზმარი ნახა, ვითომ ტრონშეს ქუჩის

ტროტუარზე იდგა. რასაც იქ ელოდებოდა, რაღაც გაურკვეველი. მაგრამ მნიშვნელოვანი რამ იყო; ეშინოდა, არავინ დამინახოსო; თვითონაც არ იცოდა, რატომ ეშინოდა. ვიღაცის წყეული ფინია გაცოფებული ეცა კაბის კალთაში, ეძიძგილებოდა, სულ უფრო ხმამაღლა ყეფდა. ქ-ნ არნუს გაეღვიძა. ყეფა გრძელდებოდა. ყური მიუგდო. ხმა საბავშვო ოთახიდან ისმოდა. ფეხშიშველა გაიქცა იქ. მისი ბიჭუნა ახველებდა, ხელებზე ცეცხლი ეკიდა, სახე გასწითლებოდა, ხმა უცნაურად ჩახლეჩოდა. სუნთქვა სულ უფრო უძნელდებოდა. მოეხვია და დილამდე თვალი არ მოუშორებია.

დილის რვა საათზე ეროვნული გვარდიის დოლმა ბ-ნ არნუს მოაგონა, ამხანაგები გელოდებიანო. სწრაფად ჩაიცვა და წავიდა. ცოლს უთხრა, ჩვენს ექიმთან, ბ-ნ კოლოსთან შევივლიო. ათი საათი იყო, მაგრამ ექიმი არ ჩანდა და ქ-ნმა არნუმ მასთან მოსამსახურე ქალი გაგზავნა. ექიმი სოფელში წასულიყო, მისი შემცვლელი ახალგაზრდა კაცი კი ავადმყოფების ჩამოვლას შესდგომოდა.

პატარა ეჟენს თავი ბალიშზე ჩამოსცურებოდა, მოლუშული იყო, ნესტოები ებერებოდა, საბრალო პატარა სახე ზეწარზე უფრო გასთეთრებოდა, ყელიდან მოკლე, მშრალი, თითქოს ლითონის ზრიალისებური სტვენა ამოსდიოდა. მისი ხველება ჰგავდა იმ სათამაშო მუყაოს ძაღლის ყეფას, ყელში რომ ტლანქად ნაკეთები მექანიზმი უდგას.

ქ-ნი არნუ საშინელებამ შეიპყრო, ზარებს მივარდა, შველას ითხოვდა, ყვიროდა:

— ექიმი! ექიმი!

ათი წუთის შემდეგ მოვიდა ხანშიშესული კაცი, თეთრი ჰალსტუხი ეკეთა, ქილვაშები კოხტად ჰქონდა შეკრეჭილი. მრავალი კითხვა მისცა დედას ახალგაზრდა პაციენტის ასაკზე, ჩვევებზე, ხასიათზე, ყელი გაუსინჯა, ზურგზე ყური დადო და რეცეპტი გამოუწერა. ამ კაცის სიმშვიდე ზიზღს იწვევდა. იგი დამბალზამებელს მოგაგონებდათ. ქ-ნ არნუს სურდა ეცემნა მისთვის. ექიმმა უთხრა, საღამოს შემოვიარეო.

ავადმყოფს ხველება კვლავ დააწყებინა. ხანდახან ბავშვი უეცრად წამოდგებოდა. კრუნჩხვით მკერდის ძარღვები ეჭიმებოდა, როცა ჩაისუნთქავდა, მუცელი ისე შეიწევდა, როგორც სწრაფი სირბილის დროს. მერმე კვლავ გულაღმა დაეცემოდა, თავს უკან გადააგდებდა და პირს ფართოდ გააღებდა. ქ-ნი არნუ დიდი სიფრთხილით

ცდილობდა დაელევინებინა წამლები: იპეკაკუანის ნაყენი კერმეტიზებული მიქსტურა. ბავშვი ხელს ჰკრავდა ხოლმე კოვზსა და სუსტი ხმით კვნესოდა. მისი სიტყვები ოხვრას ჰგავდა.

დედა დროდადრო რეცეპტს გადაიკითხავდა ხოლმე. რეცეპტის შენიშვნები აშინებდა: იქნებ აფთიაქში შეცდნენო. საკუთარი უძლურება სასოწარკვეთილებას ჰგვრიდა. მოვიდა ბ-ნ კოლოს თანაშემწე.

ეს იყო ახალგაზრდა კაცი, ახალბედა, რომელსაც თავი მოკრძალებით ეჭირა და თავისი შთაბეჭდილება არ დაუმალავს. რაკი ეშინოდა, სახელი არ გავიტეხოო, ჯერ არ იცოდა, რა ექნა, ბოლოს, ყინული გამოუწერა. ყინული დიდხანს ვერ იშოვნეს. მერმე ყინულის ბუშტი გასკდა. ავადმყოფს პერანგი გამოუცვალეს. მთელმა ამ გაწამაწიამ უფრო საშინელი ხველება გამოიწვია.

ბავშვი ცდილობდა გაეგლიჯა პერანგის საყელო, თითქოს იმის მოშორება სურს, რაც ახრჩობსო; კედელს ფრჩხილებით ფხაჭნიდა, საწოლის ჩარდახს ებღაუჭებოდა, ხველების დროს რომ საყრდენი ეშოვნა. სახე გაულურჯდა, ცივი ოფლით დაფარული მთელი ტანი თითქოს დაუჩიავდა. აბნეული, საშინელებით აღსავსე თვალები დედას მიაშტერა, ხელები კისერზე მოჰხვია და აკანკალდა. დედა ქვითინს იკავებდა და ნაზ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა:

— ჰო, ჩემო ძვირფასო, ანგელოზო, ჩემო საუნჯევ!

ჭერმე მყუდროების წუთები დადგა.

დედამ მოიტანა სათამაშოები, პოლიშინელი, სურათები, საბანზე დაულაგა, რომ გაერთო. სიმღერაც კი სცადა.

დაიწყო ნანა, რომლითაც აძინებდა ხოლმე ოდესღაც ამავე საკარძელზე შეხვეულს. მაგრამ უეცრად ბავშვის მთელ სხეულს ცახცახმა დაუარა, ვით ქარისაგან აყენებულმა ტალღამ. თვალები გაქმოკარკლა. დედამ იფიქრა კვდებაო და თვალი მოარიდა.

ერთი წამის შემდეგ თავს ძალა დაატანა და შეხედა. ბავშვი ცოცხალი იყო. გადიოდა დრო, მძიმე, მწუხრული, დაუსრულებელი და ყოველი წუთი დედისათვის იყო სულთმობრძაობის წუთი. ხველება, რითაც ბავშვის მკერდი ირხეოდა, მაღლა ისროდა მას, თითქოს სურს დაანარცხოს და გატეხოსო. შემდეგ რაღაც უცნაური ამოახველა დახვეული ეტრატის მაგვარი. ეს რა უნდა ყოფილიყო? დედამ იფიქრა, ნაწლავის ნაგლეჯიაო. მაგრამ ბავშვი ახლა თავისუფლად და თანაბრად სუნთქავდა. ამ მოჩვენებითმა გაუმჯობესებამ

უფრო შეაშინა, ვიდრე ყველაფერმა დანარჩენმა. დედა ხელებდაშვებული, გაქვავებული, თვალგაშტერებული იდგა. როცა ბ-ნი კოლო მოვიდა, ექიმის სიტყვით, ბავშვი გადარჩენილი იყო.

დედამ ჯერ ვერ გაიგო და ეს სიტყვები გააბეორებინა. იქნებ ეს იყო ნუგეშის ზერელე სიტყვები, ექიმებს რომ სჩვევიათ? ექიმი კი სრულიად დამშვიდებული წავიდა. მაშინ დედა ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს გაეხსნა თოკი, რომლითაც გული ჰქონდა შეკრული.

— გადარჩა?! ნუთუ შესაძლებელია!

უეცრად გაუელვა ფიქრმა ფრედერიკზე, გარკვეულმა და ულმობელმა. ეს ზეგარდმო გაფრთხილება იყო. გარნა ღმერთმა თვისი მოწყალებით არ ინება დაესაჯა იგი სამუდამოდ. მას რომ უარი არ ეთქვა ამ სიყვარულზე, რა სასჯელი მოელოდა? მის ბიჭიკოს უთუოდ შეურაცხყოფდნენ დედის საქციელის გამო, და ქ-ნმა არნუმ წარმოიდგინა იგი უკვე ჭაბუკი, ორთა ბრძოლაში დაჭრილი, საკაცეზე მწოლიარე, მომაკვდავი. დაბალი სავარძლისაკენ გაექანა, დაიჩოქა, ლოცვაში ჩააქსოვა მთელი ძალა, სულით ზეცას მიელტვო და ღმერთს მსხვერპლად შესწირა თავისი ვნება, თავისი ერთადერთი სისუსტე.

ფრედერიკი შინ დაბრუნდა. სავარძელში იჯდა და ძალაც კი არ შესწევდა დაეწყევლა იგი. რაღაც თვლემისებური რამ დაეუფლა; კოშმარში ესმოდა წვიმის ხმაური და ეგონა, კვლავ იქ, ტროტუარზე ვდგავარო.

მეორე დილას უკანასკნელად დაემორჩილა სულმოკლეობას და ქ-ნ არნუს შიკრიკი გაუგზავნა.

შიკრიკმა ან კარგად ვერ შეასრულა ფრედერიკის დავალება, ან იქნებ იმდენი რამ უნდა ეთქვა ქ-ნ არნუსათვის, რომ სიტყვები არ ეყოფოდა, მაგრამ ფერედერიკმა იგივე პასუხი მიიღო. გამოწვევა მეტად თავხედური იყო. მრისხანე სიამაყემ შეიპყრო იგი. დაიფიცა, ყოველგვარ ნდობას ჩავიხშობო, და გაქრა მისი სიყვარული, ვით ქარისაგან ატაცებული ფოთოლი. იგრძნო შვება, სტოიკური სიხარული, შემდეგ მხურვალე, მჩქეფარე საქმიანობის წყურვილი და ჭუჭაში გავიდა უმიზნო სახეტიალოდ.

მოდიოდნენ გარეუბნის მცხოვრებნი, თოფებით და ძველი ხმლებით შეიარაღებულნი, ზოგს წითელი ჩაჩი ეხურა, ყველანი კი „მარსელიეზას“ ან „ჟირონდისტებს“ მღეროდნენ. ყოველ ნაბიჯზე

შეხვდებოდი ეროვნულ გვარდიელს თავისი მერიისაკენ რომ მიიჩქაროდა. საღამოს შორს დოლს უბრახუნებდნენ. სენ-მარტენის კართან ბრძოლა იყო. ჰაერში რაღაც სიმხნევე და მეომრული განწყობილება იგრძნობოდა. ფრედერიკი წინ მიიწევდა. დიდი ქალაქის მღელვარება სიხარულს ჰგვრიდა.

ფრასკატის ახლოს რომ გაიარა როზანეტის ფანჯრები დაინახა. გიჟურმა აზრმა გაუელვა, ახალგაზრდობა გაეღვიძა. ბულვარი გადაიარა.

ჰიშკარს ხურავდნენ, დელფინე კი, დამლაგებელი ქალი, ზედ ნახშირით აწერდა: „იარაღი ჩაბარებულია“.

— აჰ, რომ იცოდეთ, ქალბატონს რა მოსდის! დღეს დილით კაბნიერების გამო გრუში გააგდო. ასე ჰგონია, ყველას გაძარცვავენო! შიშით კვდება! და ბატონიც ხომ წავიდა!

— ვინ ბატონი?

— თავადი!

ფრედერიკი ბუდუარში შევიდა. როზანეტი ქვედა კაბის ამარა, თმაგაშლილი და გაბრაზებული გამოვიდა.

— ოჰ, გმადლობ! შენ მიხსენი! ეს უკვე მეორედ! და არასოდეს ჯილდოს არ მოითხოვ!

— გთხოვ, მაპატიო! — უთხრა ფრედერიკმა და წელზე ორივე ხელი მოჰხვია.

— რა ამბავია? რას შვრები? — წაიბუტბუტა ასეთი მოქცევით გაკვირვებულმა და თანაც გახარებულმა ქალმა.

მან უპასუხა:

— მოდას მივდევ და რეფორმა შემომაქვს.

ქალი არ გასძალიანებია და დივანზე დაეცა; მან კოცნა დააყარა, როზანეტი კი სულ იცინოდა...

დანარჩენი დღე ფანჯარასთან გაატარეს, ქუჩას გასცქეროდნენ, ხალხით რომ იყო სავსე. ვერმე სადილად „სამი პროვანსელი ძმის“ რესტორანში წაიყვანა. სასმელ-საჭმელი ფაქიზად იყო შერჩეული. გუნებიერად ისადილეს. შინ ფეხით დაბრუნდნენ, რადგან ეკიპაჟი არ იშოვნებოდა.

სამინისტროს გადადგომის ამბავმა პარიზს სახე შეუცვალა. ყველას უხაროდა; გამოჩნდნენ მოსეირეები, ხოლო ყოველ სართულზე ანთებულმა პატარა ფარნებმა ქუჩები დღესავით გაანათეს. გაწამებული, ნაღვლიანი ჯარისკაცები ყაზარმებში ბრუნდებოდნენ,

მათ ეაალმებოდნენ შეძახებით: „გაუმარჯოს არმიას!“ ისინი არ უპასუხებდნენ და გზას განაგრძობდნენ. პირიქით, აღტაცებით გაღაღაჟებული ეროვნული გვარდიის ოფიცრები ხმლებს იქნევდნენ და ღრიალებდნენ: „გაუმარჯოს რეფორმას!“ და ეს სიტყვები ჩვენი შეყვარებულების სიცილს იწვევდა.

ბულვარში ისინი დიუფოს ქუჩით გავიდნენ. ვენეციური ფარნები ფასადებზე ცეცხლის გირლანდებივით ეკიდა. ქვემოთ ბრბო ბუნდოვნად ირეოდა; ალაგ-ალაგ ხიშტები ბინდში თეთრად ელავდნენ. ისმოდა გუგუნი. ბრბო ისე სქელი იყო, რომ პირდაპირი გზით შინ დაბრუნება შეუძლებელი იყო და მათ უკვე გაუხვიეს კომარტენის ქუჩისაკენ, რომ უეცრად მათ ზურგს უკან გაისმა ტაცანი, თითქოს აბრეშუმის დიდი ნაჭერი გახიეს. კაპუცინების ბულვარში სროლა იყო.

— აჰ, ალბათ, ვიღაც ბურჟუა სიცოცხლეს გამოასალმეს, — თქვა ფრედერიკმა სრულიად მშვიდად, რადგან ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა, რომ ყველაზე ნაკლებ სასტიკი არსება იმდენად მოწყვეტილია დანარჩენ ადამიანებს, რომ მთელი კაცობრიობის დაღუპვაც კი ვერ ააღელვებს.

როზანეტს, ფრედერიკის ხელს რომ მაგრად ჩასჭიდებოდა, კბილები უკაწკაწებდა. მან განაცხადა, ოციოდე ნაბიჯის გადადგმაც კი აღარ შემძლიაო. მაშინ, ნატიფი სიძულვილის გრძნობით გამსჭვალულმა ფრედერიკმა, რათა გულში რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფა მიეყენებინა ქ-ნ არნუსათვის, იგი ნაქირავებ ბინაში მიიყვანა ტრონშეს ქუჩაზე, საწოლ ოთახში, სხვისთვის რომ იყო მომზადებული.

ყვავილები ჯერ კიდევ არ დამჭკნარიყო.

გიპიურის მოსასხამი ლოგინზე ეგდო. კარადიდან ტუფლები გამოიღო. როზანეტი ასეთი ნაზი მზრუნველობით კმაყოფილი დარჩა.

დაახლოებით ნაშუაღამევის პირველ საათზე იგი შორეული დოლის ხმამ გააღვიძა, და დაინახა, რომ ფრედერიკს თავი ბალიშში ჩაურგავს და ქვითინებს.

— საყვარელო, რა მოგივიდა?

— ეს გრძნობის სიჭარბის გამოა, — უთხრა ფრედერიკმა. — მეტად დიდი ხანია მინდოდი.

ნაწილი მესამე

I

ფრედერიკი უეცრად გააღვიძა თოფის სროლამ და, მიუხედავად როზანეტის ხვეწნისა, უსათუოდ სურდა გაეგო იქ რა ხდებოდა. ელისეს მინდვრებში მიდიოდა, იმ მიმართულებით, საიდანაც სროლის ხმა ისმოდა. სენტ-ონორეს ქუჩის კუთხეში გადაეყარა ბლუზიანებს, რომლებიც გაიძახოდნენ:

— არა, აქეთ არა! პალე-როიალში!

ფრედერიკი მათ აედევნა. ამაღლების ეკლესიის გალავანი შენგრეული იყო. შემდეგ შუაგულ ქუჩაში დაინახა სამი რიყის ქვა, ალბათ, ბარიკადის დასაწყისი, მერმე ბოთლის ნამსხვრევები და დახვეული მავთული, რასაც ხელი უნდა შეეშალა ცხენოსანი ჯარის მოძრაობისათვის. უეცრად ჩიხიდან გამოხტა ფერმკრთალი მაღალი ჰაბუკი, შავი თმა რომ მხრებზე ეფინა და ფერადწინწკლებიანი სათბუნებელი ეცვა. ხელში ეჭირა ჯარისკაცის გრძელი თოფი და ფეხის წვერებზე მორბოდა, მთვარეულს ჰგავდა, მოქნილი, ვით ვეფხვი. დროდადრო აფეთქების ხმა ისმოდა.

წინა საღამოს, როცა დაინახეს ფურგონი, რომელშიც კაპუცინე-

ბის ბულვარიდან აკრეფილი ხუთი ჭკვდარი ეწყო, ხალხის განწყობილება შეიცვალა და სანამ ტიუილრიში ადიუტანტები იცვლებოდნენ, ბ-ნი მოლე, ახალი კაბინეტი რომ უნდა შეედგინა, ჯერ არსად ჩანდა, ბ-ნი ტიერი სხვა კაბინეტის შედგენას ცდილობდა, მეფე კი ხრიკებს ამზადებდა, ყოყმანობდა და მთავარსარდლად ბიუქო დანიშნა, რათა მაშინვე ხელი შეეშალა საქმეში. აჯანყება, თითქოს ვისიმე ერთი ხელი წარმართავსო, მრისხანედ ახლოვდებოდა. ქუჩაბანდებში ვიღაცები გააფთრებული მჭევრმეტყველებით მოუწოდებდნენ ხალხს ბარიკადებისაკენ, სხვები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, განგაშს ტეხდნენ, ტყვიას ადნობდნენ, ვაზნებს აკეთებდნენ; ხეები ბულვარებში, საზოგადოებრივი საპირფარეშოები, რიკულები, ფარნები, ყველაფერი დამტვრეულ-დანგრეული იყო. დილით პარიზი ბარიკადებით დაიფარა. ჯარის წინააღმდეგობა მალე გატყდა; ყველაფერში ერეოდა ეროვნული გვარდია; რვა საათზე ხალხმა, ზოგან წინააღმდეგობის გაუწევლადაც კი, ხუთი ყაზარმა დაიკავა, თითქმის ყველა მერია, ყველაზე საიმედო სტრატეგიული პუნქტები. მონარქია თავის თავად ირღვეოდა და ხალხი ახლა შატო დ'ოს უბნის გარემოცვას აწყობდა, რათა გაენთავისუფლებინა ორმოცდაათი პატიმარი, რომლებიც იქ არ იყვნენ.

მოედანთან რომ მივიდა, ფრედერიკი ძალაუნებურად უნდა შეჩერებულიყო. მოედანი გაჭედილი იყო შეიარაღებული ხალხით. ქვეითი ჯარის ნაწილებს ეკავათ წმ. თომას და ფორმანტოს ქუჩები. უზარმაზარი ბარიკადი ღობავდა ვალუას ქუჩის შესასვლელს. კავალი, მის ქეჩოზე რომ ირხეოდა, გაიფანტა; ჩანდა, როგორ გარბოდნენ იქ ხელების ქნევით ადამიანები; შემდეგ სროლა განახლდა. ისროდნენ საპოლიციო უბნიდან, მაგრამ შიგ არავინ ჩანდა; მუხის დარაბებში, ფანჯრებს რომ ეფარა, სათოფურები იყო გამოჭრილი; მთელი ორსართულიანი შენობა, ორი ფლიგელი, შადრევანი პირველ სართულზე და შუაში კარი იფარებოდა თეთრი წერტილებით, ტყვიებისგან რომ აჩნდებოდა. წინკარის საფეხურებზე არავინ ჩანდა.

ფრედერიკის გვერდით ვილაც კაცი, რომელსაც ფრიგიული ჩაჩი ეხურა და სათბუნებლის ზემოდან პატრონტაში ერტყა, ეჩხუბებოდა ქალს, ვისაც თავზე აბრეშუმნარევი თავსაფარი ეხურა:

— დაბრუნდი! დაბრუნდი-მეთქი!

— ნუ ჩამომეკიდე! — უპასუხებდა ქმარი. — მეკარის ჯიხურში

მარტოსაც არა გიშავს რა. მოქალაქეე, გეკითხებით, სწორად ვიქ-ცევი თუ არა? მუდამ წესიერად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას: ათას რვაას ოცდაათშიც, ოცდათორმეტშიც, ოცდათოთხმეტშიც და ოცდაცხრამეტშიც! დღეს იბრძვიან! და მეც უნდა ვიბრძოლო! მომ-შორდი!

ბოლოს, მეკარის ცოლმა დაუთმო ქმრის ხვეწნას, თანაც ეროვ-ნულმა გვარიდელმა მხარი დაუჭირა მებრძოლს, მათ ახლოს რომ იდგა. ეს იყო ასე ორმოცი წლის, ქერა წვერით შებორბლილი, თვი-ნიერსახიანი მამაკაცი. იგი თოფს ისროდა, თანაც ფრედერიკს ეწყაუბრებოდა, სრულიად დაშშვიდებული ამ ორომტრიალში, ვით მებაღე თავის ნარგავთა შორის. წინსაფრიანი პაპუკი მის ახლოს ტრიალებდა, რათა ვაზნები გამოეთხოვა და აემუშავებინა თავისი თოფი, მშვენიერი სანადირო კარაბინი „ერთმა ბატონმა რომ აჩუქა".

— წაიღე, აი იქა მაქვს, ზურგზე, — უთხრა წვერიანმა, — და დაიმალე, თორემ მოგკლავენ!

დოლები საიერიშოს უკრავდნენ. ისმოდა ყურისწამღები შეძა-ხილები და გამარჯვებულთა „ვაშა". ბრბო ირხეოდა ვით წყალწა-ღებული. შიგ შუაგულში ჩავარდნილი ფრედერიკი ვეღარ იძვრო-და, უცქეროდა და მეტად კმაყოფილი იყო. დაჭრილები, რომლებიც ეცემოდნენ, მკვდრები ვიწაზე რომ ეყარნენ, არ ჰგვანდნენ ნამდ-ვილ დაჭრილებსა და ნამდვილ დახოცილებს, ფრედერიკს ეგონა სპექტაკლს ვუცქერიო.

ბრბოს ტალღებში გამოჩნდა ხავერდის უნაგირით შეკაზმულ თეთრ ცხენზე მჯდომი, შავ ფრაკში გამოწყობილი მოხუცი. ცალ-ხელში მწვანე შტო ეჭირა, მეორეში — რაღაც ქაღალდი და ორივეს დაუცხრომლად აქნევდა. ბოლოს, მოსმენის იმედი რომ დაკარგა, წავიდა.

ქვეითი ჯარის რაზმი გაიფანტა და ახლა მარტო მუნიციპალური გვარდია იცავდა უბანს. გაბედულნი ერთბაშად მიესივნენ წინკარს; ყველანი დახოცეს, სხვები მიეშველნენ, გუგუნებდა კარი, რომელ-საც რკინის ურდულებს ურტყამდნენ; მუნიციპალური გვარდია არ ნებდებოდა. მაშინ კედელთან მიაგორეს თივით სავსე საზიდარი, იგი გიგანტური ჩირაღდანივით აენთო. ზედ მიაყარეს ფიჩხი, ჩალა, სპირტიანი კასრი. ცეცხლი აპყვა ზემოთ ქვიტკირის კედლებს, მთე-ლი სახლი კვამლში გაეხვია და ალის ფართო ენები ალიცლიცდნენ სახურავზე, ტერასების რიკულზე. პალე-როიალის პირველი სართუ-

ლი გაჭედილი იყო ეროვნული გვარდიელებით. ისროდნენ ყველა ფანჯრიდან, მოედანზე რომ გამოდიოდა, ტყვიები ზუზუნებდნენ, წყალი, გატეხილი აუზიდან რომ იღვრებოდა, სისხლს ერთოდა და გუბეებს აყენებდა; ტალახში ასხლეტილი ფეხი ედებოდა ტანსაცმელს, ზუჩებს, იარაღს; ფრედერიკმა ფეხი დაადგა რაღაც რბილს; ეს იყო ხელი სერჟანტისა, რუხი ფარაჯა რომ ეცვა და გულდაღმა ეგდო თხრილში. მოდიოდნენ სულ ახალ-ახალი ბრბოები და წინ ერეკებოდნენ მებრძოლთ. სროლა გახშირდა. ღვინის დუქნები ღია იყო, დროდადრო შედიოდნენ იქ, ჭიქა ლუდს დალევდნენ, ჩიბუხს მოსწევდნენ და კვლავ საბრძოლველად წავიდოდნენ. აყმუვლდა ძაღლი, პატრონს რომ ჩამორჩენოდა. ყველას ხარხარი აუტყდა.

ფრედერიკმა წაიბორძიკა: გვერდში ტყვიით დაჭრილი კაცი მხარზე დააწვა. ტყვიამ, რომელიც, ალბათ, მისთვის იყო დამიზნებული, ფრედერიკი გააბრაზა და უკვე წინ გაიჭრა, მაგრამ ეროვნულმა გვარდიელმა შეაჩერა:

— რა საჭიროა! მეფე გაიქცა. ჰო, თუ არ გჯერა, წადი და ნახე!

ამან ფრედერიკი დაამშვიდა. კარუსელის მოედანი შესახედავად წყნარი იყო. ნანტის ოტელი კვლავინდებურად განკერძოებით იდგა, ხოლო სახლები მის უკან, ლუვრის გუმბათი, პირდაპირ რომ მოჩანდა, გრძელი ხის გალერეა, მარჯვნივ რომ იყო გაჭიმული, უშენი ადგილი, ქუჩის ვაჭართა ფარდულებამდე რომ გრძელდებოდა, თითქოს რუხ ბოლში ჩაძირულიყო. მოედნის მეორე ბოლოში კი მოჩანდა ტიუილრის ფასადი, ღრუბლებში მოჭიატე მზის მკვეთრი სხივით გაშუქებული; მისი ფანჯრები თეთრი ლაქებივით კიაფობდა. ტრიუმფის ალაყაფთან ცხენის ლეში ეგდო. რიკულის გადაღმა ხალხი ჯგუფებად იდგა და ლაპარაკობდა. სასახლის კარი ღია იყო; ზღურბლზე მდგომი მსახურნი ყველას უშვებდნენ.

ქვემო სართულში, პატარა დარბაზში, მზად იყო რძიანი ყავა. ზოგი უქნარა უკვე მისჯდომოდა სუფრას, სვამდა და ხუჭრობდა; სხვები ზეზე იყვნენ, მათ შორის ვიღაც მეეტლე. მან ორივე ხელი სტაცა შაქრიან ვაზას, შიშით მიიხედ-მოიხედა, ხარბად დაუწყო ჭამა შაქარს და სულ უფრო ღრმად ჩრიდა შიგ ცხვირს. ქვემოთ, მთავარ კიბესთან, ვიღაც კაცი ხელს აწერდა წიგნში. ფრედერიკმა ზურგით იცნო იგი.

— ა! ჰიუსონე!

— დიახ, მე გახლავარ, — უპასუხა მან. — სასახლეში უნდა წარ-ვდგე. როგორია! ა?

— ზევით არ ავიდეთ?

ისინი მარშალთა დარბაზში შევიდნენ. სახელოვან ვაჟკაცთა პორტრეტები ხელუხლებელი იყო, გარდა ბიუჟესი, რომლისთვისაც მუცელი გაეხვრიტათ. ყველანი ხმლებსდაყრდნობილნი იდგნენ ქვემეხთა ფონზე, მათი სახეები ჭუქარას გამოხატავდნენ, რაც მომენტს არ შეეფერებოდა. დიდმა კედლის საათმა დარეკა.

უეცრად გაისმა „მარსელიეზა“. ჰიუსონე და ფრედერიკი მოაჯირზე გადაეყუდნენ. ეს ბრბო იყო. იგი ზემოთ გამოექანა. თავ-ბრუდამხვევ ნაკადში აირია შიშველი თავები, ჩაჩქნები, წითელი ჩაჩები, ხიშტები; ისე გამოექანა, რომ ადამიანები გაქრნენ ამ მჭუ-ხარე ტალღებში, განუწყვეტელი ღრიალით რომ მოილტვოდნენ, თითქოს ზღვის წყალია, ბუნიობისას რომ მძლავრი მომბრუნავი ჰა-ერეკებაო. ზევით ბრბო გაიფანტა და სიმღერა შეწყდა.

ახლა ისმოდა მხოლოდ ფეხსაცმლის ტყაპუნი, ხალხის გუგუნს რომ უერთდებოდა. სრულიად უწყინარი ბრბო იმით კმაყოფილ-დებოდა, რომ იქაურობას ათვალიერებდა. მაგრამ დროდადრო ვი-სიმე იდაყვი, რომელსაც ადგილი არ ყოფნიდა, ფანჯრის მინას ამტვრევდა, ანდა იატაკზე დავარდებოდა ლარნაკი ან სტატუეტი. ხის პანელი ჭრაჭუნებდა. სახე ყველას წითელი ჰქონდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ჰიუსონემ შენიშნა:

— გმირებს კი არცთუ ეგრე საამო სუნი სდით!

— აჰ, თქვენ აუტანელი ხართ! — უპასუხა ფრედერიკმა.

ბრბო აწვებოდათ და ისინი აღმოჩნდნენ ოთახში, სადაც წითე-ლი ხავერდის ჩარდახი იყო. ძირს, ტახტზე იჯდა შავწვერა პროლე-ტარი, პერანგის საყელო გახსნილი, სახე კი მხიარული და სულე-ლური ჰქონდა, როგორც ჩინურ ღაღმას. ქორედზე სხვებიც ადი-ოდნენ, რათა მის ადგილზე დამჯდარიყვნენ.

— რა მითოლოგიაა! — თქვა ჰიუსონემ. — აი, ბატონო, ხალხი.

ტახტს ფეხებში ხელი მოჰკიდეს და ქანაობით წაიღეს.

— აი დასწყევლოს, როგორ ქანაობს! სახელმწიფოს ხომალდი, ზღელვარე ტალღებში ქანაობს! აი, კანკანი! ნამდვილი კანკანი!

ტახტი ფანჯარასთან მიიტანეს და სტვენით გადააგდეს.

— საბრალო მოხუცი! — თქვა ჰიუსონემ, როცა დაინახა, რომ ტახტი ბაღში დაეცა, საიდანაც მალე აიტაცეს, რათა ბასტილიაში წაეყოლოთ და იქ დაეწვათ.

ყველა მძაფრმა სიხარულმა შეიპყრო, თითქოს მოსპობილმა ტახტმა უკვე დაუთმო ადგილი მომავალ უსაზღვრო ბედნიერებას. და ხალხმა დაუწყო გლეჯა ფარდებს, ამტვრევდა, ამსხვრევდა სარკეებს, ჭაღებს, სასანთლეებს, მაგიდებს, სკამებს, ტაბურეტებს. ყოველგვარ ავეჯს, სპობდა ნახატებიან ალბომებსა და ხელსაქმის კალათებსაც კი. თუკი გაიმარჯვეს, რატომაც არ უნდა გაერთონ! ბრბო, ნიშნად დაცინვისა, მაქმანებსა და შალებში ეხვეოდა. ოქრომკედის ფოჩს ბლუზის სახელოზე იკეთებდნენ, სირაქლემას ფრთებიანი ქუდი მჭედლის თავს ამშვენებდა, საპატიო ლეგიონის ლენტებს ქამრად ირტყამდნენ როსკიპები. ყველა იკმაყოფილებდა თავის ჭირვეულობას; ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა. დედოფლის ოთახში ვილაც ქალი თმას იპოხავდა. შირმის უკან ორი კაცი ბანქოს თამაშობდა. ჰიუსონემ ფრედერიკს უჩვენა ვილაც, აივნის რიკულს რომ დაყრდნობოდა და ჩიბუხს არხეინად ეწეოდა. თავაწყვეტილობა კი ძლიერდებოდა, განუწყვეტლივ გაისმოდა ფაიფურისა და ბროლის ნამსხვრევთა წკრიალი.

მემდეგ ონავრობამ უფრო შავბნელი ხასიათი მიიღო. უსირცხვილო ცნობისმოყვარეობა აიძულებდათ შეეხედათ ყოველ კუთხეში, ჩაეხედათ ყველა ყუთში. კატორღელები ხელებს ურევდნენ პრინცესების საწოლში, ზედ გოგრაობდნენ და ამით ინაზღაურებდნენ იმას, რომ ვერ გააუპატიურეს მეფის ქალიშვილები. სხვები, უფრო საშინელი სახისანნი, უხმოდ დახეტიალობდნენ სასახლეში და ცდილობდნენ მოეპარათ რამე, მაგრამ მეტად ბევრი ხალხი იყო. ღია კარში, მოოქრული ნიკოების ბრჭყვიალსა და მტვრის რიალში, მოჩანდა ხალხის შავი მასა, მთელ დარბაზებს რომ ავსებდა. სუნთქვა ძნელდებოდა. სიცხე სულ უფრო გაუძლისი ხდებოდა. მეგობრებს შეეშინდათ, არ დავიხრჩოთო, და გარეთ გავიდნენ.

წინკარში ტანსაცმლის გროვაზე იდგა მეძავი ქალიშვილი, თავისუფლების ქანდაკებას რომ გამოხატავდა, უძრავი, საშინელი, თვალებგადმოკარკლული.

გავიდნენ თუ არა ეუჩაში, დაინახეს მუნიციპალური გვარდიის ფარაჯებით გამოწყობილი ოცეული, რომელმაც ფორმის ქუდი ეოიხადა, ოდნავშემელოტებული თავი გამოაჩინა და დაბალი სალამი მისცა ხალხს. ჩამოგლეჯილმა გამარჯვებულებმა ეს რომ დაინახეს, გაიბღინძნენ. ჰიუსონესა და ფრედერიკს ამან ერთგვარი სიამოვნება აგრძნობინა.

მათ აღფრთოვანება დაეუფლა. პალე-როიალში დაბრუნდნენ. ფრომანტოს ქუჩის პირდაპირ ჩალაზე ეყარა დახოცილ ჯარისკაცთა გვამები. მეგობრებმა გულგრილად ჩაუარეს გვერდი და საამაყოდაც კი მიიჩნიეს ასეთი თავშეკავება.

სასახლე ხალხით იყო გაჭედილი. შიდა ეზოში შვიდგან კოცონი გიზგიზებდა. ფანჯრებიდან ყრიდნენ როიალებს, კომოდებსა და კედლის საათებს. მეხანძრეთა შლანგები წყალს ასხამდნენ სახურავამდე. ანცები ცდილობდნენ ხმლით გადაეჭრათ შლანგები. ფრედერიკმა პოლიტექნიკური სკოლის ერთ სტუდენტს უთხრა, დაუშალეო. სტუდენტმა ვერ გაიგო, სრულიად ლენჩი ვინმე აღმოჩნდა. გარშემო, ორივე გალერეაში ბრბო სარდაფებს დაეუფლა და იყო ერთი ლოთობა. ღვინო წყალივით იღვრებოდა, ფეხებში ედინებოდათ. ქუჩის ბიჭები ბოთლის ნამტვრევებით სვამდნენ, ბორძიკობდნენ და ღრიალებდნენ.

— წავიდეთ აქედან, — უთხრა ჰიუსონემ, — ეს ხალხი ზიზღს მგვრის.

მთელ ორლეანის გალერეაში პირდაპირ იატაკზე დაგებულ ლეიბებზე იწვნენ დაპრილები. საბნების ნაცვლად წითელი ფარდები ეხურათ, ხოლო მეზობელი უბნის მოკრძალებულ მანდილოსნებს წვენი და თეთრეული მოჰქონდათ.

— რაც უნდა იყოს, — თქვა ფრედერიკმა, — ჩემი აზრით, ხალხი მშვენიერია!

დიდ ვესტიბიულში ბრბო მძვინვარებდა და ცდილობდა ასულიყო ზემო სართულებში, რათა ნგრევა დაემთავრებინა; საფეხურებზე მდგომი ეროვნული გვარდიელები არ უშვებდნენ. ყველაზე გულადი ჩანდა უქუდო, თმაგაბურძგნული მსროლელი, დაფლეთილი ტყავის ამუნიცია რომ ჰქონდა; ქამრიდან ამოვარდნილი პერანგი დაგრეხოდა და ღელეჭივით ეკიდა. სხვებთან ერთად გააფთრებული ეძალებოდა. ჰიუსონემ, ვისაც გამჭრიახი თვალი ჰქონდა, შორიდან იცნო არნუ.

ბოლოს მათ მიაღწიეს ტიუილრის ბაღამდე, რათა თავისუფლად ამოესუნთქათ. სკამლოგინზე ჩამოსხდნენ და რამდენიმე წუთს თვალდახუჭულნი იყვნენ; ისე გაოგნებულიყვნენ, რომ ერთი სიტყვის თქმაც არ შეეძლოთ. გამვლელნი ლაპარაკობდნენ, ორლეანის ჰერცოგი ქალი რეგენტად დანიშნესო. ყველაფერი გათავდა და იგრძნობოდა ის განსაკუთრებული დამშვიდება, რაც საქმეთა

სწრაფ გადაკრას ვოჰყვება ხოლმე, რომ სასახლის სხვენის ყველა ფანჯარაში გამოჩნდნენ მსახურნი, რომელნიც ლივრეებს იგლეჯდნენ და ბაღში ყრიდნენ უარის ნიშნად. ხალხმა მათ უსტვინა. ისინი მიიმალნენ.

ჰიუსონესა და ფრედერიკის ყურადღება მიიპყრო ერთმა ზორბა ბიჭმა, რომელსაც თოფი მხარზე გაედო და ხეივანში მიიჩქაროდა. წითელ ბლუზაზე პატრონტაში ერტყა. შუბლი ქუდქვეშ ცხვირსახოცით ჰქონდა შეხვეული. იგი მობრუნდა. ეს იყო დიუსარდიე. მეგობრებს გადაეხვია.

— ო, რა ბედნიერებაა, ჩემო ძვირფასებო! — წამოიძახა და სიხარულითა და დაღლილობით სული ისე ეხუთებოდა, რომ მეტი ვერაფერი თქვა.

ორ დღე-ღამეს ფეხზე იდგა. ლათინთა უბანში ბარიკადებს აშენებდა, რამბიუტოს ქუჩაზე იბრძოდა, სამი დრაგონი გადაარჩინა, დიუნუაიეს რაზმთან ერთად ტიუილრიში შევიდა, შემდეგ პალატაში წავიდა, იქიდან კი რატუშაში.

— ახლა იქიდან მოვდივარ. ყველაფერი რიგზეა! ხალხი ზეიმობს! მუშები ბურჟუებს ეხვევიან! აჰ, რომ იცოდეთ, რა ვნახე! რა მშვენიერი ხალხია! რა მშვენიერებაა!

და, თუმცა ვერ შენიშნა, რომ მათ იარაღი არ ჰქონდათ, დაამატა:

— მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ შეგხვდებოდით! ძნელი წუთები იყო, მაგრამ ეს რაა!

ლოყაზე სისხლის წვეთი გამოუვიდა, მაგრამ მეგობრების კითხვაზე უპასუხა:

— ო, არაფერია, ალბათ, ხიშტმა გამკაწრა!

— კი, მაგრამ აგრე დატოვება არ შეიძლება.

— ეჰ, მე კარგად ვარ! ეს რას მიზამს? რესპუბლიკა გამოცხადდა! ახლა უკვე ბედნიერი ვიქნებით! ჟურნალისტები ამბობდნენ, ახლა იტალიასა და პოლონეთს გაანთავისუფლებენო. მეფეები აღარ იქნებიან! გესმით? თავისუფლება მთელ დედამიწას! თავისუფლება მთელ დედამიწას!

ჰორიზონტს თვალი მოავლო და გამარჯვებულივით ხელები აღაპყრო. მაგრამ ტერასზე, წყლის გაყოლებით, გაბმით გარბოდა ხალხი.

— აი, დალახვროს ეშმაკმა! აკი დამავიწყდა! ფორტები ხომ აუღებელია! იქ უნდა წავიდე. მშვიდობით!

მობრუნდა, თოფი დაიქნია და მათ მიაძახა:

— გაუმარჯოს რესპუბლიკას!

მარჯვნივ და მარცხნივ გამარჯვებულნი ყველგან თოფებს ცლიდნენ. თუმცა ფრედერიკი მეომრული აღტყინებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ გალური სისხლი მაინც აუჩქეფდა. სიამოვნებით ისუნთქავდა დენთით გაჟღენთილ ჰაერს და თრთოდა უსაზღვრო სიყვარულის, დიდი ღა ყოვლისმომცველი სინაზის მოზღვავებით, თითქოს მთელი კაცობრიობის გული მის მკერდში აძგერდაო.

ჰიუსონემ მთქნარებით უთხრა:

— ურიგო არ იქნება, წავიდე და მოსახლეობას ვამცნო!

ფრედერიკი წაჰყვა მისი გაზეთის კონტორაში ბირჟის მოედანზე და ტრუას გაზეთისათვის თვითონ დაიწყო ანგარიშის წერა; ეს იყო ლირიკული სტილის ნამდვილი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც თავისი გვარი მოაწერა. შემდეგ ერთად ისადილეს რესტორანში. ჰიუსონე ჩაფიქრებული იყო; რევოლუციის ექსცენტრულობა მის საკუთარ ახირებულობას აღემატებოდა.

როცა ყავის დალევის შემდეგ რატუშაში წავიდნენ ახალი ამბების შესატყობად, მისი თანდაყოლილი ანკობა საზღვარს გადავიდა. შველივით ხტოდა ბარიკადებზე და გუშაგებს პატრიოტული ხუმრობით უპასუხებდა.

ჩირაღდნების სინათლეზე მოისმინეს დროებითი მთავრობის გამოცხადება. ბოლოს, შუაღამისას დაქანცული ფრედერიკი შინ დაბრუნდა.

— როგორაა საქმე, — ჰკითხა თავის ლაქიას, ტანსაცმლის გახდაში რომ შველოდა, — კმაყოფილი ხარ?

— დიახ, ბატონო, რა თქმა უნდა! მხოლოდ აი არ მიყვარს, როცა ხალხი ასე აიშვებს თავს!

მეორე დილას რომ გაიღვიძა, ფრედერიკს დელორიე გაახსენდა და მასთან გაეშურა. ადვოკატი ის იყო წასულიყო — პროვინციაში დაენიშნათ კომისრად. წინა დღის საღამოს ლედრიუ-როლენთან შივიდა და იმდენი ილაპარაკა უმაღლესი სკოლების სახელით, რომ ადგილი მიიღო. მეკარის სიტყვით, შემდეგ კვირაში წერილი უნდა მოეწერა და მისამართი ეცნობებინა.

მაშინ ფრედერიკი როზანეტთან წავიდა. იგი ნაწყენი შეხვდა,

გუშინ მარტოდ რად მიმატოვეო. მაგრამ გულიწყრომა დაუცხრა, როცა ფრედერიკმა უთხრა, მშვიდობა აღდგენილია, ახლა ყველაფერი დაწყნარდა, საშიში არაფერიაო; ფრედერიკი ეხვეოდა და თავი რესპუბლიკის მოშხრედ გამოაცხადა, სწორედ ისე, როგორც მოიქცა პარიზის არქიეპისკოპოსი და როგორც გასაოცარი გულმოდგინებით და სიჩქარით მალე უნდა მოქცეულიყვნენ მთელი სასამართლო, სახელმწიფო საბჭო, აკადემია, საფრანგეთის მარშლები, შანგარნიე, ბ-ნი დე ფალუ, ყველა ბონაპარტისტი, ყველა ლეგიტიმისტი და ბევრი ორლეანისტი.

მონარქიის დამხობა ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ, როცა შიშის პირველმა წუთმა განვლო, ბურჟუებს თითქოს უკვირდათ, როგორ მოხდა, რომ ცოცხალი დავრჩითო? დახვრეტა, რაც გაუსამართლებლად მიუსაჯეს რამდენიმე ქურდს, სრულიად სამათლიანი ეჩვენათ. მთელ თვეს იმეორებდნენ ლამარტინის ნათქვამს წითელ დროშაზე, „რომელიც მხოლოდ ერთხელ შემოატარეს მარსის მინდორზე, მაშინ როცა სამფეროვანი დროშა“... და სხვ. და ყველამ ამ დროშას შეაფარა თავი, რადგან ყოველი პარტია მის სამ ფერთა შორის ხედავდა მხოლოდ თავის ფერს და იმედი ჰქონდა დანარჩენი ფერები მოესპო, როგორც კი გაიმარჯვებდა.

რადგან საქმეები შეჩერებული იყო, შეშფოთება და ცნობისმოყვარეობა ხალხს ქუჩაში ერეკებოდა. დაუდევრად ჩაცმა სპობდა განსხვავებას საზოგადოებრივ მდგომარეობაში, სიძულვილი იმალებოდა, იმედი პირველ ადგილს იჭერდა, ბრბო თავაზიანი იყო. ყველას სახეზე ბრწყინავდა მოპოვებული უფლების ამაყი გრძნობა. გამეფებული იყო საკარნავალო მხიარულება, ხალხი ისე ცხოვრობდა, როგორც ბანაკად. იმაზე უფრო საინტერესოს ვერაფერს წარმოიდგენდი, როგორც პარიზი პირველ დღეებში იყო.

როზანეტთან მკლავგაყრილი დადიოდა სასეირნოდ ფრედერიკი. მთელ დღეს დაეხეტებოდნენ ხოლმე ქუჩებში. ქალს ართობდა ბაბთები, ღილკილოში რომ ეკეთათ გამვლელებს, ალმები, ყოველ ფანჯარასთან რომ ეკიდა, კედლებზე გაკრული ნაირფერი აფიშები და ხურდას ჩაყრიდა ხოლმე ყულაბაში დაჭრილთა სასარგებლოდ, სკამზე რომ იდგა სადმე შუა ქუჩაში. გაჩერდებოდა ხოლმე კარიკატურების წინ, რომლებიც ლუი-ფილიპეს ხატავდნენ კონდიტრის, ჯამბაზის, ძაღლის ან წურბლის სახით. მაგრამ კოსიდიერის ბიჭები, მათი ხმლები და შარფები ქალს აშინებდნენ. ზოგჯერ დაი-

ნახავდა როგორ რგავდნენ, „თავისუფლების ხეს“. ამაში მონაწილეობას იღებდნენ ბატონი მღვდლები, ისინი თანამსახურებთან ერთად გამოდიოდნენ და ლოცავდნენ რესპუბლიკას, რაც ბრბოს აზრით ძლიერ კარგი იყო. ყველაზე ჩვეულებრივი სანახაობა იყო ყოველგვარი დეპუტაცია, რომელიც რატუშაში მიდიოდა, რათა ეთხოვა რამე, რადგან ყოველი ხელობა, ყოველი სარეწი მოელოდა, რომ მთავრობა სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს მის გაჭირვებას. თუმცა ზოგიერთი მიდიოდა მხოლოდ იმისათვის, რომ რჩევა მიეცა მმართველებისათვის, ან მიელოცა მათთვის, ანდა მისულიყო და ენახა, მანქანა როგორ მუშაობსო.

ერთხელ, ვარტის შუა რიცხვებში, როცა ფრედერიკი როზანეტის დავალებით ლათინთა უბანში მიდიოდა, არკოლის ხიდზე გავლისას გადაეყარა ვიღაც გრძელწვერიანებს, მხედრულად რომ მიაბიჯებდნენ და თავზე უცნაური ქუდები ეხურათ. რაზმს მიუძღოდა და დოლს უკრავდა ზანგი, ყოფილი მენატურე, ხოლო აფრიალებული დროშა, რომელზეც იყო წარწერა: „ფერმწერები“, მიჰქონდა პელერენს.

მან ფრედერიკს ანიშნა, მომიცადეო, ხუთიოდე წუთის შემდეგ მოვალო. დრო ჰქონდა, რადგან ამ მომენტში მთავრობა კალატოზებს იღებდა. პელერენი და მისი კოლეგები მიდიოდნენ, რათა ეთხოვათ ხელოვნების ფორუმის, თავისებური ბირჟის შექმნა, სადაც განიხილავდნენ ხელოვნების საკითხებს. როცა ყველა მშრომელი თავის ნიჭს სხვებისას შეუერთებს, შეიქმნება დიადი ნაწარმოებნი. მალე პარიზს დაამშვენებენ უდიდესი ნაგებობანი, ხოლო მათ მხატვრობით მორთავს თვით იგი, პელერენი, მან უკვე დაიწყო სურათი „რესპუბლიკა“. ამასობაში მის წასაყვანად მოვიდა ერთ-ერთი ამხანაგი, რადგან მათ მოჰყვებოდა შინაური ფრინველის ვაჭართა დეპუტაცია.

— რა სისულელეა! — წაიბუზღუნა ვიღაცამ ბრბოში. — მუდამ უაზრობაა! არავითარი გონივრული რამ!

ეს იყო რეჟემბარი. იგი ფრედერიკს არ მისალმებია. მაგრამ ისარგებლა შემთხვევით, რათა დაგროვებული ბოღმა გადმოენთხია.

მოქალაქე მთელ დღეს ქუჩებში დაეხეტებოდა, თვალებს აბრიალებდა, ისმენდა და ავრცელებდა საშინელ ამბებს და ყველაფერზე ასე ამბობდა: „ფრთხილად, ჩვენი მოსპობა სურთ!“ და „დალახვროს ღმერთმა, რესპუბლიკას მოგვტაცებენ!“ ყველაფრით უკ-

მაყოფილო იყო, კერძოდ კი იმით, რომ ჩვენი ბუნებრივი საზღვრები არ აღვადგინეთ. ლამარტინის სახელს რომ გაიგონებდა, უკვე მხრებს აიჩეჩავდა, ლედრიუ-როლენს ამოცანის შესაფერისად არ ცნობდა. დიუპონ დე ლერას „ძველ ჩვარს“ ეძახდა, ალბერს — რეგვენს,, ლუი ბლანს — უტოპისტს, ბლანკს — მეტად საშიშ კაცს, ხოლო, როცა ფრედერიკმა ჰკითხა როგორ უნდა მოვცქეულიყავითო, მაჯაში ხელი სტაცა, მტკივნეულად მოუჭირა და უთხრა:

— უნდა გადაგველახა რაინი, გეუბნებით, რაინი უნდა გადაგველახა, დასწყევლოს ღმერთმა!

შემდეგ ბრალს სდებდა რეაქციას.

რეაქციამ ნიღაბი ჩამოიხადა. ნეილისა და სიურენის ციხედარბაზების განადგურება, ხანძარი ბატილიონში, მღელვარება ლიონში, ყოველგვარი სისასტიკე, ყოველგვარი წყენინება ახლა გაზვიადების საბაბს იძლეოდა, ისე, როგორც ლედრიუ-როლენის ცირკულარი, საკრედიტო ბილეთების იძულებითი კურსი, რენტა, რომლის კურსიც სამოც ფრანკამდე დაეცა, და, ბოლოს, უდიდესი უკანონობა, უკანასკნელი უბედურება, უსაშინელესი სისაძაგლე — გადასახადი ორმოცდახუთი სანტიმის რაოდენობით. ხოლო ყველაფრის დამაგვირგვინებლად სოციალიზმი! თუმცა ეს თეორიები ისეთივე ახალი, როგორც „ბატობიას“ თამაში, ორმოცი წლის განმავლობაში საკმაოდ განიხილეს, რათა მთელი ბიბლიოთეკები აევსოთ, მცხოვრებნი მაინც შეშინდნენ, როგორც აეროლტები სეტყვით; და ხალხი აღშფოთებული იყო, რადგან გამსჭვალული იყო იმ სიძულვილით, რასაც ყოველი ახალი იდეა წარმოშობს .სწორედ იმიტომ, რომ იგი იდეაა, იმ სიძულვილით, რომელიც შემდეგ სახელს უქმნის მას და რის გამოც მისი მტრები მუდამ მასზე მდარენი არიან, რაგინდ უმნიშვნელოც იყოს იგი.

ჰოდა, საკუთრება გახდა თაყვანისცემის საგანი, თითქმის როგორც კულტი და შეერწყო ღვთის ცნებას. მის წინააღმდეგ გალაშქრება მკრეხელობად მიაჩნდათ, თითქმის კაციჭამიობადაც კი. მუხედავად ძლიერ ჰუმანური კანონმდებლობისა, როგორიც კი ოდესღა ყოფილა, კვლავ წარმოიშვა 93 წლის აჩრდილი და სიტყვა რესპუბლიკის ყოველ მარცვალში ისმოდა გილიოტინის დანის ღრჭიალი, რაც, უნდა ითქვას, ხელს არ უშლიდა იმას, რომ რესპუბლიკა სძულებოდათ მისი სისუსტის გამო, როგორც ბრმა, რომელსაც ყავარჯენი დაეკარგა, როგორც პატარა ბავშვი, ძიძას რომ დაშორდა.

მაგრამ არც ერთი ფრანგი ისე არ დამფრთხალა, როგორც დამბრეზი. ახალი წესრიგი ეშუქრებოდა მის კეთილდღეობას, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იგი მოტყუებული დარჩა. ესოდენ მშვენიერი სისტემა, ესოდენ ბრძენი მეფე! განა შესაძლებელია! დადგა ქვეყნის აღსასრული! ვეორე დღესვე დაითხოვა სამი მსახური, გაყიდა ცხენები, იყიდა რბილი ქუდი საგარეოდ, წვერის მოშვებაც კი განიზრახა, შინ ჩაიკეტა, სულით დაეცა, ნაღვლიანად კითხულობდა იმ გაზეთებს, რომლებიც ყველაზე მტრულად ეპყრობოდნენ მის შეხედულებას, ისეთმა შავბნელმა ფიქრებმა მოიცვეს, რომ ფლოკონის ჩიბუხზე ნათქვამი ხუმრობაც კი ღიმილს ვერ იწვევდა მის სახეზე.

რაკი დამხობილი მონარქიის მომხრე იყო, ეშინოდა, ხალხის შურისგება ჩემს მამულს შამპანში თავს არ დაატყდესო, რომ უეცრად შემთხვევით წაიკითხა ფრედერიკის ნალაპარაკევი და წარმოიდგინა, რომ მისი ახალგაზრდა მეგობარი ძლიერ გავლენიანი ვინმეა და თუ სარგებლობას ვერაფერს მოუტანს, დაიცავს მაინც. და აი ერთხელ დილით ბ-ნი დამბრეზი, რომელსაც თან ახლდა მარტინონი, ფრედერიკს ეწვია.

ამ წვევის ერთადერთი მიზანი, ბ-ნ დამბრეზის სიტყვით, იყო ენახა იგი და ესაუბრნა მასთან. საბოლოო ანგარიშით ეს ამბები ახარებენ და იგი მთელი სულითა და გულით იზიარებს „ჩვენს მაღალ დევიზს: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“, რადგან არსებითად მუდამ რესპუბლიკელი იყო“. თუ წინანდელი წყობილების დროს ხმას აძლევდა მთავრობას, მხოლოდ იმისათვის, რომ დაეჩქარებინა გარდუვალი დამხობა, კიდევაც გაჯავრდა, როცა ლაპარაკი შეეხო გიზოს, „ვის გამოც გვარიანად ვიწვნიეთ, ამის უარყოფა ხომ არ შეიძლება!“ სამაგიეროდ, ძლიერ აღტაცებული იყო ლამარტინით, რომელიც „პატიოსან სიტყვას გაძლევთ, დიდებული იყო, როცა წითელი დროშის გამო“...

— დიახ, ვიცი, — უთხრა ფრედერიკმა.

შემდეგ ბ-ნმა დამბრეზმა სიფპათი: განუცხადა მუშებს.

— ჩვენ ხომ, ბოლოს და ბოლოს, ცოტად თუ ბევრად მუშები ვართ! — და მისი მიუკერძებლობა იქამდე მივიდა, რომ პრუდონი, მისი აზრით, ლოგიკურად მსჯელობდა. „იგი ერთობ ლოგიკურია, დალახვროს ეშმაკმა!“ და ისეთი გულგრილობით, რაც დიდგონიერ

კაცს სჩვევია, დაიწყო ლაპარაკი გამოფენაზე, სადაც პელერენის სურათი ნახა. მისი აზრით, სურათი ორიგინალური, კარგია.

მარტინონი საუბარში შენიშვნებს ჩაურთავდა ხოლმე. მასაც მიაჩნდა, რომ „საჭიროა პატიოსნად მიემხრო რესპუბლიკას“ და ლაპარაკი დაიწყო თავის მიწათმოქმედ მამაზე; თავს იკატუნებდა, გლეხი ვარ, ტეტიაო. მალე სიტყვა ჩამოვარდა ეროვნული კრების არჩევნებზე და კანდიდატზე ფორტელის ოლქისაგან. ოლქის კანდიდატს წარმატების იმედი არ ჰქონდა.

— თქვენ მისი ადგილი უნდა დაიკავოთ! — თქვა ბ-ნმა დამბრეზმა.

ფრედერიკი უარობდა.

რატომაც არა? უკიდურეს მემარცხენეთა ხმები მისთვის უზრუნველყოფილია მისი პირადი შეხედულების მეოხებით, კონსერვატორთა ხმები კი — მისი წარმოშობის წყალობით.

— აგრეთვე ნაწილობრივ შესაძლებელია, — ღიმილით დასძინა ბ-ნმა დამბრეზმა, — ჩემი გავლენის მეოხებითაც.

ფრედერიკი გამოტყდა, არ ვიცი, როგორ შევუდგე ამ საქმესო.

— მაგაზე მარტივი არაფერია! საჭიროა მხოლოდ მიიღო დედაქალაქის ერთ-ერთი კლუბის რეკომენდაცია ობის დეპარტამენტის პატრიოტებისათვის. საჭიროა უბრალოდ კი არ გამოაცხადო შენი რწმენა, როგორც ყოველდღე სჩადიან ამას გაზეთებში, არამედ სერიოზულად ჩამოაყალიბო გარკვეული პრინციპები. ვომიტანეთ, როცა დაწეროთ, მე ვიცი, რაც საჭიროა ამ ადგილებში და ეიმეორებ, თქვენ შეგიძლიათ დიდი სამსახური გაუწიოთ ჩვენს ქვეყანას, ყველას ჩვენ, მეც კი. ასეთ დროს ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და, თუ ფრედერიკს ან მის მეგობრებს რაიმე სჭირდებათ...

— აჰ, ბატონო ჩემო! ისეთი მადლიერი ვარ თქვენი, რომ...

— სამსახური სამსახურის ნაცვლად, თქმა არ უნდა.

ეს ბანკირი უთუოდ კაი კაცია.

არ შეიძლებოდა ფრედერიკი არ დაფიქრებულიყო, თავი უბრუოდა, განცვიფრებული იყო.

თვალწინ წარმოუდგა კონვენტის დიადი სახეები. მოეჩვენა, რომ იწყებოდა ბრწყინვალე განთიადი. რომში, ვენასა და ბერლინში აჯანყება იყო, ავსტრიელები ვენეციიდან განდევნეს, მთელი ევროპა ღელავდა. დადგა მოძრაობაში მონაწილეობის ჟამი, იქნებ საჭირო იყო მისი დაჩქარება? ამასთან მას ხიბლავდა ტანისამოსი,

რომელიც, როგორც ამბობდნენ, დეპუტატებს ეცმებოდათ. იგი ხედავდა: აი უკვე აცვია საყელოგადმოფენილი ჟილეტი, ახვევია სამფეროვანი შარფი, და ეს გატაცება, ეს ჰალუცინაცია ისე ძლიერი იყო, რომ დიუსარდიეს გული გადაუშალა.

ეს პატიოსანი ბიჭი ასევე აღტაცებული იყო.

— რა თქმა უნდა! ცხადია! წამოაყენეთ თქვენი კანდიდატურა!

ფრედერიკი მაინც მოეთათბირა დელორიეს. უგუნურმა ოპოზიციამ, რასაც კომისარი პროვინციაში წააწყდა, მისი ლიბერალიზმი ვააძლიერა. მან მაშინვე უპასუხა წერილით, რომელიც აღსავსე იყო ენერგიული ხვეწნით.

მაგრამ ფრედერიკს უნდოდა მეტი ადამიანის მხარდაჭერა მოეპოვებინა და ამიტომ თავისი გეგმები გაუზიარა როზანეტს, მ-ელ ვატნაზის თანდასწრებით.

მ-ელ ვატნაზი ეკუთვნოდა იმ პარიზელ გაუთხოვარ ქალიშვილთა რიცხვს, რომელნიც ყოველ საღამოს გაკვეთილებისა და რაიმე ნახატის გაყიდვის, ან ცუდი ხელნაწერების მოთავსების ცდის შემდეგ შინ კალთებდასერილი ბრუნდებიან, თვითონ იკეთებენ სადილს და ჭამენ სრულიად მარტონი, შემდეგ ფეხებს საბუნებელზე შედგამენ და მჭრქალშუშიანი ლამპის შუქზე ოცნებობენ სიყვარულზე, ოჯახზე, კერაზე, სიმდიდრეზე, ყველაფერზე, რაც მათ არ აქვთ. ამიტომ ისიც, ისე როგორც ბევრი სხვა, მიესალმა რევოლუციას, როგორც შურისგების გზას, და სოციალიზმის თავგადაკლული მომხრე გახდა.

პროლეტარიატის განთავისუფლება, ვატნაზის ფიქრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ პირობით, თუ ქალთა ემანსიპაცია მოხდებოდა. იგი მოითხოვდა, რომ ქალს ჰქონოდა უფლება დაეკავებინა ყოველგვარი თანამდებობა, გამოეცხადებინა უკანონოდშობილი ბავშვის მამა, მოითხოვდა შეეცვალათ კანონმდებლობა, შოესპოთ, ან ყოველ შემთხვევაში, „მოეწესრიგებინათ ქორწინება უფრო გონივრულ საფუძვლებზე". მაშინ ყოველი ფრანგი ქალი ვალდებული იქნება გაჰყვეს ფრანგს ან შეივრდომოს მოხუცი. ძიძები და მეანი ქალები სახელმწიფო მოსამსახურენი უნდა გახდნენ და ხელფასს ხაზინიდან უნდა იღებდნენ. საჭიროა განსაკუთრებული ჟიური, რომელიც შეაფასებდეს ქალების ნაწარმოებთ. განსაკუთრებული გამომცემლები ქალებისათვის, ქალთა პოლიტიკური სკოლა, ქალებისაგან შემდგარი ეროვნული გვარდია, ერთი სიტყვით, ყველა-

ფერი ქალთათვის. ხოლო რაკი სახელმწიფო მათს უფლებებს არ ცნობს, ძალა ძალითვე უნდა გადალახონ. ათი ათასი რიგიანად შეიარაღებული მოქალაქე ქალი შიშის კანკალს მოჰგვრის რატუშას!

ამ თვალსაზრისით ფრედერიკის კანდიდატურა ხელსაყრელად ეჩვენა. ამხნევებდა, სახელის მოხვეჭის გზას უჩვენებდა. როზანეტს უხაროდა, რომ პალატაში თავისი კაცი ეყოლებოდა.

— ამასთანავე კაი ადგილსაც მოგცემენ.

ფრედერიკი, რომელსაც ათასგვარი სისუსტე სჭირდა, საყოველთაო სიგიჟემ შეიპყრო. სიტყვა შეთხზა და საჩვენებლად ბ-ნ დამბრეზთან წაიღო.

როცა ეზოში შევიდა და ჭიშკარი მიიხურა, ერთ-ერთ ფანჯარაში ფარდა გადაიწია და ქალი გამოჩნდა; ვერ გაარჩია, ვინ იყო. დერეფანში კი მისი ყურადღება მიიპყრო სურათმა, სკამზე რომ, ალბათ, დროებით იდგა, ეს იყო პელერენის სურათი.

იგი გამოხატავდა რესპუბლიკას, პროგრესს, ან ცივილიზაციას იესო ქრისტეს სახით, უღრან ტყეში გაქანებულ ორთქლმავალს რომ მართავდა. წუთით თვალის მოვლების შემდეგ ფრედერიკმა წამოიძახა:

— რა საძაგლობაა!

— ჭართლაც! არა? — უთხრა ბ-ნმა დამბრეზმა, რომელიც სწორედ ამ დროს გამოვიდა და ეგონა, რომ ფრედერიკის სიტყვები შეეხებოდა არა სურათს, არამედ დოქტრინას, რაც მხატვარმა ესოდენ განადიდა.

მაშინვე გამოვიდა მარტინონიც. კაბინეტში შევიდნენ და ფრედერიკმა უკვე ამოიღო ქაღალდები, რომ უეცრად შემოვიდა მ-ელ სესილი და, თითქოს აქ არაფერიაო, იკითხა:

— დეიდა აქ არის?

— ხომ იცი, რომ არა? — მიუგო ბანკირმა. — თუმცა, არაფერია! მობრძანდი!

— აბ, არა, გვადლობთ! მივდივარ.

გავიდა თუ არა, მარტინონმა, ვითომ ცხვირსახოცს ვეძებო, თქვა:

— პალტოს ჯიბეში დამრჩა. ბოდიში, უნდა მოვიტანო!

— კარგი! — უთხრა ბ-ნმა დამბრეზმა.

ცხადია, იგი ძალიან კარგად ხედავდა ამ ეშმაკობას და თითქოს ხელსაც უწყობდა მას. რატომ? მაგრამ მარტინონი მალე დაბრუნდა

და ფრედერიკმა დაიწყო თავისი სიტყვის კითხვა. უკვე მეორე ფურცლიდან, სადაც ფულის ინტერესების ბატონობა სამარცხვინოდ იყო მიჩნეული, ბანკირი იღუშებოდა. შემდეგ, როცა რეფორმებს ეხებოდა, ფრედერიკი ვაჭრობის თავისუფლებას მოითხოვდა.

— როგორ...? მაგრამ, ნება მიბოძეთ!

ფრედერიკს არ ესმოდა და განაგრძობდა. იგი მოითხოვდა რენტის გადასახადს, პროგრესულ გადასახადს, ევროპის ფედერაციას, ხალხის განათლებას, კაზმული ხელოვნების განვითარებას.

„ჩვენი ქვეყანა რომ ისეთ ადმიანებს, როგორიც დელაკრუა ან ჰიუგო არიან, სამი ათას ფრანკ რენტას მისცემდეს, განა ცუდი იქნება?“

სიტყვა თავდებოდა მაღალი კლასებისადმი მიმართვით:

„ნურაფერს დაიშურებთ, ჰოი, მდიდრებო! მიეცით! მიეცით!“

გაათავა და ფეხზე ადგა. ორივე მსმენელი ჩუმად იჯდა. მარტინონს თვალები დაეჭყიტა, ბ-ნი დამბრეზი გაფითრებული იყო. ბოლოს მღელვარება დამალა და უშნო ღიმილით უთხრა:

— თქვენი სიტყვა ჩინებულია!

და ძლიერ შეაქო მისი ფორმა, თუმცა არსებითად არაფერი უთქვამს.

უწყინარი ახალგაზრდა კაცის ეს გესლიანობა მას განსაკუთრებით აშინებდა, როგორც სიმპტომი. მარტინონი ცდილობდა დაემშვიდებინა იგი. რა თქმა უნდა, კონსერვატორთა პარტია მალე რევანშს აიღებს; ბევრი ქალაქიდან უკვე განდევნეს დროებითი მთავრობის კომისრები; არჩევნები დანიშნულია მხოლოდ 23 აპრილს, დრო კიდევ არის; ერთი სიტყვით, ბ-ნმა დმბრეზმა თვითონ უნდა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა, როგორც ობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა. და ამ დროიდან მარტინონი აღარ მოშორებია, როგორც მისი მდივანი, და შვილივით, მზრუნველობას არ აკლებდა.

ფრედერიკი როზანეტთან მეტად თვითკმაყოფილი მივიდა. იქ დელმარი დახვდა, რომელმაც აცნობა, რომ, როგორც „გადაწყდა“, იგი კანდიდატად გამოდის სენის დეპარტამენტისაგან. „ხალხისადმი“ მიმართულ განსაკუთრებულ მოწოდებაში, — ამასთან მსახიობი „შენობით“ ელაპარაკებოდა ფრედერიკს, — დელმარი თავს იქებდა, რომ „იცნობდა ხალხს“ და მისი ხსნისათვის „თავი შეწირა ხელოვნებას“ და, ამრიგად, ახლა მისი განსახიერებაა, მისი

იდეალია. და მართლაც, ფიქრობდა, რომ დიდი გავლენა ჰქონდა მასებზე და შემდეგში რომელიღაც სამინისტროს კანცელარიას წინადადებაც კი მისცა ერთპიროვნულად ჩაექრო მთელი აჯანყება და კითხვაზე, რა საშუალებას იხმართო, ასეთი პასუხი მისცა:

— ნუ გეშინიათ! მე მხოლოდ ვეჩვენები მათ!

ფრედერიკმა, იგი რომ გამოეჯავრებინა, თავისი კანდიდატობა გაუმხილა.

როცა მსახიობმა შეიტყო, ჩემი მომავალი კოლეგა პროვინციელი დეპუტატი იქნებაო, საპსახური შესთავაზა და კლუბებში შეყვანა იკისრა.

მათ მოიარეს ყველა, ან თითქმის ყველა კლუბი, წითლები და ლურჯები, გააფთრებული და მშვიდობიანი, პურიტანულად წესიერი და მოურიდებელი, მისტიკური და თავაშვებული, ისინი, სადაც მეფეებისათვის სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდათ, ისინი, სადაც ამხელდნენ ვაჭრების ხრიკებს. ყველგან მცხოვრებნი სწყევლიდნენ მეპატრონეებს, ბლუზა ილაშქრებდა ფრაკის წინააღმდეგ. მდიდრები კი შეთქმულებას აწყობდნენ ღარიბების წინააღმდეგ. ზოგი საზღაურს მოითხოვდა იმის გამო, რომ პოლიციამ აწამა, ზოგიც ფულს მოითხოვდა, რათა განეხორციელებინა რაიმე გამოგონება, ან იბადებოდა ფალანსტერების დაარსების გეგმები, საოლქო ბაზრების პროექტები, საზოგადოებრივი კეთილდღეობის სისტემები. ხან აქ, ხან იქ გამოჩნდებოდა ჭკუის ნასახი, სისულელის ამ ბურუსში რომ გაიელვებდა, შეძახილები, შეძახილები, უეცარი, ვით შხეფები, უფლება, გინებით რომ გამოიხატებოდა, მშვერმეტყველების ყვავილები, კონკიაჟღარუნას ბაგეს რომ მოსწყდებოდა, ვისაც ხმალი პირდაპირ შიშველ მხარზე ეკიდა. ზოგჯერ გამოჩნდებოდა ვინმე ბატონი, არისტოკრატი, თავი რომ მოკრძალებით ეჭირა, პლებეის ენით ლაპარაკობდა და ხელდაუბანელი იყო, რომ ისინი დაკოჟრებულს დაპსგავსებოდა. რომელიმე პატრიოტი მას შეიცნობდა, ყველაზე სათნონი თავს დაეხმოდნენ და ისიც გააფთრებული წავიდოდა. თუ გსურდა თავი ჯანსაღ მოაზროვნედ გეჩვენებინა, მუდამ უნდა გეგინებინა ადვოკატები და რაც შეიძლებოდა ხშირად გეხმარა ასეთი ფრაზები: „შენობის ასაგებად შენც მიიტანო ერთი ქვა, — სოციალური პრობლემა, — სახელოსნო“.

დელმარი შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ არ ელაპარაკა, ხო-

ლო როცა სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, ცალი ხელით დოინჯს შემოიდგამდა, მეორეს ჟილეტში ჩაიყოფდა და გვერდზე შებრუნდებოდა, თავი რომ უფრო მკაფიოდ გამოსჩენოდა. მაშინ შეიქნებოდა ტაშისცემა, მ-ელ ვატნაზი შუაგულ დარბაზიდან დაუკრავდა ხოლმე ტაშს.

მიუხედავად იმისა, რომ სხვები სუსტი ორატორები იყვნენ, ფრედერიკი გამოსვლას მაინც ვერ ბედავდა. მთელი ეს ბრბო მეტად უვიცი ან მეტად მტრულად განწყობილი ეჩვენებოდა.

მაგრამ დიუსარდიუ შეუდგა ძებნას და ერთხელ აცნობა, რომ სენ-ჟაკის ქუჩაზე არის კლუბი, რომელსაც „გონების კლუბი" ეწოდება. ასეთი სახელწოდება იმედს იძლეოდა. თანაც დიუსარდიე ჰპირდებოდა. მეგობრებს მოვიყვანო.

მოიყვანა ისინი, ვინც პუნშზე ჰყავდა დაპატიჟებული: მოანგარიშე, ღვინის ვაჭრობის საქმეთა აგენტი, არქიტექტორი; პელერენიც კი მოვიდა, შეიძლებოდა მოსულიყო აგრეთვე ჰიუსონე, ქუჩაში კი, შემოსასვლელთან იდგა რეჟისორი და ორი პიროვნება, რომელთაგან ერთი იყო მისი ერთგული კომპენი, დაბალი ტანის კაცი. ჩოფურა და თვალწითელა, მეორე კი ვიღაც ზანგის თუ მაიმუნის მსგავსი, მეტად ბანჯგვლიანი ვინმე, რომელზეც მან მხოლოდ ის იცოდა, რომ „ბარსელონელი პატრიოტი" იყო.

მათ გაიარეს დერეფანი და შევიდნენ ვრცელ ოთახში, რომელიც, უეჭველია, დურგლის სახელოსნო იყო? ახლახან შელესილ კედლებს კირის სუნი სდიოდა. კედლის ოთხი სასანთლე, ერთმანეთის პირდაპირ რომ იყო მიჭედებული, უსიამო შუქს ღვრიდა. ოთახის სილრმეში, ქორედზე, იდგა კონტორული და ზედ იდო პატარა ზარი, ძირს კი მაგიდა, ტრიბუნის მაგივრობას რომ ეწეოდა, ხოლო აქეთ-იქით ორი სხვა უფრო დაბალი მაგიდა მდივნებისათვის. საზოგადოება სკამლოგინებზე რომ იჯდა, შედგებოდა უხეირო მხატვრებისაგან, კლასის დამრიგებელთაგან, გამომცემელი ავტორებისაგან. გაზინთულსაყელოიან პალტოთა შორის მოჩანდა ქალის ჩაჩები, მუშის ბლუზები. დარბაზის ბოლოს კი მუშებს მოეყარათ თავი, რომლებიც აქ, ალბათ, უსაქმურობის გამო მოსულიყვნენ, ანდა იმ ორატორებს მოეყვანათ, ვისთვისაც ტაში უნდა დაეკრათ.

ფრედერიკმა ადგილი აირჩია დიუსარდიესა და რეჟისორს შუა, რომელიც დაჯდა, ორივე ხელი საბიჯგს ჩამოსდო, ზედ ნიკაპით და-

ეყრდნო და თვალები დახუჭა; დარბაზის მეორე ბოლოში კი ყველას თავს დასცქეროდა ფეხზე მდგომი დელმარი.

კონტორულასთან თავმჯდომარის ადგილზე სენაკლი გამოჩნდა.

ეს მოულოდნელობა, — ასე ფიქრობდა გულკეთილი ნოქარი,— ფრედერიკს ეამებოდა. პირიქით, ამან იგი გააჯავრა.

ბრბო დიდ პატივისცემას იჩენდა თავისი თავმჯდომარისადმი. ის იყო იმათ შორის, ვინც 25 თებერვალს შრომის დაუყოვნებლივ ორგანიზაციას მოითხოვდა; მეორე დღეს პრადოში მოუწოდებდა, რათა თავს დასხმოდნენ რატუშას; ხოლო რადგან აქ ყველა გარკვეულ ნიმუშს ჰბაძავდა, ამასთან ერთი მისდევდა სენ-ჟუსტის, მეორე — დანტონის, მესამე — მარატის მაგალითს, ამიტომ იგი ცდილობდა მიებაძა ბლანკისათვის, რომელიც, თავის მხრივ, რობესპიერს ჰბაძავდა. შავი ხელთათმანები და აჯაგრული თმა მკაცრ შესახედაობას ანიჭებდა მას, რაც განსაკუთრებით შეეფერებოდა შემთხვევას.

კრება გახსნა და წაიკითხა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, რაც ჩვეულებად იქცა. შემდეგ ვიღაცამ ომახანი ხმით დაიწყო ბერანჟეს „ხალხის ხსოვნა“.

გაისმა ხმები.

— არა! არა! ეგ არა!

— „კასკეტი!“ — დაიყვირეს შუაგულ დარბაზიდან პატრიოტებმა.

და ერთად დაიწყეს სადღეისო ჭირ-ვარამის ლექსის მღერა:

ქუდი ძირს კასკეტის წინაშე,
მუხლი მოიდრიკე მუშის წინაშე.

აუდიტორია დაემორჩილა თავმჯდომარის სიტყვას და გაჩუმდა. ერთ-ერთი მდივანი წერილების კითხვას შეუდგა:

„ახალგაზრდები იტყობინებიან, რომ ყოველ საღამოს ისინი პანთეონის წინ წვავენ „ეროვნული კრების“ ნომერს და ყველა პატრიოტს მოუწოდებენ, ჩვენს მაგალითს მიბაძეთო“.

— ვაშა! მიღებულია! — შეუგო ბრბომ.

„მოქალაქე ჟან-ჟაკ ლანგრენეს, მესტამბეს, დოფინის ქუჩაზე რომ ცხოვრობს, სურს თერმიდორის მსხვერპლთ ძეგლი აუგონ“.

„მიშელ-ევარისტ-ნეპომიუსენ ვენსანი, ყოფილი მასწავლებელი სურვილს გამოთქვამს, რომ ევროპის დემოკრატიამ დააწესოს ერ-

თიანი ენა. შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ერთ-ერთი მკვდარი ენა, მაგალითად ლათინური და გაგვეუმჯობესებინა იგი".

— არა! ლათინური არა! — წამოიძახა არქიტექტორმა.

— რატომ? — იკითხა ვიღაც კლასის დამრიგებელმა.

და ამ ორმა დაიწყო კამათი, რომელშიც სხვებიც ჩაერევნენ, ამასთან ყველას უნდოდა თავი გამოეჩინა და ეს ისე მოსაწყენი გახდა, რომ ბევრმა კრება დატოვა.

მაგრამ, აი ერთმა პატარა ტანის მოხუცმა, რომელსაც მწვანე სათვალე ეკეთა და საოცრად დიდი შუბლი ჰქონდა, სიტყვა ითხოვა, რათა საგულისხმო ცნობა გამოექვეყნებინა.

ეს იყო მოხსენება გადასახადების განაწილებაზე. ციფრი ციფრს მოსდევდა და ბოლო არ უჩანდა. მოუთმენლობა ჯერ ბუზღუნით, ლაპარაკით გამოიხატა; მოხუცი ვერაფერმა შეაშფოთა, მერმე დაიწყეს სტვენა, იძახოდნენ „აზორ"; სენეკალმა საზოგადოება გაიცინა. მოხუცი ლაპარაკს განაგრძობდა, როგორც ამუშავებული მანქანა. მკლავში ხელი სტაცეს, რომ შეეჩერებინათ. მაშინ, თითქოს გაიღვიძაო, სათვალე მშვიდად აიწია და თქვა:

— ბოდიში, მოქალაქენო! ბოდიში! მივდივარ! მაპატიეთ!

ამ გამოსვლის მარცხმა ფრედერიკი შეაცბუნა. დაწერილი სიტყვა ჯიბეში ედო, მაგრამ ზეპირად ნათქვამს მეტი წარმატება ექნებოდა.

ბოლოს თავმჯდომარემ განაცხადა, დროა, მთავარ საკითხზე, არჩევნების საკითხზე გადავიდეთო. რესპუბლიკელთა გრძელი სიების განხილვა საჭირო არ იყო. განა „გონების კლუბს", ისე, როგორც ყოველ სხვას, არ შეეძლო თავისი სია შეედგინა? „ნუმც განრისხებულან რატუშის ბატონი ფაშები", და მოქალაქეებს, რომელთაც სურდათ ხალხის ნდობა მოეპოვებინათ, შეეძლოთ განეცხადებინათ თავიანთი სახელი და წოდება.

— აბა, დაიწყეთ! — თქვა დიუსარდიემ.

უკვე ასწია ხელი კაცმა, რომელსაც სუტანა ეცვა, ხუპუპა თმა და გაბედული კაცის გამომეტყველება ჰქონდა, რაღაცნაირად წაიბუტბუტა, დიუკრეტო მქვია, მღვდელი და აგრონომი ვარ და მაქვსო ნაშრომი „სასუქები". ურჩიეს, მებაღეთა კლუბს მიმართეო.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა ბლუზიანი პატრიოტი. ეს იყო მხარბეჭიანი პლებეი, ვისაც გრძელი შავი თმა და სავსე, მეტად თვინიერი სახე ჰქონდა. კრებას თითქმის ავხორცული თვალი მოავლო, თავი უკან გადასწია, მერმე ხელები გაშალა და თქვა:

— ძმებო, თქვენ უარყავით დიუკრეტო! და კარგადაც მოიქეცით. მაგრამ ასე მოიქეცით არა ურწმუნოების გამო, რადგან ჩვენ ყველანი მორწმუნენი ვართ.

ზოგიერთი პირდაღებული, აღტაცებული უსმენდა, როგორც პროზელიტი, რომელსაც სარწმუნოებას უნერგავენ.

— და ასე მოიქეცით არა იმიტომ, რომ იგი მღვდელმსახურია, რადგან ჩვენც მღვდელმსახურნი ვართ, მუშა მღვდელმსახურია, ისე როგორც სოციალიზმის ფუძემდებელი, ჩვენი საერთო მასწავლებელი იესო ქრისტე!

დადგა დრო დავამყაროთ მეფობა ღვთისა. სახარება ოთხმოცდაცხრა წლის პირდაპირი გზაა! მონობის მოსპობას პროლეტარიატის განთავისუფლება მოჰყვება. განვლო სიძულვილის დრომ, დადგება სიყვარულის ხანა.

ქრისტიანობა ახალი შენობის საფუძველი, ქვაკუთხედია...

— დაგვციენით, თუ რა ჯრის? — წამოიძახა ღვინის ვაჭრობის აგენტმა. — ვინ გამოგზავნა ასეთი ახირებული?

მისმა გამოხდომამ დიდი აურზაური გამოიწვია. თითქმის ყველანი სკამლოგინებზე აცვივდნენ და მუშტმოღერებულნი გაიძახოდნენ; „უღმერთო! არისტოკრატო! არამზადავ!“ მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე განუწყვეტლივ აწკარუნებდა ზარს, გაორკეცებული ძალით ყვიროდნენ: „წესრიგი! წესრიგი!“ გარნა პატრიოტი, ვინც ალსავსე იყო გაბედულებით და თანაც კრებამდე „სამი ფინჯანი ყავით“ გაიმაგრა გული, არ ცხრებოდა.

— როგორ, მე, არისტოკრატი? რასა ბრძანებთ!..

ბოლოს, განმარტებისათვის რომ სიტყვა მიიღო, განაცხადა: მოსვენება არ იქნება, სანამ არსებობენ მღვდლები, და რაკი ლაპარაკია მომჭირნეობაზე, ყველას აჯობებს გაუქმდეს ეკლესიები, სანაწილეები და საერთოდ ყოველი წეს-ჩვეულება.

ვიღაცამ შენიშნა, მეტისმეტად შეტოპაო.

— დიახ, ბევრს მოვითხოვ! ხოლო, როცა ხომალდი ზღვაურში მოხვდება...

მაგრამ სანამ შედარებას დაამთავრებდა, ვიღაცამ წამოიძახა:

— გეთანხმები! მაგრამ იგივე იქნებოდა, რომ ერთი დარტყმით დაგვენგრია, როგორც განუსჯელი კალატოზი სჩადის...

— თქვენ შეურაცხყოფთ კალატოზებს! — დაუყვირა ვიღაც მოქალაქემ, კირით რომ იყო მთლად გათხუპნული; მას ეგონა, გამო-

მიწვიესო, და მოჰყვა გინებას, ჩხუბიც კი დააპირა, ხელი დაავლო სკამს. სამმა კაცმა ძლივს გააგდო გარეთ.

ამასობაში მუშა კვლავ ტრიბუნაზე იყო. ორივე მდივანი აფრთხილებდა, დროა ჩამოხვიდეო. მან პროტესტი განაცხადა მის კანონიერ უფლებათა ასეთი დარღვევის გამო.

— თქვენ ვერ ჩამაჩუმებთ, რომ არ შევძახო: სამარადისო სიყვარული ჩვენს ძვირფას საფრანგეთს! აგრეთვე სამარადისო სიყვარული რესპუბლიკას.

— მოქალაქენო! — თქვა მაშინ კომპენმა. — მოქალაქენო!

და როცა ამ სიტყვის „მოქალაქენო" განუწყვეტლივ გამეორებით ოდნავ სიჩუმეს მიაღწია, თავისი წითელი ხელები, მორებს რომ უგავდა, კათედრაზე დააწყო, წინ დაიხარა, თვალები ააფახურა და თქვა:

— მე მგონია, უფრო ფართოდ უნდა გამოეყენებინათ ხბოს თავი.

ყველა დუმდა, ეგონათ კარგად ვერ გავიგონეთო.

— დიახ, ხბოს თავი!

სამას კაცს ერთბაშად აუტყდა სიცლი. ჭერი აზანზარდა. კომპენმა რომ ხარხარით დამანჭული სახეები დაინახა, წინ წაიწია და გააფთრებით განაგრძო:

— როგორ! განა არ იცით, ხბოს თავი რა არის?

ახლა უკვე სიგიჟე დაიწყო. ხალხი მუცელზე ხელს იჭერდა. ზოგი კიდევაც დაეცა, სკამლოგინებქვეშ გორავდნენ. კომპენმა ვეღარ მოითმინა, რეჟემბართან მივიდა და უნდოდა წაეყვანა.

— არა, მე ბოლომდე დავრჩები! — უთხრა მოქალაქემ.

ეს პასუხი რომ გაიგონა, ფრედერიკმა გაბედა, მიმოიხედა, რათა მეგობრების მხარდაჭერა მიეღო, რომ უეცრად შენიშნა პელერენი, მის წინ რომ იდგა ტრიბუნაზე. მხატვარმა ქედმაღლურად მიმართა ბრბოს:

— მე მაინც მინდა ვიცოდე, სად არის აქ ხელოვნების წარმომადგენელი? მე დავხატე სურათი...

— სურათები ჩვენ რად გვინდა? — უთხრა ერთმა გამხდარმა კაცმა, ყბებზე რომ წითელი ლაქები აჩნდა.

პელერენი აღშფოთდა, რომ გააწყვეტინეს.

ის კი ტრაგიკული ტონით განაგრძობდა:

— განა მთავრობას უკვე არ უნდა მოესპო დეკრეტით პროსტიტუცია და სიღარიბე?

ამ სიტყვებით ერთბაშად მოიგო ხალხის გული და დაიწყო ძაგება დაცემულობისა, რაც დიდ ქალაქებშია გამეფებული.

— სირცხვილი და თავს ლაფდასხმა! ყველა ეს ბურჟუა უნდა დაიჭირო, როცა „ოქროს სახლიდან“ გამოდიან და პირში ჩააფურთხო! ხელისუფლებაც რომ მფარველობს ზნედაცემულობას! ეს საბაჟოს მოხელეები ასე უწესოდ ექცევიან ჩვენს დებსა და ქალიშვილებს.

ვილაცამ, მოშორებით რომ იჯდა, წამოიძახა:

— აი სეირი!

— მოშორდი აქედან!

— გადასახადებს გვახდევინებენ, რომ გარყვნილება დანერგონ! აი, მაგალითად, მსახიობები, რომლებიც დიდ ჯამაგირს იღებენ...

— სიტყვა მომეცით! — დაიყვირა დელმარმა.

იგი ჯიკავით ტრიბუნაზე ავიდა, გაიბღინძა, ასეთი უმსგავსი ბრალდება მეზიზღებაო, განაცხადა, და მოჰყვა ლაპარაკს მსახიობის საგანმანათლებლო მისიაზე. „რამდენადაც თეატრი სახალხო განათლების კერაა, მე თეატრის რეფორმას ვაძლევ ხმას: უწინარეს ყოვლისა, საჭირო არ არიან დირექტორები, საჭირო არ არის პრივილეგიები!“

— დიახ, არავითარი პრივილეგია!

მსახიობის თამაშმა ბრბო გააღიზიანა და ყოველი მხრიდან გაისმა გამანადგურებელი წინადადებანი:

— არავითარი აკადემია! არავითარი ინსტიტუტი!

— არავითარი მისია!

— არავითარი სიმწიფის ატესტატი!

— ძირს სამეცნიერო ხარისხები!

— არა, შევინარჩუნოთ ისინი, — თქვა სენეკალმა, — მაგრამ ხალხმა მიაკუთვნოს ისინი საყოველთაო ხმის მიცემით, ხალხის, ერთადერთი ნამდვილი მსაჯულის, ნებით! თუმცა ყველაზე არსებითი ეს როდია. ჯერ მდიდრები უნდა გავუთანაბროთ ყველა სხვას.

და შეუდგა იმის აღწერას, თუ რა ბოროტებას სჩადიან ისინი თავიანთ მოოქრულ დარბაზებში, ღარიბები კი, სადღაც სხვენებზე რომ შიმშილისაგან იკრუნჩხებიან, აღსავსენი არიან ყოველგვარი სათნოებით. მისმა სიტყვებმა ისეთი გამაყრუებელი ტაში გამოიწვია, რომ იგი გაჩუმდა. რამდენიმე ხანს თვალდახუჭული იდგა.

თავი უკან გადაეწია, თითქოს ამ გააფთრებამ გააბრუა, თვითონ რომ გამოიწვიაო.

შემდეგ კვლავ დაიწყო ლაპარაკი კანონებივით დოგმატიკური, მბრძანებლური ფრაზებით: სახელმწიფო უნდა დაეუფლოს ბანკებსა და სადაზღვევო საზოგადოებებს. უქმდება მემკვიდრეობის უფლება. არსდება საზოგადოებრივი ფონდი მშრომელებისათვის. მომავალში უნდა განხორციელდეს აგრეთვე სხვა სასარგებლო ღონისძიებანი. ჯერჯერობით კი ესეც კმარა. და არჩევნების საკითხს დაუბრუნდა:

— ჩვენ გვესაჭიროებიან პატიოსანი მოქალაქენი, სრულიად ახალი ადამიანები! სურს ვისმე ლაპარაკი?

წამოდგა ფრედერიკი. ატყდა მოწონების გუგუნი, ეს მისი მეგობრები ცდილობდნენ. მაგრამ სენეკალმა ფუკიე-ტენვილს მიბაძა, დაუწყო გამოკითხვა! რა გვარია და რა ჰქვია, როგორია მისი წარსული, რა ცხოვრებას ეწევა.

ფრედერიკი ზოგადად უპასუხებდა და თან ტუჩებს იკვნეტდა.

სენეკალმა იკითხა: ამ კანდიდატურის წინააღმდეგი ხომ არავინ არისო.

— არა! არა!

თვითონ კი იყო. ყველამ კისერი წაიგრძელა, სმენად გადაიქცა. ამ მოქალაქემ არ გაიმეტა დაპირებული თანხა დემოკრატიული საქმისათვის, გაზეთისათვის. უფრო მეტიც, 22 თებერვალს, თუმცა გაფრთხილებული იყო, არ მოვიდა შეკრების ადგილზე, პანთეონის მოედანზე.

— ვფიცავ, რომ იყო ტიუილრიში! — დაიძახა დიუსარდიემ.

— შეგიძლიათ თუ არა დაიფიცოთ, რომ პანთეონთან ნახეთ?

დიუსარდიემ თავი დახარა. ფრედერიკი დუმდა. მეგობრები დარცხვენილი იყვნენ და შეშფოთებით შესცქეროდნენ.

— ყოველ შემთხვევაში, შეგიძლიათ თუ არა, — უთხრა სენეკალმა, — დასახელოთ პატრიოტი, რომელიც თქვენი რწმენის თანამღები იქნებოდა?

— მე ვიქნები! — თქვა დიუსარდიემ.

— ოჰ! ეგ არ კმარა. საჭიროა სხვა ვინმე!

ფრედერიკი პელერენისაკენ მიბრუნდა. მხატვრის პასუხი იყო სხვადასხვანაირი ჟესტი, რაც ნიშნავდა:

— აჰ! ძვირფასო, მაგათ უარმყვეს! ჯანდაბას! რას იზამ!

მაშინ ფრედერიკმა იდაყვი წაჰკრა რეჟემბარს.

— დიახ, მართალია! დროა! მოვდივარ!

და რეჟემბარი ტრიბუნისაკენ გაემართა, შემდეგ ესპანელზე მიუთითა, უკან რომ მიჰყვებოდა, და თქვა:

ნება მიბოძეთ, მოქალაქენო, წარმოგიდგინოთ ბარსელონელი პატრიოტი!

პატრიოტმა თავი დაბლა დაუკრა, თვალები ავტომატივით დააბრიალა, ხელი გულზე მიიდო და დაიწყო:

— Ciudadanos! mucho aprecio el honor que me dispensais, y si grande isuestra bondad moyor es isuestro atefncion.[1]

— მომეცით სიტყვა! — დაიძახა ფრედერიკმა.

— Desde que se proclamo la constitucion de Cadir, ese pacto fundamental des las libertades espanolas, hosta la ultima revoucion, nuestra patria cuenta numerosos y heroicos martires.[2]

ფრედერიკმა ერთხელ კიდევ სცადა ყური ეგდოთ მისთვის.

— მაგრამ, მოქალაქენო!...

ესპანელი განაგრძობდა:

—El martes proximo tendra lugar en la iglesia de la Magdelena un servicio funebro.[3]

— ბოლოს და ბოლოს, ეს უაზრობაა. არავის არ ესმის!

ამ შენიშვნამ ბრბო გაახელა.

— მოშორდი აქედან! გასწი!

— ვინ? მე? — იკითხა ფრედერიკმა.

— სწორედ თქვენ! — დარბაისლურად წარმოთქვა სენეკალმა. — წადით!

ფრედერიკი ადგა და წავიდა, ესპანელის ხმა კი მიაცილებდა.

— I todos los Ios espanolos descarian ver alli reumdas las diputaciones oe los clubas y de la milicia nacional. Une oracion

---

[1] მოქალაქენო ძლიერ ვაფასებ პატივს, რაც აღმომიჩინეთ, დიდია თქვენი გულკეთილობა და უფრო მეტია ყურადღება.

[2] მას შემდეგ, რაც კადისში გამოქვეყნდა კონსტიტუცია, ძირითადი ხელშეკრულება ესპანურ თავისუფლებათა შესახებ. უკანასკნელ რევოლუციამდე ჩვენს სამშობლოში მრავალი გმირი მოწამეა.

[3] მომავალ სამშაბათს მაგდალინელის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი.

funebre, en honor de la libertad espanola y del mundo entero, sera pronupoido pnn un miembro del clero de Paris un la sala Bonne — Nowelle. Honor pueblo frances, que ilamarria yo el primero pueblo del mundo fsino fu se ciudadano de otra nacion![1]

— საზიზღარი არისტოკრატი! — წამოიძახა ვიღაც ავარამ და მუშტით დაემუქრა აღშფოთებულ ფრედერიკს, გარეთ რომ მიიჩქარიდა.

ნანობდა თავის საქციელს და სულაც არ უფიქრია იმაზე, რომ მისდამი წაყენებული ბრალდება ბოლოსა და ბოლოს სამართლიანი იყო. „რა აკბედითი იდეა იყო ჩემი კანდიდატურის დასახელება! მაგრამ რა ნუტრუკები, რა რეგვენები არიან!"

თავის თავს ადანებდა ამ ადამიანებს და მათს სისულელეზე ფიქრით ადებდა მალამოს ჭრილობას, მის თავმოყვარეობას რომ მიაყენეს.

შემდეგ როზანეტის ნახვა მოენატრა. მთელი ამ საქაგლობის, მთელი ამ მედიდურობის შემდეგ ასეთი სასურველი ქალის ნახვა დასვენება იქნებოდა. მან იცოდა, რომ ამ სალამოს ფრედერიკი კლუბში უნდა გამოსულიყო. მაგრამ, როცა იგი შევიდა, არაფერი არ უკითხავს. ქალი ბუხართან იჯდა და კაბის სარჩულს არღვევდა. ასეთმა საქმიანობამ გააკვირვა.

— რას აკეთებ?

— ხომ ხედავ, — მშრალად მიუგო ქალმა, — ვაკერებ ჩვრებს! ეი შენი რესპუბლიკა!

— რატომ ჩემი?

— აბა რა, იქნება ჩემი?

და დაუწყო ყვედრება მთელი იმ ამბების გამო, რაც საფრანგეთში მოხდა ამ ორ თვეში; აბრალებდა, რევოლუცია შენ მოახდინე, შენგან ხალხი განადგურდა, მდიდრები პარიზიდან გარბიან, და მალე მეც საავადმყოფოს ლოგინზე უნდა ამომხდეს სულიო.

— შენ რა გენაღვლება ასეთი შემოსავლის პატრონს! თუმცა, ასე რომ გაგრძელდეს, შენი შემოსავალი მალე დაიშრიტება.

---

[1] ყველა ესპანელი იქ წავიდა და შეუერთდა კლუბებისა და ეროვნული გვარდიის დეპუტაციებს. მოსახსენებელ სიტყვას ესპანეთისა და მთელი მსოფლიოს თავისუფლებისათვის წარმოთქვამს პარიზის კრებულის წევრი ბონ-ნუველის დარბაზში. დიდება ფრანგ ხალხს, რომელსაც მე ვუწოდებ პირველ ხალხს მსოფლიოში, თუმცა სხვა ერის მოქალაქე ვარ!

— სავსებით შესაძლებელია, — უთხრა ფრედერიკმა. — იმათ, ვინც ყველაზე თავდადებულია, ხშირად ვერ გაუგებენ ხოლმე და წმინდა სინდისი რომ არა, პირუტყვები, რომლებთანაც საქმის დაპერა გიხდება, თავდადების სურვილს დაგიკარგავენ!

როზანეტმა თვალი შეავლო, წარბი შეიკრა.

— ა? რაო? თავდადება? ბატონს მარცხი მოუვიდა? მით უკეთესი! ეს გასწავლის, როგორ უნდა გასცე ფული პატრიოტული საჭიროებისათვის. ო, ნუ ცრუობ! მე ვიცი, რომ სამასი ფრანკი მიეცი იმათ, რადგან ის შენი რესპუბლიკა ხასაა. ჰოდა, იქეიფე მასთან ერთად, ჩემო კარგო!

ამდენი სისულელის მოსმენის შემდეგ ფრედერიკის ერთ გულგატეხილობას მეორე, უფრო მძიმე დაერთო.

იგი ადგა და კუთხეში დაჯდა მოშორებით. როზანეტი მივიდა:

— ცოტა გონს მოდი და განსაჯე! ქვეყანას, ისე როგორც ოჯახს, პატრონი უნდა ჰყავდეს, თორემ ხეირი არ დაეყრება. ჯერ ერთი, ყველამ იცის, რომ ლედრიუ-როლენი ყელამდე ვალშია! რაც შეეხება ლამარტინს, პოეტს პოლიტიკაში აბა, რა ესმის? აჰ, შეგიძლია მხრები იჩეჩო, შეგიძლია თავი ყველაზე ჭკვიანად მიიჩნიო, მაგრამ ეს მაინც ასეა! მაგრამ შენ მუდამ მსჯელობ, კაცი სიტყვას ვერ გეტყვის! აი, მაგალითად, ფურნიე-ფონტენი, სენ-როკში რომ მაღაზია აქვს, იცი. რა ზარალი მოსდის? რვაასი ათასი ფრანკი! შემფუთველმა გომერმა კი, პირდაპირ რომ ცხოვრობს, ისიც რესპუბლიკელია, ცოლს თავზე გადაატეხა ბუხრის მაშა და იმდენი აბსენთი დალია, რომ საავადმყოფოში უნდა წაიყვანონ. აი როგორი არიან ყველა ისინი, რესპუბლიკელები! ოცდახუთპროცენტიანი რესპუბლიკა! ჰოდა, იტრაბახე!

ფრედერიკი წავიდა. ამ ქალის უჭკუობა, ასეთი უხეში ფორმით რომ უეცრად გამომჟღავნდა, ზიზღს ჰგვრიდა. იგრძნო, რომ კვლავ ოდნავ პატრიოტი გახდა.

როზანეტი უფრო და უფრო ჯავრობდა. მ-ელ ვატნაზი აღიზიანებდა თავისი აღფრთოვანებით. მას სწამდა თავისი მოწოდება და მგზნებარედ ლაპარაკობდა, ქადაგებდა, ხოლო, რაკი ასეთ რამეებში თავის მეგობარზე უფრო ძლიერი იყო, თავს აბეზრებდა თავისი არგუმენტებით.

ერთხელ იგი მთლად აღშფოთებული მოვიდა იმის გამო, რომ ჰიუსონემ ქალთა კლუბში რაღაც იცულლუტა. როზანეტმა ასეთი

საქციელი მოეწონა, ისიც კი განაცხადა, კაცურად გამოვეწყობი. „მივალ, მთელ სიმართლეს პირში მივახლი და კარგად შევამკობ ყველას“. სწორედ ამ დროს მოვიდა ფრედერიკიც.

— შენ ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად?

ქალები მას არ მოერიდნენ და წაიკიდნენ: ერთი მობურეეე, მეორე კი მოფილოსოფოსე.

ქალები, როზანეტის აზრით, გაჩენილი არიან, მხოლოდ იმისათვის, რომ უყვარდეთ, ბავშვებს ზრდიდნენ და ოჯახს უვლიდნენ.

მ-ელ ვატნაზს მიაჩნდა, რომ ქალმა თავისი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოში. ძველ დროში კანონმდებლები იყვნენ გალი ქალებიც და ანგლო-საქსებიც; ჰურონელი ქალები კი საბჭოს წევრები იყვნენ. განათლება საერთო საქმეა; ქალებმა ხელი უნდა შეუწყონ მას. ეგოიზმი, ბოლოს, ძმობამ უნდა შეცვალოს, ინდივიდუალიზმი — ასოციაციამ, მიწების დაქუცმაცება — მისმა დიდმა კულტურამ.

— ერიჰა! შენ ახლა მიწის დამუშავებაშიც გაგეგება რამე!

— რატომაც არა? თანაც საქმე ეხება მთელ კაცობრიობას, მის მომავალს.

— უმჯობესია, შენთვის იზრუნო!

— ეგ ჩემი საქმეა!

დავა გაჩაღდა. ფრედერიკი ჩაერია. ვატნაზი ცსარობდა და კომუნიზმსაც კი იცავდა.

— რა სასულელეა! — უთხრა როზანეტმა. — განა შეიძლება ეს ოდესმე განხორციელდეს?

ვატნაზმა დასამტკიცებლად დაასახელა ესესელები, მორაველი ძმები, პარაგვაიელი იეზუიტები, პენგონების ოჯახი ოვერნში, ტიერის ახლოს; და რადგან იგი ხელებს ძლიერ იქნევდა, საათის ძეწკვი ბრელოკებში გაეხლართა და ოქროს პატარა ბატკანს ჩამოეკიდა.

უეცრად როზანეტი საშინლად გაფითრდა.

მ-ელ ვატნაზი ბრელოკს ხსნიდა.

— ნუ წუხდები, — უთხრა როზანეტმა, — ახლა ვიცი შენი პოლიტიკური რწმენა.

— რაო? — ჰკითხა ვატნაზმა და უბიწოსავით წამოწითლდა.

— ოჰ! ოჰ! შენ მე მიცნობ!

ფრედერიკს არაფერი ესმოდა. ცხადი იყო, მათ შორის ჩადგა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი და უფრო ინტიმური, ვიდრე სოციალიზმია.

— თუნდაც აგრე იყოს, — მიუგო ვატნაზმა და უშიშრად გაიმართა წელში. — ეს მე ვისესხე, ჩემო კარგო, ვალს გადახდა უნდა!

— რა თქმა უნდა! მე ჩემს ვალებზე უარს არ ვამბობ! რაღაც ათასი ფრანკის გამო, რა მოხდა! მე მხოლოდ ვსესხულობ. არავის არ ვპარავ!

მ-ელ ვატნაზმა გაცინება სცადა.

— ოჰ! მზად ვარ ხელი ცეცხლში შევყო!

— ფრთხილად! ხელი საკმაოდ ხმელი გაქვს, შესაძლოა დაგეწვას.

შინაბერამ მარჯვენა ხელი ასწია და სახესთან მიუტანა:

— მაგრამ ერთ ვინმეს მეგობართა შორის კი მოწონს!

— ანდალუზიელებს, არა? როგორც კასტანიეტი!

— არამზადავ!

როზანეტმა პასუხად თავი დაბლა დაუკრა:

— თქვენზე მომხიბვლელი არავინ არის!

მ-ელ ვატნაზმა არაფერი უპასუხა. საფეთქლებზე ოფლი მოადგა. თვალები ხალიჩას მიაშტერა. სულს ძლივს ითქვამდა. ბოლოს კართან მივიდა და ხმაურით გააღო.

— ღამე მშვიდობისა! კიდევ მოგაგონებთ თავს!

— ხელი მოგემართოს! — უთხრა როზანეტმა.

თავდაჭერა აღარ ეყო. დივანზე წაიქცა, აკანკალდა, ტიროდა და იგინებოდა. ნუთუ ვატნაზის მუქარამ ასე ააღელვა? სულაც არა! ამას რას დაგიდევდა! ბოლოს და ბოლოს, ვატნაზს კიდევაც ემართა მისი. ეს იყო ოქროს ბატკანი, ნაჩუქარი. და ამ ტირილში ფელმარის სახელი წამოსცდა. მაშასადამე, ეს კაცი უყვარდა!

„მაშინ მე რაღად დავჭირდი? — თავის თავს ჰკითხა ფრედერიკმა. — რატომღა დაუბრუნდა მას? ვინ აიძულებს ურთიერთობა ჰქონდეს ჩემთან? რა აზრი აქვს ყოველივე ამას?“

როზანეტი კვლავ წყნარად ქვითინებდა. ისევ დივანზე იწვა. ორივე ხელი მარჯვენა ყბის ქვეშ ამოედო, ისეთი სუსტი, გაწამებული და უმწეო ჩანდა, რომ ფრედერიკი მივიდა და ნაზად აკოცა შუბლზე.

მაშინ ქალმა დაიწყო ფიცი, მიყვარხარო: „თავადი წავიდა, ახლა თავისუფალი ვიქნებით. მაგრამ ამჟამად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ. თვითონ ნახე, რომ ძველი სარჩული გამოვძებნეთ. ეკიპაჟები აღარ არის. ეს კიდევ არაფერია: მეავეჯე იმუქრება, სა-

ნოლი ოთახისა და დიდი სასტუმრო ოთახის ავეჯს წაკიღებო. არ ვიკი, რა ვქნა“.

ფრედერიკს სურდა ეთქვა: „ნუ წუხარ, მე გადავიხდი!“ მაგრამ ამ ქალს ხომ შეეძლო ტყუილიც ეთქვა. გამოცდილებით იცოდა. ამიტომ ჩვეულებრივი ნუგეში იკმარა.

როზანეტის შიში ტყუილი როდი გამოდგა: იძულებელი გახდა აკეჯი მიეცა და დროეს ქუჩაზე მშვენიერი ბინიდან გადასახლებულიყო. პუასონიერის ბულვარზე სხვა ბინა იქირავა მეხუთე სართულზე. მისი ძველი ბუდუარის იშვიათი ნივთები საკმაო არ აღმოჩნდა, რომ სამი ოთახი კოხტად მოეწყო. დაკიდეს ჩინური ფარდები, აივანზე ჩარდახი მოაწყვეს, სასტუმრო ოთახისათვის შემთხვევით იყიდეს სრულიად ახალი ხალიჩა და ვარდისფერ-აბრეშუმგადაკრული პუფები. ამ შენაძენში ფრედერიკი უხვ მონაწილეობას იღებდა. უხაროდა, როგორც ახალ ჯვარდაწერილს, ვისაც, ბოლოს აქვს საკუთარი სახლი, ჰყავს ცოლი. მოსწონდა აქ ყოფნა და თითქმის ყოველ ღამეს როზანეტთან ათევდა.

ერთხელ, დილით, ბინიდან რომ გავიდა, ძირს, მეოთხე სართულზე შეამჩნია კიეერი ეროვნული გვარდიელისა, ზევით რომ ადიოდა. ნეტავ, სად მიდისო, გაიფიქრა და გადაწყვიტა მოეცადა. კაცი ადიოდა ოდნავ თავჩაღუნული; მერმე უეცრად აიხედა. ეს იყო ბ-ნი არნუ. ყველაფერი ცხადი იყო. ორივე ერთბაშად წამოწითლდა, ორივემ ერთნაირი უხერხულობა იგრძნო.

არნუმ პირველმა იპოვა გამოსავალი.

— ახლა უკეთ არის, არა? — იკითხა, თითქოს როზანეტი ავად ყოფილიყო და იგი ამბის გასაგებად მოსულიყო.

ფრედერიკმა ამით ისარგებლა.

— დიახ, უეჭველად! ყოველ შემთხვევაში მისმა მსახურმა ასე მითხრა, — სურდა ეგრძნობინებია, არ მიმიღესო.

ახლა პირისპირ იდგნენ. ორივე გაუბედავად. ერთმანეთს შესცქეროდა. საქმე ის იყო, პირველი ვინ წავიდოდა. არნუმ ამჯერადაც იპოვა გამოსავალი:

— აჰ, კარგი! მერმე მოვალ. თქვენ საით? გაგაცილებთ!

ქუჩაში გავიდნენ და არნუმ ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს აქ არაფერიაო. ცხადია, არ ეჭვიანობდა, ანდა მეტად გულკეთილი იყო, რომ არ გაჯავრდა.

თანაც სამშობლოს საქმეები აფიქრებდა. ახლა უკვე სამხედრო

ფორმას არ იშორებდა. 29 მარტს „პრესის კანტორას“ იცავდა. როცა ხალხი პალატაში შეიჭრა, მან თავი გამოიჩინა სიმამაცით და მიწვეულ იქნა ამიენის ეროვნულ გვარდიის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე.

ჰიუსონი, რომელიც მუდამ მასთან ერთად მორიგეობდა ხოლმე, ყველაზე მეტად, ვიდრე სხვა ვინმე, სარგებლობდა მისი მათარით და სიგარებით, მაგრამ, რაკი ბუნებით უპატივცემულო იყო, უყვარდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, აუგად იხსენიებდა დეკრეტების არცთუ სწორ ენას, თათბირებს ლუქსემბურგის სასახლეში. ვეზუვიელ ქალებს, ტიროლელებს, ყველაფერს, აგრიკულტურის ეტლსაც, რომელსაც ხარების ნაცვლად ცხენები ება და თან ახლდნენ მახინჯი ქალიშვილები. არნუ პირიქით, იცავდა მთავრობას და ოცნებობდა პარტიების გაერთიანებაზე, თუმცა მისი საქმეები ცუდად იყო, მაგრამ ეს ნაკლებ აწუხებდა.

ფრედერიკთან როზანეტის ურთიერთობას იგი არ შეუწუხებია, რადგან ეს აღმოჩენა, მისი შეგნებით, ნებას აძლევდა აღარ ეძლია მისთვის შესანახავი ფული, რაც კვლავ დაუნიშნა რუსი თავადის წასვლის შემდეგ. მოიმიზეზა გაჭირვებული მდგომარეობა, ბევრი ივალალა და როზანეტმაც ბოლოს სულგრძელობა გამოიჩინა. მაშინ არნუ თავს ნამდვილ საყვარლად გრძნობდა და ეს ამაღლებდა საკუთარ თვალში. აახალგაზრდავებდა. რაკი არ ეეჭვებოდა, რომ როზანეტს ინახავდა ფრედერიკი, წარმოიდგინა, რომ „სახეირო ოინი უყო“ და ქალთან კავშირსაც კი მალავდა, ხოლო როცა მასთან ფრედერიკს შეხვდებოდა, ადგილს უთმობდა.

არნუსთან გაზიარების საჭიროება ფრედერიკს შეურაცხყოფდა და ჰეტოქის თავაზიანობა უკვე მეტად გაჭიანურებულ დაცინვად ეჩვენებოდა. მაგრამ რომ წასჩხუბებოდა, ამით ყოველგვარ საშუალებას დაკარგავდა დაბრუნებოდა იმას, წინანდელს და ყოველივე ამის გარდა, მხოლოდ არნუსაგან შეეძლო რაიმე გაეგონა მასზე. ფაიანსის ვაჭარი ჩვეულებრივ ან, შესაძლოა, ცბიერებით, ხშირად ახსენებდა ხოლმე ცოლს საუბარში და კიდევაც ჰკითხავდა, რატომ აღარ ნახულობო.

ფრედერიკი, რაკი ყოველგვარი მომიზეზება ამოწურა, არწმუნებდა, ქ-ნ არნუსთან რამდენჯერმე ვიყავ, მაგრამ შინ არ იყოო. არნუს ამაში ეჭვი არ შესვლია; მას ხშირად გამოუთქვამს ცოლისთვის გაოცება, ჩვენი მეგობარი რატომ აღარ დადისო, და ქ-ნ არ-

ნუს ყოველთვის ასე უპასუხნია: მოსულა ხოლმე, მაგრამ შინ არ ვყოფილვარო. ამრიგად, ერთი ტყუილი მეორეს კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ადასტურებდა.

ახალგაზრდა კაცის თვინიერება და საამო ფიქრი, ვატყუებო. არნუს აიძულებდა უფრო მეტად ყვარებოდა იგი. მასთან ფამილარობა უკიდურესობამდე მიჰყავდა, არა იმიტომ, რომ ეზიზღებოდა იგი, არამედ იმიტომ, რომ ენდობოდა. ერთხელ მისწერა: გადაუდებელი საქმის გამო ერთი დღით პროვინციაში უნდა წავიდე და გთხოვ, მორიგეობაზე შემცვალეო. ფრედერიკმა უარი ვერ უთხრა და კარუსელის მოედანზე წავიდა.

მას მოუხდა ეროვნულ გვარდიელთა შორის ყოფნა, რომელნიც, გარდა ერთისა, მხიარული რაფინიერისა, მეტად ბევრს რომ სვამდა, ყველანი ბატებივით ყეყეჩები იყვნენ. ლაპარაკის მთავარი თემა იყო ტყავის ამუნიციის შეცვლა მხოლოდ ერთი პორტუპეით. ზოგიერთი ღელავდა ეროვნულ სახელოსნოთა გამო. „სად მივდიკართ?“ — იტყოდა ვინმე. ის, ვისკენაც მიმართული იყო ეს შეძახილი, თვალებდაპრაწული, თითქოს, მართლაც, უფსკრულისპირას მდგარიყო, უპასუხებდა: „საით მივდივართ?“ ხოლო ვინმე უფრო გაბედული წამოიძახებდა: „ასე აღარ შეიძლება! დროა, ბოლო მოეღოს ამას!“ ერთი და იგივე საუბარი საღამომდე გრძელდებოდა. ფრედერიკი საშინლად მოწყენილი იყო.

ფრედერიკს მეტად გაუკვირდა, როცა თერთმეტ საათზე არნუ უეცრად დაბრუნდა და განაცხადა, ვიჩქარი, გაგანთავისუფლო, რადგან საქმეებს მოვრჩიო.

არავითარი სამე არ ჰქონია. ყველაფერი მოიგონა, რომ როზანეტთან ერთ დღეს მარტო დარჩენილიყო. მაგრამ ყოჩაღ არნუს ღონემ უღალატა, რადგან, როცა დაიღალა, სინდისის ქენჯნა იგრძნო. მოვიდა, რათა ფრედერიკისათვის მადლობა ეთქვა და ვახშმად დაეპატიჟნა.

— დიდად გმადლობთ! სულაც არ მშია. მინდა მხოლოდ ლოგინამდე მივაღწიო!

— მით უმეტეს, ერთად უნდა ვისაუზმოთ! რა ნაზი ვინმე ხართ! ახლა შინ წასვლა არ შეიძლება! უკვე გვიანია! საშიშია!

ფრედერიკმა ერთხელ კიდევ დაუთმო. ამხანაგები, რომლებიც არნუს არ ელოდნენ, განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ, ყველაზე მეტად მერაფინე. ყველას უყვარდა და ისიც ისეთი

გულკეთილი იყო, რომ ჰიუსონეს იქ არყოფნაც კი ინანა. მაგრამ ძლიერ უნდოდა ძილი, ორიოდე წუთით თვალის მოხუჭვა.

— ჩემს გვერდით დაწექით, — უთხრა მან ფრედერიკს და საღამოს საწოლზე ისე გაიშხლართა, რომ ტყავის ამუნიციაც კი არ მოუხსნია. განგაშის შემთხვევისათვის, წესების საწინააღმდეგოდ, თოფიც კი არ მოუშორებია. მერმე წაიბუტბუტა: „ძვირფასო! ჩემო პაწია ანგელოზო!“ და უმალვე დაეძინა.

ჰოსაუბრენი გაჩუმდნენ და ნელ-ნელა სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ფრედერიკი, რომელსაც რწყილები აწვალებდნენ, აქეთ-იქით იხედებოდა. ყვითლად შეღებილი კედლის გაყოლებით გაკეთებული. იყო გრძელი თარო, რომელზეც ზურგჩანთები ეწყო, კუზებივით რომ ასოკილიყო, ძირს კი ერთმანეთს მიყრდნობილი იდგა ტყვიისფერი თოფები, ისმოდა ეროვნულ გვარდიელთა ხროტინი, მათი მუცლები კი ბუნდოვნად მოჩანდა სიბნელეში. ღუმელზე იდგა ცარიელი ბოთლი და თეფშები. მაგიდის გარშემო, რომელზეც გაფანტული იყო სათამაშო ქაღალდი, სამი სელის სკამი იდგა. სკამლოგინზე დოლი იდო, თასმები დაჰკიდებოდა. ღია კარში თბილი ქარი უბერავდა და ლამპა ხრჩოლავდა. არნუს ეძინა, ხელები გადაეყარა, ხოლო, რაკი თოფი ირიბად ედო და თათი დაშვებული ჰქონდა, ლულა შიგ იღლიაში მოუდიოდა. ფრედერიკმა ეს შენიშნა და შეეშინდა.

„ოჰ, არა-მეთქი! რა არის? საშიში არაფერია! მაგრამ მაინც... ეგ რომ მომკვდარიყო...“

და მყის დაუსრულებელ ნაკადად არიალდა სურათები. აი იგი „მის“ გვერდით ზის, ღამით, საფოსტო ეტლში; მერმე მდინარის პირას, ზაფხულის საღამოს; ბოლოს ანთებულ ლამპასთან მის სახლში. იგი საოჯახო ანგარიშებსა და გეგმებსაც კი შეუდგა, ხედავს, უკვე ხელშესახებად გრძნობს თავის ბედნიერებას, მის მისაღწევად კი საჭირო იყო მხოლოდ, რომ ჩახმახი ფეხზე შემდგარიყო: შეიძლებოდა მისთვის ფეხის წვერი გეკრა და გავარდებოდა... შემთხვევა და მეტი არაფერი!

ფრედერიკი თავის აზრს ავითარებდა, როგორც სიუჟეტზე ჩაფიქრებული დრამატურგი. უეცრად მოეჩვენა, რომ ფიქრი განხორციელებას უახლოვდება და რომ ეს არ მოხდება მის ჩაურევლად, რომ სურს ეს, ამავე დროს კი წარმოუდგენელმა შიშმა შეიპყრო. იტანჯებოდა, მაგრამ სიამოვნებას გრძნობდა და შიგ სულ

უფრო ღრმად იძირებოდა, თანაც შიშით ხედავდა, როგორ ქრეოდა მისი ეკვები. ამ მძაფრ ოცნებაში დაიცარა მთელი დანარჩენი მსოფლიო და მხოლოდ გულის აუტანელი ჰიდალი უნარჩუნებდა თავისი თავის შეგნებას.

— თეთრი ღვინო ხომ არ დაგლიოთ? — გაიღეიძა თე ა?ა. თქვა მერაფინემ.

არნე ლოგინიდან წამოხტა, ხოლო, როცა ღვინო დალიეს, საგუშაგოზე დადგომა ისურვა ფრედერიკის მაგიერ.

მერმე სასაუზმოდ წაიყვანა შარტრის ქუჩაზე, პარლისთან. და რადგან კარგად დანაყრება სურდა, შეუკვეთა ორი ხორციანი კერძი, ერთი ომარი, ერთი რომიანი ერბოკვერცხი, სალათა და სხვ. ამას დააყოლეს 1891 წლის სოტერნი, 1842 წლის რომანე, თუ არ ვიანგარიშებთ შამპანურს დესერტზე და ლიქიორს.

ფრედერიკი არაფერში არ ეწინააღმდეგებოდა. თავს უხერხულად გრძნობდა, თითქოს არნუს მის სახეზე შეენიშნოს წეღანდელი ფიქრების კვალი.

მაგიდაზე დაყრდნობილი და ძლიერ თავდახრილი არნუ ფრედერიკს აცბუნებდა შიგ თვალებში ცქერით და თავის ფანტაზიას უზიარებდა.

სურდა იჯარით აეღო ჩრდილოეთის რკინიგზის მთელი ვაკისი, რომ ზედ კარტოფილი დაერგო, ანდა ბულვარებზე მოეწყო გრანდიოზული კავალკადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ „ეპოქის განთქმული პიროვნებანი“. კავალკადის გზაზე დაიქირავებდა ყველა ფანჯარას და შემდეგ სამ ფრანკად გასცემდა. ამრიგად, კი მოგებას ნახავდა. საერთოდ, ოცნებობდა წარმატებაზე, რასაც რაიმე სპეკულაცია მოუტანდა. გარნა მსჯელობდა როგორც ზნეობრივი ადამიანი, ჰკიცხავდა ზედმეტობას, უწესობას, იგონებდა თავის „საბრალო მამას“, და ამბობდა, ყოველ საღამოს, სანამ ღმერთს შეევედრებოდე, საკუთარი სინდისის სამსჯავროზე გამოვდივარო.

— კიდევ ერთი ყლუპი კიურასო, ა?

— როგორც გენებოთ.

რაც შეეხება რესპუბლიკას, ყველაფერი მოგვარდება. ბოლოს, თავი უბედნიერეს კაცად მიაჩნდა ამქვეყნად, თავდავიწყებას მივცა და დაუწყო ქება როზანეტის ხასიათს, თავის ცოლსაც კი შეადარა. ო, ეს სულ სხვა ვინმეა! რა ტანი აქვს!

— თქვენი დღეგრძელობისა იყოს!

ფრედერიკმა ჭიქა მიუჭახუნა. არნუს საამებლად მეტი დალია,

თანაც კაშკაშა მზე ათრობდა და, როცა ერთად წავიდნენ ვივიენის ქუჩით, მათი სამხრეები ერთმანეთს ეხებოდნენ.

შინ რომ მივიდა, ფრედერიკს შვიდ საათამდე ეძინა. შემდეგ როზანეტთან წავიდა. ქალი სხვასთან ერთად წასულიყო. იქნებ, არნუსთან? ფრედერიკმა არ იცოდა, რა ექნა, და ბულვარს გაუყვა სასეირნოდ, მაგრამ სენ-მარტენის კარს ვერ გასცდა, იმდენი ხალხი იყო იქ.

გაპირვებამ ბედის ამარა დატოვა ბევრი მუშა და ყოველ საღამოს მოდიოდნენ აქ, ცხადია, თავიანთი ძალების დასათვალიერებლად და ელოდებოდნენ სიგნალს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით აკრძალული იყო თავმოყრა, ეს სასოწარკვეთილების კლუბები საშიშრად ხალხმრავალი ხდებოდა, და ბევრი ბურჟუა, აქაოდა, მამაცი ვარო, ყოველდღე, წამხედურობით, მოდიოდა აქ, რათა სეირი ენახა.

უეცრად ფრედერიკმა რამდენიმე ნაბიჯზე დაინახა ბ-ნი დამბრეზი და მარტინონი. ფრედერიკმა თვალი მოარიდა, რადგან ბ-ნმა დამბრეზმა მოახერხა, რომ იგი დეპუტატად აერჩიათ, და გაჯავრებული იყო ფრედერიკზე, მაგრამ კაპიტალისტმა შეაჩერა.

— ერთი წუთით, ძვირფასო ბატონო! მინდა ახსნა-განმარტება მოგცეთ.

— მე მას არ მოვითხოვ;

— მოიღეთ მოწყალება! მომისმინეთ.

ეს მისი ბრალი როდი იყო. სთხოვეს, ერთგვარად კიდევაც აიძულეს. მარტინონმა მაშინვე დაადასტურა მისი სიტყვები: ნოქანელებმა დეპუტაცია გამოუგზავნესო.

— ამასთანავე, თავი სრულიად თავისუფალი მიმაჩნდა, იმ მომენტიდან...

ტროტუარზე შემოკრილმა ბრბომ ბ-ნი დამბრეზი იქით მიაგდო. ერთი წუთის შემდეგ კვლავ მოვიდა და მარტინონს უთხრა:

— აი, ეს ნამდვილი სამსახურია! თქვენ არ ინებებთ...

სამივე მაღაზიის ახლოს გაჩერდა და კედელს მიეყუდა, რომ უფრო თავისუფლად ესაუბრათ.

დროდადრო ისმოდა ყვირილი: „გაუმარჯოს ნაპოლეონს! გაუმარჯოს ბარბესს! ძირს მარი!“ ისმოდა აურაცხელი ბრბოს ხმამაღალი ლაპარაკი და ხახლების კედლებზე არეკლილი ხმები განუწყვეტლივ გუგუნებდა, ვით ტალღების ხმაური ნავსადგურში. ზო-

გჯერ ხმაური მიწყდებოდა, მაშინ გაისმოდა „მარსელიეზა“. ალაყაფის კარში უცნობი პირები დაშნიან ხელჯოხებს სთავაზობდნენ ხალხს. ხანდახან ორი ვინმე გავლით ჩაუკრავდა თვალს ერთმანეთს და სწრაფად გაშორდებოდა. ტროტუარებზე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ უსაქმოდ მოხეტიალენი; ქვაფენილზე ბრბო ირხეოდა; პოლიციის ბოელი რაზმები გამოდიოდნენ შესახვევებიდან და მყის იქვე მიიმალებოდნენ. წითელი ალმები, ხან აქ, ხან იქ რომ გაიელვებდნენ, ცეცხლი გეგონებოდა. კოფოებზე მჯდომი მეეტლეები ხელებს ასავსავებდნენ და უკანვე ბრუნდებოდნენ. ყველაფერი იძვროდა. სანახაობა მეტად უცნაური იყო.

— როგორ გაართობდა ყოველივე ეს მ-ელ სესილს! — თქვა მარტინონმა.

— ხომ იცით, რომ ჩემს ცოლს არ უყვარს, ჩემი ძმისწული რომ ჩვენთან გამოუშვას, — ღიმილით მიუგო ბ-ნ დამბრეზმა.

იგი გამოუცნობი გახდა: მთელ სამ თვეს გაიძახოდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ და ორლეანელთა განდევნასაც კი მისცა ხმა. მაგრამ დრო იყო შეეწყვიტა დათმობა. ისე გააფთრდა, რომ ჯიბეში კასტეტს ატარებდა.

კასტეტი მარტინონსაც ჰქონდა. სასამართლოს თანამდებობანი უცვლელი აღარ იყო, ამიტომ სამსახური მიატოვა და მსჯელობის სიმკვეთრით ახლა ბ-ნ დამბრეზს აჭარბებდა.

ბანკირს განსაკუთრებით სძულდა ლამარტინი (რადგან იგი მხარს უჭერდა ლედრიუ-როლენს), მასთან ერთად კი პიერ ლერუც, პრუდონიც, კონსიდერანიც და ლამენეც, ყველა დამთხვეული, ყველა სოციალისტი.

— აბა, რა სურთ მათ ბოლოს და ბოლოს? გაუქმეს ხორცის ვადასახადი და დაპატიმრება ვალის გადაუხდელობის გამო. ახლა მუშავდება სამიწათმოქმედო ბანკის პროექტი, ხოლო ამ დღეებში დაარსდა სახელმწიფო ბანკი! და აი ბიუჯეტშია ხუთი მილიონი ფრანკი მუშებისათვის! მაგრამ, საბედნიეროდ, ამას ბოლო მოეღო დე ფალუს მეოხებით, მშვიდობით მგზავრობა! წაბრძანდნენ!

და მართლაც, რაკი არ იცოდა, რით გამოეკვება ეროვნულ სახელოსნოებში დასაქმებული ასოცდაათი ათასი მუშა, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა იმავე დღეს ხელი მოაწერა დადგენილებას, რომლითაც წინადადებას ალევდა თვრამეტ-ოცი წლის ასაკის ყველა მოქალაქეს წასულიყო ჯარისკაცად, ანდა გამგზავრებულიყო პროვინციაში მიწის დასამუშავებლად.

ამ წინადადებამ ისინი აღაშფოთა: მათ გადაწყვიტეს, რომ ახალ რესპუბლიკას აუქმებდნენ. დედაქალაქის მოშორებით ცხოვრება მათ მოსაწყენად ეჩვენებოდათ, როგორც განდევნა: უკვე თვალწინ ესახებოდათ ის ყრუ ადგილები, სადაც ციებ-ცხელებით დაიხოცებიან. ამასთან, ბევრს, ვინც სუფთა ხელოსნობას იყო მიჩვეული, მიწის მუშაობა დამამცირებლად მიაჩნდა. ბოლოს, ეს ხომ მოტყუება იყო, დაცინვა. ყველა დაპირებაზე უარის თქმა! თუ წინააღმდეგობა გაუწიეს, ძალადობით უპასუხებენ, მათ ეს არ ეეპვებოდათ და აპირებდნენ დაესწროთ თავდასხმა.

ცხრა საათზე ბასტილიასა და შატლეტთან შეგროვილი ბრბო ბულვარზე გაიჭრა. სენ-დენის კარიდან სენ-მარტენის კარამდე დგანდგარებდა მთლიანი, უზარმაზარი, შავ-ლურჯი, თითქმის შავი მასა. ყველას, ვინც კი ბრბოში შეიმჩნეოდა, თვალები ანთებული, პირისახე ფერმკრთალი, შიმშილით გამხდარი, უსამართლობით აღელვებული ჰქონდა. ამასობაში ღრუბლები შეიყარა; მოქუფრუშებული ცა ბრბოს აღაგზნებდა, ერთსა და იმავე ადგილზე რომ ბორგავდა. გაუბედავი, ფართო ტალღისებური მოძრაობით მოცული, ზღვის ფრთონას რომ ჰგავდა, და მის სიღრმეში იგრძნობოდა ძალა, თითქოს სტიქიური სიმძლავრე. მერმე ყველამ დაიწყო სიმღერა: „ლამპიონები! ლამპიონები!“ რამდენიმე ფანჯარა გაუნათებელი დარჩა; იმათ ქვები დაუშინეს. ბ-ნმა დამბრეზმა სიფრთხილე ამჯობინა და შინ წავიდა. ახალგაზრდებმა გააცილეს.

მან გაითვალისწინა დიდი უბედურება. შეიძლებოდა ხალხი კვლავ შეკრილიყო პალატაში. და ამის გამო მან ახალგაზრდებს უამბო: 15 მაისს უთუოდ მომკლავდნენ, ერთ ეროვნულ გვარდიელს რომ არ გადავერჩინეო.

— ის ხომ თქვენი მეგობარია, კინაღამ დამავიწყდა! თქვენი მეგობარი, ფაიანსის ვაჭარი, ჟაკ არნუ!

მეამბოხეები აწვებოდნენ, იმ მამაკაცმა მოქალაქემ კი ხელში აიყვანა და იქაურობას მოაშორა იგი. აი მაშინ მოხდა მათი გაცნობა

— ამ დღეებში როგორმე ერთად უნდა ვისადილოთ, თქვენ კი გადაეცით, რაკი ასე ხშირად ხვდებით, რომ ძალიან მომწონს იგი. მშვენიერი კაცია! ჩემი ფიქრით, მას ცილს სწამებენ. და არცთუ უპკუოა, ის ცუღლუტი! ერთხელ კიდევ მშვიდობით! კაი საღამო მშვიდობისა!

ბ-ნ დამბრეზს რომ გამოეთხოვა, ფრედერიკი როზანეტთან წავიდა და ძლიერ დაღონებულმა უთხრა, უნდა აირჩიო: ან მე, ან არნუო. ამან მშვიდად უპასუხა: სრულიად არ მესმის „ასეთი სისულელე". არნუ არ მიყვარს და არც არაფრად მიღირსო. ფრედერიკს ძლიერ უნდოდა პარიზიდან წასვლა. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია ასეთი ჭირვეულობისათვის და მეორე დღესვე გაემგზავრნენ ფონტენბლოს.

სასტუმრო, სადაც ისინი დაბინავდნენ, იმით გამოირჩეოდა, რომ ეზოში შადრევანი ყღურტულებდა. ოთახების კარი დერეფანში გამოდიოდა, როგორც მონასტერში. მათ მისცეს კარგად მოწყობილი დიდი, ბჟუდრო ოთახი, რომელშიც გაკრული იყო ინდური ქსოვილი. სახლების წინ მიმოდიოდნენ უსაქმო ბურჟუები; უფრო მოგვიანებით, როცა შებინდდა, ქუჩაში მათს ფანჯრებთან ბავშვებმა დაიწყეს ქალაქობიას თამაში და ეს სიწყნარე, რამაც მათთვის პარიზის ხმაური შეცვალა, აკვირვებდა, ამშვიდებდა მათ.

დილაადრიან სასახლის დასათვალიერებლად წავიდნენ, განვლეს ჭიშკარი და თვალწინ წარმოუდგათ მთელი წინამო, წოწოლასახურავიანი ხუთიევე პავილიონი და ნალისებური კიბე ეზოში, სადაც მხარეზე იყო უფრო დაბალი ორი ფლიგელი. მოკენჭილ ეზოში ამოსული ხავსურა შორიდან ერწყმოდა აგურის მოწითალო ტონს და სასახლე, ფერით რომ ძველ დაჟანგულ ჯავშანს მოგაგონებდათ, მეფურად გარინდებული, მხედრული და მწუხრული სიდიადით აღსავსე იყო.

ბოლოს გამოჩნდა დარაჯი, რომელსაც ერთი შეკვრა კლიტეები მოჰქონდა. ჯერ დედოფალთა სამყოფელი აჩვენა, მერმე პაპის სამლოცველო, ფრანსუა პირველის გალერეა, წითელი ხის პატარა მაგიდა, რომელზეც იმპერატორმა ხელი მოაწერა ტახტიდან გადადგომას, ხოლო ერთ-ერთ ოთახში, წინანდელი ირმის გალერეის ის ადგილი, სადაც ქრისტინეს ბრძანებით მონალდესკი მოკლეს. როზანეტმა ყურადღებით მოისმინა ეს ამბავი და ფრედერიკს უთხრა:

— უთუოდ ეჭვიანობთ? ფრთხილად იყავ!

შემდეგ გაიარეს საბჭოს დარბაზი, სადარაჯო დარბაზი, სატახტო დარბაზი და ლეი XIII სასტუმრო ოთახი. მაღალ, უფარდო ფანჯრებში თეთრი სინათლე შემოდიოდა; კარ-ფანჯრის სახელურებს, კონსოლების თითბრის ფეხებს მტვრის მქრქალი ნასახი ფარაგდა; ავეჯს ტილოს შალითა ეცვა; კარის თავზე მოჩანდა ლეი

XV დროის ნადირობის სცენები, აქა-იქ კი გობელენი, რომელზეც გამოსახული იყვნენ ოლიმპოს ღმერთები, ფსიქე, ალექსანდრეს ბრძოლები.

სარკეებს რომ ჩაუვლიდა, როზანეტი ყოველთვის წუთით შეჩერდებოდა და თმას შეისწორებდა.

გაიარეს კოშკიანი ეზო, დათვალიერეს წმ. სატურნინის კაპელა და საპარადო დარბაზში შევიდნენ.

ისინი გააოცა დიდებულმა პლაფონმა, რვაკუთხედებად რომ იყო დაყოფილი და ოქროთი და ვერცხლით მოპირკეთებული, რაც სინატიფით ყოველნაირ სამშვენისს სჯობდა. გააკვირვა მოხატულობამ რომლითაც უხვად იყო დაფარული კედლები, დაწყებული გიგანტური ბუხრით, სადაც ნახევარმთვარეებში ჩასმულია საფრანგეთის გერბი, და დამთავრებული მემუსიკეთა ესტრადით დარბაზის მეორე ბოლოში. ათი კამაროვანი ფანჯარა ფართოდ იყო გაღებული. მოხატულობა ბრწყინავდა მზის სხივებში, ლურჯი ცა, უსაზღვროებაში რომ იკარგებოდა, თაღების ულტრამარინის იერს ერწყმოდა, ულრანი ტყეებიდან კი, რომელთა ნისლოვანი წვეროკინები ჰორიზონტზე ისახებოდნენ, მოისმოდა სპილოს ძვლის სანადირო ბუკთა ექო, გამოძახილი მითოლოგიური ბალეტებისა, როცა ფოთოლთა ჩრდილში ცეკვავდნენ ნიმფებად და სილფიდებად გადაცმული პრინცესები და კარისკაცები; მოისმოდა გამოძახილი გულუბრყვილო ცოდნის, ძლიერ ვნებათა და ნატიფი ხელოვნების ეპოქისა, როცა ისწრაფოდნენ ეს ქვეყანა გადაექციათ ჰესპერიდებზე ოცნებად, ხოლო მეფეთა მიჯნურებს ციურ მნათობებს ადარებდნენ. უმშვენიერესმა ამ განთქმულ ქალთა შორის ბრძანა, მარჯვენა კედელზე დაეხატათ იგი მონადირე დიანას ან თუნდაც ჯოჯოხეთური დიანას სახით, ცხადია, იმის ნიშნად, რომ მისი ძალაუფლება სიკვდილის შემდეგაც არ მოიშლებოდა. ყველა ეს სიმბოლო მოწმობდა მის დიდებას და რაღაც კიდევ რჩებოდა მისგან — გაურკვეველი ხმა, თუ ბრწყინვალების ნასახი, დღემდე რომ სუფევს.

ფრედერიკს დაეუფლა გამოუთქმელი სურვილი, ამ წარსულმა რომ წარმოშვა. მის განსაქარვებლად ნაზად გადაეხედა როზანეტს და ჰკითხა, ხომ არ გსურს, ასეთი ქალი იყოო.

— როგორი ქალი?

— დიანა დე პუატიე!

და გაიმეორა:

— დიანა დე პუატიე, ანრი II ხასა.

მან მოკლედ მიუგო: „აჰ!“ ეს იყო და ეს.

მისმა დუმილმა აშკარად დაადასტურა, რომ არაფერი არ იცოდა, არაფერი არ გაეგებოდა. ფრედერიკს შეებრალა და ჰკითხა:

— იქნებ მოგბეზრდა?

— არა, არა, პირიქით!

ძერძე თავი ასწია, კედლები უაზროდ ჩამოათვალიერა და თქვა:

— ეს მოგონებას იწვევს!

გარნა სახეზე ეტყობოდა, რომ თავს ძალას ატანდა, ცდილობდა, მოკრძალებული ყოფილიყო და რაკი ეს სერიოზულობა ძლიერ შეენოდა, ფრედერიკმა შეუნდო.

კობრების გუბურამ უფრო დააინტერესა. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ყრიდა შიგ პურის ნამცეცებს და უცქეროდა, როგორ ესეოდნენ თევზები.

ფრედერიკი მის გვერდით დაჯდა ცაცხვების ჩრდილში. ფიქრობდა ყველა იმ პირზე, ვისაც ეს კედლები ეხილა, კარლოს მეხეთეზე, ვალუებზე, ანრი მეოთხეზე, პეტრე დიდზე, ჟან-ჟაკ რუსოზე და „პირველი ლოჟების მშვენიერ მოტირალ ქალებზე“, ვოლტერზე, ნაპოლეონზე, პიუს მეშვიდეზე, ლუი-ფილიპეზე; გრძნობდა, როგორ ეხვეოდნენ გარს, ეხებოდნენ ეს ახმაურებული გარდაცვლილები; ამ სახეთა რიალმა გააოგნა იგი, თუმცა მათმა ხილვამ სიამეც აგრძნობინა.

ბოლოს ყვავილნარში ჩავიდნენ.

ყვავილნარს დიდი სწორკუთხოვანი ნაკვეთი უკავია და შეიძლება ერთი შეხედვით მოავლო თვალი ფართო ყვითელ ბილიკებს, გაზონის პატარა კვადრატებს, ხუჭუჭა ბზებს, პირამიდულ ურთხელებს, დაბალ ბუჩქებსა და ვიწრო კვლებს, საიაც მეჩხერი ყვავილები მკაფიოდ მოჩანან რუხ მიწაზე. ყვავილნარის იქით იწყება პარკი, რომელსაც თავიდან ბოლომდე სერავს გრძელი არხი.

მეფეთა სამყოფელი აღსავსეა რაღაც თავისებური მელანქოლიით, რასაც, ალბათ, იწვევს უზარმაზარი ოდენობისა და მცირერიცხოვან მცხოვრებთა შეუსაბამობა, ამ სიჩუმეს, რასაც აქ გაკვირვებით ვპოულობთ ბუკის ხმების შემდეგ, იწვევს ის დაუვიწყარი ფუფუნება, რაც თავისი სიძველით ამხელს დინასტიების სწრაფწარმავლობას, მთელი არსებულის გარდუვალ ამაოებას. და საუკუნეთა სუნთქვას, გამაბრუებელსა და მწუხრულს, ვით მე-

მიის სურნელებას, რასაც მიამიტი ადამიანებიც კი გრძნობენ. როზანეტი განუწყვეტლად ამთქნარებდა. ისინი სასტუმროში დაბრუნდნენ.

საუზმის შემდეგ ლია ეკიპაჟი მიჰგვარეს. ფონტენებლოდან გავიდნენ ფართო მრგვალი მოედნით, შემდეგ ნელი ნაბიჯით შეუდგნენ აღმართს ქვიშიანი გზით დაბალ ფიქვნარში. ცოტა ხნის შემდეგ ხეები უფრო მაღალი გახდა და მეეტლე ალაპარაკდა: „აი სიამელი ტყუპები, ფარამუნდი, სამეფო თაიგული...“ არ გამოუტოვებია არც ერთი განთქმული პეიზაჟი, ზოგჯერ ცხენებსაც კი შეაჩერებდა ხოლმე, რომ ცქერით დამტკბარიყვნენ.

ისინი შევიდნენ ფრანშარის კოროლში. ეტლი მარხილივით მისრიალებდა ბალახში; ღუღუნებდნენ უჩინარი მტრედები; უეცრად გამოჩნდა კაფე, მსახური და ეტლი გაჩერდა ბაღის ღობესთან, რომლის გადალმაც მრგვალი მაგიდები იდგა. ფრედერიკმა და როზანეტმა მარცხნივ დატოვეს დანგრეული მონასტრის კედლები, გაპყვნენ დიდრონი ქვებით მოფენილ ბილიკს და მალე ხევში აღმოჩნდნენ.

ხევის ერთი კალთა დაფარულია კირქვით და ღვიის ბუჩქებით, მეორე კი, თითქმის შიშველი, ხრამში ეშვება, სადაც მანანის მკაფიო ფერთა შორის მქრქალ ხაზივით გასდევს ბილიკი; სულ შორს მოჩანს მწვერვალი, როგორც თავკვეთილი კონუსი, იმის იქით კი — ტელეგრაფის კოშკურა.

ნახევარი საათის შემდეგ ერთხელ კიდევ გადმოვიდნენ ეტლიდან და შეუყვნენ აპრემონის მთებს.

გზა მიიკლაკნება დაბალ ფიქვნარსა და კუთხოვან კლდეთა შორის; ტყის ეს ნაწილი უცნაურად ყრუა, აქ გამეფებულია მკაცრი დუმილი. უნებლიეთ გაგონდებიან ის განდეგილები, რომლებიც ცხოვრობდნენ უზარმაზარ ირემთა შორის, რქებს შუა რომ ცეცხლოვანი ჯვრები ჰქონდათ, და მამობრივი ღიმილით ეგებებოდნენ საფრანგეთის კეთილ მეეფებს, რომლებიც მათი ქვაბულების წინ იჩოქებდნენ. ცხელი ჰაერი გაყოლენთილი იყო ფისის სუნით, ხეთა ფესვები ძარღვებივით იხლართებოდნენ მიწაზე. როზანეტი ძათ შორის ბორძიკობდა, სასო ეკვეთებოდა და ტირილი უნდოდა.

მაგრამ, როცა მწვერვალზე ავიდა, კვლავ გაჰხიარულდა: ფოთლების ფანჩატურაში აღმოჩნდა რესტორნის მსგავსი რაღაც და იქვე იყიდებოდა ხისაგან გამოჭრილი ნივთები. დალია ერთი ბოთლი ლი-

მონათი, იყიდა ჭყორის საბიჯგი, არც კი შეუხედავს ლანდშაფტი-სათვის, ზეგნიდან რომ იშლებოდა და ყაჩაღის გამოქვაბულში შეჰ-ყვა ბიჭუნას, ჩირადღანი რომ მიჰქონდა.

ეტლი მათ ბა-ბრეოში ელოდებოდა.

ლურჯბლუზიანი მხატვარი მუხის ქვეშ იჯდა, მუხლებზე ედო საღებავებიანი ყუთი და მუშაობდა. თავი ასწია და თვალი გააყოლა მათ. შაიოს ფერდობზე უეცრად წვიმამ მოუსწროთ და ეტლის ჩარდახი ასწიეს. წვიმა მალე შეწყდა, და, როცა ქალაქში შეეიდ-ნენ. ქვაფენილზე მზე ლაპლაპებდა.

მგზავრებისაგან, რომლებიც ის იყო მოვიდნენ, მათ შეიტყვეს, რომ პარიზში ცხარე, სისხლისმღვრელი ბრძოლაა. როზანეტსა და მის საყვარელს ეს არ გაჰკვირვებიათ. მგზავრები მალე გაეშვნენ გზას: სასტუმროში კვლავ ყველაფერი დაწყნარდა და მათ ტკბი-ლად ჩაეძინათ შადრევნის ყღურტულზე, ეზოდან რომ ისმოდა.

მეორე დღეს ისინი წავიდნენ მგლის ხეობის, ფეის ტბის, გრძე-ლი კლდის, მარლოს სანახავად, მესამე დღეს კი მეეტლეს მოან-დეს, სადაც უნდოდა, წაეყვანა ისინი, მხოლოდ ჰკითხავდნენ ხოლ-მე, სად ვართო, და ხშირად ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ გან-თქმულ პეიზაჟებს.

თავს მშვენივრად გრძნობდნენ ძველ ლანდონში, რომელსაც გამოკრული ჰქონდა გახუნებულზოლებიანი ტილო და დასაჯდომიც დივანივით დაბალი ჰქონდა. ბუჩქებით დაფარული თხრილები რიტმულად და უწყვეტად მიცურავდნენ გვერდით: თეთრი სხეულები ისრებივით ერჭობოდნენ მაღალ გვიმრას; განზე გაწოლილიყო ხა-ზივით სწორი გზა, რომელზეც ახლა არავინ ჩანდა, ასე რომ, ალაგ-ალაგ ზედ მოჩანდა მობიბინე ბალახი. გზაჯვარედინებზე მკლავები გაეშალათ გისოსებს, ხოლო აქა-იქ გამხმარ ხესავით გადახრილიყო ბოძი და ვიწრო, დაკლაკნილი ბილიკი, ხეებში რომ იკარგებოდა, ტყისაკენ გეპატიჟებოდა: ცხენი ბილიკზე გადიოდა და თვლები ტალახში ეფლობოდა, წინ კი ხავსგადავლილი ლომა ნაურმალი მოჩანდა.

მათ ეგონათ, აქ მარტონი, ადამიანებს დაშორებულნი ვართო. მაგრამ უეცრად წააწყდებოდნენ თოფიან მეტყევეს ან ჩამოკონკილ ქალებს, ზურგზე რომ კონა ფიჩხები ეკიდათ.

როცა ეტლი შეჩერდებოდა, ჩამოვარდებოდა სიჩუმე: ისმოდა მხოლოდ, როგორ სუნთქავდა ცხენი და ჩირგვში წიოდა ჩიტი.

ზოგან ტყის პირი მკაფიოდ იყო განათებული. ტყე კი ჩრდილში იყო ჩაძირული. აქა-იქ სინათლე, რაღაც ბურუსისებრი ბინდით რომ იყო წინ მოცული, იქით ლილისფერ და თეთრ ლაქად ვრცელდებოდა. ზენიტში ასული მზე შვეულ სხივებს აფრქვევდა მწვანე ხეებს, შხეფავდა მათ და კენწლებზე ვერცხლის წინწკლებზე ვერცხლის წინწკლებს აყრიდა, ბალახს ზურმუხტის ზოლებად ეფინებოდა, დაცვენილ ფოთლებს ავარაყებდა; თავი რომ აგეწიათ, ხეებში ცას დაინახავდით. ზოგი უსაზომოდ მაღალი ხე მოგაგონებდათ იმპერატორს ან პატრიარქს, ზოგი ერთმანეთს ეხებოდა წვეროკინებით და მაღალი ტანებით თითქოს საზეიმო კამარას ქმნიდა: ისინი კი, ფესვებიდანვე რომ მრუდე იყვნენ, ძველ ბოძებს ემსგავსებოდნენ და იფიქრებდით, აგერ-აგერ წაიქცევიანო.

ზოგჯერ ამ გაუვალ შვეულ ხაზებში გამოჩნდებოდა ჰიპიტა. მაშინ უზარმაზარ მწვანე ტალღებად აღიმართებოდნენ უსწორმასწორო ბორცვები, დობილოებში რომ ეშვებოდნენ, მათ იქით კი კვლავ და კვლავ გორაკები დასცქეროდნენ ოქროსფერ ყანებს, რომლებიც სადღაც მქრქალ, ნისლოვან სივრცეში იკარგებოდნენ.

ზოგჯერ რომელიმე მაღლობზე მხარდამხარ მდგომნი, ისინი ქარს ისუნთქავდნენ და გრძნობდნენ, თითქოს სულში ენერგებოდათ უფრო თავისუფალი სიცოცხლის ამაყი შეგნება, ძალთა სიჭარბე, უმიზეზო სიხარული.

ნაირფერი მცენარეულობის გამო პეიზაჟი მუდამ იცვლებოდა, თეთრ და გლუტანიან წიფლებს ფესვები გადაეხლართათ. იფნებმოთენთილად დაეშვათ ტოტები ლურჯ-მწვანე ფოთლებში, ხოლო ახალგაზრდა რცხილებს შორის ამოჩრილიყვნენ თითქოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ბზები; ტანწვრილი არყები ელეგიურად დახრილიყვნენ; ორღანოს მილებივით ტანსწორი ფიჭვები, თითქოს გალობენო, განუწყვეტლივ ირხეოდნენ აქეთ-იქით; აქ იყო უზარმაზარი, დაკვანძული მუხებიც, ზეცას რომ აჭრილიყვნენ და ერთმანეთისათვის მოეხვიათ მძლავრი, ძარღვიანი ტოტები; რაღაც გულისშემწყველი, ციებ-ცხელებისებრი მოთენთილობა დაუფლებოდა ჭაობიან წყლებს, რომელთაც გარს ერტყა ეკლიანი ბუჩქნარი: ხავსურით დაფარული ნაპირები, სადაც მგლები დასარწყულებლად მოდიან, მთლად გადარუჯული იყო, თითქოს ზედ როკაპებს უცეკვიათო; ბაყაყთა განუწყვეტელი მაყრული ერწყმოდა ჰაერში მორიალე ყვავ-ყორნის ყრანტალს. შემდეგ იწყებოდა ერთფეროვანი განაკაფები, ნაპირებზე რომ აქა-იქ ახალგაზრდა ხეები ამოეყარა.

ისმოდა რკინის ღრჭიალი, მძიმე და ხშირი რახუნი: გორაკის კალთაზე მუშათა ჯგუფი ქვას ამტვრევდა, კლდეები სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა და ბოლოს მთლად ავსებდა მიდამოს. კუბური, როგორც სახლები. ბრტყელი, ვით ფილები, ისინი ერთმანეთს ეყრდნობოდნენ, ერთმანეთს ასხდნენ და უერთდებოდნენ, როგორც გამქრალი ქალაქის უცნობი, საშინელი ნანგრევები. მაგრამ მათი ქაოსური ჩახერგილობა უფრო ვულკანებს, წარღვნებს, ჩვენთვის უცნობ საშინელ კატაკლიზმებს მოგაგონებდათ, ფრედერიკი ამბობდა: ეს კლდეები ამ ქვეყნიერების გაჩენიდან ყოფილა და მის დასასრულამდე იქნებიანო. როზანეტი პირს იბრუნებდა და აცხადებდა: ასეთი სანახაობა ჭკუაზე შემშლისო. იგი ამჯობინებდა დაეკრიფა მანანა. ეს პაწაწინა, მოლურჯო ყვავილები უსწორმასწორო ლაქებივით იყო ერთმანეთს მიჯრილი, ხოლო მისი მოხრილი ფესვებით ამოყრილი მიწა, ქარსის კილიტებით მოფენილ სილაზე, შავ არშიად მოჩანდა.

ერთხელ ისინი აბობღდნენ ქვიშიან გორაკზე. ფერდობი, სადაც ადამიანის ფეხი არ დადგმულიყო, სიმეტრიულად იყო დასერილი ტალღისებური ზოლებით; აქა-იქ თითქოს დამშრალი ოკეანის კალაპოტის კონცხებიაო, გამოშვერილიყო კლდეები, რომლებიც შესახედაობით სხვადასხვა მხეცს ჰგავდა: კისერწაწვდილ კუებს, მცოცავ სელაპებს, ჰიპოპოტამებს, დათვებს. გარშემო არავინ ჩანდა, არსად ხმა არ ისმოდა. მზეზე ალაპლაპებული სილა თვალს ჭრიდა, და უეცრად ამ არიალებულ სხივებში მხეცები თითქოს ამოძრაოდნენ. შეშინებული ფრედერიკი და როზანეტი უკან გაიქცნენ.

ტყეში გამეფებული გაუტეხელი სიჩუმე ხიბლავდათ. იყო წუთები, როცა გარინდებულნი ჩუმად ირხეოდნენ ეტლის რესორებზე, როგორც უშფოთველი ძილით გაყუჩებულნი. როზანეტის წელზე ხელმოხვეული ფრედერიკი უსმენდა მის ხმასაც და ჩიტების ჭიკჭიკსაც, ათვალიერებდა ყურძნის შავ მარცვლებს მის ქუდზე და ღვიის ნაყოფსაც ჩირგვებზე, მისი პირბადის ნაოჭებსაც და ღრუბლების ხუჭუჭებსაც, ხოლო როცა მისკენ დაიხრებოდა, გრძნობდა მისი პირის კანის სინორჩეს და ტყის სურნელებასთან ერთად იყნოსავდა. ყველაფერი ართობდათ: საკვირველებასავით უცქეროდნენ ობობას ქსელის წვრილ ძაფებს, ჩირგვებზე რომ ეკიდა, ქვების ღრმულებს, წყლით რომ იყო სავსე, თრითინას ხის ტოტებში, ორ ჰეპელას, უკან რომ მოსდევდათ. ზოგჯერ ოციოდე ნაბიჯზე ტყეში მშვიდად გაიელიდა უწყინარი კეთილშობილი ფურირემი და მის

გვერდით პატარა ნუკრი. როზანეტს სურდა დასდევნებოდა მათ, დაეჭირა და დაეკოცნა მომხიბვლელი პატარა.

ერთხელ ძლიერ შეეშინდა: სრულიად მოულოდნელად მასთან მივიდა ვიღაც კაცი და ყუთში უჩვენა სამი გველ-გესლა. იგი მაგრად მიეხუტა ფრედერიკს, ეს კი ბედნიერი გახდა, რადგან იგრძნო მისი სისუსტე და თავისი ძლიერება, მიხვდა, რომ შეუძლია მისი დაცვა.

იმავე საღამოს ისადილეს რესტორანში სენის ნაპირზე. მაგიდა ფანჯარასთან იდგა. როზანეტი ფრედერიკის პირდაპირ იჯდა, ვაჟი ტკბებოდა მისი თხელი თეთრი ცხვირის, გამობურცული ტუჩების, ნათელი თვალების, მშვენიერი წაბლისფერი თმის, ლამაზი ოვალური პირისახის ცქერით. თეთრი ფულარის კაბა შემოსხვარტული ჰქონდა ოდნავ დაქანებულ მხრებზე, ხელები კი, ნატიფი ხელები სუფრაზე მოძრაობდნენ, ჭრიდნენ, ასხამდნენ. მოართვეს ტაბაკა, საწებლიანი ანგალა თიხის ჯამით, მწკლარტე ღვინო, გამხმარი პური, ბლაგვი დანები. ყოველივე ეს აძლიერებდა მათ სიხარულს, ილუზიას. კინაღამ ეგონათ, თაფლის თვის გასატარებლად იტალიაში ვმოგზაურობთო.

სანამ შინ დაბრუნდებოდნენ, მდინარის ნაპირზე გასასეირნებლად წავიდნენ.

მქრქალ-მოლურჯო ცა, გუმბათივით რომ დახურვოდა თავს დედამიწას, ჰორიზონტზე ტყის აჩხატულ მწვერვალებს ეხებოდა. მინდვრის მეორე ბოლოში აღმართულიყო სოფლის ეკლესიის სამრეკლო, იქით კი, მარცხნივ, სახლის სახურავი წითელ ლაქასავით იხატებოდა მდინარეში, აქ რომ უხვევდა და უძრავი ჩანდა. გარნა ლელი იხრებოდა და წყალი ნელა არხევდა ნაპირზე დარჩობილ ჭოკებს, რომლებზეც გაფენილი იყო ბადეები; იქვე ეგდო ძეწნის გოდორი და ორი-სამი ძველი ნავი. ფუნდუკის ეზოში მოსამსახურე გოგო, ჭილობის ქუდი რომ ეხურა, ჭიდან წყალს იღებდა და ყოველთვის, როცა კასრი ამოდიოდა, ფრედერიკი გამოუთქმელი სიამით უგდებდა ყურს ჯაჭვის ჭრიალს.

არ ეეჭვებოდა, რომ ბედნიერი იქნებოდა სიკვდილამდე: ესოდენ ბუნებრივად ეჩვენებოდა თავისი ბედნიერება, ესოდენ განუყრელად უკავშირებდა იგი მის სიცოცხლეს ამ ქალის პიროვნებას. სურდა რაიმე ნაზი, ალერსიანი ეთქვა მისთვის. ქალი საამურად უპასუხებდა, მხარზე ხელს უთათუნებდა, და ვაჟს ხიბლავდა მისი ალერსის მოულოდნელობა. იგი ქალის არსებაში ამჩნევდა სრუ-

ლიად ახალ სილამაზეს, რაც, შესაძლებელია, მხოლოდ გარესამყაროს ანარეკლი ანდა მისი იდუმალი არსით იყოს გამოწვეული.

როცა მინდორში ისვენებდნენ ხოლმე, ვაჟი კალთაში ჩუდებდა თავს, მისი ქოლგის ჩრდილში; ან ერთმანეთის პირდაპირ დაწვებოდნენ პირქვე, თვალებში ღრმად ჩააცქერდებოდნენ და სურვილს აღუძრავდნენ ერთმანეთს, ხოლო როცა მას დაიკმაყოფილებდნენ, ოდნავ თვალმოხუჭული მიყუჩდებოდნენ.

ზოგჯერ სადღაც ატყდებოდა დოლების გუგუნი. ეს განგაში იყო, რაც ხალხს მოუწოდებდა პარიზის დასაცავად.

— აჰ, გესმის? აჯანყებაა! — ზიზღნარევი სიბრალულით იტყოდა ფრედერიკი, რადგან მთელი ეს მღელვარება არარაობად ეჩვენებოდა მათ სიყვარულთან და მარადიულ ბუნებასთან შედარებით.

და ვინ მოთვლის, რაზე ლაპარაკობდნენ ხოლმე: უბედობდნენ ისეთ რამეებზე, რაც ისედაც იცოდნენ, ადამიანებზე, რომლებიც სრულიად არ აინტერესებდა, ყოველგვარ უმნიშვნელო საგანზე. ქალი ელაპარაკებოდა თავის მოსამსახურე გოგოზე, პარიკმახერზე. ერთხელ წამოცდა რა ხნისა იყო: ოცდაცხრისა ვარ, ვბერდებიო.

თვითონაც აღარ ახსოვდა, რამდენჯერ დაწვრილებით უამბო თავის ცხოვრებაზე: იყო გამყიდველი მაღაზიაში, იმგზავრა ინგლისში, ეზზადებოდა მსახიობად; ყოველივე ამაზე აბნეულად ლაპარაკობდა და ფრედერიკმა მთლიანი სურათი ვერ აღადგინა. უფრო მეტიც უამბო როგორღაც, როცა მინდორში ისხდნენ ხისქვეშ. ქვემოთ, გზის პირას გოგონა ძროხას აძოვებდა. ისინი რომ დაინახა, მოურიდებლად მივიდა და მოწყალება ითხოვა. ცალი ხელით თავისი კაბის კონკი ეჭირა, მეორეთი კი იფხანდა შავ თმას, ლუი XIV დროის პარიკს რომ მოგაგონებდა; თმა ჩამოშლილი ჰქონდა სახეზე, რომელსაც მშვენიერი თვალები აციმციმებდნენ.

— ერთ დროს კარგი იქნება, — თქვა ფრედერიკმა.

— ბედი ჰქონია, თუ დედა არ ჰყავს! — შენიშნა როზანეტმა.

— ა? როგორ?

— ჰო-მეთქი. აი, მეც რომ...

ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი თავის ბავშვობაზე. მისი მშობლები მრთველები იყვნენ კრუა-რუსის ქარხანაში. თავის მამასთან შეგირდად იყო. საბრალო მამა მუშაობდა, თავს არ იზოგავდა. მაგრამ ცოლი აგინებდა და ყველაფერს ყიდდა, ოღონდ წასულიყო და დაელია. როზანეტს გუშინდელივით ახსოვს მათი ოთახი, ფანჯ-

რების გასწვრივ განლაგებული დაზგები, წვნიანი ქოთანი ღუმელზე, წითელ ხესავით შეღებილი საწოლი, მის პირდაპირ კარადა ღა ბნელი საკუჭნაო, სადაც თხუთმეტი წლის ასაკამდე სულ იქ ეძინა. ბოლოს, მოვიდა ვიღაც მსუქანი, მურა სახის ვაუბატონი, ჰეზჰუზელა, მთლად შავად ჩაცმული. დედას მოელაპარაკა და აი მესამე დღეს... როზანეტი შედგა და უტიფრობითა და მწუხარებით აღსავსე თვალი მიაპყრო ფრედერიკს:

— საქმე მორჩა!

მერმე, თითქოს ფრედერიკს უპასუხებსო:

— რადგან იგი ცოლიანი იყო, შინ მიყვანას ერიდებოდა, ამიტომ რესტორანში მიმიყვანეს, ცალკე კაბინეტში, და მითხრეს: ბედნიერი იქნები. კაი საჩუქარს მიიღებო. პირველი, რამაც გამაკვირვა, როგორც კი ოთახში ფეხი შევედგი, იყო მოოქროული შანდალი სუფრაზე, რომელიც გაშლილი იყო ორი სულისათვის. ჭურჭელი ირეკლებოდა ჭერის სარკეში, კედლებზე გაკრული იყო ცისფერი აბრეშუმი და ოთახი ალკოვს ჰგავდა. ყოველივე ამან გამაოცა. გესმის: საბრალო გოგონა, რომელსაც არასოდეს არაფერი არ ენახა! თუმცა ამ ბრწყინვალებამ თვალი დამიბნელა, მაგრამ თანაც შიშმა ამიტანა, წასვლა მინდოდა. გარნა დავრჩი.

სუფრის წინ მხოლოდ დივანი იდგა. იმაზე ჩამოვჯექი, ისეთი რბილი იყო! კალორიფერის სასულედან, ხალიჩა რომ ეფარა, ცხელი ჰაერი გამოდიოდა, მე კი ვიჯექი და ხელი არაფრისათვის არ მიხლია. ლაქია თავზე მადგა და მეხვეწებოდა, მიირთვიო, და ჭიქა პირამდე ღვინით ამივსო. თავბრუ დამეხვია, მინდოდა ფანჯარა გამეღო, მან მითხრა: „არა, ქალბატონო, არ შეიძლება". და წავიდა. სუფრაზე იმდენი რამე იყო, რისი წარმოდგენაც კი არ მქონდა. არც ერთი საქმელი არ მომეწონა. მაშინ მურაბიან ვაზას ვეცი და სულ გავათავე. არ ვიცი, ის კაცი რამ დააგვიანა. უკვე ძლიერ გვიანი იყო, თითქმის შუაღამე, ისე დაღლილი ვიყავი, რომ თავს ძლივს ვიკავებდი. ბალიშებს დავუწყე გადალაგება, რომ უფრო მოხერხებულად დავწოლილიყავ, და უეცრად ხელში ჩამივარდა ალბომისებრი რაღაც რვეული, უხამსი სურათები... ჩამძინებოდა, როცა ის მოვიდა.

როზანეტმა თავი ჩაღუნა და ჩაფიქრდა.

მაღლა ფოთლები შრიალებდნენ, ხშირ ბალახში ირხეოდა დიდი

ფეტკარა. მინდორი მზით იყო გაკაშკაშებული, ხანდახან ისმოდა მხოლოდ, როგორ გლეჯდა ბალახს ძროხა.

როზანეტი მხოლოდ ერთ წერტილს მიშტერებოდა, ნესტოები ეთრთოდა. ფრედერიკმა ხელში ხელი ჩაჰკიდა.

— რამდენი რამ გადაგიტანია, ჩემო კარგო!

— დიახ, — წარმოთქვა ქალმა, — მეტი, ვიდრე გგონია! თავის მოკვლაც კი მინდოდა! წყლიდან ძლივს ამომათრიეს...

— როგორ?

— ეჰ! ამაზე ნულარ ვიფიქრებთ! მიყვარხარ და ბედნიერი კარ. ნაკოცე!

და ბირკავას დაუწყო გლეჯა, კაბის კალთაზე რომ მიჰკვროდა.

ფრედერიკი ყველაზე მეტად იმაზე ფიქრობდა, რაც ქალს არ უთქვამს. რა გზით დააღწია თავი სიღატაკეს? რომელ საყვარელს უმადლის თავის აღზრდას? და რა მოხდა მის ცხოვრებაში იმ ღღემდე, როცა პირველად შედგა ფეხი მის სახლში? ქალის უკანასკნელი ალიარება შეუძლებელს ხდიდა ყოველგვარ გამოკითხვას. მხოლოდ ის ჰკითხა, არნუს როგორ გაეცანიო.

— ვატნაზმა გამაცნო.

— იმათთან ერთად არ. გნახე ერთხელ პალე-როიალში?

თარიღიც გაახსენა. როზანეტმა სცადა მოგონება.

— დიახ, მართალია... იმ ხანებში მხიარული ვერ ვიყავ! მაგრამ არნუმ თავი დიდებულად გამოიჩინა.

ფრედერიკს ეს არ ეეჭვებოდა, მაგრამ მათი მეგობარი დიდი უცნაური კაცია, ბევრი ნაკლი აქვს; და არ დააყოვნა მათი ჩამოთვლა. ქალი ეთანხმებოდა.

— მერე რა? რაც უნდა იყოს, მიყვარს ის არამზადა!

— ახლაც? — ჰკითხა ფრედერიკმა.

ქალი წამოწითლდა და ვითომ სიცილით, ვითომ გაჯავრებით მიუგო:

— არა-მეთქი! დიდი ხნის ამბავია. შენ არაფერს არ გიშალავ. კიდევაც რომ ასე იყოს, ის ხომ სულ სხვაა! გარნა შენ არცთუ მაინცდამაინც კარგად ეპყრობი შენს მსხვერპლს!

— მსხვერპლსაო?

როზანეტმა ნიკაპში ჩაჰკიდა ხელი.

— რა თქმა უნდა!

და ენამოჩლექით, როგორც ძიძებმა იციან:

— ყოველთვის როდი ყოფილხარ „კაი ბიჭი“! ხომ გითელავს მისი ცოლის ლოგინი?

— მეე? არასოდეს ჩემ სიცოცხლეში!

როზანეტმა გაიღიმა, მისმა ღიმილმა ფრედერიკს აწყენინა, როგორც გულგრილობის ნიშანმა, ყოველ შემთხვევაში მას ასე ეგონა. მაგრამ ქალმა ნაზად მიაპყრო თვალი, თითქოს ეეედრება, მითხარ, რომ ტყუილიაო.

— მართალს ამბობ?

— რა თქმა უნდა!

ფრედერიკმა დაიფიცა, არასოდეს ქ-ნ არნუზე არ მიფიქრია, მე ხომ სხვა მიყვარს გაგიჟებითო.

— ეგ სხვა ვინ არის?

— შენ, ჩემო მშვენიერო!

— ეჰ, ნუ დამცინი! ნუ მაბრაზებ!

ფრედერიკმა მეტ სიფრთხილედ მიიჩნია ეამბნა მისთვის გამოგონილ გატაცებაზე, მთელი ამბავი შეთხზა. იგონებდა მეტად დამაჯერებელ წვრილმანებს. თუმცა ის ქალი დიდ მწუხარებას მაყენებდაო.

— გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ბედი არა გაქვს! — უთხრა როზანეტმა.

— ჰო, შესაძლებელია! — მიუგო ფრედერიკმა და სურდა გადაკრულად ეამბნა ზოგიერთ წარმატებაზე ამ მხრივ, რათა ქალი უფრო დიდი აზრისა ყოფილიყო მასზე, სწორედ ისე, როგორც როზანეტი არ ასახელებდა ყველა თავის სიყვარულს, რადგან თვით უაღრესად გულწრფელი აღსარების დროსაც უთქმელი რჩება ზოგი რამ და ამის მიზეზია ცრუ კდემა, სირცხვილი ან სიბრალული. მახლობლის ან შენს არსებაში ხშირად ისეთ უფსკრულს ან ჭაობს აღმოაჩენ, რომლებიც წინსვლის საშუალებას არ გაძლევენ; თანაც გრძნობ, ვერ გამიგებენო; ძნელია ზუსტად გამოთქვა რაიმე; იშვიათია აგრეთვე სრული ერთობა.

საბრალო როზანეტს არასოდეს არ უნახავს უკეთესი რამ. ხშირად, როცა ფრედერიკს უცქერდა ხოლმე, თვალები ცრემლით ევსებოდა, ზევით აიხედავდა და ჰორიზონტს მიაშტერდებოდა, თითქოს ლამობდა იქ დაენახა კაშკაშა განთიადი, უსაზღვრო ნეტარებით აღსავსე მომავალი. ბოლოს, ერთხელ, როგორღაც ინატრა გადაეხადა პარაკლისი, „რათა ამან ბედნიერება მოუტანოს ჩვენს სიყვარულს“.

მერმე რატომ ასე დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ფრედერიკს? თვითონაც არ იცოდა. ფრედერიკს არა ერთხელ მიუცია ასეთი კითხვა. იგი კი მაგრად მოეხვეოდა და ეტყოდა:

— მეშინოდა, ძლიერ არ შეგიყვარო-მეთქი, ძვირფასო!

კვირადილას, გაზეთს რომ კითხულობდა, ფრედერიკი დაჭრილთა სიაში დიუსარდიეს გვარს წააწყდა. უეცრად შეჰკივლა, როზანეტს გაზეთი ეჩვენა და უთხრა, ახლავე უნდა წავიდეო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ვნახო, მოვუარო!

— მარტოს არ დამტოვებ, მგონია?

— წამომყევ.

— აჰ! რომ იმ ორომტრიალში მოვხვდე, არა? დიდად გმადლობ!

— კი, მაგრამ არ შემიძლია...

— ოჰ! ოჰ! თითქოს ჰოსპიტლებში მომვლელი ცოტაა! ან კი რას ეჩრებოდა, რა მისი საქმე იყო? ყველამ თავის თავზე იზრუნოს!

ფრედერიკი მისმა ეგოიზმმა აღაშფოთა და თავის თავს უსაყვედურებდა, რატომ იქ არ ვარ სხვებთან ერთადო. ეს გულგრილობა საშშობლოს გაჭირვებისადმი რაღაც უხამს, უმადურს შეიცავდა. როზანეტის სიყვარულმა იგი ერთბაშად დაამძიმა, როგორც დანაშაულმა. ერთ საათს დამდურებულნი იყვნენ.

მერმე როზანეტი შეეხვეწა, ნუ აჩქარდები, თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებო.

— ერთიც ვნახოთ, მოგკლეს?

— მერმე რა? ჩემს მოვალეობას ხომ შევასრულებ!

როზანეტი შეხტა. „მისი მოვალეობაა ეუყვარდე. მაშ, აღარ ვუნდივარ, უეჭველია! აბა, ამას რა აზრი აქვს! რა ჩმახვაა, ღმერთო ჩემო!“

ფრედერიკმა დარეკა, რათა ანგარიში გაესწორებინა. მაგრამ ადვილი როდი იყო პარიზს დაბრუნება. ლულუარის საქირაო დილიჟანსი უკვე წავიდა, ლეკონტის ეტლები მგზავრებს არ იღებდნენ, ბურბონედან მომავალი დილიჟანსი მხოლოდ გვიან ღამით იქნებოდა და ისიც, ალბათ, მთლად გაჭედილი. ფრედერიკს ამ ძებნაში ბევრი დრო დაეკარგა და გადაწყვიტა საფოსტო ეტლით წასულიყო. ფოსტის უფროსმა უარი უთხრა, რადგან ფრედერიკს პასპორტი თან არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს ის ეტლი დაიქირავა, რომლითაც სეირნობდნენ, და უკვე ხუთ საათზე მელენის „სავაჭრო სასტუმროში“ იყვნენ.

პაზრის მოედანზე თოფები ჯოჯგინად იდგა. პრეფექტმა ეროვნულ გვარდიას პარიზს წასვლა აუკრძალა. გვარდიელებს, რომლებიც მის დეპარტამენტს არ ეკუთვნოდნენ, გზის განგრძობა სურდათ გაისმოდა ყვირილი. სასტუმროში ხმაურობა იყო.

შეშინებულმა როზანეტმა განაცხადა, იქით აღარ წავალო, და კვლავ დაუწყო ხვეწნა, დავრჩეთო. სასტუმროს პატრონმა და მისმა კოლმა მხარი აუბეს. დავაში ჩაერია ერთ-ერთი მოსადილე, კეთილი ვინმე. იგი ამტკიცებდა, ბრძოლა მალე დამთავრდებაო, მაგრამ შენი მოვალეობა მაინც უნდა შეასრულოო. როზანეტი უფრო ხმამაღლა აქვითინდა. ფრედერიკი მოთმინებიდან გამოვიდა. თავისი ქისა ამოიღო და გადასცა, მერმე სასწრაფოდ აკოცა და წავიდა.

კორბეილის სადგურში შეიტყო, რომ მეამბოხეებმა ზოგან ლიანდაგი აყარეს. მეეტლემ კი იქით წაყვანაზე უარი უთხრა, ცხენებს აღარ შეუძლიათო.

მაგრამ მაინც მისი მეშვეობით ფრედერიკმა სამოც ფრანკად იშოვნა ერთი საძაგელი კაბრიოლეტი, გარდა ამისა, არყის ფულიც მისცა, კაბრიოლეტს იგი იტალიურ კარიბჭემდე უნდა მიეყვანა. მაგრამ იქამდე კიდევ ასიოდე ნაბიჯი იქნებოდა, რომ მეეტლემ სთხოვა, ჩამოხდიო, და უკან გაბრუნდა. ფრედერიკი გზას გაუდგა. რომ ჯარისკაცმა ხიშტით გადაუღობა გზა. ოთხი ჯარისკაცი ყვირილით ეცა:

— ეს ერთი იმათგანია! არ გაუშვათ! გაჩხრიკეთ! ავაზაკი! ვიგინდარა!

იგი ესოდენ გაკვირვებული იყო, რომ გაჰყვა საყარაულოში მოედანზე, სადაც თავს იყრიან გობელენებისა და ჰოსპიტლის ბულვარები და გოდფრუასა და მუფტარის ქუჩები.

ოთხი ბარიკადი, რიყის ქვის ოთხი დიდი გროვა ხერგავდა მოედანზე მისასვლელებს; ზოგან კოცონი ენთო; მიუხედავად მტერის კორიანტელისა. მან გაარჩია ქვეითები და ეროვნული გვარდიელები, რომელთაც ჩაშავებული, კუშტი სახეები ჰქონდათ და ტანსაცმელი შემოხეოდათ. მათ ის იყო ახლა დაეკავებინათ ეს მოედანი და რამდენიმე კაცი დაეხვრიტათ; მათი გააფთრება ჯერ კიდევ არ დაცხრალიყო. ფრედერიკმა მათ უთხრა: ფონტენებლოდან მოვედი. მინდა დავეხმარო დაჭრილ ამხანაგს, რომელიც ბელფონის ქუჩაზე ცხოვრობსო. ჯერ არ დაუჯერეს, ხელები გაუსინჯეს, ყურებშიც კი ჩასუნეს, რომ დარწმუნებულიყვნენ დენთის სუნი ხომ არ სდისო.

ვარნა, რაკი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდა, ბოლოს, დაარწმუნა კაპიტანი თავის სიმართლეში და მანაც ორ მსროლელს უბრძანა, ბოტანიკური ბაღის პოსტამდე მიაცილეთო.

ჰოსპიტლის ბულვარით წავიდნენ. ქროდა ძლიერი ქარი. ამან ფრედერიკი გამოაცოცხლა.

შემდეგ მარშე-ო-შვოს ქუჩისაკენ გაუხვიეს. ბოტანიკური ბაღი მარჯვნივ მოჩანდა, როგორც უზარმაზარი შავი მასა, მარცხნივ კი. თითქოს ცეცხლი უკიდიაო, გაჩირაღდნებული იყო მოწყალების ჰოსპიტალი: ყველა ფანჯარა განათებული იყო და იქ ლანდები იძვროდნენ.

ვამცილებლები უკან გაბრუნდნენ. პოლიტექნიკურ . სკოლამდე ფრედერიკს უკვე სხვა მიაცილებდ..

სენ-ვიქტორის ქუჩა მთლად ჩაბნელებული იყო: არც ერთი გაზის ფარანი, არც ერთი განათებული ფანჯარა. ყოველ ათ წუთში ისმოდა:

— გუშაგებო! ფრთხილად!

და ეს ძახილი. სიჩუმეს რომ არღვევდა, გამოხმობას იწვევდა, როგორც უფსკრულში გადავარდნილი ქვა, ექოს რომ ბადებს.

ზოგჯერ სულ ახლოს გაისმოდა მძიმე ნაბიჯების ხმა. ეს იყო პატრული, გაურკვეველი ხროვა, სულ ცოტა ასიოდე კაცი; მოისმოდა ჩურჩული, წყნარად ჩხარუნებდა რკინა და ადამიანები მიდიოდნენ ნელი რხევით, ბნელში იკარგებოდნენ.

ყოველ გზაჯვარედინზე, შუა ქუჩაში, უძრავად იდგა ცხენოსანი დრაგუნი. ხანდახან ჩორთით გაირბენდა შიკრიკი, შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდებოდა. სადღაც ქვემეხები მიჰქონდათ და ქვაფენილზე ისმოდა ყრუ და მრისხანე გრიალი. გული იკუმშებოდა ამ ხმაურით, არც ერთ ჩვეულებრივ ხმაურს რომ არ ჰგავდა. გეგონებოდა. სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ეს სრული, გაუტეხელი, შავი დუმილიო, თეთრბლუზიანი ადამიანები ჯარისკაცებთან მიიდოდნენ, რაღაცას ეტყოდნენ და მოჩვენებასავით ქრებოდნენ.

პოლიტექნიკური სკოლის საყარაულო ხალხით იყო გაჭედილი. ზღურბლზე იდგნენ ქალები, შვილის ან ქმრის ნახვას რომ თხოულობდნენ. მათ მორგში გზავნიდნენ, და არავის არ სურდა ფრედერიკის მოსმენა. იგი დაჟინებით ითხოვდა, იფიცავდა, მეგობარი დიუსარდიე მიმელის, შეიძლება მოკვდესო. ბოლოს, კაპრალი გააყოლეს სენ-ჟაკის ქუჩის ბოლომდე მე-12 ოლქის მერიაში.

პანთეონის მოედანი სავსე იყო ჯარისკაცებით, ჩალაზე რომ ეძინათ. თენდებოდა. ქრებოდა ბანაკის ცეცხლი.

ამბოხებამ ამ უბანში საშინელი კვალი დატოვა. ქუჩები თავიდან ბოლომდე გადათხრილი, ახორგილი იყო. ახლა უკვე დანგრეულ ბარიკადებზე ეყარა ომნიბუსები, გაზის მილები, ურმის თვლები: აქა-იქ მოჩანდა პატარა შავი გუბეები, ეს, ალბათ, სისხლი იყო. სახლების კედლები შენგრეული იყო ყუმბარებით, მოჩანდა ტკეჩი. ერთ ლურსმანზე შერჩენილი დარაბები მჩვრებივით ეკიდა. კიბეები ჩამონგრეული იყო და კარი ცარიელში იღებოდა. შეიძლებოდა შეგეხედათ ოთახებში, სადაც შპალერი ნაფლეთებად ქცეულიყო; ზოგან გაუტეხელი დარჩენილიყო რომელიმე მსხვრევადი ნივთი. ფრედერიკმა შენიშნა კედლის საათი, თუთუყუშის საჯდომი, ჯოხი, გრავიურები.

როცა ფრედერიკი მერიაში შევიდა, ეროვნული გვარდიელები დაუსრულებლად მსჯელობდნენ ბრეასა და ნეგრიეს, დეპუტატ შარბონელისა და პარიზის არქიეპისკოპოსის სიკვდილზე. ამბობდნენ, ბულონში ომალის ჰერცოგი გადმოჯდა, ბარბესი ვენსანიდან გაიქცა, ბურჟეში არტილერია მიაქვთ, პროვინციებიდან კი მაშველი ჯარი მოდისო. სამ საათზე ვიღაცამ კარგი ამბები მოიტანა: აჯანყებულებმა ეროვნული კრების თავმჯდომარეს პარლამენტიორები გაუგზავნესო.

ყველას გაუხარდა, ხოლო ფრედერიკმა, რომელსაც კიდევ დარჩენოდა თორმეტი ფრანკი, ღვინის საყიდლად გაგზავნა და იმედი ჰქონდა ამით დაეჩქარებინა თავისი განთავისუფლება. უეცრად ვიღაცას სროლის ხმა მოესმა. ღვინის სმა შეწყდა; უცნობს ეჭვიანი თვალები მიაპყრეს; შეიძლებოდა ეს ანრი V ყოფილიყო.

ყოველგვარი პასუხისმგებლობა რომ თავიდან აეცილებინათ, ფრედერიკი მიიყვანეს მე-11 ოლქის მერიაში, სადაც დილის ცხრა საათამდე გააჩერეს.

ვოლტერის სანაპირომდე იგი სირბილით მიდიოდა. ლია ფანჯარასთან იდგა მოხუცი, რომელსაც მარტო ჟილეტი ეცვა: იგი ტიროდა. წყნარად დიოდა სენა; ცა სრულიად მოწმენდილი იყო; ტიუილრის ბაღში ჩიტები გალობდნენ.

ფრედერიკი რომ კარუსელის მოედანზე მიდიოდა, წინ საკაცეს შეეხეჩა. გუშაგებმა სამხედრო სალამის მისაცემად თოფები აღმართეს, ოფიცერმა ჩაჩქანთან ხელი მიიტანა და თქვა: „პატივი

და დიდება მამაცს უბედურებაში!“ ეს სიტყვები თითქმის საკალდებულო გახდა; ვინც ამას წარმოთქვამდა, ყოველთვის საზეიმო აღელვებული სახე უნდა ჰქონოდა. საკაცეს ახლდა რამდენიმე კაცი, რომლებიც გააფთრებით გაჰკიოდნენ:

— სამაგიეროს გადავუხდით! სამაგიეროს გადავუხდით!

ბულვარებზე ეკიპაჟები მიმოდიოდნენ. კართან ქალები ისხდნენ და მჩვარს ძენძავდნენ. ამასობაში აჯანყება ჩააქრეს ან თითქმის ჩააქრეს: ასე იუწყებოდა კავენიაკის მოწოდება, კედლებზე რომ ის იყო გააკრეს. ვივიენის ქუჩის ბოლოს გამოჩნდა მოძრავი გვარდიის ოცეული. მცხოვრებნი სიხარულით აყვირდნენ, ქუდს იქნევდნენ, ტაშს უკრავდნენ, ცეკვავდნენ, ჯარისკაცებს ეხვეოდნენ, ღვინოს სთავაზობდნენ, აივნებიდან ქალები თავს აყრიდნენ ყვავილებს.

ბოლოს, ათ საათზე, იმ დროს, როცა ზარბაზნების გრიალში იპყრობდნენ სენტ-ანტუანის გარეუბანს, ფრედერიკი დიუსარდიეს სხვენზე მოხვდა. დიუსარდიე გულაღმა იწვა და ეძინა. მეზობელი ოთახიდან გამოვიდა ქალი — მ-ელ ვატნაზი.

მან ფრედერიკი განზე გაიხმო და აცნობა, როგორ დაიჭრა დიუსარდიე.

— შაბათს ლაფაიეტის ქუჩაზე აგებული ბარიკადიდან სამფეროვან დროშაში გახვეული ვიღაც ბიჭი ეროვნულ გვარდიელებს უყვიროდა: „მაშ თქვენს ძმებს ესვრით?“ შეტევას განაგრძობდნენ, დიუსარდიემ კი თოფი დააგდო, ბარიკადზე აიჭრა, წიხლის კვრით მეამბოხე წააქცია და დროშა გამოჰგლიჯა. დიუსარდიე ბარიკადის ნანგრევებში ნახეს, თეძო ჰქონდა ტყვიით გატეხილი. საჭირო გახდა ოპერაცია, რომ ყუმბარის ნამსხვრევები ამოეღოთ. მ-ელ ვატნაზი იმ საღამოს მივიდა მასთან და მას შემდეგ არ მოშორებია.

იგი საქმის ცოდნით ამზადებდა ყველაფერს, რაც შესახვევად იყო საჭირო, ასმევდა, ყოველ სურვილს უმალვე უსრულებდა, სრულიად უხმაუროდ მოძრაობდა და მზრუნველ თვალს არ აშორებდა.

ფრედერიკი მთელი ორი კვრის განმავლობაში ყოველ დილით დადიოდა დიუსარდიესთან, ერთხელ, როცა ფრედერიკმა სიტყვა ჩამოაგდო ვატნაზის თავდადებაზე, დიუსარდიემ მხრები აიჩეჩა:

— არა, ეგ უანგაროდ როდია!

— შენ გგონია?

— ამაში დარწმუნებული ვარ! — მიუგო დიუსარდიემ, რომელმაც ამაზე სიტყვის განგრძობა არ ისურვა.

იგი გაზეთებსაც კი არ აკლებდა დაცინვას, რომლებშიც შექებული იყო მისი გმირობა. ეს ქება თითქოს არ სიამოვნებდა. ფრედერიკს ისიც კი გაუმხილა სინდისი მქენჯნისო.

იქნებ ბლუზიანთა მხარეზე უნდა დამდგარიყო; მათ ხომ იმდენ რაიმეს დაჰპირდნენ, რაც შემდეგ არ აუსრულეს. მათს დამმარცხებლებს რესპუბლიკა ეჯავრებათ, თანაც მეტად მკაცრად მოეპყრნენ. რა თქმა უნდა, ისინი მართალნი არ იყვნენ, თუმცა არასავსებით, და ამ პატიოსან ბიუს აწუხებდა ფიქრი, იქნებ სამართლიანობის წინააღმდეგ ვიბრძოდიო.

სენეკალისათვის, რომელიც დაპატიმრებული იყო ტიუილრიში, ტერასისქვეშ სარდაფში სანაპიროს მხარეზე, ასეთი ეჭვები უცხო იყო.

იქ ცხრაასი კაცი იყო, ეუჭყში, ტალახში თავნოკრილნი, დენთის ბოლით, შემხმარი სისხლით გაშავებულნი, ცეებ-ცხელებით აკანკალებულნი, გულისწყრომით აყვირებულნი; როცა ვინმე მოკვდებოდა, გვამი არ გაჰქონდათ. ზოგჯერ, როცა სროლის ხმას გაიგონებდნენ, ეგონათ, ყველას დაგვხვრეტენო, და კედლებს მიაცვივდებოდნენ, მერმე კვლავ თავიანთ ადგილებზე დაეყრებოდნენ; ტანჯვით გაოგნებულ ადამიანებს ეჩვენებოდათ, ეს სინამდვილე კი არა, კოშმარია, სიზმარში ვართო. თაღისქვეშ ჩამოკიდებული ლამპა სისხლის ლაქას ჰგავდა, ჰაერში კი რიალებდა ამ აკლდამის ანაორთქლით ანთებული უთვალავი მწვანე-ყვითელი ნაპერწკალი. ეპიდემიის შიშით, დაინიშნა განსაკუთრებული კომისია. თავმჯდომარე ჩავიდა თუ არა, მყისვე უკან გამოვარდა, გახრწნილი გვამებისა და განავალის სიმყრალით თავზარდაცემული. როცა პატიმრები სასულეებთან მივიდოდნენ, ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები, საგუშაგოებზე რომ იდგნენ, ხიშტებით ჩხვლეტდნენ და არ უშვებდნენ, რკინის რიკულები არ შეარყიონო.

ეს ჯარისკაცები ულმობელნი იყვნენ. იმათ, ვისაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მოუხდა, სურდათ თავი გამოეჩინათ. ეს იყო ლაჩრობის აღვირახსნილობა. შურს იძიებდნენ ერთბაშად გაზეთებისათვის, კლუბებისათვის, კრებებისათვის, დოქტრინებისათვის, ყველაფრისათვის, რასაც უკვე მთელი სამი თვის განმავლობაში ისინი სასოწარკვეთილებაში მოჰყავდა, და, მიუხედავად დამარცხებისა, თანასწორობამ (თითქოს თავის დამცველებს სჯის და მტრებს კი დასცინისო), უგვანმა, მხეცურმა თანასწორობამ ზეიმით იჩინა თავი;

დამყარდა სრულიანი უსამსობის ერთნაირი დონე, რადგან გამორჩენის ფანატიზმი არ ჩამორჩებოდა სიღარიბის უგუნურებას. არისტოკრატია სწორედ ისე მძვინვარებდა, როგორც ბრბო, საღამური ჩაჩი აღმოჩნდა არანაკლებ საზიზღარი, ვიდრე წითელი ქუდი. დაბნელდა საზოგადოებრივი გონება, როგორც დიდი უბედურების შემდეგ ხდება ხოლმე. ზოგი ჭკვიანი ადამიანი, ამის შემდეგ, მთელი სიცოცხლის მანძილზე რეგვენი დარჩა.

ძია როკი ძლიერ მამაცი, თითქმის თავზე ხელაღებული გახდა. 26 ივნისს პარიზში ჩამოჰყვა ნოქანელთა რაზმს, უკან გაბრუნება აღარ ინდომა და შეუერთდა ეროვნულ გვარდიელთა რაზმს, ტიუილრიში რომ იყო ბანაკად, ახლა კი ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ გუშაგად დააყენეს ტერასაზე, სანაპიროს მხარეს. ყოველ შემთხვევაში, აქ ეს ყაჩაღები მის ძალაუფლებაში იყვნენ! ძლიერ კმაყოფილი იყო, როცა გაიფიქრებდა მათ მარცხზე, მათ დამცირებაზე და არ შეეძლო არ შეეგინებინა.

ერთი მათგანი, ქერა, გრძელთმიანი მოზარდი რიკულს მოადგა და პურს ითხოვდა. ბ-ნმა როკმა უბრძანა, გაჩუმდი. ჭაბუკი საბრალოდ იმეორებდა:

— პური მინდა!

— საიდან უნდა მოგცე?

რიკულს სხვებიც მოუახლოვდნენ, წვერაბურძგნულნი, თვალებანთებულნი; ისინი ერთმანეთს უჯიკავებდნენ და ღმუოდნენ:

— პური!

ძია როკი აღშფოთდა, რომ მის ავტორიტეტს არ ცნობდნენ. შესაშინებლად დაიწყო თოფის დამიზნება, ხოლო ამასობაში იმ ჭაბუკს ბრბო მოაწვა და ზედ თაღამდე აიყვანა. მან ერთხელ კიდევ დაიძახა:

— პური!

— აი შენ! მიირთვი! — თქვა ძია როკმა და ესროლა.

გაისმა საშინელი ღრიალი, შემდეგ ყველაფერი მიყუჩდა. კასრის ნაპირზე თეთრი რაღაც დარჩა.

ამის შემდეგ ძია როკი შინ წავიდა; სენ-მარტენის ქუჩაზე სახლი ჰქონდა, სადაც ოთახი იყო მოწყობილი ღამის გასათევად, როცა პარიზს ჩამოდიოდა; იმ გარემოებამ, რომ ამბოხების დროს ამ შენობის წინამო დაზიანდა, დიდად შეუწყო ხელი მის გამძვინვარებას. ახლა კი, როცა კვლავ შეხედა წინამოს, მოეჩვენა, რომ ზიანი

დიდი არ იყო. მის მიერ წეღან ჩადენილმა საქციელმა დააწყნარა, თითქოს ზარალი აუნაზღაურესო.

კარი ქალიშვილმა გაუღო. ქალმა, პირველ ყოვლისა, უთხრა: ვწუხდი, რომ ამდენ ხანს დაიგვიანე; ვშიშობდი, უბედურება ხომ არაფერი შეემთხვა, ხომ არ დაიჭრა-მეთქი.

ქალიშვილის ასეთმა სიყვარულმა გული მოულბო ძია როკს. გაუკვირდა, რატომ მარტო წამოსულა, რატომ კატრინა არ წამოუყვანიაო.

— ის საყიდლებზე გავგზავნე, — მიუგო ლუიზამ.

მერმე გამოჰკითხა, როგორ ხარ, ან ახალი რა იციო, შემდეგ გულგრილად ჰკითხა, ფრედერიკი ხომ არსად შეგხვედრიაო.

— არა! არსად, არასოდეს!

მხოლოდ მისთვის ჩამოსულა პარიზს.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა.

— აჰ! ბოდიში...

და იგი გავიდა.

კატრინმა ფრედერიკი ვერ ნახა. იგი უკვე რამდენიმე დღეა შინ არ ყოფილა, ხოლო მისი ახლო მეგობარი, ბ-ნი დელორიე პროვინციაში ყოფილა წასული.

ლუიზა მთლად აცახცახებული დაბრუნდა, პირში სიტყვას ვეღარ იბრუნებდა, ავეჯს ებღაუჭებოდა, რომ არ წაქცეულიყო.

— რა მოგივიდა? რა მოგივიდა-მეთქი? — მიაძახა მამამ.

ხელით ანიშნა, არაფერიო, და თავს ძალა დაატანა, რომ გონს მოსულიყო.

რესტორნიდან, მათი სახლის პირდაპირ რომ იყო, სადილი მოიტანეს. მაგრამ ძია როკმა დიდი მღელვარება გამოიარა. „ეს ასე მალე არ გაივლის“, და დესერტის დროს თითქოს გული წაუვიდაო, ექიმის მოსაყვანად გაგზავნეს, მან მიქსტურა გამოუწერა. მერმე, უკვე ლოგინში მწოლიარემ, ითხოვა, თბილად დამხურეთ, რომ ოფლი მომივიდესო. ოხრავდა, კვნესოდა.

— გმადლობ, ჩემო კეთილო კატრინ! შენ კი, შვილო, აკოცე შენ საბრალო მამას! აჰ! ეს რევოლუციები!

ქალიშვილი ტუქსავდა, რომ ასე ღელავდა, ავადაც კი გახდა, ის კი ეუბნებოდა:

— ჰო, მართალი ხარ! მაგრამ რომ არ შემიძლია! მეტად მგრძნობიარე გული მაქვს.

ქ-ნი დამბრეზი ბუდუარში იჯდა შვილობილსა და მის ჯონს შუა. და ეუმენდა მოხუც როკს, რომელიც ომის დროს გაჭირვებულ ცხოვრებაზე ლაპარაკობდა.

იგი ტუჩებს იკვნეტდა, თითქოს გუნებაზე არ იყო.

— აჰ, არაფერია! გაივლის!

და თავაზიანად განაცხადა:

— დღეს ჩვენთან სადილობს თქვენი ნაცნობი, ბ-ნი მორო.

ლუიზამ ყური ცქვიტა.

— და კიდევ ვინმე ჩვენი ახლო ნაცნობებიდან, სხვათა შორის ალფრედ დე სიზი.

და დაუწყო ქება მის მანერებს, გარეგნობას, უფრო კი მის ზნეობას.

ქ-ნ დამბრეზის სიტყვებში ნაკლები სიცრუე იყო, ვიდრე თვით ეგონა: ვიკონტი ცოლის შერთვაზე ოცნებობდა. ეს მან მარტინონს უთხრა და თანაც დასძინა, მ-ელ სესილს მოვწონვარ, ამაში დარწმუნებული ვარ და მშობლებიც დათანხმდებიანო.

რაკი ასე აშკარად ამბობდა, ცხადია, ხელსაყრელი ცნობები ჰქონდა მისი მზითევის შესახებ. მარტინონი კი ფიქრობდა, სესილი ბ-ნ დამბრეზის უკანონო ქალიშვილია და, ალბათ, ცუდი არ იქნებოდა მეთხოვაო. ეს გაბედული ნაბიჯი საფრთხესაც წარმოადგენდა; ამიტომ მარტინონს აქამდე თავი ისე ეჭირა, რომ ვალდებული არ ყოფილიყო; გარდა ამისა, არ იცოდა, როგორ მოეშორებინა თავიდან მამიდა. როცა სიზის აღსარება მოისმინა, გადაწყვიტა პოლა-პარაკებოდა ბანკირს, რომელსაც ამის საწინააღმდეგო არაფერი არ ჰქონდა და ეს ამბავი ის იყო ქ-ნ დამბრეზსაც შეატყობინა.

შემოვიდა სიზი. იგი მის შესახვედრად წამოდგა.

— სულ დაგვივიწყეთ... სესილ, Shake hands! (მიესალმე!)

ამ დროს ფრედერიკიც მოვიდა.

— აჰ, როგორც იქნა, გიპოვნეთ! — შესძახა ძია როკმა. — ამ კვირაში სამჯერ ვიყავი ლუიზასთან ერთად თქვენს სანახავად.

ფრედერიკი ბეჯითად გაურბოდა მათ. მოიმიზეზა: მთელ დღეებს დაჭრილი ამხანაგის ლოგინთან ვატარებ, თანაც აუარებელი საქმე მაქვსო; იძულებული იყო ათასგვარი რამ მოეგონებია. საბედნიეროდ, სტუმრები მოვიდნენ: ბ-ნი პოლ დე გრემონვილი,

დიპლომატი, რომელიც ბალზე ნახა, შემდეგ ფიუმიშონი, მრეწველი, მისმა კონსერვატიულმა მისწრაფებამ ოდესღაც ფრედერიკი აღაშფოთა; მათ მოჰყვა ჰერცოგ დე მონტრეი-ნანტუას მეუღლე.

მაგრამ აჰა დერეფანში გაისმა ორი ვინმეს ხმა:

— ამაში დარწმუნებული ვარ! — ამბობდა ერთ-ერთი.

— ჩემო კარგო და ძვირფასო! — ეუბნებოდა მეორე. — ღვთის გულისათვის, დაწყნარდით!

ესენი იყვნენ ბ-ნი დე ნონანკური, ძველი კოხტაპრუწა, ოლდ-კრემით შეთხუპნული მუმია, და ქ-ნი დე ლარსიიუა, ლუი-ფილიპეს დროის პრეფექტის მეუღლე. იგი მთლად ცახცახებდა, რადგან ესმოდა, როგორ უკრავდა ორღანო პოლონურს, რაც მეამბოხეებისათვის გამოსვლის ნიშანი იყო. ბევრს აწუხებდა აგრეთვე ფანტაზია: ამ ბურჟუებს სჯეროდათ, რომ კატაკომბებში მიმალული ადამიანები აპირებენ ააფეთქონ სენ-ჟერმენის გარეუბანი; რაღაც ხმაური მოისმოდა სარდაფებიდან; ფანჯრებთან რაღაც საეჭვო ამბები ხდებოდა.

ყველა ამშვიდებდა ქ-ნ ლარსიიუას. წესრიგი აღდგენილია. საშიში აღარაფერია: „კავენიაკმა ყველანი გვიხსნა!“ თითქოს საშინელება ცოტა იყო, რომ უფრო არ გაეზვიადებინათ იგი. სოციალისტებს მხარს უჭერდა სულ ცოტა ოცდასამი ათასი კატორღელი!

სრულიად არ იყო საეჭვო, რომ სურსათ-სანოვაგეს წამლაგდნენ, რომ მოძრავი გვარდიის ჯარისკაცებს ორ ფიცარს შუა ხერხავდნენ და წარწერანი დროშებით ძარცვისა და ცეცხლის წაკიდებისათვის მოუწოდებდნენ.

— და კიდევ რაღაცეებისათვის! — დასძინა ექსპრეფექტის მეუღლემ.

— აჰ, ძვირფასო! — დარცხვენით წარმოთქვა ქ-ნმა დამბრეზმა და თვალით სამ ახალგაზრდა ქალიშვილზე ანიშნა.

ბ-ნი დამბრეზი და მარტინონი კაბინეტიდან გავიდნენ. ქ-ნმა დამბრეზმა პირი იბრუნა და მისალმებაზე უპასუხა პელერენს, დარბაზში რომ ის იყო შემოვიდა. მხატვარი შეშფოთებით ათვალიერებდა კედლებს. ბანკირმა განზე გაიხმო იგი და აუხსნა, რომ იძულებული იყო დროებით მოეხსნა მისი რევოლუციური სურათი.

— რა თქმა უნდა! — უპასუხა პელერენმა, რომელსაც შეხედულებანი შეეცვალა მას შემდეგ, რაც „გონების კლუბში“ მისი

სურათი არ მოიწონეს. ბ-ნი დამბრეზი მეტად თავაზიანად დაჰპირდა, სხვა სურათებს შეგიკვეთავო.

— ბოდიში... აჰ, ჩემო ძვირფასო, რა ბედნიერებაა!

შემოვიდნენ არნუ და მისი მეუღლე.

ფრედერიკს კინაღამ თავბრუ დაეხვია. როზანეტი, ჯარისკაცებით რომ იყო აღტაცებული, მთელ დღეს უწამლავდა; გაიღვიძა ძველმა სიყვარულმა.

ლაქიამ დიასახლისს მოახსენა, სუფრა გაშლილიაო. ქ-ნმა დამბრეზმა თვალით ანიშნა ვიკონტს სესილი წამოიყვანეო, მარტინონს კი წასჩურჩულა: „არამზადა!“ ყველანი სასადილო ოთახში გავიდნენ.

შუა სუფრაზე, ანანასის მწვანე ფოთლებში, იდო დიდი ოქროსფერი კობრი, თავი შემწვარი ირმის ხორცისაკენ ჰქონდა, ბოლო კი კიბოების თეფშისაკენ. ლეღვი, მსხვილი ალუბალი, მსხალი და ყურძენი (პარიზის ახალი ხილი) გორებად იდგა საქსონური ფაიფურის ვაზებში. აქა-იქ ვერცხლის სერვიზს ეხამებოდა ყვავილთა თაიგულები. ჩამოშვებული იყო თეთრი აბრეშუმის ფარდები, განათებას რომ ანელებდა; ორი აუზი, სადაც ნამტვრევი ყინული ცურავდა, ჰაერს აგრილებდა. სუფრას მომსახურეობას უწევდნენ მოკლეშარვლიანი ლაქიები. განცდილი მღელვარების შემდეგ ყველაფერი უკეთესი ჩანდა. კვლავ ტკბებოდნენ იმით, რაც კინაღამ დაკარგეს. და ნონანკურმა გამოხატა გრძნობა, რაც ყველამ გაიზიარა, როცა თქვა:

— აჰ! იმედი ვიქონიოთ, რომ ბატონი რესპუბლიკელები სადილის ჭამას გვაცლიან!

— მიუხედავად მთელი მათი ცმობისა, — ვითომ იხუმრა ბ-ნმა როკმა.

ეს პატივცემული პირები დასვეს ქ-ნი დამბრეზის მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ, ქმრის პირდაპირ რომ იჯდა; ბ-ნ დამბრეზის მეზობლები იყვნენ: ერთი მხრივ ქ-ნი ლარსიიუა, დიპლომატის გვერდით რომ იჯდა, მეორე მხრივ კი ჰერცოგის ხნიერი ცოლი ფიუმიშონის გვერდით. შემდეგ ისხდნენ მხატვარი, ფაიანსის ვაჭარი, მ-ელ ლუიზა, ხოლო რაკი მარტინონმა ფრედერიკის ადგილი დაიკავა, რათა სესილთან მჯდარიყო, ფრედერიკი ქ-ნ არნუს გვერდით აღმოჩნდა.

ქალს ეცვა შავი ბარეჟის კაბა, ხელზე ეკეთა ოქროს სამაჯური, და ისე, როგორც პირველად, როცა მისას ისადილა, რაღაც ულაპ-

ლაპებდა თმაში, თურმე ეს იყო ფუქსიის კენწალი. თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა:

— რა დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს!

— დიახ, დიახ! — ცივად უპასუხა.

ფრედერიკმა განაგრძო, თან ცდილობდა რბილი კილოთი გაენელებინა თამამი კითხვა:

— ხანდახან ხომ არ გიფიქრიათ ჩემზე?

— თქვენზე რატომ უნდა მეფიქრა?

ამ პასუხმა ფრედერიკს აწყენინა.

— ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მართალიც იყოთ.

მაგრამ მყისვე ინანა და დაიფიცა, არ ყოფილა ისეთი დღე, რომ თქვენზე ფიქრი არ მალონებდესო.

— სრულიადაც არ მჯერა, ბატონო ჩემო!

— კი მაგრამ ხომ იცით, რომ მიყვარხართ?

ქალმა არაფერი უპასუხა.

— თქვენ იცით, რომ მიყვარხართ!

მან კვლავ დუმილი არჩია.

„თუ აგრეა, გზა მშვიდობისა!“ გულში თქვა ფრედერიკმა.

და თვალები რომ აღმართა, სუფრის ბოლოს მ-ელ როკი დაინახა.

ქალიშვილს ეფიქრა მწვანე ფერი დამმშვენდებაო და მთლად მწვანე ჩაეცვა, ეს ფერი კი უხეშად ეხამებოდა მის მწითურ თმას. საიტყლის ბალთა მეტად მაღლა იყო აზიდული, საყელო შოჭერილი ჰქონდა. ამ უგემოვნობამ გამოიწვია უთუოდ ის გულგრილობა, რომლითაც ფრედერიკი შეხვდა. ქალი შორიდან აკვირდებოდა ცნობისმოყვარეობით, ამიტომ არნუმ, მ-ელ ლუიზას გვერდით რომ იჯდა, ერთი სიტყვაც ვერ დააძვრევინა, მიუხედავად მრავალი ქათინაურისა, იმედი დაეკარგა, რომ საერთო საუბარში ჩაება. საუბრის საგანი კი ახლა ლუქსემბურგის ანანასის პიურე იყო.

ლუი ბლანს, ფიუმიშონის სიტყვით, საკუთარი სახლი ჰქონდა სენ-დომინიკის ქუჩაზე, მაგრამ მუშებს საქირაოდ არ აძლევდა.

— მე კი სასაცილოდ მიმაჩნია, — თქვა ნონანკურმა, — რომ ლედრიუ-როლენი მეფის სავარგულებში ნადირობს.

— მას ერთი ოქრომჭედლის ოცი ათასი ფრანკი ვალი აქვს, — ჩაურთო სიზიმ, — და იმასაც კი ამბობენ...

ქ-ნმა დამბრეზმა გააწყვეტინა:

— აჰ! რა საძაგლობაა პოლიტიკის გამო გაწირწმატება! გრცხვენოდეთ, ყმაწვილო! უმჯობესია თქვენს გვერდით მჯდომ მანდილოსანს მიაქციოთ ყურადღება!

შემდეგ დარბაისელმა ადამიანებმა გაზეთების წინააღმდეგ გაილაშქრეს.

არნუ მათ გამოექომაგა. ფრედერიკი საუბარში ჩაერია და განაცხადა, რომ გაზეთები ჩვეულებრივი სავაჭრო საწარმოებია; მათი თანამშრომლები კი საერთოდ ან ყეყეჩები არიან, ან მატყუარები; ისე ლაპარაკობდა, თითქოს იცნობდა მათ, და თავისი მეგობრის დიდსულოვან გრძნობებს სარკაზმით აბათილებდა. ქ-ნი არნუ ვერ ამჩნევდა, რომ ამით შურს იძიებდა მისადმი.

ამასობაში ვიკონტი ერთ გაწამაწიაში იყო, რომ მ-ელ სესილი მოეხიბლა. ჯერ არტისტული გემოვნება გამოიჩინა იმით, რომ დაიწუნა სურების ფორმა და დანების ვენზელების ნახატი. ვერმე ლაპარაკი დაიწყო თავის საჯინიბოზე, თავის მკერვალსა და თეთრეულის მომწოდებელზე; ბოლოს რელიგიის საკითხებს შეეხო და აგრძნობინა, მორწმუნის ყველა მოვალეობას ვასრულებო.

მარტინონი უფრო მარჯვედ იქცეოდა. სესილს თვალს არ აშორებდა და ერთფეროვანი ტონით უქებდა ფრინველის პროფილს, მკრთალ ქერა თმას, მეტად მოკლე ხელებს, გონჯი კი ძალ ქათინაურებით დნებოდა.

მათ ლაპარაკს ვერავინ გაიგონებდა, რადგან ყველანი მეტად ხმამაღლა საუბრობდნენ. ბ-ნი როკი მოითხოვდა, რომ საფრანგეთს, „რკინის ხელი“ მართავდეს. ნონანკურმა სინანულიც კი გამოთქვა, რომ გაუქმებულია სიკვდილით დასჯა პოლიტიკური დანაშაულისათვის. ეს არამზადები მთლად ერთიანად გასაჟლეტი არიანო

— ისინი ამასთანავე ლაჩრები არიან, — თქვა ფიუმიშონმა, — აბა, რა მამაცობაა ბარიკადების უკან ამოფარება!

— სიტყვამ მოიტანა და გვიამბეთ რამე დიუსარდიაზე! — მიმართა დამბრეზმა ფრედერიკს.

პატიოსანი ნოქარი ახლა გმირი გახდა, როგორც სალესი. ძმები ჟანსონები, ქალი პეკიიე და სხვ.

ფრედერიკს ხვეწნა არ დასჭირებია და თავის მეგობარზე ილაპარაკა. მასაც ხვდა შარავანდედის ერთი ნაწილი. ლაპარაკი, სრულიად ბუნებრივად, მამაცობის გამოჩენაზე ჩამოვარდა. დიპლომა-

ტის აზრით, სიკვდილის შიშის დაძლევა ძნელი როდია; ეს შეუძლიათ დაადასტურონ იმათ, ვისაც დუელში უბრძოლია.

— ამაზე შეიძლება ვიკონტს ჰკითხოთ, — თქვა მარტინონმა.

ვიკონტი მთლად წამოწითლდა.

სტუმრები მას უცქერდნენ, ყველაზე მეტად გაკვირვებულმა ლუიზამ კი წაიჩურჩულა:

— რა იყო?

— მან ფარ-ხმალი დაყარა ფრედერიკის წინაშე, — წყნარად მიუგო არნუმ.

— თქვენ იცით რამე, ქალბატონო? — მაშინვე იკითხა ნონანკურმა და ლუიზას პასუხი მაშინვე გადასცა ქ-ნ დამბრეზს, რომელიც ოდნავ დაიხარა და ფრედერიკს დააკვირდა.

მარტინონმა სესილის კითხვებს დაასწრო და უამბო, რომ ეს ამბავი დაკავშირებულია საძრახისი ყოფაქცევის ერთ ქალთან. ქალიშვილმა წყნარად გაიწია განზე, თითქოს ცდილობს ამ გარკვნილს არ შეეხოსო.

საუბარი განახლდა. ჩამოარიგეს მშვენიერი ბორდოული ღვინოები, სტუმრები გამხიარულდნენ. პელერენი ნაწყენი იყო რევოლუციით იმის გამო, რომ საბოლოოდ დაიღუპა ესპანური ფერწერის მუზეუმი. იგი, როგორც მხატვარი, ამან ყველაზე უფრო დაამწუხრა. მაშინ ბ-ნმა როკმა ჰკითხა:

— თქვენ ხომ არ ბრძანდებით ერთი მეტად შესანიშნავი სურათის ავტორი?

— შესაძლებელია! რომლისა?

— იქ გამოხატულია ქალი, რომელსაც აცვია... მართალი რომ მოგახსენოთ, ოდნავ მსუბუქი კაბა, უკავია ხელჩანთა, უკან კი ფარშევანგი უდგას.

ახლა ფრედერიკი წამოწითლდა. პელერენმა წაუყრუა, ვითომ არ გამიგონიაო.

— ეს ხომ თქვენი ნამუშევარია! ქვეშ თქვენი გვარი აწერია, ჩარჩოზე კი — სურათი ბ-ნ მორის ეკუთვნისო.

ერთხელ, როცა ძია როკი და მისი ქალიშვილი ფრედერიკს ელოდებოდნენ მის ბინაზე, მათ დაინახეს როზანეტის პორტრეტი. გულუბრყვილო მოხუცმა იგი მიიღო როგორც „გოთური სურათი".

— არა! — მკვახედ უთხრა პელერენმა. — ეს ერთი ქალის პორტრეტია.

მარტინონმა დასძინა:

— და მეტად მხიარულისაც არა, სიზი?

— ეჰ! მე მაგისი არა ვიცი რა.

— მეგონა, თქვენ მას იცნობდით. მაგრამ თუკი ეს არ გეამებათ, დიდ ბოდიშს ვიხდი!

სიზიმ თვალები დახარა და ამ შეცბუნებით დაადასტურა, რომ ამ პორტრეტის ამბავში მან სავალალო როლი შეასრულა. რაც შეეხება ფრედერიკს, პორტრეტის მოდელი სხვა არავინ არ უნდა ყოფილიყო, თუ არა მისი საყვარელი. ეს იყო ერთი ისეთი ვარაუდი, როგორიც ხელად წარმოიშვება ხოლმე, და დამსწრეთა სახეებიც აშკარად ამას მეტყველებდნენ.

„როგორ მატყუებდა! — გულში თქვა ქ-მა არნუმ.

„აი, თურმე ვისი გულისათვის მიმატოვა!" — გაიფიქრა ლუიზამ.

ფრედერიკმა წარმოიდგინა, რომ ეს ორი ამბავი სახელს უტეხდა მას, და როცა საზოგადოება ბაღში ჩავიდა, საყვედური უთხრა მარტინონს.

მ-ელ სესილის საქმროს სიცილი აუტყდა:

— ეჰ! სრულიადაც არა! გამოგადგება! გაუტიე!

ამით რის თქმა უნდოდა? მერმე საიდანაა ეს კეთილმსურველობა, რაც მას არ სჩვევია. რაკი ვერაფერი გამოარკვია, ბაღში შევიდა, სადაც ქალები ისხდნენ. მამაკაცები იქვე იდგნენ, პელერინი კი თავის აზრებს ავითარებდა: რა თქმა უნდა, ხელოვნებას ყველაზე უფრო უწყობს ხელს მონარქია. თანამედროვეობა ზიზღს მგვრის, „აი, თუნდაც ეროვნული გვარდია"; მენანება საშუალო საუკუნეები, ლუი XIV ეპოქა. ბ-ნი როკი მიესალმებოდა ასეთ აზრებს და ისიც კი აღიარა, რომ ისინი უქარწყლებენ წინასწარ შეთვისებულ რწმენას მხატვრებისადმი; მაგრამ მაშინვე მოშორდა იმ ჯგუფს, იგი მიიზიდა ფიუმიშონის სიტყვებმა. არნუ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ არის ორგვარი სოციალიზმი; ერთი კარგი, მეორე კი ცუდი. მრეწველი განსხვავებას ვერ ხედავდა; სიტყვა „საკუთრებას" რომ გაიგონებდა, რისხვა გონებას უკარგავდა.

— ეს უფლება თვით ბუნებას დაუწესებია! ბავშვები თავიანთ სათამაშოებს ვერ ელევიან; მთელი ხალხი იზიარებს ჩემს აზრს, ყველა ცხოველი, ლომიც კი, ლაპარაკი რომ შეეძლოს, იტყოდა მესაკუთრე ვარო! ჩემი კაპიტალი, ბატონებო, წარმოება რომ და-

ვიწყე, თხუთმეტი ათასი ფრანკი იყო. უნდა იცოდეთ, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში რეგულარულად დილის ოთხ საათზე ვდგებოდი! წელებზე ფეხს ვიდგამდი, რომ ქონება შემეძინა! და ახლა დამიწყებენ იმის მტკიცებეს, რომ მისი პატრონი მე არ ვარ, რომ ჩემი ფული ჩემი არ არის, რომ, ერთი სიტყვით საკუთრება ქურდობაა!

— მაგრამ პრუდონი...

— გამანებეთ თავი თქვენი პრუდონიანად! აქ რომ იყოს, მგონი, ჩემი ხელით დავახრჩობდი!

და კიდევაც დაახრჩობდა. ლიქიორების შემდეგ ფიუმიშონს თავი აღარ ახსოვდა და იფიქრებდით, აპოპლექსური სახე ესაა ბომბივით გაუსკდებაო.

— გამარჯობა, არნუ, — უთხრა ჰიუსონემ, — მარდად რომ გაიბინა გაზონზე.

ჟურნალისტმა ბ-ნ დამბრეზს მოუტანა პირველი ფურცელი ბროშურისა, რომლის სათაური იყო „ჰიდრა“, ამ წიგნაკში ბოჰემიელი იცავდა რეაქციული წრის ინტერესებს; ბანკირმა ეს მოიხსენია, როცა სტუმრებს გააცნო იგი.

ჰიუსონემ სტუმრები გაართო; ჯერ იმას ამტკიცებდა, რომ ქონის ვაჭრები ფულს აძლევენ სამას ოთხმოცდათორმეტ ქუჩის ბიჭს, რომ ყოველ საღამოს იყვირონ: „ლამპიონები!“, შემდეგ აბუჩად იგდებდა 89 წლის პრინციპებს, ზანგთა განთავისუფლებას, მემარცხენე ორატორებს; ბოლოს, ისიც კი ქნა, რომ წარმოადგინა „ბ-ნი პრუდონი ბარიკადაზე“, ალბათ, გულუბრყვილო შურით ამ მაძღრად ნასადილევი ბურჟუებისადმი. ეს შარჟი ოდნავ მოეწონათ. სახეები დაემანჭათ.

საერთოდ, ხუმრობის დრო როდი იყო. ასე განაცხადა ნონანკურმა, რომელმაც გაიხსენა არქიეპისკოპოს აფრისა და გენერალ ბრეას სიკვდილი. მათ მუდამ იგონებდნენ, იმოწმებდნენ კამათის დროს. ბ-ნა როკმა განაცხადა, რომ არქიეპისკოპოსის გარდაცვალება „ყველაფერზე დიდებულია“; ფიუმიშონი გენერალს აძლევდა უპირატესობას და, ნაცვლად იმისა, რომ ჩვეულებრივად ეგლოვათ ამ ორი მკვლელობის გამო, სტუმრებმა დავა ატეხეს იმაზე, თუ რომელ მათგანს უნდა გამოეწვია მეტი აღშფოთება. მერმე გაატარეს პარალელი ლამორისიერსა და კავენიაკს შორის, ამასთან ბ-ნი დამბრეზი აქებდა კავენიაკს, ნონანკური კი — ლამორისიერს. იქ

მყოფთაგან არავის, არნუს გარდა, არ შეიძლებოდა ენახა მათი საქმიანობა. მიუხედავად ამისა, ყველანი გადაჭრით გამოთქვამდნენ აზრს მათი მოქმედების შესახებ. ფრედერიკმა უარი თქვა მსჯელობაზე, რადგან აღიარა, იარაღისათვის ხელი არ მიხლიაო. დიპლომატმა და ბ-ნმა დამბრეზმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს. და მართლაც, აჯანყებულთან ერთად ბრძოლა რესპუბლიკის დაცვას ნიშნავდა. ბრძოლის შედეგი, თუნდაც ხელსაყრელი, განამტკიცებდა მას და აი, ახლა, როცა თავიდან მოიშორეს დამარცხებულნი, სურდათ გამარჯვებულთაგანაც განთავისუფლებულიყვნენ.

ქ-ნმა დამბრეზმა, შევიდა თუ არა ბაღში, განზე გაიხმო სიზი და გაუბედაობა უსაყვედურა; მარტინონი რომ დაინახა, სიზის ჰოშორდა და მოისურვა მომავალი ძმისწულისაგან გაეგო მიზეზი, თუ რად დასცინოდა ვიკონტს.

— სრულიად უმიზეზოდ.

— და ყველაფერი ეს ბ-ნ მორის განსადიდებლად! მერმე მიზანი?

— არავითარი. ფრედერიკი კარგი ბიჭია. მე ძლიერ მომწონს.

— მეც! მოვიდეს დაუძახეთ!

ორიოდე ბანალური ფრაზის შემდეგ ქალმა მსუბუქად დასცინა თავის სტუმრებს და ამით დანარჩენებზე მაღლა დააყენა ფრედერიკი. ამან არ დააყოვნა გაეკრიტიკებინა სხვა ქალები, რაც ქათინაურების თქმის მარჯვე ხერხი იყო. ქალი დროდადრო მოშორდებოდა ხოლმე, მიღების დღე იყო და სტუმრები მოდიოდნენ: შემდეგ თავის ადგილზე დაბრუნდებოდა, სკამები შემთხვევით ისე იდგა, რომ მათ საუბარს ვერავინ ვერ გაიგონებდა.

ქალი ხან მხიარული ჩანდა, ხან სერიოზული, ხან მელანქოლიური და ხანაც გონიერი. ყოველდღიური საზრუნავი მას ნაკლებ აინტერესებდა: ბევრია ნაკლებ სწრაფწარმავალი გრძნობა. იგი უჩიოდა პოეტებს, რომლებიც სინამდვილეს ამახინჯებენ, მერმე თვალები ცას მიაშტერა და ფრედერიკს ერთ-ერთი ვარსკლავის სახელი ჰკითხა.

ხეებზე რამდენიმე ჩინური ფარანი ეკიდა; ქარი არხევდა მათ და ფერადი სხივები ქალის თეთრ კაბაზე ელავდნენ. იგი ჩვეულებისამებრ ცოტა გადაიხარა სავარძელზე, ფეხები პატარა სკამზე შედგა და შავი ატლასის ფეხსაცმლის ჭვინტი გამოუჩნდა. ზოგჯერ რაიმე სიტყვას ხმამაღლა იტყოდა, კიდევაც გადაიხარხარებდა.

ეს კეკლუცობა მარტინონს არ აღელვებდა, იგი სესილს აქცევდა ყურადღებას, სამაგიეროდ აწუხებდა პატარა როკს, რომელიც ქ-ნ არნუს ესაუბრებოდა. ლუიზას ეგონა, სხვა ქალთაგან განსხვავებით მხოლოდ ქ-ნ არნუს არ ემჩნევა ქცევაში რაიმე უგულებელყოფაო. იგი მივიდა და მის გვერდით დაჯდა. მერმე ვეღარ მოითმინა, რომ თავისი გრძნობები არ გაეზიარებინა და უთხრა:

— ხომ კარგად ლაპარაკობს ფრედერიკ მორო?

— თქვენ იცნობთ?

— ოჰ! ძალიან! მეზობლები ვართ. მეთამაშებოდა ხოლმე, როცა პატარა ვიყავი.

ქ-ნი არნუ მიაშტერდა და მისი თვალი ამბობდა: „ვფიქრობ, შეყვარებული ხომ არ ხარ?“

ქალიშვილის თვალი კი სრულიად შეუშფოთებლად უპასუხებდა: „შეყვარებული ვარ“!

— მაშასადამე, ხშირად ხედავთ?

— ოჰ! არა! მხოლოდ მაშინ, როცა თავის დედასთან ჩამოვა ხოლმე. აგერ ათი თვეა, არ ყოფილა! თუმცა დაპირებული იყო, მალე ჩამოვალო.

— ძლიერ როდი უნდა ენდოთ მამაკაცების დაპირებას, ჩემო კარგო.

— მაგრამ მე როდი მოვუტყუებივარ!

— ისევე, როგორც სხვები!

ლუიზა შეკრთა: „ნუთუ, შემთხვევით, მასაც დაჰპირდა რაიმეს?“ და სახე ეჭვმა და ბრაზმა დაუმანჭა.

ქ-ნ არნუს კინალამ შეეშინდა; სურდა თავისი სიტყვები უკანვე წაეღო. მერმე ორივე გაჩუმდა.

ფრედერიკი პირდაპირ იჯდა დასაკეც სკამზე და ისინი ორივენი მას უცქეროდნენ: ერთი მორიდებულად, მხოლოდ თვალით, მეორე კი სრულიად აშკარად, პირდაღებული, ასე რომ ქ-ნმა დამბრეზმა ფრედერიკს უთხრა:

— მობრუნდით ერთი, რომ დაენახოთ!

— ვის?

— ვის და, ბ-ნ როკის ქალიშვილს!

და დაუწყო ხუმრობა, აჯავრებდა, ახალგაზრდა პროვინციელს ყვარებიხართო. იგი თავს იმართლებდა, სიცილს ლამობდა.

— განა ეს დასაჯერებელია? გეკითხებით! ასეთი მახინჯი!

გარნა ყოველივე ეს მეტად ეამებოდა მის პატივმოყვარეობას. გაახსენდა სხვა საღამო ამ სახლში, დამცირება აქედან წასვლისა, რომ განიცადა, და მთელი მკერდით სუნთქავდა; თავს ბრძნობდა საკუთარ, ნამდვილ სფეროში, როგორც თავის სახლში, თითქოს ყველაფერი ეს და თვით ბ-ნ დამბრეზის ვილაც მას ეკუთვნოდა. გარშემო ქალები ისხდნენ და უსმენდნენ, ის კი, რაკი გულში თავის გამოჩენა სურდა, ლაპარაკობდა განქორწინების ნებართვის აღდგენაზე, რაც ისე უნდა გაადვილდეს, რომ შეყრა და გაყრა შეიძლებოდეს დაუსრულებლად, რამდენიც სულსა და გულს ენდომება. ზოგი საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა, ზოგი ერთმანეთს ეჩურჩულებოდა; ბინდბუნდში, კედელთან ძირმწარათი რომ იყო შებორბლილი, ისმოდა მოკლე შეძახილები, მხიარული კისკისი, ის კი თავის თეორიას ავითარებდა ისეთი თავდაჯერებით, რასაც წარმატების შეგნება იძლევა. ლაქიამ ფანჩატურში შემოიტანა ნაყინის ხონჩა. მამაკაცები მის გარშემო მოგროვდნენ. ისინი გახშირებულ დაპატიმრებაზე ლაპარაკობდნენ.

მაშინ, ფრედერიკმა, რაკი სურდა სამაგიერო ეზღო ვიკონტისათვის, დაუწყო მტკიცება, შესაძლებელია ლეგიტიმისტობის გამო დევნა დაგიწყონო. ვიკონტი უპასუხებდა, ჩემი ოთახიდან არ გავსულვარო, გარნა მოწინააღმდეგე თავისას არ იშლიდა და ათასგვარ შავბნელ გაფრთხილებას აძლევდა, რაც ქ-ნ დამბრეზსა და ბ-ნ გრემონვილს სიცილს ჰგვრიდა. შემდეგ მათ მრავალი ქათინაური უძღვნეს ფრედერიკს, თუმცა სინანულიც გამოთქვეს, თავის ნიჭს სათანადოდ არ იყენებსო. მეგობრულად ართმევდნენ ხელს და ეუბნებოდნენ, ამიერიდან შეგიძლიათ ჩვენი იმედი იქონიოთო. ბოლოს როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, ვიკონტმა მეტად დაბლა დაუკრა თავი სესილს და უთხრა:

— ქალბატონო, ნება მიბოძეთ გისურვოთ ღამე მშვიდობისა.

მან მშრალად მიუგო:

— ღამე მშვიდობისა!

მარტინონს კი გაუღიმა.

ძია როკს სურდა საუბარი განეგრძო არნუსთან და წინადადება მისცა, გაგაცილებთ „თქვენი მეუღლითურთ", ჩვენ ხომ ერთი გზა გვაქვსო. ლუიზა და ფრედერიკი წინ მიდიოდნენ. ქალმა ხელი ჩაავლო ხელში, და როცა სხვებს საკმაოდ დაშორდნენ, უთხრა:

— აჰ! ბოლოს! როგორც იქნა! როგორ დავიტანჯე დღეს საღამოს! რა ავები არიან ეს ქალები! რა ქედმაღალნი!

ფრედერიკი მათ გამოექომაგა.

— ჯერ ერთი, რომ შეგეძლო იმთავითვე მოსულიყავ ჩვენთან,— განაგრძო ლუიზამ. — ჩვენ ხომ მთელი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს?

— არაა მთელი წელიწადი, — მიუგო ფრედერიკმა და ესიამოვნა, რომ ამ სიტყვაზე დაიჭირა, რადგან იმედი ჰქონდა, დანარჩენ საყვედურს ადვილად გავაბათილებო.

— თუნდაც აგრე იყოს! დრო ისე ნელა მიზოზინობდა! მაგრამ აქ, ამ საშინელ სადილზე, შეიძლებოდა მეფიქრა, ვერკხვინებიმეთქი. ჰო, ვიცი, ისე ვერ მოგაწონებ თავს, როგორც ისინი.

—ცდები, — მიუგო ფრედერიკმა.

— მართლა?! დამიფიცე, რომ არც ერთი მათგანი არ ვიყვარს! მან დაიფიცა.

— და მხოლოდ მე გიყვარვარ?

— რა თქმა უნდა!

ამ დასტურმა გაამხიარულა, ახლა სურდა, გზა აბნეოდათ ამ ქუჩებში, რომ მთელ ღამეს მასთან ერთად ესეირნა.

— აქ ისე დავიტანჯე! მხოლოდ ბარიკადებზე საუბრობდნენ! სულ მეჩვენებოდა, თითქოს გულაღმა ეცემოდი, მთლად სისხლით მოსვრილი! დედაშენი ლოგინში იწვა, რევმატიზმი აქვს. მან არაფერი არ იცოდა. მე უნდა გავჩუმებულიყავ! ველარ ავიტანე! კატრინი წამოვიტანე...

და უამბო თავის მგზავრობაზე, იმაზე, თუ როგორ მოატყუა მამა.

— ორი დღის შემდეგ შინ წამიყვანს. ხვალ საღამოს მოდი, თითქოს უცაბედად, და ისარგებლე შემთხვევით, მამას მოელაპარაკე. ჩემი ხელი სთხოვე!

ფრედერიკისათვის ისე უცხო არასოდეს არ ყოფილა ცოლის შერთვაზე ფიქრი, როგორც ახლა; ამასთან მ-ელ როკი საკმაოდ სასაცილო ქმნილებად ეჩვენებოდა. რაოდენ განსხვავებაა მასა და ისეთ ქალს შორის, როგორიც ქ-ნი დამბრეზია! „მე სულ სხვა ბედი მიწერია"! ამაში დღეს დარწმუნდა, ასე რომ, დრო არ იყო რითიმე შეებოჭა თავი, ასეთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგა გულისთქმის გავლენით. ახლა საჭიროა განსჯა, და ქ-ნ არნუსაც ხომ კვლავ შეხვდა. თანაც ლუიზას გულახდილობა აცბუნებდა. ფრედერიკმა ჰკითხა:

— კარგად მოიფიქრე თუ არა ეს ნაბიჯი?

— აბა, როგორ! — შესძახა და გაოცებით და აღშფოთებით გეელი გაუცინდა.

მან კი ასე უპასუხა, ეხლანდელ დროში ცოლის შერთვა სიგიჟე იქნებოდა.

— მაშ აღარ გინდივარ?

— შენ ვერ გამიგე!

და მოჰყვა ძლიერ დახლართულ მსჯელობას, რათა შეეგნებინებინა, რომ მას აკავებენ მაღალი მოსაზრებანი, რომ აუარებელი საქმე აქვს, რომ მისი ქონებრივი მდგომარეობაც შერყეულია (ლუიზა მოკლედ და ნათლად აბათილებდა მის საბუთებს), რომ. ბოლოს, პოლიტიკური ამბებიც უშლიან ხელს. ასე რომ, ყველაზე კეთილგონივრული იქნება კიდევ მოიცადონ ცოტა ხანს. უთუოდ ყველაფერი მოგვარდება, ყოველ შემთხვევაში მას იმედი აქვს. შემდეგ, როცა ყველა საბუთი ამოიწურა, მოიგონა, თითქოს მხოლოდ ახლა გამახსენდაო, ორი საათის წინათ დიუსარდიესთან უნდა შეესულიყავიო.

ყველას გამოეთხოვა, ოტვილის ქუჩაში შეუხვია, თეატრ ქიმნაზს შემოუარა, ბულვარზე დაბრუნდა და სირბილით ავიდა როზანეტთან მეჯუთე სართულზე.

ცოლ-ქმარი არნუ ძია როკსა და მის ქალიშვილს სენ-დენის ქუჩის კუთხეში გამოეთხოვა და დუმილით განაგრძო გზა. არნუ თავისმავე ლაყბობამ მოღალა, ცოლი კი თავს მოქანცულად გრძნობდა და ქმრის მკლავზე ეკიდა. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც მთელ საღამოს პატიოსნურ აზრებს გამოთქვამდა. ცოლი თავაზიანობით ვანიმსჭვალა მისდამი. არნუ კი ოდნავ ჯავრობდა ფრედერიკზე.

— დაინახე თუ არა, როგორ დაიმანჭა, როცა პორტრეტზე ჩაშოვარდა სიტყვა? ხომ გეუბნებოდი, როზანეტის საყვარელია-მეთქი? შენ კიდევ არ გინდოდა დაგეჯერებინა.

— დიახ, დიახ, ვცდებოდი.

არნუ ზეიმით განაგრძობდა:

— სანაძლეოს დავდებ, რომ ჩვენ მიგვატოვა და ერთბაშად იმასთან გაიქცა! მერწმუნე, ახლა იქაა! ღამეს მასთან გაითევს!

ქ-ნი არნუ თავსამკაულს ისწორებდა.

— კი, მაგრამ რად კანკალებ?

— მცივა, — მიუგო ცოლმა.

ლუიზა, როგორც კი მამას დაეძინა, კატრინის ოთახში შევიდა და ნჯღრევა დაუწყო.

— ადექი!.. ჩქარა! მალე! წადი და ეტლი მიშოვნე.

კატრინმა უპასუხა, ამ დროს ეტლები აღარ არისო.

— მაშ თვითონ შენ გამომყვები?

— სად?

— ფრედერიკთან.

— შეუძლებელია! რა მოხდა?

— უნდა მოველაპარაკო. ლოდინი აღარ შემიძლია. ახლავე უნდა ვნახო!

— რას ამბობთ! როგორ შეიძლება ღამით სხვის სახლში მისვლა! მას ხომ ახლა სძინავს?

— გავაღვიძებ!

— ეგ ხომ საძრახისია ქალიშვილისათვის!

— მე ქალიშვილი არა ვარ! მისი ცოლი ვარ! მიყვარს!.. აბა, წადი! თავსაფარი დაიხურე!

კატრინი თავის საწოლთან იდგა და ფიქრობდა. ბოლოს უთხრა:

— არა, არ წამოვალ!

— ჰოდა, დარჩი, მე კი წავალ!

ლუიზა გველივით ჩასრიალდა კიბეზე . კატრინი დაედევნა და უკვე ტროტუარზე დაეწია. ხვეწნა ამაო გახდა. მირბოდა და კოფთას ისე იკრავდა. გზა მეტად გრძელი ეჩვენა. თავის მოხუც ფეხებს უჩიოდა:

— აბა, რა ვქნა? სხვა რომ არა იყოს რა, მე ის აღარ გამაჩნია, რაც შენ მიგაქანებს.

ძერმე ალერსი დაუწყო:

— საბრალო! აბა, ვინღა უნდა დაგეხმაროს, თუ არა შენი კატრინი!

დროდადრო კვლავ ეჭვი დაეუფლებოდა:

— კარგი კი იქნება, ერთიც ვნახოთ, მამას გაეღვიძა... ღმერთო ჩემო! ოღონდ უბედურება კი არაფერი მოხდეს და!

„ვარიეტეს“ თეატრთან ისინი ეროვნული გვარდიის პატრულმა შეაჩერა. ლუიზამ მაშინვე უპასუხა, მოსამსახურესთან ერთად ექიმის წასაყვანად მივდივარ რეფორდის ქუჩაზეო. ისინი გაუშვეს.

მადლენის მოედანზე კვლავ შეეყარათ პატრული, მაგრამ, როცა ლუიზამ იგივე პასუხი გასცა, ვიღაც მოქალაქემ დასძინა:

— იმ ავადმყოფობის გამო ხომ არა, კატუნი, ცხრა თვეს რომ გრძელდება!

— გუჟიბო! — დაუძახა კაპიტანმა. — მწყობრში ცელქობა არ იყოს! მიბრძანდით, ქალბატონო!

შეძახილის მიუხედავად, ენამახვილობა გრძელდებოდა:

— გისურვებთ მხიარულებას!

— სალამი გადაეცით ექიმს!

— მგელი არ შეგეჩეხოთ!

— უყვართ რაღა ლაზღანდარობა! — ხმამაღლა შენიშნა კატრინმა, — ახალგაზრდები არიან.

ბოლოს მივიდნენ ფრედერიკის სახლთან. ლუიზამ რამდენჯერმე ბაგრად ჩამორეკა ზარი. კარი ოდნავ გაიღო და მის შეკითხვაზე მეკარემ უპასუხა:

— შინ არ არის!

— ალბათ, სძინავს?

— გეუბნებით, შინ არ არის-მეთქი! აგერ სამი თვე იქნება, რაც შინ აღარ სძინავს!

და კარის სარკმელი გილოტინასავით მკვეთრად დაეშვა. ქალები ბნელში დარჩნენ კიბის თავზე. გაჯავრებულმა მეკარემ მოაძახა:

— წადით-მეთქი!

კარი კვლავ გაიღო და ისინი გავიდნენ. ლუიზა იძულებული გახდა ბოძკინტზე ჩამომჯდარიყო. თვალებზე ხელები მიიფარა და გულამოსკვნილი აქვითინდა.

თენდებოდა, ქუჩაში საზიდრები მიდიოდნენ.

კატრინმა ხელი მოჰხვია, აყოცა და შინ წაიყვანა. გზაში სანუგეშებლად ათასგვარი რამ უთხრა საკუთარი გამოცდილებიდან.

— განა ღირს შეყვარებულის გამო ამდენი წუხილი? ამასთან არაფერი გამოვიდა, — სხვა მოიძებნება!

III

როცა როზანეტს მოძრავი გვარდიის ჯარისკაცებზე გული აუცრუვდა, იგი უფრო მომხიბლავი გახდა, ვიდრე წინათ, ფრედერიკი შეუმჩნევლად მიეჩვია მუდამ მასთან ყოფილიყო.

საუკეთესო იყო დილით აივანზე ჯდომა. როზანეტი ბა-

ტისტის კოფთისა და შიშველ ფეხებზე ფოსტლების ამარა დაფუ-ფუსებდა: წმენდდა იადონების გალიას, წყალს უცვლიდა ოქროს თევზებს, ბუხრის ჩოტით მიწას უფხვიერებდა დედოფლის ყვავილს, კედელზე მიმაგრებული რიკულით რომ ზევით ადიოდა. შემდეგ, აივნის მოაჯირს დაყრდნობილნი, უცქეროდნენ ეკიპაჟებს, გამვლელებს, ეფიცხებოდნენ მზეს, აწყობდნენ გეგმას, საღამო როგორ გავატაროთო. ფრედერიკი ორიოდე საათით თუ წავიდოდა სადმე; შემდეგ რომელიმე თეატრში გაემართებოდნენ, აიღებდნენ ავანსცენის ბილეთს და როზანეტი, ხელში რომ დიდი თაიგული ეჭირა ხოლმე, მუსიკას უსმენდა, ხოლო ფრედერიკი მის ყურთან დაიხრებოდა და სასაცილო ანეკდოტებს ან საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ზოგჯერ ეტლს დაიქირავებდნენ, ბულონის ტყეში წავიდოდნენ და გვიან საღამომდე სეირნობდნენ. შინ ბრუნდებოდნენ არკ-დე-ტრიომფისა და დიდი ხეივნის გავლით. იყნოსავდნენ სუფთა ჰაერს, თავზე ვარსკვლავები დასცქეროდათ, წინ კი გაზის ფარნები მარგალიტის მძივებივით იყო დაუსრულებლივ ჩაჭიმული. სადმე წასვლისას ფრედერიკს მუდამ უხდებოდა მისი ლოდინი: დიდხანს უნდებოდა ქუდის ლენტების შეკვრას სარკის წინ; იდგა და თავის თავს უღიმოდა სარკეში. შემდეგ მკლავში ხელს გაუყრიდა და მასაც ჩაახედებდა.

— კარგი გამოდის, როცა ასე ერთად ვდგავართ! აჰ, ჩემო საბრალო სიყვარულო, მინდა შეგჭამო!

ფრედერიკი ახლა მისი ნივთი, მისი საკუთრება იყო. და ამის გამო სახე მუდამ უბრწყინავდა, მიმოხვრა კი მეტად მოთენთილი გაუხდა, გასუქდა და ფრედერიკი რაღაც ცვლილებას ამჩნევდა. მაგრამ სახელდობრ რას, ვერ იტყოდა.

ერთხელ ქალმა, როგორც მეტად დიდი ახალი ამბავი, აცნობა, რომ პატივცემულ არნუს თეთრეულის მაღაზია გაუხსნია თავისი ფაბრიკის მუშა ქალისათვის, რომ ყოველ საღამოს მასთან არის, „ძლიერ ბევრს ხარჯავს; გასულ კვირას პალისანდრის ხის ავეჯიც კი უჩუქნია“.

— ეგ საიდან იცი? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— ოჰ, დარწმუნებული ვარ.

თურმე დელფინამ შეაგროვა ეს ცნობები მისი ბრძანებით.

„მაშ არნუ უყვარს, თუკი ეს აგრე ძლიერ აინტერესებს“. მაგრამ ფრედერიკმა მხოლოდ ეს უთხრა:

— მერმე შენ რა?

როზანეტს თითქოს გაუკვირდა ასეთი კითხვა.

— კი, მაგრამ არამზადას ჩემი მართებს! განა საძაგლობა არ არის, რომ ასეთ ვიგინდარას ინახავს?

და ზეიმოვანი სიჯულვილით დასძინა:

— თუმცა ის ქალი გვარიანად ატყუებს! იმისთანა კიდევ სამი ჰყავს. მით უკეთესი! ნეტავ უკანასკნელ სუს წაართმევდეს, ძალიან გამიხარდება.

მართლაც. არნუ იმ თავაზიანობით, რაც მოხუცთა სიყვარულს სჩვევია, ნებას აძლევდა ბორდოელს ექსპლოატაცია გაეწია მისთვის.

ფაბრიკა ზარალობდა; საქმეები სავალალო მდგომარეობაში იყო, ასე რომ თავის დასაღწევად ჯერ განიზრახა კაფეშანტანი დაეარსებინა, სადაც მხოლოდ პატრიოტულ სიმღერებს შეასრულებდნენ; იმ სუბსიდიით, რაზედაც მინისტრი დათანხმდებოდა, ეს დაწესებულება პროპაგანდის კერა და მისი კეთილდღეობის წყარო გახდებოდა. მაგრამ მთავრობის კურსის შეცვლის შემდეგ ეს შეუძლებელი გახდა. ახლა იგი ოცნებობდა სამხედრო ქუდის დიდ მაღაზიაზე. გარნა ფული არ ჰქონდა, რომ დაეწყო.

არც ოჯახურ ცხოვრებაში იყო უფრო ბედნიერი. ქ-ნი არნუ ნაკლებ თავაზიანობას იჩენდა, ზოგჯერ რამდენადმე მკაცრიც კი იყო მისდამი. მართა მუდამ მამის მხარეზე იყო ხოლმე. ეს განხეთქილებას ამძაფრებდა და ოჯახური ცხოვრება აუტანელი გახდა. არნუ დილიდანვე მიდიოდა სახლიდან, დიდხანს სეირნობდა, რომ გართობილიყო, მერმე სადმე ქალაქგარეთ ისადილებდა სამიკიტნოში და თავის მდგომარეობაზე ფიქრობდა.

ფრედერიკის დიდი ხნის უნახობა მის ჩვევებს არღვევდა. და აი ერთხელ დღისით ესტუმრა იგი და არნუ შეეხვეწა, წინანდებურად გვინახულე ხოლმეო; ფრედერიკი შეჰპირდა.

ფრედერიკი ვერ ბედავდა ქ-ნ არნუს დაბრუნებოდა. ეგონა. ეუღალატეო. მაგრამ მისი საქციელი ლაჩრობა იყო. რით უნდა გაემართლებინა თავი? ამას ბოლო უნდა მოღებოდა! და აი ერთხელ საღამოს გზას გაუდგა.

წვიმის გამო ის იყო ეუფრუას პასაჟში შეუხვია, რომ ერთი სქელი, კასტეტიანი კაცი შეეჩეხა. ვიტრინების სინათლეზე ფრედერიკმა ადვილად იცნო კომპენი, ორატორი, ვისმა სიტყვამაც ისეთი

სიცილი გამოიწვია კლუბში. მას ხელი ჩაეჭიდებინა ვიღაც კაცისათვის, რომელსაც ზემო ჩარბი გამოზიდული, სახე ლიმონივით ყვითელი და პატარა წვერი ჰქონდა, თავზე ზუავის წითელი ქუდი ეხურა და თავის თანამგზავრს დიდრონი, აღფრთოვანებული თვალებით უცქეროდა.

კომპენს იგი, ალბათ, ეამაყებოდა, რადგან თქვა:

— გაიცანით ეს ყოჩაღი კაცი! ჩემი მეგობარი, მეწაღე და პატრიოტია. წავიდეთ, დავლიოთ რამე!

ფრედერიკმა მადლობა გადაუხადა და უარი თქვა, მან კი დაუყოვნებლივ გაილაშქრა რატოს წინადადების, არისტოკრატთაგან მოგონილი ხრიკის წინააღმდეგ. ამას რომ ბოლო მოღებოდა, საჭირო იყო დაბრუნებოდნენ 93-ე წელს, შემდეგ იკითხა ამბავი რეკემბარისა და ვიღაცეების, ისეთი განთქმულებისა, როგორიც არიან: მასლენი, სანსონი, ლეკორნიუ, მარეშალი და ვინმე დელორიე, ტრუაში დაკავებული კარაბინების საქმეში რომ არის ჩარეული.

ფრედერიკისათვის ყველაფერი ეს ახალი იყო. კომპენმა მეტი არაფერი არ იცოდა. ფრედერიკს გამოეთხოვა და უთხრა:

— მალე ნახვამდე, არა? თქვენც ხომ მონაწილე ხართ?

— რისა?

— ხბოს თავისა!

— რა ხბოს თავისა?

— აჰ, ცელქო! — მიუგო კომპენმა და მუცელზე ხელი მიარტყა.

და ორივე ტერორისტი კაფეში შევიდა.

ათი წუთის შემდეგ ფრედერიკი დელორიეზე აღარ ფიქრობდა. იგი პარადის ქუჩის ტროტუარზე იდგა და უცქეროდა მესამე სართულის ფანჯრებს, სადაც ფარდებში სინათლე მოჩანდა.

ბოლოს კიბეზე ავიდა.

— არნუ შინ არის?

მსახურმა გოგომ უპასუხა:

— არა, მაგრამ მაინც მობრძანდით.

და სწრაფად გააღო ერთ-ერთი კარი.

— ქალბატონო, ბ-ნი მოროა!

იგი წამოდგა. თავის საყელოზე უფრო გაფითრებული იყო. კანკალებდა.

— რას უნდა ვუმადლოდე... რომ ესოდენ მოულოდნელად გვნახეთ?

— არაფერს! უბრალო სურვილს მენახა ძველი მეგობრები!

და, როცა დაჯდა, ჰკითხა:

— როგორ ბრძანდება ჩემი კარგი არნუ?

— მშვენიერად! შინ არ არის.

— აჰ, მესმის! ძველი ამბავია, საღამოს ოდნავ უნდა გაერთოს!

— რატომაც არა? მთელი დღის განმავლობაში წვალების შემდეგ თავმა უნდა დაისვენოს.

მან კიდევაც შეაქო ქმარი, მშრომელიაო, რამაც ფრედერიკი გააღიზიანა: როცა ქალის მუხლებზე შავი მაუდის ნაჭერი დაინახა, ჰკითხა:

— ეგ რა არის?

— მინდა კოფთა გადავუკეთო ქალიშვილს.

— მართლა, სიტყვამ მოიტანა, ვერ ვხედავ, სად არის?

— პანსიონშია, — მიუგო ქ-ნმა არნუმ.

ქალს თვალებზე ცრემლი მოადგა. თავს ძალას ატანდა, რომ არ ეტირა. და სწრაფად კერავდა. ვაჟმა ისე, უაზროდ, „ილუსტრასიონის“ ნომერი აიღო, მაგიდაზე რომ ქალის ახლოს იდო.

— ქამმის კარიკატურები ძლიერ სასაცილოა, არა?

— დიახ.

და კვლავ დუმდნენ.

იგი უეცრად შეკრთა ქარის დაბერვაზე.

— რა ამინდია! — თქვა ფრედერიკმა.

— მართლა რომ დიდი თავაზიანობაა თქვენი მხრივ ასეთ საშინელ წვიმაში მოსვლა!

— ოჰ, მე ეს ვერ დამაკავებს! ისეთი არა ვარ, რომ წვიმამ შემიშალოს ხელი პაემანზე წასვლაში!

— რა პაემანზე? — გულუბრყვილოდ იკითხა ქალმა.

— ალარ გახსოვთ?

იგი შეკრთა და თავი დახარა.

ვაჟმა წყნარად დაადო ხელი მხარზე.

— გარწმუნებთ, ცოტა ტანჯვა როდი მომაყენეთ მაშინ!

ქალმა როგორღაც საბრალოდ უპასუხა:

— მაგრამ მე ისე შემაშინა ბავშვის მდგომარეობამ!

და უამბო პატარა ეექნის ავადმყოფობასა და იმ დღის ყველა მწუხარებაზე.

— გმადლობთ! გმადლობთ! მე აღარ ვეპკობ! ისე მიყვარხართ, როგორც წინათ მიყვარდით!

— არა! ეგ მართალი არ არის!

— რატომ?

ქალმა ცივად შეჰხედა.

— მეორე დაგავიწყდათ. ის, ვინც დოღებზე დაგყავდათ ხოლმე. ქალი, ვისი პორტრეტიც შინ გაქვთ. თქვენი საყვარელი!

— რა გაეწყობა, ეგ აგრეა! — წამოიძახა ფრედერიკმა. — მე საძაგელი ვარ! მომისმინეთ! თუ როზანეტთან ვცხოვრობ, ამის მიზეზი სასოწარკვეთილებაა. ეს იგივეა, რაც თვითმკვლელობა. თუმცა ბევრი მწუხარება მივაყენე, რადგან შურს ვიძიებდი პირადი შეურაცხყოფისათვის.

— რა წამებაა! განა გაიგებთ ამას?

ქ-ნმა არნუმ მისკენ იბრუნა მშვენიერი პირი და ხელი გაუწოდა. თვალები დახუჭეს და მიეცნენ უსაზღვორ სინაზეს, რომელიც თითქოს უნანავებთო. მერმე, სულ ახლოს მჯდომნი, დიდხანს უცქეროდნენ ერთმანეთს.

— ნუთუ შეგეძლოთ დაგეჯერებინათ, აღარ ვუყვარვარო?

მან წყნარი, მოალერსე ხმით უპასუხა:

— არა! მიუხედავად ყველაფრისა, გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ ეს შეუძლებელია, რომ ზღუდე, ჩვენ რომ გვყოფს, ოდესმე დაინგრევა-მეთქი.

— მეც აგრე ვფიქრობდი და ისე მსურდა თქვენი ნახვა, რომ მეგონა მოვკვდები-მეთქი!

— ერთხელ ხომ, — განაგრძობდა ქალი, — თქვენს ახლოს გავიარე პალე-როიალში?

— მართლა?

და ვაჟმა უამბო, რა ბედნიერი იყო, დამბრეზებისას რომ შეხვდა.

— მაგრამ, როგორ მძულდით იმ საღამოს, იქიდან რომ მივდიოდით!

— საბრალო!

— ისე ნაღვლიანად ვცხოვრობ!

— ან მე? მარტო მწუხარება, შეშფოთება, დამცირება რომ იყოს, რაც მე, როგორც დედამ და როგორც მეუღლემ, უნდა ვითმი-

ნო, არ ვიჩივლებდი; ჩვენ ხომ ყველანი მოვკვდებით! საშინელება ჩემი მარტოობაა. მე სულ მარტო ვარ...

— მაგრამ მე ხომ აქა ვარ! აქ!

— დიახ, დიახ!

ქალმა ნაზი ქვითინი ვეღარ შეიკავა და ადგა. მერმე მკლავები გადაეშალა და, ერთმანეთს გადახვეულნი, დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს.

პარკეტმა გაიჭრაჭუნა. მათს ახლოს ქალი იდგა — ეს როზანეტი იყო. ქ-ნმა არნუმ იცნო; ფართოდ თვალგაშტერებული, გაოცებული და აღშფოთებული, დიდხანს უცქეროდა. ბოლოს, როზანეტმა უთხრა:

— მე ბ-ნ არნუსთან მოვედი საქმეზე.

— ის აქ არ არის, ხომ ხედავთ.

— ჰო, მართალია! — მიუგო როზანეტმა. — თქვენმა მსახურმა მართალი მითხრა! გთხოვთ მაპატიოთ!

მერმე ფრედერიკს მიმართა:

— შენც აქა ხარ?

ამ სიტყვამ „შენ“, მასთან რომ ითქვა, ქ-ნი არნუ ისე წამოაწითლა, თითქოს მაგარი სილა გააწნესო.

— ის შინ არ არის, გიმეორებთ!

როზანეტმა მიმოიხედა და წყნარად თქვა:

— რა გაეწყობა, წავიდეთ შინ! ეტლი მელოდება.

ფრედერიკს თითქოს არ გაუგონიაო.

— აბა, წავიდეთ!

— აჰ, დიახ! მარჯვე შემთხვევაა! წაბრძანდით, წაბრძანდით, წაბრძანდით! — უთხრა ქ-ნმა არნუმ.

ისინი გავიდნენ. ქ-ნი არნუ კიბის მოაჯირზე გადაეყუდა, რათა მათთვის თვალი გაედევნებინა და წასულთ თავს დაეფრქვათ გამაყრუებელი, გულისგამგმირავი ხარხარი. ფრედერიკმა ეტლში შეაგდო როზანეტი, მის პირდაპირ დაჯდა და მთელი გზა სიტყვა არ დაუძრავს.

მისი შემარცხვენელი შეურაცხყოფა მისივე ბრალი იყო. იგი გრძნობდა მტანჯველ სირცხვილსაც დამცირების გამო და ნაღველსაც დაკარგული ნეტარების გამო; როცა უკვე შეეძლო, ბოლოს, ღირსებოდა იგი, ახლა სამუდამოდ გაუქრა. და ამის მიზეზი იყო ეს გოგო, ეს სალახანა! სურდა დაეხრჩო იგი, სულს ძლივს იბრუნებ-

და. სახლში რომ შეეიდა, ქუდი სკამზე მიაგდო. ჰალსტუხი მოიგლიჯა.

— კარგი სეირი კი მომიწყვე, უნდა ითქვას!

ქალი გამომწვევად გაეჭიმა წინ.

— მერმე რა? აქ ცუდი რა არის?

— როგორ? ჯაშუშივით მითვალთვალებ?

— განა ჩემი ბრალია? პატიოსან ქალებთან რად დადიხარ გასართობად?

— ეგ შენი საქმე არაა! არ მინდა, რომ მათ შეურაცხყოფდე!

— მერმე რით შევურაცხვყავ?

ვერაფერი უპასუხა და მეტი სიბრაზით განაგრძო:

— ჯერ კიდევ მაშინ, მარსის მინდორში...

— აჰ! თავი მომაბეზრე შენი ძველებით!

— არამზადავ!

და მუშტი მოუღერა.

— ნუ მომკლავ! ორსულად ვარ!

ფრედერიკმა უკან დაიხია.

— ტყუი!

— აბა, შემომხედე!

შანდალი აიღო და სახესთან მიიტანა.

— იცი, ეს რა არის?

რაღაც უცნაურად შეშუპებული პირის კანი დაფარული იყო ყვითელი წინწკლებით. ფრედერიკმა ვერ უარყო ის, რაც ცხადი იყო. ფანჯარა გააღო, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, სავარძელში ჩაჯდა.

ეს ამბავი უბედურება იყო; ჯერ ერთი, ახანგრძლივებდა მათ გაყრას, და შემდეგ არღვევდა მთელ მის გეგმებს. და მამად გახდომის ფიქრიც უაზრო ეჩვენებოდა, ვერ ეგუებოდა მას. კი, მაგრამ რატომ? როზანეტის ნაცვლად რომ... და ისეთ ღრმა ფიქრებში ჩაიძირა, რომ ჰალუცინაცია ეგონა. აი, აქ, ხალიჩაზე ბუხრის წინ ხედავდა გოგონას. იგი ქ-ნ არნუს და ოდნავ თვით მასაც ჰგავდა: შავთმიანი, მაგრამ თეთრი, შავთვალა, გრძელწამწამებიანი, ხუჭუჭ თმას ვარდისფერი ბაფთა უმშვენებდა! და ეჩვენებოდა კიდეეაც, რომ იგი ეძახოდა: „მამიკო! მამიკო!"

უკვე ტანთგახდილი როზანეტი მიუახლოვდა, წამწამზე ცრემლი შენიშნა და ზეიმით შუბლში აკოცა. იგი წამოდგა:

— რა გაეწყობა! პატარას არ მოვკლავთ!

ახლა ქალმა დაიწყო ტიტინი: რა თქმა უნდა, ბიჭი იქნება! ფრედერიკს დაარქმევენ! დროა მზითევი მოვუმზადოთ. და ფრედერიკმა რომ დაინახა, რა ბედნიერიაო, შეებრალა იგი. ახლა, როცა მრისხანება სრულიად დაუცხრა, მოუნდა გაეგო, რით აიხსნებოდა მისი იქ მოსვლა.

საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ დღეს ვატნაზმა დიდი ხნის წინათ ვადაგასული ვექსილი წარუდგინა და როზანეტიც არნუსთან გაეშურა ფულის საშოვრად.

— მე მოგცემდი! — უთხრა ფრედერიკმა.

— ჯობდა მისგან მიმეღო, რაც მეკუთვნოდა, და ვატანაზისათვის გადამეხადა ათასი ფრანკი.

— მთლად თუ ეგ არის მაინც, რაც მისი გმართებს?

მან უპასუხა:

— რასაკვირველია!

მეორე დღეს, საღამოს ათ საათზე (მეკარის მიერ დანიშნულ დროზე) ფრედერიკი ვატნაზთან გამოცხადდა.

წინკარში დახორაგებულ ავეჯს წააწყდა, მაგრამ შიგნით მუსიკა და ადამიანთა ხმა ისმოდა და გზა იპოვნა. კარი გააღო და ლხინში მოხვდა. როიალთან, რომელსაც სათვალიანი ქალიშვილი უჯდა დელმარი იდგა, დარბაისელი, ვით ქურუმი, და ჰუმანურ ლექსს კითხულობდა პროსტიტუციაზე; მისი იმქვეყნიური ხმა მძიმე აკორდებზე კანკალებდა. კედლების გასწვრივ ქალები ისხდნენ, რომელთაც მეტწილად შავები ეცვათ, უსაყელოდ და უმანჟეტოდ. ექვსიოდე მამაკაცი, ყველანი მოაზროვნე ადამიანები, აქა-იქ ისხდნენ სკამებზე. სავარძელში იჯდა მეიგავარაკე მოხუცი, სრულიად მიხრწნილი. ორი ლამპის მწვავე სუნი ერთვოდა შოკოლადისას, ლომბერის მაგიდაზე რომ იდგა სავსე ჭიქებით.

მ-ელ ვატნაზს აღმოსავლური შარფი ერტყა და ბუხართან იჯდა. მეორე მხარეს იჯდა დიუსარდიე; როგორც ეტყობოდა, რამდენადმე შეცბუნებული გახლდათ თავისი მდგომარეობით. საერთოდ, ამ არტისტულ წრეში იგი თავს უხერხულად გრძნობდა.

განშორდა თუ არა ვატნაზი დელმარს? მგონი, არა. ასე იყო, თუ ისე, იგი, ცხადია, ეჭვიანობდა პატიოსან ნოქარს და, როცა ფრედერიკმა ქალს სთხოვა, ორიოდე წუთი დამითმეო, მან თვალით ანიშნა დიუსარდიეს, ჩვენთან ერთად ჩემს ოთახში წამოდიო. ათასი ფრანკი რომ მიიღო, სარგებელიც ითხოვა.

— მაგაზე ლაპარაკი არ ღირს! — უთხრა დიუსარდიემ.

— ხმა ჩაიწყვიტე!

ესოდენ მამაცი კაცის სულმოკლეობა ფრედერიკს ესიამოვნა, როგორც საკუთარი თავის სისუსტის გამართლება. განაღდებული ვექსილი შინ მიიტანა და შემდეგ აღარასოდეს უხსენებია როზანეტის საქციელი ქ-ნ არნუს სახლში. მაგრამ ამიერიდან მის ყოველგვარ ნაკლს ამჩნევდა.

როზანეტს ცუდი გემოვნება ჰქონდა, წარმოუდგენელი სიზარმაცე და ველურის ისეთი უმეცრება ახასიათებდა, რომ ექიმი დეროჟი მეტად განთქმულ მკურნალად მიაჩნდა და სიამაყით იღებდა შინ მეუღლითურთ, რადგან ისინი „ჯვარდაწერილნი“ იყვნენ. იგი პედანტური კილოთი ასწავლიდა ცხოვრებისეულ სიბრძნეს მ-ელ ირმას, საბრალო ქმნილებას, რომელსაც პატარა ხმა ჰქონდა; მას მფარველობდა ერთი „მეტად ზრდილობიანი“ კაცი, ყოფილი საბაჟოს მოხელე, სათამაშო ქაღალდით ფოკუსების ოსტატი, რომელსაც როზანეტი ეძახდა „ჩემო საყვარელო ღიპიანო“. ასევე აუტანელი იყო ფრედერიკისათვის, როცა იგი ხმარობდა ხოლმე სხვადასხვა უაზრო გამოთქმებს: „ვერ მოგართვეს“!, „ღმერთმანი, გავგიჟდები“, „ეს რა ოინია!“ და სხვ. დილაობით თვით წმენდდა ხოლმე მტვრისაგან თავის სამშვენისებს და ამისათვის ძველ თეთრ ხელთათმანებს ჩაიცვამდა. ყველაზე მეტად ფრედერიკს აშფოთებდა მისი მოპყრობა ხელზე მოსამსახურისადმი: ხელფასს მუდამ დაგვიანებით აძლევდა და ამასთან კიდევაც სესხულობდა მისგან. იმ დღეს, როცა ანგარიში უნდა გაესწორებინა, ისე იგინებოდნენ ხოლმე, როგორც ბაზრის ვაჭარი ქალები, შემდეგ კი შერიგდებოდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ. მასთან მარტო დარჩენა საეჭვალო იყო. ფრედერიკმა შვება იგრძნო, როცა ქ-ნმა დამბრეზმა მისაღები საღამოები განაახლა.

აი მასთან ყოველ შემთხვევაში არ მოიწყენდი. იცოდა მაღალი საზოგადოების ინტრიგები, დესპანების დანიშვნის ამბები, ისიც, თუ რამდენი ქარგალი ჰყავდათ ქალთა მკერვალებს, ხოლო თუ ლაპარაკში გამოერეოდა გაცვეთილი სიტყვები, ისინი ისეთ სათუო ფორმას იღებდნენ, რომ ფრაზა მოგეჩვენებოდათ ან განგებ ზრდილობიანი, ანდა ირონიული. უნდა გენახათ იგი ოციოდე სტუმართან მობაასე, არც ერთს არ დასტოვებდა უყურადღებოდ, გამოიწვევდა ისეთ შესიტყვებას, როგორიც თვითონ სურდა, მოერიდებო-

და საჩოთიროს. უაღრესად უბრალო რამ მის პირში აღსარებაც მოგეჩვენებოდათ: ოდნავი მისი ღიმილი ოცნებას მოგგვრიდათ: ერთი სიტყვით, მისი მომხიბვლელობა, ისე როგორც სუნამო, რომლის საუცხოო არომატი მუდამ თან გახლავთ, რაღაც რთულ და გაურკვეველ რამედ გეჩვენებოდათ. მის ახლოს ფრედერიკი ყოველთვის ახალ სიამოვნებას გრძნობდა, თითქოს რაიმე აღმოჩენას ახდენდა; ქალი კი მუდამ ერთნაირი სიმშვიდით ხვდებოდა, ვით ანკარა წყლის სარკოვანი ზედაპირი. მაგრამ რად გამოსჭვიოდა ასეთი სიცივე მის მოპყრობაში შვილობილისადმი? ზოგჯერ რაღაც უცნაურადაც კი გადახედავდა ხოლმე.

როგორც კი სიტყვა ქორწილზე ჩამოვარდა, მან ბ-ნ დამბრეზს გაახსენა „საყვარელი ბავშვის“ სუსტი ჯანმრთელობა და მაშინვე ბალარიუკის აბანოზე წაიყვანა. როცა იქიდან დაბრუნდნენ, ახალი დაბრკოლება აღმოჩნდა: ახალგაზრდა კაცს გარკვეული მდგომარეობა არ ჰქონდა საზოგადოებაში. მისი მძაფრი სიყვარული სერიოზულად მისაჩნევი არ არის, მოცდით არაფერი დაშავდებაო. მარტინონმა უპასუხა, მოვიცდიო. მისი ყოფაქცევა უაღრესად კეთილშობილური იყო. იგი ფრედერიკს აღმერთებდა. უფრო მეტიც: მან ასწავლა ფრედერიკს როგორ მოსწონებოდა ქ-ნ დამბრეზს და გადაკრულადაც კი აგრძნობინა: მისი შვილობილისაგან ვიცი, მამიდა თქვენდამი რა გრძნობით არის გამსჭვალულიო.

რაც შეეხება ბ-ნ დამბრეზს, იგი სრულიად არ ეჭვიანობდა, ახალგაზრდა კაცს ყურადღებას არ აკლებდა, სხვადასხვა საკითხებზე ეთათბირებოდა. ზრუნავდა მისი მომავლისათვის და როგორღაც ერთხელ, როცა ლაპარაკი ძია როკზე ჩამოვარდა, ცბიერულად ყურშიც კი ჩასჩურჩულა:

— თქვენ სწორად მოიქეცით.

სესილიც, მის ჯონიც, მოსამსახურეებიც და მეკარეც, უკლებლივ ყველა მოხიბლული იყო ფრედერიკით. იგი როზანეტს მარტოდ ტოვებდა და ყოველ საღამოს აქ იყო. მომავალი მშობიარობა ქალს უფრო სერიოზულ, რამდენადმე მოწყენილ გუნებაზეც კი აყენებდა, თითქოს რაღაც საფრთხე აწუხებსო. ყოველ შეკითხვაზე ასე უპასუხებდა:

— ცდები! მე კარგად ვარ!

საქმე ის იყო, რომ ერთ დროს მან ხელი მოაწერა კიდეც ხუთ ვექსილს და, რაკი ვერ ბედავდა ფრედერიკისათვის გაემხილა მას

შემდეგ, რაც პირველი ვექსილით გადაიხადა, კვლავ ეწვია არნუს, რომელიც წერილობით შეჰპირდა იმ მოგების მესამედს, რასაც ლანგედოკის ქალაქებში გაზის განათებისაგან (მშვენიერი საწარმო!) მიიღებდა, მაგრამ თანაც ურჩია, აქციონერთა კრებამდე ამ წერილს ნუ გამოიყენებო; კრება კი კვირიდან კვირამდე გადაიდებოდა ხოლმე.

როზანეტს კი ფული ესაჭიროებოდა. სიკვდილს ამჯობინებდა, ვიდრე ფრედერიკს სთხოვდა. არ უნდოდა გამოერთმია მისთვის. ეს მათ სიყვარულს შებღალავდა. მართალია, იგი ხარჯავდა ოჯახში, მაგრამ ეტლი, ყოველთვიურად რომ ქირაობდა და სხვა ხარჯები, რაც აუცილებელი იყო მას შემდეგ, როცა დამბრეზებთან სტუმრობა დაიწყო, საშუალებას არ აძლევდა მეტი მიეცა საყვარლისათვის. ორიოდეჯერ, როცა შინ უჩვეულო დროს დაბრუნდა, თითქოს თვალი შოჰკრა მამაკაცთა ზურგს, კარში რომ ხელად გავარდნენ; ქალი ხშირად მიდიოდა შინიდან და არც ამბობდა სად, ფრედერიკს არ სურდა ჩასძიებოდა ყოველივე ამას. ამ დღეებში გადაწყვეტილება უნდა მიეღო. იგი ოცნებობდა სხვა, უფრო საინტერესო და უფრო კეთილშობილურ ცხოვრებაზე. ეს იდეალი აიძულებდა თავაზიანი ყოფილიყო დამბრეზის ოჯახისადმი.

ეს სახლი იყო პუატიეს ქუჩის ინტიმური განყოფილება. აქ იგი ხვდებოდა ბატონ დიდ ა-ს, სახელგანთქმულ ბ-ს, ღრმაზროვან გ-ს, მშვერმეტყველ დ-ს, უზარმაზარ ე-ს, მარცხენა ცენტრის ძველ ტენორებს, მარჯვენა ცენტრის პალადინებს, საშუალო გეზის ბურგგრაფებს, კომედიის მარადიულ მიამიტებს. იგი განაცვიფრა მათმა ბილწმა სიტყვებმა, მათმა წვრილმანობამ, გულღრძოობამ, უსინდისობამ; ყველა ესენი, ვინც ხმას აძლევდა კონსტიტუციას, თავს არ იზოგავდნენ, რომ მოესპოთ იგი, საოცრად ფუსფუსებდნენ, უშვებდნენ მანიფესტებს, პამფლეტებს, ბიოგრაფიებს. ჰიუსონემ დაწერა ფიუმიშონის ბიოგრაფია, ნამდვილი შედევრი, ნონანკური პროპაგანდას ეწეოდა პროვინციაში, ბ-ნი დე გრამონვილი ამუშავებდა სამღვდელოებას, მარტინონი აერთიანებდა ახალგაზრდა ბურჟუებს, ყველა იღვწოდა თავისი ღონის შესაბამისად, სიზიც კი. იგი ახლა სერიოზულ რამეებზე ფიქრობდა და მთელი დღეების განმავლობაში კაბრიოლეტით დაბრძანდებოდა მათი პარტიების საქმეებზე.

ბატონი დამბრეზი ბარომეტრს ემსგავსებოდა და უცვლელად

გამოხატავდა ყველა უკანასკნელ მერყეობას. არ შეიძლებოდა სიტ-ყვა დაგეძრა ლამარტინზე, რომ მას არ გაემეორებინა ვიღაც უბ-რალო კაცის სიტყვები: „კმარა ჩანგები!“ მის თვალში კავენიაკი ახლა მხოლოდ მოღალატე იყო. პრეზიდენტს, რომლითაც იგი სამი თვის განმავლობაში აღტაცებული იყო, მისი ფიქრით, ფასი ეკარ-გებოდა (რადგან არ გააჩნდა „საჭირო ენერგია“). ხოლო რადგან მას მუდამ ესაჭიროებოდა, რომ ვინმე მხსნელად მიეჩნია, კონსერ-ვატორიასთან მომხდარი ამბების შემდეგ მისი მადლობა შანგარნიეს ეკუთვნოდა... „მადლობა ღმერთს, შანგარნიე... იმედი ვიქონიოთ, რომ შანგარნიე... ოჰ, საშიში არაფერია, სანამ შანგარნიე...“

ყველაზე მეტად აქებდნენ ბ-ნ ტიერს მისი წიგნაკისათვის სო-ციალიზმის წინააღმდეგ, რომლითაც თავი გამოიჩინა არა მარტო როგორც მწერალმა, არამედ აგრეთვე როგორც მოაზროვნემ. სა-შინლად დასცინოდნენ პიერ ლერუს, რომელსაც პალატაში ციტა-ტები მოჰყავდა ფილოსოფოსთა შრომებიდან. თეატრში ტაშს უკ-რავდნენ „იდეების ბაზრობას“ და მის ავტორებს არისტოფანეს ადარებდნენ. ფრედერიკმა ეს პიესა ნახა, ისევე, როგორც სხვებმა.

პოლიტიკური ლაყბობა და კარგი სუფრა ზნეობრივ გრძნობას უჩლუნგებდნენ. რაგინდ არარაობადაც არ ეჩვენებოდნენ ეს პი-როვნებანი, მას ეამაყებოდა მათი ნაცნობობა და გულში ენატრე-ბოდა ბურჟუათაგან პატივისცემის მოპოვება. ქ-ნ დამბრეზის მსგავ-სი საყვარელი დახმარებას გაუწევდა ასეთ დაწინაურებაში.

იგი ყველაფერს სჩადიოდა, რაც კი ამისთვის საჭირო იყო.

შეხვდებოდა ხოლმე, როცა ქალი სეირნობდა, თეატრში შემ-თხვევას არ გაუშვებდა, რომ მის ლოჟაში არ შესულიყო და არ მი-სალმებოდა. რაკი იცოდა, თუ როდის დადიოდა ეკლესიაში, წი-ნასწარ მივიდოდა და მელანქოლიური პოზით დადგებოდა სვეტთან. ახალი ამბების, კონცერტების, იმ წიგნებისა და ჟურნალების თაო-ბაზე რომლებსაც ერთმანეთისაგან ნათხოვრობდნენ, ხშირად ბარა-თებს უგზავნიდნენ ხოლმე ერთიმეორეს. ფრედერიკი მხოლოდ სა-ღამოს კი არ ეწვეოდა, არამედ დღისითაც და, იმის მიხედვით, შე-ვიდოდა თუ არა ჭიშკარში, გაივლიდა ეზოს, წინკარს, ორივე სას-ტუმრო ოთახს, სიხარული თანდათან ემატებოდა; ბოლოს შევიდო-და მის, ეკვდერივით მყუდრო და წალსავით თბილ, ბუდუარში, სადაც სტუმარი უთუოდ წაედებოდა რბილ ავეჯს, შიფონიერებს, ეკრანებს, ლაქის, კუს ძვლის, მალაქიტის, სპილოსძვლის, თასებსა

და ხონჩებს, ძვირფას სამშვენისებს შორის რომ იყო განლაგებული. იყო უბრალო რამეებიც: სამი რიყის ქვა, ეტრეტიდან რომ იყო მოტანილი და პრესპაპიეს მაგივრობას ეწეოდა; ფლამანდური ჩაჩი, ჩინურ შირმაზე რომ ეკიდა; ეს ნივთები რამდენადმე ეხმარებოდნენ ერთმანეთს; ერთად კი ყოველივე ეს კიდევაც გაგაოცებდა თავისი კეთილშობილებით, რაც, მგონი, დამოკიდებული იყო ჭერის სიმაღლეზე, მდიდრულ პორტიერებსა და აბრეშუმის გრძელ ფოჩზე, ტაბურეტების მოვარაყებული კადონებიდან რომ ეშვებოდა.

ქალი მუდამ პატარა დივანზე იჯდა ხოლმე ჟარდინიერის ახლოს, ფანჯარასთან. ვაჟი კი ჩამოჯდებოდა დიდ პუფზე, გორგოლაჭიანი ფეხები რომ ჰქონდა, და ეუბნებოდა ქათინაურებს, რომლებიც რაც კი შეიძლებოდა სიმართლეს ჰგავდა; იგი, ოდნავ განზე თავგადახრილი, უსმენდა და იღიმებოდა ხოლმე.

ლექსებსაც უკითხავდა, მაგრამ ისე, რომ შიგ ახვევდა თავის სულსა და გულს, რადგან ცდილობდა მოელბო მისი გული და თანაც თავი გამოეჩინა. ქალი გააწყვეტინებდა ხოლმე რაიმე სასაცილო შენიშვნით ან პრაქტიკული მოსაზრებით, და მათი საუბარი უთუოდ დაუბრუნდებოდა სიყვარულის მარადიულ საკითხს. ერთმანეთს ჰკითხავდნენ ხოლმე: რა იწვევს მას, ვინ უკეთ გრძნობს მას — ქალი თუ ვაჟი, და აქ რა განსხვავებაა. ფრედერიკი ცდილობდა ისე ეპასუხნა, რომ არც უხეში ყოფილიყო და არც მეტისმეტად დათაფლული. ეს ერთგვარ ორთა ბრძოლად გადაიქცეოდა, რაც ზოგჯერ სასიამოვნო, ზოგჯერ კი მოსაწყენი იყო ხოლმე.

ამ ქალის ახლოს იგი ვერ განიცდიდა ვერც იმ მოხიბლულობას, რაც მთელ მის არსებას ეუფლებოდა და ქ-ნ არნუსკენ იტაცებდა, ვერც იმ ბუნდოვან მხიარულებას, რასაც პირველ ხანებში როზანეტი იწვევდა. გარნა იგი ილტვოდა მისკენ, როგორც რაღაც არაჩვეულებრივისაკენ, მიუწვდომლისაკენ, იმიტომ რომ იგი იყო დიდგვაროვანი, იმიტომ რომ იგი იყო მდიდარი, იმიტომ რომ იყო ღვთის მოსავი, და ეგონა, რომ იგი განირჩეოდა გრძნობათა სინატიფით, რაც ისეთივე იშვიათი იყო, როგორც მისი მაქმანები, რომ იგი გულზე ატარებდა ავგაროზს და ესოდენ მორცხვი იყო თავის გარყვნილებაში.

ძველმა სიყვარულმა სარგებლობა მოუტანა. ყოველივე ის, რაც ოდესმე განიცადა ქ-ნ არნუს მეოხებით: წუხილი, ნაღველი, ოცნება ისე გაუმხილა, თითქოს მისგან იყო გამოწვეული. ქ-ნი დამბრე-

ზი ყოველივე ამას ისე იღებდა, როგორც ასეთ რამეებს ჩვეულ, და თუ ჯეროვნად უარს არ ეუბნებოდა. არც უკან იხევდა; არც ვაჟს უხერხდებოდა მისი შეცდენა, ისე როგორც მარტინონს ცოლის შერთვა. შვილობილის თაყვანისმცემელთან რომ საქმე გაეთავებინა, ქ-ნმა დამბრეზმა ბრალად დასდო, მისი მიზანი ფულიაო, კიდევაც სთხოვა ქმარს გამოეცადა იგი. და აი ბ-ნმა დამბრეზმა ახალგაზრდას გამოუცხადა, ობოლ სესილს ღარიბი მშობლები ჰყავდა, მზითვი არ აქვს და არც არაფრის „იმედი" გააჩნიაო.

მარტინონმა, იმიტომ, თუ არ დაიჯერა, თუ იმიტომ, რომ მეტად შორს შესტოპა და აღარ შეეძლო უარი ეთქვა თავის სიტყვებზე, თუ იმიტომ, რომ სულელური ჯიუტობა სჩვეოდა, რაც გენიალობად იქცეოდა ხოლმე, უპასუხა: მამაჩემის დატოვებული ქონება, წლიური თხუთმეტი ათასი ლივრი შემოსავალი ჩვენთვის საკმაო იქნებაო. ამ მოულოდნელმა უანგარობამ გული აუჩუყა ბანკირს. დაჰპირდა, გადასახადების ამკრეფის თანამდებობას გიშოვნი და საჭირო გირაოსაც შევიტანო, და 1850 წლის მაისში მარტინონმა მ-ელ სესილი შეირთო. ქორწილი არ გაუმართავთ. ახალგაზრდები იმავე საღამოს იტალიაში გაემგზავრნენ. მეორე დღეს ფრედერიკი ვიზიტად ეწვია ქ-ნ დამბრეზს. მოეჩვენა, თითქოს ქალი ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი იყო. რამდენჯერმე გესლიანად შეედავა ფრედერიკს სულ უბრალო რამეებზე. საერთოდ ყველა მამაკაცი ეგოისტიაო.

— მაგრამ ხომ არიან მათ შორის თავდადებული ადამიანებიც, აი თუნდაც მე?

— რა თქმა უნდა! ისეთივე, როგორიც სხვები!

ქალს თვალები დაწითლებული ჰქონდა, მაშასადამე, უტირია. გაღიმება სცადა. — მაპატიეთ! დამნაშავე ვარ! რაღაც ნაღვლიანი ფიქრი მომერია!

ფრედერიკმა ვერაფერი გაიგო.

„ყოველ შემთხვევაში, — გაიფიქრა მან. — ისე მტკიცე ხასიათისა როდია, როგორც მეგონა".

ქ-ნმა დამბრეზმა დარეკა, ჭიქა წყალი მოითხოვა, მოსვა და უბრძანა, წაიღეო; მერმე ჩივილი დაიწყო, ცუდი მოსამსახურე მყავსო. ვაჟმა გასართობად შესთავაზა, ლაქიად მიმიღეო, და არწმუნებდა, მოვახერხებ თეფშები მოვიტანო, ავეჯი მტვრისაგან გავწმინდო, სტუმრების მოსვლა მოგახსენო, ერთი სიტყვით, ვიყო კამერდინე-

რი, ან უფრო პაჟი, თუმცა ისინი მოდაში აღარ არიანო. მინდა, შენი ეტლის უკან ვიდგე და თავს მამლისფრთებიანი ქუდი მეხუროსო.

— რა დარბაისლურად გამოგყვებოდით უკან თქვენი ფინიოთურთ!

— მხიარული ვინმე ბრძანდებით! — უთხრა ქ-ნმა დამბრეზმა.

— სიგიჟე არაა, — დასძინა ვაჟმა. — ყველაფერს სერიოზულად მოეკიდო? მწუხარება ისედაც ბევრია, რა საჭიროა მისი გამოგონება? მწუხარების ღირსი არაფერია.

ქ-ნმა დამბრეზმა წარბები ასწია, თითქოს უდასტურებსო.

ასეთმა თანაგრძნობამ ფრედერიკს მეტი გამბედაობა მისცა. წინანდელმა მარცხმა, რაც ბევრჯერ განიცადა, გამჭრიახობა ასწავლა. მან განაგრძო:

— ჩვენმა მამა-პაპებმა იცოდნენ უკეთ ცხოვრება. რატომ არ უნდა მიენდო ლტოლვას? ბოლოს და ბოლოს სიყვარული თავისთავად არც აგრე დიდმნიშვნელოვანი რამაა.

— მაგრამ ის, რასაც თქვენ ამბობთ, უზნეობაა!

ქალი პატარა დივანზე დაჯდა. ვაჟი ნაპირზე ჩამოჯდა მის ფეხებთან. — განა ვერ ხედავთ, რომ ვტყუი? ქალებს რომ მოეწონო, თავი უდარდელად უნდა გეჭიროს, როგორც ხუმარას, ანდა მძვინვარებდე, როგორც ტრაგედიაში. ისინი დაგვცინიან, როცა უბრალოდ ვეუბნებით, მიყვარხარო. ჩემი აზრით, გაზვიადება, რაც მათ ართობს, ნამდვილი სიყვარულის შებღალვაა; ბოლოს და ბოლოს, არ იცი, როგორ გამოთქვა იგი, განსაკუთრებით როცა გისმენენ... მეტად ჭკვიანი... ქალები.

ქალი ოდნავ თვალმოჭუტული უსმენდა. ვაჟი ხმას უდაბლებდა, მისი სახისკენ იხრებოდა.

— დიახ! — განაგრძობდა, — მე თქვენი მეშინია! იქნებ, შეურაცხყოფა მოგაყენეთ? მე ხომ არ მინდოდა ყოველივე ეს მეთქვა! ჩემი ბრალი არ არის! თქვენ ესოდენ მშვენიერი ხართ!

ქ-ნმა დამბრეზმა თვალები დახუჭა, და ვაჟს გაუკვირდა, რა ადვილად მოვიპოვე გამარჯვებაო. მაღალი ხეები, ბაღში რომ ნაზად შრიალებდნენ, გაშეშდნენ; უძრავი ღრუბლები გრძელ წითელ ზოლებად გაჭიმულიყვნენ ცაში; მთელ მსოფლიოში თითქოს ყველაფერი შეწყდაო. ვაჟს ბუნდოვნად გაახსენდა ასეთივე სიჩუმით აღსავსე საღამოები. სად იყო ეს?...

ვაჟმა დაიჩოქა, მისი ხელი აიღო და მარადიული სიყვარული შეჰფიცა. შემდეგ კი, როცა წასვლა დააპირა, ქალმა ანიშნა, მომიახლოვდიო, და სულ წყნარად უთხრა:

— სადილად მობრძანდით! მარტონი ვიქნებით!

როცა ფრედერიკი კიბეზე ჩადიოდა ,ეგონა სულ სხვა კაცი გავხდი, გარს სათბურის სურნელოვანი ჰაერი მახვევია, შეყვარებულ პატრიციელთა ღალატისა და მაღალი წრის ინტრიგების სამყაროში საბოლოოდ შეეედი. იქ რომ პირველი ადგილი დაიკავო, საკმაოა ისეთი ქალი გყავდეს, როგორიც იგიაო. იგი უეჭველად მოწყურებულია მოღვაწეობასა და ძალაუფლებას, მაგრამ დაქორწინებულია უფერულ კაცზე, რომლისთვისაც ბევრი რამ გაუკეთებია, და ახლა იქნებ სურს ვინმე უფრო ძლიერს უხელმძღვანელოსო. ახლა შეუძლებელი არაფერია.

იგი გრძნობდა, რომ მზად იყო ცხენით გაევლო ორასი მილი, დაუღალავად ემუშავა მრავალი ღამე ზედიზედ; გული აღსავსე ჰქონდა სიამაყით.

მის წინ ტროტუარზე თავჩაღუნული მიდიოდა ვიღაც, ვისაც ძველი პალტო ეცვა; ისეთი განაწამები შესახედაობა ჰქონდა, რომ ფრედერიკი მიბრუნდა, რომ სახეში შეეხედა. უცნობმა თავი ასწია. ეს დელორიე იყო. იგი რატომღაც ყოყმანობდა. ფრედერიკი მივარდა და მოეხვია.

— აჰ! ჩემო კარგო! როგორ! შენა ხარ?

შინ წაიყვანა, გზაში ათასგვარ კითხვას აყრიდა.

ლედრიუ-ლორენის ყოფილი კომისარი ჯერ თავის გაჭირვებას მოუყვა. რადგან კონსერვატორებს ძმობას უქადაგებდა, სოციალისტებს კი — კანონისადმი პატივისცემას, ერთნი ტყვიას ესროდნენ, მეორენი კი თოკს ეძებდნენ მის ჩამოსახრჩობად. ივნისის ამბების შემდეგ მოურიდებლად გადააყენეს თანამდებობიდან. იგი შეთქმულებს მიემხრო, რომლებმაც იარაღი დაიტაცეს ტრუაში. სამხილთა უქონლობის გამო გაანთავისუფლეს. შემდეგ რევოლუციურმა კომიტეტმა ლონდონს გაგზავნა, სადაც ბანკეტზე თანამებრძოლებს წაეჩხუბა. პარიზს რომ დაბრუნდა...

— რატომ ჩემთან არ მოხველ?

— არასოდეს შინ არ იყავი. შენს მეკარეს თავი როგორღაც უცნაურად ეკავა, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა, თანაც არ მინდოდა დამარცხებული გჩვენებოდი.

იგი დემოკრატიის კარს უკაკუნებდა, სურდა სამსახური გაეწია მისთვის კალმით, სიტყვით, საქმით, მაგრამ ყველგან უარყვეს; არ ენდობოდნენ, და იძულებული გახდა გაეყიდა საათი, წიგნები, თეთრეული.

— მირჩევნია სული ამომხდეს ბელ-ილის კატორღაში სენეკალთან ერთად!

ფრედერიკი, ამ დროს რომ ჰალსტუხს იკეთებდა, აქ ამბავს თითქოს ძლიერ არ აუღელვებიაო.

— აჰ! ის გადასახლებულია, ჩვენი კარგი სენეკალი?

დელორიემ, შურით რომ ათვალიერებდა კედლებს, უპასუხა:

— ყველას ხომ ისეთი ბედი არ აქვს, როგორც შენ!

— მაპატიე, — უთხრა ფრედერიკმა, რომელსაც ქარაგმა არ შეუნიშნავს, — დღეს სტუმრად ვარ დაპატიჟებული. სადილს დაგიმზადებენ, უბრძანე რაც გინდა! დასაძინებლად ჩემს ლოგინზე დაწექ.

ასეთმა დიდმა გულითადობამ მწუხარება გაუქარვა დელორიეს.

— შენს ლოგინზე? კი... მაგრამ უხერხულია.

— ოჰ, არა! მე სხვაც მაქვს.

— მაშ, კარგი! — სიცილით უთხრა ადვოკატმა. — ვისთან სადილობ?

— ქ-ნ დამბრეზთან.

— ოჰო, შენ, ვინიცობაა...

— შენ მეტისმეტად ცნობისმოყვარე ხარ, — უთხრა ფრედერიკმა და ღიმილით დაუდასტურა ვარაუდი.

შემდეგ საათს დახედა და კვლავ დაჯდა.

— ასეთია საქმეები! და სასო არ უნდა დაკარგო, ხალხის ძველო დამცველო!

— ღმერთმა დამიფაროს! დაე, ახლა, სხვებმა აკეთონ ეგ საქმე!

ადვოკატს სძაგდა მუშები, რადგან ბევრი რამ გადაიტანა მათს გამო პროვინციაში, ქვანახშირის ოლქში. თითოეული ოლქი თავის დროებით მთავრობას ირჩევდა და განკარგულებას აძლევდა.

— თუმცა ისინი ყველგან კარგები იყვნენ: ლიონშიც, ლილშიც, ჰავრშიც და პარიზშიც! მექარხნეთა მაგალითისამებრ, რომელთაც სურდათ აღეკვეთათ ყოველგვარი უცხოური საქონელი, ეს ვაჟბატონებიც მოითხოვდნენ განედევნათ ყველა მუშა: ინგლისელები, გერმანელები, ბელგიელები, სავოელები! რაც შეეხება მათს ინტელექტს, აბა რას ემსახურებოდნენ მათი განთქმული ქარგალთა ამ-

ხანგრძანი რესტავრაციის დროს? ათას რვაას ოცდაათ წელს ისინი შეეიდნენ ეროვნულ გვარდიაში და არც კი უფიქრიათ იმაზე, რომ დაემორჩილებინათ იგი! ხოლო ორმოცდარვა წელს განა მეორე დღესვე არ გამოვიდნენ მათი ხელოსანთა საამქროები თავიანთი დროშებით! მათ თავიანთი დეპუტატებიც კი სურდათ, რომლებიც მხოლოდ მათს ინტერესებს დაიცავდნენ! სწორედ ისე, როგორც შაქრის ჭარხლის მრეწველობის წარმომადგენლები მხოლოდ შაქრის ჭარხლისათვის ზრუნავენ! ოჰ, კმარა ეგ საძაგლები, რომლებიც ხან რობესპიერის ეშაფოტის წინ განერთხმიან მიწას, ხან იმპერატორის ფეხქვეშ, ხანაც ლუი-ფილიპეს ქოლგის დანახვაზე, კმარა ეგ არამზადები, რომლებიც მუდამ იმათი ერთგულნი არიან, ვინც პურით ამოუტენის ხახას. კვლავ გაჰკივიან ტალეირანისა და მირაბოს გამყიდველობაზე, აი ის შიკრიკი, ქვემოთ რომ დგას იქ, ორმოცდაათ სანტიმად გაყიდის საშშობლოს, თითო დაკალების შესრულებისათვის რომ სამ ფრანკს დაჰპირდე. აჰა, რა შეცდომა იყო! ჩვენ ოთხივე მხრიდან უნდა მიგვეცა ცეცხლი ევროპისათვის!

ფრედერიკმა უპასუხა:

— ნაპერწკალი არ გეყოთ! თქვენ მხოლოდ წვრილი ბურჟუები იყავით და საუკეთესონი თქვენს შორის პედანტები იყვნენ! რაც შეეხება მუშებს, მათ ბევრი რამ აქვთ საჩიველი; თუ იმ მილიონს არ ჩავთვლით, რომელიც ბიუჯეტისათვის გამოიძებნა, და რომელიც ესოდენ საზიზღარი პირფერობით მიართვით მათ, და კიდევ თქვენს ფრაზებს არ მოვიხსენიებთ, თქვენ ხომ მათთვის არაფერი არ გაგიკეთებიათ! საანგარიშსწორებო წიგნაკი პატრონის ხელშია და დაქირავებული მუშა (სამართლის წინაშე კი) დამქირავებელს ემორჩილება, რადგან მის სიტყვას არ ენდობიან. არსებითად რომ ითქვაა, მე მგონია რესპუბლიკა მოძველდა. ვინ იცის? იქნებ მხოლოდ არისტოკრატიას ან მხოლოდ ცალკეულ პიროვნებას შეუძლია განახორციელოს პროგრესი. ინიციატივა მუდამ ზემოდან მოდის! რაც გინდა თქვი, ხალხი სრულწლოვანი არ არის.

— ეგ იქნებ მართალიც იყოს! — უთხრა დელორიემ.

ფრედერიკის აზრით, მოქალაქეთა უფრავლესობა მხოლოდ მშვიდობას ესწრაფვის (დამბრეზთა ოჯახში ცოტა რამ შეითვისა) და ყველა შანსი კონსერვატორთა მხარეზეა. მაგრამ ამ პარტიას ახალი ადამიანები არ ჰყავს.

— შენ რომ გამოსულიყავ კანდიდატად, დარწმუნებული ვარ...

სიტყვა არ დაამთავრა. დელორიე მიხვდა, ორივე ხელი შუბლზე გადაისვა, მერმე უეცრად ჰკითხა:

— შენ კი რა? შენ ხომ არაფერი არ გიშლის ხელს? რატომ არ უნდა გახდე დეპუტატი? ობის დეპარტამენტში დამატებითი არჩევნების გამო არის თავისუფალი ადგილი, ბ-ნი დამბრეზი, რომელიც საკანონმდებლო კრებაშია არჩეული, სხვა ოლქის წარმომადგენელია.

— გინდა, მე შევუდგები ამ საქმეს?

იგი იქ იცნობდა ბევრ მედუქნეს, მასწავლებელს, ექიმს, კლერკსა და მათ პატრონებს.

— თანაც გლეხები ყველაფერს დაიჯერებენ, რაც გინდა!

ფრედერიკი გრძნობდა, რომ კვლავ გაეღვიძა პატივმოყვარეობა. დელორიემ დასძინა:

— შენ კი ადგილს მიშოვნიდი პარიზში.

— ოჰ, ბატონ დამბრეზის დახმარებით ეგ ადვილი იქნება!

— ჰო, რაკი სიტყვამ მოიტანა, — განაგრძო ადვოკატმა, — რა ვდგომარეობაშია ახლა მისი კომპანია? სწორედ ჩემი შესაფერისი იქნებოდა ამგვარი სამუშაო, მე კი სასარგებლო ვიქნებოდი მათთვის და დამოუკიდებლობასაც შევინარჩუნებდი.

ფრედერიკი დაჰპირდა, უახლოეს დღეებში ბანკირთან წაგიყვანო.

სადილი ქ-ნ დამბრეზთან ერთად მომზიბვლელი იყო. იგი მის პირდაპირ იჯდა და უღიმოდა, ხოლო მათ შორის სუფრაზე ყვავილებიანი კალათი იდგა; დაკიდებული ლამპა, ენთო და ღია ფანჯარაში ვარსკვლავები მოჩანდა. ცოტას ლაპარაკობდნენ, ალბათ, კიდევ უფრთხოდნენ ერთმანეთს. მაგრამ, როცა მოსამსახურენი ზურგს უჩვენებდნენ, ისინი ერთმანეთს ჰაეროვან ამბორს უგზავნიდნენ. ვაუმა თავისი კანდიდატურის გეგმა გააცნო. ქალმა მოუწონა და კიდევაც დაჰპირდა, ბ-ნ დამბრეზის დახმარებას მოგიწყობო.

საღამოს ზოგი მეგობარი შემოვიდა მისალოცავად და თანაგრძნობის გამოსათქმელად: ალბათ, დამწუხრებულია, რომ შვილობილი აქ აღარ ჰყავსო. ახალგაზრდებმა მაინც კარგი ქნეს, რომ სამოგზაუროდ წავიდნენ; შემდეგ გაუჩნდებათ შვილები, სხვადასხვა საზრუნავი! თუმცა იტალია ვერ ამართლებს იმ წარმოდგენას, რაც მასზე არსებობს! მაგრამ ახლადდაქორწინებულნი ჯერ კიდევ არ გამოსულან ილუზიების ასაკიდან და თაფლის თვესაც ყველაფრის შელამაზება შეუძლია!

ყველაზე ბოლოს დარჩნენ ბ-ნი დე გრემონვილი და ფრედერიკი. დიპლომატი სულ ფეხს ითრევდა. ბოლოს შეაღამისას იგი აუდიენციაზე-ნმა დამბრეზმა ფრედერიკს ანიშნა, რომ ისიც წასულიყო, და მორჩილებისათვის შადლობა უთხრა ისეთი ხელისჩამორთმევით, რაც ყველა დანარჩენზე უფრო ტკბილი იყო.

როზანეტმა სიხარულით შეჰკივლა, როცა იგი დაინახა. უკვე ხუთი საათიდან ელოდებოდა. თავის გასამართლებლად მოიმიზეზა, რომ საჭირო იყო რაიმე გაეკეთებინა დელორიესათვის. სახე ზეიმოვანი, თითქოს შარაგზენდედით გაბრწყინებული ჰქონდა, რამაც როზანეტი დააბრმავა.

— ეს იქნებ იმიტომაა, რომ შავი ფრაკი გაცვია, ძალიან გიხდება. არასოდეს ასეთი ლამაზი არ მინახავხარ! რა ლამაზი ხარ!

სინაზის მოჭარბებისას თავის თავს ფიცი მისცა, რაც უნდა მოხდეს, აღარავის დავნებდე, თუნდაც სიღატაკეში სიკვდილი მომიხდესო. მისი მშვენიერი წყლიანი თვალები ისეთი ძლიერი ენებით ციმციმებდნენ, რომ ფრედერიკმა ხელი სტაცა, მუხლებზე დაისვა და გაიფიქრა: „რა არამზადა ვარ!“ გარნა გულში აღტაცებული იყო თავისი გარყვნილებით.

IV

როცა დელორიე ბ-ნ დამბრეზთან გამოცხადდა, ბანკირი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გამოეცოცხლებინა თავისი დიდი ქვანახშირის საწარმო. მაგრამ ყველა საზოგადოების გაერთიანებას ალმაცერად უცქერდნენ; გაიძახოდნენ, ამას მონოპოლია მოჰყვებაო, თითქოს ასეთი საქმე უდიდეს კაპიტალს არ მოითხოვდეს!

დელორიემ, ვინც ის იყო საგანგებოდ წაიკითხა გობეს წიგნი და ბ-ნ შაპას სტატია „ჟურნალ დე მინ-ში“, სავსებით შეისწავლა ეს საკითხი ვან განვარტა, რომ 1810 წლის კანონი შეურყეველად აწესებს კონცესიონერის უფლებას. თანაც მთელ საწარმოს შეიძლება მიეცეს დემოკრატიული ელფერი; ქვანახშირის კომპანიების გაერთიანებისათვის ხელის შეშლა ხომ თვით ასოციაციის პრინციპის დარღვევას ნიშნავს.

ბ-ნმა დამბრეზმა გადასცა თავისი შენიშვნები მოხსენებითი ბარათის შესადგენად. რაც შეეხებოდა დელორიეს შრომის ანაზღაურებას, ბევრი იმდენადვე სანატრელი დაპირება მიიღო, რამდენადაც გაურკვეველი.

დელორიე მივიდა ფრედერიკთან და აცნობა თავისი მოლაპარაკება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წასვლისას სადარბაზო შესასვლელში ქ-ნი დამბრეზი დაინახა.

— ვომილოცნია, დასწყევლოს ღმერთმა!

შემდეგ არჩევნებზე ილაპარაკეს. საჭირო იყო რაიმე მოეფიქრებინათ.

სამი დღის შემდეგ დელორიემ მოიტანა თავიდან ბოლომდე გაჭრელებული ფურცელი, რაც განკუთვნილი იყო გაზეთისათვის და წარმოადგენდა ბ-ნ დამბრეზის ღია ბარათს, რომლითაც მათი მეგობრის კანდიდატურას იწონებდა. კონსერვატორის მხარდაჭერითა და წითლის მოწონებით წერილს წარმატება უნდა მოჰყოლოდა. როგორ დასვა კაპიტალისტმა თავისი ხელმოწერა ასეთ სტატიაზე? ადვოკატმა, თავისი ინიციატივით, სრულიად მოურიდებლად აჩვენა იგი ქ-ნ დამბრეზს, ვინც ძლიერ მოიწონა და დანარჩენი ზრუნვა თვითონ იკისრა.

ასეთმა ნაბიჯმა ფრედერიკი გააკვირვა, მაგრამ მაინც მოიწონა, დელორიე უნდა მოლაპარაკებოდა ბ-ნ როკს. ფრედერიკმა უამბო თავის ურთიერთობაზე ლუიზასთან.

— უთხარი ყველაფერი, რაც გინდა, რომ ჩემი საქმეები ცუდადაა, რომ ვცდილობ მოვაწესრიგო ისინი. ლუიზა ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდაა, შეუძლია მოიცადოს!

დელორიე წავიდა, ხოლო ფრედერიკმა თავი იგრძნო როგორც ძლიერ მოხერხებულმა კაცმა. საერთოდ სრულ და დიდ კმაყოფილებას განიცდიდა. სასიხარულო შეგნებას, რომ მდიდარი ქალი ჰყავს, არ ჩრდილავდა არავითარი დაბრკოლება; მისი გრძნობები ჰარმონიულად ეგუებოდნენ ქალის მთელ გარემოცვას. ახლა ვაჟის მთელი ცხოვრება სიამით იყო გამსჭვალული.

მგონი ყველაზე სასიამოვნო იყო ქ-ნ დამბრეზის ნახვა, როცა იგი თავის სასტუმრო ოთახში იჯდა, რამდენიმე ნაცნობთა შორის. მაშინ თავი მკაცრად ეჭირა, მაგრამ ვაჟი სხვა ყოფაში წარმოიდგენდა ხოლმე მას; სანამ გულგრილად ესაუბრებოდა სტუმრებს, იგი იგონებდა სიყვარულის ამაღელვებელ სიტყვებს; პატივისცემა, რაც ქალის სათნოებისათვის გაღებული ხარკი იყო, ვაჟს სიამოვნებას ჰგვრიდა, თითქოს ეს პატივისცემა დაემსახურებინოს. ზოგჯერ ვაჟს სურდა წამოეძახა: „მე ხომ მას უკეთ ვიცნობ, ვიდრე თქვენ! იგი ჩემია!“

მათი კავშირი მალე ყველასათვის ცნობილი გახდა. ყველასაგან რაღაც მეტად აღიარებულად გადაიქცა. ფრედერიკი მთელი ზამთრის მანძილზე მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდა და ქ-ნ დამბრეზს არ შორდებოდა.

იგი თითქმის ყოველთვის მასზე ადრე მიდიოდა და შეეძლო დაენახა, როგორ შემოდიოდა ქალი: ხელში მარაო ეჭირა. თმაში მარგალიტი ეკეთა, მხრები შიშველი ჰქონდა. კარებში შეჩერდებოდა, რითაც ჩარჩოში ჩასმულ სურათს ემსგავსებოდა, მერმე ნელა, გაუბედავად დაიძვრებოდა, თვალებს მოკუტავდა და ფრედერიკს ეძებდა. შინ ქალს მიჰყავდა ხოლმე თაეისი ეტლით, ფანჯრებში წვიმა სცემდა, გამვლელნი აჩრდილებივით მილასლასებდნენ ტალახში; ფრედერიკი და ქ-ნი დამბრეზი, ერთმანეთს მიხუტებულნი, ყოველივე ამას უყურადღებოდ, აგდებული გულგრილობით უცქეროდნენ ხოლმე. იგი სხვადასხვა საბაბით კიდევ კაი ერთ საათს რჩებოდა მის ოთახში.

ქ-ნი დამბრეზი მას უმთავრესად მოწყენილობის გამო დანებდა. მაგრამ ამ უკანასკნელ გამოცდილებას ამაოდ არ ჩაევლო. ქალს სურდა ვნებიანი სიყვარული აენთო ვაეის გულში, ალერსს არ აკლებდა, სურდა მუდამ ესიამოვნებინა.

ქალი ყვავილებს უგზავნიდა, ამოქარგული სკამი უთავაზა. ვაეის მთელი ფიქრები რომ მასთან ყოფილიყო დაკავშირებული, აჩუქა საპაპიროსე, სამელნე, მრავალი ნივთი, რაც საჭიროა ყოფა-ცხოვრებაში. თავდაპირველად ეს ყურადღება ვაეს ხიბლავდა, ხოლო მალე სრულიად ბუნებრივი ეჩვენებოდა.

ქალი ეტლს დაიქირავებდა, რომელიმე დახურულ გასასვლელამდე მივიდოდა, ეტლს გაუშვებდა, გასასვლელში შევიდოდა და მეორე მხარეზე კედელ-კედელ გაჰყვებოდა სახლებს, სანამ, ორმაგ პირბადეაფარებული, არ მივიდოდა იმ ქუჩაზე, სადაც გუშაგივით იდგა ხოლმე ფრედერიკი, რომელიც მკლავში ხელს გაუყრიდა და შინ წაიყვანდა. ორივე ლაქია წასული იყო ხოლმე, მეკარე რაიმე საქმეზე გაიგზავნებოდა. ქალი აქეთ-იქით დაიწყებდა თვალიერებას: საშიში არაფერი იყო და იგი შვებით ამოისუნთქავდა, ვით საშშობლოში დაბრუნებული დევნილი. წარმატებამ ისინი გაათამამა. პაემანი გახშირდა. ერთხელ საღამოს ქალი უეცრად ეწვია. საბალოდ გამოწყობილი. ასეთი გამოხდომა შეიძლებოდა საშიში გამხდარიყო, ვაემა გაუფრთხილებლობა უკიეინა; თანაც ცუდი შთაბეჭდილება მოახ-

დინა მასზე: გულამოჭრილი კაბა ვეტად უშიშვლებდა გამხდარ გულმკერდს.

და ვაჟმა შეიგრძნო ის, რასაც საკუთარ თავს უმალავდა: გრძნობათა გაცრუება. ეს ხელს არ უშლიდა თავი მგზნებარე შეყვარებულად მოეჩვენებინა; გარნა სიყვარული რომ ეგრძნო, მეხსიერებაში როზანეტის ან ქ-ნ არნუს სახე უნდა წარმოედგინა.

გრძნობათა ამ უგერგილობის მეოხებით, გონება სრულიად თავისუფალი რჩებოდა და ახლა ყველაზე მეტად ისწრაფვოდა საზოგადოებაში მაღალი ადგილი მოეპოვებინა. რაკი ასეთი დასაყრდენი აქვს, ყოველ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს იგი.

ერთხელ დილით, იანვრის შუა რიცხვებში, მასთან კაბინეტში სენეკალი შევიდა და გაკვირვებული შეძახილის პასუხად განაცხადა, ახლა მე დელორიეს მდივანი ვარო; წერილიც კი გადასცა. დელორიე კარგ ამბებს ატყობინებდა, მაგრამ მაინც უსაყვედურებდა დაუდევრობის გამო: რატომ თვითონ არ ჩამოდიხარო.

მომავალმა დეპუტატმა უპასუხა, ზეგ ჩამოვალო.

სენეკალს მის კანდიდატურაზე თავისი აზრი არ გამოუთქვამს. ილაპარაკა მხოლოდ თავის თავსა და საფრანგეთის მდგომარეობაზე.

რაგინდ სავალალოც უნდა ყოფილიყო მისი ქვეყნის მდგომარეობა, იგი ახარებდა, რადგან იხსნებოდა კომუნიზმისაკენ მიმავალი გზა. ჯერ ერთი, თვით მთავრობა მიდის იქითკენ, რადგან დღითიდღე ჩნდება სულ უფრო მეტი საქმე, რასაც თვით მთავრობა წყვეტს. რაც შეეხება საკუთრებას, 48 წლის კონსტიტუციამ, თავისი სუსტი მხარეების მიუხედავად, იგი არ დაზოგა; საზოგადოებრივი სარგებლობისათვის სახელმწიფოს ამიერიდან შეუძლია წაიღოს ყველაფერი, რასაც თავისთვის საჭიროდ მიიჩნევს. სენეკალმა განაცხადა, ხელისუფლების მომხრე ვარო, და ფრედერიკმა მის სიტყვებში გაიგონა თავისი აზრების გამოძახილი, ის, რაც დელორიეს უთხრა. რესპუბლიკელმა მასების უმწეობაც კი გააკრიტიკა.

— რობესპიერმა უმცირესობის უფლებას რომ იცავდა, ლუი მეთექვსმეტე კონვენტის სამართალში მისცა და ხალხი იხსნა, საქმის შედეგი აკანონებს მას. დიქტატურა ზოგჯერ გარდუვალია. გაუმარჯოს ტირანიას, თუკი ტირანი სიკეთეს ქმნის!

საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და წასვლისას სენეკალი გამოტყდა (იქნებ მისი ვოსვლის მიზანიც ეს იყო), რომ დელორიე ძლიერ შეშფოთებული იყო ბ-ნი დამბრეზის დუმილით.

მაგრამ ბ-ნი დამბრეზი ავად არის. ფრედერიკი ყოველდღე დადის მის სანახავად, რადგან, როგორც ახლობელს, ნება აქვს მნახულობს.

გენერალ შანგარნიეს გადაყენებამ მეტად ააღელვა კაპიტალისტი. იმავე საღამოს ისეთი დიდი სიცხე და გულისხუთვა ჰქონდა, რომ ლოგინზე ვერ ისვენებდა. წურბელები რომ დაეყარეს, უმალვე უკეთ გახდა. მშრალი ხველა გაუქრა, სუნთქვა უფრო მშვიდი გაუხდა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, როცა ბულიონს მიირთმევდა, ვანაცხადა:

— აჰ, საქმე კარგადაა! მაგრამ კინაღამ შორ გზას ვავუდექი!

— უჩემოდ არა! — წამოიძახა ქ-ნმა დამბრეზმა და ამით გააგებინა, უშენოდ სიცოცხლე არ მინდაო.

კაცმა პასუხის ნაცვლად თვალი შეავლო მას და მის საყვარელს, უცნაურად გაიღიმა, რომელიც შეიცავდა მორჩილებასაც, თავაზიანობასაც, დაცინვასაც და თითქოს ხუმრობასაც კი, თითქმის სასაცილო ქარაგმას.

ფრედერიკს უნდოდა ნოელანს წასულიყო, ქ-ნი დამბრეზი წინააღმდეგი იყო და ვაჟი ხან ჩაალაგებდა, ხან ამოალაგებდა ჩემოდანს, იმისდა მიხედვით, თუ რა მიმართულებას იღებდა ავადმყოფობა.

უეცრად ბ-ნმა დამბრეზმა სისხლი წამოანთხია. „მეცნიერების ქურუმებმა“, ავადმყოფთან რომ მოიწვიეს, ახალი არაფერი თქვეს. ავადმყოფს ფეხები დაუსივდა, სისუსტე მოემატა. რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი, სესილი მაჩვენეთო; იგი საფრანგეთის მეორე ბოლოში იყო ქმართან ერთად, ვინც ერთი თვის წინათ დაინიშნა გადასახადთა ამკრეფად. ბრძანა, უსათუოდ გამოიწვიეთო. ქ-ნმა დამბრეზმა სამი წერილი დაწერა და ქმარს უჩვენა.

ცოლი მედიცინის დასაც კი არ ენდობოდა და ერთი წამითაც არ ტოვებდა ავადმყოფს, ღამით დასაძინებლად არ წვებოდა. ნაცნობები, მეკარესთან რომ წიგნში ხელს აწერდნენ, მოწიწებით კითხულობდნენ ქ-ნ დამბრეზის ამბავს, ხოლო გამვლელნი პატივისცემით იმსჭვალებოდნენ იმ აუარებელი ჩალის დანახვისას, ფანჯრებთან რომ იყო დაფენილი ქვაფენილზე.

12 თებერვალს, ხუთ საათზე ძლიერი სისხლის დენა დაეწყო. ექიმმა, ავადმყოფთან რომ მორიგეობდა, განაცხადა. ავადმყოფის მდგომარეობა სავალალოაო. მალე მღვდელთან გაგზავნეს.

სანამ ბ-ნი დამბრეზი აღსარებას ამბობდა, მეუღლე შორიდან

ცნობისმოყვარეობით უცქეროდა. შემდეგ ახალგაზრდა ექიმმა მარიამბულას სალბუნი გაუკეთა და შედეგს ელოდა.

ავეჯსმოფარებული ლამპები უთანაბროდ აშუქებდნენ ოთახს. ფრედერიკი და ქ-ნი დამბრეზი ფერხთით უდგნენ და მომაკვდავს უცქეროდნენ. ფანჯარასთან მღვდელი და ექიმი დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ; მედიცინის და დაჩოქილი იყო და ლოცვებს ბუტბუტებდა.

ბოლოს გაისმა ხროტინი. ხელები უცივდებოდა, სახე სულ უფრო უფითრდებოდა. ხანდახან უეცრად ღრმად ამოიოხრებდა; ოხვრაც სულ უფრო იშვიათი ხდებოდა; რამდენიმე გაუგებარ სიტყვას წამოისროდა: შემდეგ სულ წყნარად ამოიგმინა, თვალები გადაატრიალა და თავი ბალიშზე გადმოეკიდა.

ერთ წამს ყველანი უძრავად იდგნენ.

ქ-ნი დამბრეზი მივიდა და ძალდაუტანებლად, უბრალოდ. როგორც მოვალეობას ასრულებენ ხოლმე, თვალები დაუხუჭა.

შემდეგ ქალმა ხელები გაშალა, მთელი ტანი დაეგრიხა, თითქოს შინაგანი სასოწარკვეთილება მოერიაო. ექიმმა და მედიცინის დამ ხელი მოჰკიდეს და გაიყვანეს. თხუთმეტი წუთის შემდეგ ფრედერიკი მის ოთახში შევიდა.

იქ იგრძნობოდა რაღაც გაურკვეველი სურნელება, რასაც გამოსცემდნენ ის ნაზი და სათუთი ნივთები, რომლებითაც ოთახი იყო სავსე. ლოგინზე იდო შავი კაბა, რაც მკაფიოდ გამოირჩეოდა ვარდისფერ საბანზე.

ქ-ნი დამბრეზი ბუხართან იდგა. ფრედერიკი არ ფიქრობდა, რომ ქალი განსაკუთრებულად სწუხდა, მაგრამ მაინც ეგონა. ოდნავ ნაღვლობსო, ამიტომ მივიდა და მწუხარე ხმით ჰკითხა:

— იტანჯები?

— ვე? არა, სრულიადაც არა!

როცა მობრუნდა, კაბა დაინახა და დააცქერდა. მერმე ფრედერიკს უთხრა, ნუ გერიდება, თავისუფლად იყავიო.

— მოსწიე, თუ გინდა! შენ ხომ ჩემთან ხარ?

და ღრმად ამოიოხრა.

— აჰ, წმინდაო ქალწულო! რა შვებაა!

ფრედერიკი ამ შეძახილმა გააკვირვა. ხელზე ეამბორა და უთხრა:

— ხომ მაინც თავისუფალი იყავი?

ამ გადაკრულად ნათქვამმა მათს იოლ სასიყვარულო კავშირზე, გულში უჩხვლიტა ქალს.

— აჰ, შენ არ იცი, რა სამსახურს ვუწევდი ჰას და რა მწუხარების გადატანა მიხდებოდა!

— რას ბრძანებთ!

— დიახ! განა შეიძლებოდა მშვიდად ცხოვრება, როცა იქვე იდგა ეს უკანონო ქალიშვილი, ეს გოგო, ვინც მან ოჯახში შემოიყვანა ჩვენი შეუღლების ხუთი წლის შემდეგ? და მე რომ არა, იგი, რა თქმა უნდა, მისი გულისათვის რაიმე სისულელეს ჩაიდენდა.

მერმე თავისი საქმეები გააცნო. ქორწინების ხელშეკრულებით, თითოეული მათგანი თავისი ქონების პატრონი უნდა ყოფილიყო. ქალის ქონება შეადგენდა სამას ათას ფრანკს. ბ-ნი დამბრეზი ანდერძით. სიკვდილის შემდეგ, უტოვებდა თხუთმეტ ათას ფრანკ წლიურ შემოსავალს და სახლს. მაგრამ მალე მან ახალი ანდერძი დაწერა. რომლითაც ცოლი იყო მისი ერთადერთი მემკვიდრე. ქ-ნი დამბრეზი ამ ქონებას, რამდენადაც კი შეიძლებოდა ამჟამად მისი განსაზღვრა, სამ მილიონად და მეტად აფასებდა.

ფრედერიკმა თვალები დაკუიტა.

— ვარჯად ღირდა, არა? თუმცა მის მოხვეჭაში მეც დავეხმარე! ასე რომ, ჩემს ქონებას ვიცავდი. სესილი გამფცქვნიდა, ეს ხომ უსამართლობაა! რატომ არ ჩამოვიდა მამის სანახავად?

ამ კითხვაზე ქ-ნმა დამბრეზმა თვალი გაუსწორა, მერმე ციოვად უთხრა: — არაფერი არ ვიცი! ალბათ, იმიტომ, რომ უგულო! ოჰ, ძალიან კარგად ვიცნობ! სამაგიეროდ, ჩემგან ერთ სუსაც ვერ მიიღებს!

— მაგრამ ხომ სულაც არ გაწუხებდათ, ყოველ შემთხვევაში გათხოვების შემდეგ?

— აჰ, ეს გათხოვება! — ჩაიცინა ქ-ნმა დამბრეზმა.

იგი ნანობდა, რომ ასე კარგად ეპყრობოდა ამ სულელს, მოშურნეს, ანგარს, პირმოთნეს. „სულ მამის ნაკლი აქვს!“ ქალი სულ უფრო გააფთრებით ლანძღავდა. ამქვეყნად არავინ ყოფილა იმაზე უფრო ცრუ, თანაც ულმობელი, უგულო, როგორც ქვა. „ავი ადამიანია, ავი!“

შეცდომა, შესაძლოა, ყველას მოუვიდეს, ყველაზე ჭკვიანსაც კი. შეცდომა ჩაიდინა ქ-ნმა დამბრეზმაც, რომ დაგროვებული ბოლმა ამოანთხია. ფრედერიკი მის პირდაპირ იჯდა ღრმა საკარძელში და ფიქრობდა; ეს ამბავი ერცხვინებოდა.

ქალი ადგა და ნელა დაუჯდა მუხლზე.

— მხოლოდ შენ ხარ კარგი! მხოლოდ შენ მიყვარხარ!

უცქერდა ვაჟს და გული ულბებოდა; ნერვებმა უმტყუნეს. თვალები ცრემლით აევსო და წაიჩურჩულა:

— გინდა შემირთო?

ვაჟს პირველ ხანს ეგონა, კარგად ვერ გავიგონეო. ასეთმა სიმდიდრემ გააშტერა. ქალმა უფრო ხმამაღლა გაიმეორა:

— გინდა შემირთო?

ბოლოს ვაჟმა გაიღიმა და უთხრა:

— განა გეეპვება?

შემდეგ შერცხვა და, როგორმე რომ გამოესყიდა თავისი დანაშაული მიცვალებულის წინაშე, ქალს შესთავაზა, ახლა ღამეს მე ვუთევო. მაგრამ, რაკი ასეთი სათნო გრძნობის გამოთქმა ცოტათი დაირცხვინა, უფრო გაბედულად დასძინა:

— მგონი, ეს უფრო ზრდილობიანი იქნება.

— დიახ, მართლაც, — უპასუხა ქალმა, — მოსამსახურეთა თვალში!

საწოლი მთლად გამოიტანეს ალკოვიდან. მონაზონი ფერხთით დადგა, მღვდელი — სასთუმალთან, ის კი არა, დღისით რომ იყო, არამედ სხვა, მაღალი, ხმელ-ხმელი, ესპანელს რომ ჰგავდა, შესანდავად ფანატიკოსი. საღამურ პატარა მაგიდაზე, თეთრი ხელსახოცი რომ ეფარა, სამი სანთელი ენთო.

ფრედერიკი სკამზე დაჯდა და მიცვალებულს მიაცქერდა:

სახე ჩალასავით ყვითელი ჰქონდა; ტუჩის კუთხეებში სისხლი მიხმობოდა; თავზე ხილაბანდი ეხვია; მოქსოვილი სათბურა ეცვა; გულზე დაკრეფილ ხელებში ჯვარი ეჭირა.

გათავდა მისი ფუსფუსით აღსავსე ცხოვრება. რამდენჯერ შემოუვლია ყოველნაირი კანცელარია, რამდენი შედეგი შეუჯამებია. რამდენი საქმე გაუკეთებია, რამდენი მოხსენება მოუსმენია! რამდენი ლაყბობა, ღიმილი, თავდახრა! მიესალმა ხომ ნაპოლეონს, კაზაკებს, ლუი XVIII, 1830 წელს, მუშებს, ყოველ მთავრობას. ისე ძლიერ უყვარდა ხელისუფლება, რომ მზად იყო თვითონ გადაეხადა, ოღონდ იგი ეყიდათ.

მისი სიკვდილის შემდეგ დარჩა მამული ლა-ფორტელში, სამი მანუფაქტურა პიკარდიაში, კრანსის ტყე იონის დეპარტამენტში, ფერმა ორლეანის ახლოს, ძვირფასი მოძრავი ქონება.

ასე გადაიანგარიშა ფრედერიკმა განსვენებულის სიმდიდრე: იგი კი მთლად მას უნდა რგებოდა! უწინარეს ყოვლისა, იფიქრა იმაზე, თუ ოას „იტყვის ხალხი" იმ საჩუქარზე, რომელსაც თავის დედას ბიარეთმევს, თავის მომავალ ეტლგამართულობაზე, მათი ოჯახის ძველ მეეტლეზე, რომელსაც მეკარედ გაიხდის. ლევრეა, რა თქმა უნდა, სხვა იქნება. დიდ სასტუმრო ოთახს თავის კაბინეტად გადააქცევს. მესამე სართულზე რომ სამი კედელი გამოიღო, შეიძლება იქ სურათების გალერეა გაიმართოს; ქვემოთ შეიძლება თურქული აბანო მოეწყოს. ხოლო რად გამოდგებოდა ბ-ნ დამბრეზის კანტორა. ეს უშნო ოთახი?

როცა მღვდელი ცხვირს დააცემინებდა ან მონაზონი ბუბარს ქვანახშირს შეუკეთებდა, მისი ოცნება უხეშად ირღვეოდა. გარნა სინამდვილე მას ადასტურებდა: გვამი ჯერ კიდევ იქ ესვენა. მიცვალებულს უპეები ოდნავ გაღებოდა, და გუგებს, თუმცა მუქი წებოვანი სითხე ჰფარავდა, რაღაც აუტანელი, უცნაური გამოხედვა ჰქონდა. ფრედერიკს ეგონა, ეს თვალები მე მგმობენო, და თითქმის სინდისის ქენჯნას განიცდიდა, რადგან არასოდეს არ შეეძლო რაიმე დაეძრახა ამ კაცისათვის, რომელიც, პირიქით... „კარგი ერთი! ძველო არამზადავ!" და იგი მიაშტერდა მას, რომ გამხნევებულიყო, და ეუბნებოდა:

„მერე რაო, რაო? განა მე მოგკალი?"

მღვდელი ლოცვებს კითხულობდა, მონაზონი უძრავად იდგა, და თვლემდა; სანთლების ალი წაგრძელებულიყო.

მთელ ორ საათს ისმოდა საზიდრების ყრუ ხრაგუნი, დახურულ ბაზარში რომ მიდიოდნენ. ფანჯრებს სინათლე მოეძალა: გაიარა ეტლმა, მერმე ქვაფენილზე გაიბაკუნეს სახედრებმა; გაისმა ჩაქუჩის ცემის ხმა, დამტარებელთა ყვირილი, ბუკი. ყველაფერი გაითქვიფა გაღვიძებული პარიზის გუგუნში.

ფრედერიკი საქმეს შეუდგა. უწინარეს ყოვლისა, მერიაში წავიდა, რათა გარდაცვალების ამბავი განეცხადებინა; შემდეგ, როცა ექიმმა მოწმობა მისცა, კვლავ მერიაში შევიდა, რომ ეცნობებინა. თუ რომელ სასაფლაოზე სურს ოჯახს მიცვალებულის დაკრძალვა, და დამკრძალავ ბიუროში გაემართა.

მოსამსახურემ ამოიღო ბიუროს პროსპექტი და ნახაზები. სადაც ნაჩვენები იყო განსვენების სხვადასხვა ხარისხი და კერემონიალის დაწვრილებითი ცნობები. როგორი ეტლი სურთ? ლავგარდა-

ნიანი თუ ჯიღებიანი? ცხენებს ფაფარი დაწნული ექნეთ თუ არა? რა უნდა ეცვათ მსახურთ? კუბოს ვენზვლი ექნეს თუ ღერბი? საჭირო იქნება თუ არა დაკრძალვის ჩირაღდნები? ორდენების წამღები? რამდენი ეტლია საჭირო? ფრედერიკი გულუხვი იყო, ქ-ნმა დამბრეზმა გადაწყვიტა, არაფერი არ დაეზოგა.

მერვე ეკლესიაში წავიდა.

ვიკარმა, დაკრძალვას რომ განაგებდა, პირველ ყოვლისა გინება დაუწყო ბიუროს, ორდენების წამღები რა საჭიროა, უმჯობესი იყო მეტი სანთელი შეეკვეთაო! შეთანხმდნენ, რომ პანაშვიდზე ორღანო დაუკრავდა. ფრედერიკმა პირობებს ხელი მოაწერა და ყველაფრის გადახდა იკისრა.

შემდეგ რატუშაში წავიდა, რათა სასაფლაოზე ადგილი ეყიდა. ორი მეტრი სიგრძისა და ერთი მეტრი სიგანის მიწა ხუთასი ფრანკი ღირდა. ადგილს ორმოცდაათი წლით იძენთ თუ სამუდამოდ?

— რა თქმა უნდა, სამუდამოდ! — მიუგო ფრედერიკმა.

იგი სერიოზულად შეუდგა საქმეს, სულითა და გულით ცდილობდა. ეზოში ელოდებოდა მარმარილოს ოსტატი, რომელსაც თან ჰქონდა ბერძნული, ეგვიპტური, მავრიტანული სტილის ძეგლების გეგმები და ხარჯთაღრიცხვა; მაგრამ შინაურ არქიტექტორს უკვე მოესწრო ამაზე დიასახლისთან მოლაპარაკება, ხოლო ვესტიბიულში შაგიდაზე ეწყო სხვადასხვა განცხადება ლეიბების წმენდის, ოთახების დეზინფექციის, ბალზამირების სხვადასხვა წესის თაობაზე.

ნასადილევს მკერვალთან წავიდა მსახურთათვის სამგლოვიარო ტანსაცმლის შესაკეთებლად და ერთხელ კვლავ მოუხდა იქ მისვლა, რადგან შეუკვეთა ნატის თათმანები, საჭირო კი იყო აბრეშუმისა.

როცა მეორე დღეს დილის ათ საათზე მივიდა, დიდ სასტუმრო ოთახში უკვე ბევრი ხალხი იყო და თითქმის ყველანი დამწუხრებულნი მიდიოდნენ ერთმანეთთან და ეუბნებოდნენ:

— ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინათ ვნახე! ღმერთო ჩემო! ყველას ეგ ხვედრი გველის!

— დიახ, მაგრამ ვეცადოთ, რომ ეგ რაც შეიძლება გვიან მოხდეს!

ამის შემდეგ კმაყოფილებით გაიღიმებდნენ და დაიწყებდნენ საუბარს, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მდგომარეობას. ბოლოს დაკრძალვის განმკარგულებელმა, ვისაც, ფრანგული ჩვეულებისამებრ, შავი ფრაკი და შავი შარვალი ეცვა, სამგლოვიარო ქობიანი

ბოსტანში ჰქონდა, ქამარზე დაშნა ეკიდა და სამკუთხა ქუდი იღლიაში ჰქონდა გაჩრილი, თავი დახარა და ტრადიციული სიტყვები წარმოთქვა:

— ბატონებო, თუ გნებავთ, წავიდეთ.

სალხი დაიძრა. მადლენის მოედანზე ყვავილების ბაზრობის დღე იყო. მოწმენდილი, თბილი ამინდი იყო და ქარი, ოდნავ რომ არხევდა კარვების ტილოს, გვერდებიდან ჰბერავდა უზარმაზარ შავ მაუდს, ტაძრის მთავარ შესასვლელზე რომ ეკიდა. ბ-ნი დამბრეზის ლერბი. ხავერდის კვადრატებში რომ იყო მოქცეული, ამ მაუდზე სამ ადგილას იყო გამოსახული. იგი წარმოადგენდა შავ არეზე გამოსახულ ოქროს მარჯვენას, დაძუძტული რომ იყო და ვერცხლის თათმანი ეცვა; ზემოთ ჰქონდა ვრაფის გვირგვინი და ასეთი დევიზი: ყოველი გზით.

ჭიმე კუბო კიბეზე აიტანეს და ყველანი ეკლესიაში შევიდნენ.

ექვსივე ეკვდერს, ნახევარწრეს საკურთხევლის იქით და დასაჯდომებს შავი ეფარა. კატაფალკს ენთო ჰაღალი თაფლის სანთლები, კუთხეებში კი კანდელაბრებით სპირტი იწვოდა.

უფრო დარბაისელნი საკურთხევლის ახლოს მოთავსდნენ, სხვები კი — ნეფში და მღვდელმსახურება დაიწყო.

რამდენიმე პირის გარდა, არავინ არ იცოდა საეკლესიო წეს-ჩვეულება, ამიტომ დაკრძალვის ხელმძღვანელი დროდადრო ანიშნებდა: ადექით, დაიჩოქეთ, დაჯექითო. იყვნენ მგალობლები, რომელთაც ენაცვლებოდა ორღანო და ორი კონტრაბასი; როცა ესენი გაჩუმდებოდნენ, ისმოდა მღვდლის ბუტბუტი საკურთხეველთან; მერმე გალობა და მუსიკა კვლავ დაიწყებოდა.

სამი გუმბათიდან ჩამოდიოდა ბუქი სინათლე, მაგრამ ღია კარში ჰორიზონტალურ ზოლებად იჭრებოდა დღის სინათლე, რომელიც ეფრქვეოდა შიშველ თავებს. ხოლო ჰაერში, ნახევარი კედლის სიმაღლეზე ირხეოდა ჩრდილი და აბრჭყვიალებდა მოვარაყებულ მორთულობას თაღის გვერდებსა და კაპიტელებზე.

ფრედერიკი ყურს უგდებდა „განუსვენეს“ სიტყვებს, ათვალიერებდა დამსწრეთ, ცდილობდა დაენახა მხატვრობა, რომელიც ძლიერ მაღლა იყო. და მაგდალინელის ცხოვრებას წარმოადგენდა. საბედნიეროდ, მის გვერდით პელერინი დაჯდა და მაშინვე დაიწყო ცსჯელობა ფრესკებზე. დაირეკა ზარი. დაიწყეს ეკლესიიდან გასვლა.

მაუდგადაფარებული და ფრთებით მორთული კატაფალკი პერ-

ლაშეზის სასაფლაოსაკენ დაიძრა; ეტლს ება ოთხი შავი, ფაფარ-დაწნული ცხენი, თავზე რომ ჯიღები ედგათ და ვერცხლის ძაფით მოქარგული ასალი ეხურათ. მეეტლეს ფეხთ ეცვა ბოტფორტები, თავს ეხურა სამკუთხა ქუდი. ეტლის თასმები ოთხ კაცს ეჭირა: დეპუტატთა პალატის ქვესტორს, ობის დეპარტამენტის საერთო საბჭოს წევრს, ქვანახშირის კომპანიის წარმომადგენელს და ფიუფეშონს, როგორც მეგობარს. კატაფალკს მიჰყვებოდა განსვენებულის ეტლი და თორმეტი სამგლოვიარო ეკიპაჟი. მათს უკან შუა ბულვარში მიდიოდნენ გამცილებელნი.

გამვლელნი ჩერდებოდნენ, ქალებს აეხუტებინათ ბავშვები და სკამებზე იდგნენ, ხოლო კაფეებში მყოფნი ფანჯრებს მოსდგომოდნენ და ხელში ეჭირათ ბილიარდის ჯოხები.

გზა გრძელი იყო და, როგორც წვეულებაზე სტუმრები პირველ ხანებში თავდაჭერილნი არიან, შემდეგ კი თანდათან მოშინაურდებიან ხოლმე, დაძაბულობა მალე ყველას გაუქრა. ლაპარაკობდნენ მხოლოდ იმაზე, რომ პალატამ პრეზიდენტს უარი უთხრა ასიგნებაზე. ბ-ნი პისკატორი მეტად ფიცხია მონტალამბერი, „ჩვეულებრივ, დიდებულია“, ბატონ შამბოლს, პიდუს, კრეტონს, ერთი სიტყვით, მთელ კომისიას, მგონი, კარგი იქნებოდა ყური დაეგდოთ ბატონ კანტენ-ბოშარისა და დიუფურისათვის.

საუბარი გრძელდებოდა როკეტის ქუჩაზეც, სადაც ჩამწკრივებულია დუქნები, რომელთა ფანჯრებში მოჩანს მხოლოდ ფერადი მინის ძეწკვები და მოვარაყებული შავი ტოლჩები, რის გამოც ეს დუქნები გვანან სტალაქტიტებით სავსე ქვაბულებს ან ჭურჭლის მაღაზიებს. მაგრამ სასაფლაოს მოაჯირთან ყველა გაჩუმდა.

ხეებში ამართული იყო საფლავის ძეგლები: თავწაკვეთილი კოლონები, პირამიდები, ნიშები, დოლმენები, ობელისკები, ეტრუსკული სტილის ეკვდერები ბრინჯაოს კარითურთ. ზოგიერთ მათგანში მოწყობილი იყო თავისებური სასაფლაო-ბუდუარები. სადაც იდგა საბაღო სავარძლები და დასაკეცი სკამები. აბლაბუდა უხვად ეკიდა ურნების ძეწკვებზე და მტვერი ფარავდა თაიგულებისა და ჯვარცმების ატლასის ლენტებს. ბოაჯირის სვეტებს შუა, საფლავებზე, ყველგან მოზღვავებულიყო ოქროცოცხას გვირგვინები და სანათურები, ლარნაკები, ყვავილები, ოქროს ასოებით მორთული შავი ბაღროები, თაბაშირის სტატუეტები: ბიუსტები, გოგონები, ანგელოზები, ჰაერში რომ ლატუნის მავთულზე ეკიდნენ; ზოგიერთებზე თუთიის

ჩარდახებიც კი იყო მოწყობილი. საფლავების სტელებიდან ქვის ფილებზე ეშვებოდა შავი, თეთრი და ცისფერი მინის გრეხილები. ვით ნახრჩობელა. გველები. მზით გაშექებულნი, ბრჭყვიალებდნენ ისინი შავი ხის ჯვართა შორის, და ბალდახინი ნელა იძვროდა ფართო ბრილებში. ქალაქის ქუჩებიანით რომ იყო მოკენჭილი. ღერძი დროდადრო გამოსცემდა ტკაცუნისებურ ხმას. დაჩოქილი ქალები. მათი კაბები რომ ბალახს ეხებოდა, ნაზად ესაუბრებოდნენ მიცვალებულთ. მწვანე ურთხელების თავზე მოთეთრო ბოლი იხვეოდა. საფლავთან ძველ გვირგვინებს წვავდნენ.

ბ-ნი დამბრეზის საფლავი მანუელ და ბენჟამენ კონსტანის საფლავების ახლოს იყო.

ამ ადგილას იწყებოდა ციცაბო დალმართი. ხრამი. ქვემოთ მოჩანდა მწვანე ხეების წვეროკინები, იქით ორთქლის ტუმბოების საკომეურები, უფრო შორს კი — მთელი უზარმაზარი ქალაქი. სანამ სიტყვები წარმოითქმოდა, ფრედერიკს შეეძლო ხედის ცქერით დამტკბარიყო.

პირველი სიტყვა წარმოითქვა დეპუტატთა პალატის სახელით. მეორე — ობის დეპარტამენტის საერთო საბჭოს სახელით, მესამე — ლონისა და ლუარის ქვანახშირის კომპანიისა და მეოთხე იონის აგრონომთა საზოგადოების სახელით; სიტყვა წარმოითქვა აგრეთვე ფილანთროპიული საზოგადოების სახელით. ბოლოს, ხალხი უკვე იშლებოდა, რომ უეცრად ვიღაც უცნობმა დაიწყო მეექვსე სიტყვა ამიენელ ანტიკვართა საზოგადოების სახელით.

და თითოეული მათგანი სარგებლობდა შემთხვევით, რათა თავს დასხმოდა სოციალიზმს, რომლის მსხვერპლიც ბ-ნი დამბრეზი გახდა. ანარქიამ და წესრიგისადმი ერთგულებამ მოუსწრაფა სიცოცხლე. უქებდნენ ჭკუას, პატიოსნებას, გულუხვობას და დუმილსაც კი. სახალხო წარმომადგენლის როლში, რადგან თუ იგი ორატორი არ იყო, სამაგიეროდ დაჯილდოებული იყო დადებითი, ათასჯერ უფრო ძვიფასი თვისებებით და სხვ. ნათქვამი იყო ყველაფერი, რაც რიგია „უდროოდ სიკვდილი“, „მარადიული მწუხარება“, „სხვა ქვეყანა“, „შვიდობით... არა, უკეთ, ნახვამდის!“.

დაეყარა კენჭებიანი მიწა, და ამქვეყნად მასთან უკვე აღარავის არავითარი საქმე აღარ ჰქონდა.

ბასზე ცოტას კიდევ ლაპარაკობდნენ, როცა სასაფლაოზე მიდიოდნენ, და მსჯელობაში თავდაჭერილნი არ იყვნენ, ჰიუსონემ, რო-

ბელსაც გაზეთისათვის უნდა მიეცა დაკრძალვის აღწერილობა. გაიხსენა და დაცინვით მოიხსენია ყველა გამოსვლა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, პატივცემული დამბრეზი უკანასკნელი მეფობის დროს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მექრთამე იყო. შემდეგ სამგლოვიარო ეტლებმა ყველა ეს ბურჟუა თავ-თავიანთ კანტორებში წაიყვანეს; ცერემონიას მაინცდამაინც დიდი დრო არ მონდომებია და ეს ყველას უხაროდა. დაღლილი ფრედერიკი შინ დაბრუნდა.

მეორე დღეს, როცა იგი ქ-ნ დამბრეზთან მივიდა, უთხრეს, ქალბატონი ქვემოთ, კანტორაში მუშაობსო. ყუთები, ქაღალდის ყდები გახსნილი იყო, საანგარიშო წიგნები აქა-იქ ეყარა, შეკეცული ქაღალდი წარწერითურთ „უიმედო გადასახდელები“ იატაკზე ეგდო; ფრედერიკი ზედ წამოედო და კინალამ წაიქცა, დაიხარა და აიღო. ქ-ნი დამბრეზი ღრმა სავარძელში ჩაფლულიყო.

— ჰო, სად ხარ? რა მოხდა?

ქალი მაშინვე წამოხტა.

— რა მოხდა? განადგურებული ვარ, განადგურებული! ვეუბნის? ნოტარიუსმა, ბ-ნმა ადოლფ ლანგლუამ თავის კანტორაში მიმიწვია და მაცნობა იმ ანდერძის შინაარსი, რომელიც ქმარმა დაქორწინებამდე დაწერა; იგი ყველაფერს სესილს უტოვებდა, მეორე ანდერძი კი დაკარგულა.

ფრედერიკი გაფითრდა. უთუოდ კარგად ვერ დაძებნა.

— ჰოდა, დაძებნე!

უთხრა ქ-ნმა დამბრეზმა და ოთახი უჩვენა. ორივე ცეცხლგამძლე კარადა ღია იყო, საკეტები ჩაქუჩით იყო გატეხილი; ქალმა გადმოიღო საწერი მაგიდა, დაძებნა კედლის კარადებში, დაფერთხა ჭილობის ფეხსაწმენდები, რომ უეცრად შეჰკივლა და კუთხეში მივარდა, სადაც მხოლოდ ახლა შეამჩნია სპილენძისბოქლომიანი პატარა ყუთი; გაალო, მაგრამ შიგ არაფერი იყო.

— აჰ, საძაგელი! მე კი ასე თავდადებით ვუვლიდი!

და აქვითინდა.

— იქნებ სადმე სხვა ადგილას არის? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— არა-მეთქი! აქ იყო, ცეცხლგამძლე კარადაში. ამას წინათ ვნახე. ალბათ, დაწვა! დარწმუნებული ვარ!

ერთხელ როგორღაც, ავადმყოფობის დასაწყისში, ბ-ნი დამბრეზი აქ მოვიდა ქაღალდებზე ხელის მოსაწერად.

— სწორედ მაშინ ჩაიდინა ეს!

და ქალი გულშეწუხებული დაეცა სკამზე. შვილის დამკარგავი დედა ისე ვერ დასტირებს დაცარიელებულ აკვანს, როგორც იგი დაჰქვითინებდა თავს ღია კარადებს. რაც არ უნდა ყოფილიყო. მისი მწუხარება, მდაბალი მოტივების მიუხედავად, ისე ღრმა ჩანდა, რომ ფრედერიკმა სცადა ენუგეშებინა და უთხრა, ბოლოს და ბოლოს. ეს კიდევ სიღარიბეს არ ნიშნავსო.

— არა, სიღარიბეა! აბა რა ქონება უნდა შემოგთავაზო?

მას რჩებოდა ჰხოლოდ ოცდაათი ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი, თუ არ ვიანგარიშებთ სახლს, რომელიც თვრამეტი-ოცი ათასი ღირდა.

თუმცა ფრედერიკის თვალში ესეც სიმდიდრე იყო, მაგრამ მისინც იმედის გაცრუებას განიცდიდა. მშვიდობით ოცნებავ! მშვიდობით ხელგაშლილო ცხოვრებავ, რომელსაც იგი ელოდა! ჰატიოსნების გრძნობა ძოითხოვდა, რომ ქ-ნი დამბრეზი შეერთო. წუთით დაფიქრდა და მერმე ნაზად წარმოთქვა:

— მაგრამ ჩვენთან იქნები!

ქალი მოეხვია და მანაც ისეთი სინაზით ჩაიკრა გულში, რომელსაც საკუთარი თავისადმი აღტაცებაც ერთვოდა. ქ-ნმა დამბრეზმა კრემლები შეიშრო, ბედნიერებით გაბრწყინებული თვალი მიაპყრო და ხელი ჩოჰკიდა:

— ო, არაკოდეს შენში ეჭვი არ შემპარვია! ამის იმედი ყოველთვის მქონდა!

ასეთი წინასწარი რწმენა იმისადმი, რაც კეთილშობილურ საქციელად მიაჩნდა, ახალგაზრდა კაცს არ მოეწონა.

მერმე ქალმა იგი თავის ოთახში წაიყვანა და გეგმების შედგენა დაიწყეს. ფრედერიკს ახლა თავის კარიერაზე უნდა ეფიქრა. ქალმა შეშვენიერი რჩევაც კი მისცა მის კანდიდატურაზე.

ჯერ ერთი, საჭიროა დაისწავლო ორიოდე ფრაზა პოლიტეკონომიიდან. შემდეგ უნდა აირჩიო რაიმე სპეციალობა, მაგალითად. მეცხენეობა, დაწერო რამდენიმე სტატია ადგილობრივი ხასიათის საკითხებზე, მუდამ შენს განკარგულებაში იქონიო საფოსტო ან თამბაქოს კანტორები, უწევდე მრავალ ჭკირე სამსახურს. ბ-ნი დამბრეზი ამ მხრივ შეიძლება ნიმუშად გამოდგეს. ერთხელ როგორღაც სოფელში, მეგობრებთან რომ შარაბანით სეირნობდა, მეეტლეს უბრძანა მეწაღის დუქანთან გააჩერეო, სტუმრებს თორმეტი წყვილი ფეხსაცმელი უყიდა, თავისთვის კი წაღები და ისეთი სიმამაცე გამოიჩი-

ნა, რომ ის წაღები მთელ ორ კვირას ატარა. ამ ამბავმა სტუმრები გაამხიარულა. ქალმა სხვებიც უამბო, გამოცოცხლდა და გაახალგაზრდავდა, წინანდებურად შიმზიდველი და გონებამახვილი გახდა.

ვაუს მოუწონა განზრახვა, დაუყოვნებლივ წასულიყო ნოჟანს. ნაზად გამოეთხოვენ ერთმანეთს; ზღურბლზე ქალმა ერთხელ კიდევ წასჩურჩულა:

— ხომ გიყვარვარ, ა?

— სამარადისოდ! — მიუგო მან.

შინ შეკრიკი ელოდებოდა, რომელსაც მოეტანა ფანქრით დაწერილი ბარათი. ატყობინებდნენ, როზანეტმა უნდა მოილოგინოსო. უკანასკნელ დღეებში იგი ისე მოუცლელი იყო, რომ ეს მთლად გადაავიწყდა. როზანეტი ახლა შაიოს სპეციალურ დაწესებულებაში იმყოფებოდა.

ფრედერიკმა ეტლი დაიქირავა და წავიდა.

მარბეფის ქუჩაზე მან დაინახა ფირფიტა, რომელზეც მსხვილი ასოებით ეწერა: „სამკურნალო. სამშობიარო განყოფილება. პატრონი ქ-ნი ალესანდრი, პირველი რიგის ბებიაქალი, რომელმაც კურსი დედობის ინსტიტუტში დაამთავრა, მრავალ თხზულებათა ავტორი“ და სხვ. ქუჩიდან, კუტიკარზე, ჭიშკრის მაგივრობას რომ ეწეოდა, მიკრული იყო აბრა, რომელიც იმავე წარწერას იმეორებდა (გამოტოვებული იყო „სამშობიარო განყოფილება“): „ქ-ნ ალესანდრის სამკურნალო“, და ჩამოთვლილი იყო მფლობელის ყველა წოდება.

ფრედერიკმა სარეკელა ჩაქუჩი დააკაკუნა.

მსახურმა ქალმა, რომელსაც სუბრეტის მანერები ჰქონდა, იგი შეიყვანა სასტუმრო ოთახში, სადაც იყო წითელი ხის სავარძლები. რომლებსაც შინდისფერი ხავერდი ჰქონდა გადაკრული და მაგიდა, რომელზედაც მინისხუფიანი საათი იდგა.

დიასახლისი მაშინვე გამოვიდა. ეს იყო მაღალი, ასე ორმოციოდე წლის შავგვრემანი, ტანწერწეტი, ლამაზთვალება ქალი, რომელმაც, ალბათ, იცოდა ცხოვრების გემო. მან ფრედერიკს აცნობა, რომ დედამ მშვიდობიანად მოიმშობიარა, და სანახავად წაიყვანა იგი.

როზანეტი გამოუთქმელი სიხარულით შეხვდა, სიყვარულის გორგალი ყელს ებჯინებოდა და ნაზად უთხრა:

— ბიჭია... იქ არის, იქა! — და თავისი ლოგინის ახლოს დადგმულ აკვანზე მიუთითა.

ფრედერიკმა ფარდები გადასწია; თეთრეულში იწვა მოყვითალო-მწვითური, საშინლად დანაოჭებული რაღაც, ცუდი სუნი რომ სდიოდა, და თანაც ჭყიოდა.

— აკოცე! აკოცე!

ფრედერიკმა, ზიზღი რომ დაემალა, უპასუხა:

— მეშინია, არაფერი ვატკინო!

— არა! არა!

მაშინ მან ოდნავ შეახო ტუჩი თავის შვილს.

—სულ შენ გგავს!

და სუსტი მკლავები ისეთი მხურვალე სინაზით მოჰხვია, როგორიც ვაეს არასოდეს არ ენახა.

გაახსენდა ქ-ნი დამბრეზი. საშინელებად მოეჩვენა, რომ ატყუებდა ამ საბრალო ქმნილებას, ვისაც თავისი არსების მთელი უშუალობით უყვარდა და იტანჯებოდა. რამდენიმე დღის განმავლობაში როზანეტთან იჯდა დაღამებამდე.

ქალი ბედნიერად გრძნობდა თავს ამ მყუდრო სახლში; ქუჩისკენ მიმართული ფანჯრები მუდამ დარაბებით იყო დახურული; მისი ოთახი, რომელიც გაკრული იყო ნათელი ფერის შტორით, დიდი ბაღის მხარეზე იყო. ქ-ნი ალესანდრი, ვისი ნაკლიც მხოლოდ ის იყო, რომ ყველა განთქმულ ექიმზე ისე ლაპარაკობდა ხოლმე, როგორც თავის ახლობელ მეგობრებზე, მზრუნველობას არ აკლებდა. როზანეტის იქაური ამხანაგები თითქვის ყველა პროვინციელი იყო და მოწყენილობას გრძნობდნენ, რადგან მათთან სანახავად არავინ მოდიოდა. როზანეტმა შეამჩნია, შემნატრიანო, და ეს სიამაყით გაუმხილა ფრედერიკს. გარნა დაბალი ხმით უნდა ელაპარაკათ, რადგან კედლები თხელი იყო, თუმცა განუწყვეტლივ ისმოდა ფორტეპიანოს ხმა, მაგრამ მაინც ფრთხილად და დაძაბულად იყვნენ.

ფრედერიკმა, ბოლოს, დააპირა ნოჟანს გამგზავრება, რომ უეცრად ეოვიდა დელორიეს წერილი.

გამოჩნდა თურმე ორი ახალი კანდიდატი, ერთი კონსერვატორი, მეორე კი წითელი; მესამეს, ვინც უნდა ყოფილიყო, წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა. დამნაშავე იყო თვით ფრედერიკი, რადგან გაუშვა ხელსაყრელი მომენტი, დროზე უნდა განძრეულიყო, ადრე უნდა ჩასულიყო ნოჟანს. „სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზეც კი ვერ განახეს!“ ადვოკატი უსაყვედურებდა, გაზეთებთან კავშირი არ გაქვსო. „აჰ, შენ რომ ერთ დროს ჩემი რჩევა მიგელო!

ჩვენ რომ საკუთარი გაზეთი გვქონდა!“ ამას იგი ხაზგასმით აღნიშნავდა. თუმცა, ივ პირთაგან, ვინც ხმას მისცემდა ბ-ნ დამბრეზისადმი პატივისცემის გამო, ახლა ბევრი უარს ეტყოდა. მათ შორის დელორიეც იყო: კაპიტალისტისაგან იგი არაფერს არ მოელოდა და უარი თქვა თავის პროტეჟეზე.

ფრედერიკმა ეს წერილი ქ-ნ დამბრეზს აჩვენა.

— მაშ ნოჟანში არ ყოფილხართ? — ჰკითხა ქალმა.

— რატომ მეკითხები?

— დელორიე სამი დღის წინათ ვნახე.

როცა ბ-ნ დამბრეზის სიკვდილის ამბავი შეიტყო, ადვოკატი ქ-ნ დამბრეზთან მივიდა, რათა გადაეცა ქმრის შენიშვნები ქვანახშირის საწარმოს შესახებ, და სამსახური შესთავაზა როგორც რწმუნებულმა. ფრედერიკს ეს უცნაურად ეჩვენა. „აბა ჩემი მეგობარი იქ, ნოჟანში რას აკეთებს?“

ქ-ნ დამბრეზს სურდა გაეგო, რას აკეთებდა ფრედერიკი ამ დღეებში.

— ავად ვიყავი, — უთხრა მან.

— შეგეტყობინებინა მაინც.

— ოჰ, რა საჭირო იყო!

თანაც ბევრი საქმე მქონდა, არ მეცალაო.

ამიერიდან მისი ცხოვრება გაიყო: ღამეს მუდამ როზანეტთან ათევდა, დღის მეორე ნახევარს კი ქ-ნ დამბრეზთან ატარებდა, ასე რომ თავისუფალი დრო დღეში ერთი საათი თუ ჰქონდა.

ბავშვი სოფელში გაგზავნეს, ანდილოში. ყოველ კვირას დადიოდნენ ჰის სანახავად.

ძიძის სახლი სოფლის ახლოს იყო, ჩალით მოგებულ პატარა ეზოში, ჭასავით ღრმა და ბნელი რომ იყო. ეზოში ქათმები დაბორიალობდნენ, ფარდულში მწვანილის ურიკა იდგა. როზანეტი ჯერ კოცნას დაუწყებდა ბავშვს, გიჟივით აფუსფუსდებოდა, ცდილობდა თხა მოეწველა, ჭამდა უბრალო გლეხურ პურს, იყნოსავდა ნაკელის სუნს, კიდევაც უნდოდა ერთი მწიკვი ცხვირსახოცში შეეხვია და თან წაეღო.

შემდეგ შორს გაისეირნებდნენ ხოლმე; ქალი ბაღში შედიოდა, კედელზე გადმოსული იასამნის შტოს მოტეხდა; ორთვალაში შებმულ სახედარს რომ დაინახავდა, მიაძახებდა: „ჩოქში, ჩოქში!“ რომელიმე ბაღის რიკულთან გაჩერდებოდა და მისი სილამაზით

ტკბებოდა; ანდა ძიძა ბავშვს ეოიყვანდა, თხილის ჩრდილში დააწვენდნენ და ორივე ქალი მთელი საათობით აუტანელ სისულელეებზე ლაყბობდა.

ფრედერიკი იქვე იჯდა ხოლმე და გასცქეროდა ვენახებს, სადაქ აქა-იქ მოჩანდა მწვანედ დახუჭუჭებული ხეები, მტვრიანი ბილიკები, რუხ ლენტებს რომ ჰგავდა. სახლები, მწვანეში რომ თეთრ და წითელ ლაქებად მოჩანდნენ; ზოგჯერ ჩირგვებით დაფარული გორაკების ძირში ჰორიზონტალურ ზოლად გაწკეებოდა ლოკომოტივის ბოლო, ვით გიგანტური სირაქლემას ფრთა, წვერი რომ შორს ჰქონდა გაწვდილი.

შემდეგ თვალი კვლავ შვილზე გაუჩერდებოდა. უკვე ჭაბუკად წარმოიდგენდა; ფიქრობდა, ამხანაგივით მეყოლებაო, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სულელი, ყოველ შემთხვევაში, უბედური იქნებაო. ის გარემოება რომ უკანონოდშობილია, მუდამ ეხლომება, უჭკობესი იყო, სულაც არ დაბადებულიყოო. და ისეთი ნაღველი შემოაწვებოდა გულზე, რომ უნებურად წაიჩურჩულებდა: „საბრალო ბავშვი!“.

ხშირად დააგვიანდებოდათ ხოლმე უკანასკნელ მატარებელზე. მაშინ ქ-ნი დამბრეზი უთუოდ საყვედურს ეტყოდა. იგი კი რაიმეს მოიმიზეზებდა.

მომიზეზება როზანეტისთვისაც ესაჭიროებოდა. მან არ იცოდა, საღამოობით რას აკეთებდა ფრედერიკი, როცა უნდა გაეგზავნა ვინმე, არასოდეს შინ არ იყო. ერთხელ, როცა შინ იჯდა, ორივე ქალი თითქმის ერთსა და იმავე დროს ესტუმრა. როზანეტი მაშინვე გაისტუმრა, ქ-ნი დამბრეზი კი დამალა და ასე უთხრა: დედა უნდა მოვიდესო.

მალე ასეთი ტყუილი კიდევაც ართობდა; ფიცს, რომელსაც ერთს აძლევდა, მეორესაც მისცემდა ხოლმე. ორივეს ერთნაირ თაიგულებს უგზავნიდა; ერთსა და იმავე დროს წერდა წერილებს, შემდეგ ერთმანეთს ადარებდა მათ, მაგრამ გულში მუდამ მესამეც უჯდა. ამ ქალის მიუწვდომლობა იყო ასეთი ცბიერების გამართლება, რაც სიამოვნებას ამძაფრებდა და სხვადასხვაობა შეჰქონდა; და რაც უფრო მეტს ატყუებდა ერთს ან მეორეს, მით უფრო ძლიერ უყვარდათ იგი, თითქოს ქ-ნი დამბრეზის სიყვარული როზანეტის გრძნობას ამძაფრებსო, და პირიქით, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან და თითოეულ მათგანს სურს მეტოქე დააკიწყებინოსო.

— დააფასე ჩემი ნდობა, — უთხრა ერთხელ ქ-ნმა დამბრეზმა და უჩვენა წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ, ბ-ნი მორო ვიღაც როზა ბრონთან ცხოვრობსო. — შემთხვევით, ის ქალიშვილი ხომ არ არის, დოღზე რომ გყავდა?

— რა სისულელეა! — უთხრა. — აბა მიჩვენე!

წერილი, რომელიც ბეჭდური ასოებით იყო ნაწერი, ხელმოუწერელი იყო. პირველ ხანებში ქ-ნი დამბრეზი ითმენდა ამ საყვარელს, რითაც ინიღბებოდა მისი კავშირი ფრედერიკთან. მაგრამ ახლა, როცა სიყვარული გაუმძაფრდა, განშორება მოსთხოვა, რაც, ფრედერიკის სიტყვით, უკვე დიდი ხანია მოხდა. მთელი მისი მტკიცების პასუხად ქალმა წარბი შეიკრა, სატევარივით ბასრი თვალი გაუსწორა და ჰკითხა:

— კი, მაგრამ მეორე?

— ვინ მეორე?

— ფაიანსის ვაჭრის ცოლი!

ვაჟმა ზიზღით აიჩეჩა მხრები. ქალს აღარ დაუჟინია.

გარნა ერთი თვის შემდეგ, როცა როგორღაც სიტყვა ჩამოვარდა ღირსებასა და პატიოსნებაზე და ფრედერიკმა დაიკვეხა (გაკვრით, სიფრთხილის გამო) ეს თვისება, ქ-ნმა დამბრეზმა უთხრა:

— ეგ მართალია, შენ პატიოსანი ხარ; იმასთან აღარ დადიხარ.

ვაჟმა ხვეწნა დაუწყო, ეს ცნობები საიდან გაქვსო. მან უპასუხა, ჩემი ერთ-ერთი მკერავისაგან, ქ-ნ რეჟემბარისაგან ვიციო.

„მაშასადამე, ვაგან იცის ჩემი ცხოვრების ამბავი, მე კი მისი არაფერი არ ვიცი".

ფრედერიკმა ერთხელ მისი სატუალეტო მაგიდის უჯრაში აღმოაჩინა ვიღაც ულვაშა კაცის მინიატურული პორტრეტი. ის ხომ არ არის, ვის თვითმკვლელობაზეც ოდესმე როგორღაც გაურკვევლად ელაპარაკებოდნენ? მაგრამ არავითარი შესაძლებლობა არ იყო უფრო მეტი რამ გაეგო. თუმცა, ანკი რა საჭირო იყო? ქალის გული თითქოს საიდუმლოსაკეტიანი კოლოფია, რომელსაც ერთიმეორეში ჩასმული მრავალი უჯრა აქვს; ცდილობ გააღო, ფრჩხილებს იმტვრევ, ბოლოს გააღებ და — შიგ გამხმარი ყვავილი, მტვერი ან სულაც არაფერია! ამასთან კიდევაც ეშინოდა, ძლიერ ბევრი რამ არ გავიგოო.

ქალი უარს ათქმევინებდა ხოლმე ისეთ დაპატიჟებაზე, სადაც ვასთან ერთად არ წაესვლებოდა, არასოდეს არ იშორებდა, ეში-

ნოდა არ დავკარგოო, და, მიუხედავად ასეთი სიახლოვისა, რაც დღითიდღე მატულობდა, უეცრად, სულ უმნიშვნელო რამის გამო ამა თუ იმ ადამიანზე ან ხელოვნების ნაწარმოებზე შეხედულების განსხვავების გამო მათს შორის ერთბაშად უფსკრული გაჩნდებოდა.

ქალს როიალის დაკვრის განსაკუთრებული მანერა ჰქონდა, კორექტული, მძიმე. თავისი სპირიტუალიზმი (ქ-ნ დამბრეზს სწამდა სულთა გადასახლება ვარსკვლავებზე) ხელს არ უშლიდა თავისი სალარო შესანიშნავ წესრიგში ჰქონდა. მსახურებთან ქედმაღალი იყო; ღარიბის ძონძების დანახვისას თვალები მუდამ მშრალი ჰქონდა. გულუბრყვილო ეგოიზმი გამოსჭვიოდა მისთვის ჩვეულ გამოთქმებში: „რა ჩემი საქმეა?“ „რისი გულისათვის?“ და ათასგვარ წვრილმან, მოუხელავ, საზიზღარ საქციელში. შეეძლო კართან დაყურება; აღსარების თქმის დროს, ალბათ, ტყუოდა. მედიდურობის გამო ფრედერიკი აიძულა ყოველ კვირას ეკლესიაში წაჰყოლოდა. იგიც დაემორჩილა და ლოკვანი დაჰქონდა ხოლმე.

მემკვიდრეობის დაკარგვამ დიდი ცვლილება მოახდინა მის ხასიათში. ეს მწუხარება, რასაც ბ-ნ დამბრეზის სიკვდილით ხსნიდნენ, ძლიერ შეენოდა და წინანდებურად ბევრ სტუმარს იღებდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც ფრედერიკს არჩევნებში ბედმა არ გაუღიმა, ქალი იმაზე ოცნებობდა, რომ მას ადგილი ეშოვნა საელჩოში, სადმე გერმანიაში; ამიტომ ჯერ საჭირო იყო გაბატონებულ შეხედულებათ შეჰგუებოდა.

ზოგი ნატრობდა იმპერიას, ზოგი ორლეანელთა დაბრუნებას, ზოგიც გრაფ შამბორს; მაგრამ ყველას კი საჭიროდ მიაჩნდა დეცენტრალიზაცია და საამისოდ სხვადასხვა საშუალებას ასახელებდა, როგორიცაა: დაეყოთ პარიზი მრავალ დიდ ქუჩად და მათგან შეექმნათ სოფლები, მთავრობა გადაეყვანათ ვერსალში, სასწავლებლები — ბურჟში; გაეუქმებინათ ბიბლიოთეკები, ყველაფერი მიენდოთ დივიზიის გენერლებისათვის და ყველა აღტაცებული იყო სოფლით, რადგან წერა-კითხვის უცოდნელ კაცს მეტი ბუნებრივი ჭკუა აქვს, ვიდრე სხვებს! სიძულვილი უხვად იყო: სიძულვილი დაწყებითი სკოლის მასწავლებლისა და ღვინის ვაჭრისადმი, ფილოსოფიის კურსებისადმი, ისტორიის ლექციებისადმი, რომანებისადმი, წითელი ჟილეტებისადმი, გრძელი წვერისადმი, ყოველგვარი დამოუკიდებლობისადმი, ინდივიდუალობის ყოველი გამოვლენისადმი, რადგან საჭირო იყო აღდგენა „ხელისუფლების პრინციპისა, საიდანაც უნ-

და წარმომდგარიყო იგი, რისთვისაც უნდა ემოქმედნა, ოღონდ ეს ყოფილიყო ძალა, ხელისუფლება! კონსერვატორები ახლა სწორედ ისე მსჯელობდნენ, როგორც სენეკალი. ფრედერიკს აღარაფერი ესმოდა, თავისი საყვარლის სახლში კი ესმოდა სულ იგივე სიტყვები, რომლებსაც სულ იგივე ადამიანები წარმოთქვამდნენ. კოკოტების სალონები იყო ის ნეიტრალური ადგილი (სწორედ ამ დროიდან მიენიჭათ მათ მნიშვნელობა), სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა ჯურის რეაქციონერები. ჰიუსონემ, რომლის ხელობა ახლა თანამედროვე სახელოვან პირთა განქიქება იყო, (კარგი რამ წესრიგის აღსადგენად) როზანეტს აღუძრა სურვილი, სხვების მსგავსად, თავის სახლში მოეწყო საღამოები. თვითონ კი ამ საღამოებზე დაწერდა ანგარიშს; მართლაც, ჯერჯერობით მოიყვანა ერთი სერიოზული პიროვნება, ფიუმიშონი; მერმე გამოჩნდნენ, ნონანკური, ბ-ნი დე გრემონვილი, ყოფილი პრეფექტი დე ლარსიიუა და სიზი, რომელიც ახლა იყო აგრონომი, ქვეშო ბრეტანის მცხოვრები და ქრისტიანი, უფრო გულმოდგინე, ვიდრე ოდესმე.

გარდა ამისა, მოდიოდნენ როზანეტის წინანდელი საყვარლებიც: ბარონ დე კოვენი, გრაფი დე ჟუმიიაკი და ზოგი სხვა. მათი მოურიდებელი საქციელი ფრედერიკს შეურაცხყოფდა.

რაკი სურდა ეგრძნობინებინა, ბატონ-პატრონი აქ მე ვარო, მან უფრო ფუფუნებით მოაწყო ოჯახი. დაიქირავეს გრუმი. გამოიცვალეს ბინა და შეიძინეს ახალი ავეჯი. ეს ხარჯი სასარგებლო იყო, რადგან ამის წყალობით მისი დაქორწინება საკუთარი ქონების იმდენად შეუსაბამო არ ჩანდა. სამაგიეროდ ეს ქონება საშინლად ჩქარა ქრებოდა; როზანეტს კი ყოველივე ამაში არაფერი არ გაეგებოდა.

წარმოშობით მდაბიო, თავის წრესთან რომ კავშირი დაკარგა, ახლა წუნარ ოჯახურ ცხოვრებას ნატრობდა. გარნა კმაყოფილი იყო, რომ „მისაღები დღე“ ჰქონდა. თავის მსგავს ქალებზე რომ ლაპარაკობდა, ამბობდა „ის ქალები“, სურდა ყოფილიყო „მაღალი წრის ქალი“ და კიდევაც ეგონა ვარო. ფრედერიკს სთხოვა, სასტუმრო ოთახში თამბაქოს ნულარ მოსწევო; ზრდილობის გამო ცდილობდა სამარხვო ეჭმია.

ერთი სიტყვით, ღალატობდა თავის როლს, რადგან სერიოზული ხდებოდა, და დაწოლის წინ მუდამ იჩენდა ოდნავ მელანქოლიას, — ასე სამიკიტნოების წინ კიპარისებს რგავენ ხოლმე.

ფრედერიკი მიზეზს მიხვდა: ისიც დაქორწინებაზე ოცნებობდა. ამან ფრედერიკი გაახელა. ამასთან არ ავიწყდებოდა, რომ ქ-ნ არნუსთან წაადგა თავს, გარდა ამისა, ჯავრობდა, როცა ახსენდებოდა. თავის დროზე რა დიდხანს აწვალა.

თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, გამოეკითხა, თუ ვინ იყვნენ მისი საყვარლები. იგი ყველაზე უარობდა. ვაეს ერთგვარი ეჭვი დაეუფლა.. აღიზიანებდა საჩუქრები, ქალი რომ წინათ და ახლაც იღებდა; და იმდენად, რამდენადაც სულ უფრო აღაშფოთებდა ამ ქალის ხასიათი, რაღაც ავხორცული ძალა, მძლავრი, მხეცური ვნება ეზიდებოდა მისკენ, წუთიერი ტკბობა, მყისვე რომ სიძულვილად იქცეოდა.

მისი სიტყვები, მისი ღიმილი, მისი ხმა, ყველაფერი შეეზიზღა. მისი, განსაკუთრებით თვალები, ეს ქალური გამოხედვა, მუდამ გამჭვირვალე და უაზრო. ზოგჯერ ისეთ აუტანელ მდგომარეობაში იყო ხოლმე, ეს ქალი რომ მის თვალწინ მომკვდარიყო, სრულიად გულგრილი იქნებოდა. მაგრამ როგორ ეპოვნა ჩხუბის საბაბი? ქალის თვინიერება სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

კვლავ გამოჩნდა დელორიე და თავისი გამგზავრება ნოჟანს იმით ახსნა, რომ აპირებდა ეყიდა ადვოკატის კანტორა. ფრედერიკს მისი მოსვლა გაეხარდა, რაც უნდა იყოს, ადამიანიაო! როზანეტთან შეიყვანა.

ადვოკატი ზოგჯერ მათთან სადილობდა და, თუ ცოლ-ქმარს შორის მცირე რამ უთანხმოება ჩამოვარდებოდა, მუდამ როზანეტის მხარეზე იყო ხოლმე, ასე რომ ფრედერიკმა ერთხელ უთხრა:

— ჰოდა იცხოვრე მაგასთან, თუკი აგრე სასიამოვნოა! — ისე ძლიერ უნდოდა, რომ რაიმე შემთხვევას მისგან გაენთავისუფლებინა.

ივნისის შუა რიცხვებში როზანეტმა სასამართლოს ბოქაულის, მეტრ ათანას გოთროსაგან მიიღო ცნობა, რომლითაც წინადადებას აძლევდა გადაეხადა ოთხი ათასი ფრანკი, მ-ელ კლემანს ვატნაზის ვალი. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, -ხვალვე ქონებას აგიწერო.

მართლაც, ოთხი ვექსილიდან, რომლებიც ერთ დროს ხელმოწერილ იქნა, მხოლოდ ერთი იყო განაღდებული. ფული, როცა როდისმე ხელში ჩაუვარდებოდა, სხვა რამეზე იხარჯებოდა.

ქალი არნუსთან გაიქცა. იგი ახლა სენ-ჟერმენის გარეუბანში

ცხოვრობდა, მაგრამ წინანდელმა მეკარემ ქუჩა არ იცოდა. გადაწყვიტა, რამდენიმე შეგობართან მისულიყო, ხოლო რაკი შინ ვერავინ შეისწრო, სასოწარკვეთილი დაბრუნდა. ფრედერიკისათვის არაფერი უთქვამს, რადგან აკანკალებდა ფიქრი, რომ ეს ხელს შეუშლიდა მათს შეუღლებას.

მეორე დილას მოვიდა ბ-ნი ათანას გოთრო და თან მოიყვანა ორი თანაშემწე; ერთი ფერმკრთალი იყო, უბრალო სახის, შურის გამო ტანჯვის გამომხატველი; მეორე კი კოხტაობდა თავისი გახამებული საყელოთი, დაჭიმული შარვლით, ხოლო საჩვენებელი თითი შავი ტაფტის ნაჭრით ჰქონდა შეხვეული; ორივე საზიზღრად ჭუჭყიანი ჩანდა: ერთსაც და მეორესაც სერთუკის საყელო გაზინთული ჰქონდა, სახელოები კი მეტად მოკლე.

მათი უფროსი, ლამაზი კაცი, ბოდიშს იხდიდა, უსიამოვნო საქმეზე მოვედიო, თანაც ბინას ათვალიერებდა, რომელიც „ღმერთმანი სავსე იყო მშვენიერი ნივთებით!“ და დასძინა: „გარდა იმ ნივთებისა, რომლებსაც ყადაღა არ დაედება“. მან ანიშნა და ორივე თანაშემწე სადღაც გაილალა.

ახლა ქათინაურები ერთიორად მეტი თქვა. ვინ იფიქრებდა, რომ ესოდენ... მშვენიერს საიმედო მეგობარი არ ჰყავს! საჯარო ვაჭრობით ქონების გაყიდვა ნამდვილი უბედურებაა! ამას ვერასოდეს ვერ აინაზღაურებს კაცი. სცადა ქალის შეშინება, მერმე, როცა დაინახა აღელდაო, მამობრივი კილოთი დაიწყო: „ე ვიცნობ ადამიანებს, ბევრ ქალთან მქონია ასეთი საქმე“... როცა მათ სახელებს ჩამოთვლიდა, კედლებზე სურათებს ათვალიერებდა. ეს იყო ის სურათები, წინათ რომ არნუს ეკუთვნოდა: სომბაზის ესკიზები, ბიურიეს აკვარელები, დიტმერის სამი პეიზაჟი. როზანეტს, ალბათ, წარმოდგენილი არ ჰქონდა მათი ფასი.

მეტრ გოთრომ უთხრა:

— აი რა! რომ დაგიმტკიცოთ, რომ კითილი ადამიანი ვარ, დამითმეთ ეს დიტმერები და ყველაფერს მე გადავიხდი. კარგი?

ამ დროს შემოვიდა ფრედერიკი, რომელსაც დელფინამ ყველაფერი უამბო დერეფანში, ქუდი არ მოუხდია და ცდილობდა უხეში ყოფილიყო. ბ-ნმა გოთრომ კვლავ დარბაისლური სახე მიიღო, ხოლო რადგან კარი ღია იყო, გასძახა: — აბა, ბატონებო, დაწერეთ! მაშასადამე, მეორე ოთახშია: მუხის მაგიდა და ორი გასაშლელი ფიცარი, ორი ბუფეტი...

ფრედერიკმა გააწყვეტინა და ჰკითხა, არ შეიძლება არ აიწეროსო.

— ო, რა თქმა უნდა! ქირას ვინ იხდიდა?

— მე.

— მაშინ, დაწერეთ შემხვდური სარჩელი. ყოველ შემთხვევაში, დროს მოიგებთ.

ბ-ნმა გოთრომ თავისი ჩანაწერები დაამთავრა, მ-ელ ბრონის საქმეზე ოქმი შეადგინა და წავიდა.

ფრედერიკს არც ერთი საყვედური არ უთქვამს. ხალიჩაზე ტალახიანი ფეხების ნაკვალევს ათვალიერებდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ფული უნდა ვიშოვნოთ!

— აჰ, ღმერთო ჩემო! რა სულელი ვარ! — წამოიძახა როზანეტმა.

ყუთი გამოსწია, რაღაც წერილი ამოიღო და გასწია ლანგედოკის ქალაქების განათების საზოგადოებაში, რომ თავისი აქციების ღირებულება მიეღო.

ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. ქაღალდები სხვა პირისათვის მიეყიდათ! მოსამსახურემ გასინჯა მისი დოკუმენტები, არნუს ხელმოწერილი ვალდებულება და როზანეტს უთხრა: „ეს ქაღალდი აქციების არავითარ უფლებას არ გაძლევთ. კომპანია ამას არ ცნობს“.

მოკლედ, იგი გამოისტუმრეს; მღელვარებით სული ეხუთებოდა. ფრედერიკი მაშინვე უნდა წასულიყო არნუსთან ამ საკითხის გამოსარკვევად.

„მაგრამ იქნებ არნუმ იფიქროს, რომ ამ გზით მე მსურს დაციბრუნო ის თხუთმეტი ათასი ფრანკი, მის გამო რომ დავკარგე?“ თანაც საზიზღრობად მიაჩნდა ფული ეთხოვა იმ კაცისათვის, ვინც მის საყვარელს მფარველობდა. მან სხვა გზა აირჩია: ქ-ნ დამბრეზისაგან შეიტყო რეჟემბარის ცოლის მისამართი, მასთან შიკრიკი გაგზავნა და ამრიგად გაიგო, თუ რომელ კაფეში დადიოდა ახლა მოქალაქე.

ეს იყო პატარა კაფე ბასტილიის მოედანზე; აქ ატარებდა იგი მთელ დღეს, შორეულ მარჯვენა კუთხეში უძრავად მჯდომარე; გეგონებოდა, ოთახის მოწყობილობის ნაწილიაო.

იმ დღეს, როცა ფრედერიკი მის სანახავად მივიდა, მოქალაქემ ჯერ ნახევარი ფინჯანი ყავა მოითხოვა, მერმე გროგი, ბიშოფი, გა-

მთბარი ღვინო და წყალგარეული ღვინოც კი; შემდეგ ლუდი გასინჯა და ყოველ ნახევარ საათში მოკლედ გასძახებდა „Bock!“ ფრედერიკმა ჰკითხა: არნუს ხომ არ ხვდები ხოლმეო.

— არა!

— არა? მერმე რატომ?

— რეგვენია და იმიტომ!

იქნებ პოლიტიკური შეხედულებანი აშორებდნენ? და ფრედერიკმა მართებულად მიიჩნია ეკითხა კომპენის ამბავი.

— რა პირუტყვი ვინმეა! — უთხრა რეჟემბარმა.

— როგორ?

— ხბოს თავია!

— აჰ, თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით, რა არის ეგ ხბოს თავი?

რეჟემბარმა ზიზღით გაიღიმა.

— სისულელეა!

კარგა ხნის დუმილის შემდეგ ფრედერიკმა კვლავ ჰკითხა:

— მაშ სხვა ბინაზე გადავიდა?

— ვინ?

— არნუ.

— დიახ. ფლერიუსის ქუჩაზე.

— სახლის ნომერი?

— განა მე იეზუიტებთან დავდივარ?

— როგორ თუ იეზუიტებთან?

მოქალაქემ უკმეხად უპასუხა:

— ერთი პატრიოტი გავაცანი და მისი ფულით იმ პირუტყვმა კრიალოსნების სავაჭრო გახსნა.

— შეუძლებელია!

— თვით წადით და ნახავთ!

გამოირკვა, რომ სრული სიმართლე იყო. არნუ, რომელმაც დამბლა გადაიტანა, მორწმუნე გახდა, თუმცა „ასეთი მიდრეკილება ყოველთვის ჰქონდა“ და აი (შეათავსა რა მერკანტილიზმი და გულწრფელობა, რაც მისთვის ბუნებრივი იყო), რათა სულიც ეხსნა და თავისი ქონებაც, საეკლესიო ნივთებით ვაჭრობა დაიწყო.

ფრედერიკმა ადვილად მიაგნო მაღაზიას, რომლის აბრაზე ეწერა: „გოთური ხელოვნება. ეკლესიის კეთილსახიერება. ტაძრების მორთულობა. ფერადი ქანდაკებანი. სამი ქურუმის საკმელი“... და სხვ.

ვიტრინის კუთხეებში იდგა წითლად და ცისფრად შეღებილი ვარაყიანი ორი ქანდაკება: წმ. იოანე ნათლისმცემელი, რომელსაც ცხვრის ტყავი ეცვა, და წმ. ევენევიევა, რომელსაც წინსაფარში ვარდები ჰქონდა, იღლიაში კი — ჯარა; იყო თაბაშირის ჯგუფებიც: მონაზონი, რომელიც გოგონას მოძღვრავდა, საწოლთან დაჩოქილი დედა, სამი მოსწავლე ზიარების წინ. ყველაზე უკეთესი იყო მშვენიერი პატარა ქოხი, რომელშიც იყვნენ სახედარი, ხარი და ბაგა, სადაც ჩალაზე, ნამდვილ ჩალაზე იწვა ახალშობილი იესო. თაროები თავიდან ბოლომდე სავსე იყო ყოველგვარი კრიალოსნებით, მედლებით, ნიყარის მსგავსი სასხურებლებით და განთქმულ საეკლესიო მოღვაწეთა პორტრეტებით, რომელთა შორის იყვნენ მისი მაღალსამღვდელოება ეპისკოპოსი აფრი და ჩვენი წმიდა მამა, ორივე მოღიმარი.

არნუ თავდახრილი იჯდა დახლში და თვლემდა. ძლიერ მოხუცებულიყო, საფეთქლებზე მუწუკები ეყარა და ზედ ოქროს ჯვრების ათინათი დასთამაშებდა.

ფრედერიკი დაღონდა, როცა მისი ასეთი დაქვეითება დაინახა. მაგრამ მაინც, რაკი როზანეტის ერთგული იყო, თავს ძალა დაატანა და მაღაზიაში შევიდა. მაღაზიის შორეულ კუთხეში ქ-ნი არნუ გამოჩნდა. ფრედერიკი მყის გარეთ გავიდა. — ვერ ვიპოვნე, — განაცხადა მან, როცა შინ დაბრუნდა.

და ამაოდ არწმუნებდა როზანეტს, ფულზე ახლავე ჩემს ნოტარიუსს მივწერ ჰავრშიო, ქალი მოთმინებიდან გამოვიდა.

— ძნელია შენზე უფრო სუსტი ხასიათის, ასეთი მჩვარი ადამიანის წარმოდგენა! მე აქ ათასგვარ გაჭირვებას უნდა ვითმენდე, სხვები კი განცხრომაში უნდა იყვნენ!

ფრედერიკი საბრალო ქ-ნ არნუზე ფიქრობდა და თვალწინ ედგა მისი გაჭირვებული, საკვალალო ცხოვრება. საწერ მაგიდას მიუჯდა, მაგრამ, რაკი გაკაპასებული როზანეტი არ ცხრებოდა, წამოიძახა:

— აჰ, ღვთის გულისათვის, გაჩუმდი!

— ისღა გაკლია, რომ ისინი დაიცვა!

— და კიდევაც დავიცავ! — წამოიძახა მან. — რატომ ხარ ასეთი ღვარძლიანი?

— კი, მაგრამ რატომ არ გინდა, რომ გადაიხადონ? გეშინია, რომ შენს წინანდელს არ აწყენინო? გამოტყდი!

ფრედერიკს სურდა საათი ესროლა მისთვის სახეში, მაგიდაზე რომ იდგა; სიტყვა ვერ მოეძებნა საპასუხოდ. როზანეტმა კი, ოთახში რომ ბოლთას სცემდა, დასძინა:

— პასუხისგებაში მივცემ იმ შენს არნუს! და უშენოდაც გავძლებ!

და ტუჩები მოკუმა.

—აი იურისტს მოველაპარაკო!

სამი დღის შემდეგ კი უეცრად დელფინა შემოვარდა.

— ქალბატონო! ქალბატონო! იქ ვიღაც კაცია, ხელში წებოიანი ქილა უკავია... შემაშინა!

როზანეტი სამზარეულოში გავიდა და დაინახა ვიღაც უქნარა, სახე ყვავილით რომ ჰქონდა დაკენკილი და დამბლადაცემული ხელი მჩვარივით ეკიდა; მთვრალი იყო და რაღაცას ლუღლუღებდა.

ეს იყო ბ-ნ გოთროს შიკრიკი, განცხადებებს რომ აკრავდა. შემხვდური სარჩელი უარყოფილი იქნა და ამის ბუნებრივი შედეგი იყო ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა.

შიკრიკმა თავისი შრომისათვის, კიბეზე რომ ავიდა, ჯერ ერთი ჭიქა ღვინო მოითხოვა, მერმე სხვა რამეც: თეატრის ბილეთები, რადგან ეგონა, ქალბატონი მსახიობიაო. შემდეგ რამდენიმე წამს თვალებს აპაჭუნებდა, არავინ იცოდა რისთვის, და ბოლოს განაცხადა: თუ ორმოც სუს მომცემთ, ნაპირებს შემოვაგლეჯ იმ განცხადებას, რომელიც კარზე გავაკარიო. იმ განცხადებაში როზანეტი თავისი ნამდვილი გვარით ეწერა; ეს იყო განსაკუთრებული სისასტიკე, რაც ვატნაზის სიძულვილის მთელ ძალას ადასტურებდა.

ოდესღაც ვატნაზი ძლიერ მგძნობიარე იყო და ერთხელ, როცა დიდ მწუხარებას განიცდიდა, წერილიც კი მისწერა ბერანჟეს და რჩევა სთხოვა. მაგრამ მღელვარებით აღსავსე ცხოვრებამ გააბოროტა იგი: აძლევდა მუსიკის გაკვეთილებს, ჰქონდა სასადილო, თანამშრომლობდა მოდების ჟურნალებში, აქირავებდა მოწყობილ ოთახებს, ვაჭრობდა მაქმანებს, საქმე ჰქონდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან, ამასთან, ნაცნობობის მეოხებით, შეეძლო სამსახური გაეწია ბევრისათვის, მათ შორის არნუსთვისაც. მანამდე კი მაღაზიაში მსახურობდა.

ხელფასს ურიგებდა მუშა ქალებს; თითოეულ მათგანს ჰქონდა ორი წიგნაკი და ერთი ვატნაზთან რჩებოდა. დიუსარდიე, რომელიც თავაზიანობით უძღვებოდა ვინმე ჰორტენზია ბასლენის წიგნაკს,

სალაროში სწორედ იმ დროს მივიდა, როცა ვატნაზმა ამ ქალიშვილის ანგარიში მოიტანა, 1862 ფრანკი, რაც მოლარემ მაშინვე გასცა. გუშინ კი დიუსარდიემ ბასლენის ანგარიშზე მის წიგნაკში სულ 1082 ფრანკი ჩაწერა. რაღაც საბაბით დიუსარდიემ გამოართვა ეს წიგნაკი და, რაკი სურდა ბოლო მოეღო ასეთი ქურდობისათვის, უთხრა, წიგნაკი დამეკარგაო. მუშა ქალმა თავისი გულუბრყვილობით ყველაფერი უამბო მ-ელ ვატნაზს, ამან კი საქმის გამოსარკვევად, ვითომც აქ არაფერიაო, გამოკითხვა დაუწყო პატიოსან ნოქარს. მან უპასუხა, წიგნაკი დავწვიო. იმხანად საქმე ასე გათავდა. მალე ამის შემდეგ ვატნაზი მაღაზიიდან წავიდა, მაგრამ არ სჯეროდა, რომ წიგნაკი მოსპობილი იყო და ფიქრობდა, დიუსარდიეს აქვს შენახულიო.

როცა დიუსარდიეს დაჭრის ამბავი შეიტყო, ვატნაზი მასთან გაეშურა, რათა ის წიგნაკი გამოერთმია. მაგრამ, რაკი გულმოდგინე ძებნა-ჩხრეკის შემდეგ ვერაფერი ვერ იპოვნა, ჯერ პატივისცემით, მალე კი სიყვარულით განიმსჭვალა ამ ასეთი პატიოსანი და წყნარი, ასეთი მამაცი და ძლიერი კაცისადმი! მის ასაკში ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ასეთ რამეზე. იგი გაუმაძღრად, კაციჭამიასავით ეცა ამ კაცს და მისი გულისათვის უარი თქვა ლიტერატურაზე, სოციალიზმზე, „მანუგეშებელ დოქტრინებსა და დიდსულოვან უტოპიებზე“, ლექციებზე „ქალთა განთავისუფლების შესახებ“, ყველაფერზე, დელმარზეც კი. ბოლოს დიუსარდიეს მისცა წინადადება, შემირთეო.

თუმცა ვატნაზი დიუსარდიეს საყვარელი იყო, მაგრამ ამ კაცს იგი სრულიადაც არ ჰყვარებია. თანაც ახსოვდა მისი ქურდობა. ამასთან ვატნაზი მეტად მდიდარი იყო. ვაჟმა უარი უთხრა. მაშინ ქალმა ცრემლით უამბო, ვოცნებობდი, შენთან ერთად მზა ტანსაცმლის სავაჭრო მომეწყოო. დასაწყებად ფული უკვე მქონდა, რასაც ერთი კვირის შემდეგ უნდა მიმატებოდა ოთხი ათასი ფრანკიო, და გამოუტყდა, როზანეტს სარჩელი წავუყენეო.

დიუსარდიეს ეს ამბავი არ ეამა, რადგან მის მეგობარს ეხებოდა. ახსოვდა მისთვის ნაჩუქარი საპაპიროსე, როცა ჰაუპტვაჭტზე იჯდა, საღამოები ნაპოლეონის სანაპიროზე, გულითადი საუბრები, წიგნები, რომელთაც ფრედერიკი აძლევდა და სხვა მრავალი თავაზიანობა. ვატნაზს სთხოვა, სარჩელზე უარი თქვიო.

ქალმა სასაცილოდ აიგდო გულუბრყვილობის გამო და წარ-

ძოუდგენელი სიძულვილი გამოიჩინა როზანეტისადმი. სიმდიდრეს იმიტომ ეს წრაფვოდა, რომ შემდეგ როზანეტი თავისი ეტლით გაეს-რისა.

ამ უძირო, შავბნელმა ღვარძლმა დიუსარდიე შეაშინა; როცა საჯარო ვაჭრობის დღე შეიტყო, სახლიდან წავიდა. მეორე დღეს დილით დარცხვენილი მივიდა ფრედერიკთან.

— თქვენს წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადო.

— ვითომ რისთვის?

— ალბათ, უმადურად მიგაჩნივართ, ის ხომ ჩემი...

და ენა დაება:

— ოჰ, მე იმას აღარ ვნახავ... მისი თანამონაწილე აღარ ვიქ-ნები!..

და, რაკი ფრედერიკი დიდად გაკვირვებული უცქეროდა, მან ჰკითხა:

— განა თქვენს მეგობარ ქალს სამი დღის შემდეგ ქონებას არ გაუყიდიან?

— თქვენ ვინ გითხრათ?

— თვითონ მანვე, ვატნაზმა! მაგრამ, მგონია, იწყენთ...

— შეუძლებელია, ძვირფასო მეგობარო!

— აჰ, მართალია, თქვენ ისეთი კარგი ხართ!

და გაუბედავად გაუწოდა ტარსიკონის პატარა საფულე.

ეს იყო მთელი მისი დანაზოგი, ოთხი ათასი ფრანკი.

— როგორ! ოჰ, არა! არა!

— მეც აგრე მეგონა, რომ იწყენდით, — თვალცრემლიანმა უთხრა დიუსარდიემ.

ფრედერიკმა მაგრად ჩამოართვა ხელი, და გულწმინდა კაცმა დაუწყო ხვეწნა:

— აიღეთ რა! გამახარეთ! ისე სასოწარკვეთილი ვარ, რომ!.. თუმცა განა ყველაფერი არ დაიღუპა? როცა რევოლუცია და-იწყო, მეგონა, ბედნიერი ვიქნებოდით. ხომ გახსოვთ, რა კარგი იყო, რა თავისუფლად ვსუნთქავდით! ახლა კი უარესია, ვიდრე წინათ იყო.

თავი დახარა და იატაკს დააცქერდა.

— ახლა ისინი კლავენ ჩვენს რესპუბლიკას, როგორც ოდესმე რომის რესპუბლიკა მოკლეს! ხოლო საბრალო ვენეცია, საბრალო პოლონეთი, საბრალო უნგრეთი! რა საზიზღრობაა! ჯერ თავისუფ-

ლების ხეები დაჭრეს, შემდეგ შეზღუდეს საარჩევნო უფლება, დახურეს კლუბები, აღადგინეს ცენზურა და სკოლები მღვდლებს ჩაუგდეს ხელში; ინკვიზიცია გვაკლია! რატომაც არა კონსერვატორები კაზაკებს არ ნატრობენ? გაზეთებს კრძალავენ, თუ შიგ სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ რამე დაიწერა, პარიზი ყელამდეა საკვსე ხიშტებით, თექვსმეტ დეპარტამენტში შემოღებულია საალყო წესები, ამნისტია კი კვლავ უარყვეს.

თავში ხელი იტაცა, შემდეგ, თითქოს სასოება წარეკვეთაო, ხელები გაასავსავა.

— თუმცა, რომ ვცადოთ? მეტი პატიოსნება რომ გამოიჩინონ, შეიძლებოდა შევთანხმებულიყავით... მაგრამ არა! მუშები ბურჟუებზე უკეთესი არ არიან, იცოდეთ! ამას წინათ ელბეფში უარი თქვეს დახმარება გაეწიათ ხანძრის ჩაქრობაში. ვიღაც არამზადები ბარბესს არისტოკრატს ეძახიან! ხალხი რომ სასაცილო გახადონ, პრეზიდენტად სურთ აირჩიონ კალატოზი ნადო, მეტი რაღა გინდათ? და ვერაფერსაც ვერ იზამ! ვერაფერს ვერ გახდები! ყველა ჩვენი წინააღმდეგია! არავისთვის ცუდი არ მიქნია, მაგრამ გულზე რაღაც მაწევს. გავგიჟდები, თუ ასე გაგრძელდა! უმჯობესი იყო მოვეკალით. გარწმუნებთ, ეს ფული მე არ მესაჭიროება. ჰო, მერმე გადამიხდით, დალახვროს ეშმაკმა! სესხად გაძლევთ.

ფრედერიკმა აუცილებლობის გამო, ბოლოს და ბოლოს, ეს ოთხი ათასი ფრანკი აიღო. ამრიგად, უსიამოვნება ვატნაზის მხრივ თავიდან აცილებულ იქნა.

მაგრამ მალე როზანეტმა არნუს წინააღმდეგ აღძრული საქმე წააგო და ჯიუტობის გამო სურდა გაესაჩივრებინა.

დელორიეს ცოტა შრომა როდი დასჭირდა, რათა მისთვის გაეგებინებინა, რომ არნუს დაპირება არ იყო არც საჩუქრის ბარათი და არც ფორმალური გადაცემა; იგი არც კი უსმენდა და ასეთ კანონს უსამართლოდ თვლიდა. და ყოველივე კი იმიტომ, რომ იგი ქალია, მამაკაცები კი ერთმანეთს მხარს უჭერენ. ბოლოს და ბოლოს, მაინც დაიჯერა მისი რჩევა.

დელორიე ისე მოურიდებლად იქცეოდა ამ სახლში, რომ რამდენჯერმე სენეკალიც კი მოიყვანა სადილად. ასეთი საქციელი არ ეამებოდა ფრედერიკს, რომელიც ეხმარებოდა ფულით, თავის მკერავთან უკერავდა, ადვოკატი კი თავის ძველ სერთუკებს სოციალისტს აძლევდა, რადგან არავინ იცოდა, რა სახსრებით ცხოვრობდა იგი.

მაგრამ მას მაინც უნდოდა სამსახური გაეწია როზანეტისათვის. ერთხელ, როცა ქალმა აჩვენა ფაიფურის თიხის მომპოვებელი კომპანიის (ეს იყო ის საწარმო, რომლის გამოც არნუს ოცდაათი ათასი ფრანკი ჯარიმა მიუსაჯეს) თორმეტი აქცია, მან წამოიძახა:

— კი, მაგრამ აქ რაღაც რიგზე ვერ არის! ძალიან კარგი!

როზანეტს შეეძლო სასამართლოში ეჩივლა არნუსათვის და მოეთხოვა ამ ქაღალდების ღირებულების ანაზღაურება. უწინარეს ყოვლისა, შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ურთიერთთავდებობის ძალით არნუს კომპანიის მთელი ვალისათვის პასუხი უნდა ეგო თავისი ქონებით, რადგან თავისი პირადი ვალები კომპანიის ვალად გაასაღა; შემდეგ კიდევ საზოგადოების ქონების ნაწილიც მიისაკუთრა. — ყოველივე ეს იმის საბაბს იძლევა, რომ ბოროტგანზრახული ბანკროტობის ბრალი დაედოს (სავაჭრო კოდექსის ხუთას ოთხმოცდამეექვსე და ხუთას ოთხმოცდამეშვიდე მუხლები) და ჩავსვამთ, ჩემო მშვენიერო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

როზანეტი ყელზე მოეხვია. მეორე დღეს მან ეს საქმე გადასცა თავის ყოფილ პატრონს, რადგან თვითონ არ ეცალა, რაკი ნოჟანს უნდა წასულიყო; თუ საჭირო იქნებოდა, სენეკალს უნდა მიეწერა მისთვის.

სანოტარო კანტორის ყიდვა მხოლოდ საბაბი იყო. მთელ დროს ბ-ნ როკის ოჯახში ატარებდა, ამასთან არა თუ იმ თავითვე აქებდა საერთო მეგობარს, არამედ კიდევაც ცდილობდა მიებაძა მისი ქცევისა და ლაპარაკისათვის; ამით მოიპოვა ლუიზას ნდობა, ხოლო მისი მამის გული იმით, რომ თავს ესხმოდა ლედრიუ-როლენს.

ფრედერიკი იმიტომ არ ჩამოდის, რომ მაღალ საზოგადოებაში ტრიალებსო. და ნელ-ნელა დელორიემ მათ აცნობა, რომ ფრედერიკი შეყვარებულია და საყვარელისაგან შვილიც კი ჰყავს.

ლუიზა საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ნაკლებ აღშფოთებული არც ქ-ნი მორო იყო. იგი უკვე ხედავდა, რომ ქარიშხლით ატაცებული მისი შვილი რაღაც უფსკრულში ინთქმებოდა; იგი, ვინც მოკრძალებით იცავდა ზრდილობას, შეურაცხყოფას გრძნობდა; ყოველივე ამას ისე განიცდიდა, როგორც პირად შერცხვენას. როცა ჰკითხავდნენ ხოლმე, ფრედერიკი როგორ არისო, ეშმაკურად ეტყოდა:

— კარგად, ძალიან კარგად!

შეიტყო, რომ იგი ქ-ნ დამბრეზს ირთავდა.

ქორწინებაზე. დღე უკვე დანიშნული იყო და ფრედერიკი ფიქრობდა, როგორ შეეტყობინებინა ეს ამბავი როზანეტისათვის.

შუა შემოდგომაზე როზანეტმა პროცესი მოიგო. ფრედერიკმა ეს შეიტყო სენეკალისაგან, რომელიც სწორედ სასამართლოდან ბრუნდებოდა და შესასვლელში შეეყარა.

არნუ ყველა ბოროტმოქმედების თანამონაწილედ აღიარეს და ყოფილ რეპეტიტორს ეს ამბავი ისე უხაროდა, რომ ფრედერიკმა როზანეტთან არ აიყვანა და უთხრა, მე თვითონ გადავცემო. ძალიან გაჯავრებული იყო.

— ჰოდა, ისიამოვნე!

ქალს ყურადღება არ მიუქცევია მისი სიტყვებისათვის.

— ერთი შეხედე!

და ბავშვი უჩვენა, აკვანში რომ იწვა ბუხართან. დილით იგი ისეთ ცუდ მდგომარეობაში ნახა ძიძასთან, რომ გადაწყვიტა პარიზში გადმოეყვანა.

ხელ-ფეხი არაჩვეულებრივად გამხდარი, ტუჩზე თეთრი გამონაყარი ჰქონდა, პირში კი თითქოს შედედებული რძე დარჩენიაო.

— ექიმმა რა თქვა?

— აჰ, ექიმი! მისი ფიქრით, მგზავრობამ გაუძლიერა... არ ვიცი, რაღაც ავადმყოფობა დაასახელა... „იტით“ იწყება. მოკლედ, რძიანა აქვს. გაგიგონია ასეთი ავადმყოფობა?

ფრედერიკმა სრულიად უყოყმანოდ მიუგო: „რა თქმა უნდა“, და დასძინა, ეგ არაფერიაო.

მაგრამ საღამოს კი შეშინდა; ბავშვი ისე გამხდარი იყო და იმდენი ობისებრი თეთრი ლაქები ეყარა ტანზე, გეგონებოდა, სული გაჰპარვია და დარჩენილა მხოლოდ რაღაც ნივთიერება, თავისებური მკუნარეულობით რომ იფარებაო; ხელ-ფეხი ციცი ჰქონდა, სმა აღარ შეეძლო და ახალი ძიძა, რომელიც მეკარემ დაიქირავა, წამდაუწუმ იმეორებდა:

— ცუდად არის, ძალიან ცუდად!

როზანეტს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

დილით ფრედერიკს დაუძახა:

— აქ მოდი. აღარ ინძრევა.

მართლაც, ბავშვი მკვდარი იყო. დედამ ხელში აიყვანა, ანჯღრევდა, ეხვეოდა, უნაზეს სახელებს ეძახდა, კოცნიდა, გულში იხუტებდა, სრულიად გაოგნებული ოთახში დაბორიალობდა, თმას იგ-

ლეჯდა, ყვიროდა; ბოლოს დივანზე დაეცა და გაიბრძანდა პირღაღებული, თვალებგაშტერებული, ცრემლი ღვარად სდიოდა; მერმე გაქვავდა, და სახლში ყველაფერი მიწყნარდა. სავარძლები და სკამები გადაბრუნებული იყო. იატაკზე რამდენიმე პირსახოცი ეგდო. საათმა ექვსი დარეკა. საღამური ჩაქრა.

ყოველივე ამის შემყურე ფრედერიკი ფიქრობდა, სიზმარი ხომ არ არისო? გულს ნაღველი უხუთავდა. ეგონა, ეს სიკვდილი მხოლოდ დასაწყისია და მას შეიძლება სულ მალე უფრო დიდი უბედურება მოჰყვესო.

უეცრად როზანეტმა ნაზი ხმით თქვა:

— ჩვენ მას შევინახავთ, არა?

უნდოდა დაებალზამებინა იგი. ყველაზე დიდი საბუთი, ფრედერიკის აზრით, ის იყო, რომ ასეთი პატარა ბავშვების დაბალზამება არ შეიძლება. უმჯობესია პორტრეტი. ქალი ამ აზრს დაეთანხმა. ფრედერიკმა ორიოდე სიტყვა მისწერა პელერენს და დელფინამ წაიღო.

პელერენი დაუყოვნებლივ მოვიდა, რადგან გულმოდგინედ სურდა გაექარწყლებია წყენის მოგონება. შემოვიდა და თქვა:

— საბრალო ანგელოზი! ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სამწუხაროა!

მაგრამ მის არსებაში ნელ-ნელა გაიღვიძა მხატვარმა და განაცხადა: ამ მოყვითალო ჩრდილს თვალების გარშემო, ამ გალურჯებულ პირისახეს არაფერი არ ეშველება, ეს მხოლოდ ნატურ-მორტია, აქ დიდი ტალანტია საჭირო, და მერმე წაიბუტბუტა:

— ოჰ, ძნელია, ძნელი!

— ოღონდ კი ჰგავდეს, — შენიშნა როზანეტმა.

— ეჰ, მსგავსება რას მიქვია! ძირს რეალიზმი! სული უნდა დაიხატოს! თავი დამანებეთ! ვეცდები წარმოვიდგინო, თუ რა უნდა იქნეს ეს.

და ჩაფიქრდა. მარცხენა ხელი შუბლზე შემოიდო, იდაყვს მარჯვენა შეუყენა; მერმე უეცრად წამოიძახა:

— აჰ, აზრი მომივიდა! პასტელით! ნახევარტონებით და ოდნავ-მოხაზული კონტურებით კარგი გამომსახველობის მიღწევა შეიძლება.

მოსამსახურე გოგო საღებავების ყუთის მოსატანად გაგზავნა, მერმე ფეხები დაბალ სკამზე შედგა, მაგიდა მოიმარჯვა, დიდრონი შტრიხები მოუსვა და ისე დამშვიდებული იყო, თითქოს წინ მო-

დელი უძევსო. აქებდა კორეჯოს პატარა იოანე ნათლისმცემლებს, ველასკეზის ინფანტა როზას, რეინოლდსის რძისფერ ტონებს, ლოურენსის სინატიფეს და განსაკუთრებით იმ გრძელთმიან ბიჭუნას, ლედი გლოუერს რომ მუხლებზე უზის.

— და განა შეიძლება იყოს ამ პატარებზე უფრო მომხიბვლელი რამ? უმაღლესი სილამაზის ტიპი (ეს რაფაელმა დაამტკიცა თავისი მადონებით) შეიძლება იყოს დედა შვილითურთ.

როზანეტი, რომელსაც ცრემლები ახრჩობდა, გავიდა და სენეკალმა მაშინვე თქვა:

— არნუ!.. იცით, რა მოხდა?

— არა! რა იყო?

— თუმცა, ბოლო ასეთი უნდა ყოფილიყო!

— კი, მაგრამ რა ამბავია?

— იქნებ ახლა უკვე... ბოდიში!

მხატვარი ადგა და ოდნავ აუწია თავი მიცვალებულს.

— თქვენ თქვით... — დაიწყო ფრედერიკმა.

პელერენმა კი თვალები მოხუჭა, რომ პროპორციები უკეთ გაერკვია:

— მე ვთქვი, რომ ჩვენი მეგობარი არნუ ახლა იქნებ უკვე საპატიმროშია.

შემდეგ კმაყოფილებით დასძინა:

— აბა შეხედეთ! ასე უნდა, არა?

— დიახ, მშვენიერია! არნუ, რაო?

პელერენმა ფანქარი დადო.

— რამდენადაც გავიგე, მას სდევნის ვინმე მინიო, რეკემბარის მეგობარი, ესეც კაი ვინმეა, ერთი რეგვენია, წარმოიდგინეთ, ერთხელ...

— ეჰ, საქმე ხომ რეკემბარს არ ეხება?

— სწორია! ჰოდა, აი გუშინ საღამოს არნუს სადმე უნდა ეშოვნა თორმეტი ათასი ფრანკი, თორემ მისი საქმე ცუდად იქნებოდა.

— ოჰ, ეგ იქნებ გაზვიადებულია, — უთხრა ფრედერიკმა.

— სრულიადაც არა! მე მგონია, მძიმე საქმეა, ძალიან მძიმე.

ამ დროს როზანეტი დაბრუნდა, თვალები დასწითლებოდა, შეშუპებოდა, თითქოს შეუღებავსო. მოვიდა და ნახატს დააცქერდა. პელერენმა ფრედერიკს ანიშნა, ამის გამო გავჩუმდიო, მაგრამ მას ყურადღება არ მიუქცევია.

— მე მაინც ვერ დამიჯერებია...

— ვიმეორებ, — უთხრა მხატვარმა, — რომ გუშინ საღამოს შვიდ საათზე შევხვდი ჟაკობის ქუჩაზე. სიფრთხილით პასპორტიც თან წამოეღო, ამბობდა, ჰავრში ჩავჯდები გემში მთელი ოჯახიანადო.

— როგორ? ცოლიანად?

— რა თქმა უნდა! ის ძალიან კარგი მეოჯახეა, მარტო ვერ გაძლებს.

— მაშ დარწმუნებული ხართ, რომ მიდის?

— რასაკვირველია! აბა თორმეტი ათასი ფრანკი სად უნდა ეშოვა?

ფრედერიკმა ორიოდეჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში. სუნთქვა უჭირდა, ტუჩებს იკვნეტდა, მერმე ქუდი აიღო.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა როზანეტმა.

მან არაფერი უპასუხა და წავიდა.

V

საჭიროა თორმეტი ათასი ფრანკი, თორემ ქ-ნ არნუს ვეღარ ნახავს, დღემდე ყი დაუძლეველი იმედი ჰქონდა. განა იგი მისი გულის არსი, მისი სიცოცხლის საფუძველი არ იყო? რამდენიმე წუთს ბორძიკით დადიოდა ტროტუარზე, გული გახეთქვაზე ჰქონდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, რომ დაშორდა იმას, მეორეს.

სად იშოვნოს ფული? ფრედერიკმა გამოცდილებით იცოდა, თუ რა ძნელია მისი მიღება ერთბაშად, პროცენტებითაც კი. ერთადერთ ვინმეს შეეძლო მისი შველა, ეს იყო ქ-ნი დამბრეზი. მას სეიფში მუდამ ჰქონდა ხოლმე ბანკის ბილეთები. ეწვია და გაბედულად ჰკითხა:

— შეგიძლია სესხად მომცე თორმეტი ათასი ფრანკი?

— რისთვის?

— ეს სხვისი საიდუმლოებაა.

ქალს სურდა ცოდნოდა. იგი არ უთმობდა. ორივე ჯიუტობდა. ბოლოს ქალმა განაცხადა: არაფერს არ მოგცემ, სანამ არ მეცოდინება, რად გინდაო. ფრედერიკი ჭარხალივით წამოწითლდა:

— ერთ-ერთმა მეგობარმა იქურდა, დღესვე უნდა აანაზღაუროს,

— რა ჰქვია? რა გვარია? ჰო, რა გვარია-მეთქი?

— დაუსარდიე!

და დაუჩოქა, არავის არ უთხრაო.

— ჩემზე რა აზრისა ხარ? — ჰკითხა ქ-ნმა დამბრეზმა, — შეიძლება კაცმა იფიქროს, თვითონ მოუპარავსო. თავი გაანებე მაგ ტრაგიკულ პოზებს! აჰა, წაიღე! და ღმერთმა უშველოს იმას!

იგი არნუსთან გაიქცა. ვაჭარი მაღაზიაში არ დაუხვდა. იგი წინანდებურადვე პარადის ქუჩაზე ცხოვრობდა, ორი ბინა ჰქონდა.

პარადის ქუჩაზე მეკარემ დაიფიცა: გუშინდელს აქეთ ბ-ნი არნუშინ არ ყოფილა, რაც შეეხება ქალბატონს, არაფრის თქმა არ შეშიძლიაო. ფრედერიკი კიბეზე ავარდა და გასაღების ნახვრეტს ყური მიადო. კარი გააღო.

— ქალბატონი და ბატონი ერთად წავიდნენ, — უთხრა მსახურმა გოგომ. — არ ვიცი, როდის დაბრუნდებიან. მე ხელფასი მომცეს. აქედან მივდივარ.

უეცრად კარის ჭრიალი გაისმა.

— კი, მაგრამ აქ ვიღაც არის!

— არა, ბატონო, ეს ქარია!

ფრედერიკი წავიდა. გარნა ესოდენ უეცარი გაქრობა რაღაც წარმოუდგენელი იყო.

იქნებ რეჟისორმა, როგორც მინიოს მეგობარმა, აუხსნას, რა მოხდა? და ფრედერიკი მონმარტრში წავიდა, იმპერატორის ქუჩაზე.

სახლის წინ რკინის რიკულით შემოღობილი ბაღჩა იყო. ფასადი თეთრი იყო, შესასვლელს სამი საფეხური ჰქონდა, ასე რომ ტროტუარიდან შეიძლებოდა შეგეხედა ქვემო სართულის ორივე ოთახში, რომელთაგან ერთი სასტუმრო იყო, სადაც ყველა სკამსა და სავარძელზე გადაფენილი იყო ტანსაცმელი, მეორე კი — სახელოსნო, სადაც ისხდნენ ქალები, ქ-ნ რეჟისორთან რომ მუშაობდნენ.

ყველა ესენი დარწმუნებული იყვნენ, რომ დიასახლისის ქმარს დიდი საქმეები აქვს, იცნობს დარბაისელ ადამიანებს, რომ ჩვეულებრივი კაცი როდია. თუმცა, რეჟისორი შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ წასაქეზებლად ან ჭკუის დასარიგებლად რაიმე არ ეთქვა თავაზიანად და შემდეგში, როცა გათხოვდებოდნენ ხოლმე, თავს უბედურად გრძნობდნენ, რადგან იგი იდეალად მიაჩნდათ.

და მაინც არც ერთ მათგანს იგი ისე ძლიერ არ უყვარდა, რო-

გორც ქ-ნ რეჟემბარს, ამ პატარა ჭკვიან ქალს, მას რომ თავისი ხელობით ინახავდა.

როგორც კი უთხრეს, ბ-ნი მორო გკითხულობსო, მაშინვე გამოვიდა, რადგან მსახურისაგან იცოდა მისი ურთიერთობა ქ-ნ დამბრეზთან. მისი ქმარი — „ახლავე უნდა მოვიდეს", ფრედერიკი გოცებული იყო წესრიგით ბინაში და მუშამბის სიუხვით, რომელიც ყველგან ჩანდა. შემდეგ რამდენიმე წუთს იჯდა რომელიღაც ოთახში, თავისებურ კაბინეტში, სადაც მოქალაქე განმარტოვდებოდა ხოლმე.

ამჯერად მოქალაქე ისე გაჯავრებული არ ყოფილა, როგორც ჩვეულებრივ.

დაწვრილებით მოუთხრო არნუს ამბავი. ფაიანსის ნაწარმის ყოფილმა ვაჭარმა ანკეტზე წამოაგო ვინმე მინიო, პატრიოტი, გაზეთ „სიეკლის" ასიოდე აქციის მფლობელი; არნუმ იგი დააჯერა, რომ დემოკრატიული თვალსაზრისით საჭიროა გამოიცვალოს გაზეთის ადმინისტრაცია და რედაქცია, და თითქოს იმისათვის, რომ გაიმარჯვონ აქციონერთა მომავალ თათბირზე, ორმოცდაათი აქცია სთხოვა, რათა საიმედო მეგობრებისათვის გადაეცა, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ არჩევნებში. მინიოს არ მოუხდება პასუხისმგებლობა, არც ვინმესთან ჩხუბი, ხოლო, როცა წარმატება მიღწეულ იქნება, მაშინ კარგ ადგილს უშოვნის არნუს დირექციაში, ყველ შემთხვევაში თვიურად რომ ხუთი-ექვსი ათასი ფრანკი ექნეს. არნუმ აქციები მიიღო, მაგრამ ერთბაშად გაყიდა ისინი და აღებული ფულით შევიდა საეკლესიო ნივთების მოვაჭრე ამხანაგობაში. მალე მინიომ თავისი მოითხოვა. არნუ თავს არიდებდა; ბოლოს პატრიოტი დაემუქრა, თაღლითობისათვის სამართალში მიგცემ, თუ აქციები ან მათი ღირებულება ორმოცდაათი ათასი ფრანკი არ დაგიბრუნებიაო.

ფრედერიკის საზე სასოწარკვეთილებას გამოხატავდა.

— ეს ყველაფერი როდია, — უთხრა მოქალაქემ, — მინიო პატიოსანი კაცია, დათანხმდა თუნდაც მეოთხედი მისცენ ჯერჯერობით. არნუ შეჰპირდა და, რა თქმა უნდა, კვლავ თავი დაიძვრინა. მოკლედ, გუშინწინ მინიომ მოითხოვა, რომ ერთი დღის ვადაში თორმეტი ათასი ფრანკი გადაუხადოს.

— ეგ ფული მე მაქვს! — უთხრა ფრედერიკმა.

მოქალაქემ პირი იბრუნა:

— ხუმარა!

— ბოდიში! აგერ მაქვს ჯიბეში! მინდოდა მისთვის მიმეცა.

— ოჰო, ასე რამ აგაჩქარათ! დიდებულია, ჩემმა მზემ! მაგრამ გვიანდაა: საჩივარი აღძრულია, არნუ წავიდა.

— მარტო?

— არა, ცოლიანად. ჰავრის სადგურზე უნახავთ.

ფრედერიკი საშინლად გაფითრდა. ქ-ნ რეჟემბარს ეგონა, გონება დაეკარგებაო. მან ძალა მოიკრიბა და ორიოდე კითხვა კიდევ მისცა. რეჟემბარს ეს ეწყინა, რადგან ასეთი რამ საერთოდ დემოკრატიას ვნებს. არნუ მუდამ ახირებული და გაუფრთხილებელი კაცი იყო.

— თავცარიელი! მოქეიფე! კაბებმა დაღუპეს! მე ის კი არ მებრალება, არამედ მისი ცოლი.

მოქალაქე პატივს სცემდა სათნო ქალებს და დიდად აფასებდა ქ-ნ არნუს. — ბევრი რამ გადაიტანა!

ფრედერიკი უმადლოდა ასეთი თანაგრძნობისათვის, თითქოს რეჟემბარმა რაიმე სამსახური გაუწიაო, და გამოთხვებისას გრძნობით ჩამოართვა ხელი.

— ყველაფერი ჰქენი, რაც საჭიროა? — ჰკითხა როზანეტმა, როცა იგი დაბრუნდა.

მან უპასუხა, ვერ გავბედე და ქუჩებში დავეხეტებოდი, რომ გული გადამეყოლებინაო.

რვა საათზე სასადილო ოთახში გადავიდნენ; მდუმარედ ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ, დროდადრო ღრმად ოხრავდნენ და მსახურს თეფშები ხელუხლებელი მიჰქონდა. ფრედერიკმა არაყი დალია. თავი განადგურებულად, მოსპობილად მიაჩნდა, ვეღარაფერს ვერ გრძნობდა, საშინელი დაღლილობის გარდა.

ქალმა პორტრეტი მოიტანა. წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი საღებავები უხეშად იყო ერთმანეთში არეული და საძაგელ, თითქმის კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

თუმცა, პატარა მიცვალებული უკვე ისე გამოიცვალა, რომ ვეღარ იცნობდი. იისფერი ტუჩები უფრო მკვეთრად აჩენდა. პირის კანის სითეთრეს, ნესტოები გაუთხელდა, თვალები ჩაუცვიედა, თავი ცისფერი ტაფტის ბალიშზე ედო, კამელიის, ვარდებისა და იის ფურცლებში; ეს აზრი მსახურმა შთააგონა და ორივე ქალმა ძოწიწებით მორთო იგი ყვავილებით. ბუხარზე, არშიიანი ქსო-

ვილით რომ იყო დაფარული, წმინდა წყლით ნასხურევი ბსის შტოების თაიგულთა შორის მოოქრული შანდლები იდგა; კუთხეებში ორ ვაზაში საკმევი სანთელი ენთო. ყოველივე ეს აკვანთან ერთად საკურთხეველს ჰგავდა, და ფრედერიკს გაახსენდა გარღაცვალებულ დამბრეზთან ღამის თევა.

თითქმის ყოველ თხუთმეტ წუთში როზანეტი აკვნის ჩარდახს გადასწევდა, რომ თავისი შვილი დაენახა. წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ იგი სიარულს დაიწყებდა, შემდეგ კი სკოლის ეზოში ქალაქობიას ითამაშებდა ამხანაგებთან, როგორი იქნებოდა ოცი წლისა და ყოველივე ეს, რასაც იგი წარმოიდგენდა, ახლა დაკარგული იყო მისთვის; მოძალებული სასოწარკვეთილება დედობრივ გრძნობას უმძაფრებდა.

ფრედერიკი უძრავად იჯდა მეორე სავარძელში და ქ-ნ არნუზე ფიქრობდა.

ახლა, ალბათ, იგი ვაგონში ზის და ფანჯრიდან გასცქერის მინდვრებს, პარიზისაკენ რომ გარბიან, ან იქნებ გემბანზე დგას, როგორც მაშინ, პირველად რომ დაინახა; გარნა ეს გემი მიაქანებს უსაზღვრო სივრცისაკენ, საიდანაც იგი ვეღარ დაბრუნდება. შემდეგ მას წარმოიდგენდა სასტუმროს ოთახში: ჩემოდნები იატაკზეა, შპალერი ნაფლეთებად ჰკიდია კედლებზე, კარს ქარი აზანზარებს. მერმე რა იქნება? იგი რას იზამს? გახდება მასწავლებელი, კომპანიონი, იქნებ ხელზე მოსამსახურეც? ახლა იგი სიღარიბის ყოველგვარი შემთხვევითობის ხელშია. ის გარემოება, რომ მისი ამბავი არ ეცოდინება, ტანჯავდა ფრედერიკს. საჭირო იყო ხელი შეეშალა მისი წასვლისათვის ან თან გაჰყოლოდა. განა იგი არ არის მისი ნამდვილი ქმარი? და იმაზე ფიქრი, რომ ვეღარასოდეს ვერ ნახავს, რომ ყველაფერი გათავდა, რომ დაუბრუნებლად დაკარგა იგი, სიცოცხლეს უმწარებდა; დილიდანვე დაგროვილმა ცრემლმა გადმოხეთქა.

როზანეტმა ეს შეამჩნია.

— აჰ, შენც ჩემსავით ტირი? შენც იტანჯები?

— დიახ, დიახ! მეც!

ქალი გულში ჩაიხუტა და ორივე ასე ქვითინებდა.

ქ-ნი დამბრეზიც ტიროდა; გულალმა დამხობილიყო და თავზე ხელები შემოეკდო.

ოლიმპია რეკემბარმა, რომელმაც გლოვის შემდეგ პირველი

ნათელი ფერის კაბა მიუტანა გასასინჯად, უამბო როგორ ეწვია მათ ფრედერიკი, რომელსაც მზად ჰქონდა თორმეტი ათასი ფრანკი ბ-ნ არნუსათვის.

მაშასადამე, ფული, მისი ფული იმისთვის დასჭირდა, რომ ხელი შეეშალა მისთვის, მეორესთვის, არ წასულიყო, რომ შეენარჩუნებინა საყვარელი!

ჯერ გააფთრება დაეუფლა და გადაწყვიტა გაეგდო იგი, როგორც აგდებენ ლაქიას. მაგრამ უხვად დაღვრილმა ცრემლმა დაამშვიდა. უმჯობესი იქნებოდა არაფერი არ ეთქვა, ყველაფერი გულში ჩაეხვია.

მეორე დღეს ფრედერიკმა დაუბრუნა თორმეტი ათასი ფრანკი.

ქალმა წინადადება მისცა შეენახა იგი იმ შემთხვევისათვის, თუ მის მეგობარს დასჭირდებოდა და დაწვრილებით გამოჰკითხა მისი ამბავი. ვინ აიძულა ასეთი საქმე ჩაედინა, ალბათ, ქალმა, რადგან ისინი გვაიძულებენ ხოლმე ასეთი დანაშაული ჩავიდინოთო.

მისმა დამცინავმა კილომ ფრედერიკი შეაცბუნა. იგი ძლიერ ნანობდა, რომ ასეთი ცილი დასწამა მეგობარს. მაგრამ იმან დაამშვიდა, რომ ქ-ნ დამბრეზს არ შეეძლო სიმართლე შეეტყო.

გარნა ქალი თავისას არ იშლიდა, რადგან მეორე დღეს კვლავ იკითხა მისი მეგობრის ამბავი, მერმე მეორისაც — დელორიეს ამბავი გამოჰკითხა:

— ჭკვიანი და სანდო კაცია?

ფრედერიკმა შეაქო.

— სთხოვეთ შემოიაროს ჩემთან როგორმე დილით: მინდა ერთ საქმეზე მოვეთათბირო.

მან შემთხვევით იპოვნა ერთი შეკვრა ქაღალდები, რომელთა შორის იყო არნუს ვექსილები, როგორც რიგია, გაპროტესტებული და ქ-ნ არნუს ხელმოწერილნი. სწორედ ამ ვექსილებისათვის მიეცა ერთხელ ფრედერიკი ბ-ნ დამბრეზთან საუზმის დროს; თუმცა კაპიტალისტი არ აპირებდა გასანაღდებლად წარედგინა ისინი, მაგრამ მაინც ის ჰქონა, რომ კომერციულმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა არა მარტო არნუს, არამედ მის ცოლსაც, რომელმაც ამაზე არაფერი იცოდა, რადგან ქმარმა უადგილოდ მიიჩნია მისი გაფრთხილება.

აი ეს იყო ნამდვილი იარაღი! ქ-ნ დამბრეზს არ ეეჭვებოდა, მაგრამ, ალბათ, მისი ნოტარიუსი ურჩევდა თავი შეეკავებინა: მას

სურდა ვინმე სხვისთვის, ნაკლებ ცნობილისათვის მიენდო ეს საქმე და გაახსენდა ის მაღალი, უტიფარი კაცი, თავისი სამსახური რომ შესთავაზა.

ფრედერიკმა თავისი გულუბრყვილობით თხოვნა შეუსრულა.

ადვოკატი აღტაცებული იყო, რომ ასეთ დიდმნიშვნელოვან ქალთან ექნებოდა საქმე. და იჩქარა მასთან მისვლა.

ქ-ნმა დამბრეზმა უთხრა, მემკვიდრეობა ეკუთვნის ჩემს ძმისწულსო, ამიტომ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ვექსილებით ფულის მიღებას, რადგან მისთვის ძვირფასია ცოლქმარ მარტინონის ინტერესები.

დელორიე მიხვდა, აქ რაღაც საიდუმლოებაა, ვექსილებს დააკვერდა და დაფიქრდა. ქ-ნ არნუს გვარმა, რაც დაწერილი იყო საკუთარი ხელით, გაახსენა მისი სახე და შეურაცხყოფა, ამ ქალმა რომ მიაყენა. თუკი შურისგების შემთხვევა ეძლევა, რატომ არ უნდა ისარგებლოს?

და ქ-ნ დამბრეზს ურჩია, საჯარო ვაჭრობით გაეყიდა მემკვიდრეობით დარჩენილი უიმედო ვექსილები; ვინმე იყიდის და გასანაღდებლად წარადგენსო. თვითონვე იკისრა ასეთი პირის მოძებნა.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში ფრედერიკმა იმ ქუჩაზე გაიარა, სადაც ქ-ნი არნუ ცხოვრობდა, და დაინახა კარზე გაკრული განცხადება, რომელშიც მსხვილი ასოებით ეწერა:

„იყიდება მოძრავი ქონება: სამზარეულოს ჭურჭელი, საცვლები, სუფრები, პერანგები, მაქმანი, კაბები, შარვლები, ფრანგული და ინგლისური შალები, არის როიალი, აღორძინების სტილის ორი მუხის კარადა, ვენეციური სარკეები, ჩინური და იაპონური ფაიფური“.

„ეს ხომ იმათი ნივთებია!“ — გაიფიქრა ფრედერიკმა; მეკარემ ვარაუდი დაუდასტურა.

რაც შეეხება პიროვნებას, ვინც ეს საქმე საჯარო ვაჭრობამდე მიიყვანა, მისთვის უცნობი იყო, განმარტების მიცემა შეეძლო ბ-ნ ბარტელმოს, შემფასებელს.

მოხელეს ჯერ არ სურდა ეთქვა, რომელმა მევალემ მოითხოვა გაყიდვა. ფრედერიკმა სიმტკიცე გამოიჩინა: ეს იყო ვინმე სენეკალი, ვექილი. და ბ-ნმა ბარტელომ იმდენი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ ფრედერიკს მისცა — „მცირე აფიშების“ თავისი ნომერი.

როზანეტთან რომ დაბრუნდა, ფრედერიკმა ეს ნომერი გაშალა და ისე დაიგდო მაგიდაზე.

— აჰა, წაიკითხე!

— რა არის? — ჰკითხა ქალმა და მისი სახე ისე აუმღვრეველი იყო, რომ ფრედერიკს ბრაზი მოერია.

— აჰ, ვიცით ეგ თქვენი უწყინარობა!

— არა მესმის რა!

— შენი მიზეზით იყიდება საჯაროდ ქ-ნ არნუს ნივთები?

ქალმა განცხადება გადაიკითხა.

— მერმე სადაა მისი სახელი?

— ნივთები ხომ მისია! ეს ჩემზე უკეთ შენ იცი!

— აბა რა ჩემი საქმეა? — უთხრა როზანეტმა და მხრები აიჩეჩა.

— რა შენი საქმეა? შურს იძიებ და ისაა! ეს სულ შენი დევნის ნაყოფია! განა შენ არ შეურაცხყოფდი? შინაც კი მიხვედი! შენ, სალახანა! მიხვედი წმინდა, მომხიბვლელ, ყველაზე უკეთეს ქალთან ამქვეყნად! რატომ ასე ამოგიჭრია გულში მისი დაღეჭვა?

— ცდები, გარწმუნებ!

— ჩუმად! ვითომ შენ არ შეუჩინე სენეკალი!

— რა სისულელეა!

ფრედერიკი გააფთრდა.

— ტყუი! ტყუი, არამზადავ! შენ იქვნეულობ! აღმასრულებელი ფურცელი გაქვს მისი ქმრის სახელზე! სენეკალი უკვე იპიჩქნებოდა შენს საქმეებში! მას ეზიზღება არნუ, თქვენ შეთქმული ხართ. მე ვნახე, როგორ უხაროდა, როცა შენ საჩივარი მოიგე. ახლაც იუარებ?

— სიტყვას გაძლევ, რომ...

— აჰ, ვიცი რა ფასი აქვს შენს სიტყვას!

და ფრედერიკი მოჰყვა მისი საყვარლების ჩამოთვლას, გვარით, სახელით, წვრილმანების აღნიშვნით. როზანეტი გაფითრდა და ჩამოეთხოვა.

— გიკვირს, არა? მე ყურადღებას არ ვაქცევდი, შენ კი ბრმა გეგონე! ახლა მეყოფა! ისეთი ქალების ღალატის გამო, როგორიც შენ ხარ, თავს არ იკლავენ! ხოლო, როცა ღალატი მეტად აშკარაა, მიატოვებენ ხოლმე. შენისთანების დასჯა თავის დამცირებაა!

ქალი ხელებს იმტვრევდა.

— ღმერთო ჩემო! შენ თითქოს შეგცვალესო!

— ბრალი, შენს გარდა, არავის მიუძღვის!

— და ყველაფერი ეს ქალბატონ არნუს გულისათვის... — წამოიძახა ატირებულმა როზანეტმა.

მან გულცივად მიუგო:

— მხოლოდ ის მიყვარდა მთელ სიცოცხლეში!

ამ შეურაცხყოფამ ცრემლის ნაკადი შეუწყვიტა:

— ეს ადასტურებს, თუ რა კარგი გემოვნება გაქვს! გადამწიფებული, ძირტკბილასფერი სახის ქალი, რომელიც მოჩორთვილია, როგორც ტომარა, თვალები ისე დიდი აქვს, როგორც სარდაფის სარკმლები, და სარდაფივით ცარიელი. თუ ასეთები მოგწონს, მიბრძანდი მასთან!

— მეც მაგას ველოდი. დიდად გმადლობ!

როზანეტი იქვე გაქვავდა, ესოდენ უჩვეულო საქციელით გაოცებული. არც კი უცდია შეკავება, როცა ვაჟი დერეფანში გავიდა. მერმე უეცრად მოვიდა გონს, ერთი გადახტომით დაეწია და ორივე ხელი მოჰხვია.

— გიჟი ხარ, გიჟი! ეს უაზრობაა! მიყვარხარ!

და შეევედრა:

— ღმერთო ჩემო! თუნდაც ჩვენი შვილისათვის!

— გამოტყდი, რომ ეს შენ ჩაიდინე! — უთხრა ფრედერიკმა.

ქალი კვლავ არწმუნებდა, ბრალი არ მიმიძღვისო.

— მაშ არ გინდა გამოტყდე?

— არა!

— აბა მშვიდობით სამუდამოდ!

— მომისმინე!

ფრედერიკი მობრუნდა.

— უკეთ რომ მიცნობდე, მიხვდებოდი, რომ ეს გადაწყვეტილება უცვლელია!

— ოჰ, შენ კიდევ მოხვალ ჩემთან!

— არასოდეს ჩემს სიცოცხლეში!

და კარი მაგრად გაიჯახუნა.

როზანეტმა დელორიეს მისწერა, დაუყოვნებლივ მნახეო.

იგი ხუთი დღის შემდეგ მივიდა, საღამოს, ხოლო როცა ქალმა მათი გაყრის ამბავი აცნობა, ადვოკატმა უთხრა:

— მეტი არაფერი? დიდი უბედურება მომხდარა!

ქალს ეგონა. ფრედერიკს დამიბრუნებსო, მაგრამ ახლა ყველაფერი გათავდა. მეკარისაგან კი იცოდა, რომ მალე ქ-ნი დამბრეზი უნდა შეერთო.

ფელორიემ ჯერ ვითომ დატუქსა, მერმე კი რაღაც არაბუნებრივად გამხიარულდა, კიდევაც გაანცდა. ხოლო, როცა გამოირკვა, რომ უკვე გვიანი იყო, ნება ითხოვა, ღამეს აქვე, სავარძელში გავითევო. მეორე დღეს ნოჟანს წავიდა, როზანეტი კი გააფრთხილა, არ ვიცი, კიდევ როდის ვნახავთ ერთმანეთსო; ახლო მომავალში, შესაძლებელია, ჩემს ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდესო.

ნოჟანს რომ ჩავიდა, ორი საათის შემდეგ ეს პატარა ქალაქი მთლად აფორიაქებული იყო. ამბობდნენ, ფრედერიკი ქ-ნ დამბრეზს ირთავსო. ბოლოს, სამმა დამ ოქემ ვეღარ მოითმინა და ქ-ნ მოროსთან მივიდა, მან კი ეს ამბავი სიამაყით დაადასტურა. ძია როკი ავად გახდა. ლუიზა თავის ოთახში ჩაიკეტა, ხმა გავარდა კიდევაც, ჭკუაზე შეიშალაო.

ვერც ფრედერიკმა დამალა თავისი მწუხარება. ქ-ნი დამბრეზი, ალბათ, ცდილობდა გაერთო იგი და ამიტომ უფრო ყურადღებით ეპყრობოდა, ყოველ დღეს, ნასადილევს მასთან ერთად დასეირნობდა თავისი ეკიპაჟით; ერთხელ კი, როცა ბირჟის მოედანზე მიდიოდნენ, ქალს ფიქრად მოუვიდა, ისე, გასართობად საჯარო ვაჭრობის დარბაზში შესულიყო.

პირველი დეკემბერი იყო, სწორედ ის დღე, როცა დანიშნული იყო ქ-ნ არნუს ნივთების საჯაროდ გაყიდვა. ფრედერიკს ეს გაახსენდა და უთხრა, მე არ შემოვალ, დარბაზში იმდენი ხალხია და ისეთი ხმაურობაა, რომ ვერ ავიტანო. ქალმა უპასუხა, მხოლოდ თვალს გადავავლებო. ეტლი გააჩერებინა. ფრედერიკი იძულებული გახდა შეჰყოლოდა.

ეზოში იდგა უტაშტო პირსაბანები, დაგლეჯილი სავარძლები, ძველი კალათები, ეყარა ფაიფურის ნატეხები, ცარიელი ბოთლები, მატრასები; იქვე ტრიალებდნენ ვიღაცეები, რომელთაც ჭუჭყიანი ბლუზები და სერთუკები ეცვათ, მთლად გამტვერილნი და უსახურნი იყვნენ. ზოგს ტილოს ტომარა ეკიდა ზურგზე, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

ფრედერიკმა შენიშნა, იქით წასვლა უხერხულიაო.

— აჰ, არაფერია! — თქვა ქალმა და კიბეზე ავიდნენ.

პირველსავე ოთახში მარჯვნივ ვიღაცეებს ხელის კატალოგები

ეჭირათ და სურათებს ათვალიერებდნენ, მეორე ოთახში ჩინური იარაღების კოლექციები იყიდებოდა. ქ-ნი დამბრეზი უკან დაბრუნდა. იგი კარების ნომრებს აკვირდებოდა და დერეფნის ბოლოს მიიყვანა ხალხით გაჭედილ სადგომში.

ფრედერიკმა მაშინვე იცნო „ლ' არ ენდუსტრიელის" მაღაზიის ორივე თარო, ქ-ნ არნუს სამუშაო მაგიდა, მთელი მისი ავეჯი! იგი დახორავებული იყო რამდენიმე სართულად იატაკიდან ჭერამდე, სხვა კედლებზე კი ხალიჩები და პორტიერები ეკიდა. ძირს, ამფითეატრად დადგმულ სკამებზე ვიღაც მოხუცები თვლემდნენ. მარცხნივ მოჩანდა დახლისებური რამ, რომლის იქით იდგა თეთრჰალსტუხიანი შემფასებელი და ჩაქუჩს აქნევდა. იქვე ვვერდით ნივთებს იწერდა ერთი ახლგაზრდა, ხოლო ქვემოთ იდგა ზორბა ვინმე, რომელიც კომივოიაჟერსაც ჰგავდა და კონტრამარკების გამყიდველსაც, და ნივთების სახელებს გაიძახოდა. ნივთები სამ კაცს მოჰქონდა და მაგიდაზე აწყობდა, რომელსაც გარშემო უსხდნენ მეძველეები და გადამყიდველები. მათ უკან ხალხი მიმოდიოდა.

როცა ფრედერიკი შევიდა, მყიდველები ათვალიერებდნენ კაბებს, თავსაფრებს, ცხვირსახოცებსა და პერანგებს; ყოველივე ეს ხელიდან ხელში გადადიოდა, ზოგჯერ შორიდან გადაისვრიდნენ და ჰაერში თეთრად გაიფრიალებდა რაღაც. მერმე გაიყიდა ქ-ნ არნუს კაბები, მისი ერთ-ერთი ქუდი, რომელზეც ფრთა მოტეხილი იყო და განზე ეკიდა, შემდეგ ბეწვეული და სამი წყვილი ფეხსაცმელი, განაწილება ამ რელიქვიებისა, რომლებშიც ფრედერიკი ბუნდოვნად ხედავდა მისი სხეულის გამოსახულებას, მხეცურ სისასტიკედ ეჩვენებოდა, თითქოს ყორნები თვალწინ მის გვამს გლეჯენო. დახუთული ჰაერი გულს ურევდა; ქ-ნმა დამბრეზმა თავისი შუშა შესთავაზა; მისი სიტყვით, ყოველივე ეს ძლიერ აინტერესებდა.

დადგა საწოლი ოთახის მოწყობილობის ჯერი. ბ-ნმა ბარტელმომ ფასი გამოაცხადა. შემფასებელმა მაშინვე გაიმეორა: უფრო ხმამაღლა, სამი მოსამსახურე კი მშვიდად ელოდა ჩაქუჩის დარტყმას და ნივთი მეზობელ ოთახში გაჰქონდა. ამრიგად ერთი-მეორეზე გაიტანეს დიდი, კამელიებით ამოქარგული ლურჯი ხალიჩა, რომელსაც ეხებოდნენ ქ-ნ არნუს ფეხები, როცა ფრედერიკს შემოეგებებოდა ხოლმე; დიდი სავარძელი, რომელშიც ვაჟი იჯდა ხოლმე მის პირდაპირ, როცა მარტონი რჩებოდნენ; ორივე ეკრანი, რომ-

ლებიც ბუხართან იდგა და რომელთა სპილოსძვალი უფრო ნახ-
ხდებოდა ხელის შეხების გამო, ხავერდის პატარა ბალიში, სადაც
ქინძისთავები კვლავ ესო. ამ ნივთებთან ერთად თითქოს ნაწილები
სწყდებოდა ფრედერიკის გულს. ხმებისა და მოძრაობის ერთფე-
როვნება ღლიდა მას, მომაკვდინებელ გაჩანაგებასა და სიხსნების
უცნაურ დაშლას იწვევდა.

უეცრად ზედ მის ყურთან გაიშრიალა აბრეშუმის კაბამ: მის
გვერდით როზანეტი იდგა.

აუქციონის ამბავი თვით ფრედერიკისაგან იცოდა. გული რომ
მოეოხა, საჯარო ვაჭრობის ნახვა მოენატრა. ტანთ ეცვა სადაფის-
ღილებიანი თეთრი ატლასის ჟილეტი, ფურჩალებიანი კაბა, ხელებ-
ზე — ვიწრო თათმანები. გამარჯვებულის იერი ჰქონდა.

ფრედერიკი გულისწყრომამ გააფითრა. როზანეტმა ქალს გა-
დახედა, მასთან რომ იყო.

ქ-ნმა დამბრეზმა იცნო იგი და ერთ წუთს თავით ფეხებამდე
ათვალიერებდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ შეემჩნიათ რაიმე ნაკ-
ლი, ზადი; ერთს, ალბათ, შურდა მეორის ახალგაზრდობა, ის კი
ნაწყენი იყო მოქიშპის განსაკუთრებული სინატიფით, არისტოკრა-
ტული სისადავით.

ბოლოს, ქ-ნმა დამბრეზმა გამოუთქმელი ქედმაღლური ღიმი-
ლით იბრუნა პირი.

შემფასებელმა ახლა როიალს აჰხადა თავი, მის როიალს! ზეზე
მდგომმა მარჯვენა ხელით ჩაარაკრაკა გამა და ფასი გამოაცხადა:
ათას ორასი ფრანკი, მერმე დაუკლო ათასამდე, რვაასამდე, შვი-
დასამდე.

ქ-ნი დამბრეზი ანცური კილოთი დასცინოდა ამ ხის ფეხსაც-
მელს.

მეძველეთა წინაშე დადგეს კოლოფი, რომელშიც იყო ვერცხ-
ლის მედალიონები და ღილები, სწორედ ის, ფრედერიკმა რომ ნა-
ხა, როდესაც პირველად ისადილა შუაზელის ქუჩაზე, რომელიც
შემდეგ როზანეტს ჰქონდა და კვლავ ქ-ნ არნუს დაუბრუნდა; ხში-
რად მათი საუბრის დროს თვალწინ ჰქონდა ხოლმე ეს კოლოფი.
იგი დაკავშირებული იყო მის უძვირფასეს მოგონებასთან და გულ-
ში უხაროდა, როცა ქ-ნმა დამბრეზმა უეცრად თქვა:

— დახე! ეს კი უნდა ვიყიდო!

— აბა ეგ რა მოსაწონია!

ქალს კი, პირიქით, ძლიერ მოსწონდა; შემფასებელი აქებდა მის სინატიფეს:

— აღორძინების სტილის ნივთია! რვაასი ფრანკი, ბატონებო თითქმის მთლად ვერცხლისაა! ცარცით რომ გაფერო, გაბრწყინდება.

ქალი ხალხში გაძვრა.

— რა უცნაური სურვილია! — თქვა ფრედერიკმა.

— არ გესიამოვნებათ?

— არა. რაში უნდა გამოგადგეთ ასეთი უბრალო რამ?

— ვინ იცის? იქნებ გამოდგეს საყვარლის წერილების შესანახავად.

და მისმა შეხედვამ განმარტა გადაკრული სიტყვა.

— მით უმეტეს არ უნდა გაამხილო გარდაცვლილთა საიდუმლო.

— მე საბოლოოდ გარდაცვლილად არ მიმიჩნევია იგი. — და გარკვევით მოუმატა ფასი:

— რვაას ოთხმოცი ფრანკი!

— ეს თქვენ არ შეგფერით, — წაიჩურჩულა ფრედერიკმა.

ქალი იცინოდა.

— მაგრამ, ჩემო ძვირფასო, ეს პირველი მოწყალებაა, რასაც მე გთხოვთ.

— იცით რა, თქვენ მოსიყვარულე ქმარი ვერ იქნებით.

ვიღაცამ ფასი მოუმატა; ქალმა ხელი ასწია:

— ცხრაასი!

— ცხრაასი! — გაიმეორა შემფასებელმა.

— ცხრაას ათი... თხუთმეტი... ოცი... ოცდაათი, — ჭყიოდა იგი, დამსწრეთ ათვალიერებდა და თავს აკატუნებდა.

— დამიმტკიცეთ, რომ ჩემი ცოლი გონიერია, — უთხრა ფრედერიკმა.

და ნელა წაიყვანა გასასვლელისაკენ.

შემფასებელი განაგრძობდა:

— აბა, აბა, ბატონებო! ცხრაას ოცდაათი! ვის უნდა ცხრაას ოცდაათად?

ქალბატონმა დამბრეზმა, რომელიც უკვე კართან იყო მისული, ხმამაღლა დაიძახა:

— ათასი!

ხალხი აჩოჩქოლდა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ათასი ფრანკი, ბატონებო, ათასი! ვინ უმატებს? არავინ? ათასი ფრანკი! თქვენია!

და სპილოს ძვლის პატარა ჩაქუჩი დაჰკრა.

ქალმა თავისი სადარბაზო ბარათი გადასცა, ნაყიდი ნივთი რომ მოართვეს, მუფთაში შეინახა.

ფრედერიკს გული გაუცივდა.

ქ-ნ დამბრეზს მკლავი გაყრილი ჰქონდა და თვალში შეხედვა მაშინ გადაწყვიტა, როცა ქუჩაში გავიდნენ, სადაც ეტლი იცდიდა.

ქალი ეტლში შევარდა, როგორც ქურდი, გაქცევას რომ ლამობს, დაჯდა და მხოლოდ მერმე მობრუნდა მისკენ. იგი კი იდგა და ქუდი ხელში ეჭირა.

— თქვენ არ წამოხვალთ?

— არა, ქალბატონო!

თავი ცივად დაუკრა და ეტლის კარი მიაჯახუნა; მერმე მეეტლეს უბრძანა, წადიო.

პირველ წუთს გაეხარდა, რაკი თავი კვლავ თავისუფალი იგრძნო. ამაყი იყო, რომ შური იძია ქ-ნ არნუსათვის, რომ სიმდიდრე უარყო მისი გულისათვის; შემდეგ უკვირდა თავისი საქციელი, და უსაზღვრო დაღლილობა დაეუფლა.

მეორე დღეს დილით-მსახურმა ახალი ამბები აცნობა: გამოცხადებულია საომარი წესები, დათხოვნილია საკანონმდებლო კრება, სახალხო წარმომადგენელთა ნაწილი დაპატიმრებულია მაზასის საპყრობილეში. ფრედერიკი ისე გართული იყო პირადი საქმეებით, რომ საზოგადოებრივმა აღარ დააინტერესა.

მიმწოდებლებს მისწერა და უარი თქვა ნივთებზე, რომლებიც ცოლის შერთვასთან დაკავშირებით შეუკვეთა. ქორწინება ახლა მთლად გონივრულ საქმედ არ მიაჩნდა. ქ-ნი დამბრეზი ზიზღს ჰგვრიდა, რადგან მის გამო კინაღამ სისაძაგლე ჩაიდინა. როზანეტი დაივიწყა, ქ-ნ არნუზეც აღარ წუხდა და ფიქრობდა მხოლოდ თავის თავზე, მარტო საკუთარ თავზე, ინთქმებოდა თავის ოცნებათა ნამსხვრევებში ნაწამები, ავადმყოფი, სულით დაცემული. მოსძულდა სიყალბით სავსე წრე, სადაც ამდენი იტანჯა, ოცნებობდა მწვანე ბალახზე, პროვინციის მყუდროებაზე, მთელმარე ცხოვრებაზე მშობლიურ ოჯახში, მართალი გულის პატრონთა შორის. ბოლოს ოთხშაბათ საღამოს გარეთ გავიდა.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა ბულვარზე. ხანდახან გაივლიდა პატრული და გარეკავდა, მაგრამ კვლავ გროვდებოდნენ. ლაპარაკობდნენ სრულიად მოურიდებლად, ჯარს სიცილითა და გინებით აცილებდნენ, ეს იყო და ეს.

— როგორ! არ იბრძოლებენ? — ჰკითხა ფრედერიკმა ერთ-ერთ მუშას.

ბლუზიანმა უპასუხა:

— ისეთი სულელი არავინ არის, რომ ბურჟუისათვის თავი მოიკლას! თვითონ მოაწესრიგონ თავიანთი საქმეები!

ვილაც ბატონმა ალმაცერად შეავლო თვალი ამ გარეუბნელს და წაიბუზღუნა: — არამზადა სოციალისტები! ახლა მაინც აუგებდნენ მათ წესს!

ფრედერიკს აღარაფერი გაეგებოდა ამდენ სიძულვილსა და სისულელეში. ზიზღი პარიზისადმი უფრო გაუძლიერდა და ერთი დღის შემდეგ დილის მატარებლით ნოჟანს წავიდა.

სახლები მალე გაქრა, დაიწყო მინდვრები, ხალვათობა. კუპეში მარტო იყო, ფეხები მოპირდაპირე დივანზე შეეწყო და ფიქრობდა უკანასკნელი დღეების ამბებზე, თავის წარსულზე. გაახსენდა ლუიზა.

„აი იმას კი ვუყვარდი! ტყუილ-უბრალოდ დავგმე ჩემი ბედნიერება!.. რა გაეწყობა! ამაზე ნუღა ვიფიქრებთ!“

მერმე, ხუთიოდე წუთის შემდეგ:

„თუმცა, ვინ იცის?.. შემდგომში, რატომაც არა?“

მისი ოცნებანი, ისე როგორც თვალები, სადღაც, ბუნდოვან სივრცეში ილტვოდნენ.

„ის გულუბრყვილოა, გლეხი ქალია, თითქმის ველურია, მაგრამ ისეთი კარგია!“

რაც უფრო უახლოვდებოდა ნოჟანს, იმდენადვე ახლობელი ხდებოდა იგი მისთვის; როცა სურდენის მინდვრები გაიარეს, იგი ალვის ხეებქვეშ მოეჩვენა, ვით ოდესმე, როცა მორევთა გასწვრივ დაეხეტებოდა და ლელს ამტვრევდა ხოლმე. მატარებელი გაჩერდა. იგი ვაგონიდან გამოვიდა.

ხიდზე შეჩერდა, მოაჯირს დაეყრდნო და გასცქეროდა კუნძულსა და ბაღს, სადაც ერთ მზიან დღეს ისინი სეირნობდნენ. ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს მგზავრობის შემდეგ და აბრუებდა ეს სუფთა ჰაერი, ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო განცდილი დავი-

დარების შემდეგ, რამაც ისე მოღალა, რომ რაღაცნაირი მღელვარება იგრძნო და გაიფიქრა:

„იქნებ შინ არ არის? ნუთუ ვერ შევხვდები?“

სენ-ლორანის ეკლესიაში ზარი დარეკეს; მოედანზე ეკლესიის წინ მათხოვრები შეგროვილიყვნენ, იქვე იდგა ამ მხარეში ერთადერთი ეტლი (რომელსაც ქორწილის დროს ქირაობდნენ ხოლმე). უეცრად კარიბჭეზე გამოჩნდნენ ახლადჯვარდაწერილნი, რომელთაც გარს ეხვივნენ სადღესასწაულოდ გამოწყობილი, თეთრჰალსტუხიანი მოქალაქენი.

ფრედერიკს ეგონა, მომეჩვენაო. მაგრამ არა! ეს ხომ სწორედ ის არის, ლუიზაა! თეთრი ფატა, მის მწითურ თმას რომ ფარავს, კოჭებამდე ჩასდევს. ესეც ხომ ის არის, დელორიე! სირმით მორთული ლურჯი ფრაკი, პრეფექტის ფორმა აცვია. ეს როგორ არის?

ფრედერიკი სახლს მოეფარა, მაყრიონი რომ გაეტარებინა.

შერცხვენილი, დამარცხებული, განადგურებული რკინიგზის სადგურში დაბრუნდა და კვლავ პარიზს წავიდა.

გზაში მეეტლე არწმუნებდა, შატო-დ'ოს მოედნიდან ჟიმნაზამდე ბარიკადებია გამართულიო, და სენ-მარტენის გარეუბნით წაიყვანა. პროვანსის ქუჩის კუთხეში ფრედერიკმა ეტლი გაუშვა და ქვეითად გაემართა ბულვარებისაკენ.

საღამოს ხუთი საათი იყო, ჟინჟღლავდა. ოპერისაკენ მიმავალი ქუჩის ტროტუარზე ბურჟუები შეგროვილიყვნენ. მოპირდაპირე მხარეზე ყველა შესასვლელი დახურული იყო. ფანჯრებში არავინ ჩანდა. ბულვარის მთელ სიგანეზე, ცხენის ფაფარზე დახრილნი, ხმალგაშიშვლებულნი მოქროდნენ დრაგუნები, მათი ჩაჩქნის ჯიღები და ფართო თეთრი მოსასხამები გაზის ფარნების შუქზე ფრიალებდნენ. ბრბო უცქეროდა, მდუმარე, შეშინებული.

ცხენოსანთა იერიშების შემდეგ გამოდიოდნენ პოლიციელთა რაზმები და ხალხს მიმდგომ ქუჩებში ერეკებოდნენ.

გარნა ტორტონის კაფეს საფეხურებზე კარიატიდივით უძრავად აღმართულიყო მაღალი კაცი: დიუსარდიე.

ერთ-ერთი პოლიციელი, წინ რომ მოდიოდა, და სამკუთხა ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, დაშნით დაემუქრა.

მაშინ დიუსარდიემ ნაბიჯი წინ გადმოდგა და შესძახა:

— გაუმარჯოს რესპუბლიკას!

და გულზე ხელებდაკრეფილი გულაღმა დაეცა.

ბრბო შიშით აზრიალდა. პოლიციელი მობრუნდა, ხალხს თვალი მოავლო, და გაოგნებულმა ფრედერიკმა იცნო: სენეკალი!

VI

ფრედერიკმა იმოგზაურა.

იგემა მოწყენილობა გემებზე, დილის სიცივე კარავში ღამის გათევის შემდეგ, გაერთო პეიზაჟებისა და ნანგრევების ცქერით, გამოცადა წუთიერი მეგობრობის სიმწარე.

დაბრუნდა.

მაღალ საზოგადოებაში გაერია და კიდევ არა ერთი რომანი განიცადა. გარნა პირველი დაუვიწყარი სიყვარულის მოგონება ფერს უკარგავდა ყოველ ახალ სიყვარულს; თანაც ვნების სიმძაფრე გრძნობის მთელი მშვენება უკვე დაკარგული იყო. გონების ამაყი მისწრაფებაც განელდა. გადიოდა წლები და იგი ურიგდებოდა აზრის მცონარეობას, გულის უმოძრაობას.

1867 წლის მარტის ბოლოს, დაბინდებისას, როცა თავის კაბინეტში მარტო იჯდა, მასთან ქალი შევიდა.

— ქალბატონო არნუ!

— ფრედერიკ!

ქალმა ხელი ჩაჰკიდა, ნაზად მიიყვანა ფანჯარასთან და სახეში ჩააცქერდა, თანაც იმეორებდა:

— ისაა! სწორედ ისაა!

ჩამოწოლილ ბინდში ვაჟი ხედავდა მხოლოდ მის თვალებს, შავი პირბადე რომ ეფარა.

ქალმა ბუხარზე ჩამოდო ბროწეულისფერი ხავერდის პატარა საფულე და დაჯდა. ლაპარაკს ვერც ერთი ვერ ახერხებდა და უხმოდ უღიმოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ვაჟმა დააყარა კითხვები თვით მასსა და მის ქმარზე.

ახლა ისინი მიყრუებულ ბრეტანში ცხოვრობენ, ცდილობენ ცოტა ხარჯონ, ვალებს იხდიან. არნუ თითქმის მუდამ ავადმყოფობს, შესახედავად მთლად მოხუცია. ქალიშვილი გათხოვდა, ბორდოში ცხოვრობს; ვაჟი თავის პოლკთან ერთად მოსტაგანემშია. ქალმა თავი ასწია და უთხრა:

— მაგრამ თქვენ კვლავ გხედავთ! ბედნიერი ვარ!

ვაჟმა უმალვე უთხრა, როგორც კი თქვენი უბედურება შევიტყვე, მაშინვე გამოვეშურეო.

— ვიცოდი!

— როგორ? საიდან?

— დაგინახეთ, ეზოში რომ შემოხვედით, და დავიმალე.

— რატომ?

მაშინ აკანკალებული ხმით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა:

— მეშინოდა! დიახ, მეშინოდა თქვენი... ჩემი თავისა!

ვაჟი ვნების თრთოლვამ აიტანა, როცა ეს გაიგონა. გული გამალებით უძგერდა. ქალი განაგრძობდა:

— მაპატიეთ, რომ უფრო ადრე არ მოვედი.

და, როცა ბროწეულისფერი, ოქრომკედით მოქარგული ხავერდის საფულე ანიშნა, დასძინა:

— საგანგებოდ თქვენთვის მოვქარგე. შიგ ის თანხაა, რამდენადაც დაგირავებული იყო მიწის ნაკვეთი ბელვილში.

ფრედერიკმა საჩუქრისათვის მადლობა გადაუხადა, ხოლო უსაყვედურა, ამაზე რად შეწუხდიო.

— არა! მე ამისათვის როდი მოვსულვარ. მინდოდა მენახეთ, მერმე კვლავ წავალ... იქ.

და აუწერა ის ადგილი, სადაც ცხოვრობენ.

იქ არის დაბალი, ერთსართულიანი სახლი და ბაღი, სადაც ხარობენ უზარმაზარი ბზები, ხოლო წაბლების ხეივანი ზედ გორაკზე ადის, საიდანაც ზღვა მოჩანს.

— იქ ავდივარ ხოლმე, რომ დავჯდე გრძელ სკამზე რომელსაც ფრედერიკის სკამი დავარქვი.

შემდეგ დააკვირდა ავეჯს, სამშვენისებს, სურათების ჩარჩოებს, რათა შეხსიერებაში აღებეჭდა. მაგრამ მის ყურადღებას იპყრობდნენ ოქროსფერი და თეთრი წერტილები, სიბნელეში რომ მოჩანდა.

— მე მგონია, ვიცნობ ამ ქალს?

— შეუძლებელია! — უთხრა ფრედერიკმა, — ეს ძველებური იტალიური სურათია.

იგი გამოტყდა: მინდა თქვენთან მკლავგაყრილმა ქუჩაში გავისეირნოო.

სახლიდან გამოვიდნენ.

მაღაზიებიდან ანარეკლი სინათლე დროდადრო აშუქებდა მის ფერმკრთალ სახეს; ისინი ვერ ამჩნევდნენ ვერც ეკიპაჟებს, ვერც

ხალხს, არ ესმოდათ არაფერი, არც ხმაური, არც ლაპარაკი, მიდიოდნენ ერთმანეთით შთანთქმულნი, თითქოს სადმე ქალაქგარეთ სეირნობდნენ ხმელი ფოთლებით დაფენილ გზაზე.

ერთმანეთს უამბობდნენ წარსულ დღეებზე, „ლ'არ ენდუსტრიელის“ დროის სადილებზე, არნუს ახირებულობაზე, იგონებდნენ მის ჩვევას, წამდაუწუმ რომ საყელოს ისწორებდა, ულვაშებზე რომ კოსმეტიკურ ზეთებს იცხებდა ხოლმე და კიდევ ბევრ ინტიმურ და უფრო მნიშვნელოვან წვრილმანს. რა აღტაცებული ვიყავი, — ამბობდა ვაჟი, — როცა პირველად მოვისმინე თქვენი სიმღერა! რა მშვენიერი იყავით დაბადების დღეს, სენ-კლუში! იგონებდა ბაღს ოტეილში, თეატრში გატარებულ საღამოებს, შეხვედრას ბულვარზე, მის მსახურთ, მის ზანგ ქალს...

ქალს უკვირდა მისი მეხსიერება. გარნა უთხრა:

— თქვენი სიტყვები ზოგჯერ ისე მეჩვენება, როგორც შორეული გამოხმობა, როგორც ქარის მოტანილი ზარის რეკვა, და როცა წიგნებში ვკითხულობ სიყვარულის ამბებს, მგონია, რომ იქ ხართ.

— ყველაფერი, რასაც რომანებში გმობენ, როგორც გაზვიადებას, ყოველივე ეს თქვენი მეოხებით განვიცადე, — უთხრა ფრედერიკმა. — მე მესმის ვერტერისა, რომელსაც შარლოტას ბუტერბროდები არ ეზიზღება.

— ჩემო საბრალო, ძვირფასო მეგობარო!

მან ამოიოხრა და კარგა ხნის დუმილის შემდგ:

— რა გაეწყობა, ჩვენ ხომ მაინც ძლიერ გვიყვარდა ერთმანეთი!

— თუმცა ერთმანეთს არ ვეკუთვნოდით!

— იქნებ ასე ჯობდეს, — შენიშნა ქალმა.

— არა! არა! რა ბედნიერი ვიქნებოდით!

— ოჰ! რა თქმა უნდა, ასეთი სიყვარული!

და რა ძალა უნდა ჰქონოდა, თუ ესოდენ დიდი ხნის განშორებას გაუძლო!

ფრედერიკმა ჰკითხა, როგორ მიხვდით, რომ მიყვარდითო.

— ეს იყო ერთხელ, საღამოს, როცა სახელოსა და თათმანს შუა მაკოცეთ. მე გავიფიქრე: „დიახ, ვუყვარვარ... ვუყვარვარ!“ მაგრამ მეშინოდა ამაში დავრწმუნებულიყავ. თქვენი თავშეკავებულება ისე მშვენიერი იყო, რომ ვტკბებოდი მით, როგორც პატივისცემის უნებური და განუწყვეტელი ხარკით.

ვაჟი არაფერს არ ნანობდა. დაჯილდოებული იყო მთელი წარსული ტანჯვისათვის.

როცა შინ დაბრუნდნენ, ქ-მა არნუმ ქუდი მოიხადა. კონსოლზე დადგმულმა ლამპამ გააშუქა მისი ჰალარა თმა. ვაჟს თითქოს გულში მაგრად ჩაარტყესო.

თავისი იმედგაცრუება რომ დაემალა, იატაკზე დაჯდა მის ფერხთით, ხელებში ხელი მოჰკიდა და მოჰყვა ნაზად, ალერსით:

— მთელ თქვენს არსებას, მთელ თქვენს მოძრაობას ზეადამიანური აზრი ენიჭებოდა ჩემთვის! როცა ჩემს ახლოს გაივლიდით, გული მტვერივით აგედევნებოდათ უკან. თქვენ ჩემთვის მთვარის შუქი იყავით ზაფხულის ღამეში, როცა ყველგან სურნელი, რბილი ჩრდილები, ათინათები, შეუცნობელი მშვენებაა განფენილი, და სულისა და ხორცის მთელ ნეტარებას შეიცავდა ჩემთვის. თქვენი სახელი, რომელსაც გულში ვიმეორებდი და ვცდილობდი დამეკოცნა. ამაზე უფრო მაღალი მე ვერაფერი ვერ წარმომედგინა. ქალბატონი არნუ მიყვარდა სწორედ ისეთი, როგორიც იყო: ორი შვილის დედა, ნაზი, სერიოზული, მეტად ლამაზი და ესოდენ გულკეთილი! და შემეძლო განა სხვა რამეზე მეფიქრა? ჩემს სულში მუდამ ისმოდა თქვენი ხმის მუსიკა და ბრწყინავდა თქვენი თვალების შუქი!

იგი სიხარულით იღებდა თაყვანისცემის ამ ხარკს, თაყვანისცემისა ქალისადმი, ვინც იგი აღარ იყო. თავისივე სიტყვებით მთვრალ ფრედერიკს სჯეროდა, რასაც ამბობდა. ქ-ნი არნუ, რომელიც ზურგით უჯდა ლამპას, მისკენ დაიხარა. იგი შუბლზე გრძნობდა ქალის სუნთქვის ალერსს, ტანისამოსში კი — მისი სხეულის შეხებას. ხელები მაგრად მოუჭირეს ერთმანეთს. ფეხსაცმლის ჭვინტი ოდნავ გამოჩნდა ქალის კაბაში და თითქმის ღონემიხდილმა ვაჟმა უთხრა:

— მაღელვებს თქვენი ფეხის დანახვა.

ქალმა უეცრად დაირცხვინა და ადგა. შემდეგ უძრავად მდგომმა, თითქოს მთვარეულიაო, წყნარად წარმოთქვა:

— ჩემს ასაკში! თქვენ! ფრედერიკ!.. არც ერთი ქალი ისე არ ჰყვარებიათ, როგორც მე! არა! რად მინდა სიყმაწვილე! არ მინდა! მე მეზიზღება ყველა ის ქალი, ვინც აქ დადის!

—ო, აქ არავინ არ დადის! — თავაზიანად შეესიტყვა იგი.

ქალს სახე გაუბრწყინდა და მოისურვა შეეტყო, ცოლს ირთავს, თუ არაო.

ვაჟმა დაიფიცა, არაო.

— მართლა? მერე რატომ?

— თქვენ გამო! — უთხრა ფრედერიკმა და მაგრად ჩაიკრა გულში.

იგი გაითანგა, უკან გადაიხარა, პირი ოდნავ გააღო, თვალები გადანაბა. მაგრამ უეცრად სახეზე სასოწარკვეთილება დაეხატა და ფრედერიკს ხელი ჰკრა, ხოლო პასუხად, რაზეც იგი ემუდარებოდა, თავი დახარა და ასე უთხრა:

— ვისურვებდი გამებედნიერებინე.

ფრედერიკმა გაიფიქრა, იმიტომ ხომ არ მოსულა, რომ დამნებდესო, და კვლავ გაეღვიძა ნდომა, მაგრამ უფრო ვნებიანი, უფრო მძაფრი, ვიდრე წინათ. გარნა რაღაც ისეთ გამოუთქმელ რამეს, რაღაცნაირ ზიზღს გრძნობდა, თითქოს სისხლის აღრევისა ეშინიაო. სხვა რამემაც შეაჩერა: მერმე შემეზიზღებაო. თანაც ისეთი უხერხული იქნებოდა. და აი სიფრთხილის გამო და იმ მოსაზრებითაც, რომ თავისი იდეალი არ შეებღალა, იგი მკვეთრად შებრუნდა, თამბაქო აიღო და პაპიროსის შეხვევა დაიწყო.

ქალი აღტაცებით შესცქეროდა.

— რა გულისხმიერი ხართ! მხოლოდ თქვენ ხართ ასეთი! მხოლოდ თქვენ!

საათმა თერთმეტი დარეკა.

— უკვე! — თქვა მან. — თორმეტის თხუთმეტზე უნდა წავიდე!

და კვლავ დაჯდა, მაგრამ ახლა საათს უცქეროდა, ვაჟი კი ბოლთას სცემდა და თამბაქოს ეწეოდა. არც ერთმა არ იცოდა, რა ეთქვა. განშორების წინ არის ხოლმე ისეთი წუთი, როცა საყვარელი ადამიანი ჩვენთან აღარ არის.

ბოლოს, როცა საათმა თორმეტის ოცდახუთ წუთს გადააბიჯა, ქალმა ქუდი აიღო და ნელა დაუწყო სწორება ლენტებს.

— მშვიდობით, ჩემო მეგობარო, ჩემო სანუკვარო მეგობარო! ვეღარასოდეს ვეღარ გნახავთ! ეს იყო ჩემი, როგორც ქალის, უკანასკნელი ნაბიჯი! სული ჩემი არასოდეს არ გაგშორდებათ. ცა იყოს თქვენი მფარველი!

და შუბლზე ეამბორა, როგორც დედა.

მაგრამ მაშინვე იწყო თვალით რაღაცის ძებნა და მაკრატელი სთხოვა.

სავარცხელი გამოიძრო და ჭაღარა თმა მხრებზე დაეფინა.

სწრაფი მოძრაობით ძირში შეიჭრა მოგრძო კულული.

— შეინახეთ!.. მშვიდობით!

როცა ქალი წავიდა, ფრედერიკმა ფანჯარა გააღო. ქ-ნი არნუ ტროტუარზე იდგა და ხელით ანიშნა მეეტლეს, გაჩერდიო. ჩაჯდა და... ეკიპაჟი თვალთაგან მიეფარა.

ეს იყოს და ეს.

VII

ზამთრის პირას ბუხართან ისხდნენ ფრედერიკი და დელორიე, რომელნიც ერთხელ კიდევ შერიგდნენ, ერთხელ კიდევ დაემორჩილნენ თავიანთი ბუნების იმ საბედისწერო თვისებას, ერთმანეთისაკენ რომ იზიდავდა და ერთმანეთს აყვარებდა.

ერთმა ზოგადად უამბო ქ-ნ დამბრეზთან თავის განშორებაზე. ვინც მეორე ქორწინებით გაჰყვა ვიღაც ინგლისელს.

მეორეს არ უთქვამს, როგორ შეირთო მ-ელ როკი, მაგრამ განაცხადა, ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ცოლი ვიღაც მომღერალთან გაიქცაო. ამის შემდეგ იგი თურმე ცდილობდა "გაექარწყლებინა თავისი ზდგომარეობის კომიზმი და პრეფექტურაში ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, რომ დაითხოვეს. მერმე იყო დასახლების უფროსად ალჟირში, ვიღაც ფაშის მდივნად, გაზეთის რედაქტორად, განცხადებათა აგენტად და ბოლოს იურისკონსულტად შევიდა ერთ სამრეწველო საწარმოში.

რაც შეეხება ფრედერიკს, მან უკვე შეეპამა თავისი ქონების ორი მესამედი და ახლა თავდაჭერილი ბურჟუის ცხოვრებას ეწევა.

შემდეგ ერთმანეთს გამოჰკითხეს საერთო ნაცნობთა ამბავი.

მარტინონი ახლა სენატორია.

ჰიუსონეს დიდი ადგილი უკავია და ყველა თეატრს, მთელ პრესას განაგებს.

სიზი ღვთისმოსავი გახდა, უკვე რვა შვილის მამაა და თავის წინაპართა ციხედარბაზში ცხოვრობს.

პელერენმა გამოცადა ფურიერიზმი, ჰომეოპათია, სპირიტუალიზმი, გოთური ხელოვნება და ჰუმანისტული ფერწერა, ახლა ფოტოგრაფია და პარიზის ყოველ კედელზე შეიძლება დაინახოთ მისი გამოსახულება: შავფრაკიანი პაწია ტანი და უზარმაზარი თავი.

— სად არის შენი მეგობარი სენეკალი? — ჰკითხა ფრედერიკმა.

— გაქრა. არ ვიცი! შენ კი... შენი მიჯნური ქ-ნი არნუ?

— ალბათ, რომშია, თავის ვაჟ ლეიტენანტთან ერთად.

— მისი ქმარი?

— შარშან გარდაიცვალა.

— რას ამბობ?!

მერმე შუბლში იტკიცა ხელი:

— სიტყვამ მოიტანა, ამას წინათ ერთ მაღაზიაში შევხვდი ჩვენს მშვენიერ როზანეტს, ხელჩაკიდებული მიჰყავდა ნაშვილები ბიჭუნა ვიღაც ბ-ნ უდრის ქვრივია და ისე უშნოდ გასქელებულა, რომ პირდაპირ საშინელებაა. რა დაქვეითებაა! მერმე რა ტანწერწეტი იყო...

დელორიეს არ დაუმალავს: ოდესმე მისი გაჭირვებით ვისარგებლე და ამაში პირადად დავრწმუნდიო.

— თუმცა, თვითონ შენ დამრთე ნება.

ეს გულახდილობა იმის სანაცვლო იყო, რომ დელორიეს არ გაუმხელია ასეთივე ცდა ქ-ნ არნუს მიმართ. ფრედერიკი აპატიებდა, რაკი ეს ცდა არ მოუხერხდა.

თუმცა ამ ამბავმა რამდენადმე აწყენინა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ სასაცილოაო, ხოლო როზანეტზე რომ გაიფიქრა, მ-ელ ვატნაზი გაახსენდა.

დელორიე არასოდეს არ შეხვედრია ქ-ნ არნუს, ისე როგორც არც ბევრ სხვას, ვინც არნუსას იყო ხოლმე, მაგრამ კარგად ახსოვდა რეჟემბარი.

— კიდევ ცოცხალია?

— ძლივს სუნთქავს. ყოველ საღამოს გრამონის ქუჩიდან უსათუოდ უნდა წაღოღდეს მონმარტის ქუჩამდე და უნდა ჩამოუაროს ყველა კაფეს. სუსტი, მოკუზული, დაშრეტილი, ნამდვილი აჩრდილია.

— ჰო, კომპენი?

ფრედერიკმა მხიარულად წამოიძახა და დროებითი მთავრობის ყოფილ კომისარს სთხოვა, ხბოს თავის ამოცანა ამიხსენიო.

— ეგ ინგლისიდან არის შემოტანილი. როიალისტთა ოცდაათი იანვრის დღესასწაულის დასაცინად დამოუკიდებლებმა დააწესეს ყოველწლიური ბანკეტი, რომელზეც ხბოს თავს ჭამენ და ხბოს თავის ქალით წითელ ღვინოს სვამენ სტიუარტების გაჟლეტისათვის. თერმიდორის შემდეგ ტერორისტებმაც ასეთივე ძმობა დააარსეს; როგორც ხედავთ, სისულელე ნაყოფიერია.

— მგონია, სულ აგიცრუვდა გული პოლიტიკაზე?

— ასაკის ბრალია! — მიუგო ადვოკატმა.

და შეაჯამეს თავიანთი ცხოვრება.

არც ერთს არ გაუმართლა: არც იმას, ვინც სიყვარულზე ოცნებობდა, და არც იმას, ვინც ძალაუფლებას ნატრობდა. რა მიზეზი იყო?

— იქნებ ისა, რომ პირდაპირობა გვაკლდა, — თქვა ფრედერიკმა.

— რაც შენ შეგეხება, შესაძლოა, აგრე იყო. მე კი, პირიქით, მეტად პირდაპირიც კი ვიყავ, ანგარიშს არ ვუწევდი ათასგვარ წვრილმანს, რაც ყველაზე დიდმნიშვნელოვანია. მე მეტად ლოგიკური ვიყავ, შენ კი მეტად მგრძნობიერი.

მერმე ბრალი დასდეს ბედის ცვალებადობას, სხვადასხვა გარემოებას, დროს, როცა დაიბადნენ.

ფრედერიკმა განაგრძო:

— ასეთ მომავალზე როდი ვფიქრობდით ოდესღაც, ჯერ კიდევ სანსში, როცა შენ აპირებდი დაგეწერა ფილოსოფიის კრიტიკული ისტორია, მე კი — დიდი რომანი ნოჟანის ისტორიიდან საშუალო საუკუნეთა სიუჟეტით, რომელიც ამოვიღე ფრუასარის თხზულებიდან: „როგორ დაესხნენ თავს ბატონი ბროკარ დე ფენესტრანჟი და ტრუას ეპისკოპოზი ბატონ ესტაშ დ'ამბრესიკურს“ გახსოვს?

და ახალგაზრდობის დროებას რომ იგონებდნენ, ყოველ ფრაზას დასძენდნენ ხოლმე: „გახსოვს?“

თვალწინ ესახებოდათ კოლეჟის ეზო, ნიში, მისაღები ოთახი, საფარიკაო დარბაზი, ძირს, კიბესთან, კლასის დამრიგებელთა და აღმზრდელთა სახეები, ვინმე ვერსალელი ანჟელმარი, რომელიც ძველი წაღიდან შარვლის დასაჭიმავ ტყავს გამოჭრიდა ხოლმე, ბ-ნი მირბალი და მისი მწითური ქილვაშები, ხატვისა და ხაზვის მასწავლებლები ვართო და სურირე, მუდამ რომ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, პოლონელი, კოპერნიკის თანამემამულე, და მისი, მუყაოსაგან გაკეთებული პლანეტათა სისტემა, მოხეტიალე ასტრონომი, ვისაც ლექციების საზღაურად სმა-ჭამა შესთავაზეს; მერმე საშინელი სმა გასეირნების დროს, პირველად მოწეული ჩიბუხი, არდადეგების სიხარული...

1837 წლის არდადეგების დროს ისინი იყვნენ თურქ ქალთან. ასე ეძახდნენ ქალს, ვისი ნამდვილი სახელი იყო ზორაიდა

თურქი და ძლიერ ბევრს იგი მუსლიმად მიაჩნდა, რაც აძლიერებდა მისი დაწესებულების პოეტურ სილამაზეს; ეს დაწესებულება მდინარის ნაპირზე იყო, ქალაქის მიწაყრილის იქით. თვით შუა ზაფხულშიც კი გრილი ჩრდილი ადგა იმ სახლს, რომლის მიგნებაც ადვილი იყო: ფანჯარაზე რეზედიანი ქოთნის გვერდით იდგა შუშის ჭურჭელი, რომელშიც ოქროს თევზები ცურავდნენ. თეთრკოფთიანი, ფერ-უმარილით შეთხუპნული, გრძელსაყურეებიანი ქალიშვილები, როცა ვინმე ახლოს გაივლიდა, ფანჯრებზე აკაკუნებდნენ, საღამოობით კი ზღურბლზე იდგნენ და ხრინწიანი ხმით წყნარად იმღეროდნენ ხოლმე.

ეს დამღუპველი ადგილი მიდამოს ფანტასტიურ შუქს ჰფენდა. როცა იმაზე ლაპარაკობდნენ, ქარაგმებით იხსენიებდნენ ხოლმე: „თქვენთვის ცნობილი ადგილი", „ცნობილი ქუჩა", „ხიდგაღმა" და სხვა. მიდამოს ფერმელი ქალები შიშით კანკალებდნენ თავიანთი ქმრების გამო, ქალაქელი ქალები — თავიანთი მსახური გოგოების გამო, იმიტომ რომ ერთხელ იქ წაასწრეს ბ-ნ სუპრეფექტის მზარეულ ქალს და, თავის თავად იგულისხმებოდა, ამ სახლზე მუდამ ფარულად ოცნებობდნენ მოზარდნი.

და აი ერთხელ, კვირადღეს, როცა ყველანი მწუხრზე იყვნენ ეკლესიაში, ფრედერიკმა და დელორიემ თმა დაიხუჭუჭეს დალაქთან, ქ-ნ მოროს ბაღში ყვავილები დაკრიფეს, მინდორში გავიდნენ, შორზე შორი გზა განვლეს, ვენახები გაიარეს, ქელაქში მეთევზეთა დასახლებაზე გავლით დაბრუნდნენ და თურქ ქალთან გაძვრნენ, თანაც ხელში თითოს დიდი თაიგული ეჭირა.

ფრედერიკს თავისი თაიგული ისე ეჭირა, თითქოს სასიძო საცოლეს შესახვედრად მიდისო. მაგრამ სიცხის გამო, უცდელის წინაშე შიშის, სინდისის ერთგვარი ქენჯნისა და, ბოლოს, იმ კმაყოფილების გამო, რომ ერთბაშად ნახავდა იმდენ ქალს, რომლებიც ყველანი მის განკარგულებაში იქნებოდნენ, ისე აღელვებული იყო, რომ საშინლად გაფითრდა, გაჩერდა და სიტყვა ვერ დაძრა. ყველანი იცინოდნენ, ყველას ართობდა ეს დარცხვენა. ეგონა, დამცინიანო, და მოკურცხლა, ხოლო რადგან ფული მას ჰქონდა, დელორიეც იძულებული იყო გასდევნებოდა.

როცა ქუჩაში გადიოდნენ, შეამჩნიეს: შეიქნა ერთი ამბავი, რაც სამი წლის შემდეგაც არ დავიწყნიათ.

ისინი უდიდესი დაწვრილებით იგონებდნენ ამ ამბავს და თი-

თოეული ავსებდა იმას, რაც მეორეს დავიწყებოდა, ხოლო, როცა გაათავეს, ფრედერიკმა თქვა:

— ეს ყველაზე უკეთესი რამ იყო, რაც კი ცხოვრებაში გვინახავს!

— დიახ, მეც აგრე მგონია! საუკეთესო, რაც კი ცხოვრებაში გვინახავს! — დაეთანხმა დელორიე.

სარჩევი

ნაწილი პირველი	5
ნაწილი მეორე	110
ნაწილი მესამე	309

რედაქტორი თ. ცინცაძე
მხატვარი ნ. იანქოშვილი
მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექრედაქტორი მ. ლებანიძე
კორექტორები: ც. ინწკირველი, გ. წერეთელი
გამომშვები ჰ. ტაბატაძე

●

გადაეცა წარმოებას 11/VI-71 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VIII-72 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16 საბეჭდი № 2
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,06
ნაბეჭდი თაბახი 26,97
ტ. 20000 შეკვ. № 988

ფასი 1 მან. 40 კაპ.

●

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42, თბილისი, 1972

ГУСТАВ ФЛОБЕР

ВОСПИТАНИЕ ЧУВСТВ

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», Руставели 42,
19 Тбилиси 72

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета Министров Груз. ССР по печати.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.